გიორგი კვინიკაძე

გეოეკონომიკა

(მსოფლიო განვითარების ცენტრალური ვექტორი)

სახელმძღვანელო

გამომცემლობა „უნივერსალი"
თბილისი 2008

თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის
სახელმწიფო უნივერსიტეტი, სოციალურ-პოლიტიკურ
მეცნიერებათა ფაკულტეტი

წინამდებარე წიგნი პირველი სახელმძღვანელოა ქართულ ენაზე, რომელიც ეხება საზოგადოებრივი მეცნიერებს სრულიად ახალი მიმართულების – გეოეკონომიკის ძირითად საკითხებს და განკუთვნილია პოლიტოლოგების, ეკონომისტების, სოციოლოგების, ფილოსოფოსების, ისტორიკოსების, საზოგადოებრივი გეოგრაფიის სპეციალობის სტუდენტთათვის. იმ მკითხველისათვის, რომელთაც გეოეკონომიკის როგორც ცოდნის უახლესი დარგი აინტერესებთ. იგი მოიცავს თეორიულ კურსს, ძირითად, დამატებით და ქსელურ ლიტერატურას, საკონტროლო კითხვებს და მოკლე გეოეკონომიკურ ლექსიკონს.

რედაქტორი: *ზურაბ დავითაშვილი* პროფესორი, პოლიტოლოგიის დოქტორი, გეოგრაფიის დოქტორი, საერთაშორისო ურთიერთობის ექსპერტი.

ლიტერატურული რედაქტორი: *ფილოლოგიის დოქტორი, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ივანე (მურად) მთვარელიძე*

რეცენზენტები: *იოსებ სალუქვაძე პროფესორი, გეოგრაფიის დოქტორი;*
გიორგი გოგსაძე პროფესორი, გეოგრაფიის დოქტორი;

© გ. კვინიკაძე, 2008.

გამომცემლობა „უნივერსალი", 2008

თბილისი, 0179, ი. ვაჩნაძის გამზ. 19, ☎: 22 36 09, 8(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge

ISBN 978-9941-12-413-6

შინაარსი

რედაქტორისაგან ——— 12

შესავალი ——— 16

ნაწილი I გეოეკონომიკა: *ახალი მიმართულება საზოგადოებრივ მეცნიერებაში*

თავი I. გეოეკონომიკის თეორიული საკითხები

1.1 გეოეკონომიკის ფორმირება და ძირითადი გეოეკონომიკური სკოლები ——— 32
1.2 გეოეკონომიკის საგანი და არსი ——— 41
1.3 პოსტინდუსტრიული ცვლილებები და Pax Oeconomicana-ს ფორმირება ——— 53
1.4 გეოეკონომიკური სტრუქტურები ——— 55
1.5 ეკონომიკა და პოლიტიკა ——— 65
1.6 გეოეკონომიკა, გეოპოლიტიკა და გეოსტრატეგია ——— 71
1.7 გეოეკონომიკის მეთოდები, სტრატეგია და ტაქტიკა ——— 80
1.8 გეოეკონომიკის ძირითადი ატრიბუტები ——— 87
1.9 გეოკონომიკური კონსტრუქცია ——— 91

თავი II. გეოეკონომიკა და გეოპოლიტიკა

2.1 მსოფლიო ეკონომიკის ფორმირების გეოეკონომიკური ონტექსტი ——— 96
2.2 გეოეკონომიკური პოლუსები ——— 98
2.3 რეგიონალიზმი (ბალკანიზაცია) ——— 101
2.4 გეოეკონომიკის მეთოდები და გეოპოლიტიკა ——— 105
2.5 გეოპოლიტიკის საზღვრები: გეოეკონომიკური მიდგომა ——— 109
2.6 გეოფინანსები ——— 114
2.7 „ჭუჭყიანი ფულის“ პრობლემა გეოეკონომიკასა და გეოპოლიტიკაში ——— 115

თავი III. გეოეკონომიკური სტრატეგია ახალი გეოპოლიტიკური გამოწვევების პირობებში

3.1 სივრცე: გეოპოლიტიკისა და გეოეკონომიკის ფორმირების კვინტენსენცია ——— 117
3.2 ტერიტორიაზე კონტროლის სტრატეგია ——— 124
3.3 გეოეკონომიკური ომების სტრატეგია და სპეციფიკა ——— 127
3.4 სტრატეგიული მანევრის გეოეკონომიკური არსი ——— 132
3.5. გეოპოლიტიკური რეალიზმი და გეოეკონომიკური სტრატეგია — 134
3.6 გეოსტრატეგიული ბალანსის გეოეკონომიკური პარამეტრები — 138

თავი IV. გეოეკონომიკა: XXI ს. შემეცნების გასაღები

4.1 ეკონომიკური ფაქტორი და სივრცე ——— 143
4.2 მსოფლიოს გეოეკონომიკური კონფიგურაცია (გეოეკონომიკური და სივრცობრივი ერარქია) ——— 149
4.3 გლბალური გეოეკონომიკური მეტოქეობა ——— 156
4.4 გეოეკონომიკის სამყაროს მომავალი ——— 158
4.5 გეოეკონომიკური ლიდერების პრობლემა ——— 161
4.6 გეოეკონომიკური აუტსაიდერების პერსპექტივები ——— 163
4.7 მოსალოდნელი გეოეკონომიკური ცელილებების სცენარები — 164

ნაწილი II გლობალიზაციის გეოეკონომიკური პარამეტრები

თავი V. გლობალიზაცია და გეოეკონომიკა

5.1 გლობალიზაცია გეოეკონომიკის პრიზმაში ——— 168
5.2 გლობალიზაციის ცნების გეოეკონომიკური კონტექსტი ——— 175
5.3 გლობალიზაციის არსის გეოეკონომიკური ასპექტი ——— 186
5.4 გლობალიზაციის პროცესის მამოძრავებელი გეოეკონომიკური ფაქტორები ——— 198
5.5 გლობალიზაციის პროცესის ძირითადი გეოეკონომიკური შედეგები ——— 207
5.6. გლობალიზმი და გეოეკონომიკა ——— 218
5.7 გლობალიზმის გეოეკონომიკური პოზიტივები და ნეგატივები — 223

თავი VI. გლობალიზაცია და ახალი გეოფინანსური ურთიერთობები

6.1 გეოფინანსების ძირითადი პრობლემა ——— 230
6.2 სახელმწიფოსა და ფინანსების სივრცე ——— 232
6.3 ეროვნული სუვერენიტეტი და ფინანსური პოლიტიკა ——— 236
6.4 გეოფინანსები როგორც სტრატეგიული იარაღი ——— 241

თავი VII. ეროვნული სახელმწიფოს გეოეკონომიკური პარამეტრები გლობალიზაციის პირობებში

7.1 ეროვნული სახელმწიფოს ძირითადი პრობლემები ——— 251
7.2 ეროვნული სახელმწიფოს დაკნინება ——— 253
7.3 ეროვნული სახელმწიფოს ადგილი გლობალიზირებად მსოფლიოში ——— 259
7.4 ეროვნული სახელმწიფო და კორპორაციები ——— 262

ნაწილი III კეთილდღეობის სახელმწიფო გეოსოციალურ და გეოეკონომიკურ განზომილებებში

თავი VIII. კეთილდღეობის სახელმწიფოს ძირითადი გეოეკონომიკური პარამეტრები

8.1. კეთილდღეობის სახელმწიფოს ტიპები, ფუნქციები და კრიზისი — 267
8.2 ეკონომიკური ზრდა და კეთილდღეობის სახელმწიფოს დინამიკა — 273
8.3 ეკონომიკური ზრდის ტემპების შემცირება და კეთილდღეობის სახელმწიფო — 278
8.4 კეთილდღეობის სახელმწიფოს ძირითადი გეოეკონომიკური პარამეტრები — 282
8.5 კეთილდღეობის სახელმწიფო ახალ გეოეკონომიკურ წესრიგში — 287

თავი IX. კეთილდღეობის სახელმწიფოს „მესამე გზის“ გეოეკონომიკური და გეოსოციალური მოდელი

9.1 კეთილდღეობის სახელმწიფო: რეაქციები გეოეკონომიკურ გამოწვევებზე — 292
9.2 მოდელის გეოეკონომიკური არსი — 294
9.3 მოდელის გლობალიზაცია — 305
9.4 მოდელის გლობალიზაციის გეოეკონომიკური პრობლემები — 310

ნაწილი IV. ეროვნული სახელმწიფოს გეოეკონომიკური კონკურენტუნარიანობისა და უსაფრთხოების კარკასის საყრდენი წერტილები

თავი 10. ქვეყანა – სისტემის კონკურენტუნარიანობის ინსტიტუტები

10.1 კონკურენტუნარიანობის არსი და პრობლემები — 316
10.2 გეოეკონომიკური დაზვერვა — 317
10.3 გეოეკონომიკური კონკურენციისა და დაზვერვის ინსტიტუტები მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში — 325
10.4 გეოეკონომიკური კონკურენციის ორგანოები (ამერიკული მოდელი) — 332

თავი 11. ეროვნული სახელმწიფოს გეოეკონომიკური უსაფრთხოება

11.1 გეოეკონომიკური უსაფრთხოების არსი და სტრუქტურა — 338
11.2 გეოეკონომიკური უსაფრთხოების დოქტრინები — 344

11.3 გეოეკონომიკური უსაფრთხოება ეროვნული უსაფრთხოების სტრუქტურაში ——— 349
11.4 ეროვნული გეოეკონომიკური უსაფრთხოების არსის თეორიული პარადიგმები ——— 354
11.5 გეოეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები ——— 362

ნაწილი V. გეოეკონომიკური სივრცის დივერსიფიკაცია

თავი 12. გეოეკონომიკური სივრცის რეგიონალიზაცია, გლობალიზაცია და ეროვნული სახელმწიფო

12.1 გეოეკონომიკური რეგიონის განსაზღვრების პრობლემა ——— 368
12.2 რეგიონალიზმი, ეთნიკურობა და ტერიტორიალურობა ——— 376
12.3 რეგიონალიზმის ანომალიები ——— 381
12.4 რეგიონული გეოეკონომიკური ინტეგრაცია – გეოეკონომიკური რეგიონი ——— 386
12.5 გლოკალიზაციის გეოეკონომიკური პარამეტრები ——— 390

თავი 13. გეოეკონომიკური სივრცის ფრაგმენტაცია

13.1 გეოეკონომიკური და გეოპოლიტიკური სივრცის ფრაგმენტაციის ტენდენციები, პოტენციური პლანეტარული კონფლიქტის კონტექსტში ——— 398
13.2 გეოეკონომიკური სივრცის პოლარიზაცია და გეოეკონომიკური რეგიონის ფორმირება ——— 407
13.3 ფრაგმენტაცია, ინტერნაციონალიზაცია და გეოეკონომიკური ნაციონალიზმი ——— 413
13.4 მოხმარების ფრაგმენტაციის გეოეკონომიკური პრობლემები — 418

ნაწილი VI. გლობალური გეოეკონომიკა.

თავი 14. გლობალური გეოეკონომიკური ცვლილებების ტექნოლოგია.

14.1 გეოეკონომიკური რეალობა და გლობალურობის თეორია —— 427
14.2 გეოეკონომიკური იმპერატივი ——— 431
14.3 მაღალი გეოეკონომიკური ტექნოლოგიები ——— 434
14.4 კორპორაციების ტრანსფორმაცია ——— 440
14.5 გეოეკონომიკური ტრენდები და მეოთხე ზონა ——— 443

თავი 15. მსოფლიოს ახალი გეოეკონომიკური წესრიგის ნეოლიბერალური მოდელი.

15.1 გეოეკონომიკური წესრიგი იდეალიზმისა და რეალიზმის თანაფარდობის კონტექსტში ——— 447

15.2 ახალი გეოეკონომიკური წესრიგის ფორმირების ძირითადი თავისებურებანი ——— 458
15.3 გლობალური კორპორაციული და ფინანსური ცენტრები ——— 465
15.4 ძალთა თანაფარდობის მოდელები გლობალურ გეოეკონომიკურ წესრიგში ——— 469
15.5 ახალი გეოეკონომიკური წესრიგის ალტერნატიული მოდელი - 475
15.6 გეოეკონომიკური სივრცის ტრანსფორმაცია და ახალი ბიპოლარულობის პერსპექტივები ——— 480

დანართები

№1 ძირითადი ლიტერატურა ——— 486
№2 დამატებითი ლიტერატურა ——— 487
№3 ქსელური ლიტერატურა ——— 489
№4 საკონტროლო კითხვები ——— 489
№5 მოკლე გეოეკონომიკური ლექსიკონი ——— 495

CONTENT

PART I. GEO-ECONOMICS. NEW DIRECTION IN THE SOCIAL SCIENCES

CHAPTER I. THEORETICAL SUBJECTS OF GEO-ECONOMICS

1.1. The formation of geoeconomics and the basic geoeconomical schools ——— 32
1.2. Subject and main points of geoeconomics ——— 41
1.3. Postindustrial changes and formation of Pax Deconomicana ——— 53
1.4. Geoeconomical structures ——— 55
1.5. Economics and politics ——— 65
1.6. Geopolitics - Geostrategy – Geoeconomics ——— 71
1.7. The methods, strategy and tactics of geoeconomics ——— 80
1.8. The main attributes of geoeconomics ——— 87
1.9. Geoeconomical construction ——— 91

CHAPTER II. GEO-ECONOMICS AND GEO POLITICS

2.1. Geoeconomical context of the formation of world economy ——— 96
2.2. Geoeconomical poles ——— 98
2.3. Regionalism (Balkanization) ——— 101
2.4. The methods of geoeconomics and geopolitics ——— 105

2.5. The borders of geoeconomics - geoeconomical approaches ---------- 109
2.6. Geofinances ---------- 114
2.7. The problem of "dirty money" in geoeconomy and geopolitics ---- 115

CHAPTER III. GEO-ECONOMICAL STRATEGIES IN THE CALL FORTH CONDITIONS OF NEW GEO-POLITICS

3.1. Space: The Quincunxes formation of Geopolitics and Geoeconomics ---------- 117
3.2. Territory controlling strategy ---------- 124
3.3. The strategy and the specifics of the wars of Geoeconomy --------- 127
3.4. The point of view of the strategic manure ---------- 132
3.5. Geopolitical realism and geoeconomical strategy ---------- 134
3.6. Geostrategically parameter of geoeconomical balance ---------- 138

CHAPTER IV. GEO-ECONOMY: XXI COGNITIVE MATERIALS

4.1. Economical factor and space ---------- 143
4.2. World geo-economical configuration (Geoeconomical zones and spatial hierarchy) ---------- 149
4.3. Global economical rivalry ---------- 156
4.4. The future of geoeconomical universe ---------- 158
4.5. The problem of geoeconomical leader ---------- 161
4.6. The perspectives of geoeconomical outsider ---------- 163
4.7. The sceneries of possible geoeconomical changes ---------- 164

PART II. THE GEO-ECONOMICAL PARAMETERS OF GLOBALIZATION

CHAPTER V. GLOBALIZATION AND GEO-ECONOMY

5.1. Globalization in the prism of geoeconomy ---------- 168
5.2. Geoeconomical contexts of globalization concept ---------- 175
5.3. Geoeconomical aspect of globalization essence ---------- 186
5.4. The motivating geoeconomical factors of globalization process --- 198
5.5. Basis geoeconomical results of globalization processes ---------- 207
5.6. Globalizm and geoeconomy ---------- 218
5.7. The geoeconomical positives and negatives of globalizm ---------- 223

CHAPTER VI. GLOBALIZATION AND NEW GEO-FINANCIAL RELATIONS

6.1. The main problem of geofinances ---------- 230

6.2. The space of state and finances ---------- 232
6.3. National sovereignties and financial politics ---------- 236
6.4. Geo-finances as strategic tool ---------- 241

CHAPTER VII. NATIONAL STATE GEO-ECONOMICAL PARAMETERS IN THE CONDITIONS OF GLOBALIZATION
7.1. The main problems of national state ---------- 251
7.2. Falling into the decay of the national state ---------- 253
7.3. The place of the national state in the globalize world ---------- 259
7.4. National state and corporations ---------- 262

PART III. PROSPERITY STATE IN THE GEO-SOCIAL AND GEO-ECONOMICAL SPACES
CHAPTER VIII. THE BASIC GEO-ECONOMICAL PARAMETERS OF PROSPERITY STATE
8.1. Prosperity state types, functions and crisis ---------- 267
8.2. Economical growth and the dynamics of prosperity state ---------- 273
8.3. The slowing down of economical growth and prosperity state ---------- 278
8.4. The main geoeconomical parameters of prosperity state ---------- 282
8.5. The prosperity state in the new geoeconomical order ---------- 287

CHAPTER IX. GEO-ECONOMICAL AND GEO-SOCIAL MODEL OF THE "THIRD WAY" OF THE PROSPERITY STATE
9.1. The prosperity state: reactions on the geoeconomical provoke ---------- 292
9.2. Geoeconomical essence of the model ---------- 294
9.3. Model globalization ---------- 305
9.4. Geoeconomical problems of model globalization ---------- 310

PART IV. THE SUPPORT POINTS OF GEO-ECONOMICAL COMPETITOR AND SAFETY CARCASS OF NATIONAL STATE
CHAPTER X. COUNTRY - THE INSTITUTES OF SYSTEM COMPETITORS
10.1. The essence and problems of competitions ---------- 316
10.2. Geoeconomical reconnaissance ---------- 317

10.3. The institutes of geoeconomical reconnaissance and competition in the developed countries of the world ---------- 325
10.4 Geoeconomical competition sources (USA model) ---------- 332

CHAPTER XI. GEO-ECONOMICAL SECURITY OF NATIONAL STATE
11.1. The essence and structure of geoeconomical security ---------- 338
11.2. The doctrines of geoeconomical security ---------- 344
11.3. The place of geoeconomical security in the national safety structure ---------- 349
11.4. The theoretical paradigms of national geoeconomical security --- 354
11.5. The securing mechanisms of geoeconomical security ---------- 362

PART V. DIVERSIFICATION OF GEO-ECONOMICAL SPACE
CHAPTER XII. THE REGIONALIZATION OF GEOECONOMICAL SPACE GLOBALIZATION AND NATIONAL STATE
12.1. The problem of determination of geoeconomical region ---------- 368
12.2. Regionalism, ethnicity and territory ---------- 376
12.3. The anomalies of the regionalism ---------- 381
12.4. Regional geoeconomical integration – Geoeconomical region ---- 386
12.5. Geoeconomical spacing of regional glocalization ---------- 390

CHAPTER XIII. THE FRAGMENTATION OF GEO-ECONOMICAL SPACE
13.1. The fragmentation tendencies of geoeconomical and geopolitical space ---------- 398
13.2. The polarization of geoeconomical space and the formation of geo-economical region ---------- 407
13.3 The fragmentation, internationalization and Geoeconomical nationalizm ---------- 413
13.4. Geoeconomical problems of consumption fragmentation ---------- 418

PART VI. GLOBAL GEOECONOMICS
CHAPTER XIV. TECHNOLOGIES OF GLOBAL GEO-ECONOMICAL CHANGES
14.1. Geoeconomical reality and global theory ---------- 427

14.2. Geoeconomical imperatives ---------- 431
14.3. High geoeconomical technologies ---------- 434
14.4. The transformation of the corporations ---------- 440
14.5. The geoeconomical trends and IV zone essence ---------- 443

CHAPTER XV. WORLD'S NEW GEO-ECONOMICAL ORDER
15.1. Geoeconomical order in the correlation context of idealism and realism ---------- 447
15.2. The basic originalities of formation of new geoeconomical orders ---------- 458
15.3. Global, corporal and financial centers ---------- 465
15.4. The strength correlation model in Geoeconomical order ---------- 469
15.5. New alternative model of correlation Geoeconomical order ---------- 475
15.6.The transformaton of Geoeconomical area and new bio polar perspectives ---------- 480

ANEXIS

№1. MAIN LITERATURE ---------- 486
№2. ADDITIONAL LITERATURE ---------- 487
№3. NETWORK LITERATURE ---------- 489
№4. CONTROLLING QUESTIONS ---------- 488
№5. SHORTGEOECONOMICAL DICTIONARY ---------- 495

რედაქტორისაგან

თანამედროვე ეპოქის მთავარი შინაარსი გლობალიზაციის პროცესი გახდა. ამ მოვლენამ ძირფესვიანად შეცვალა მსოფლიო განვითარების საერთო სურათი და სრულიად ახალი რეალობები წარმოაჩინა. თუ კაცობრიობის მთელი განვლილი პერიოდის მანძილზე მსოფლიო ისტორია სხვადასხვა ძალთა დაპირისპირება და მათ შორის ბრძოლა იყო, ახლა ურთიერთდამოკიდებულების გაღრმავებისა და განსხვავებების წაშლის ერა დგება. ერი-სახელმწიფოების როლი და გავლენა მცირდება, იშლება ეროვნული საზღვრები, მსოფლიო მიდის პოლიტიკური და ეკონომიკური ინტეგრაციისკენ და კულტურული ჰომოგენიზაციისკენ. შესაბამისად, მოდის სულ სხვა ღირებულებების დრო, როცა მთელი მსოფლიო ერთიან მთლიანობას ქმნის და ფაქტიურად ერთ დიდ „გლობალურ სოფელს" წარმოადგენს.

ასეთ ვითარებაში საერთაშორისო სისტემა სახეს იცვლის და თუ ადრე მის არსებობას და მდგრადობას სხვადასხვა ძალთა პოლუსებს (იგულისხმება სახელმწიფოები მათი სამხედრო და პოლიტიკური ძლიერებით) შორის წონასწორობა განაპირობებდა, დღეს განმსაზღვრელი ეკონომიკური და ფინანსური პოლუსებია, რომლებიც სულ უფრო ნაკლებად უკავშირდება სახელმწიფოებს და ტრანსნაციონალური გაერთიანებების სახით გეევლინება. ხატოვნად თუ ვიტყვით გეოპოლიტიკა იცვლება გეოეკონომიკით.

ცნება „გეოეკონომიკა" დიდი ხანი არ არის რაც დამკვიდრდა და ამ ცნებაში იგულისხმება როგორც გლობალიზებული მსოფლიოს მოწყობის ახალი პარადიგმა, ისე ამ რთული და მრავალმხრივი მოვლენის შემსწავლელი მეცნიერება. გეოეკონომიკა, როგორც მეცნიერება ფორმირების პროცესშია და ჯერ ჩამოყალიბებული სახე არ მიუღია. რაც შეეხება გეოეკონომიკას, როგორც საუნივერსიტეტო დისციპლინას, ის მსოფლიოს სულ რამდენიმე უნივერსიტეტში ისწავლება და სახელმძღვანელოებიც ამ სფეროში უკიდურესად მცირეა.

ყოველივე აღნიშნულის შემდეგ ძალზე სასიამოვნო და მისასალმებელია, რომ ქართველ მკითხველს და პირველ რიგში ჩვენს სტუდენტობას გიორგი კვინიკაძის წიგნის „გეოეკონომიკა: მსოფლიო განვითარების ცენტრალური ვექტორი" სახით შესაძლებლობა ეძლევა მშობლიურ ენაზე გაეცნოს გეოეკონომიკის საკვანძო საკითხებს, დაინახოს ის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული პრობლემები, რაც გლობალიზაციამ დააყენა თანამედროვე მსოფლიო განვითარების წინაშე და ამ კონტექსტში შეხედოს საქართველოს ადგილს დღევანდელ სამყაროში.

ცხადია, რომ მონოგრაფიის (და მით უმეტეს, სახელმძღვანელოს) დაწერა იმ მეცნიერებაში, რომელშიც ჯერ კიდევ ბევრი რამე სადავო და გაურკვეველია, ადვილი საქმე არ არის. მიუხედავად ამისა, დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ წინამდებარე წიგნი საესებით აკმაყოფილებს თანამედროვე უმაღლესი სკოლის სახელმძღვანელოსათვის წარდგენილ მოთხოვნებს და დიდ დახმარებას გაუწევს ყველა დაინტერესებულ პირს.

სახელმძღვანელოს სტრუქტურა ლოგიკური თანამიმდევრობით გამოირჩევა და მეთოდურად გამართლებულია. პირველი ნაწილი გეოეკონომიკის ეპისტომოლოგიაა და ამ მეცნიერების თეორიულ საფუძვლებს ეძღვნება. განხილულია გეოეკონომიკის საგანი, მისი არსი, სტრუქტურა, მეთოდები და კავშირი სხვა მეცნიერებებთან. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა გეოეკონომიკისა და გეოპოლიტიკის ურთიერთდამოკიდებულებას და გეოეკონომიკურ სტრატეგიას თანამედროვე გეოპოლიტიკურ ვითარებაში. გაანალიზებულია გეოეკონომიკური მეტოქეობის, ლიდერობის და აუტსაიდერობის პრობლემები და გეოეკონომიკური ცვლილებების შესაძლო სამომავლო სცენარები.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს წიგნის მეორე ნაწილი, რომელშიც განხილულია გლობალიზაციის გეოეკონომიკური პარამეტრები. ისეთი რთული და წინააღმდეგობრივი ფენომენი, როგორიც გლობალიზაციაა სხვადასხვა კონტექსტში შეიძლება იყოს შესწავლილი.

გეოეკონომიკური კუთხით გლობალიზაციის განხილვა სიახლეა და მრავალ საინტერესო ასპექტს შეიცავს. მათ შორის ერთ-ერთი აქტუალური და სადისკუსიო საკითხია ეროვნული სახელმწიფოს გეოეკონომიკური პრობლემები გლობალიზაციის პირობებში. წიგნში საფუძვლიანად არის მიმოხილული ეროვნული სახელმწიფოს როლის შემცირებისა და გეოეკონომიკური ბრძოლის მიზეზები (თუმცა სჯობდა ავტორს ტერმინი „ერი-სახელმწიფო" გამოეყენებინა).

საერთოდ, სახელმწიფოს როლი და ადგილი გეოეკონომიკური გამოწვევების პირობებში სახელმძღვანელოს ერთ-ერთი მთავარი თემაა. ცალკე ნაწილები ეძღვნება კეთილდღეობის სახელმწიფოს გეოეკონომიკურ განზომილებებს და ეროვნული სახელმწიფოს (ერი-სახელმწიფოს) გეოეკონომიკური კონკურენტუნარიანობისა და უსაფრთხოების პრობლემებს.

წიგნის ორ უკანასკნელ ნაწილში წარმოდგენილია გეოეკონომიკის გლობალური საკითხები, კერძოდ, ღრმა და საფუძვლიან ანალიზზე დაყრდნობით განხილულია გეოეკონომიკური რეგიონის დეფინიციის, რეგიონალიზმის, ეთნიკურობისა და ტერიტორიალურობის, გეოეკონომიკური ინტეგრაციის, გეოეკონომიკური სივრცის ფრაგმენტაციისა და გეოეკონომიკური რეგიონების ფორმირების პრობლემები. აღნიშნული საკითხების განხილვის საფუძველზე კეთდება დასკვნები მსოფლიოს ახალ გეოეკონომიკურ წესრიგზე, რომელიც ნეოლიბერალურ მოდელს ეყრდნობა და გეოეკონომიკურ სივრცის ტრანსფორმაციის პერსპექტივებს განსაზღვრავს.

ნაშრომის ერთ-ერთი ღირსებაა ის ფაქტი, რომ თითქმის ყველა საკვანძო საკითხი განხილულია არა მხოლოდ მსოფლიო, გლობალურ მასშტაბში, არამედ საქართველოსთან მიმართებაშიც.

სახელმძღვანელოს დადებით მხარედ უნდა ჩაითვალოს აგრეთვე თანდართული ლიტერატურის (ძირითადი, დამატებითი, ქსელური) სია, საკონტროლო კითხვები და მოკლე გეოეკონომიკური ლექსიკონი.

ამასთანაეე საჭიროდ მიმაჩნია აეღნიშნო, რომ სახელმძღვანელო დაწერილია საკმაოდ მძიმე, ძნელადგასაგები ენით, რაც შესასწავლი საკითხების სირთულესთან ერთად გარკეეულ პრობლემებს ქმნის კურსის სრულყოფილად ათვისების თვალსაზრისით.

მიუხედავად აღნიშნული შენიშვნისა, დარწმუნებული ვარ, რომ გიორგი კვინიკაძის წინამდებარე სახელმძღვანელო დიდად დაეხმარება ეკონომიკის, საზოგადოებრიეი გეოგრაფიის, პოლიტოლოგიის, საერთაშორისო ურთიერთობების, საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების, ფილოსოფიისა და ისტორიის მიმართულებების სტუდენტებს, აგრეთვე გეოეკონომიკის პრობლემებით დაინტერესებულ ყველა პირს. იგი, როგორც პირველი სახელმძღვანელო აღნიშნულ საკითხებზე, გზას გაუკვალავს ცოდნის ამ ახალი, უაღრესად მნიშვნელოვანი და პერსპექტიული სფეროს მომავალ კვლევებს საქართველოში.

ზურაბ დავითაშვილი.

ვუძღვნი
უახლოესი მეგობრების თემურ ბუაძისა
და გოჩა ლობჟანიძის ნათელ ხსოვნას

შ ე ს ა ვ ა ლ ი

თუკი განვითარებულ ქვეყნებს შორის წონასწორობა უკვე აღარ შეიძლება მიღწეულ იქნეს სამხედრო ძალის გზით, იგი მიღწეული იქნება მუდმივი და საყოველთაო გეოეკონომიკური ომის შედეგად.

ე. ლუტვაკი

XXI საუკუნის დასაწყისში მსოფლიო დადგა ახალი რეალობის წინაშე, რომლის საფუძველს წარმოადგენს გლობალიზაცია და მსოფლიო სისტემის სტრუქტურული გარდაქმნა. ამ თვალსაზრისით მიმდინარეობს მსოფლიო პანორამისა და სამყაროს სურათის ახლებურად გააზრების პროცესი. აქეთკენაა მიმართული ჩამოყალიბების პროცესში მყოფი გეოეკონომიკის ქართული სკოლა.

ცოდნის ამ ახალი სფეროს ჩარჩოებში აუცილებელია ჩამოყალიბდეს უმთავრესი საკითხები და მოვნახოთ მათ ადეკვატური პასუხები. მათ შორის კი, უპირველეს ყოვლისა, პასუხი უნდა გაეცეს შემდეგ კითხვებს: ა) რას წარმოადგენს XXI ს. მსოფლიო განვითარების ცენტრალური ვექტორი?, ბ) როგორია ეროვნული სტრატეგიის გზის გაკვლევის ორიენტირები; გ) როგორია საქართველოს ახალ სტრატეგიულ ორბიტაზე გაყვანის რეალური შესაძლებლობები; დ) როგორია ამ პირობებში საქართველოს შიდა, საგარეო პოლიტიკური და საგარეო ეკო-

ნომიკური დოქტრინის ძირითადი მონახაზი? ე) როგორია ამ დოქტრინის რეალიზაციის სტრატეგიული საშუალებებისა და ხერხების არსენალი? აი ეს კითხვები დგას ამჟამად ქართული საზოგადოების, სახელმწიფოსა და ეროვნული ფუნდამენტალური მეცნიერების წინაშე.

აღსანიშნავია, რომ შედარებით ეფექტური, ცოცხალი და ერთიანი ჰუმანიტარული პარადიგმის შემუშავებას წინ ეღობება გიგანტური ბარიერები. მათ შორის ჯერჯერობით გადაულახავია შემდეგი: 1. ჰუმანიტარული ცოდნისთვის რბილად, რომ ვთქვათ, არსის გამოცლა; 2. მისი შეცვლა-ჩანაცვლება ტექნოგენური ელემენტებითა და კონსტრუქციებით; 3. თავისი არსით ერთიანი ჰუმანიტარული ცოდნის რღვევა სხვადასხვა დისციპლინებად, რომლებსაც პრინციპულად არ შესწევთ არც სინთეზის და არც ინტეგრაციის უნარი. 4. ჰუმანიტარულ მეცნიერებებში ზედისციპლინარული ან გამჭოლი დისციპლინათაშორისი ხედვის მეთოდოლოგიის არარსებობა; 5. ეკონომცენტრიზმის და სოციოცენტრიზმის პრობლემა, რომელიც ადამიანს განიხილავს სუფთა ეკონომიკური ან სუფთა სოციალური კუთხით, როგორც არაბუნებრივს და შინაგან სულიერებას მოკლებულ არსებას; 6. წარმოდგენები ტექნოგენური განვითარების დომინანტ როლზე, რომელიც პერნამენტულად დაჩქარების რეჟიმში იმყოფება.


თანამედროვე მსოფლიოს აღქმა შესაძლებელია მხოლოდ ახალი თეორიული მიდგომის საფუძველზე, სადაც გეოგენეზისი, ანუ მსოფლიოს აღქმის ფილოსოფიურ-სივრცობრივი ასპექტი, არის თანამედროვე მსოფლიოს არსის წვდომის გასაღები, რისთვისაც გლობალისტიკა აყალიბებს მსოფლიოს შესწავლის უახლეს წესებს. კერძოდ, ასეთია ზედისციპლინალური შემეცნების მეთოდი, რომელიც მსოფლიოს განიხილავს მის სხვადასხვა განზომილებაში. ამ განზომილებათა სინთეზი კი კარგად მოსჩანს მსოფლიოს გეოეკონომიკურ ატლასზე. გლობალური პრობლემების შემსწავლელ მეცნიერებებში თანამედროვე

მსოფლიო სხვადასხვა განზომილებებში წარმოდგება. (იხ. ნახ.0.1)

როგორც ნახაზიდან ჩანს ახალი მსოფლიო 6 განზომილებაშია წარმოდგენილი. მოკლედ განვიხილოთ ისინი: გლობალური მსოფლიოს გეოპოლიტიკური განზომილება (გეოპოლიტიკა) ამოდის მსოფლიო მოწყობის იმ მოდელებიდან, რომელიც გაბატონდა XX ს. შუა ხანებიდან. ამ მოდელის საფუძველს კი წარმოადგენს: ა) სახელმწიფო-ცენტრისტული მიდგომები, რომლებიც განაპირობებდნენ შრომის საერთაშორისო დანაწილების სპეციფიკას და საერთაშორისო ორგანიზაციების ორიენტირებს;

გლობალური მსოფლიოს ახალი განზომილებები

ნახ. 0.1



ბ) მსოფლიო ეკონომიკის განხილვა როგორც ეროვნული ეკონომიკის ჯამი; გ) გარკვეული სპეციფიკის საერთაშორისო ურთიერთობები და ა.შ.

სტრატეგიის სფეროში გეოპოლიტიკა მუდმივად ატრიალებდა სასიცოცხლო სივრცის კონცეფციას, რომელიც გაჯერებული იყო ერთგვაროვანი იდეოლოგიებითა და ძალის კომპონენტებით. ამ ტენდენციით აღინიშნა მთელი XX ს. მისი სისხლისმღვრელი ომებით, პრეტენზიებით სახელმწიფოების მიმართ და ა.შ. ცივი ომის დამთავრების შემდგომი პერიოდი შეიძლება შეფასდეს როგორც გეოპოლიტიკის დასასრულის თუ არა მისი შესუსტების ხანად.

გლობალური მსოფლიოს *ეკონომიკური განზომილება* (გეოეკონომიკა) მოგვევლინა როგორც მსოფლიო მოწყობის ახალი პარადიგმა. მსოფლიოს გლობალური ხასიათი განსაკუთრებით ნათლად აისახა ეკონომიკაზე. კელაევწარმოებადი სისტემები გაეიდნენ ეროვნულ საზღვრებს გარეთ. ჩამოყალიბდა ახალი მსოფლიო პოპულაცია – გეოეკონომიკა. ამ კელაევწარმოებადი სისტემის კონტურები კი საკმაოდ მოძრავია. ზენაციონალური სტრუქტურების ჩარჩოებში ყალიბდება მსოფლიო შემოსავალი, რომელიც ნაწილდება გლობალიზაციის პროცესში მონაწილეთა ვიწრო წრეში. ჩამოყალიბდა ასევე ამ სტრუქტურების ოპერირების ახალი არეალი – მსოფლიოს გეოეკონომიკური ატლასი. ჩვენ ვიზიარებთ იმ მეცნიერეთა შეხედულებებს, რომლებიც ფიქრობენ, რომ არათუ საგარეო ვაჭრობა, ან მსოფლიო ბაზარზე გასვლა, არამედ მსოფლიოს გეოეკონომიკურ ატლასზე ოპერირება, გეოეკონომიკური და გეოფინანსური ტექნოლოგიების გამოყენებით განსაზღვრავს გლობალურ არენაზე გასვლის აზრს. ამდენად, გლობალურ მსოფლიოში ჩამოყალიბდა მსოფლიო განვითარების ცენტრალური, გეოეკონომიკური ექტორი. სწორედ ამ ექტორის შესწავლა წარმოადგენს ჩვენი ნაშრომის დედააზრს, რაც წიგნის სათაურშია გაჟღერებული. აღნიშნულთან დაკავშირებით მეცნიერულ ხმარებაში შემოვიდა

ისეთი კატეგორიები და ცნებები როგორიცაა: ინტერნაციონალიზირებული კვლავწარმოებადი ბირთვი, მსოფლიო შემოსავლები, გეოფინანსები, მსოფლიოს გეოეკონომიკური ატლასი, გლობალური მსოფლიოს მოცულობითი ინტერპრეტაცია, გეოეკონომიკური ომები, გეოეკონომიკური კონტრიბუცია, ეთნოეკონომიკური სისტემები, ნეოეკონომიკა, მაღალი გეოეკონომიკური ტექნოლოგიები და ა.შ.

ამ გადასახედიდან კი სულ სხვაგვარად გამოიყურება ტრადიციულად ჩამოყალიბებული სტრუქტურების, სახელმწიფოების, ინტეგრაციული კავშირებისა და ა.შ ადგილი და როლი. მაგალითად, ახალ გეოეკონომიკურ სიერცეში მიმდინარეობს სახელმწიფოებრივი ფორმების ევოლუციური პროცესი. ამჟამად შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ყალიბდება გეოეკონომიკური სახელმწიფოების სხვადასხვა ტიპები, კერძოდ: ა) სახელმწიფოს კლასიკური ფორმები, რომლის დროსაც სუვერენიტეტი ვრცელდება მკაცრად განსაზღვრულ ეროვნულ-ტერიტორიულ საზღვრებში; ბ) სახელმწიფოები, რომელთაც გააჩნიათ მოძრავი ეკონომიკური საზღვრების ჩარჩოები („ქვეყანა-სისტემები"); გ) არამომიჯნავე სახელმწიფოები; დ) სახელმწიფოები სახელმწიფოში. ფაქტია, რომ მსოფლიო განვითარების გეოეკონომიკურმა ვექტორმა ნაწილობრივ უკანა პლანზე გადაწია გეოპოლიტიკისა და გეოსტრატეგიის როლი.

გლობალური მსოფლიოს *სტრატეგიულმა განზომილებამ (გეოსტრატეგია),* სრულიად ახლებურად განსაზღვრა სამხედრო კომპონენტის როლი მსოფლიო ძალების ახალ სტრატეგიულ განაწილებაში. კერძოდ, ამჟამად საუბარია არა მხოლოდ ტერიტორიული სუვერენიტეტის დაცვაზე, არამედ იმ გიგანტური არეალების კონტურების დაცვაზეც, რომელიც გატანილია ეროვნული საზღვრების მიღმა. ამ პროცესმა ძირეულად გარდაქმნა სამხედრო კომპონენტის როლი, რაც იმაში გამოიხატა, რომ ძირითად გეოეკონომიკურ მოთამაშეთა შეიარაღებული ძალები გადაიქცნენ სწრაფი გეოეკონომიკური რეაგირების

ძალებად, რამაც, თავის მხრივ, საფუძველი დაუდო პრინციპულად ახალ მიდგომას შეიარაღებული ძალების შემადგენლობისადმი, ასევე ახალი მოთხოვნები წაუყენა იარაღის ტიპსა და სამხედრო აღჭურვილობას. ახალმა გეოეკონომიკურმა სივრცემ განაპირობა იარაღის უახლესი კლასის შექმნა. შეინიშნება მისი ევოლუცია ბირთვულიდან (ტერიტორიულად ტევადი), წერტილოვანისაკენ და შემდგომ ხაზობრივ–კონტურულისაკენ, რომელიც უკვე იარაღის გეოეკონომიკურ არსენალს შეადგენს.

გლობალური მსოფლიოს *ცივილიზაციურმა განზომილებამ* შექმნა იმის აუცილებლობა, რომ ახლებურად შეფასდეს მსოფლიო სისტემა, ე.წ ცივილიზაციური ფაქტორის მხრიდან ახალი კლასის გამოწვევებისა და საფრთხეების კუთხით. მსოფლიოს ახალი გეოეკონომიკური სივრცე ვითარდება ცივილიზაციური ფაქტორის ზემოქმედებით, რომელიც ატარებს ტექნოგენურ ხასიათს, რომლის ეპიცენტრია პოსტინდუსტრიალიზმი და მისი უმაღლესი ტექნოტრონული ფაზა – ინფორმაციული საზოგადოება. მიმდინარეობს ტექნოგენური საწყისების შეუჩერებელი ტრანსპლანტაცია მსოფლიოს სხვადასხვა არეალში, რომლებიც ადრე იმყოფებოდნენ ინდუსტრიამდელ, ინდუსტრიულ და ნაწილობრივ პოსტინდუსტრიული საზოგადოების სტადიაში. რაც ახალ შეფერილობას აძლევს საზოგადოებრივი ყოფის ყველა სფეროს, იქნება ეს ეკონომიკა, პოლიტიკა, სამხედრო-სტრატეგია, კულტუროლოგია, სამართლებრივი, სოციალური თუ სხვა. ინფორმაციის უახლოესი ელექტრონული საშუალებების ბაზაზე, ურთიერთობების მობილურობამ არსებითი ცელილებები შეიტანა ეკონომიკის როგორც ცოდნის დარგის აღქმაში. დასავლეთის მეცნიერებმა ამასთან დაკავშირებით საუბარი დაიწყეს „ახალ ეკონომიკაზე", რომლის არსიც იმაში მდგომარეობს, რომ ხდება ჯერ კიდევ ნაკლებად ცნობილი ინტერნეტ კომპანიის აღმოცენება.

როგორც რეაქცია ამ ახალ გამოწვევებზე, გეოეკონომიკური სივრცე ტრანსფორმირდება ახალი ნეოეკონომიკური ცივილი-

ზაციური პარადიგმის გაელენით, რომლის დროსაც კელავწარმოებად ციკლში მიმდინარეობს ტექნოგენური საწყისებისა და ეთნოეროვნული, კულტუროლოგიური ყოფის პირობების შერწყმა. ბევრი მეცნიერის აზრით მომავალი აქვს არა ტექნოლოგიურ ტრანსნაციონალიზაციას, არამედ ეთნოეკონომიკას. ამჟამად უკვე შეინიშნება მსოფლიო განვითარების პარადიგმის ახალი მიმართულების ფუნდამენტალური საწყისები, რომელთაც შეუძლიათ გაანეიტრალონ საფრთხეებისა და გამოწვევების ახალი კლასი, კერძოდ ცივილიზაციათაშორისი შეჯახებები, ფუნდამენტალისტური ან ნეოიმპერიალისტური ომები და ა.შ. ამისათვის კი აუცილებელია გეოეკონომიკური სივრცის ტექნოგენური პარამეტრების ცოდნა, იმისთვის რომ „შევარიგოთ" ეროვნული ეკონომიკა ამ პარამეტრებთან და „ჩაეწეროს" იგი თანამედროვე გეოეკონომიკურ სისტემაში, ხოლო, მეორეს მხრივ, თავის დროზე „შეიგრძნოს" სიტუაცია და არ გამოტოვოს გეოეკონომიკური სივრცის ტრანსფორმაციის მომენტი, რომელიც ხდება ნეოეკონომიკის ზემოქმედებით.

გლობალური მსოფლიოს *ინსტიტუციონალური განზომილება (გეოინსტიტუციონალიზმი)* მოითხოვს მსოფლიო ორგანიზაციულ-ფუნქციონალური სისტემის ჩამოყალიბებული სტრუქტურის კრიტიკულ განხილვას. ახალმა გეოეკონომიკურმა სივრცემ მსოფლიო დააყენა სერიოზული ინსტიტუციონალური გარდაქმნების წინაშე. მსოფლიო ორგანიზაციები (მათთან ერთად მრავალი ეროვნული ორგანიზაციულ-ფუნქციონალური სისტემები), როლებიც ომის შემდგომი პერიოდის ჩანასახები არიან, (მაშინ როცა გეოპოლიტიკური ტენდენციები იყო გაბატონებული), ვეღარ პასუხობენ თანამედროვე პირობებს. გეოეკონომიკა თავის პარამეტრებსა და პირობებს უყენებს ორგანიზაციული სტრუქტურების უახლეს კლასს. ისეთებს, რომელთაც შესწევთ უნარი გადაჭრან კონფლიქტური გეოეკონომიკური სიტუაციები, არეგულირონ სახელმწიფოს ურთიერთობები

ზენაციონალურ სტრუქტურებთან, წინ აღუდგნენ გეოეკონომიკურ ექსპანსიონიზმსა და გეოეკონომიკურ ომებს.

გლობალური მსოფლიოს *სამართლებრივი განზომილება* კი მოითხოვს სამართლებრივი რეგულირების მთელი სისტემის გადახედვას, რაც გამოწვეულია ეკონომიკურ ურთიერთობებში ახალი სუბიექტების გაჩენით, როგორც ეროვნულ ასევე ზენაციონალურ დონეებზე. ახალ პირობებში მიმდინარეობს კორპორაციული მშენებლობის ახალი ფაზა, სამართლებრივი რეგულირების ახალი ფორმებისა და მეთოდების ძიება ახალი სამართლებრივი წესების ჩარჩოებში.

აშკარაა, რომ მსოფლიო გეოეკონომიკური სისტემა ამუშავდა, ამიტომ ეროვნული სტრატეგიული ინტერესები გეკარნახობს ამ სისტემაში აქტიურ მონაწილეობასა და საკუთარი ადგილის პოვნას მსოფლიოს ახალ გეოეკონომიკურ არქიტექტურაში. ეს კი იმას ნიშნავს, რომ საქართველომ უნდა იფუნქციონიროს გეოეკონომიკურ კოორდინატთა სისტემაში. სწორედ ამიტომ სრულიად კორექტულმა თეზისმა „პოლიტიკა არის ეკონომიკის კონცენტრირებული გამოხატულება“, ჩვენთვის უნდა შეიძინოს შემდეგი სახე: „გეოპოლიტიკა არის გეოეკონომიკის კონცენტრირებული გამოხატულება“. აღნიშნულს თვით საქართველოს მდგომარეობა განაპირობებს. კერძოდ, ზოგიერთი სახელმწიფო ისწრაფვის მაქსიმალური სარგებელი მიიღოს ახალი სიტუაციიდან (იყენებს რა საქართველოს მოუმზადებლობას აქტიური მონაწილეობა მიიღოს მსოფლიოს ახალი გეოეკონომიკური არქიტექტურის მშენებლობაში) და აგრძელებს საქართველოს დასუსტების პოლიტიკას.

კარგად უნდა გაეითაეისოთ ის გარემოება, რომ საქართველოს სახელმწიფოებრივი ძლიერება სულ უფრო დამოკიდებული ხდება მის კონკურენტუნარიანობაზე გლობალურ გეოეკონომიკურ სივრცეში და მეორეს მხრივ, ქვეყნის ხელისუფლების უნარზე – რაც შეიძლება სწრაფი ადაპტირება მოახდინოს ამ სივრცესთან. ამ უკანასკნელზე კი დამოკიდებულია

ქვეყნის სუვერენიტეტის ხარისხი, მისი შინაგანი ლეგიტიმურობა, სოციალური სამართლიანობა რესურსების განაწილებაში და საზოგადოებრივი სტაბილურობა.

საქართველო იმ შემთხვევაში შეძლებს საკუთარი მოსახლეობის დასაქმებასა და კეთილდღეობას, თუ ის მოახერხებს მოიზიდოს გლობალური ტექნოლოგიები და ფინანსები, რომლებზეც დღეს მსოფლიოში ცხარე ბრძოლაა გაჩაღებული. ამისათვის კი ქვეყანას სჭირდება გეოეკონომიკური სტრატეგიის ახალი პარადიგმა, როგორც განვითარების სტრატეგიის ბაზა, რომელიც უნდა გულისხმობდეს ეროვნული ეკონომიკის შეზრდას მსოფლიო გეოეკონომიკურ სისტემასთან, რათა მოხდეს ქვეყნის მონაწილეობის უზრუნველყოფა მსოფლიო შემოსავლების ფორმირებისა და განაწილების პროცესში. აღნიშნული კი თავის მხრივ უნდა დაეფუძნოს მაღალი გეოეკონომიკური და ინფორმაციული ტექნოლოგიების ათვისებას და ეროვნული ეკონომიკური სტრატეგიის მიზნებს. მხოლოდ გეოეკონომიკურ სფეროში სტრატეგიულმა ოპერირებამ შეიძლება შესძინოს ქვეყანას განვითარების ახალი იმპულსები და რესურსები. ეს პოსტულატი ეხება ქვეყნის ფუნქციონირების ყველა, მათ შორის ისეთ მნიშვნელოვან სფეროს, როგორიცაა ეროვნული თავდაცვა და საგარეო პოლიტიკა.

გეოეკონომიკური ექსპანსია განსაკუთრებით საშიშია, ვინაიდან მას გააჩნია ეროვნულ-ტერიტორიული სახელმწიფოების საკუთარი ინტერესებისადმი დაქვემდებარებისა და „ვირტუალური" ეკონომიკის შექმნის უნარი. ამ ეკონომიკის ნგრევა კი მსოფლიო მაშტაბით გაამძაფრებს ბუნებრივი რესურსებისათვის ბრძოლას და მეორეს მხრივ, მათზე განაწილების უფლებების მოპოვებისათვის დაუნდობელ კონფრონტაციას, რაც გააძლიერებს ცივილიზაციური დაძაბულობის ველს. ამასთან გეოეკონომიკურმა ომებმა შეიძლება (დიდი ალბათობით) მოახდინონ ცივილიზაციური ომების პროვოცირება. კერძოდ, გეოეკონომიკური ანუ, „ცივი, მშვიდობიანი და ლეგიტიმური" ომები

შეიძლება ძალიან უბრალოდ და სწრაფად გადაიზარდოს „ცხელ" ომებში.

ამჟამად, ამ ტიპის ომების ტრანსფორმაციის პროცესს იმდენად დახვეწილად უკეთებენ ორგანიზაციას და ისეთი სკურპულოზულობით ახორციელებენ, რომ მსოფლიო თანამეგობრობა ხშირად არა თუ ვერ ამჩნევს მათში თავის ნებით თუ უნებლიეთ მონაწილეობას, არამედ თავის თანხმობასაც აძლევს მათ, ვინც ამ ომს წარმართავს. მომავალში ყველაზე უფრო საშიში შეიძლება გახდეს „გეოეკონომიკური აგრესორის" დაუსჯელობა, რადგან უცხოური კომერციული ბანკები და ტრანსნაციონალური კორპორაციები ხშირ შემთხვევაში მოარულ ხასითს ატარებენ. ანუ ისინი იქმნებიან ერთი ამოცანის გაჭრისათვის, გააკეთებენ „თავიანთ საქმეს" და შემდეგ იკარგებიან.

ფაქტია, რომ გეოეკონომიკა ასუსტებს არა მარტო სახელმწიფოებრივ სუვერენიტეტს, არამედ მოწინააღმდეგის სახელმწიფოებრივ კუთვნილებას, აქცევს მას იმდენად ვირტუალურად, რომ მის წინააღმდეგ ბრძოლას პრაქტიკულად შეუძლებელს ხდის. ამ ბრძოლაში სამხედრო ძალით გამარჯვება ძალზედ ძნელია. აღნიშნულის მიუხედავად გეოეკონომიკა ობიექტური რეალობაა, რომელიც აყალიბებს ახალ ციეილიზაციურ პირობებს. გეოეკონომიკა კი არ ცვლის გეოპოლიტიკასა და გეოსტრატეგიას, არამედ მათ წინაშე აყენებს ახალი კლასის ამოცანებს. ექსპანსიური გეოეკონომიკას, როგორც საყოველთაო კონკურენციის საყოველთაო სტრატეგიას არ ძალუძს წინ აღუდგეს „სამყაროს ქაოსს",. პირიქით, პოლიტიკის, სუვერენიტეტისა საზღვრების მოშლა, სახელმწიფოების მხრიდან არაკონტროლირებადი მსოფლიო დონორები (ფინანსური, მიგრაციული და ა.შ) კიდევ უფრო ძაბავს ვითარებას. ამ პირობებში საქართველო უნდა „შეივიდეს" გეოეკონომიკაში, რათა გადარჩეს, დაიკავოს მასში ღირსეული ადგილი და აქტიური

მონაწილეობა მიიღოს (გლობალურ და რეგიონალურ) გეოეკონომიკური თამაშის წესების განსაზღვრაში.

საქართველოს კონკურენტუნარიანობის ამაღლება, საერთაშორისო არენაზე, პირდაპირაა დამოკიდებული მის ეკონომიკურ და სტრატეგიულ თვითუზრუნველყოფაზე, ღრმა ინფორმაციულ ცოდნაზე, იმ შესაძლებლობების და პირობების შექმნაზე, რომელიც საშუალებას მოგეცემს ადეკვატური რეაქცია მოვახდინოთ ეკონომიკური მდგომარეობის პოტენციურ (და საპროგნოზო) ცვლილებებზე. ასევე მეტად მნიშვნელოვანია საკუთარი გეოეკონომიკური მიზნების ინფორმაციული და ძალისმიერი უზრუნველყოფა, რაც ნიშნავს იმას, რომ ეროვნული პოლიტიკა, ეკონომიკა და სამხედრო ძლიერება უნდა გახდეს ქართული სახელმწიფოს ახალი ერთიანი ორგანიზაციული მოდელის საფუძველი, სადაც საქმიანობის ყველა სახე ორიენტირებული უნდა იყოს სახელმწიფოს კონკურენტუნარიანობის ამაღლებაზე. სწორედ ამიტომ არის საჭირო საფუძველი ჩაეყაროს ქართული გეოეკონომიკას, რომელიც ახალი ქართული სტრატეგიული აზროვნების შემადგენელი ნაწილი უნდა გახდეს.

დღეს ბევრი დარწმუნებულია, რომ ეკონომიკა განსაზღვრავს სხვა ყველაფერ დანარჩენს და წარმოადგენს მნიშვნელოვანი ისტორიული პროცესების გაშიფვრის გასაღებს. ასეთი გაგების მოწინააღმდეგენი კი თავის მხრივ ცდილობენ დააკანინონ ეკონომიკის მნიშვნელობა, მხედველობაში არ მიიღონ მისი კანონზომიერებანი და გვერდი აუარონ მის იმპერატივებს. ეს ორივე პოზიცია მეტად არაკონსტრუქციულად გვეჩვენება.

ეკონომიკურ თეორიებს შორის, რომლებიც ეკონომიკურ კანონზომიერებებს თვლიან რაღაც საყოველთაოდ და უნივერსალურად (ასეთია ლიბერალიზმი და მარქსიზმი) რიგი მსოფლმხედველობრივი პოზიციები ყოვლად უსარგებლო და ფუჭია. მაგრამ არის სხვა მოდელები, რომლებიც ეკონომიკას აკავშირებენ სხვა ფაქტორებთან (ისტორიული, კულტურული, ეთნიკური, რელიგიური, სოციალური და ა.შ). ყველა ამ მოდელს

განზოგადებულად შეიძლება ეუწოდოთ „ჰეტეროდოქსალური ეკონომიკა", იმდენად რამდენადაც „ორთოდოქსალური" ბოლო ხანებამდე რჩებოდა მხოლოდ ლიბერალური და მარქსისტული მოდელები.

ამ „ჰეტეროდოქსალურ" მოდელებს შორის ყველაზე საინტერესოა ისინი, რომლებიც ეკონომიკას აკავშირებენ სივრცესთან, გეოგრაფიასთან და საბოლოო ჯამში გეოპოლიტიკასთან, როგორც დისციპლინასთან, რომელიც სწავლობს სივრცის გავლენას ცივილიზაციის ისტორიაზე. ასეთმა თეორიებმა მიიღეს სახელწოდება „გეოეკონომიკა". მათში ეკონომიკური მოდელი დაკავშირებულია კონკრეტული ხალხისა და სახელმწიფოს ისტორიული სივრცის სპეციფიკასთან.

შეიძლება ითქვას, რომ თანამედროვე გეოეკონომიკაში ხდება ტრადიციული კონცეფციების ელემენტების შეთანაწყობა სუფთა გეოპოლიტიკურ აპარატთან. გეოეკონომიკა ეფუძნება შემდეგ პრინციპს: ეკონომიკური მოდელის გამოყენების კონკრეტული ისტორიული აღგილი პრაქტიკაში გავლენას ახდენს მთელს ეკონომიკურ სისტემაზე.

სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული მოსაზრებებისაგან განხვავებით მიგვაჩნია, რომ თანამედროვე გეოეკონომიკა სათავეს იღებს ისეთი დიდი პრაქტიკოსებისა და თეორიტიკოსებისაგან, როგორებიც იყვნენ: ფრანგი ჟან ბატისტ კოლბერი, გერმანელი ფ. ლისტი და ამერიკელი ჯ. მ. კეინსი. თითოეული მათგანი თავისებურად აყალიბებდა ეკონომიკური სივრცის თავისებურებებს. ჟ. კოლბერი საუბრობდა „სახელმწიფოს ფინანსურ ბერკეტებზე", ფ. ლისტი – „დიდი სივრცეების ავტარქიაზე", ჯ. კეინსი – ეკონომიკურ ინსულაციაზე" (ანუ ეკონომიკური სისტემების აგებაზე „კუნძულოვანი პრინციპით"). ამ მეცნიერთა იდეებმა კი განსაკუთრებული აქტუალობა შეიძინეს XX ს. მიწურულს, რასაც მოჰყვა გეოეკონომიკის, როგორც დისციპლინათაშორისი მეცნიერების ფორმირება.

თვით ტერმინი „გეოეკონომიკა" ჯერ კიდევ ახალია და არც თუ ისე მიღებული ქართულ პოლიტიკურ და მეცნიერულ ბრუნვაში. ეს ტერმინი გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს გაჩნდა და მისი დამკვიდრება უკავშირდება აშშ სახელმწიფო დეპარტამენტისა და ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს კონსულტანტის ედვარდ ლუტვაკის სახელს. ამ სფეროში მომუშავე მეცნიერთათვის სრულიად ნათელია გეოეკონომიკისა და გეოპოლიტიკის გენეტიკური და აზრობრივი „ნათესაობა".

ამ ცნების შემოტანის აზრს კარგად ხსნის ე. ლუტვაკის ორი ნაშრომის სათაური ა) „გეოპოლიტიკიდან გეოეკონომიკისაკენ. კონფლიქტის ლოგიკა და ვაჭრობის გრამატიკა" და ბ) „ამერიკის ოცნება საფრთხეშია: როგორ არ უნდა დაუშვათ ამერიკის გადაქცევა მესამე სამყაროს ქვეყნად და როგორ გავიმარჯვოთ გეოეკონომიკურ ბრძოლაში ეკონომიკური უპირატესობის მოპოვებისათვის".

ე. ლუტვაკის კვალდაკვალ იტალიელი კორპუსის გენერალი კარლო ჯანი და მის თანამოაზრეთა ჯგუფი (სერჯიო ფიორე, ფულჩერი ბრუნი როჩა, ოსვალდო კუკუცა და პაოლო სავონა) ქმნიან გეოეკონომიკის იტალიურ ვერსიას, რომელთაც გეოეკონომიკა ესმით როგორც დისციპლინა რომელიც სწავლობს საერთაშორისო კონკურენციის იმ ასპექტებს, სადაც მთავარი მოქმედი პირებია არა კორპორაციები ან ბანკები, არამედ სახელმწიფო.

1990-იანი წლების შუა პერიოდიდან გეოეკონომიკა მკვიდრდება რუსეთში, რომელსაც საფუძველი დაუდო ერნესტ კოჩეტოვმა, პროფესორმა, რუსეთის ეკონომიკის სამინისტროს განყოფილების გამგემ. შემდგომ გეოეკონომიკური ხასიათის კვლევები გააგრძელეს ალექსანდრე ნეკლესამ, პეტრე შედროვიცკიმ, იური შიშკოვმა და სხვა მეცნიერებმა. გეოეკონომიკის რუსულ სკოლას აქცენტი აღებული აქვს მსოფლიო ეკონომიკური სივრცის კვლევაზე, როგორც საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების თავისებურ სინთეზზე.

ასევე წარმატებით ეითარდება ეს დისციპლინა საფრანგეთში (მორო დე ფრანჟი) და უკრაინაში (ვლადიმერ დერგაჩოვი). გეოეკონომიკური ხასიათის კვლევები გააქტიურებას იწყებს ჩვენს მეზობელ სომხეთსა (იგორ მურადიანი) და აზერბაიჯანში (ელდარ ისმაილოვი).

საქართველოში გეოეკონომიკური შეფერილობის კვლევები განახორციელეს *ვ. პაპავამ, ა. რონდელმა, ა. გეგეშიძემ, მ. მაცაბერიძემ, ს. ლონდარიძემ, ზ. დავითაშვილმა, რ. გაჩეჩილაძემ* და სხვებმა, რომელთა შრომებმა საკმაოდ კარგი ბაზა შექმნეს ამ დისციპლინის შემდგომი განვითარებისათვის, ასე რომ ქართული გეოეკონომიკური სკოლის ფორმირებისათვის ამჟამად სიტუაცია უკვე მომწიფებულია.

გეოეკონომიკის გამოყენებითი ამოცანაა გამოიმუშაოს სახელმწიფოს მოქმედების სტრატეგია, რომელიც უზრუნველყოფს მთლიანად ქვეყნის და ქვეყნის შიგნით არსებული კომპანიების, ფირმების, საწარმოების და ა.შ კონკურენტუნარიანობის ამაღლებას სხვა ქვეყნებთან და უცხო ეკონომიკასთან მიმართებაში. ამ კუთხით ახლახანს აღმოცენებულმა გეოეკონომიკამ მწვავე პოლემიკა გამოიწვია გეოეკონომიკური მეტოქეობისა და საერთაშორისო კონკურენციის ადგილსა და როლზე გლობალურ ეკონომიკურ სივრცეში. ამ დისციპლინის ოპონენტები მიიჩნევენ, რომ ეს ახალადაბადებული მეცნიერება საკმაოდ ამბიციურია და ძალიან აზვიადებს საერთაშორისო კონკურენციის გეოეკონომიკური ასპექტების მნიშვნელობას, რომელიც მათი აზრით სინამდვილეში გაცილებით მოკრძალებულ როლს თამაშობს აღნიშნულ პროცესში. თუმცა, ასეთი შეფასების უარყოფის მრავალ მაგალითს შეხვდება მკითხველი წინამდებარე ნაშრომში. საერთოდ ჩვენ ვიხრებით იმ პოზიციისაკენ, რომ თანამედროვე პირობებში გეოეკონომიკური კონკურენცია ხდება იმ ბრძოლის მთავარი ელემენტი, რომელსაც მსოფლიო ბაზრებზე, ერთმანეთს შორის აწარმოებენ ეროვნული ეკონომიკის სუბიექტები, რომ გეოეკონომიკური ინსტრუმენტების ეფექტური გამოყენება

ამ ბრძოლაში გამარჯვების მნიშვნელოვან წინაპირობას წარმოადგენს.

ამჯერად არ გამოვეკიდებით დისკუსიის დეტალებს და ავღნიშნავთ მხოლოდ ერთს, კერძოდ, თავი რომ დავანებოთ სხვადასხვა თეორიული კონცეფციებისადმი მიკერძოებულობას, გეოეკონომიკის მომხრეები და მოწინააღმდეგეები ერთმანეთისგან კიდევ იმით განსხვავდებიან, რომ საპირისპიროდ აფასებენ მთელი ქვეყნის (ან ქვეყნების) კონკურენტუნარიანობას.

ამ პრობლემებიდან და საქართველოს დღევანდელი მდგომარეობიდან გამომდინარე სწორედ რომ აუცილებელია გეოეკონომიკური პრობლემატიკის გააქტიურება. იმის მიუხედავად რომ, ეს ტერმინი ახალია, ქართველი მკითხველი, რომელიც მეტნაკლებად ადევნებს თვალს ქართულ პრესას, ან დისკუსიებს ქვეყნის პარლამენტსა და მთავრობაში, ნაშრომის პირველივე გვერდიდან აღმოჩნდება მისთვის ნაცნობ ან თუნდაც ყურმოკრულ ტერმინთა გარემოში, გეოპოლიტიკა, გლობალური ეკონომიკური სივრცე, გლობალიზაცია, გეოფინანსები, გლობალური კაპიტალი, ეკონომიკური კონკურენცია, ტრანსნაციონალიზმი, ეკონომიკური უსაფრთხოება, სახელმწიფოს ეკონომიკური ინტერესები, სახელმწიფოს განვითარების ეკონომიკური სტრატეგია, ზენაციონალური ორგანიზაციები, მულტინაციონალური კორპორაციები, უცხოური ინვესტიციები, მაღალტექნოლოგიური წარმოება და ა.შ.

ზემოთ აღნიშნულ მცირერიცხოვან მეცნიერთა გარდა საქართველოში გეოეკონომიკურ პრობლემებს ძირითადად განიხილავენ პოლიტიკოსები, რომლებიც რუსეთის მხრიდან აგრესიის თავიდან აცილებით არიან დაკავებულნი. ეს თანაბრად ეხება როგორც სამხედრო-პოლიტიკურ, ასევე ეკონომიკურ აგრესიას. გეოეკონომიკური პრობლემების გადაჭრისათვის, როგორც წესი, გვთავაზობენ ღრმა თავდაცვით სტრატეგიას. ამ ბოლო წლებში ვითარება კარდინალურად შეიცვალა და ზემოთ აღნიშნული სტრატეგია ჩანაცვლდა უკიდურესი რაციონალური

პოზიციით. ამის გარდა, ქართული პოლიტიკური ისტაბლიშმენტი თანდათან რწმუნდება, რომ ამჟამად ეკონომიკური თავდაცვა ქვეყნის დამარცხების ტოლფასია და რომ ქვეყნის გამარჯვებისთვის აუცილებელია არათუ ყრუ დაცვა (იზოლაცია), არამედ ქვეყნის საზღვრების გონივრული გახსნა, არა სუსტი წარმოების დაცვა, არამედ ძლიერ და პერსპექტიულ საწარმოთა მხარდაჭერა.

მიგვაჩნია, რომ დღემდე არსებული ყველა გეოეკონომიკური კონცეფცია კონკრეტულ ქვეყანას, მის ინტერესებს მორგებული კონცეფციებია და არც ერთი მათგანი არ წარმოადგენს ჭეშმარიტების ბოლო ინსტანციას (მაგალითად, ამერიკული გეოეკონომიკა სრულიად მიუღებელია რუსეთისათვის, ისევე როგორც რუსული გეოეკონომიკა იტალიურისათვის და ა.შ) თუნდაც იმიტომ, რომ მათი არსებობის სისტემური კონტექსტი და სპეციფიკა მნიშვნელოვნად განსხვავდება, ხოლო ეშმაკი, როგორც ცნობილია, დეტალებში იმალება. და მაინც, აღნიშნულის მიუხედავად, გეოეკონომიკაში ორი თეზისი ეჭვს არ იწვევს. რომელიც უპირველეს ყოვლისა იმაში მდგომარეობს, რომ გეოეკონომიკის საკითხები უფრო მეტ ყურადღებას უნდა იმსახურებდეს ქვეყნის პოლიტიკური ისტაბლიშმენტის მხრიდან. გეოეკონომიკური ფაქტორის გონივრული გათვალისწინების გარეშე (როგორც საშინაო ისევე საგარეო პოლიტიკაში) ეკონომიკურად ისეთ სუსტ ქვეყანას როგორიც საქართველოა ძალიან გაუჭირდება ფეხზე დადგომა. მეორეს მხრივ, იმისთვის რომ გაიმარჯვოს უმწვავეს საერთაშორისო ეკონომიკურ კონკურენციაში, საქართველოსთვის აუცილებელია არა მარტო თავდაცვა, არამედ შეტევა, რისთვისაც აუცილებელია კარგად მოფიქრებული, გრძელვადიანი კომპლექსური გეოეკონომიკური სტრატეგია და შესაბამისი სახელმწიფო აპარატი, რომელსაც შეეძლება ამ სტრატეგიის რეალიზება.

ნაწილი I
გეოეკონომიკა: *ახალი მიმართულება საზოგადოებრივ მეცნიერებაში*

თავი I. გეოეკონომიკის თეორიული საკითხები

1.1 გეოეკონომიკის ფორმირება და ძირითადი გეოეკონომიკური სკოლები

1990-იანი წლების დასაწყისში გეოგრაფიის, ეკონომიკის და პოლიტოლოგიის ზღვარზე ყალიბდება გეოეკონომიკა. გეოეკონომიკის საგანში შეინიშნება რამოდენიმე ასპექტი, რომელიც ერთ კომპლექსში აერთიანებს ეკონომიკურ ისტორიას, საზოგადოებრივ გეოგრაფიას, თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკას, პოლიტოლოგიას, კონფლიქტოლოგიასა და მართვის სისტემების თეორიას. მეცნიერების ამ მიმართულების სინთეზი განსაზღვრავს თანამედროვე გეოეკონომიკას, რომელიც სწავლობს: ა) გეოგრაფიულ იმპერატივს, რომელიც გამოიხატება ეკონომიკისა და სივრცის ორგანულ კავშირში; ბ) მსოფლიოს ძალისმიერი დაპირისპირებისა და კონფლიქტების გადატანას სამხედრო პოლიტიკურიდან ეკონომიკურ სიბრტყეში, რომლის დროსაც აღმოცენდება კონფლიქტების განსაკუთრებული ტიპი – გეოეკონომიკური კოლიზიები გლობალურ კონტექსტში; გ) ეკონომიკური გლობალიზაციის პირობებში სახელმწიფოს კონკურენტუნარიანობის სტრატეგიასა და პოლიტიკას; დ) სხვადასხვა ეკონომიკური საქმიანობის სივრცობრივ ლოკალიზაციას (გეოგრაფიულს და ტრანსგეოგრაფიულს) მსოფლიო შრომის დანაწილების ახალ ტიპოლოგიას; ე) პოლიტიკისა და ეკონომიკის შერწყმას საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში და ამ ბაზისზე სტრატეგიული ურთიერთქმედებისა და გლობალური მართვის ფორმირებას.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, ეკონომიკის ისტორიისა და გეოგრაფიული სივრცის ურთიერთკავშირის საკითხები უკვე XIX სს. სხვადასხვა მეცნიერთა შრომებშია დაფიქსირებული, საკმაოდ ფართო დიაპაზონით დაწყებული ფ. რიორიგიდან ფ. ლისტით დამთავრებული.

პირველი, ზოგადი წარმოდგენები გეოეკონომიკის საგანზე აღმოცენდა გეოპოლიტიკური მოდელების წიაღში იმ რეალობის ფიქსაციისთვის, რომელიც მიეკუთვნებოდა სოციალური კვლევების ეკონომიკურ ასპექტებს. აშკარაა, რომ ევროპის ეკონომიკა და ტროპიკული აფრიკის ეკონომიკა, ისევე როგორც კონტინენტალური და საზღვაო სახელმწიფოების ეკონომიკა, არსებითი მახასიათებლების მიხედვით, ერთმანეთისაგან ტიპოლოგიურად განსხვავდებიან.

გეოეკონომიკა როგორც დამოუკიდებელი ცნება აღმოცენდა XX ს. შუა ხანებში, რაც ნაწილობრივ წარმოადგენდა მცდელობას ჩანაცვლებოდა გეოპოლიტიკის ცნებას და მასთან დაკავშირებულ ოდიოზურ ასოციაციას. თუმცა გეოეკონომიკამ შემოხაზა განსხვავებული საგნობრივი არეალი, ვიდრე გეოპოლიტიკამ. გეოეკონომიკას გეოპოლიტიკისაგან მემკვიდრეობით ერგო მთავარი, სოციალური რეალობისა პოლიტიკური დინამიზმისადმი კომპლექსური, სტრუქტურული მიდგომა.

შემდგომში ცალკეული (არცთუ მრავალრიცხოვანი) შრომები გეოეკონომიკაში გაჩნდა სამხრეთ ევროპისა და მესამე სამყაროს ქვეყნებში. XX ს. მიწურულს ფორმირებული გეოეკონომიკის თანამედროვე გაგების გენეზისში, შეინიშნება გარკვეული მემკვიდრეობა, რომელიც ამ საგანმა მიიღო გეოპოლიტიკისაგან, რაც ვფიქრობთ, გამოწვეული იყო გასული საუკუნეების 80-90–იანი წლებში გაბატონებული გონებაგანწყობილებით. ამ წლებში ბევრი მეცნიერი ვარაუდობდა, რომ მოხდებოდა ძალთა გადანაცვლება სამხედრო-პოლიტიკური სფეროდან ეკონომიკურში, ანუ უშვებდა იმის შესაძლებელობას, რომ განვითარებულიყო ახალი ტიპის კონფლიქტის ესკალაცია,

კერძოდ, გეოეკონომიკური კოლიზია, რომელიც წარმოიშობოდა საერთაშორისო ურთიერთობების მოსალოდნელ კონტექსტში.

ამჟამად გეოეკონომიკის ცნება სხვადასხვა ავტორების მიერ სხვადასხვაგვარადაა გაგებული, მაგრამ ერთი რამ ცხადია, ეს ცნება უპირისპირდება და ავიწროებს „გეოპოლიტიკის" ცნებას, დაახლოებით ისე როგორც ეს ხდება „გლობალიზაციისა" და „პოსტმოდერნიზმის" ცნებებთან მიმართებაში. ციე ომის შემდგომ პერიოდში ამერიკელმა მეცნიერმა ედვარდ ლუტვაკმა სამეცნიერო ლიტერატურაში დაამკვიდრა ცნება „გეოეკონომიკა". ამ ტერმინით მან აღნიშნა დასავლეთის (უპირველესად კი აშშ) ქვეყნის მომავალი პოლიტიკა საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში, რომელიც მან გააჟღერა 1990 წლის ზაფხულში ჟურნალ „National interests"–ში გამოქვეყნებულ სტატიაში „გეოპოლიტიკიდან ეკონომიკისაკენ. კონფლიქტის ლოგიკა, ვაჭრობის გრამატიკა"[1]. ასეთი გეოეკონომიკა – წერს ე. ლუტვაკი – მოითხოვს ეკონომიკური შეტევისა და თავდაცვის ხერხების დამუშავებას, რომელიც მიმართული იქნება მთავარი მიზნისკენ – უზრუნველყოს დასაქმების ყველაზე კარგი შესაძლებლობა საკუთარი მოსახლეობის უმეტესი ნაწილისათვის და თუ საჭირო გახდა უცხო ქვეყნის მოსახლეობის ზიანის მიყენების ხარჯზეც. ე. ლუტვაკის საწყის ფორმულირებაში კი გეოეკონომიკის დანიშნულება, მისი მისია შემდეგნაირადაა წარმოდგენილი: თუ მისი (ერის) შიდა ერთსულოვნება კონსოლიდირებული უნდა იყოს საფრთხის თავიდან აცილებისკენ. დღეს ასეთ საფრთხეს წარმოადგენს ეკონომიკა. კლასიკურ გეოპოლიტიკასა და გეოეკონომიკას შორის ძირითადი განსხვავება, ამ მეცნიერის აზრით უნდა განისაზღვროს ორი მომენტით: ა) მსოფლიო პოლიტიკის დიდი პრურალიზმით, სადაც სამხედრო-ძალოვანი მოდალურობა უკვე ღიად აღარაა დომინანტი; ბ) იმით, რომ თუ ადრე სახელმწიფოები მსოფლიო

[1] Edvard N. Luttwak. From Geopolitics to Geoeconomics.Logic of Conflict, Grammerce//The Tational Interest. 1990.#20

ომების სუბიექტები და მისი არეალის შემქმნელები იყვნენ, ამჟამად ქვეყნებს ბრძოლა უწევთ მსოფლიო ეკონომიკის არენაზე, რომელსაც ისინი მთლიანად ვერ ფარავენ, რადგან ამ არენის მნიშვნელოვან ნაწილს იკავებს პრივატული, მათ შორის ტრანსნაციონალური კაპიტალი, რომლის ლოგიკა და ინტერესები შეიძლება არ დაემთხვეს ერის გეოეკონომიკურ ამოცანებს.

მოგვიანებით ე. ლუტვაკმა განავითარა თეზისი „კონსოლიდირებულ ეკონომიკურ საკითხთან" დაკავშირებით და მეცნიერულ ბრუნვაში შემოიტანა შემდგომში არცთუ პოპულარული ტერმინი „ტურბოკაპიტალიზმი", რითაც მან აღნიშნა დედამიწაზე მოძრავი ფინანსური დინებები და „სიღარიბის აჩრდილი", რომლებმაც სახელმწიფოების წინაშე წარმოქმნა კიდევ ერთი ახალი, კონტროლს დაუქვემდებარებელი პრობლემა, რომლებსაც ამჟამად გეოფინანსებს უწოდებენ[2]. ამ ტერმინის ე. ლუტვაკისეული გაგება გულისხმობს, არა მხოლოდ ტერმინ „გეოპოლიტიკასთან" რაიმე საპირწონეს, არამედ ამ ტერმინით იგი „დაუპირისპირდა" ასევე ტერმინებს „მერკანტილიზმი" და „ეკონომიკური ომი".

ე. ლუტვაკის აზრით, ორპოლუსიანი მსოფლიოს კვდომის შემდგომ სამხედრო სიძლიერე გადადის მეორე პლანზე, სახელმწიფოთა იერარქია, მათი რანგი და ქმედითუნარიანობა საერთაშორისო არენაზე დღეს მხოლოდ ეკონომიკური სიძლიერით განისაზღვრება.

ცოტა მოგვიანებით გეოეკონომიკის ფორმირება დაიწყო იტალიაში, რომლის ფუძემდებლად ითვლებიან კარლო ჯანი და პაოლო საონა. ეს მკვლევარები გეოეკონომიკას განიხილავენ როგორც „ყველა ეკონომიკური მიზანდასახულობისა და სტრუქტურის ერთიან სტრატეგიაში მოქცევას ამა თუ იმ ქვეყნის დონეზე, რომელიც ითვალისწინებს მსოფლიოში არსებულ

[2] Luttwak.E Turbo-Capitalism: Winners and Losers in the Global Economy. L., 1998

სიტუაციას"[3], მათ შორის, სიტუაციას ფინანსურ ბაზრებზე, რომელზეც მოძრაობს კაპიტალი და რომელიც არც ერთ სახელმწიფოსთან არ ასოცირდება, თუმცა ისინი თვითონ ირჩევენ სად გადაიხადონ, ან არ გადაიხადონ გადასახადები. ეკლუტეაკის კვალდაკვალ სახელმწიფოს (როგორც ერის ინტეგრაციის ინსტიტუტის) მთავარ საფრთხედ, ეროვნული ეკონომიკური საზღვრების მოშლის პირობებში, იტალიელი ავტორებიც მიიჩნევენ არა ღარიბთა სოციალურ ამბოხს, არამედ კაპიტალის მისწრაფებას „მდიდართა ბუნტისაკენ". ასეთი ბუნტი კი საფუძველი ხდება ეროვნული კონსოლიდაციის შესუსტებისა, იმ ეკონომიკურად წარმატებულ ქვეყნებსა და რეგიონებში, რომლებიც სულ უფრო ნაკლებად ეყრდნობიან სახელმწიფოთა მხარდაჭერას. შესაბამისად მათ არ გააჩნიათ არავითარი სურვილი დაასპონსორონ ნაკლებად განვითარებული მეზობელი ტერიტორიები და მზად არიან შექმნან „არქიპელაგი სიმდიდრის კუნძულისა, სიღარიბის ოკეანის შუაგულში" [4].

კ. ჯანისა და ჰ. სავონას პათოსია განამტკიცონ ეროვნული სახელმწიფო, რომელიც იჭყლიტება „მტაცებლურ ქალაქებსა" და მზარდ გეოეკონომიკურ იმპერიებს შორის (ევროკავშირის მსგავსი), ვიდრე „ჩვენ საბოლოოდ არ გვშთანთქა იმ ახალმა მსოფლიო წესრიგმა და მათში გაბატონებულმა იმ ძალებმა, რომელთაც შეძლეს მოქალაქეების მხრიდან დემოკრატიული კონტროლისაგან თავის დაძვრენა"[5]. რამდენადაც ახალი ტექნოლოგიები ამცირებენ მოთხოვნილებას სამუშაო ძალაზე, იტალიელი გეოეკონომისტები მთავრობებისათვის ვერ ხედავენ სხვა გზას, თუ არა მათი უარი მრავალ სოციალურ გარანტიაზე

---

[3] Савона М. Введение .\\Жан К., Савона М.Геоэкономика, господство экономического пространства. пер. с итальянского, М. 1997.с.15.

[4] Жан К. Геоэкономика. Теоритические аспекты, методы, стратегия и техника.\\В кн:\\ Жан К., Савона М. Геоэкономика, господство экономического пространства М. 1997.с.37.

[5] იქვე с.14.

საზოგადოების ქვედა ფენების (ღარიბთა) მიმართ, იმ მიზნით რომ ინტენსიურად შეუწყონ ხელი კაპიტალს, რათა ეროვნულ ტერიტორიაზე შექმნან „სიმდიდრე ნაკლები სოციალური დანახარჯებით[6]“, ამდენად, ე. ლუტვაკის მიერ ზემოთ ფორმულირებული პრინციპი „დასაქმების ყველაზე კარგი შესაძლებლობა საკუთარი მოსახლეობის უმეტესი ნაწილისათვის“, იცვლება ლოზუნგით „მეტი ღარიბი, ნაკლები უმუშევარი“. კ. ჯანი და საერთოდ იტალიური გეოეკონომიკის მამები, დასცინიან ყბადაღებულ საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფოს, როგორც „დემოკრატიის დეფიციტს, რომლის დროსაც “სულ უფრო მეტი დეფიციტი და სულ უფრო ცოტა დემოკრატიაა[7]“.

და ყველაფრის მიუხედავად, ერთი რამ ეჭვის გარეშეა, კ. ჯანი, პ. საონა და მათი კოლეგები დაჯერებული ეტატისტები არიან. მათ ერთი სურვილი აქვთ შეინარჩუნონ იტალიის ეროვნული სახელმწიფო, რისთვისაც ისინი იმ უკანასკნელ ხარკს იღებენ, რაც შეიძლება მოითხოვოს ახალმა მსოფლიო წესრიგმა, რასაც ეწირება ღარიბთა ცხოვრების დონე, პენსიონერთა უზრუნველყოფა და უფროსი თაობის იმედები. მათ სჯერათ, რომ „დღეს სახელმწიფო შეიძლება გადარჩეს იმ შემთხვევაში თუ იგი გახდება „ქვეყანა-სისტემა“, სადაც “მდიდართა ბუნტს“ დააცხრობს პერსპექტიული ინტეგრალური სტრატეგია, რომელიც მხედველობაში მიიღებს გარედან თაემოხვეულ ნორმებს იმისათვის, რათა „შემდგომ წარმატებით და უსაფრთხოდ იქნენ დანგრეულნი“[8]. იტალიალთა თანამემამულის ნ. მაკიაველის სიტყვებით“ სახელმწიფო მუდმივად უნდა

---

[6] Жан К. Геоэкономика. Теоритические аспекты, методы, стратегия и техника.\\В кн:\\ Жан К., Савона М. Геоэкономика, господство экономического пространства М. 1997.с.31

[7] იქვე с.58

[8] იქვე с.52

იყოს მზად დაიცვას ეროვნული ინტერესები და არ დაიცვას ნებისმიერ ფასად არსებული ხელშეკრულებები"[9].

ამდენად, თუ ე. ლუტვაკი ფიქრობდა გეოპოლიტიკისა და გეოეკონომიკის ერთმანეთისაგან გამიჯვნას, იტალიელი კორპუსის გენერალ კ. ჯანისათვის გეოეკონომიკა წარმოადგენს არა გეოპოლიტიკის ალტერნატივას, არამედ მის შეზღუდულ ნაწილს განსაკუთრებული მეთოდოლოგიით, სადაც გამოიყენება გეოპოლიტიკური ლოგიკა სპეციალურ ვარიანტში, როგორც „დინებების ლოგიკა" (რომელიც უკავშირდება რესურსებს, კერძოდ, ფინანსურ დინებებს). ამ ახალ ხარისხში გეოეკონომიკამ უნდა ითანამშრომლოს გეოპოლიტიკის სტრატეგიულ დარგთან – გეოსტრატეგიასთან, რომლის სპეციფიკა მდგომარეობს არა უბრალოდ სამხედრო ძალის დასაყრდენში, არამედ, უპირველეს ყოვლისა, „ტერიტორიულ–პოლიტიკური ლოგიკის" დასაბუთებაში.

ყოველ შემთხვევაში როგორც ე. ლუტვაკი, ასევე კ. ჯანი გეოეკონომიკას მოიაზრებენ როგორც სახელმწიფოს კურსს, რომელიც უზრუნველყოფს მის სიცოცხლისუნარიანობას XXI ს. ტრანსნაციონალიზებულ მსოფლიოში.

რუსეთში ეს ცნება მკვიდრდება 1995-1996 წწ. და თავიდან გამოიყენებოდა დიდი სივრცეების გეოპოლიტიკის ტრადიციულ სტილში. რუსული „გეოეკონომიკა" ფორმირების საწყის ეტაპზე ორიენტირებულია ორ მიმართულებაზე ა) შეიმუშაოს ის ხერხები და სტრატეგია, რომელიც უზრუნველყოფს რუსეთის ავტონომიური ბაზრის ფორმირებას და ბ) მიიტაცოს „ახლო საზღვარგარეთის" ბაზრის მნიშვნელოვანი ნაწილი. ეს მიმართულებები ამჟამადაც ძალაში რჩება, იმის მიუხედავად, რომ ახალი მსოფლიო წესრიგი სრულად ახალ მოთხოვნებს უყენებს რუსეთს. ამ მოთხოვნებისადმი სხვადასხვაგვარი ინტერპრეტ-

---

[9] Жан К. Геоэкономика. Теоритические аспекты, методы, стратегия и техника.\\В кн:\\ Жан К., Савона М. Геоэкономика, господство экономического пространства М. 1997. с.30

ტირება იწვევს რუსი მეცნიერების სხვადასხვაგვარ შეხედულებებს გეოეკონომიკისადმი, რაც კარგად ჩანს ერთის მხრივ, რუსულ გეოეკონომიკის ფუძემდებლად წოდებულ ერნესტ კოჩეტოვის და მეორეს მხრივ პეტრე შედროვიცკის შრომებში.

როგორც ზემოთ დავინახეთ კ. ჯანისათვის გეოეკონომიკა წარმოადგენს გეოპოლიტიკის შიდა მეთოდოლოგიური დიფერენციაციის შედეგს, ხოლო ე.კოჩეტოვისათვის იგი არის კონიუქტურათმცოდნეობის უმაღლესი ფორმა, ანუ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს მეცნიერი თავისი კვლევის კონცენტრირებას ახდენს ცივილიზაციური განვითარების ისეთი მოდელის ძიებაზე, რომელიც თავის თავში მოიცავს „არა მხოლოდ ურთიერთობების სფეროს", არამედ საწარმოო-ტექნოლოგიურ პროცესებში თანამშრომლობას, ამ ჯაჭვის ნაწილის გატანას ეროვნული ჩარჩოების გარეთ (ეკონომიკური საქმიანობის ტრანსნაციონალიზაცია)[10]". ამ ავტორის მონოგრაფიაში გატარებულია აზრი, რომ საჭიროა მსოფლიო პროცესების ყველა მონაწილემ მიიღოს სარგებელი, ამ პროექტებისაგან, (განსხვავებით გეოპოლიტიკისაგან), სადაც ერთის გამარჯვება ნიშნავს მეორის დამარცხებას.

ე. კოჩეტოვისაგან რადიკალურად განსხვავებულ შეხედულებებს გვთავაზობს პ. შედროვიცკი, რომელიც წერს, რომ „ეროვნულ-ტერიტორიული საზღვრები ჩვენს თვალწინ კარგავენ ეკონომიკურ აზრს" და იგი არ ენდობა არც „ეროვნული კაპიტალის ენაზე მომაელის დაგეგმვას" და არც „ქვეყანა-სისტემების" სიცოცხლისუნარიანობას.

მისთვის მისაღებია მსოფლიო, სადაც წინა პლანზე გამოდის მსოფლიო დიასპორები. მსხვილი ტრანსრეგიონული გაერთიანებები, ან ქვეყნების სტრატეგიული ალიანსები, მსოფლიო ქალაქები (მსოფლიო გეოეკონომიკური ქსელის ინფრასტრუქტურული


---

[10] Кочетов Э. Геоэкономика. Освоение мирового экономического пространства. М., 1999 с. 41-46. Кочетов Э. Геоэкономика и стратегия России. М., 1997.с.18

კვანძები) ანთროპოსტუქტურები (ერთად შეკრული ჯგუფები და ასოციაციები, რომლებიც იყენებენ, ერთის მხრივ, საქმიანობის ორგანიზაციის ქსელურ ფორმებს და მეორეს მხრივ, კულტურულ პოლიტიკას მსოფლიო პროცესებში აქტიური მონაწილეობისათვის, სადაც „დიასპორები, ანთროპოსტუქტურები და მსოფლიო ქსელები გადაიქცევიან გადაწყვეტილების მიღების ცენტრებად, რომელიც შემდეგ ფორმდება სახელმწიფოთა ვალდებულებებად“[11].

ამდენად, გეოეკონომიკის ფორმირების სათავეებთან დგას სამი მიმართულება: ამერიკული, იტალიური და რუსული, რომლებიც კონცეფტუალურ ხედვითა და საფუძვლებით მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ერთმანეთისგან. (ნახ.1.1)

გეოეკონომიკის ფორმირება და სკოლები *ნახ. 1.1*



[11] ციტ: Шедровиский М. Русский мир: Возможные цели самоопределения//Независ. газ.2000. 11 февр.;

როგორც ზემოდ დავინახეთ „გეოეკონომიკის“ ცნება შემთხვევით არ აღმოცენებულა, თუმცა არსებობს ამ ტერმინის გაშიფვრის რამდენიმე ვარიანტი, ერთი რამ ნამდვილად არ იწვევს ეჭვს, კერძოდ ყველა შემთხვევაში ეს ტერმინი გამოიყენება პოლიტიკის, ეკონომიკისა და სივრცის შერწყმის აღნიშვნისათვის რთულად დანაწევრებულ მთლიანობაში. მეორეს მხრივ, ვფიქრობთ, ამ ტერმინის შემოტანა გარკვეულად ავსებს ამ სფეროში არსებულ ლექსიკის დეფიციტს, კონკრეტულად იგი აფიქსირებს თანამედროვე მსოფლიოში იმ პროცესს, როცა ეკონომიკა უპირატესად ასრულებს მმართველობით და სახელისუფლებო ფუნქციებს, როგორც ლოკალურ ისე გლობალურ დონეებზე.

1.2 გეოეკონომიკის საგანი და არსი

პოლიტიკურ სფეროში კონფლიქტის აშკარა გამოვლინებაა ერთი სახელმწიფოს მიერ მეორე სახელმწიფოს ტერიტორიის მიტაცება ძალის გამოყენებით. ასეთი ფენომენის ანალოგიები ეკონომიკაში სხვადასხვაგვარია. თუ ავიღებთ ეკონომიკის ფინანსურ ასპექტს, ანალოგად, ამ შემთხვევაში, გვეკლინება ერთი სახელმწიფოს ეროვნული ვალუტის შეღწევა მეორე სახელმწიფოს (ან სახელმწიფოების, ან სულაც რამდენიმე სახელმწიფოს ერთიანი ვალუტის შეღწევა რომელიმე ქვეყნის კონკრეტულ ბაზარზე, როგორც ეს ევროსთან მიმართებაშია) ბაზარზე. მაშინ როცა, ერთი სახელმწიფო ვალუტა იწყებს მეორე სახელმწიფოს ბაზარზე ცირკულირებას, იგი ადგილობრივ ვალუტას ართმევს ფინანსური ბაზრის გარკვეულ მოცულობას და ასუსტებს მას.

სასაქონლო წარმოების სფეროში კი ეს არის უცხოური საქონლის შემოტანა, რომელიც ეროვნული მეწარმისათვის აუარესებს გასაღების კონიუნქტურას. თვით არალეგალური მიგრანტების დინებები ერთი სახელმწიფოდან მეორეში, ერთი

შეხედვით ისე ჩანს, როგორც სოციალურ-დემოგრაფიული მოვლენა, თუმცა იგი ასევე შეიძლება განვიხილოდ გეოეკონომიკური კუთხით, როგორც მცდელობა, ერთი სახელმწიფოს მიერ საკუთარი მოქალაქეების შრომით მოწყობასთან დაკავშირებით არსებული პრობლემის გადატანა სხვა სახელმწიფოს მხრებზე, ანუ როგორც მცდელობა უცხოელების მიერ ეროვნული შრომის ბაზრის შრომითი ვაკანსიების მიტაცებისა.

იგივე შეიძლება ითქვას საპირისპირო შემთხვევაზეც, კერძოდ, როცა ერთი ქვეყნიდან მეორეში გადაადგილდებიან სპეციალისტები, რომელთა მომზადება საკმაოდ ძვირი ღირს. (ე.წ „ტვინთა გადინების" პროცესი). შეიძლება ითქვას, რომ „ტვინთა გადაქაჩვის" პროცესი სულ უფრო ხშირად „სტიქიურ" ხასიათს ატარებს. იმიგრანტებს იზიდავთ ცხოვრების დონის გაცილებით მაღალი დონე და მაღალი ანაზღაურება თავიანთ ახალ საცხოვრებელ ადგილზე, რაც არის მოცემული გეოეკონომიკური სივრცის ეკონომკური მდგომარეობის მდგრადობის გაცილებით მაღალი დონის შედეგი მოცემულ ისტორიულ მომენტში. ამის მიუხედავად, თუნდაც ირიბი ფორმით, მაგრამ მაინც ადგილი აქვს უცხოური სახელმწიფოების მხრიდან ეროვნული განათლების სისტემის ღირსებების გამოყენებას, რის გამოც „ტვინთა გადაქაჩვა" ერთი ტერიტორიიდან მეორეში ასევე შეიძლება მივაკუთვნოთ გეოეკონომიკურ ფაქტორთა რიცხვს.

ასევე სრულიად აშკარაა, რომ კარგად განვითარებული ქვეყნები, გავლენას ახდენენ ამა თუ იმ ქვეყნის ეკონომიკაზე „კაპიტალის გადაქაჩვით". მსგავსი ფენომენის არსებობა ე.წ. „მცურავი კაპიტალის" ფენომენის გარეშე შეუძლებელია. ძნელი არაა იმის მიხვედრა, რომ დეპრესიული ეკონომიკური სიტუაცია საქართველოსა და სხვა გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში, საკმაოდ მობილურ მდგომარეობაში გადასულ კაპიტალს უბიძგებს ეძებოს შედარებით სტაბილური ფინანსური ბაზრები (ეს ეკონომიკური კანონია). საქართველოდან კაპიტალის გადინება ეს არის „მცურავი კაპიტალის" ფენომენის გამოვლინების

ფორმა. ჩვენი ქვეყნის ეკონომიკურ კონტექსტში „მცურავი კაპიტალის“ ფენომენი ალბათ არც აღმოცენდებოდა, თუ მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციასთან უნისონში არ ჩამოყალიბდებოდა საერთაშორისო სარეზერვო ვალუტა.

ამდენად, ბევრი კონიუქტურული გეოეკონომიკური სიტუაცია (ერთი ვალუტის გამყარება, ან შესუსტება მეორე ვალუტასთან მიმართებაში, სუსტი ბაზრის დაუცველობა, ქვეყნის საზღვრის გადაკვეთის ლიბერალური რეჟიმი, ცხოვრების შედარებით დაბალი დონე), შეიძლება გამოყენებული იქნას სოციალურ-ეკონომიკური რიგის ხანგრძლივი ეფექტების შექმნისათვის. (ასეთია ადგილობრივი ვალუტის განდევნა კონკურირებადი ქვეყნის ბაზრიდან, მისი ორიენტაციის შეცვლა იმპორტულ საქონელზე, რითაც ძლიერ ზარალდება ეროვნული მწარმოებელი და ა.შ)

საქონლის, ფინანსების და ადამიანთა ანალოგიური დინებები ერ-სახელმწიფოებში, ან სახელმწიფოთა ბლოკის ჩარჩოებში (ეგულისხმობთ ქვეყნებს რომლებიც სამოკავშირეო ხელშეკრულებით არიან გაერთიანებულნი) ბუნებრივია განიხილება არა დაპირისპირების კატეგორიებში, არამედ შიდა ბაზრის სტრუქტურული პრობლემების კონტექსტში. მოვლენის გეოეკონომიკურ სტატუსს ისინი იძენენ არა იმდენად ქვეყანათაშორის, რამდენადაც „ბლოკთაშორის“ დონეზე, როცა ორივე მხარე წარმოადგენს სხვადასხვა ეკონომიკურ მოდელს.

ხშირად საკვლევი გეოეკონომიკური მოვლენა არ შეიძლება განხილულ იქნას ერთმნიშვნელოვნად. მაგალითად, აზერბაიჯანელი მოქალაქეების მასობრივი მიგრაცია რუსეთში (XX ს ბოლოს მარტო მოსკოვში 800 ათასი აზერბაიჯანელი ცხოვრობდა) წარმოადგენდა სრულიად ნორმალურ მოვლენას, იმის ფონზე, რომ აზერბაიჯანი არის დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის (დსთ) წევრი და მას სამოკავშირეო ხელშეკრულება აკავშირებს რუსეთთან. თუმცა იგივე მოვლენა რუსეთის მხრიდან შეფასდა როგორც მკვიდრი, ეკონომიკურად

აქტიური რუსეთის მოსახლეობის შრომის ეროვნული ბაზრიდან გამოდევნის აქტი, ანუ გეოეკონომიკურად მტრული მოქმედება. რაც იმით შეიძლება აიხსნას, რომ აზერბაიჯანის ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტები არ ემთხვევა რუსეთის ინტერესებს (მაგალითად, როცა აზერბაიჯანი იკავებს პროამერიკულ და საერთოდ პროდასავლურ პოზიციას კასპიისპირა რესურსების განაწილებაში).

გლობალური ფინანსების თანამედროვე ეპოქაში ამა თუ იმ ეკონომიკური სისტემის სპეციფიკა შედარებით ნათლად ვლინდება ფინანსების სფეროში. თანამედროვე ფინანსურ სისტემებში ტიპოლოგიურად შეიძლება გამოვყოთ ორი სახესხვაობა, რომელთა ძირითადი განსხვავება თვალშისაცემია. ეს არის ფინანსური სისტემა, რომელთა ვალუტა ცირკულირებს მხოლოდ მათ საკუთარ ჩარჩოებში და მეორეს მხრივ, არსებობს ფინანსური სისტემები, რომელთაც გააჩნიათ თავისი ვალუტების ექსპორტირების ტენდენცია სხვა ბაზრებზე, იმისთვის, რომ მათ შეასრულონ ადგილობრივი „ძირძველი“ ვალუტის ფუნქციის ნაწილი. ასეთი ტიპის ფინანსური სისტემის შედარებით სუფთა ნიმუში მხოლოდ ერთია, და ეს არის აშშ ფინანსური სისტემა.

დოლარზე დაფუძნებული ფინანსური სისტემა მიისწრაფვის მოემსახუროს არა მხოლოდ საკუთარ, არამედ ტერიტორიულად დაშორებულ ბაზრებსაც. ასეთი სიტუაცია კი აშკარაა, რომ შეუძლებელია მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის გარეშე, როცა ტრანსნაციონალური ეკონომიკური კავშირები ქვეყნებს შორის, შიდა ეკონომიკური კავშირების საპირწონე ხდება.

მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის პროცესი სათავეს იღებს 1944 წლიდან, იმ მიზნით, რომ გადაეჭრათ ორი მნიშვნელოვანი პრობლემა: პირველი, შეექმნათ გარანტიები, რომ 1930-იანი წლების დიდი დეპრესიის მსგავსი მოვლენა აღარ განმეორდებოდა, ანუ მოეძებნათ გზები, რომელიც უზრუნველყოფდა სტაბილური მსოფლიო სავალუტო სისტემისა და თავისუფალი ვაჭრობის მსოფლიო სისტემის ჩამოყალიბებას.

მეორე, ხელი შეეწყოთ ომისაგან დანგრეული ევროპის ეკონომიკის აღორძინებისათვის. ამ კონფერენციაზე რომელიც ბრეტონ – ვუდსის სახელითაა ცნობილი, მიღებული იქნა აშშ წინადადება, რაც იმაში მდგომარეობდა, რომ აშშ გეგმა პასუხობდა ომის შემდგომ ჩამოყალიბებულ ძალთა თანაფარდობას საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში და დოლარს (ამ დროს ევროპა მართლაც ნანგრევებში იწვა") ოქროსთან ერთად, სარეზერვო ფუნქცია დაეკისრა

ბრეტონ-ვუდსის ხელშეკრულებამდე აშშ საგარეო პოლიტიკა, (მათ შორის საგარეო ეკონომიკური), შეესაბამებოდა მონროს დოქტრინას, ეს იყო დოქტრინა, რომელიც ორიენტირებული იყო აშშ–ს პოლიტიკურ და ეკონომიკურ ინტეგრაციაზე მეზობელ ტერიტორიულ – სახელმწიფო წარმონაქმნებთან. ასეთი კურსის მეშვეობით, XX ს. დასაწყისში აშშ გახდა ერთადერთი მნიშვნელოვანი ეკონომიკურ – პოლიტიკური სუბიექტი მთელს კონტინენტზე და ნულამდე დაიყვანა უცხო სახელმწიფოების შესაძლო ზეგავლენის მოხდენის შანსი.

ეკონომიკური კუთხით მონროს დოქტრინას შეიძლება ვუწოდოთ იზოლაციონისტური, ანუ უფრო ზუსტად შემტე–იზოლაციონისტური. თუმცა ამ დოქტრინით XX ს. პირველ, მესამედში აშშ ფაქტორი იმდენად მნიშვნელოვანი გახდა მსოფლიო ეკონომიკაში, რომ იგი თავში მოექცა პროტექციონისტური ბარიერების წინააღმდეგ ბრძოლას მსოფლიოში.

საერთოდ, რეგიონის ეკონომიკური განვითარების აღნიშნულ მოდელს გეოპოლიტიკა განიხილავს, როგორც გეოეკონომიკური ზონის აღმოცენებისა და ჩამოყალიბების კლასიკურ შემთხვევას. სწორედ ამ დოქტრინისადმი ერთგულებამ მიიყვანა აშშ არნახულ ეკონომიკურ ძლევამოსილებამდე XIX ს. დასასრულსა და XX ს დასაწყიში, რომლის აშკარა ლიდერობა დღესაც გრძელდება. თანამედროვე ამერიკული შეთანხმებები (ჩრდილოეთ ამერიკის თავისუფალი ვაჭრობის ზონა), შეიძლება განვიხილოთ როგორც განხილული დოქტრინის ახალი გეოეკო-

ნომიკური სტრატეგია. თუმცა ისიც უნდა შევნიშნოდ, რომ ეკონომიკურმა აღმავლობამ აშშ ეკონომიკის წინაშე ახალი პრობლემები დააყენა. მათ შორის უმთავრესია ციკლური ეკონომიკური კრიზისების პრობლემა, რომელიც არყევს ეკონომიკას. ეკონომიკის მდგრადი განვითარების პერიოდები იცვლებოდა რეცესიის პერიოდებით მსოფლიოს ყველა ქვეყანაში, თუმცა აშშ-ში საუკუნეთა მიჯნაზე (XIX-XXსს.) ეს პერიოდული ჩავარდნები უფრო დიდი საფრთხის შემცველი იყო. რაც ეკონომისტებმა ახსნეს ერთი სპეციფიკური ხასიათით – კერძოდ, აშშ -ის ეკონომიკა წარმოადგენდა (და ამჟამადაც არის) უნიკალურს იმ როლით, რომელსაც მასში თამაშობს საფონდო ბაზარი. საფონდო ბაზრისათვის დამახასიათებელია სპეკულაციური და აჟიოტაჟური ხასიათის რყევები, რომლებთაც გააჩნიათ ბუნებრივ–ეკონომიკურ რყევებთან შეთანწყობისა და მათი გაძლიერების ტენდენცია. ცნობილი „დიდი დეპრესია“ ამ სახის ბოლო და ყველაზე დამანგრეველი კრიზისი იყო ამერიკაში (1929-1939წ). ამ მდგომარეობიდან აშშ ეკონომიკამ მოახერხა თავის დაღწევა მეორე მსოფლიო ომის „დახმარებით“, რომლის დროსაც მისი ეკონომიკა მთლიანად დაიტვირთა ევროპიდან მიღებული სამხედრო შეკვეთით. „დიდმა დეპრესიამ“ ამერიკის პოლიტიკურ-ეკონომიკურ ელიტას უბიძგა მოეძებნათ გადაწყვეტილებები, რომელებიც აღმოფხვრიდნენ განვითარების ამერიკული მოდელის ნაკლოვანებებს. გაჩნდა იდეა, რომ ამერიკული დოლარი გადაექციათ მსოფლიო სარეზერვო-საანგარიშწორებო ვალუტად, რაც საშუალებას იძლეოდა მომხდარიყო ამერიკის ეროვნული ეკონომიკის მოდელის ნაკლოვანებების კორექტირება. აღნიშნულმა კი შექმნა იმის მინიმუმამდე დაყვანის შესაძლებლობა და პირობები, რომ ადვილი გახდა ამერიკული კრიზისების გადატანა გარე ბაზარზე. საფონდო ბაზრის სპეციფიკა, რომელიც ზრდის პირობებში ფინანსური აქტივების სიდიდის მკვეთრ მულტიფიცირებას იწვევს, აქტიური საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის გატარებისათვის რესურსის შექმნის

საშუალებას იძლეოდა. ამ იდეის რეალიზაცია დაიწყო ფრანკლინ დელანო რუზველტის ადმინისტრაციამ, რომელიც ფაქტიურად წარმოადგენდა მისი და მისი კაბინეტის ჩანაფიქრის შესრულებას.

ბრეტონ-ვუდსის სისტემის შემდგომი შორსმიმავალი შედეგი გახდა კაპიტალის თავისუფალი მოძრაობის ფენომენი. კაპიტალის თავისუფალი მოძრაობა ნამდვილად წარმოადგენს შედარებით ახალ მოვლენას. მეორე მსოფლიო ომის შემდგომ თავისი არსით ეკონომიკები ეროვნული იყო, ვინაიდან არ იყო აქტიური საერთაშორისო ვაჭრობა, პირდაპირი ინვესტიციები, ფინანსური ოპერაციები კი შედარებით მცირე მნიშვნელობის იყო. იმისთვის, რომ გაჩენილიყო მოთხოვნილება მსოფლიო ვალუტაზე, უნდა მომხდარიყო ტრანსნაციონალური ეკონომიკური კავშირების ინტენსიფიკაცია, ანუ ჩამოყალიბებულიყო მსოფლიო ვაჭრობა. ბრეტონ-ვუდსში შექმნილი ინსტიტუტების (საერთაშორისო სავალუტო ფონდი, მსოფლიო ბანკი) ძირითად მიზანს შეადგენდა მსოფლიოში გლობალური ვაჭრობის გაღრმავება. მსოფლიო ბანკი მოწოდებული იყო მოეხდინა არასაკმარისი პირდაპირი ინვესტიციების კომპენსირება, ხოლო საერთაშორისო სავალუტო ფონდის ამოცანას შეადგენდა ფინანსური კრედიტების ნაკლებობის კომპენსირება – ვაჭრობაში „დისჰარმონიის“ აღმოფხვრისათვის.

ინტერნაციონალური ვალუტის გაჩენამ, რომელსაც თითქმის უველა ქვეყანა იყენებს და იყენებდა, სათავე დაუდო „მცურავი კაპიტალის“ ისეთ ფენომენს, როგორიცაა ფულადი გზავნილები ერთი ქვეყნიდან მეორეში, რამდენადაც ეს მცურავი კაპიტალი ნომინიზირებულია დოლარებში, გასაკვირი არაა, რომ მათ გააჩნიათ მათთვის „მშობლიური“ დოლარის ფინანსურ სისტემაში დალექვის ტენდენცია. ასე აღმოცენდა უცხოეთიდან უწყვეტი ინვესტიციების „ოქროს წვიმა“.

გეოპოლიტიკა აშშ-ს და მის ახლო მდგომ მოკავშირეებს მიაკუთვნებს „ატლანტიზმის“ ბანკს. („ატლანტიზმი“ მათ ეწო-

დათ იმიტომ, რომ თითოეულ მათგანს გააჩნიათ გასასვლელი ატლანტის ოკეანეზე – გ.კ.) იმდენად რამდენადაც, სწორედ ეს ქვეყნები შედიოდნენ თავდაპირველად დოლარის საფინანსო სისტემაში. სამართლიანია ატლანტიზმს მივაკუთვნოთ სწორედ დოლარის ფინანსური რეჟიმი. იმის მსგავსად, როგორც პოლიტიკაში ატლანტიზმს წარმოადგენს დასავლური გეოსტრატეგიული, საზოგადოებრივი და კულტურული ფასეულობების გაზიარება, რომლის ლიდერია აშშ, ეკონომიკაში ატლანტიზმს წარმოადგენს დოლარის ფინანსური სისტემის ხელის შეწყობა და ეკონომიკური პროცესების გლობალიზაცია.

ამ ჭრილში განვიხილოთ საქართველო და მისი მომიჯნავე ან მასთან ახლოს მდგომი ქვეყნები. 1990-იანი წლების დასაწყისამდე ეს ქვეყნები საერთოდ იყვნენ ამოვარდნილნი საბაზრო ურთიერთობებიდან, (რომ არაფერი ვთქვათ ბრეტონ-ვუდსის მიერ ინიცირებულ გლობალიზაციის პროცესზე). თუმცა, საბჭოთა კავშირის დაშლისა და ეკონომიკური რეფორმების პერიოდში, ჩვენს ქვეყანაში ატლანტიზმის პოზიციები იმდენად გაძლიერდა, რომ საქართველო (და არა მარტო ჩვენ) ჩაერთო დოლარის საფინანსო სისტემაში.

მიუხედავად იმისა, რომ არადოლარული ეკონომიკური სივრცის ქვეყნებმა განიცადეს დოლარიზაცია და გაქრა არასაბაზრო სივრცის ბოლო კუნძული, რომლებიც პრაქტიკულად არ იყვნენ ჩართულნი მსოფლიო ვაჭრობაში, ეს სრულად არ ნიშნავდა ატლანტური გეოეკონომიკური მოდელის გამარჯვების ფინალურ ფაზაში შესვლას. ეკონომიკის გლობალიზაციასთან ერთად ამუშავდა მისი საპირისპირო პროცესი, რომელიც ყველაზე უფრო ნათლად გამოვლინდა, ომის შემდგომ ამერიკის ბანაკში მყოფ მოკავშირეებში-დასავლეთ ევროპის ქვეყნებში. ამ პროცესს შეიძლება ვუწოდოთ სავალუტო რეგიონალიზაცია, რომელშიც მოიაზრება ზენაციონალური ვალუტის გაჩენა, რომლის გამოყენების სფერო ჯერ-ჯერობით შეზღუდულია და იგი განსაზღვრულ გეოეკონომიკურ ზონას ან რეგიონს მოი-

ცავს. ამის ნათელი მაგალითია საერთო ევროპული (უკვე რეალიზებადი პროექტი) ვალუტა–ევრო.

ევროს შემოღების შემდგომ ევროკავშირის ჩარჩოებში, მაშინვე შემცირდა შიდა ბაზარზე დოლარზე მოთხოვნილება. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ დოლარიზაციის პროცესი შეფერხდება დოლარის საფუძველზე არსებულ მსოფლიო ფინანსურ სისტემაში. 1999 წლიდან (ევროს შემოღების თარიღი) ანგარიშწორების 60% ევროკავშირის შიგნით ნომინიზირებულია ევროში. ევროს შემოღებამ გამოიწვია ის, რომ ევროკავშირის შიგნით ინტეგრაციული პროცესი ამუშავდა საკუთარი ფინანსური სისტემის განმტკიცებაზე-ევროკავშირი ევროს საფუძველზე. თანამედროვე სახით ევროპის სავალუტო ინტეგრაცია სწორედ იმით განსხვავდება დოლარის საფინანსო სისტემისაგან, რომ ევროპულმა ვალუტამ არ შეიძინა გლობალური ხასიათი. გეოგრაფები და ეკონომისტები ითვლიან ვარიანტს, თუ როგორ მოხდება ევროს პროექტის განვითარება. იმის ალბათობა, რომ ევრო დარჩება ევროკავშირის შიდა ვალუტად („მცირე ევროს“ ვარიანტი) საკმაოდ მაღალია. გაცილებით ნაკლებ სავარაუდოა, რომ ევრომ მიიღოს პირველობა ევროკავშირის ანაგარიშწორებებში აზიურ-წყნაროკეანურ რეგიონთან („საშუალო ევროს“ ვარიანტი). აზიურ-წყნაროკეანური რეგიონი კი ევროპის შემდეგ სავალუტო ინტეგრაციის მეორე პერსპექტიულ ზონას წარმოადგენს და ბოლოს არსებობს „დიდი ევროს“ ვარიანტი, სადაც მაშტაბური ფინანსური ოპერაციების შედეგად, ევრო უბრალოდ იკავებს დოლარის ადგილს მსოფლიო ეკონომიკაში, ანუ ხდება სარეზერვო-ანგარიშწორების ვალუტა.

აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებმა კი უკვე დაიწყეს საკუთარი ეკონომიკური ხელშეკრულებების დადება. შედეგად კი ფორმდება მსოფლიოს სამმხრივი გეოეკონომიკური კონფერენცია (აზიურ-წყნაროკეანური რეგიონი, ევროპა და აშშ) სავარაუდოა, რომ აზიის რეგიონის გაძლიერება გაცილებით სწრაფად მოხ-

დება ფინანსურ, ვიდრე სავაჭრო სფეროში. რაც საკმაოდ უჩვეულოდ გამოიყურება იმის ფონზე, რომ ევროკავშირში ყველაფერი მოხდა პირიქით. პოლიტიკური თვალსაზრისით სავაჭრო ხელშეკრულებები ძნელად მისაღწევია და მათი რეალიზაცია დიდ დროს მოითხოვს, სავალუტო-ფინანსური კი შეიძლება დადებულ იქნეს აუტსაიდერთა დისკრიმინაციის გარეშე, რაც არ შეიძლება ითქვას სავაჭრო ხელშეკრულებებზე. ვფიქრობთ, აზიური სავაჭრო დაჯგუფების აქტივიზაციის იდეა განაპირობა სამმა ძირითადმა ფაქტორმა: ა) აზიურმა ფინანსურმა კრიზისმა; ბ) ევროპულ ინტეგრაციის პოზიტიურმა სტიმულმა (განსაკუთრებით ევროს შემოღებამ) და გ) აშშ-ს მხრიდან ევროკავშირის გაძლიერების საფრთხემ.

ამდენად, აშშ – ს კონკრეტულ ისტორიულ მაგალითზე ჩვენ დავინახეთ ფინანსური სისტემის ფუნქციონირების მთელი კრებული, დაწყებული ვიწრო ეროვნულიდან, დამთავრებული გლობალური სისტემით, რის საფუძველზეც შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა, რომ თუ გეოპოლიტიკაში ბრძოლის საგანს წარმოადგენს სადავო ტერიტორიების სამხედრო-პოლიტიკური სტატუსი, გეოეკონომიკაში ბრძოლის საგანი ხდება ამ ტერიტორიების ეკონომიკური ფუნქციონირება. ნებისმიერი სახელმწიფო რომელიც წარმოადგენს სერიოზულ გეოპოლიტიკურ ძალას, ბუნებრივია ეცდება მის გარემომცველ რეგიონებზე და მათ კონფიგურაციაზე ძლიერი ზეგავლენა მოახდინოს.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, აშკარად დაინახეთ ხუთი კომპონენტის მნიშვნელობა. ესენია: სივრცე, პოლიტიკა, ეკონომიკა, კონფლიქტები და მართვა. მათი სინთეზი ქმნის კიდეც გეოეკონომიკურ მიმართულებას მეცნიერებათა სისტემაში და აყალიბებს გეოეკონომიკის საგანს, რომელსაც ჯერ-ჯერობით არ გააჩნია პრეტენზია განკერძოებულ სტატუსზე. იგი აღმოცენებულია გეოგრაფიის, გეოპოლიტიკისა და მსოფლიო ეკონომიკის წიაღში. აქ შეიძლება გაკეთდეს ერთი აქცენტი იმასთან დაკავშირებით, რომ „მსოფლიო ეკონომიკის“ დისცი-

პლინა დღეისთვის წარმოდგება როგორც გაშეშებული პანორამა, ისევე როგორც მსოფლიოს ეკონომიკური და სოციალურ-პოლიტიკური გეოგრაფია. ამიტომ საჭირო ხდება ამ პანორამის ერთგვარი გაცოცხლება, რისთვისაც საჭიროა არა მხოლოდ პრობლემის დინამიკის შესწავლა, არამედ დიდი სურათების დაფიქსირებაც. ამ შემთხვევაში გეოეკონომიკა იძლევა დინამიკასაც და ამ სისტემაში ფუნქციონირების და ოპერირების ცოდნასაც. ამ მხრივ იგი ძალიან ახლოა მსოფლიო ეკონომიკასთან, გეოგრაფიასთან, პოლიტოლოგიასთან და საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების თეორიასთან, ეკონომიკის ფილოსოფიასთან.

საზოგადოებრივი გეოგრაფია იძლევა გარკვეულ საბაზო, საწყის პოზიციას გეოეკონომიკის ერთი ნაწილისათვის, კერძოდ იმ ნაწილისათვის სადაც ოპერირებს სიერცობრივი ეკონომიკა (მსოფლიოს გეოეკონომიკური ატლასი). ამ სფეროში გეოგრაფიასთან მიმართებაში ძალიან ახლო სიმბოლოსთან გვაქვს საქმე – ერთის გარეშე მეორის არსებობა წარმოუდგენელია. თუ ამ ნაწილს უგულებელვყოფთ, მაშინ გეოეკონომიკა მთლიანად იქნება გაჟღენთილი პოლიტიკური ეკონომიკით. ახალი ეკონომიკური სისტემების ფორმირების სივრცობრივი და პოლიტიკური საწყისები – აი. რას სწავლობს გეოეკონომიკა. ცოდნის ეს დარგი არ წარმოადგენს ეროვნული ეკონომიკის უბრალო ჯამს. დღეს წარმოება და ზოგადად კელავწარმოებადი პროცესები უკვე გასცდნენ ეროვნულ საზღვრებს, რითაც საბოლოო ჯამში შეადგინეს ახალი ეკონომიკური პოპულაცია, რომლებიც ზეეროვნული ხასიათისაა და თითქმის ყველა სფეროში ტრანსსასაზღვრო სისტემებითაა წარმოდგენილი, სადაც წამყვანი ცნება გახდა გეოეკონომიკური სივრცე. ეს უკანასკნელი კი მეთოდოლოგიური კატეგორიაა და მისი გამოყოფა იმიტომ არის საჭირო, რომ გარკვეულწილად მოხდეს გამიჯვნა, რაც ერთგვარი ხარკის მოხდაა სისტემური მიდგომისადმი. საერთოდ, თანამედროვე მეცნიერებაში სისტემური მიდგომა მოითხოვს

დისციპლინების ერთგვარ გამიჯვნას. იმისათვის, რომ ასე ვთქვათ, „შეურილიყო“ გეოეკონომიკა საჭირო გახდა ზემოთ აღნიშნული გამიჯვნა, რომელიც მხოლოდ სივრცეთა გამიჯვნითაა შესაძლებელი, მათი გარკვეული მეთოდოლოგიური გამონაწევრებით გლობალური სივრციდან. მეცნიერებაში, თეორიაში და პრაქტიკაში აშკარად შესამჩნევია შემდეგი ქვესივრცეები: გეოპოლიტიკური, სამხედრო-სტრატეგიული და გეოეკონომიკური. მეცნიერული თვალსაზრისით ეს სივრცეები ერთი დონისაა. სხვა საკითხია, რომ ისტორიულ განვითარებაში ისინი იყენებენ გარკვეულ იერარქიულ სტრუქტურას. ერთი პრივალირებს მეორეზე, წყვეტს ამა თუ იმ საკითხს. სწორედ ამიტომ გეოპოლიტიკური სივრცის გამოყოფა საშუალებას იძლევა გამოვყოთ გეოეკონომიკა იმ სფეროებიდან, რომლებიც სწავლობენ გლობალურ სისტემებს, ხოლო მეორეს მხრივ, მივანიჭოთ ამ სივრცეს სრულიად ახალი-გეოეკონომიკური კონფიგურაცია, რომლის კონტური აღიწერება სპეციფიკური საშუალებებით, განსხვავებით გეოგრაფიისაგან, გეოპოლიტიკისა და სამხედრო-სტრატეგიისაგან.

მეცნიერულ ლიტერატურაში არსებობს გეოეკონომიკის სხვაგვარი ინტერპრეტირებაც, რომლისთვისაც ხშირად იშველიებენ ფერნან ბროდელის თვალსაზრისს, რომლის მიხედვითაც არსებობს უწყვეტი კავშირი ეკონომიკას, სივრცესა და დროს შორის (სწორედ ამის გამო ამ ავტორს ხშირად თვლიან ისტორიკოს-გეოეკონომისტად), თვით გეოეკონომიკის ცნება კი ეჭვგარეშეა, რომ აღმოცენებულია გეოპოლიტიკური კვლევების საფუძველზე. საკმაოდ ლოგიკური იქნება ვიფარაუდოთ, რომ გეოეკონომიკური ხასიათის კვლევები ჩაგვეტარებინა გეოგრაფიის, გეოპოლიტიკის ან ეკონომიკური თეორიის ჩარჩოებში, მაგრამ პრობლემა მდგომარეობს რეგიონების, როგორც გეოეკონომიკური კატეგორიების განხილვაში, რომლებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ქვეყნების განვითარებაში. აღნიშნულის ნათელი დადასტურებაა უკრაინელი მეცნიერის ვ.

დერგაჩოვის მიერ შემოთავაზებული გეოეკონომიკის არსის გაგება, კერძოდ იგი თელის, რომ გეოეკონომიკა არის მეცნიერება სახელმწიფოს განვითარების სტრატეგიის, მსოფლიო ან რეგიონალური ძლიერების მიღწევის გზების შესახებ, უპირატესად ეკონომიკური გზით. გეოეკონომიკას იგი განიხილავს როგორც თანამედროვე გეოპოლიტიკას, რომელიც ყალიბდება" გლობალიზაციისა და რეგიონალიზაციის ფაქტორების ზემოქმედებით[12].

1.3 პოსტინდუსტრიული ცვლილებები და Pax Oeconomicana-ს ფორმირება

XXს. შუა ხანებამდე ინდუსტრიული წარმოება წარმოადგენდა სახელმწიფოს შემოსავლისა და სახელმწიფო პოლიტიკის საფუძველს, ყველა იმ პროგრამის წყაროს, რომელსაც ჩვენ ვუკავშირებთ თანამედროვე სოციალურად ორიენტირებული ქვეყნის ცნებას. ამ პერიოდში მსოფლიო ეკონომიკური კოოპერაციის და განვითარების ერთეულს წარმოადგენდა „ხალხის მეურნეობა", რომელიც იყო სპეციფიკური ეკონომიკური მექანიზმი.

XXს. მეორე ნახევარი კი ხასიათდება სახელმწიფო ინსტიტუტების მასშტაბური კრიზისით. ეს ინსტიტუტები შეადგენდნენ ეროვნული სახელმწიფოს მოდელის კარკასულ სტრუქტურას. უნდა შევნიშნოთ, რომ ამ კრიზისმა თანაბრად მოიცვა როგორც პოსტსოციალისტური, ასევე „საყოველთაო კეთილდღეობისა" და ლიბერალური სახელმწიფოების საზოგადოებები. ერთიანობაში ინდუსტრიული მოდელი შეეჯახა რიგ სისტემურ შეზღუდვებს, კერძოდ ინდესტრიულ წარმოებას აღარ მოჰქონდა დამატებითი პროდუქტის ის „დელტა", რომელიც გადანაწილდებოდა და მიმართული იყო სახელმწიფო ინსტიტუტების ფუნქციონირების

[12] Дергачев В. Геоэкономика - (Современная Геоекономика) Киев Вира-Р.2002. с.512

უზრუნველყოფისაკენ იმ მიზნით, რომ ერთობლობაში შესრულებულიყო ის მოვალეობები, რომელსაც თავის თავზე იღებდა სოციალურად ორიენტირებული სახელმწიფო.

XXს. მეორე ნახევარში საფუძველი ჩაეყარა ახალ ე.წ პოსტინდუსტრიულ ეკონომიკურ წყობას, რომლის ბირთვი გახდა ეკონომიკა და წარმოების ინდუსტრია, ცოდნის გავრცელება და მოხმარება. ახალი ცოდნის წარმოება კი ნიშნავდა ახალი ტექნოლოგიებისა და არსებული რესურსების სხვაგვარად გამოყენებას. აღნიშნული განაპირობებს წარმოების დანარჩენი ყველა ფაქტორის არა მხოლოდ კონფიგურაციას, არამედ მის ღირებულებასაც. პოსტინდუსტრიული რევოლუციის შედეგები კი ყოველთვის და ყველგან იგრძნობა, იქნება ეს ტრადიციული კულტურული დანაწევრება (რომელიც უკავშირდება ეთნიკურ კუთვნილებას), რელიგიები, ცოდნის გამოყენების ტიპები, ინფორმაციასთან მუშაობის წესები, მობილურობის დონე თუ ტექნოლოგიები. გაძლიერდა მოგების ცენტრების გადაადგილების ტენდენცია, რომელიც ტერიტორიაზე მიჯაჭვულ ეკონომიკას გადაადგილებს მსოფლიო ფინანსური დინებების მიმოქცევის სფეროში. ბაზარი და მართვა განიხილება როგორც ცოდნის ურთიერთშემრიგებული მექანიზმები.

ამ პერიოდში თანდათანობით ყალიბდება გეოეკონომიკის რეალობა. კერძოდ, გლობალური რესურსების მსოფლიო მიმოქცევა – გადანაწილება (ბიოსფერული, ადამიანების, ფინანსური, ორგანიზაციული, ინოვაციური რესურსები). ეროვნული სახელმწიფო კი პირიქით სულ უფრო კარგავს ეკონომიკის ფუნქციონირებისა და ტექნოლოგიების განვითარების ფუნქციას. საქმიანობის პოსტინდუსტრიული სახეები რაღაცნაირად გადიან ეროვნული სახელმწიფოების არსებული საზღვრებიდან. ისეთი ტრადიციული ცნება, როგორიცაა სუვერენიტეტი, პასუხს საჭიროებს კითხვაზე – რა ღირებულებაა შექმნილი მოცემული სახელმწიფოს საზღვრებში?

იმის მიუხედავად, რომ XX ს. მიწურულს ეროვნულმა სახელმწიფოებმა განახორციელეს ექსტრაორდინალური ძალისხმევა გლობალურ პროცესებზე მათი ფუნქციისა და კონტროლის დაბრუნების მიზნით, რეალური გეოეკონომიკა სულ უფრო და უფრო განიხილება, როგორც ეროვნული ეკონომიკის ჩაბმის ეფექტი გლობალური სტრუქტურების განვითარებისა და ფუნქციონირების პროცესებში, რაც გეოეკონომიკურ მიმართულებას კიდევ ერთ – გლობალურ ხასიათს ანიჭებს.

ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ გეოეკონომიკა ის არეალია, სადაც ხდება ტრადიციული ეკონომიკური კონცეფციების ელემენტების შეთანაწყობა სუფთა გეოეკონომიკურ აპარატთან და ეფუძნება შემდეგ პრინციპს: ეკონომიკური მოდელების გამოყენების კონკრეტული ისტორიული ადგილი პრაქტიკაში გავლენას ახდენს მთელს ეკონომიკურ სისტემაზე, რომელიც შენდება უნიკალურ ცივილიზაციურ გარემოში.

ამდენად, ნებისმიერ ეკონომიკურ მოდელს არსებითი შესწორება შეაქვს და ეკონომიკური სისტემის ფუნქციონირების ყველა კონკრეტულ შემთხვევაში ამ სისტემას გადააქცევენ უნიკალურად და განსაკუთრებულად. განსაკუთრებული შემთხვევები შემდგომ განზოგადდება და აღმოცენდება მთლიანი და ორგანული ტიპოლოგიური სისტემა (**Pax Oeconomicana**). უნდა შევნიშნოთ, რომ თანამედროვე გეოეკონომიკა ამოდის ზემოთ აღნიშნული ორი თეორიული პრინციპიდან, რომელთაგან თითოეულს გააჩნია არსებობის უფლება. ეს პრინციპებია: „დიდი სივრცეების ავტარქია“ (ფ.ლისტი) და „ეკონომიკური ინსულაცია“ (ჯ.კეინსი) ანუ ეკონომიკური სისტემების აგება „კუნძულოვანი პრინციპით“. სწორედ ამ პრინციპით ყალიბდება ახალი გეოეკონომიკური სამყარო.

1.4 გეოეკონომიკური სტრუქტურები

ბიპოლარული კონფრონტაციის დასრულების შემდგომი პერიოდი ხასიათდება გლობალიზაციის სფეროში მსოფლიო ეკო-

ნომიკის ტექნოლოგიური რევოლუციით, ასევე ტრანსპორტისა და კავშირების მაღალი ტექნოლოგიებით განვითარებითა და სიმდიდრის დემატერიალიზაციის დაჩქარებით. როგორც ზემოთ აღინიშნა ადვილად გადასალახავი გახდა საზღვრები.

„ოქროს მილიარდის" ქვეყნებში მოსახლეობის ცხოვრების დონე ახალი ინდუსტრიული ქვეყნების კონკურენციიდან დაცვა უკვე შეუძლებელია სატარიფო ბარიერების მეშვეობით. ეკონომიკური სივრცე და ბაზარი უკვე აღარ ემთხვევა რომელიმე კონკრეტული ქვეყნის ტერიტორიას.

შედეგად იცვლება თანაფარდობა ეკონომიკასა და პოლიტიკას შორის. ირღვევა სახელმწიფოთა შორის არსებული ტერიტორიული კავშირები. შედარებით გაფერმკრთალდა განსხვავება „შიდას" და „გარეს" შორის. აღნიშნულ გარემოებებს არ ითვალისწინებენ მხოლოდ ის სახელმწიფოები რომელთათვისაც დამახასიათებელია ღრმა გულმავიწყობა. მაგალითად, ასეთ სახელმწიფოებში შიდა ვაჭრობა განცალკევებულია საგარეო ვაჭრობისაგან. ბიპოლარულ მსოფლიოსათვის ასეთი სახის ეკონომიკური ტურბულენტურობა უცნობი იყო. ორი ზესახელმწიფო თავის კონკურენციაში „ნულოვანი ჯამით", უზრუნველყოფდა status quo–ს. ამჟამად მსოფლიო ეკონომიკური სივრცე უკვე ისე გამოკვეთილად აღარაა გამოყოფილი გამყოფი ხაზით. ამის მიუხედავად იგი კვლავ ინარჩუნებს არაერთგვაროვნებას, რაც არა მარტო იმით აიხსნება, რომ სივრცე კვლავ იცვლება მიწოდებათა და მოთხოვნილიბების დინების ზემოქმედების შედეგად, არამედ ამის მიზეზი იმალება აგრეთვე მრავალრიცხოვან განსხვავებაშიც (მაგალითად სამუშაო ძალის სხვადასხვა ღირებულებაში, რომელსაც იყენებენ მეწარმეებიც და სახელმწიფოებიც, რომლებიც ცდილობენ ამ ძალით მანიპულირებას საკუთარი სარგებლის მისაღებად), .იტალიელი მეცნიერის კარლო ჯანის აზრით, ბაზრის გლობალიზაცია არ იწვევს

განსხვავებულობის წაშლას და ყველა ქვეყანა ცდილობს დაუქვემდებაროს უნივერსუმი თავის ინტერესებს[13].

ორპოლუსიანი მსოფლიო, რომელზედაც მსოფლიო გეოეკონომიკური კონკურენცია სტრუქტურდებოდა ღერძზე – აღმოსავლეთი დასავლეთი, უკვე აღარ არსებობს[14]. მასთან ერთად გაქრა ის პირობები, რომელიც განსაზღვრავდა ეკონომიკურ მეტოქეობას აშშ, ევროპასა და იაპონიას შორის. მეორეს მხრივ, ასევე ის პირობებიც, რომელიც ორპოლუსიანობის დროს განვითარებად სამყაროში კონფლიქტური სიტუაციების პროვოცირებას იწვევდა. ორპოლუსიანობის პირობებში ასეთი სიტუაცია ვერ გადიოდა გარკვეულ საზღვრებს გარეთ, სხვა შემთხვევაში იგი მიგვიყვანდა ორი ზესახელმწიფოს (რომლებიც თავის მხრივ, უფრთხოდნენ საკუთარი ზიანის ხარჯზე მსოფლიოს წონასწორობის ცვლილებას) ბირთვულ ესკალაციამდე. შესაბამისად ორი ზესახელმწიფოს არსებობა წარმოადგენდა შეჩერების ფაქტორს. ამ დროს არსებობდა (და ეს უკვე აღარავისთვის საიდუმლო არაა) ფაქტიური ალიანსი მოსკოვსა და ვაშინგტონს შორის, ხოლო მესამე სამყარო კი ვარაუდობდა, რომ დასავლეთის მიმართ შანტაჟს განახორციელებდა, ვინაიდან ფლობდა ნედლეულ რესურსებს და იმუქრებოდა საბჭოთა ჩარევით. დღეს ამ ფაქტორის მნიშვნელობა სულ უფრო და უფრო მცირდება.

მრავალი მოსაზრებით საუბარი მესამე სამყაროზე აზრს მოკლებული ხდება, მართლაც დღეს მესამე სამყარო, მრავალმნიშვნელოვნად პოსტსოციალისტური და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნების ნაწილი ძლიერად იხლიჩება დაპირისპირებულ ჯგუფებად, რომლებიც ერთმანეთს ეცილებიან, რათა მიიღონ რაც შეიძლება მეტი კვოტა იმ ეკონომიკური დახმარებისა, რომელთაც მათ უყოფთ დასავლეთი.

---

[13] Carlo Jean . Geopolitica, Laterza, Roma, Bari, 1995 p.131-157

[14] უფრო დაწვრილებით იხ:Paul Krugman (ed). Geography and Trade, Mit, Cembrije University Press, Cembrije (Mass), 1991

კეთილდღეობა და უსაფრთხოება, არასამხედრო საფრთხის პირობებშიც კი საკმაოდ მყიფეა ისეთი პროცესების განვითარების ხარჯზე როგორიცაა მასობრივი მიგრაცია. თუ ბიპოლარულ მსოფლიოში ეკონომიკა ემსახურებოდა სამხედრო ძალებს, ამჟამად მდგომარეობა საპირისპიროდ შეიცვალა. სამხედრო ძალები არსებობენ არა იმისათვის, რომ თავი დაიცვან პირდაპირი თავდასხმისაგან, არამედ უფრო იმიტომ, რომ შეამციროონ პოლიტიკური რისკი, რომელიც დაკავშირებულია ინვესტიციებთან და სავაჭრო ურთიერთობებთან, წესრიგის დამყარებისათან და საერთაშორისო სტაბილურობისათან. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ისინი ავრცელებენ ბაზარს, რომელიც მიისწრაფვის გლობალურობისაკენ იმ რეგიონებში, სადაც ამისათვის არ არსებობს შესაბამისი პირობები. ყველაზე მდიდარი და ყველაზე ძლიერი სახელმწიფოები ბუნებრივია დაინტერესებულნი არიან status quo-ს შენარჩუნებით, ვინაიდან ისინი კარნახობენ თამაშის წესებს, რომლებიც ასახავენ, აფიქსირებენ და ამტკიცებენ არსებულ ძალთა წონასწორობას. ამასთან სულ უფრო ხშირია განცხადებები ფაქტიურ „დეკოლონიზაციაზე“, განსაკუთრებით მესამე სამეულის იმ პოლიტიკური ბლიცების მხრიდან, რომლებიც დასავლეთზე არიან ორიენტირებულნი.

ფაქტია, რომ ამჟამად კოლონიებს აღარ ეძებენ (მხედველობაში გვაქვს კოლონიის კლასიკური გაგება). კოლონიის ფასი ძალიან გაიზარდა. ის მოგება, რომელიც მათ მოჰქონდათ, ამჟამად შეიძლება მიიღო ნაკლები დანახარჯებით, იმ შემთხვევაში, თუ გამოყენებული იქნება გეოეკონომიკის ირიბი მეთოდები. დასავლეთის საზოგადოებები როგორც ევროპაში, ასევე ჩრდილოეთ ამერიკაში, რომლებიც განიცდიან მწვავე დემოგრაფიულ კრიზისს მაქსიმალურად ცდილობენ არ გამოიყენონ სამხედრო ძალა, იმ შემთხვევების გარდა, როცა საფრთხე ემუქრება მათ სასიცოცხლო ინტერესებს. მათთვის უკვე მიუღებელია არა მარტო საკუთარი, არამედ ის დანაკარგებიც, რომელსაც განიცდის მოწინააღმდეგე. ასეთი დანაკარგები კი პირ-

დაპირ ზემოქმედებას ახდენენ პოლიტიკაზე, იმდენად, რამდენადაც მათზე ინფორმაციას მასობრივი ინფორმაციის საშუალებები გადაცემენ რეალური დროის რეჟიმში. პოლიტიკა კი ვალდებულია ეს ყველაფერი გაითვალისწინოს. მსგავსი სიტუაცია დღის წესრიგში აყენებს უსაფრთხოების სხვა საშუალებების ძიების საკითხს (შედარებით იაფი და ნაკლები რისკების შემცველს) და შესაბამისად, შედარებით მისაღებს პოლიტიკური კონსესუსის ასპექტში. დასავლეთის დახმარება ძირითადად მიმართულია აღმოსავლეთ ევროპისა და ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებისაკენ, რომლებიც ევროპისთვის შედარებით მნიშვნელოვანია ვიდრე გეოეკონომიკური სამხრეთი. ეს დახმარება ნაწილდება სპეციალურად შექმნილი ევროპული ბანკის მეშვეობით – EBRD- (ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი, რომელიც დამოუკიდებელია პრაქტიკულად ვაშინგტონს დაქვემდებარებულ მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდისაგან[15]).

უნდა შევნიშნოთ, რომ ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნების ეკონომიკური აღმავლობა უმტკივნეულოდ არ მიმდინარეობს და შეაძლება მას საკმაოდ დიდი დროც დაჭირდეს. ეს მომენტი ჯერ კიდევ 1990 წელს დააფიქსირა პაულ რობერტსმა[16]. ამასთან, დასავლეთს არ შეუძლია სამხრეთისთვის დიდი თანხების გამოყოფა. საესებით შესაძლებელია, რომ სამხრეთისთვის დახმარების ამჟამინდელი დონე შემცირდეს, ეს ეხება ისეთ რეგიონებსაც, როგორებიცაა სამხრეთ ხმელთაშუაზღვის ქვეყნები და მექსიკა, რომლებიც უშუალოდ ახდენენ გავლენას ევროპაზე და აშშ. თუმცა ახალ გეოეკონომიკურ რეგიონებს გააჩნიათ მერიდიანული განვითარების ტენდენციაც. რის დემონსტრირებასაც ახდენს NAFTA (თავისუფალი ვაჭრობის ჩრდილოეთ

[15] C. Fred Bergstem. The Primacy of Economics –Foreign Policy, Summer 1992p.13-14

[16] უფრო დაწვრილებით იხ: Paul Graig Roberts. Up from Mereantilism-Solving the Latin Debst mess- National interest, summer 1990 p.63-70

ამერიკული ზონა). აღმოსავლეთ ევროპის იაფი მუშახელის რესურსის ამოწურვის შემდეგ, მისი ევროპულ ეკონომიკურ სივრცეში ინტეგრაციის, ასევე მისი კეთილდღეობის ამაღლების და შესაბამისად ხელფასის ზრდის წყალობით, ევროპა ალბათ იძულებული გახდება მიუბრუნდეს ხმელთაშუაზღვის სამხრეთით მდებარე ქვეყნებს, ანუ მომავალ 10-15 წელიწადში მას მოუწევს გაიხსენოს ევროაფრიკის კონცეფცია, რომელიც ხმელთაშუაზღვის აუზს განიხილავს როგორც ერთიან რეგიონს[17], (რაც აღნიშნული იყო კასაბლანკის 1994 და ბარსელონის 1995 წლის კონფერენციებზე) და არა როგორც ცივილიზაციათაშორის ბარიერს.

სამხრეთ-აღმოსავლეთი აზია, თავის მხრივ განიცდის სწრაფ აღმავლობას, რომელსაც ამჟამად უკვე, სერიოზული ცვლილებები შეაქვს მსოფლიოს გეოეკონომიკურ „რუკაში". მიგვაჩნია, რომ დასავლეთისათვის უარყოფითი შედეგი კიდევ უფრო მეტი იქნებოდა, თუ სამხრეთ- აღმოსავლეთ ქვეყნების ინტეგრაცია არა იაპონიის ან აშშ–ს ირგვლივ, არამედ ორიენტირებული იქნებოდა ჩინეთზე (რის გაკეთებასაც ამჟამად ცდილობენ ამ რეგიონის ქვეყნები), მოვლენების ასეთი განვითარება საკმაოდ რთული იქნება, ვინაიდან მსოფლიო შეშინებულია ჩინეთის მზარდი სამხედრო ძლიერებით, რომელიც სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის საყოველთაო შეიარაღების პრეცენდენტს ბადებს. ამ ბოლო წლებში ჩინეთი განიცდის სწრაფ ეკონომიკურ აღმავლობას, რომელიც მოიცავს სანაპირო რეგიონებს, რამაც შეიძლება გამოიწვიოს გარკვეული დაძაბულობა ცენტრალურ რაიონებთან მიმართებაში, სადაც განთავსებულია პოლიტიკური და სამხედრო ხელისუფლების ცენტრები. ასეა თუ ისე ჩინეთის პოზიციები მყარდება და ის ხდება ძლიერების ერთ-ერთი ცენტრი მსოფლიოში.

---

[17] უფრო დაწვრილებით იხ: Carlo Jean . Geopolitica, Laterza, Roma, Bari, 1995 p.131-157.

ინდოეთი, ჩინეთის მსგავსად, ფლობს განვითარებისა და ტრანსფორმაციის ყველა პოტენციალს გეოეკონომიკური ძლიერების იგივე პოლუსზე, თუმცა ინდოეთის ეთნოლინგვისტური დანაწევრება და ის წინააღმდეგობები, რომლითაც ხასიათდება პოლიტიკური (რომელიც დასავლურ დემოკრატიულ მოდელს წარმოადგენს) და ეკონომიკური (სოციალისტური ტიპის ეკონომიკური მოდელი) სისტემები, ასევე ინდუისტებსა და მუსულმანებს შორის შეჯახებები რაც მთავარია უკონრტოლო დემოგრაფიული პოლიტიკა, სერიოზული დესტაბილიზაციის პირობაა ქვეყნის შიგნით.

ლათინური ამერიკა იწყებს ეკონომიკური კრიზისიდან თავის დაძვრენას, რომელშიც ის აღმოჩნდა მათი მთავრობების პოპულისტური და კორუმპირებული პოლიტიკის წყალობით. პრაქტიკულად ამ რეგიონის ქვეყნებში ზოგიერთის გარდა (მაგ. ჩილე) დამყარდა მერკანტილიზმის სპეციფიკური ფორმა "ნეომერკანტილიზმი სამხრეთამერიკულად, რომელიც ემსახურება მმართველი კლასის ინტერესებს[18]".

რაც შეეხება რუსეთს იგი სერიოზულ პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ კრიზისში იმყოფება. ის ცდილობს აღადგინოს ის გეოპოლიტიკური სივრცე, რომელიც დასაწყისში ეკუთვნოდა მეფის, შემდეგ კი საბჭოთა იმპერიას. მან ეს ამიერკავკასიაში მოახერხა ნაწილობრივ (თუ არ ჩავთვლით აზერბაიჯანსა და საქართველოს) და შუა აზიაში და შედარებით წარმატებით ბელორუსიაში. რუსეთის ჯარი იცავს ბელორუსიის დასავლეთ საზღვრებს პოლონეთთან და ლიტვასთან და იბრძვის ტაჯიკეთში ავღანეთის საზღვართან. რუსეთის ეკონომიკაში (განსაკუთრებით ვ. პუტინის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ) შეიმჩნევა გარკვეული გამოცოცხლება (იმის მიუხედავად, რომ ამ ქვეყანაში ძლიერია ორგანიზებული ეკონომიკური დანაშაული). რუსეთის აღმოსავლეთ ციმბირის ნაწილში იზრდება

[18] Poul Graig Robertz. Up from Mereantilism-Solving Latin Debt Mess – The National Interest, Summer 1990, p. 63-70

ჩინეთის დემოგრაფიული დაწოლა. მოსკოვში კი დაძაბული პოლიტიკური ბრძოლაა გაჩაღებული. რუსეთი უფრთხის აღმოსავლეთით ისეთი მძლავრი დასავლური ინსტიტუტების გაფართოებას როგორიც ევროკავშირი და უპირველეს ყოვლისა ნატოა. ასეთ გაფართოებას მინიმუმამდე დაჰყავს რუსეთის გავლენა ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში, მაგრამ მიუხედავად ენერგო ბერკეტებისა, იგი უძლურია წინ აღუდგეს ამ პროცესს. თუ გეოეკონომიკური კონფრონტაცია დაიწყება ამ ფლანგზე რუსეთის დღევანდელი ეკონომიკა დიდი ალბათობით ვერ გაუძლებს ახალ „ცივ ომს". თუ მის დღევანდელ განვითარებას დავაკვირდებით, ეს ქვეყანა გარკვეულ დაბნეულობაშია, რადგან ვერ აკეთებს არჩევანს ძლიერებასა და კეთილდღეობას შორის.

რუსეთი გადარჩება იმ შემთხვევაში, თუ შეინარჩუნებს თავის პოტენციურ არასტაბილურობაზე კონტროლს, რისთვისაც იგი საჭიროებს დასავლეთის მხრიდან მხარდაჭერას, იმპერიის აღდგენა როგორც მხარეთა შეთანხმების (ბელორუსიისა და სომხეთის ვარიანტი), ასევე ძალით (უკრაინა, მოლდავეთი, საქართველო, აზერბაიჯანი), საკმაოდ ძვირი დაუჯდება რუსეთს, რომელსაც მოსკოვი ისე ვერ გადაიხდის თუ საშიშროება არ შეექმნა მის შიდა საფრთხეებს, რომელიც მისთვის შეიძლება კატასტროფით დამთავრდეს.

სამი გეოეკონომიკური პოლუსი აშშ, ევროპა, იაპონია და ჩინეთი მომავალი 20-30წლის განმავლობაში ალბათ იბატონებენ მსოფლიო ეკონომიკაში. თუმცა განვითარების სცენარები შეიძლება სრულიად განსხვავებული იყოს. ყველაზე უფრო სავარაუდოა მოვლენების განვითარება სამი სცენარით: ა) მსოფლიო სამრეწველო განვითარების „სამიეე" პოლუსი აგრძელებს თანამშრომლობის პოლიტიკას World Trade Organization –ის ეგიდით. ეს ორგანიზაცია თვალყურს ადევნებს იმ ნორმების დაცვას, რომელიც საიმედოდ უზრუნველყოფს თავისუფალ კონცენტრაციას და ღია ბაზრის პრინციპს. ამდენად, აღმო-

ცენდება გლობალური ეკონომიკური სისტემა, რომელიც ეფუძნება თანამშრომლობას. ასეთი სცენარი მსოფლიო ეკონომიკური ზრდისთვის ყველაზე უფრო ხელსაყრელია. ეს ერთადერთი სცენარია, რომელსაც მეტნაკლებად ძალუძს შეამციროს აღმოსავლეთსა და სამხრეთს შორის არსებული მწვავე პრობლემები. სხვაგვარად შესაძლებელია რომ უზარმაზარი რესურსები შთაინთქას მსოფლიო სამრეწველო განვითარების ამ სამი პოლუსის გეოეკონომიკურ მეტოქეობაში. ალბათ არაა გამორიცხული, რომ აღნიშნულთან დაკავშირებით განისაზღვრება პირობები ახალი NAFTA-სთვის, ამჯერად უკვე ტრანსატლანტური (Nort Atlantic Free Trade Area) სივრცისთვის, რაც განამტკიცებს ევროამერიკულ თანამშრომლობას და სერიოზული მხარდაჭერა იქნება ნატოსათვის[19]; ბ) "სამივე" პოლუსი ხდება ერთმანეთის მოწინააღმდეგე ბლოკები, რომლის შედეგი იქნება გეოეკონომიკური კონფლიქტები, ერთმანეთთან შედარებით უმნიშვნელო უპირატესობის მოპოვების მიზნით. ამასთან, ბლოკებს შიგნით განვითარდება ეკონომიკური ინტეგრაცია და უზრუნველყოფილი იქნება ბაზრების გამჭვირვალეობა და თანამშრომლობა. თუ მოვლენები ასეთნაირად განვითარდება იგი უარყოფით გაელნას მოახდენს მსოფლიო ეკონომიკის ზრდაზე, ვინაიდან ბლოკებს შორის მეტოქეობა შთანთქავს რესურსების უზარმაზარ რაოდენობას.

მოცემული სცენარიდან სულაც არ გამომდინარეობს, რომ იაპონია გახდება სამხრეთ აღმოსავლეთ აზიის „პოლუსის" ცენტრი და გადააქცევს მას ბლოკად, იაპონია ეკონომიკურად დამოკიდებულია აშშ -ზე, რომლის მხრიდან დაცვასაც იგი მუდმივად საჭიროებს (ამჟამად უკვე არა საბჭოთა კავშირიდან, არამედ ჩინეთის მხრიდან). აშშ ვაჭრობის მოცულობა სამხრეთ აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებთან (განსაკუთრებით სამხრეთ კორეასა და ტაივანთან), ჯერჯერობით აჭარბებს ვაჭრობის ანა-

[19] Clayton K.Yeutter e Warren N.Maryama. A Nafta for Europe – The Wall Geoeconomic 59.street journal, may 24 th, 1995.

ლოგიურ მაჩვენებელს იაპონიასთან, ამიტომ არაა გამორიცხული, რომ შეიქმნას წყნარი ოკეანის „ეკონომიკური თანააყვავების ფართო ზონები“, სადაც აშშ შეასრულებდა ჩინეთის ძლიერების შეჩერების გარკვეულ ფუნქციას. ამასთან, ასეთი ზონა შეასრულებდა ჩინეთის ძლიერების შეჩერების გარკვეულ ფუნქციასაც; გ) მესამე სცენარის მიხედვით ეროვნული სახელმწიფოები ამყარებენ შედარებით მკაცრ კონტროლს დანაწევრებულ მსოფლიო ეკონომიკურ სისტემაზე და ძირს უთხრიან საკუთარი ეკონომიკური ბლოკების სიმტკიცეს. ამ სცენარის დინამიკა საშიშია იმის გამო, რომ გეოეკონომიკურ მეტოქეობაში გაიმარჯვებს ის, ვინც გადადგამს პირველ ნაბიჯს, იმისათვის რათა უპირატესობა მოიპოვოს მოულოდნელობის ფაქტორით. „გეოეკონომიკური და ტექნოლოგიური შეტევის კულტი“ ბევრი რამით წააგავს იმ კულტს სამხედრო სფეროში, რომელიც არსებობდა ევროპაში XXს. დასაწყისში. ეს ახალი კულტი კი ასევე საშიშია და არასტაბილურობის დიდ საფრთხეს შეიცავს“[20].

ზემოთ აღნიშნული მაკროსცენარებიდან ყველაზე მეტად მოსალოდნელია მოვლენების მეორე სცენარით განვითარება, კერძოდ სამი გეოეკონომიკური „პოლუსი“ გარდაიქმნება დაპირისპირებულ„ ბლოკებად“, ამასთან ბატონობს “Real Economic“, სადაც ცალკეული ეკონომიკური ბლოკები მიისწრაფვიან ცალმხრივი უპირატესობის მიღწევისაკენ, თუმცა ამჟამად შეინიშნება საპირისპირო ტენდენცია, რომელსაც შესწევს უნარი წინ აღუდგეს მსოფლიო ეკონომიკური სისტემის დანაწევრების პროცესს. „სახელმწიფოთა ეკონომიკური ძლიერება „ზემოდან“ გადაილეკება „პოლუსებით“ ან „ბლოკებით“ და იმავდროულად გადაილეკება „ქვემოდან“ ქალაქი-სახელმწიფოებით ან რეგიონი-სახელმწიფოებით“. ეს არის ბუნებრივი ეკონომიკური ზონები, რომლებიც მონაწილეობენ

---

[20]. Micheal Borrus, Steve Weber, John Zysman con Joseph Villihngonz. Mercantilism and global Security – The National Interest, Fall 1992. p21-29. p.27-28

არა მარტო ცალკეული კონტინენტების, არამედ „უსაზღვრებო“ მსოფლიოს ეკონომიკურ ცხოვრებაში. ამ ზონებს არ გააჩნიათ პოლიტიკური საზღვრები, მაგრამ არის სამანი, რომელსაც ატარებს ეკონომიკური დინებების უხილავი ხელი, ხელი რომელმაც არ იცის საზღვრები. ერთ შემთხვევაში ეს მხოლოდ სახელმწიფოს ფრაგმენტებია, მეორე შემთხვევაში კი ისინი ფარავენ სახელმწიფოს საზღვრებს, ისე როგორც ეს არის ტრანსსასაზღვრო „ევრორეგიონები“. ამ ზონების გაჩენამ შეიძლება გამოიწვიოს არასტაბილურობის შემდგომი ზრდა, რომლის ერთ-ერთი მიზეზია სრულიად პროგნოზირებადი რეაქცია მეორეხარისხოვანი ზონების მხრიდან, რომლებიც შეეცდებიან აღადგინონ ტერიტორიული ერთიანობა და ეროვნული სახელმწიფოს ეკონომიკური სუვერენიტეტი, პროტექციონისტული ზომების მიღების, ავტარქიული პროცესების სტიმულირების და შეიძლება სამოქალაქო ომების გაჩაღებითა და სახელმწიფო გადატრიალებითაც კი. რაც ბაზრისა და პოლიტიკის ახალი რეალობების ჩამოყალიბების საფუძველი გახდება.

15 ეკონომიკა და პოლიტიკა

თავისი აღმოცენების დღიდან ეროვნულ-ტერიტორიული სახელმწიფო, უპირატესად პროტექციონისტული, ავტარქიული, ექსპანსიონისტური და მილიტარისტული იყო. გამონაკლისი იყო მხოლოდ გაერთიანებული სამეფო, რომელიც ერთადერთი ლიბერალური სახელმწიფო იყო XIXს. როგორც ფ.ლისტი აღნიშნავდა, „ეს შესაძლებელი გახდა სამრეწველო-სავაჭრო უპირატესობის მეშვეობით, რომელიც უზრუნველყოფდა ბრიტანეთის მსოფლიო ბატონობას, იმ პირობით, რომ სხვა სახელმწიფოები არ ქმნიდნენ მის გზაზე პროტექციონისტურ ბარი-

ერებს[21]". ცნობილი აქსიომაა, რომ ძლიერი მომხრეა თავისუფალი ვაჭრობის, სუსტი კი პროტექციონიზმის. ეს უკანასკნელი ხელს უწყობდა მრეწველობის აღმოცენებას და შექმნა კაპიტალის შიდა გადანაწილების მექანიზმი. იგი გულისხმობს შიდა ბარიერების არსებობას, რომელიც ხელსაყრელია მეწარმეებისათვის, რადგან იგი იცავს მათ გარე კონკურენციისაგან. პროტექციონიზმი ასევე აწყობს ეკონომიკურად აქტიურ მოსახლეობას, რომლებიც დაცულნი არიან სხვა ქვეყნების კონკურენციისაგან, (მათ შორის ემიგრანტებისაგან), რამდენადაც პროტექციონიზმის მეშვეობით კაპიტალის გადინება შეზღუდულია და იქმნება შესაძლებლობა სიმდიდრის შიგა გადანაწილებისათვის.

ამჟამად, როცა საზღვრების გადალახვა პრობლემას აღარ წარმოადგენს, მსგავსი სისტემა უკვე ეელარ მუშაობს. ეროვნული ტერიტორია უკვე აღარ წარმოადგენს ექსკლუზიურ ეკონომიკურ სივრცეს და შრომითი რეზერვებიც ინტერნაციონალიზირებულია.

კაპიტალს უკვე აღარ ძალუძს დაექვემდებაროს ეროვნულ პირობებს. იგი განთავისუფლდა სახელმწიფოს ხუნდებისაგან. წარმოება გადადის იქ, სადაც დანახარჯები მცირეა, ხოლო მომსახურების, ინფრასტრუქტურისა და სამუშაო ძალის ხარისხი მაღალი. კაპიტალი უკვე აღარ ექვემდებარება ეროვნულ-სოლიდარულ ლოგიკას, სადაც პრაქტიკულად გაწყვეტილია ძველი პოლიტიკური ურთიერთობები „სახელმწიფო-ტერიტორია-სიმდიდრე".

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სახელმწიფო შესუსტებულია როგორც ზემოდან (ზენაციონალური ინსტიტუტები), ასევე ქვე-

---

[21] ციტ: Edvard Mead Earle, Adam Smith, Aexader Hamilton e Friedritch List. The Economic Foundation of Military Power,- In: Peter Paret. The Makers of Modem Strategy. Princeton University Press, 1986, p.218-220.

მოდან ეს უკანასკნელი კი გამოწვეულია რეგიონალიზმისა და სახელმწიფოს დანაწევრების ტენდენციებით[22].

ზოგიერთი მეცნიერი ვარაუდობს (და არცთუ უსაფუძვლოდ), რომ ამ მდგომარეობამ შეიძლება გამოიწვიოს ეროვნული სახელმწიფოს მარგინალიზაცია. კერძოდ, მხედველობაშია ის გარემოება, რომ ერთის მხრივ, ეროვნული სახელმწიფო საკმაოდ „პატარაა“ იმისათვის, რომ განახორციელოს ისეთი ეკონომიკური ფუნქციები როგორიცაა საწარმოო-ფინანსური პოლიტიკა, რომელიც გადაცემული აქვთ ზენაციონალურ სტრუქტურებს (ევროკავშირის ტიპის სტრუქტურები), მეორეს მხრივ, ეროვნული სახელმწიფო საკმაოდ „დიდია“ იმისთვის, რომ უზრუნველყოს ეკონომიკის ადგილობრივი (ადგილზე) მართვა. ეკონომიკა ქმნის „ქალაქ-სახელმწიფოს“ და „რეგიონ–სახელმწიფოს“ არქიპელაგებს, რომლებიც ურთიერთზემოქმედებენ „პანრეგიონების“ ან გლობალური სისტემების ჩარჩოებში, ცდილობენ რა მოახდინონ სახელმწიფო ხელისუფლების მინიმიზირება, უფრო ზუსტად კი ჩარევა სახელმწიფოს მხრიდან, რომელიც ეწინააღმდეგება მის ლოგიკას. ტრადიციულ ეროვნულ სახელმწიფოში სიმდიდრე და ძალაუფლება ერთმანეთის პარალელურად მოქმედებენ და ერთმანეთს ავსებენ. როგორც სიმდიდრეს, ასევე ძალაუფლებას აკონტროლებენ ხალხის მასები. პოლიტიკა, ეკონომიკა და ომი წარმოადგენდა ერთიანი ორგანიზაციული მოდელის გამოყენების სფეროს, რომელშიც საქმიანობის ყველა სახე, საბოლოო ჯამში ორიენტირებულია სახელმწიფო ტერიტორიაზე. პროტექციონიზმის და სახელმწიფო შეკვეთების არსებობის პირობებში, სახელმწიფოები უზრუნველყოფენ არსებული ბურჟუაზიის ინტერესების, კერძოდ კი მათი ეკონომიკური ინტერესების დაცვას. კაპიტალის დაგროვებამ გამოიწვია სიციალური დაძაბულობა, რომელსაც იმისთვის ახშობდნენ, რომ განმტკიცე-

---

[22] Kenicki Ohmae. The Rise of region state. – Foreign Affairs, summer 1993, p.78-87

ბულიყო და შეკრულიყო სახელმწიფო და გაძლიერებულიყო მისი სახელმწიფო მანქანა.

მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ ეს პროცესი განმტკიცდა ევროპაში ტერმინ „Welfare State" მეშვეობით, რომელსაც ერთის მხრივ, მიეყავართ სახელმწიფოს აქტიურ ჩარევამდე ეკონომიკაში, ხოლო მეორეს მხრივ, სიმდიდრის მნიშვნელოვან გადანაწილებამდე.

1980-იანი წლების დასაწყისიდან, როცა გააქტიურდა ლიბერალიზმის ტენდენციები, უპირველეს ყოვლისა ანგლოსაქსურ ქვეყნებში, აუტანელი გახდა სოციალური სახელმწიფოს დანახარჯები, ახალი ეკონომიკური კონკურენციის პირობებში. ეს იმითაც აიხსნება, რომ სახელმწიფოს სულ უფრო გაუჭირდა ტრადიციული საგადასახადო ბერკეტების გამოყენება, რადგანაც ამჟამად არა სახელმწიფო, არამედ თვითონ ტრანსნაციონალური საწარმოები და მსხვილი გადამხდელები ირჩევენ თუ სად გადაიხადონ ეს გადასახადები. ამ ფონზე არახელსაყრელ პირობებში აღმოჩნდნენ ის სახელმწიფოები, რომლებმაც დროულად არ შეამცირეს სახელმწიფოს მხრიდან ეკონომიკაში ჩარევა (როგორც ეს იყო XXს მიწურულს იტალიასა და ბელგიაში). ამ ქვეყნებისათვის დამახასიათებელია ჰიპერტროფირებული სახელმწიფოებრივი მეურნეობა, რის შედეგადაც გროვდება დიდი სახელმწიფო ვალი. ცივი ომის შედეგებს მივყავართ სახელმწიფოს მხრიდან ეკონომიკაში ჩარევის შემცირებამდე, ან უკიდურეს შემთხვევაში სახელმწიფოს ეკონომიკური ფუნქციის ცვლილებამდე. შეიძლება მსოფლიო ეკონომიკის ხასიათის ცვლილებები უფრო ღრმა და მდგრადი ფაქტორია იმ ეკონომიკურ სიტუაციასთან შედარებით, რომელიც აღმოცენდა დასავლეთისა და აღმოსავლეთის დაპირისპირების დასრულების შემდგომ. ეკონომიკური საზღვრები უკვე აღარ შეიძლება ჩაიკეტოს, რამდენადაც ეკონომიკა უკვე გასცდა მას. ცნება „სასიცოცხლო სივრცე" უკვე აზრს კარგავს, რამდენადაც ეკონომიკა გახდა გლობალური. ამ

გარემოებათა ძალით, საზღვრების სტრატეგიული დაცვა უკვე შეუძლებელი ხდება. ეკონომიკური პოლიტიკა უნდა დაემორჩილოს გაცილებით დინამიურ მიდგომებს და უნდა იბრძოლოს არა იმდენად სიმდიდრით, მისი გადანაწილების გულისათვის, რამდენადაც უნდა ახდენდეს ამ სიმდიდრის გამრავლებას. თუმცა სახელმწიფოს ეკონომიკური ფუნქცია ისევე მნიშვნელოვანია, ვინაიდან ერთის მხრივ, სახელმწიფო ნამდვილად არის არა მხოლოდ პოლიტიკური წარმომადგენლობის გამომხატველი, არამედ სოლიდარობის ბურჯიც. მეორეს მხრივ, მსოფლიო გეოეკონომიკური კონკურენცია ძალიან გამწვავდა, სადაც საბოლოო ჯამში მონაწილეობენ „ქვეყანა-სისტემები“, რომლებიც საწარმოების მსგავსად, ცდილობენ გაზარდონ მოგება, ანუ ერის სიმდიდრე და საკუთარი მოსახლეობის კეთილდღეობა, მსოფლიო ბაზარზე თავის კონკურენტუნარიანობის ამაღლების გზით. სიმდიდრის გამრავლება პრიორიტეტული ხდება მის გადანაწილებასთან შედარებით. ამის მიუხედავად, სახელმწიფოს არ ძალუძს ეკონომიკის პირდაპირი რეგულირება. ამჟამად მრავალი ეკონომიკური ძალა ტრანსნაციონალურია და არ ექვემდებარება კონტროლსა და უშუალო მართვას.

პოსტინდუსტრიული საზოგადოების აღმოცენება მოასწავებს ახალი საზოგადოებრივი გეოგრაფიის დასაწყისს, რომლის ჩარჩოებში კავშირი სახელმწიფოსა და სიმდიდრეს შორის იღებს სხვადასხვა ფორმას და აყალიბებს ახალ კომბინაციებს. ირღვევა ის მჭიდრო კავშირი, რომელიც არსებობდა სიმდიდრესა და ტერიტორიას შორის. კერძოდ, ხდება სიმდიდრის დემატრიალიზაცია და დენაციონალიზაცია. ეკონომიკური სუვერენიტეტი უკვე აღარ შედის მხოლოდ სახელმწიფოს „დაქვემდებარებაში“, არამედ ხდება მისი გადანაწილება (დარგობრივი პრინციპით) რეგიონულ ზესახელმწიფოებრივ ან გლობალურ დონეზე. სახელმწიფოს დონე უკვე აღარაა ტერი-

ტორიული მაშტაბით ეკონომიკური ეფექტის გარანტი იმ ფორმით როგორც ეს ადრე იყო.

ითვლება, რომ მსოფლიოს ახალი ეკონომიკური (შესაბამისად პოლიტიკურიც) გეოგრაფია ეფუძნება პრინციპს, რომლის მიხედვითაც ძირითადი ეკონომიკური ფუნქციები სახელმწიფოდან გადადის რეგიონებზე და ზენაციონალურ ინსტიტუტებზე, რომელიც იქმნება პანრეგიონული ეკონომიკური „პოლუსების" მართვის მიზნით (მაგ: ევროკავშირი). თუმცა არსებობს საწინააღმდეგო მოსაზრებაც, რომლის მიხედვითაც, ეროვნული სახელმწიფოების ფუნქცია მნიშვნელოვნად უნდა შეიცვალოს, მაგრამ ამასთან ისინი უნდა დარჩნენ მთავარი როლის შემსრულებლებად, მათ შორის ეკონომიკაშიც[23]. ანალოგიურ აზრს გამოთქვამს გეოეკონომიკის ფუძემდებელი ე.ლუტვაკიც, რომელიც ეარაუდობს, რომ იმდენად, რამდენადაც „ოქროს მილიარდის" ქვეყნებს შორის საპირწონეობა ვერ მიიღწევა სამხედრო ძალით, იგი მიღწეული იქნება მუდმივი გეოეკონომიკური კონფლიქტით, რომლის „ლოგიკა" იქნება ომი, ხოლო „გრამატიკა" ეკონომიკა. ასეთი კონფლიქტი კი მოხდება გეოეკონომიკურ პოლუსებს შორის (რომლებიც ამჟამად იმყოფებიან ფორმირების სტადიაში), როგორც რეგიონულ ასევე, ამ პოლუსების შიგნით არსებულ ცალკეულ სახელმწიფოებს შორის.

თითოეული სახელმწიფო შეეცდება აამაღლოს საკუთარი კონკურენტუნარიანობა, იმისთვის, რომ ფლობდეს დიდ პოტენციალს და გააუმჯობესოს საკუთარი მოსახლეობის კეთილდღეობა[24].

---

[23] უფრო დაწვრილებით იხ: Michael Porter. The Competitive Advantige of Nations, Mae Millan, London 1990 or Jejjry Anderson. Skeptical Reflections on a Europe of Regions: Britain, Germany and the European Regional Development Fund. Journal of Pubblic Policy. Ottobre-Dicembre, 1990, p. 414-447.

[24] Edvard N. Luttwark. From Geopolitics to'Geoekonomics. Logic of Conflict, Grammer of Commerce.- The National Interst, Summar 1990, p. 17-23

ამდენად, გეოეკონომიკაში მთავარია სახელმწიფოთა დაინტერესება ხელი შეუწყონ ისეთ პირობების ჩამოყალიბებას, რომელიც საშუალებას იძლევა გაზარდოს „ქვეყანა-სისტემების“ ეფექტიანობა საერთაშორისო კონკურენტულ ბრძოლაში. საუბარია „ქვეყანა-სისტემების“ ეფექტურობის ზრდაზე იმისაგან დამოუკიდებლად, თუ რა პოლიტიკური და სამხედრო ამოცანების წინაშე დგას იგი, რომელსაც თავის მხრივ უყენებს ეკონომიკური ომი. აქედან გამომდინარე გეოეკონომიკა ორიენტირებულია იმ სტრუქტურული ცვლილებების შესწავლაზე, რომელიც აუცილებელია ისეთ პრობლემებთან გამკლავებისათვის, როგორიცაა ბაზრის გლობალიზაცია, კაპიტალის ამბოხი და „სიღარიბის აჩრდილი“. რაც თავის მხრივ სახელმწიფოს მხრიდან კარგად მოფიქრებული გეოეკონომიკური, გეოპოლიტიკური და გეოსტრატეგიული კომპლექსური ვექტორების შექმნას გულისხმობს.

1.6 გეოეკონომიკა, გეოპოლიტიკა და გეოსტრატეგია

იმისათვის, რომ გაეერკვეთ გეოეკონომიკის მნიშვნელობასა და მექანიზმში, ისე როგორც ეს ესმის გეოეკონომიკის ფუძემდებელ ე. ლუტვაკს, სასურველია იგი განვიხილოთ იმ პოლემიკის ფონზე, რომელიც ამჟამად გაჩაღებულია აშშ–ში და უკავშირდება აშშ–ის როლისა და ინტერესების განსაზღვრას ცივი ომის შემდგომ პერიოდში.

ე. ლუტვაკის მიხედვით გეოპოლიტიკასა და გეოეკონომიკას შორის დაპირისპირება მოქმედებს, როგორც ამერიკული კოლბერიზმის აპოლოგია, რომელიც მიმართულია ერის სოციალურ-ეკონომიკური საფუძვლების აღდგენისაკენ. აშშ-ში ეს ნიშნავს იმ პრობლემების დაძლევას, რომელიც დაკავშირებულია „bashing Sapan“-ის მძლავრ დინებასთან და შედარებით გამოკვეთილ პროტექციონიზმთან ევროპულ კონკურენტებთან მიმართებაში. თავს ესხმის რა „გეოპოლიტიკას“, ე. ლუტვაკი ალბათ იმათ წი-

ნააღმდეგაც გამოდის, ვინც მტკიცედ უჭერს მხარს აშშ და ევროპის მუდმივ სამხედრო-პოლიტიკურ პარტნიორობას და შიშობს, რომ იგი შეიძლება კომპრომიტირებული იყოს ნეოპროტექციონისტური პოლიტიკით, რომელიც გახლიჩავს WTO-ს (მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია) და გაამწვავებს კონფლიქტურ სიტუაციას ინტერატლანტურ ეკონომიკაში. უფრო ფართო გაგებით კი გეოეკონომიკა არაა გეოპოლიტიკის საწინააღმდეგო მხარე. გეოპოლიტიკური მიზნების მისაღწევად აუცილებელია ეკონომიკური მეთოდების გამოყენება, სწორედ რომ გეოპოლიტიკურ მიზნებს მიეკუთვნება მსოფლიო ბაზარზე საკუთარი ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის სტრუქტურული და კონიუქტურული ზრდა, ანუ პოლიტიკა არ შეიძლება დავიყვანოთ მერკანტილურ მოსაზრებამდე, თუმცა მათი როლი გაზრდილია სახელმწიფოთა გლობალურობისაკენ სწაფვის კონტექსტში. შესაბამისად გეოეკონომიკა არის მეთოდი და არა გლობალისტიკის შემცვლელი.

ჩვენი გაგებით გეოეკონომიკა ეფუძნება, არა მხოლოდ ლოგიკას, არამედ გეოპოლიტიკისა და გეოსტრატეგიის სინტაქსისსაც, ხოლო უფრო ფართო გაგებით კონფლიქტური სიტუაციების მთელს პრაქტიკულობას. განსხვავება მდგომარეობს თითოეული საშუალების სპეციფიკურ „გრამატიკაში“. თუ გავიხსენებთ კლაუზევიცის მოსწრებულ თეზისს პოლიტიკისა და სტრატეგიის ურთიერთობასა და განსხვავებებზე, „გრამატიკა“ იცვლება იმიტომ, რომ იგი ასახავს გამოყენებული საშუალების თავისებურებას, სამაგიეროდ ყველა განსხვავებული „გრამატიკები“ იყენებენ ერთსა და იმავე ლოგიკას, ხშირად კი ერთ სინტაქსსაც.

გეოსტრატეგიასა და გეოეკონომიკას შორის ძირითადი განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ უპირველეს ყოვლისა, სტრატეგია შთაგონებულია უშუალოდ პოლიტიკით და იყენებს საშუალებებს, რომლებიც თავიანთი ბუნებით განსხვავდება მისი მიზნებისაგან. აქედან გამომდინარეობს, რომ აზრი აქვს არა

სამხედრო გამარჯვებას, არამედ მხოლოდ პოლიტიკურს. მეორეს მხრივ, ეკონომიკური მიზნები, რომელსაც მისდევს გეოეკონომიკა, სტრუქტურულად გაცილებით ახლოა სახელმწიფოს საბოლოო პოლიტიკურ მიზნისაკენ სწრაფვასთან, ვინაიდან სიმდიდრის შექმნა, მოსახლეობის აყვავება და კეთილდღეობა არა მხოლოდ ეკონომიკურ, არამედ პოლიტიკურ მიზანსაც წარმოადგენს. ე.ი საუბარი "ეკონომიკურ გამარჯვებაზე" საესებით შესაძლებელია. თუმცა გეოეკონომიკამ შეიძლება დაისახოს სუფთა ეკონომიკური ამოცანებიც, მაგალითად საკუთარი როლის ამაღლება და გაელენის გაძლიერება მსოფლიო მაშტაბით. ამდენად, ეკონომიკა არა მხოლოდ მიზანი, არამედ პოლიტიკის საშუალებაცაა.

თუ გეოსტრატეგიაში თამაშები შეიძლება იყოს ან არ იყოს ნულოვანი ჯამით, გეოეკონომიკაში ნულოვანი ჯამი გარანტირებულია. თუმცა გეოეკონომიკური კონფლიქტი არაა მომაკედინებელი, უნდა შეენიშნოდ, რომ ომშიც „თამაშები" იშვიათად არის ნულოვანი ჯამი. გეოეკონომიკური ომები არ ისწრაფვიან მოწინააღმდეგის ბოლომდე განადგურებისაკენ. გაცილებით მოსახერხებელია „იყიდო" მტერი, ვიდრე სისხლისმღვრელ ბრძოლაში გაანადგურო. გაცილებით სასურველია მოატყუო და ტყვედ აიყვანო იგი, ვიდრე გაანადგურო, თუმცა ისტორიას ახსოვს მხოლოდ ცალკეული უკიდურესი შემთხვევები, როცა ბრძოლა მიდიოდა არა სიცოცხლეზე, არამედ სიკვდილზე ისეთი ლოზუნგების თანხლებით როგორიც იყო "Delenda Carthago" ან "Vietory First".

გეოეკონომიკაში არსებობს წესები, რომელიც არ შეიძლება დაირღვეს, ყოველ შეთხვევაში ღიად მაინც (მაგ: სატარიფო შეთანხმებები), სხვა შემთხვევაში იგი გამოიწვევს საპასუხო ქმედებებს სხვა სახელმწიფოების მხრიდან. მოქმედების სტრატეგიის განსაზღვრის შესაბამისად (ეს განსაზღვრა ეკუთვნის გენერალ ბიოფრეს) თავისუფალი მოქმედების გამოყენების ხელოვნებაში, რომელსაც იძლევა ბირთვული შეჩერების სისტემა,

გეოეკონომიკური სტრატეგია იყენებს „ნიშებს“, რომლებიც სრულად ვერ ფარავს საერთაშორისო ეკონომიკურ წესებს (იმ წესებსაც ჩათვლით რომელიც იქმნება საწყისი წესების დამახინჯებით ან მათი შინაარსისა და მიზნების დამახინჯებით). თუმცა ეს წესები არ გადიან იმ საზღვრებიდან, რომელსაც შეიძლება მიყვეს საკმაოდ მკაცრი საერთაშორისო რეაქცია. თუ გეოსტრატეგიაში სახელმწიფო სრულიად აკონტროლებს საკუთარ შესაძლებლობებს და იცის მისი ძლიერი და სუსტი მხარეები ,გეოეკონომიკაში ასეთი კონტროლი მხოლოდ ნაწილობრივ ხორციელდება, ვინაიდან ეკონომიკური სისტემისათვის დამახასიათებელია გადაწყვეტილებების მიღების მრავალი ცენტრის არსებობა. იგი განიცდის ტრანსნაციონალური ძალების ზეგავლენას, რომელიც როგორც ავღნიშნეთ არ ექვემდებარება სახელმწიფოს მხრიდან კონტროლს. თუმცა სახელმწიფოებს შეუძლიათ უბიძგონ მათ ისეთი მოქმედებებისაკენ, რომელიც სასიკეთო შეიძლება აღმოჩნდეს მათი მიზნების რეალიზაციისათვის.

თეორიულად, დღევანდელ რაციონალურ მსოფლიოში, ალბათ გაცილებით უკეთესი იქნებოდა ეკონომიკის საყოველთაო მმართველობის დამყარება, მისი მაქსიმალური ზრდის უზრუნველყოფის მიზნით. მაგრამ ეს მხოლოდ მითია, ისეთივე როგორც მსოფლიო მთავრობა და საყოველთაო მსოფლიო. „რეალპოლიტიკის“, ისევე როგორც „რეალეკონომიკის“ სამყაროში საქმე სულ სხვაგვარადაა. კერძო ინტერესები ბატონობენ საერთოზე, თუნდაც იმიტომ, რომ ეს უკანასკნელი არსებობს მხოლოდ ჩვენს წარმოდგენაში. მოკლევადიანი გეგმები ბატონობენ გრძელვადიანზე. საერთაშორისო კონკურენციისა და ახალი ეკონომიკური „მტრის“ ძიების მოტივით, მმართველი კლასები და ბიუროკრატია აძლიერებს თავის შიდა ხელისუფლებას. პოლიტიკური ელიტები ლეგიტიმიზდებიან და აღწევენ კონსესუსს. მტრის არსებობა ერთად კრავს „ქალაქს“,

თუ რომელიმე სახელმწიფო ეკონომიკურად აგრესიულად მოქმედებს. დანარჩენი ქვეყნები ადეკვატური ზომებით პასუხობენ.

გეოეკონომიკური მეტოქეობა ისეთივეა, როგორც პოლიტიკურ-სტრატეგიული. პ.კრუგმანის აზრით, „სახელმწიფო დღემდე მთავარ როლს თამაშობს საკუთარი მრეწველობის საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის ამაღლებაში“[25]. ეს, უპირველეს ყოვლისა, ეხება ისეთ საბაზრო ფაქტორებს, როგორიცაა განათლება, სამეცნიერო დამუშავებები და კვლევები, ინფრასტრუქტურა ანუ ის სფეროები, რომელიც იმართება „მაღალი ტექნოლოგიების კოლბერიზმის“ სისტემით.

გეოეკონომიკა, როგორც ჩანს, განსხვავდება როგორც ეკონომიკური ომისაგან, ასევე მერკანტილიზმისა და პროტექციონიზმისაგან. ომსა და ეკონომიკას შორის დამოკიდებულება სამმაგ ხასიათს ატარებს: ა) ეკონომიკა როგორც ომის მიზეზი; ბ) ეკონომიკა როგორც ომის ინსტრუმენტი „გეოპოლიტიკური“ ომის კონტექსტში და გ) ეკონომიკა როგორც საკუთრივ ეკონომიკური ომის ინსტრუმენტი[26].

„ცხელი“ ომის მსგავსად, ეკონომიკური ომი, რომელსაც გააჩნია გეოეკონომიკური მიზნები, ასევე წარმოადგენს ნამდვილ „ომს“ და განსხვავდება უბრალო გეოეკონომიკური კონკურენციისაგან. ამ ორ „ომს“ ის აერთიანებს, რომ ისინი თავის სტრატეგიულ ამოცანად ისახავენ „გამარჯვებას“ მტერზე, ანუ გამარჯვებულის ნების დაქვემდებარებაში დამარცხებულის მოქცევას, განსხვავება კი ისაა, რომ ეკონომიკურ ომებში, რომელიც მიზნად ისახავს ეკონომიკურ გამარჯვებას, საქმე სხვაგვარადაა. კერძოდ, არსებობს გარკვეული გაიგივება საშუალებებსა და მიზნებს შორის. ამ შემთხვევაში ერთიც და მეორეც ეკონომიკური ხასიათისაა, ისევე როგორც დანახარჯები და მოგება. ზოგადად ასეთი ომის დროს შეფასება კეთდება არა

---

[25] ციტ. Raymond Vernon. Geoeconomics 101, - The National Interest, Winter 1993-1994. p.104

[26] Carlo Jean. Geopolitic, Luterza. Roma, Bari: 1995. p.137-144

პრინციპით დანახარჯი-ეფექტიანობა, არამედ პრინციპით დანახარჯი-მოგება. ამასთან უნდა არსებობდეს მკვეთრი შესატყვისობა საწარმოო დანახარჯებსა და მისგან ამოღებულ მოგებას შორის. პირველი მეორეზე დაბალი უნდა იყოს. ზარალი არ მართლდება კონკურენტისათვის მიყენებული ზიანის დონით და ზომით. შეიარაღებული ტოტალური ომის ლოგიკა, რომელიც როგორც აღვნიშნეთ, უპირატესად წარმოადგენს ნულოვანი ჯამის ლოგიკას, ადგილს უთმობს შეზღუდული ომის ლოგიკას, რომელიც ყველაზე მეტადაა დამახასიათებელი ეკონომიკური ომის ტიპისათვის.

ეს უკანასკნელი ამოდის ნულოვანი ჯამის პრინციპიდან და ძირითადად ეფუძნება მსოფლიო გარიგებას, ვიდრე სასიკვდილო შეტაკებას. ამ დროს მთავარი მიზანი მოწინააღმდეგისათვის ზიანის მიყენება კი არა, არამედ საკუთარი სიმდიდრის გაზრდაა, განსაკუთრებით საბაზო ინვესტიციების დახმარებით, რომელიც მწარმოებლურობის ზრდის საშუალებას იძლევა. მოწინააღმდეგისათვის ზიანის მიყენება ეს არის by-product, ანუ შედეგი და არა მიზანი.

სწორედ აქ იმალება წარსულისაგან არსებითი განსხვავება. კერძოდ, სახელმწიფო უპირატესად დარჩა ტერიტორიული, მაშინ როცა ბაზარი და საწარმოები გახდნენ ტრანსნაციონალურები ან, უკიდურეს შემთხვევაში, უკვე აღარ იყოფიან სახელმწიფოთაშორისი საზღვრებით. შესაბამისად, ნაკლები შესაძლებლობები გააჩნია აკონტროლოს არა მარტო წარმოება და ვაჭრობა, არამედ ფინანსური და ფისკალური სეგმენტები, რომლებიც ადრე სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის მთავარ ინსტრუმენტს შეადგენდნენ.

ეკონომიკური ომისაგან განსხვავებით, უბრალო გეოეკონომიკური მეტოქეობა არ ისახავს მიზნად მოწინააღმდეგის ეკონომიკის დასუსტებას, მისი მიზანია გააძლიეროს საკუთარი ეკონომიკა და შედარებით კონკურენტუნარიანი გახადოს იგი. თითოეული სახელმწიფო ცდილობს ცალმხრივად დააფიქსიროს

მისთვის ხელსაყრელი წესები და თავს მოახვიოს ისინი კონკურენტ „სახელმწიფო-სისტემებს“, თუნდაც ნელ ნელა და შემოვლითი გზებით, რათა არ გამოიწვიოს ნაადრევი რეაქცია. გეოეკონომიკური მეტოქეობა ე. ლუტვაკის აზრით, არსებითად არის შეჯიბრი, რომლის მიზანია მსოფლიო ბაზარზე გააუმჯობესოს საკუთარი “ეროვნული ჩემპიონების“ და თავისი „ქვეყანა-სისტემების“ სატურნირო მდგომარეობა.

გეოეკონომიკური მეტოქეობა ხორციელდება ისეთი ღონისძიებების გატარების შედეგად, როგორიცაა: ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, განათლებისა და პროფესიული დონის ამაღლება, მომსახურების სფეროს სრულყოფა, ექსპორტის მხარდაჭერა და ა.შ. არსებითად საუბარია „კოლბერიზმის თანამედროვე ფორმაზე, კერძოდ, „მაღალი ტექნოლოგიების კოლბერიზმზე“[27]. ამასთან გეოეკონომიკურ მეტოქეობაში გამოიყენება არატარიფული ხასიათის ღონისძიებებიც, რომლებიც არა ფორმით, არამედ არსით არღვევენ თავისუფალ კონკურენციისა და თავისუფალი ბაზრის იმ წესებს, რომელიც დადგენილია მსოფლიო, მუნიციპალურ და ორმხრივ დონეებზე.

სწორედ გეოეკონომიკის ეს მეორე ასპექტი აქვს მხედველობაში ე. ლუტვაკს, როცა ამტკიცებს, რომ „გეოეკონომიკაში ბატონობს შეტევითი იარაღი“, რომ მის უკანასკნელ საშუალებას წარმოადგენს „მტაცებლური ფინანსური პოლიტიკა“ და რომ გეოეკონომიკის საბოლოო მიზანია, საკუთარი როლის მოპოვება და დამკვიდრება მსოფლიო ეკონომიკაში[28].

რ. სოლოუ ე. ლუტვაკს საყვედურობს, რომ მას უბრალოდ გადააქვს სამხედრო სტრატეგია ეკონომიკის სფეროში და არ ითვალისწინებს ბაზრის მთელ სირთულეს და საერთოდ ეკონომიკის რთულ ხასიათს. ეს ავტორი უარყოფს საელმწიფოს

---

[27]. Bernard Cates. Entre geostratcgie et geoeconomie.- Commentaire, ete 1994, p.449

[28]. Edvward Luttwak. The Coming Global War for Economic Power - The International Economy, September 1993, p. 19-20; 64-67

შესაძლებლობას სტიმული მისცეს კელევით საქმიანობასა და წარმოებას მომავალი სამრეწველო ტერიტორიის დაუფლების მიზნით. იგი უარყოფს ე. ლუტვაკის მიერ ლიბერალიზმის კრიტიკასაც, რომელიც ამერიკის პრაქტიკაში დამკვიდრდა რ. რეიგანის ადმინისტრაციის დროს და რომელმაც თითქოს გამოიწვია ბევრი ამერიკელის გაღარიბება. ასეთ პოლიტიკაზე პროტექციონისტური ზომების მიღება, სოციალური რეაქციის შერბილების მიზნით, ამ მეცნიერის აზრით, გამოიწვევდა კიდევ უფრო მძიმე შედეგებს ამერიკელი საზოგადოების შინაგან ერთიანობაში და საერთოდ ამერიკის მდგომარეობაზე მთელს მსოფლიოში[29].

პ. კრუგმანი უარყოფს competitiveness-ს მნიშვნელობას და იმ ფაქტს, რომ მარჯვე ვაჭრობა აუცილებლად განაპირობებს ქვეყნის ეკონომიკურ წარმატებას. ეს ავტორი ამტკიცებს, რომ სახელმწიფოს სიმდიდრე და მოსახლეობის ცხოვრების სტანდარტები ძირითადად განისაზღვრება შინაგანი ფაქტორებით. გამოცდილება აჩვენებს, რომ მსხვილი სახელმწიფოები მაინცდამაინც არ გრძნობენ თავის თავზე ურთიერთშორის კონკურენციის შედეგებს. ამ ავტორის აზრით, „რიტორიკა კონკურენტუნარიანობასთან დაკავშირებით" ინსპირირებულია მხოლოდ შინაგანი კონსენსუსის მობილიზაციით და საშუალებას იძლევა ამერიკის ეკონომიკური სიძნელეების მიზეზები მიაწერონ არა ამერიკელთა დაბალ შრომისუნარიანობას, არამედ არაკანონიერ, არაკორექტულ ან უკიდურეს შემთხვევაში სხვა ქვეყნების ბევრად უფრო ეფექტურ ეკონომიკურ ქცევას.

კონკურენტუნარიანობის თემის გადატანას პოლიტიკური დისკუსიების ცენტრში, პ. კრუგმანის აზრით, შეიძლება ჰქონდეს საკმაოდ საშიში შედეგები, იმდენად რამდენადაც მას შეუძლია გაამწვაოს საერთაშორისო დაპირისპირება და გამოიწვიოს

[29] Robert M. Solow. Q. mercato del lavoro come instituzione sociale Il Mulino, Bologna, 1994.

ნამდვილი ეკონომიკური ომები, რომელიც ყველასათვის დიდი ზარალით შეიძლება დასრულდეს[30].

ე. ლუტვაკის თეზისებსა და მის კრიტიკოსებს შორის შუალედური პოზიცია უჭირავს კონკურენციის საბჭოს პრეზიდენტს ჯ.ბერტონს. ეს საბჭო აერთიანებს საქმიანი მსოფლიოს ასზე მეტ ექსპერტს, პროფკავშირებსა და აკადემიურ საზოგადოებას. ე. პრინგი აღნიშნავს სახელმწიფო-სისტემების კონკურენტუნარიანობის როლის მნიშვნელობას ახალ გლობალურ ეკონომიკაში. ე. პეტერსენი ყურადღებას ამახვილებს ეკონომიკური გლობალიზაციის ექსპონენციალურ ზრდაზე და პროტექციონისტული ზომების მიღების შესაძლებლობაზე, იმის გათვალისწინებით, რომ ეკონომიკური ინტეგრაციის ვადები, განსხვავდება პოლიტიკური ინტეგრაციის ვადებთან შედარებით[31].

ამდენად, გეოეკონომიკის, გეოპოლიტიკისა და გეოსტრატეგიის ურთიერთობის საკითხებზე პოლემიკა ძალზედ გააქტიურებულია, განსაკუთრებით კი (როგორც დავინახეთ) აშშ. საერთოდ ტერმინი „გეოეკონომიკა“ უკვე ყველგან იხმარება. ამ მიმართულებით განსაკუთრებული სტიმული გახდა ე.წ „ჯაშუშური ომი“, რომელიც გაჩაღდა საფრანგეთსა და აშშ შორის 1994წ. ამ „ომში“ ჩართული იყო ორივე ქვეყნის ინფორმაციის სამსახური, იმ მიზნით, რომ მათ მხარი დაეჭირათ საკუთარი კომპანიებისათვის მსოფლიო ბაზარზე, სამრეწველო შპიონაჟისა და უპატიოსნო სავაჭრო კონკურენციის დახმარებით. როგორც არ უნდა იყოს ე. ლუტვაკის ეკონომიკურ თეო-

---

[30] Paul Krugman, Competitiveness: A Dangerous Obsession- Foreign Affairs, March-April 1994, p.28-44.

[31] Daniel F. Borton Jr. Competitiveness: Here to Stay. – The Washington Quarterly, Autumn 1994. p.99-109; Ernest H. Preeg. Krugmanian Competiveness: A Dangerous Obfuscation – The Washington Quarterly, Autumn 1994, p. 111-122; Eric R.Petersen. Looming Collision of Capitalism? – The Washington Quarterly, Spring 1994, p.65-75

რიაში არის ერთი ასპექტი, რომელსაც ყველა ექსპერტი ეთანხმება. საუბარია განათლების სისტემისა და პროფესიული კადრების მომზადებაზე, რომელიც მუდმივ სრულყოფას მოითხოვს და უნდა შეესაბამებოდს ახალი ეკონომიკის მოთხოვნებს. ეს ეხება საკუთრივ გეოეკონომიკასაც, რომლის მეთოდები, სტრატეგია და ტაქტიკა ასევე სერიოზულ შესწავლას და განვითარებას საჭიროებს.

1.7. გეოეკონომიკის მეთოდები, სტრატეგია და ტაქტიკა

გეოეკონომიკური კონკურენცია უპირველეს ყოვლისა იყენებს ყველა მეთოდს რომლებიც მოსამზადებელ სტადიაზე სახელმწიფოსათვის უზრუნველყოფენ ყველაზე უფრო ხელსაყრელ პირობებს საკუთარი კონკურენტუნარიანობისათვის მსოფლიო არენაზე. „ქვეყანა-სისტემების“ ჩარჩოებში მოქმედების შესაძლებლობა სწორედ რომ გულისხმობს სისტემის პროექტირებისა და მართვის ადეკვატური ცენტრების არსებობას. ამისათვის კი საჭიროა სახელმწიფოს მართვის ღრმა რეფორმები.

მსგავსად იმისა, როგორც არსებობენ კრიზისებისა და სამხედრო კონფლიქტების მართვის პოლიტიკურ-სტრატეგიული სტრუქტურები, ზუსტად ასევე გათვალისწინებული უნდა იქნას გეოეკონომიკური კრიზისებისა და კონფლიქტების მართვის მექანიზმები და სტრუქტურები, ანუ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, აუცილებელია ეროვნული ეკონომიკური საბჭო, მსგავსად ეროვნული უსაფრთხოების საბჭოსი ,რომელიც თუმცა განსხვავებული ფორმებით, მაგრამ დასავლეთის თითქმის ყველა ქვეყანაში არსებობს (პარადოქსია მაგრამ კ. ჯანისა და პ. სავონას ქვეყანაში ასეთი საბჭო არ არსებობს გ.კ.). ძალზედ მნიშვნელოვანია ასევე სახელმწიფო ჩინოვნიკების მომზადების საკითხიც (ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გარდამავალი ეკონომიკის მქონე ისეთი ქვეყნისთვის როგორიც საქართველოა). რასაკვირველია აქ არ ვგულისხმობთ სახელმწიფო მართვის ან

დიპლომატიის სპეციალობების უმაღლესი სასწავლებლის რაღაც გეოეკონომიკური ომების სკოლებად გადაკეთებას, თუმცა ამ მიმართულებით რაღაცა მაინც უნდა გაკეთდეს, უკიდურეს შემთხვევაში ის მაინც, რომ შესწავლილი იქნას თანამედროვე გეოეკონომიკური ომების მექანიზმი და ჩამოყალიბდეს ექსპერტთა ჯგუფები, რომლებსაც შეეძლებათ შეაფასონ ყველა შესაძლებელი სტანდარტების ზემოქმედება ეროვნულ ეკონომიკაზე, არა მხოლოდ ვაჭრობის, არამედ ფინანსურ და სხვა მნიშვნელოვან სფეროებში. კერძო საქმიანობამ გაცილებით მეტი მხარდაჭერა უნდა მოიპოვოს ქვეყნის დიპლომატიური წარმომადგენლობების მხრიდან ვიდრე დღეს არის. საქართველო დღეისათვის ძალზედ სუსტად მონაწილეობს ევროპის ნორმატიული მოთხოვნების განსაზღვრის პროცესში, რომელიც სულ უფრო დეტალურად ახდენს ეკონომიკური საქმიანობის რეგულირებას, კონსერვირებული საკვები პროდუქტების მოცულობის ფორმატით დაწყებული, კომუნიკაციების ინფორმაციული ქსელებით დამთავრებული. ჩვენი საწარმოები ძალზედ რისკავენ რომ იზარალონ, უცხო ფირმების სასარგებლოდ. განსაკუთრებული ძალისხმევაა საჭირო რათა გამოსწორდეს ასეთი მდგომარეობა. ამ მიმართულებით კი საჭიროა საქართველოში ჩამოყალიბდეს მძლავრი გეოეკონომიკური სკოლა, რომელიც ჯერჯერობით საერთოდ არ არსებობს, არადა საქართველო უკვე დიდი ხანია ჩართულია გეოეკონომიკურ ომში გაცილებით სასტიკ მოწინააღმდეგესთან, ვიდრე ეს სხვა ქვეყნებთან მიმართებაში შეიძლება ითქვას. ბუნებრივია, რომ ამისათვის საჭიროა მომზადება, რომელშიც მოვიაზრებთ ა) ეროვნული გეოეკონომიკური „ჩემპიონების“ გამოვლენას; ბ) გეოეკონომიკური ამოცანების გაჭრაში საერთაშორისო ჩარევის გამოყენებას; გ) ეროვნული ეკონომიკური ინტერესების მნიშვნელობის დემონსტრირების უნარების გამომუშავებას; დ) ნაკლებად მორიდებული (მტკიცე) საგარეო პოლიტიკის გატარებას, ანუ საგარეო პოლიტიკის ისეთი კურსის გატარებას, რომელიც მაქსიმალუ-

რად დააკმაყოფილებს ქვეყნის გეოეკონომიკურ ინტერესებს რეგიონული და გლობალური მაშტაბით; ე) ისეთი „დაზვერვის“ სამსახურების შექმნას, როგორც შეტევის, ასევე თავდაცვის, ანუ სავაჭრო სამრეწველო შპიონაჟისა და კონტრშპიონაჟისათვის, რომლებიც შეესატყვისებიან ახალი გეოეკონომიკური კონკურენციის მოთხოვნებს[32]. ვ) გეოეკონომიკური ოპერაციების გატარების დროს, გამოყენებული უნდა იქნას ყველა ბერკეტი, იქნება ეს ფინანსური, ფისკალური თუ ფულად-საკრედიტო. იმისათვის, რომ ზემოქმედება მოვახდინოთ შიდა და გარე ვაჭრობაზე, კაპიტალის ბაზარსა და წარმოების ფაქტორებზე.

როგორც ყოველთვის, ყველაზე უფრო ეფექტური სტრატეგიაა – ირიბი სტრატეგიები. ისინი არ იწვევენ უცხოურ რეაქციებს ან აყოვნებენ მას. ამ კუთხით დიდ ინტერესს იწვევს ნორმატივები იმპორტზე და არასატარიფო ბარიერები. ისინი გამოიყენება მაგალითად სანიტარული ან უსაფრთხოების მოჩვენებითი მოსაზრებებით, ან ეროვნული სტანდარტების მანიპულირების გზით, საკუთარი მრეწველობის დაცვის მიზნით. ამ მხრივ "კლასიკური" შემთხვევა მოხდა საფრანგეთში იაპონურ ტელევიზორებთან მიმართებაში. კერძოდ, ყველა საბაჟო შემოწმება ხორციელდებოდა შიდა საბაჟო ტერმინალებში, რომელიც არასაკმარისად იყო უზრუნველყოფილი ტრანსპორტით, კავშირგაბმულობით, ასევე სრულად არ იყო დაკომპლექტებული მოსამსახურეებით. ყველაფერმა ამან რამდენიმე თვით გადაწია ამ ტელევიზორების შეტანა ბაზარზე, რითაც ერთის მხრივ, კონკურენტებს აეკიდათ მძიმე ფინანსური ტვირთი, ხოლო მეორეს მხრივ. მოგებული იქნა დრო ბაზარზე ეროვნული პროდუქტების გავრცელებისათვის.

გეოეკონომიკურ შეჯიბრში მონაწილეობა შეიძლება იმ პირობით, რომ ქვეყნის შიგნით დამყარებული იქნება წესრიგი და იარსებებს ერთიანი პოლიტიკურ-ბიუროკრატიული კლასი, რო-

[32] Jeffrey W. Wright Intelligence and Economic Security – Essays on Stregy, NO 8. National Defence University, Washington DC, 1991. p.3-29

მელიც ნათლად განსაზღვრავს ეროვნულ ინტერესებსა და სახელმწიფოს ზოგად პოლიტიკას. თუ ეს ყველაფერი არ არის, აუცილებლად მოხდება ქვეყნის დამოკიდებულ მდგომარეობის რეჟიმზე გადასვლა და მხოლოდ იმის იმედზე ყოფნა, რომ კონკურენტები, რომლებიც იმავდროულად სავაჭრო პარტნიორებიც არიან, გაითვალისწინებენ ორმხრივ ინტერესებს საერთო ეკონომიკურ ზრდაში და არ განახორციელებენ მეტისმეტ დაწოლას, ნაწილობრივ იმის შიშითაც რომ არ მოახდინონ ეკონომიკური კრიზისების პროეცირება, რომლებიც მათზეც შეიძლება აისახოს.

დღემდე აქტუალურია ფ. ლისტის, პრინციპში კრიტიკული შეფასება, ა. სმიტის ლიბერალიზმთან მიმართებაში, რომლის თანახმადაც ლიბერალიზმი აწყობს მხოლოდ იმ სახელმწიფოებს, რომლებიც ფლობენ სამრეწველო უპირატესობას, მაშინ როცა პროტექციონიზმი აუცილებელია სუსტი სახელმწიფოებისათვის.

გეოეკონომიკური სახელმწიფოსათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მსოფლიოს მართვაში აქტიური მონაწილეობა. ამასთან დაკავშირებით განისაზღვრება თამაშის წესები, რომლებმაც შეიძლება ზიანი მიაყენონ მის ინტერესებს. საერთაშორისო სავაჭრო, საფინანსო ორგანიზაციებში მონაწილეობისათვის სახელმწიფომ უნდა წარადგინოს ქვეყნისათვის თავდადებული ფუნქციონირები და მუდმივად უნდა იყოს მზად დაიცვას ეროვნული ინტერესები. სამწუხაროდ პოლიტიკოსები არაფრად აგდებენ საერთაშორისო ეკონომიკას, არც მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, არც საზოგადოებრივი აზრი არ ცდილობდა გეოეკონომიკისადმი ყურადღების მოპყრობას პოლიტიკოსების მხრიდან. პოლიტიკოსები ზოგადად საერთაშორისო ეკონომიკით მაშინ ინტერესდებიან, როცა იგი ხელს უწყობდა მათი იმიჯის გაუმჯობესებას ან სხვა მიზეზით ხელსაყრელია მისით ოპერირება. ყოველივე ამან დიდი ზიანი მოუტანა ქვეყნებს როგორც პირდაპირი, ასევე არაპირდაპირი სახით. პირდაპირ ზიანს

გააჩნდა არა მარტო ფინანსური ხასიათი, არამედ იგი აისახა ქვეყნის პრესტიჟსა და საერთაშორისო ნდობაზე. არაპირდაპირმა გამოიწვია ის, რომ ხელიდან იქნა გაშვებული საერთაშორისო ბაზარზე შეღწევის შესაძლებლობა.

თავისთავად ცხადია, რომ როგორც პოლიტიკურ– სტრატეგიულ, ასევე გეოეკონომიკის სფეროში ყოველთვის უკეთესია მიაღწიო მისაღებ შეთანხმებას, ვიდრე დაიწყო ომი. აღნიშნული განსაკუთრებით სამართლიანია საქართველოსთვის, რომელიც ჯერჯერობით მოუმზადებელია აწარმოოს ომი. რჩება მხოლოდ საყოველთაო გეოეკონომიკური „განიარაღების“ სურვილი, რომელიც კონკრეტულად მსგავსი იქნება გეოსტრატეგიული განიარაღებისა, რომელიც დაიწყო 1980-იანი წლების ბოლოსა და 1990-იანი წლების დასაწყისში და ცივი ომის დასრულების სახელითაა ცნობილი. თუმცა მსოფლიოს უთანაბრობას, დანაწევრებას და ინტერესთა სხვადასხვაობას იმ დასკვნამდე მივყავართ, რომ მსოფლიო კოოპერაციის რაციონალურობის გამარჯვება, ანუ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეკონომიკის მსოფლიო მართვის შექმნა ნაკლებად შესაძლებელია. შესაბამისად რჩება ერთი გამოსავალი, რაც შეიძლება კარგად მომზადდეს სახელმწიფო გეოეკონომიკური კონკურენციისათვის, რათა არ აღმოჩნდეს უცხო ინიციატივების კუდზე. ამის გარდა მნიშვნელოვანია ქვეყანა არ დარჩეს შრომის ახალი საერთაშორისო დანაწილების მიღმა და შეინარჩუნოს სახელმწიფო და პოლიტიკური ინსტიტუტები, კერძოდ კი სახელმწიფოს როლი გლობალურ სისტემებსა და მულტინაციონალურ ორგანიზაციებთან მიმართებაში ერთის მხრივ, ხოლო მეორეს მხრივ ადგილობრივ და რეგიონალურ ორგანიზაციებთან მიმართებაში.

ამდენად, გეოეკონომიკურ მეთოდებს გააჩნიათ ორმაგი ხასიათი, რომელიც შეესაბამება გეოეკონომიკის ბუნებას, რომელიც გამოიხატება „მაღალი ტექნოლოგიების კოლბერიზმსა“ და „გეოეკონომიკურ ომებში“. „მაღალი ტქნოლოგიების კოლბერიზმი“ კონკრეტულად გვაგონებს სამხედრო ცნებას „ერის ომი-

სათვის მზადება“, როგორც შეიარაღებული ძალების მზადყოფნის, ასევე საყოველთაო მობილიზაციის აზრით, საგანგებო მდგომარეობის შემთხვევაში. ლოგიკა აქ ერთნაირია. აუცილებლად განისაზღვროს პირობები, რომელიც საშუალებას იძლევა გაძლიერდეს „ქვეყანა-სისტემის“ კონკურენტუნარიანობა, იმისთვის რომ მთელმა ეკონომიკურმა სისტემამ (გადაწყვეტილების მიღების დიფუზიური სტრუქტურის ჩათვლით, რომლის მოქმედი პირები შეიძლება უმნიშვნელოდ იმართებოდეს სახელმწიფოს მხრიდან და კიდევ უფრო უმნიშვნელოდ კონტროლდებოდეს) შეძლოს მისგან მიიღოს მოგება. რაც შეეხება არაკონტროლირებად გეოეკონომიკურ სუბიექტებს, კერძოდ ტრანსნაციონალურ ძალებს (ისეთები როგორიცაა მულტინაციონალური საწარმოები, ფინანსები, ორგანიზებული დანაშაული და ა.შ), ამ შემთხვევაში სახელმწიფო ვალდებულია გაითვალისწინოს მათი ლოგიკა, და მათი შიდა მექანიზმები.

გეოეკონომიკური მეტოქეობის ლოგიკამ ხელი უნდა შეუწყოს ეროვნული გეოეკონომიკური ლიდერების გაჩენას, ასევე საკუთარი საწარმოების ინტერნაციონალიზაციას, რათა არ დაუშვას უცხოური ინვესტიციების დინებების ტრანსფორმაციის დამოკიდებულება საზღვარგარეთზე. ამჟამად, საქართველოში არსებობს მსგავსი დისბალანსი, რომელსაც გააჩნია გაძლიერების ტენდენცია. ქართული საწარმოები თანდათანობით იყიდება, მაშინ როცა ქართველებს (მცირე გამონაკლისის გარდა) არ შეუძლიათ შეიძინონ უცხოური საწარმოების აქციათა საკონტროლო პაკეტები.

საერთაშორისო გეოეკონომიკური მეტოქეობის ლოგიკა განისაზღვრება თეორიით, რომლის თანახმადაც ბანკებისა და საწარმოების პოტენციალს გააჩნიათ პირველხარისხოვანი მნიშვნელობა. ასეთი პოტენციალი საშუალებას იძლევა განხორციელდეს გრძელვადიანი სტრატეგია, რომლის რეალიზაციაც არ შეუძლიათ ნაკლები სიმძლავრის საწარმოებს.

გეოეკონომიკური ომის ინსტრუმენტებს წარმოადგენს გადაწყვეტილების მიღება და ინფორმაცია. პირველ შემთხვევაში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს უწყებათაშორისი სტრუქტურების შექმნა, რომლებიც შეიძლება მოვიაზროთ როგორც „გეოეკონომიკური უსაფრთხოების ეროვნული საბჭო.“ (ბევრ ქვეყანაში ასეთი სტრუქტურები უკვე შექმნილია. მათ არაპირდაპირ მოვალეობებში შედის „მაღალი ტექნოლოგიების კოლბერიზმის“ საერთო კოორდინაცია, ხოლო პირდაპირ მოვალეობებში კი – გეოეკონომიკურ ომში ოპერატიული მოქმედებების გეგმის დამუშავება, ისეთი, მაგალითად, როგორიცაა არასატარიფო ბარიერების შექმნა (საპასუხო ზომისათვის ან საკუთარი ინიციატივით) და ა.შ.

ამ მიმართულებით სრულად იკვეთება გეოეკონომიკური დაზვერვის განსაკუთრებული როლი. „ცივი ომის“ შემდგომ პერიოდში დაზვერვის სამსახურებმა მნიშვნელოვნად გააფართოვეს თავისი გავლენა ისეთ სფეროებზე, როგორიცაა ფინანსები, ეკონომიკა და ტექნოლოგიები. ამის მიზეზი კი გახდა ორგანიზებული დანაშაულის ზრდა რომელიც ფლობდა უზარმაზარ ფინანსურ რესურსებს. ჯუჯყიანი ფულის გათეთრება და წარმოების ზოგიერთ დარგებში მასირებული ინვესტიციები ნამდვილ გლობალურ საფრთხეს წარმოადგენს. თუმცა აღნიშნული სამსახურის როლის ზრდა, უპირველეს ყოვლისა, უკავშირდება ქვეყნებს შორის გეოეკონომიკურ მეტოქეობას, ბაზრებისა და წარმოების გლობალიზაციას, ასევე იმას, რომ ბაზრების მოპოვებისათვის ტრადიციულ კონკურენციას დაემატა საკუთრების ინტერნაციონალიზაცია, რომელიც მუდმივად იცვლის მესაკუთრეთა ჯგუფებსა და მწარმოებლების ადგილმდებარეობას. თუ ადრე წარმოების მსგავსი მიზანი იყო ბაზარი, ამჟამად ამ მიზანს შეადგენს ფასიანი ქაღალდებით მანევრირება. აღნიშნული კი ზრდის მესაკუთრეთა ჯგუფის დინამიზმს და შესაბამისად აძლიერებს პოტენციურ არასტაბილურობას შრომის საერთაშორისო დანაწილებაში.

1.8 გეოეკონომიკის ძირითადი ატრიბუტები

მსოფლიო ეკონომიკური სისტემის შიდა რეგლამენტი იმით განისაზღვრება, რომ ამჟამად, წარმოების პროცესი ხორციელდება ეროვნული ჩარჩოების მიღმა. გაცვლები მიმდინარეობს ახალ (არასაერთაშორისო, არამედ) საქონლის შრომის დანაწილების პირაპირზე, რომლებიც გვეელინებიან უახლესი ფორმებით (საქონელი-ჯგუფი, საქონელი-ობიექტი, საქონელი-პროგრამა)

ამ პროცესების გავლენის შედეგად მსოფლიო ეკონომიკის წიაღში ყალიბდება ინტერნაციონალიზებული კლავწარმოებადი ბირთვები. ეს ბირთვები იღებენ მოხეტიალე, მოძრავ ხასიათს, რითაც მნიშვნელოვნად აფართოებენ ეკონომიკური საქმიანობისა და გადასახადების ზონას. ჩამოყალიბდნენ "ქვეყანა-სისტემები" შიდა და გარე ეკონომიკური საზღვრებით. მსოფლიომ პოლიტიკურ რუკასთან ერთად მიიღო გეოეკონომიკური რუკაც.

ეკონომიკური საზღვრები არ ემთხვევა სახელმწიფო-ადმინისტრაციულ საზღვრებს, რაც იმაში გამოიხატება, რომ ეროვნული ეკონომიკები ხდება სხვადასხვა მსოფლიო კლავწარმოებადი ციკლების შემადგენელი რგოლი. ეროვნული ინტერესები მკვიდრდება არა პოლიტიკურ, არამედ ეკონომიკურ საზღვრებში, სადაც ამ ინტერესების მატარებლად გვეელინებიან ტრანსნაციონალიზირებული სტრუქტურები, რომელთაც სახელმწიფო თავისი ინტერესების რეალიზაციის უფლების ნაწილს გადასცემს. მაგრამ ეს პროცესები დიდ გავლენას ახდენენ სახელმწიფოს სუვერენიტეტზე.


ეკონომიკურ საზღვრებზე რეალიზდება საქონლის უახლესი ფორმები-საქონელი-ობიექტი და საქონელი-საწარმო. ეს საქონელი ფლობს უნიკალურ თვისებას. კერძოდ, მათ უმოკლეს ვადაში შეუძლიათ საწარმოო ინფრასტრუქტურის გარდაქმნა უა-

ხლოეს ინოვაციურ საფუძვლებზე. ყალიბდება მსოფლიო ეკონომიკური ურთიერთობების ახალი სუბიექტები (ნახ.1.8)

როგორც ვხედავთ, ახალი სუბიექტების ძირითად როლში გვეელინებიან ქვეყანა სისტემები, რომლებიც ამ სივრცეში წარმოდგებიან როგორც გლობალური მეწარმეები, ასევე აღსანიშნავია მოარული ინტერნაციონალიზირებული კელავწარმოებადი ბირთვი, მსხვილი ტრანსნაციონალური სტრუქტურები (რომელთა რეიტინგი მუდმივად ქვეყნდება) და ფინანსური სამრეწველო ჯგუფები, რომელთაც გააჩნიათ სტრატეგიული სტატუსი.

მსოფლიო ეკონომიკური ურთიერთობების ახალი სუბიექტები

ნახ.1.8



ამჟამად, ყველა ქვეყანა მიისწრაფვის ჩამოაყალიბოს მსგავსი სტრუქტურები და მიანიჭოს მას სტრატეგიული სტატუსი.

ნებისმიერი ეროვნული ეკონომიკა და მისი სუბიექტები გადიან რიგ ეტაპებს არა მხოლოდ მაშინ, როცა ისინი მიისწრაფვიან შეეიდნენ ინტერნაციონალიზირებულ კელავწარმოებად ბირთვში, არამედ მაშინაც კი როცა ისინი მის შემადგენლობაში იმყოფებიან, ევოლუციონირდებიან კელავწარმოებადი ჯაჭვის ჩარჩოებში და თანმიმდევრულად იკავებენ გლობალური კელავწარმოებადი პროცესის ამა თუ იმ რგოლს.

ზემოთ აღნიშნული სტრუქტურების ჩარჩოებში ყალიბდება მსოფლიო შემოსავალი. მსოფლიო შემოსავლების გადანაწილებისათვის ბრძოლა წარმოადგენს ეროვნული ეკონომიკის მსოფლიო ეკონომიკურ არენაზე ბრძოლის სტრატეგიულ ორიენტირს. და ნებისმიერი ქვეყნის უმაღლესი მიზანიც სწორედ მსოფლიო შემოსავლების გადანაწილებაში აქტიური მონაწილეობაა.

ამ სტრატეგიული მიზნის რეალიზაციისათვის აუცილებელია საგარეო ეკონომიკური კავშირების გეოეკონომიკურ მოდელზე გადასვლა. ის არენა, სადაც სახელმწიფოს შეუძლია თავისი სტრატეგიული მიზნების რეალიზაცია, არის მსოფლიოს გეოეკონომიკური ატლასი, სადაც მკვეთრადაა გამოყოფილი საერთაშორისო და ეკონომიკური საზღვრები, ეროვნული ინტერესები, სტრატეგიული ალიანსების კონტურები და ა.შ. ამჟამად უკვე საუბარია არა მსოფლიო ბაზარზე გასვლაზე, არამედ მსოფლიოს გეოეკონომიკურ ატლასზე. ამ უკანასკნელში კი სასაქონლო ბაზრის კონიუქტურამცოდნეობა იცვლება გეოეკონომიკური სტრატეგიით. ამასთან, მსოფლიო გეოეკონომიკური ატლასი წარმოჩინდება მოდელობით-სივრცობრივი ფორმით, სადაც მსოფლიოს პოლიტიკური რუკა მხოლოდ მის ერთ გვერდს წარმოაჩენს. მსოფლიო პოლიტიკური რუკის ზემოთ კი მოთავსებულია კვლავწარმოებადი, გეოფინანსური, რესურსული, სატრანსპორტო-კომუნიკაციური, ეთნო-ეროვნული, ეკოლოგიური, ცივილიზაციური და სხვა გვერდები და თითოეული მათგანი მსოფლიოს ყოფს „საკუთარი“ საზღვრებით, რომლებიც არ ემთხვევა ადმინისტრაციულ-ეროვნულ საზღვრებს. გეოეკონომიკური ატლასის კომპიუტერული ვერსია სხვაგვარად აშუქებს სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღებისა და მართვის პრობლემას.

საგარეო ეკონომიკური პარადიგმის ცენტრალური ვექტორი ხდება ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის შემუშავება, რომლის საფუძველია გეოეკონომიკური მიდგომა. თუ ქვეყანა

რჩება საეჭრო-საშუამავლო დოქტრინის ჩარჩოებში (საგარეო ეკონომიკური კავშირების ჭრილში) ის ხვდება ეკონომიკური დაუძლურების ხანგრძლივ სარტყელში. გეოეკონომიკა გვთავაზობს კონკურენტული პოზიციის დაკავების შესაბამის ხერხებს, რისთვისაც გამოიყენებს მაღალ გეოეკონომიკურ და გეოფინანსურ ტექნოლოგიებს.

ამჟამად გეოეკონომიკამ გამოიმუშავა ეროვნული ინტერესების დაცვის უახლესი ხერხები. თანამედროვე საგარეო პოლიტიკის ცენტრალური პრეროგატივა განისაზღვრება არა სამხედრო-პოლიტიკური (გეოპოლიტიკური), არამედ სიმბოლიზმით. ამ სიტუაციას ასახავს მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების საგარეო პოლიტიკისა და ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციები, ასევე შეიარაღებული ძალების ფუნქციები და სტრუქტურები. ძალისმიერი კომპონენტი, როგორც წესი იგება არა ეროვნული საზღვრების პერიმეტრზე, არამედ ინტერნაციონალიზირებული კვლავწარმოებადი ანკლავების კონტურების მიხედვით. თვით შეიარაღებული ძალებიც იცვლიან თავის სახეს, ისინი თანდათან გადაიქცევიან სწრაფი გეოეკონომიკური რეაგირების ძალებად.

გეოეკონომიკამ დააყენა საკითხი საგარეო ეკონომიკური ურთიერთობის სამართლებრივი რეგულირების სრულყოფის შესახებ, ზემოთ აღნიშნული ძერების შესაბამისად. ფაქტია, რომ ჩვენ ვცხოვრობთ გლობალურ სამყაროში, სადაც ზენაციონალური სტრუქტურების ქცევის სამართლებრივი ნორმების არ არსებობის პირობებში შეიძლება მივიღოთ სერიოზული საფრთხეები და კონფლიქტები, თვით გეოეკონომიკური ომებიც კი.

გეოეკონომიკა ასევე ითვალისწინებს ცივილიზაციურ მოძრაობებს. თანამედროვე განვითარება ყალიბდება განვითარების პოსტინდუსტრიული მოდელის ზემოქმედებით. ეს მოდელი კი მიჩნეულია ინდუსტრიალიზმის უმაღლეს ტექნოგენურ ფაზად, სადაც გეოეკონომიკურმა სივრცემ თავის თავში შეითვისა მისი ყველა ატრიბუტი. მაგრამ სიტუაცია იცვლება, კერძოდ იბადება


უახლესი ცივილიზაციური მოდელები და მათი ზეგავლენით გეოეკონომიკური სივრცე იცვლება. მსოფლიო კვლავწარმოებადი ციკლი ივსება ახალი შინაარსით, მასში ერთვება „არასისტემური“ კომპონენტები: ეროვნულ ეთნიკური, კულტუროლოგიური, მორალურ-ეთიკური, სულიერი და ა.შ. მსოფლიო პრაქტიკულად შედის ცივილიზაციური განვითარების ახალ ნეოეკონომიკურ მოდელში. მისი ცენტრალური ატრიბუტია ეთნოეკონომიკური სისტემები. ძალას იკრებს ეთნოეკონომიკური ტრანსნაციონალიზაციის პროცესები, სადაც მსოფლიო კვლავწარმოებადი ციკლი უკვე ფასეულობის ახალ „კრებულს“ აწარმოებს, რომელიც ცხოვრების ხარისხის კვლავწარმოების ფორმით გვევლინება.

ამდენად, გეოეკონომიკის დოქტრინალურ საფუძველს წარმოადგენს ეროვნული ეკონომიკის მისწრაფება შეეზარდონ მსოფლიო გეოეკონომიკურ სისტემას, რათა გახდნენ მსოფლიო შემოსავლების ფორმირებისა და განაწილების სრულუფლებიანი წევრები, მაღალი გეოეკონომიკური და გეოფინანსური ტექნოლოგიების გამოყენების გზით.

1.9 გეოეკონომიკური კონსტრუქცია

დედამიწაზე მკვიდრდება გეოეკონომიკური კონსტრუქცია (გეოკონი), რომლის არქიტექტონიკურ მოდელადაც შეიძლება გამოყენებულ იქნას მრავალიარუსიანი ცნობილი “ჩინური სფერო“ (ნახ1.9), სადაც ქვედა იარუსი წარმოდგენილია გეოგრაფიულად ლოკალიზებული დონით.

გეოკონის კონსტრუქცია – მრავალ იარუსიანი "ჩინური სფერო"-
ნახ 19



ამ დონეში შედის სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება და მათი გამოყენება ბუნება დანახარჯ ეკონომიკაში. მეორე იარუსი წარმოადგენს ნედლეულის წარმოებისა და მისი ათვისების მაღალტექნოლოგიურ დონეს, ხოლო ტრანსნაციონალურ იარუსზე ხდება ფინანსური რესურსების წარმოება და უნიკალური გეოფინანსური ტექნოლოგიების გამოყენება, ინდუსტრიული ობიექტების მართვის რანგში. უნდა შევნიშნოთ, რომ ტრანსნაციონალურია ასეე მსოფლიო გეოეკონომიკური წყობის „იატაკქვეშეთი". ეს არის ტრანსნაციონალიზმის პოტენციალის მტაცებლური გამოყენება მოკლევადიანი მოგების მიღების მიზნით. ამ დროს კი ლეგალურ სექტორში აღწევს ისეთი თამაშის წესები, რომლებიც სამართლებრივი და მით უმეტეს მორალურ კონტექსტში კარგავენ ადრინდელ მნიშვნელობას. დაბოლოს, მეოთხე იარუსზე თავდება ე.წ „შტაბური ეკო-

ნომიკა*“, რომელიც წარმოადგენს მეტაეკონომიკის გლობალური მართვის სისტემას. გლობალური მართვის ელემენტების ჩართვა თანამედროვე ეკონომიკაში იწვევს სახელისუფლებო და ეკონომიკური ფუნქციების სინთეზსს, რაც გამოიხატა კატეგორია გეოეკონომიკის აქტუალიზაციაში, რომელიც როგორც უკვე აღვნიშნეთ მოიაზრება, როგორც პოლიტიკისა და ეკონომიკის შერწყმა, რომლის ბაზაზეც ყალიბდება სტრატეგიული ურთიერთქმედების სისტემები. მართლაც, ეკონომიკა სულ უფრო ხშირად ასრულებს მმართველობით და სახელისუფლებო ფუნქციებს, ხოლო ხელისუფლება თანამონაწილეა ეკონომიკური ამოცანების გადაწყვეტაში. მთავარი კი ისაა, რომ ერთიც და მეორეც ხშირად ხორციელდება ეროვნული საზღვრების გარეთ. მსოფლიო შრომის დანაწილების პროცესში ეკონომიკური საქმიანობს ჯამი, თანდათან იძენს ერთიანი, მთლიანი პოლიტეკონომიკური სტრუქრურის ნიშნებს, რომლის ცალკეული კომპონენტები (წევრები) ატარებენ სპეციალიზირებულ ხასიათს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, თანამედროვე ეკონომიკური პრაქტიკა ტრანსნაციონალური და გლობალურია, თუმცა მიჯაჭვულია განსაზღვრულ გეოგრაფიულ არეალს. აქედან გამომდინარეობს კატეგორია გეოეკონომიკის კიდევ ერთი აზრი, რომელიც აფიქსირებს: ა) სიერცით ლოკალიზაციას (გეოგრაფიულს ან ტრანსგეოგრა-ფიულს) ეკონომიკური საქმიანობის სხვადასხვა სახეების მიხედვით, ბ) მსოფლიო შრომის დანაწილების ახალ ტიპოლოგიას გლობალურ უნივერსუმში. საქმე იმაშია, რომ გეოეკონომიკური მანქანის მოდულები („იარუსები“), რომლებიც გაფანტულია სიერცეში, გარკვეულ წარმოებით ურთიერთდამოკიდებულებაში იმყოფებიან.

* შტაბური ეკონომიკა – პოლიტიკურ-ეკონომიკური საქმიანობის სახე, რომლის ძირითადი სფეროა ფინანსურ-სამართლებრივი რეგულირების დამკვიდრება ეკონომიკური ოპერაციების სფეროში.

ამდენად, „ჩინური სფეროს“ თითოეულ იარუსს შეესაბამება სივრცის გარკვეული ნაწილი, რომელიც მთლიანობაში წარმოადგენს მსოფლიოს გეოეკონომიკური ორგანიზაციის მოდელის კონსტრუქციას. გეოკონის გარე იარუსის ზედაპირზე თავდება ახალი ჩრდილოეთის სივრცე, რომელიც გენეტიკურად დაკავშირებულია ჩრდილოატლანტურ რეგიონთან. ამ კოსმოპოლიტური იარუსის ეკონომიკა ასოცირდება საკმაოდ მნიშვნელოვან სიმბოლურ კაპიტალთან, ოპერაციების ფინანსურ-სამართლებრივ რეგულირებასთან, ინფორმაციულ ინტელექტუალურ და ციფრულ ეკონომიკასთან, მაღალკვალიფიციურ მომსახურებასთან და ა.შ. შემდეგი გეოეკონომიკური იარუსის დომინანტია დასავლეთის სახელით ცნობილი გეოგრაფიული არეალი, რომელიც ხასიათდება მაღალი ტექნოლოგიების წარმოებით და განთავსებულია ჩრდილოატლანტურ რეგიონში. ეს არეალი ასრულებს თავისებური „მაღალტექნოლოგიური ვერსაჩეს“ ფუნქციას, განსაკუთრებით მაღალი ტექნოლოგიების სფეროში, რომელიც შემდგომ ვრცელდება (სამხედრო და ზოგიერთი სხვა ტექნოლოგიების გარკვეული შეზღუდვით) დედამიწის სხვა რეგიონებში და უპირველეს ყოვლისა დიდი წყნაროკეანური რკალის სივრცეში. დღეს ეს რეგიონი არა მხოლოდ ჩრდილოეთი და სამხრეთ აღმოსავლეთი აზია, ავსტრალია და ოკეანეთია, არამედ, როგორც ა.ნეკლესა[33] მიიჩნევს, აერთიანებს ისეთ არატრადიციულ ღერძს, როგორიცაა ლათინური ამერიკა-ინდოსტანი. ეს ახალი აღმოსავლეთი დაკავშირებულია მასობრივ სამრეწველო წარმოებასთან, მეცნიერებადტევადი და მაღალტექნოლოგიური საქონლის ჩათელით. კიდევ ერთი გეოგრაფიულად მოტივირებული რეგიონი-სამხრეთი, უპირატესად განთავსებულია ტროპიკულ და სუბტროპიკულ ზონაში. ამ რეგიონის გეოეკონომიკური ორი-

[33] უფრო დაწვრილებით იხ: Неклесса А. Проект Глобализация: глобальные стратегии в предверии новой эры. Научный альманах высоких гуманитарных технологии (НАВИПУТ) 1999. №1

ენტაციის საფუძველს შეადგენს ბუნებრიეი ნედლეულის წარმოება. შემდგომი არეალი, რომელიც ყველაზე რთულია გეოეკონომიკური ორიენტაციის ანალიზისათვის, ეს არის ე.წ ევრაზიის „ხმელეთის ოკეანე“, უფრო ზუსტად კი – ჩრდილოეთი ევრაზია, რომელიც ჰიპერ- ჩრდილოეთის სახელითაა ცნობილი. გეოეკონომიკური კონსტრუქციის ჩამონათვალს ასრულებს ტრანსნაციონალური ანდერგრაუნდი, ღრმა (განაპირა) სამხრეთი. ეს რეგიონი არის გარკვეული მემკვიდრე კრიმინალური ან მასთან მიახლოებული საქმიანობის, რომელიც ახდენს ე.წ „ალაფური ეკონომიკის“ პოტენციალის რეალიზაციას.

2.1 მსოფლიო ეკონომიკის ფორმირების გეოეკონომიკური კონტექსტი

მსოფლიო გახდა გაცილებით გლობალური და ურთიერთდამოკიდებული, თუმცა გლობალიზაცია და ურთიერთდამოკიდებულება სრულიადაც არ ნიშნავს მ. მაკლუჰანის ე.წ „გლობალური სოფლის" ან ფ. ფუკუიამას „ისტორიის დასასრულის" პროგნოზირების დადასტურებას[34]. გლობალიზაციის ახსნა იმით შეიძლება, რომ სახელმწიფოთა ტერიტორიულმა საზღვრებმა მნიშვნელოვნად დაკარგეს თავისი ეკონომიკური აზრი, მოხდა სიმდიდრის დეტერიტორიზაცია და დემატერიალიზაცია, ხოლო მსოფლიო ვაჭრობის ლიბერალიზაციამ, სატარიფო ბარიერების დაწევამ და კაპიტალის მოძრაობაზე შეზღუდვების შემცირებამ ეროვნულ-ტერიტორიულ სახელმწიფოებს წაართვა ეკონომიკაზე კონტროლის უფლებამოსილების მნიშვნელოვანი სეგმენტი, ანუ მათი სუვერენიტეტის ნაწილი ეკონომიკის სფეროში.

ურთიერთდამოკიდებულება გაიზარდა არა მხოლოდ მსოფლიო ვაჭრობის მოცულობის ზრდის ან ტრანსნაციონალური ძალებისა თუ მრავალმხრივი ორგანიზაციების არსებობითა და გაელენით, არამედ იმითაც, რომ ამჟამად საწარმოებს გაცილებით ადვილად, ვიდრე ადრე, შეუძლიათ თავიანთი საქმიანობის გადატანა იმ რეგიონებში, სადაც მათ უკეთეს პირობებს სთავაზობენ. ამასთან პროტექციონიზმი (უკვე აღარაფერს ვამბობთ აუტარქიაზე), რაიმე მნიშვნელოვანს უკვე აღარ ნიშნავს. სატარიფო ბარიერების გაუქმება ეთანაწყობა სხვა მოვლენებს- „პროდუქტის ციკლის თეორიის" გადალახვას. ადრე მაღალგანვითარებული ქვეყნები ღრმად იყვნენ დარწმუნებულნი თავიანთ მონოპოლიურ მდგომარეობაში მოწინავე ტექნოლოგიების

---

[34] უფრო დაწვრილებით იხ: Mc.Luhan. Understanding media. London Reutledgr. 1964; Fukuyama F. The End of History and the last man. New-York. 1997.

სფეროში. მხოლოდ მას შემდეგ რაც ტექნოლოგიები აღწევდნენ სიმწიფის ზღვარს, ისინი გადადიოდნენ ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში, რომელთაც უკვე ჰქონდათ პირველებთან კონკურენციის შესაძლებლობა.

ინფორმაციულ რეგულაციას იქამდე მივყავართ, რომ ახალ ინდუსტრიულ ქვეყნებს (NIC) შეუძლიათ გამოუშვან უმაღლესი ხარისხის პროდუქცია და ღირსეული კონკურენცია გაუწიონ მაღალგანვითარებული ქვეყნების პროდუქციას.

თუმცა NIC-ის ქვეყნები, იმის გამო, რომ იქ გაცილებით დაბალია შრომის ანაზღაურება და ნაკლებია სოციო-ეკონომიკური მოთხოვნები (მაგ: გარემოს დაბინძურების, უსაფრთხოების ტექნიკის საკითხები და ა.შ), ეს ქვეყნები ფაქტიურად ძირს უთხრიან მაღალგანვითარებული ქვეყნების პოზიციებს და საფრთხეში აგდებენ მათ კეთილდღეობას. მსოფლიო სიმდიდრის ზრდა NIC-ის ქვეყნების განვითარების შედეგად ამცირებს, მაგრამ არ აღმოფხვრის საფრთხეებს. ასეა თუ ისე, განზრახულია შრომის ახალი საერთაშორისო განაწილება. ეს პროცესი საკმაოდ სწრაფად მიმდინარეობს, რაც არ იძლევა იმის საშუალებას, რომ გატარდეს პროგრესული სტრუქტურული ცვლილებები. ამ პროცესში კი დაზარალდებიან ის ქვეყნები, რომლებიც არ შეიარაღდებიან ეფექტური სტრატეგიით.

აღნიშნულის გარდა, უნდა გავითვალისწინოთ შემდეგი მოვლენაც. კერძოდ, თუ ადრე განვითარებადი ქვეყნების „ციკლი" დამოკიდებული იყო მაღალგანვითარებული („ოქროს მილიარდის") ქვეყნების „ციკლზე", ამჟამად იგი დამოუკიდებელი ხდება. მათი ზრდის დინამიკაში შეიმჩნევა დამოუკიდებლობის დიდი ხარისხი. შედეგად ისინი გაცილებით საშიში კონკურენტები ხდებიან, განსაკუთრებით კი კაპიტალის მოზიდვის ნაწილში. ციკლური დაცემის პერიოდებში ამ გარემოებამ შეიძლება შეაფერხოს მოწინავე ქვეყნები და გამოიწვიოს მომაკვდინებელი შედეგები, როგორც პირდაპირი ასევე არაპირდაპირი გაგებით, ვინაიდან ამ შემთხვევაში მოხდება საპრო-

ცენტრო განაკვეთების ზრდა, რომლებიც შეაფერხებს მათ ეკონომიკურ აღმავლობას.

2.2 გეოეკონომიკური პოლუსები

საყოველთაო გლობალიზაციის პროცესს წინ ელობება ორი ფაქტორი, რომელთაც სერიოზული ეკონომიკური მიზეზები და შედეგები გააჩნიათ.

პირველი მათგანი უკავშირდება ინტეგრირებული წარმონაქმნებისა და რეგიონული ბლოკების შექმნის პერმანენტულ ტენდენციას, როგორც პარალელებზე განვითარების თანაბარი დონის ქვეყნებს შორის (მაგ: ევროკავშირი, აზიურ წყნაროკეანური რეგიონი და ა.შ), ასევე მერიდიანებზე. კერძოდ, როცა მდიდარი რეგიონი ერთიანდება განვითარებად რეგიონთან (მაგ: ჩრდილოეთი ამერიკის თავისუფალი ვაჭრობის ზონა). აქვე შევნიშნავთ, რომ ტრადიციული „პანრეგიონული“ სკოლები უპირატესობას ანიჭებენ მეორე ტენდენციას. ეს ტენდენცია პ.კრუგმანმა მიიჩნია როგორც უკეთესი ვარიანტი. ამერიკელ ეკონომისტებთან პოლემიკაში, (რომელთაც ეს ავტორი „მერკანტილისტებად“ მიიჩნევს), პ.კრუგმანი აღნიშნავს, რომ ეს ეკონომისტები შეადგენენ ჯგუფს, რომლებიც მხარს უჭერენ ისეთ კონკურენციას (competitiveness), რომლის აქტიურ სტიმულატორად გამოდის სახელმწიფო. კუთხის თავში ისინი აყენებენ ამერიკის ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ზრდას, რათა თავიდან აიცილონ სოციალური კრიზისი, რომელიც გამოწვეულია რეალური (და არა ნომინალური) ხელფასის შემცირებით, რომელსაც პ. კრუგმანი რ.რეიგანის დროინდელი ადმინისტრაციის ეკონომიკური პოლიტიკით ხსნის. ეს პოლიტიკა კი როგორც ცნობილია, მიმართული იყო აშშ–ში უმუშევრობის შემცირებისაკენ[35].

---

[35] Paul Krugman. Competitiveness: A Dangerous Obsession,- foreign Affairs, march-april 1994. p. 28-44

მეორე ფაქტორი წარმოადგენს რეგიონალიზმისაკენ (დაშლისაკენ) მიმართულ ტენდენციას, რომელსაც ხშირად "ბალკანიზაციისაკენ" სწრაფვის სახელითაც იცნობენ. ამ ტენდენციამ თავის ქვეშ მოიყოლა არა მარტო პოლიეთნიკური და მრავალეროვნული სახელმწიფოები (ყოფილი საბჭოთა კავშირი, ყოფილი იუგოსლავია, ასევე გარკვეული აზრით ყოფილი ჩეხოსლოვაკია და ბელგია), არამედ შედარებით ერთგვაროვანი სახელმწიფოებიც, ძირითადად დასავლეთ ევროპაში. აღნიშნული, კ. ჯანის საყვარელი გამოთქმა რომ ვიხმაროდ, არის ნამდვილი „მდიდართა ბუნტი" და სახელმწიფოები თითქმის არ არიან მზად წინ აღუდგნენ ასეთ ბუნტს, განსხვაებით „ღარიბთა ბუნტისაგან".

სასაზღვრო პროტექციონისტური ბარიერების გაქრობამ, სახელმწიფო შეკვეთების შემცირებამ, ბაზრის გლობალიზაციამ, ზენაციონალური და ტრანსნაციონალური ძალების გაძლიერებამ შეასუსტა სახელმწიფოს პოზიციები მდიდარ რეგიონებთან მიმართებაში, მეორეს მხრივ კი სწორედ შედარებით ღარიბი რეგიონები და სოციალური ფენები უჭერენ მხარს სახელმწიფოებს, რათა ისარგებლონ ეროვნული სოლიდარობის შედეგით (სიმდიდრის გადანაწილებით, რომელსაც სახელმწიფო ახორციელებს).

რეგიონული ბლოკების შექმნის ტენდენცია განსაკუთრებით თვალშისაცემია არა მხოლოდ ევროპაში, არამედ სხვა კონტინენტებზეც. ეს რეგიონული პოლუსები მიისწრაფვიან, რომ გახდნენ ეკონომიკური ბლოკების საპირწონეები. ეს ბლოკები კი ერთმანეთში კონკურირებენ სულ ცოტა ორი მიზეზის გამო. უპირველეს ყოვლისა იმიტომ, რომ მოპირდაპირე ბლოკში ხედავენ გარკვეულ საფრთხეს, მეორეს მხრივ, კი იმიტომ, რომ ამ ბლოკებისათვის საფრთხეს წარმოადგენს პერიფერიული რეგიონები, სადაც კონცენტრირებულია შედარებით იაფი მუშახელი. გეოპოლიტიკის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია, რომ უკვე გამოვლენილი გაერთიანებების ტენდენცია ვრცელდება

არა მხოლოდ მარტო აღმოსავლეთ-დასავლეთის, არამედ ჩრდილოეთ-სამხრეთის ღერძზეც (ეს უკანასკნელი კარგად ჩანს ჩრდილოეთ ამერიკის ვაჭრობის თავისუფალი ზონის მაგალითზე). ყოველი მოწინავე გეოეკონომიკური პოლუსი ისწრაფვის გაფართოებისაკენ ითვისებს რა იაფი მუშახელის „რეზერვს“, სადაც ამ პოლუსიდან გადააქვს შედარებით შრომატევადი წარმოების სახეები და ამით ზრდის საკუთარ კონკურენტუნარიანობას ასევე აღნიშნულის პარალელურად თანდათან აფართოებს საკუთარ ბაზრებსაც.

ამ მხრივ ევროპა არ წარმოადგენს გამონაკლისს. ევროპის ნამდვილი სამხრეთი წარმოდგენილია აღმოსავლეთ-ცენტრალური ევროპითა და ყოფილი საბჭოთა კავშირით (საქართველოს ჩათვლით), რომელთათვისაც ევროკავშირმა შექმნა განვითარების სპეციალური ბანკი. ეს ბანკი დამოკიდებული არაა არც მსოფლიო ბანკზე და არც საერთაშორისო სავალუტო ფონდზე. ანალოგიური ბანკი, რომელიც ორიენტირებულია რეგიონებზე, იქმნება ხმელთაშუა ზღვისა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებისათვის, თუმცა არა იმდენად ევროპის, რამდენადაც აშშ–ს ინიციატივით.

გეოეკონომიკური ინტერესები უნისონში უნდა იყოს ქვეყნის პოლიტიკურ-სტარტეგიულ ინტერესებთან. მხოლოდ ეკონომიკური ინტეგრაცია იძლევა იმის საშუალებას, რომ შედარებით უმტკივნეულოდ გადაიტანოს ქვეყანამ ისეთი უარყოფითი ფაქტორები, როგორიცაა ხელფასის დაბალი დონე, საწარმოების რიცხვის შემცირება და მასობრივი მიგრაცია. ამ მხრივ სერიოზული პრობლემებია ევროპაშიც კი. რაც გამოიხატება: ა) დემოგრაფიული ვითარების გაუარესებაში, ბ) შედარებით სუსტი ტექნოლოგიური ბაზის არსებობაში, რაც თავის მხრივ იწვევს იმ საწარმოთა ზრდას, რომლებიც ხასიათდებიან დამატებითი ღირებულების საშუალო დონით; გ) საგარეო ვალის გასტუმრებაში, რომელიც ამ რეგიონს დაუგროვდა 1970-1980-იან წლებში.

დღეისათვის გამწვავებული გეოეკონომიკური კონკურენცია ქვეყნებს აიძულებს გაზარდონ საკუთარი კონკურენტუნარიანობა, თვით გეოეკონომიკური „პოლუსის“ შიგნითაც (შიდა კონკურენცია). აღნიშნული პროცესი კი მიმდინარეობს ისეთ პირობებში, რომელიც განსხვავდება ადრინდელი პირობებისაგან და ამჟამად გამოიყენება სრულიად სხვა მექანიზმები. რაც შეიძლება აიხსნას ისეთი ტენდენციებით როგორიცაა სახელმწიფოს დამცველი ფუნქციების თანდათანობითი გაქრობა და ეკონომიკის სივრცით-დროითი მახასიათებლების ცვლილებებით.

მსგავს სიტუაციაში ქვეყნის ქცევის შესწავლა და შესაბამისი (ადეკვატური) ტაქტიკის, სტრატეგიისა და პოლიტიკის შემუშავება წარმოადგენს კიდეც გეოეკონომიკის ამოცანას, რომელიც გულისხმობს ღონისძიებათა ერთიან კომპლექსს, რომელსაც შეიმუშავებს სახელმწიფო (ან სახლმწიფო-სისტემა) საკუთარი კონკურენტუნარიანობის ამაღლების მიზნით, ანუ სხვანაირად რომ ეთქვათ, განსაზღვრავს გეოეკონომიკურ პოლიტიკას.

2.3 რეგიონალიზმი (გლობალიზაცია)

გლობალიზაციისა და მაკრორეგიონალური ინტეგრაციის პარალელურად, მსოფლიოში შეინიშნება მოვლენა, რომელსაც გააჩნია საწინააღმდეგო მიმართულება.

რეგიონალიზმი, მდიდარი რეგიონების დაპირისპირება ღარიბ რეგიონებთან ეროვნული სახელმწიფოსათვის დიდ საფრთხეს წარმოადგენს. თანამედროვე სახელმწიფო (XIX ს. დასასრული და XX ს. დასაწყისი) მრეწველობისათვის წარმოადგენდა ექსკლუზიური ზონის გარანტს, უზრუნველყოფდა საზოგადოებრივ წესრიგს, საბაჟო დაცვას საზღვარზე, იძლეოდა მასობრივ სახელმწიფო დაკვეთებს. სანაცვლოდ (კვლავ სქემატურად და გამარტივებულად) მრეწველობის მიერ წარმოებული სიმდიდრის ნაწილი გადაეცემოდათ შედარებით ღარიბ რეგიონებს (შემ-

დგომი განეითარებისათვის) და ყველაზე უფრო სუსტ სოციალურ ფენებს მათი „ნაციონალიზაციისათვის[36]".

მეორე მსოფლიო ომის შემდგომ ეროვნული სახელმწიფოები, რომლებიც მიისწრაფოდნენ მერკანტილიზმისა და აუტარქიისაკენ, გარდაიქმნებოდნენ „კეთილდღეობის სახელმწიფოებად" იმ მიზნით, რომ ხელი შეეშალათ მასებში კომუნიზმის გავრცელებისათვის და მეორეს მხრივ, გაძლიერებულიყვნენ რათა სოციალიზმის ბანაკიდან მომდინარე საფრთხე თავიდან აეცილებინათ. ციკი ომის დამთავრების შემდეგ მსგავსი სტრატეგიული მოტივაცია მოხსნილი იქნა. ერთდროულად დაიწყო საერთაშორისო ეკონომიკური მეტოქეობა, რომელზეც ზემოთ გვქონდა საუბარი.

ბიპოლარული მსოფლიოს და მისი მკაცრი წესების გაქრობამ რადიკალურად გადაფარა საერთაშორისო სისტემა, არა მხოლოდ გეოეკონომიკური პოლუსების გაჩენასთან მიმართებაში, არამედ ეროვნული სახელმწიფოების ერთიანობის შინაგანი დასუსტებით. ეს უკანასკნელი კი ნაწილობრივ აიხსნება ეთნიკური კონფლიქტების აფეთქებით, თუმცა მასზე არანაკლებ გავლენას ახდენს ახალი ეკონომიკური სტრუქტურები.

ზოგიერთი მკვლევარი კ. ომეს[37] მსგავსად, ვარაუდობს, რომ ეროვნული სახელმწიფოს ადგილას გაჩნდება ქალაქი-სახელმწიფოები ან რეგიონი-სახელმწიფოები, რომლებიც ვითომდა წარმოადგენენ სიმდიდრის არქიპელაგს თუ სიღარიბის ოკეანეში არა, უკიდურეს შემთხვევაში მარგინალურობის ოკეანეში მაინც გადაწყვეტილების მიღების ცენტრებთან მიმართებაში.

არსებითად ეკონომიკური ბალკანიზაციის ეს სცენარი, რომელიც პრაქტიკულად გულისხმობს შუა საუკუნეების ტიპის პოლიტიკურ-ეკონომიკურ სტრუქტურას, სადაც „საღვთო რომის

---

[36] უფრო დაწვრილებით იხ: O' Keefe PH. Regional restructuring under advances capitalism / london, Sidney, 1984

[37] Kenicki Ohmae. The Rise of the Regio State-Foreign Affairs, summer 1993, p.78-87

იმპერიის“ (რომელიც ახორციელებს საერთო კოორდინაციას რათა არ მოხდეს სისტემის სრული ანარქია) გვერდით არსებობენ ხელისუფლების ადგილობრივი ცენტრებიც, რომლებიც დამოუკიდებლად იღებენ გადაწყვეტილებებს.

მოვლენების მსგავსი განვითარება მიგვიყვანს სტრუქტურიზაციასთან პრინციპით „ცენტრი-პერიფერია“, რომელიც განსაკუთრებით საშიში შეიძლება აღმოჩნდეს საქართველოსთვის, თუ გავითვალისწინებთ ქვეყნის ეკონომიკურ სტრუქტურას და რაც მთავარია, იმ ტერიტორიულ დისპროპორციებს, რომელიც დამახასიათებელია საქართველოს შიდა რეგიონებისათვის.

სახელმწიფოთა მიერ საგალუტო, ფინანსურ და საერთოდ ეკონომიკურ სფეროებში ბარიერების გადალახვა, იწვევს სახელმწიფოს როგორც სივრცის მაორგანიზებელი ინსტიტუტის სტუქტურების შესუსტებას. ძირეული ცვლილებები ხდება „სუვერენიტეტსა“ და „ტერიტორიალურობის“ ცნებების ადრე მიღებულ განმარტებებში. შედეგად გაძლიერდა რეგიონების პოზიციები სახელმწიფოსთან მიმართებაში იმ კუთხით, რომ რეგიონებმა დაიკავონ ღირსეული ადგილი არა მხოლოდ სახელმწიფო ჩარჩოებში, არამედ შედარებით გლობალურ მაშტაბებში, რითაც რეგიონალიზმის როგორც პროცესისა და მოვლენის თეორიული ანალიზი ხდება გლობალიზაციისა და მისი ძირითადი ღერძის – გეოეკონომიკის აუცილებელი შემადგენელი ნაწილი, როგორც ამას მიუთითებს რ.სტრასოლდო[38].

ახალ გეოეკონომიკურ სივრცეში სულ უფრო და უფრო იზრდება ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოთა როლი. ისინი იღებენ სულ უფრო და უფრო მეტ უფლებამოსილებას როგორც შიდასახელმწიფოებრივ, ასევე საერთაშორისო დონეზე. სახელისუფლებო უფლებამოსილება ყალიბდება ახალ დონეებზე და საკმაოდ მნიშვნელოვანი ფაქტორი ხდება, თუმცა ფაქტია,

[38] უფრო დაწვრილებით იხ: Strassoldo R.Globalism and Lacalism: Theoretical Refleqtions and some Evidence/Globalization and Territorial Identitien// Ed. by Z. Mlinar. Aldershot. 1992

რომ ტრადიციული სახელმწიფოებრივი დონე ჯერ არსად არ გამქრალა, თვით ევროკავშირის დონეზეც კი ეკონომიკური გადაწყვეტილებების მიღების სისტემაში. არსებობს მოსაზრება, რომ ცივი ომის შემდგომ პერიოდში ევროპაში მიმდინარე პოლიტიკური და ეკონომიკური ცვლილებები ემყარება არა დანაწევრებულ ძალთა ბალანსზე დაფუძნებულ ევროპას, არამედ პოლიტიკურ სივრცეს, რომელშიც სულ უფრო მეტად დომინირებს ერთიანი ორგანიზაცია. ამიტომ დაპირისპირება და მეტოქეობა წევრ ქვეყნებს შორის, საერთო წესებისა და ინსტიტუტების მეშვეობით უკუდურესად შემცირებულია[39]. ზესახელმწიფოები ევროპაში უკვე აღარ არსებობენ და „ზენაციონალური ევროპული საზოგადოების" ფორმირებისაკენ მიმართული ძალისხმევა და შესაბამისი ევროპული იდენტურობის შეგრძნების ჩამოყალიბების სურვილი, რომელიც მოწოდებულია შეცვალოს სახელმწიფოთა და ხალხების მიმართ არსებული ისტორიული ლოიალურობა, მკაფიოდ გამოხატავს გეოეკონომიკური ცვლილებების მთელ სიღრმეს ამ რეგიონში[40].

ასეთ პირობებში კი მხოლოდ სახელმწიფოს უნარს, გაუძლოს სიმდიდრის ექსპანსიას, შეუძლია მისი რელეგიტიმირიზება ყველაზე მდიდარი რეგიონებისა და სოციალური ფენების თვალში და გამართლება იმ მსხვერპლისა, რომლებიც მათ გაიღეს ეროვნული სოლიდარობისათვის. ამ აზრით, ამჟამინდელ სიტუაციაში, სახელმწიფოს როლის გადახედვა წარმოადგენს იმ წინამძღვარს, რომელიც საშუალებას იძლევა თავიდან ავიცილოთ საერთაშორისო სისტემის ნგრევა და ბალკანიზაცია. სწორედ ამ ამოცანის გადაჭრა უნდა დაისახოს მიზნად მომავალში ქართულმა გეოეკონომიკამ.

---

[39] . Keohane R.-et. al (eds), after the Cold War: International Institutions and the Strategies in Europe 1989-1991. London: Harvard University Press. 1993.


[40] უფრო დაწვრილებით იხ: Hobsbawm E. Age of Extremes:The short history of twenty century , 1914-1991. London: Michael Joseph, 1994

როგორც წინა თავში აღვნიშნეთ, ტერმინი „გეოეკონომიკა“ შემოტანილი იქნა 1980-იანი წლების ბოლოს ე. ლუტვაკის მიერ. ასე ეწოდება დისციპლინას, რომელიც სწავლობს პოლიტიკასა და სტრატეგიას, რომელიც გამოიყენება სახელმწიფოა ეკონომიკური კონკურენტუნარიანობის ამაღლებისათვის. გეოეკონომიკის თვალსაზრისით სახელმწიფო წარმოადგენს ქვეყანა-სისტემას, რომელიც ეჯიბრება სხვა სისტემებს. ამ შეჯიბრის გაშლა ხდება მოქმედების გლობალურ თეატრში და მიმდინარეობს არა თეითნებურად, არამედ გარკვეული წესების დაცვით. წესები კი როგორც ცნობილია არსებობენ არა მხოლოდ ობიექტურები, არამედ სუბიექტურებიც ან სულაც ხელშეკრულებითი, ანუ გამაგრებულები მრავალმხრივი ხელშეკრულებებით თავისუფალ საქონელგაცვლაზე.

გეოეკონომიკა პოლიტიკური ეკონომიკისაგან იმით განსხვავდება, რომ იგი ამ უკანასკნელის ტრადიციულ მეთოდებთან ერთად (საგალუტო, საგადასახადო, დაზღვევა, შემოსავლები, შრომის ბაზრის პოლიტიკა) იყენებს სხვა მეთოდებსაც, რომელთაც კ. ჯანი და პ. საეონა აერთიანებენ ორ ძირითად ჯგუფში[41] (ნახ2.4) პირველ ჯგუფს ისინი უწოდებენ მაღალი ტექნოლოგიების კოლბერიზმს*“.

[41] Жан К.Савона П., Геоскономика пер.с итальянского М.1997.с 37-47

* ჟან ბატისტ კოლბერი – ფრანგული ეკონომიკის რეფორმატორი XVIIს. საფრანგეთის ფინანსების გენერალური კონტროლიორი ლუი XIV მეუობის პრიოდში.



წყარო: Жан К.савона П.Геоэкономика пер;с итальянскою М.1997.с 37-47

ამ ჯგუფში შემავალი მეთოდები ორიენტირებულია ქვეყანასისტემის როგორც შიდა კონკურენტუნარიანობის ზრდაზე, სტრუქტურული ხასიათის ზომების გამოყენებაზე (მაგალითად: გეოეკონომიკური მეტოქეობისათვის ეს არის ინსტიტუციური მექანიზმები და დაზვერვა; ინვესტიციების მოზიდვისათვის, ეს არის მომსახურება, ინფრასტრუქტურა, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა), ასევე ისეთ ინვესტიციებზე, რომელიც საშუალებას მისცემს ადამიანებს შეეგუონ ბაზრის ახალ პირობებს, იმისათვის, რომ სახელმწიფომ უზრუნველყოს საკუთარი მოსახლეობის დასაქმება ყველაზე უფრო მაღალი დამატებითი ღირებულებებით და შესაბამისად ხელფასის შედარებით მაღალი დონით. ეს ყველაფერი კი არის კეთილდღეობის გარანტიის აუცილებელი პირობა, რომლის უზრუნველყოფაც უკვე აღარ შეიძლება საზღვრებზე დამცავი ღონისძიებების გამოყენებით.

მეორე ჯგუფში შედის მეთოდები, რომელსაც პირობითად ეკონომიკური „ომის" მეთოდებს უწოდებენ ვიწრო გაგებით. ანუ ეს არის თავისუფალი მოქმედების „ნიშის" გამოყენების

მეთოდი. ასეთი მოქმედება კი იქმნება ბაზრის გლობალური რეგლამენტაციის მეშვეობით, თუმცა არაფორმალურად. (მაგ: არასატარიფო ბარიერების დახმარებით; საკუთარი ექსპორტის ფორმალური მაგრამ არა ფაქტიური კანონიერი მხარდაჭერით; ტექნოლოგიების კონტროლით, ფორმალური ასიგნებანით განვითარებაზე. სინამდვილეში ეს არის საკუთარი ეკონომიკის ექსპანსია და დაცვა, კერძოდ სტრატეგიული ემბარგოს საერთაშორისო რეგულირების მექანიზმების არამართლზომიერი გამოყენება, რათა მაქსიმალური მოგება მიაღებინონ საკუთარ საწარმოებს და ა.შ)

გეოეკონომიკა არ წარმოადგენს მერკანტილიზმის ან პროტექციონიზმის ახალ ფორმას, ვინაიდან არსებითად განსხვავდება მათგან. პროტექციონიზმიც და მერკანტილიზმიც თავის თავში მოიცავენ უპირველეს ყოვლისა თავდაცვითი ხასიათის ზომებს, რომელიც ტარდება ტერიტორიული სახელმწიფოს საზღვარებზე. ახალ პირობებში ეკონომიკურ საზღვრებზე თავდაცვითი სტრატეგია უკვე მიუღებელი ხდება. კერძოდ, ეს ეხება სტატიკურ დაცვას. როგორც ჩანს დადგა შეტევის დრო. თანამედროვე ეკონომიკური შეჯიბრი გამსჭვალულია, ასე ვთქვათ, „შეტევის კულტით", მსგავსად იმისა, რამაც განსაზღვრა ევროპული სამხედრო-სტრატეგიული ჩანაფიქრი პირველი მსოფლიო ომის წინ.

აშკარაა, რომ შეტევა და თავდაცვა გეოეკონომიკაში ცალცალკე ვერ იარსებებენ, თუნდაც იმიტომ, რომ თეორიულად ისინი წარმოადგენენ ნებისმიერი კომპლექსური ხასიათის გეოეკონომიკური სტრატეგიის განუყოფელ კომპონენტებს. მის ცალკეულ ასპექტებს წარმოადგენს მტრული შენაძენებისგან დაცვა (რომელთაც შეუძლიათ ურთიერთდამოკიდებულება გადააქციონ დმოკიდებულებად); საკუთარი ტექნოლოგიური ბაზის საიდუმლოებების დაცვა სამრეწველო ჯაშუშობისა და მტრული შენაძენისაგან. თუმცა ზოგადი სტრატეგიული ორი-

ენტაცია ატარებს შეტევით ხასიათს, იმდენად, რამდენადაც ექსპანსიის ერთადერთ ალტერნატივას წარმოადგენს რეცესია.

აღნიშნულ კონტექსტში შეიძლება ითქვას კარდინალურად შეიცვალა ეკონომიკური ომის მნიშვნელობა. მერკანტილიზმისა და შედარებით ახალ პოლიტიკური და სტრატეგიული ემბარგოს ეპოქაში (რომელიც გამოიყენებოდა დასავლეთის მიერ საბჭოთა ბლოკის წინააღმდეგ), „ეკონომიკური იარაღი" გამოიყენებოდა დახმარების მიზნით და ემსახურებოდა პოლიტიკური და სტრატეგიული აქციების მხარდაჭერას. თუმცა უნდა შეენიშნოთ, რომ ეს აქციები ხშირად ეკონომიკურ მიზნებს ისახავდა, ისეთებს, როგორიც იყო კოლონიების დაპყრობა, ნედლეულისა და წიაღისეული სიმდიდრეების მიტაცება და ა.შ.

ამჟამად ისახება (თუნდაც „ოქროს მილიარდის" ქვეყნებთან მეტოქეობაში), პოლიტიკურ-სტრატეგიული მეთოდების (სტაბილიზაცია, დესტაბილიზაცია, პოლიტიკური რისკის შემცირების მიზნით ჩარევა იმ შემთხვევაში თუ მოხდება საკუთარი ინტერესების ზონაში ინვესტირება და ა.შ) მოწესრიგებული, ფუნქიონალური სახით გამოყენება. აღნიშნულთან დაკავშირებით არსებითი ცვლილებები ხდება საერთაშორისო სამართალში. საუბარია ე.წ მოვალეობის უფლებაზე ჩაერიონ უცხო ქვეყნების საქმეებში ჰუმანიტარული მიზნით, რაც სახელმწიფოთა ფორმალური სუვერენიტეტის შესუსტებას წარმოადგენს და გათვალისწინებულია გაეროს ქარტიაში.

გლობალური საერთაშორისო სისტემა, რომელიც მოწოდებულია შენარჩუნოს მშვიდობა და დაიცვას მთელი მსოფლიოს უსაფრთხოება, თანდათან ეგუება გეოეკონომიკის მოთხოვნებს. ეს მომენტი კარგად გამოჩნდა სპარსეთის ყურეში ომის დროს, სადაც ჩარევა მოხდა მდგომარეობის სტაბილიზაციის მიზნით.

იმ პოზიციათა განსხვავება, რომელიც დაფიქსირდა ევროპის ქვეყნებს შორის, ყოფილ იუგოსლავიასთან მიმართებაში შეიძლება ავხსნათ გეოეკონომიკურ კონტექსტში. ჩარევისადმი ინტერესის არსებობა ან არარსებობა განისაზღვრება პოლიტი-

კური შეფასებით, რომელიც თავის თავში მოიცავს გეოეკონომიკურ ფაქტორებს. ზოგიერთი სახელმწიფო, ისეთი, როგორიცაა გერმანია და უპირველეს ყოვლისა იაპონია, შეიძლება ჩაითვალონ გეოეკონომიკურ სახელმწიფოებად, რამდენადაც მათი ზემოქმედების მთავარი ძალისმიერი მეთოდი, საერთაშორისო არენაზე, არის ეკონომიკა და არა სამხედრო ძლიერება.

2.5 გეოპოლიტიკის საზღვრები: გეოეკონომიკური მიდგომა

გეოპოლიტიკისაგან განსხვავებით, გეოეკონომიკა თავისი თანამედროვე ფორმით გაცილებით გვიან შეიქმნა. არსებობს მოსაზრება, რომ ამჟამად გეოეკონომიკა ჯერჯერობით ბოლომდე არაა ჩამოყალიბებული როგორც მეცნიერული დისციპლინა და განიხილება როგორც მეცნიერებისა და ხელოვნების (უპირატესად სტრატეგიული) თავისებური სინთეზი. თავდაპირველად გეოეკონომიკას მოიაზრებენ საკმაოდ ვიწრო გაგებით. კერძოდ, როგორც მეცნიერების ნაწილს, რომელიც აღწერს ეკონომიკის დამოკიდებულებას გეოგრაფიულ პირობებზე, ანუ იგი პრაქტიკულად განიხილებოდა როგორც ეკონომიკურ გეოგრაფიასთან ძალზედ მიახლებული დარგი. ამ კუთხით გეოეკონომიკა აღმოცენდა ეკონომიკური გეოგრაფიის და უფრო მეტად ისტორიული გეოგრაფიის (ფ. ბროდელი) წიაღიდან. ამჟამად გეოეკონომიკა ორიენტირებულია თანამედროვე გლობალიზირებული მსოფლიოს ნაკლებად შესწავლილი რეგალიების კვლევაზე, კერძოდ:

- ეკონომიკური პროცესების მართვის ახალ სისტემებზე;
- გადაწყვეტილების მიღების ახალ სუბიექტებზე;
- მთლიანობის ორგანიზაციის ახალ ფორმებზე.

გეოეკონომიკური დისკუსიის ჩარჩოებში გლობალიზაცია მოიაზრება, უპირველეს ყოვლისა, როგორც გეოპოლიტიკური და

გეოეკონომიკური რეალიების შერწყმა. თუ გეოპოლიტიკა და სამხედრო სტრატეგია რეალობის ვიწრო სეგმენტით ოპერირებს, გეოეკონომიკა და მის წიაღში აღმოცენებული განვითარების სტრატეგია (გეოსტრატეგია) ცდილობენ მსოფლიო გაიაზრონ როგორც მთლიანობა, რაც გულისხმობს გეოეკონომიკურ ატლასზე გადასვლას. გეოეკონომიკის საგანზე და თვით ამ ტერმინზე ფიქრს იქამდე მივყავართ, რომ არსებითად "გეოეკონომიკა" შეიძლება ჩავთვალოთ უბრალოდ ლამაზ ტერმინად, რომელიც იმისთვისაა მოფიქრებული, რომ აღინიშნოს ახალი ხარისხი, რომლის აღწერაც ჯერჯერობით მეცნიერების ენაში არ ფიგურირებს.

გეოეკონომიკაში ერთ-ერთი საკვანძო ცნებაა „ეროვნული კორპორაცია". საუბარია ადამიანებზე, რომლებიც წარმოადგენენ ქვეყნის უმაღლეს ბიუროკრატიას, პოლიტიკურ, მეცნიერულ და საქმიან ელიტას, რომელთა კეთილდღეობა და ამბიციები მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მოცემული სახელმწიფოს წარმატებას. ფაქტობრივად გეოეკონომიკა გაიგივებულია ან გამოხატავს სახელმწიფოსთან, როგორც პოლიტიკური ცხოვრების სუბიექტთან, კორპორაციასთან, როგორც ეკონომიკის სუბიექტთან ახლებურ ურთიერთობას. ეს სრულიად არ ნიშნავს იმას, რომ გეოეკონომიკა ეროვნულ-სახელმწიფოებრივ მისიის ჩარჩოს უარყოფს ან კარგავს. იგი უფრო ამ ჩარჩოს ავრცელებს ბიზნესზე, რაც იმაში გამოიხატება, რომ გეოეკონომიკის ერთერთი კანონია ფორმულა – კორპორაცია, რომლის საქმიანობა გადის სუფთა ეკონომიკის ფარგლებს გარეთ, ამასთან სუფთა ეკონომიკური აზრით უფრო წარმატებულია ვიდრე ყველა ინტერესი, რომელიც შემოიფარგლება ბიზნესის სფეროთი.

გეოეკონომიკა თანამედროვე სახელმწიფოს განიხილავს როგორც ეროვნულ კორპორაციას, რომელიც იყენებს გეოეკონომიკურ ინსტრუმენტებს, რათა იმოქმედოს ეროვნულ-ტერიტორიულ მოედანზე. გეოეკონომიკა, გეოპოლიტიკისაგან

განსხვავებით, სტრატეგიას განიხილავს როგორც ტრანსტენდენციის ხელოვნებას. ფორმალურად გეოეკონომიკური სტრატეგია ეს არის მცდელობა აზრი შესძინოს საქმიანობის ზოგიერთ სისტემას, არსებულს ან პროექტირებადს და ორგანიზაციულად და სემანტიკურად შეაკავშიროს ისინი ერთიან დინამიურ სისტემაში.

გეოეკონომიკის ძირითადი თეორიული ხერხია სივრცის გაფართოება და მოქმედებს პრინციპით: „იგებს ის ვინც პირველი მოახდენს ახალი ეკონომიკური სივრცის კონსტრუირებას და შეძლებს მისთვის ააშენოს საქმიანობის სისტემა". ამ კუთხით რესურსების უკმარისობა გეოეკონომიკაში განიხილება როგორც განვითარების რესურსი.


თანამედროვე გეოეკონომიკური წარმოდგენები ოპერირებს გლობალური ეკონომიკის, მსოფლიო შემოსავლისა და კეაზირენტის ცნებებით. ერთიანი გეოეკონომიკური უნიეერსუმის შექმნამ მიგვიყვანა გლობალური ვალის განსაზოგადოებრიობასთან და მის გადაქცევასთან მსოფლიო ერთობლივი პროდუქტის (მსოფლიო გლობალური პროდუქტის როგორც ეკონომიკური კატეგორიის აღწერა, წარმოების, წარმოების მექანიზმების გამოვლენა, ამ პროდუქტის განლაგება და გადანაწილება გეოეკონომიკის ერთ-ერთი გადაუჭრელი ამოცანა დღეისათვის მ.კ.) გადანაწილების ერთ-ერთ მექანიზმად გადაქცევასთან. საუბარი არსებითად იმაზეა, რომ თანამედროვე სახელმწიფო რაღაც „ზღვრული კორპორაციის" ასე ვთქვათ რეგიონში ფილიალის როლის შესრულებას იწყებს. ამასთან ფილიალს მოეთხოვება თავისი როლის შესრულება მხოლოდ შრომის საერთო კორპორაციულ დანაწილებაში, ანუ მას გააჩნია გეოეკონომიკური მისია. ამ კორპორაციის ეკონომიკა სულაც არ არის აუცილებელი იყოს ეფექტური, ზოგიერთ შემთხვევაში ხელსაყრელია ფორმალური არაეფექტური სახელმწიფოს არსებობა. მაგალითად, მას შემდეგ რაც ზოგიერთი ნავთობ მომპოვებელი ქვეყანა გაისტუმრებს საგარეო ვალს

(ძირითადად მხედველობაშია რუსეთი), აშშ-ის „შტაბური ეკონომიკისათვის“ უკიდურესად სასურველია, რომ ერთი ბარელის ნავთობის ფასმა დაიწიოს 15 დოლარზე დაბლა თუმცა (თანამედროვე ტენდენციები ამჟამად განსხვავებულია). ცხადია, ამ ფასის პირობებში ზოგიერთი ნავთობმომპოვებელი ქვეყანა დადგება იმ აუცილებლობის წინაშე, რომ ნავთობი გაყიდონ თვითღირებულებაზე ნაკლებ ფასში. ამას გლობალური ეკონომიკისათვის მხოლოდ ის მნიშვნელობა გააჩნია, რომ მსოფლიო შემოსავლების კაპიტალიზაცია უკვე მოხდება დედამიწის სხვა ნაწილში. ნავთობმომპოვებელი ქვეყნები მიიღებენ თავის, პრაქტიკულად უცვლელ. მსოფლიო კვაზირენტის წილს კრედიტებისა და უსასყიდლო დახმარების სახით.

თანამედროვე გეოეკონომიკური უნივერსუმი შეიძლება წარმოვიდგინოთ პირამიდის სახით, (ნახ.2.5) რომლის საფუძველს (ძირს) შეადგენს სასოფლო სამეურნეო რეგიონები.

ერთი სართულით ზემოთ თავსდება ნედლეულის მწარმოებელი რეგიონები. პირამიდის ამ ორ საფეხურს არსებითად ინდუსტრიამდელი ბუნება გააჩნიათ. ამჟამად ისინი ბოლომდე ვერაა დარეგულირებული საშტაბო ეკონომიკის მიერ, რასაც მოწმობს ნავთობმომპოვებელი ქვეყნების გაერთიანების არსებობა და შედარებით მაღალი ფასები ნავთობზე. შემდგომი ორი სართული ატარებს ინდუსტრიულ ხასიათს და თავის თავში მოიცავენ იმ რეგიონებს, რომლებიც დაბალტექნო-ლოგიური წარმოებით არიან დაკავებულნი და მეორეს მხრივ, რეგიონებს რომლებიც მსოფლიო ბაზარს აწვდიან ჰაიტეკს*. პირამიდის ბოლო საფეხურები კი პოსტინდუსტრიულია. კერძოდ აქ იწარმოება ინტელექტუალური ნედლეული და პირამიდის წვეროში მოქცეული რეგიონები გეოეკონომიკურ თამაშის ერთიან წესებს

*ჰაიტეკი – მაღალი ტექნოლოგია, წარმოების და ეკონომიკის მეცნიერებად ტევადი დარგები. ამ მიზნით დამზადებული ნაკეთობები და სხვა სახის პროდუქტები.



- „ჩრდილოეთი“, ინტელექტუალური ნედლეულის წარმოება;
- „სამხრეთის“ გეოეკონომიკური დისკურსის ზღვარს წარმოადგენს;
- „შორეული“ სამხრეთი, რომელიც სპეციალიზდება ფორმალურად აკრძალული ნედლეულის წარმოებაზე (ნარკოტიკები, ეკოლოგიურად „დაბინძურებული“ მოპოვება სასარგებლო წიაღისეულის და ა.შ).

აღნიშნულის ანალოგიურად „შორეული აღმოსავლეთი“ აწარმოებს ფორმალურად აკრძალულ პროდუქციას, ხოლო შორეული ჩრდილოეთი“ დაკავებულია კანონსაწინააღმდეგო

** ლოუტექი – დაბალი ხარისხის ტექნოლოგიები ცდილობენ მიამსგავსონ მაღალი ტექნოლოგიების ანალოგებს

ქმედებებით ინფორმაციის სფეროში. „საშტაბო ეკონომიკა კი რომელიც შეიქმნა „შორეულ დასავლეთში“ აწარმოებს სამართალთან კანონსაწინააღმდეგო ოპერაციას.

2.6 გეოფინანსები

როგორც პირველ თავში დავინახეთ გეოფინანსები წარმოადგენს გეოეკონომიკის ერთ-ერთ ძირითად შემადგენელ ნაწილს. სწორედ ამ სფეროში ყველაზე მეტად ეთხრება ძირი სახელმწიფო სუვერენიტეტს. მართლაც, გეოფინანსებთან მიმართებაში სახელმწიფო სხვა არაფერია თუ არა მხოლოდ კაპიტალის მიმღები, რომელიც კონკურენციას უწევს სხვა სახელმწიფოებრივ და კერძო, ეროვნულ და ტრანსნაციონალურ სუბიექტებს. მას უკვე აღარ შეუძლია უპირატესობის მოპოვება თავის კონკურენტებზე, როცა ისინი მიმართავენ JUS penitperil – ს, მაგრამ იძულებულია დაამტკიცოს თავისი საიმედობა გამჭვირვალე და ეფექტური ეკონომიკურ-ადმინისტრაციული საქმიანობის დახმარებით. (1980-იანი წლების ფ. მიტერანისეული საფრანგეთის გამოცდილება აღნიშნულის დადასტურებაა. გ.კ.)

სახელმწიფოს შესაძლებლობების დაკარგვა, გამოიყენოს თავისი უპირატესობა ფინანსურ ბაზრებზე სულაც არ ნიშნავს, რომ ეს მაინცდამაინც უარყოფითი ფაქტია. იმდენად, რამდენადაც ამ პროცესმა მნიშვნელოვნად შეამცირა ხელისუფლების უნარი „იყიდოს“ ელექტორატის მოწონება მომავალი თაობების ინტერესების „მსხვერპლშეწირვის“ გზით და დღევანდელი ვალების მათზე გადალოცვით.

ფაქტორი, რომელიც გავლენას ახდენს გეოეკონომიკური დაზვერვის მოთხოვნაზე არის უკიდურესად შემჭიდროებული ვადები, რომელიც გამოწვეულია ინფორმაციული ქსელების გლობალიზაციით და აერთიანებს ფინანსურ მსოფლიოზე გავლენის ნამდვილ ცენტრებს. ბანკების ერთობლივი როლი ბაზრებთან შედარებით შემცირდა, ხოლო ვალუტების გაცვლითი

კურსი გაეიდა ფულადი პოლიტიკის კონტროლიდან და დამოკიდებულია ფინანსურ პროცესებზე. გლობალიზაციის შედეგად ფულზე მოთხოვნილება და შეთავაზება უკვე აღარ შეიძლება თანმიმდევრულად დაბალანსდეს.

ინფორმაციულ-ეკონომიკური კრიზისის პირობებში მანევრირება, განსაკუთრებით ფინანსების სფეროში, სულ უფრო მნიშვნელოვანი და ამავე დროს რთული ხდება. ამ დროს აუცილებელია მოქმედი მექანიზმებისა და მათთვის დამახასიათებელი კანონზომიერებების შესწავლა.

XXI ს-ში „გეოფინანსურ" სახელმწიფოს უკვე აღარ შეუძლია ფულის პოლიტიკური მიზნით გამოყენება, ისე როგორც მას არ შეუძლია უსასრულოდ ჩაეფლოს ვალებში. მთავარი აქცენტი სახელმწიფომ უნდა გააკეთოს გადასახადების ამოღებაზე და იმავდროულად თანმიმდევრულად დაიცვას პოლიტიკურ – ადმინისტრაციული მართვის ეთიკური ნორმები. საერთოდ, გეოფინანსების სამყაროში სახელმწიფო უნდა მისდევდეს თავის მიზნებს და უნდა ზრდიდეს პოტენციალს, რათა გავლენა მოახდინოს ბაზრებზე, რომელზედაც ის უწინდებურად დამოკიდებულია. სწორედ ამ მიზეზით განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მეთოდები, რომელთა დახმარებითაც შესაძლებელია სახელმწიფოს "სტარტეგიული გეოფინანსური ძლიერების" გაზრდა (ისეთების, როგორიცა სავალუტო-საკრედიტო და საექსპორტო ოპერაციების ფინანსირება.)

2.7 „ჭუჭყიანი ფულის" პრობლემა გეოეკონომიკასა და გეოპოლიტიკაში

შიდა და საგარეო ეკონომიკის წინაშე რთულ პრობლემებს აყენებს „ჭუჭყიანი ფულის" პრობლემა. აუცილებელია დაწვრილებით იქნას შესწავლილი ის ხერხები, რომელთა დახმარებითაც ხდება „ჭუჭყიანი ფულის" გათეთრება, ასევე ის პირობები, რომელიც ხელს უწყობს ამ პროცესის აყვავებას, კერ-

ძოდ ტექნოლოგიური პროგრესი, დერეგულაცია, სახელმწიფოებრიობის კრიზისი და ა.შ.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იატაკქვეშა ფინანსური სისტემების ფინანსირების ორგანიზაციისა და ხერხების ანალიზი, კერძოდ აუცილებელია ორი საკითხის კვლევა: ა) ფულის გათეთრების „წონა“ შიდა და საერთაშორისო ეკონომიკაში და ბ) ქვეყნების ბრძოლისუნარიანობა და შესაძლებლობები, რათა თავიდან აიცილონ შეუთანხმებელი მოქმედებები, რომელიც მომაკვდინებელი შედეგების ტოლფასია

არაკანონიერი ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები, ზიანს აყენებენ ეკონომიკის ნორმალურ ფუნქციონირებას, რამდენადაც იგი იწვევს კონკურენტული ბრძოლის პირობების არსებით ცვლილებებს მთელს საწარმოო-ფინანსურ სისტემაში.

ფულის გათეთრება განსაკუთრებულ საფრთხეს წარმოადგენს საბანკო სამყაროსათვის, რომელიც სულ უფრო მეტად განიცდის შანტაჟს მსხვილი ორგანიზებული დანაშაულის მხრიდან.

ფულის გათეთრებასთან და საერთაშორისო ფინანსურ დანაშაულთან ბრძოლა „გეოფინანსების“ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილია.

ყველა ზემოთ აღნიშნული ტენდენციები კი დღის წესრიგში აყენებს ქვეყნების უსაფრთხოების გეოეკონომიკური სტრატეგიების შემუშავების აუცილებლობას, განსაკუთრებით კი ახალი გეოპოლიტიკური გამოწვევების პირობებში.

თავი III. გეოეკონომიკური სტრატეგია ახალი გეოპოლიტიკური გამოწვევების პირობებში

3.1 სივრცე: გეოპოლიტიკისა და გეოეკონომიკის შორმირების კვინტესენცია

გეოპოლიტიკა „როგორც ცნობილია, აანალიზებს ურთიერთობებს homo politicus–სა და სივრცეს შორის. ღასაკვირველია, ეს დისციპლინა ითვალისწინებს სიეცობრივი ფაქტორების გავლენას პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე, ასევე პოლიტიკური სიტუაციის ზემოქმედებას სივრცის ორგანიზაციასა და მასზე კონტროლს. თუ გეოპოლიტიკას არ სურს ჩაიკეტოს მექანიკურ დეტერმინიზმში, მან ადამიანი და სივრცე უნდა განიხილოს მათ პერმანენტულ და მრავალფეროვან ურთიერთობებში.

XX ს. ბოლოს გეოპოლიტიკის წიაღში აღმოცენდა ახალი მიმდინარეობა-გეოეკონომიკა. როგორც მისი სახელწოდება გვიჩვენებს, ეს მიმართულება სწავლობს homo economicus- სა და სივრცეს შორის ურთიერთობას, უფრო კონკრეტულად კი – სივრცობრივი ფაქტორების გავლენას საქონლის წარმოებისა და განაწილების სფეროზე, სივრცის გამოყენებას ეკონომიკური საქმიანობისათვის. ეს ფორმულირება საშუალებას იძლევა ვამტკიცოთ, რომ წარსულში ბევრი მეცნიერი გაუთვალისწინებლად აწარმოებდა გეოეკონომიკური ხასიათის კვლევებს. მაგ: შოტლანდიელი ეკონომისტი ა. სმიტი (1728-1790), რომელიც ავტორია „ხალხის სიმდიდრის მიზეზებისა და ბუნების“ კვლევებისა, თავის მსჯელობას აგებდა შრომის გადანაწილების კონტექსტში (როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე საერთაშორისო დონეზე), თუმცა იგი პრაქტიკულად არ ინტერესდებოდა სივრცობრივი რეალიებით, ისეთებით როგორიცაა ადამიანური და ბუნებრივი რესურსების განაწილება სივრცეში, სიმდიდრის პოლუსების ლოკალიზაცია, საქონლის და ნედლეულის ტრანსპორტირების დანახარჯები.

თანამედროვე გეოეკონომიკა გულისხმობს გეოგრაფიის, პოლიტიკის ისტორიის და ეკონომიკის სინთეზსს. ფერნან ბროდელი ავტორი შრომისა „ისტორია და სოციოლოგია“[42] თავისუფლად შეიძლება მივიჩნიოთ ისტორიკოს-გეოეკონომისტად. იგი თავის შრომებში მუდმივად უსვამს ხაზს ეკონომიკის, სივრცისა და დროის უწყვეტ კავშირს, რომლის კლასიკურ მაგალითადაც გამოდგება მისი ნაშრომი „ცივილიზაცია და კაპიტალიზმი“[43]. მსგავსი მაგალითების მოყვანა კი უამრავი შეიძლება.

და მაინც, რატომ აღმოცენდა გეოეკონომიკა როგორც დამოუკიდებელი მეცნიერული მიმართულება XX ს. ბოლოს. ჩვენის აზრით, ეს მოხდა სამი ძირითადი ფაქტორის ზემოქმედებით: 1. ურთიერთდამოკიდებულების გაძლიერებითა და ქსელების შექმნით; 2. რკინის ფარდის დაშვებით, კომუნისტური ექსპერიმენტების კრახით და 3. მსოფლიო ეკონომიკურ და პოლიტიკურ სივრცეში ახალი მოთამაშეების გაჩენით. მოკლედ განვიხილოთ თითოეული მათგანი.

1. ტელეკომუნიკაციების განვითარებამ და დინებების ინტენსიფიკაციამ კერძოდ, „არამატერიალურმა“ დინებებმა (ინფორმაციის დინებები, კაპიტალის გადაადგილება) შექმნა ისეთი პირობები, როცა სივრცე და დრო აღარ თამაშობს გადამწყვეტ როლს. ფაქტიურად აღმოცენდა ახალი გეოგრაფია, საკმაოდ მობილური, იგი ნაკარნახევია ეკონომიკური დინებებით, ლოკალიზაციით და საქმიანობის სფეროს გადაადგილებით, რომელშიც იქმნება და მოიხმარება სიმდიდრე. ასე გაჩნდა გეოეკონომიკა, გეოფინანსები, გეოინფორმაცია, გეოტექნოლოგიები, თუმცა ეკონომიკა იყო და იქნება დროსა და სივრცის შიგნით.

---

[42] Braudel F. «History and Sociology»; English trans. in his on History, Chicago, 1980. p.64-82.

[43] Braudel F. Civilization and Capitalism, 3 vols; English trans. London, 1980-82.

2. XX ს. უმეტეს პერიოდში დიდი იდეოლოგიური კონფლიქტები (ლიბერალიზმის, ფაშიზმისა და კომუნიზმს შორის 1918-დან 1945 წლამდე, პლურალისტურ დემოკრატიასა და კომუნიზმს შორის მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდიდან 1989 წლამდე) ხელს უწყობდნენ იმას, რომ პოლიტიკურ-სტრატეგიული ელემენტები (შეიარაღებული ძალები, ბირთვული არსენალი და მათი მატარებელი) გადაქცეულიყვნენ სახელმწიფოს ძლიერების უმნიშვნელოვანეს კრიტერიუმად. XX ს. ბოლო პერიოდმა და XXI ს. დასაწყისმა აჩვენა, რომ იმის თქმა, თითქოს იდეოლოგიური ხასიათის კონფლიქტებმა დასრულებული სახე მიიღეს, არ შეიძლება, ვინაიდან კვლავ რჩება დასავლეთის მორალურ ფასეულობათა მატარებელთა შეჯახების რისკი ისლამისტებთან, ისევე როგორც დემოკრატიული პრინციპების დამცველთა და ნაციონალისტებს შორის ასეთი კონფლიქტები მიმდინარეობს სხვადასხვა ფორმით, სხვადასხვა ტერიტორიაზე და „ოქროს მილიარდის" ქვეყნები (მითუმეტეს ბლოკები) მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში იღებენ მასში მონაწილეობას. ამჟამად მსოფლიო სივრცე არ იყოფა მუდმივად გამყოფი ხაზის ცალკეულ ფრაგმენტებად (ასეთი გამყოფი ხაზის მაგალითი იყო ზემოთ ნახსენები რკინის ფარდა). რკინის ფარდის პერიოდში სახელმიფოს არსებობისა და ძლიერების კრიტერიუმი იყო საერთაშორისო ტქნიკურ-ეკონომიკურ შეჯიბრებასთან ადაპტირების უნარი. გეოეკონომიკის როლი დაიყვანებოდა კონფიგურაციის ცვლილებების ანალიზზე, რომელიც დაკავშირებული იყო ზემოთ აღნიშნულ კრიტერიუმებთან.

3. სუვერენული სახელმწიფოები არასოდეს არ ყოფილან ერთადერთი მოთამაშეები საერთაშორისო ურთიერთობებში, მხედველობაში გვაქვს ის გარემოება, რომ ყველა დროში ცალკეული პიროვნებები, პოლიტიკური და საზოგადოებრივი მოძრაობები, არასახელმწიფოებრივი ინსტიტუტები (თუნდაც ეკლესია) ასევე ახდენდნენ გავლენას საერთაშორისო ურთიერთობების სივრცის ხასიათზე. XXს. ბოლო როგორც ზემოთ აღვ-

ნიშნეთ, რიგი ახალი მოვლენებით ხასიათდება. ამ მოვლენათა ურთიერთქმედების შედეგად აღმოცენდა ანარქიული ეკონომიკური მსოფლიო, სადაც საზღვრები დასაშვებ და აკრძალულს, კანონიერსა და არალეგალურს შორის უკიდურესად მოძრავია.

ასეთი გეოპოლიტიკური სივრცის პირობებში გეოეკონომიკის ამოცანა მოახდინოს ბაზრის შესახებ არსებული ინფორმაციის ანალიზი და მისი სისტემატიზაცია, სადაც სახელმწიფო, რომელიც ინარჩუნებს თავის პრეროგატივას და ატარებს თავის წილ პასუხისმგებლობას, განიცდის მადესტაბილიზირებელ მოქმედებას ეკონომიკური სუბიექტების (საწარმოები, კერძო პირები, მულტიეროვნული კორპორაციები და ბანკები) მხრიდან, რომლებიც ხშირად შორს დგანან სტაბილურობისგან. ამასთან სახელმწიფოები რჩებიან თავისი მოქალაქეებისა და საწარმოების ინტერესთა დამცველად.

ეკონომიკა და პოლიტიკა ადამიანის ყოფის შემადგენელი ნაწილია. ეკონომიკა სწავლობს საკითხებს, რომელიც დაკავშირებულია ფასეულობის შექმნასთან მის განაწილებასა და მოხმარებასთან. ეკონომიკის თვალსაზრისით, სივრცე თავის თავში მოიცავს წარმოებას (მიწა, მაღარო, ქარხნები, ფაბრიკები და ა.შ), საქონლის გაცვლის გზებს (კომუნიკაციის ყველანაირი გზები), ბაზრებს და ა.შ თავის მხრივ, პოლიტიკის ინტერესი კონცენტრირდება ადამიანთა ურთიერთობების ორგანიზაციაზე კოლექციური სტრუქტურების (ანტიკური ქალაქიდან ერსახელმწიფომდე) ჩარჩოებში..

პოლიტიკური სივრცე შეიძლება ითქვას რადიკალურად განსხვავდება ეკონომიკურისაგან, რამდენადაც პირველს არ შეუძლია არსებობა მუდმივობისა და ბარიერების გარეშე, მაშინ როცა მეორე იმყოფება პერმანენტულ მოძრაობაში მოთხოვნილებისა და მიწოდების ცვლილებებიდან გამომდინარე.

პოლიტიკოსები და ეკონომისტები (მათ შორის ეცონომისტ–გეოგრაფები) სხვადასხვაგვარად უდგებიან ტერიტირიულ საკითხებს. პოლიტიკოსის თვალსაზრისით ტერიტორია წარ-

მოადგენს სიერცეს, სადაც სახელმწიფო ახორციელებს თავის სუვერენიტეტს. ეროვნულ საზღვრებს მიღმა სუვერენიტეტს ახორციელებს უკვე სხვა სახელმწიფოები ეკონომისტის თვალსაზრისით კი ტერიტორიული ფაქტორები წარმოადგენენ გარკვეულ სარგებელს, ან უპირატესობას გაცვლითი ოპერაციების პროცესში. მისი მიზანი იმაში მდგომარეობს, რომ უზრუნველყოს საქონლის წარმოებისა და განაწილების (რეალიზაციის) პროცესი. პოლიტიკოსისათვის ფული წარმოადგენს ძლიერების ერთ-ერთ ფაქტორს, ხოლო ეკონომისტისათვის ეს არის ის საპოხი, რომელიც უზრუნველყოფს ფასეულობის მოძრაობასა და შექმნას. სივრცისადმი მიდგომის ამ განსხვავებებით შეიძლება აიხსნას ის პერმამენტული დაძაბულობა, რომელიც არსებობს სახელმწიფოსა და მეწარმეებს შორის, უფრო კონკრეტულად კი სახელმწიფო მუდმივად ცდილობს დინებების (საქონელი, კაპიტალი, ადამიანები, ინფორმაცია, იდეები) გაკონტროლებას. მოსაკრებელი, რომელსაც სახელმწიფო იღებს ამ დინებებზე (ბაჟი, გადასახადები და ა.შ) საშუალებას აძლევს სახელმწიფოს ჰქონდეს ის სახსრები, რომელიც აუცილებელია როგორც ქვეყნის სამართლებრივი ორგანოების, ასევე არმიის შენახვისათვის და საკუთარი პრესტიჟის ამაღლებისათვის. მ. ვებერის[44] აზრით სახელმწიფო ფლობს „დაკანონებული ძალმომრეობის მონოპოლიას". მას შეუძლია დასაჯოს თავისი მოქალაქეები, წაართვას მას ქონება, მაგრამ ასევე შეუძლია მას მათი დაცვაც. ასწლეულების განმავლობაში ვაჭრები ცდილობდნენ ეამებინათ და თავი მოექონათ ხელისუფლებისათვის, აევსოთ ისინი საჩუქრებით მაშინ, როცა სახელმწიფოს ნებისმიერ დროს შეეძლო მოეხდინა მათი საქონლის კონფისკაცია, დაეპატიმრებინა და საერთოდ გაენადგურებინა ისინი. ამავე დროს ვაჭრებს კარგად ესმოდათ, რომ მხოლოდ სახელმ-

[44] უფრო დაწვრილებით იხ: Weber M. Economy and Society; English trans, 3 vols, New-York, 1968

წიფოს შეეძლო მათი დაცვა საშიში კონკურენციისაგან. ამასთან საქონლის, ოქროს, ფულის, მომსახურებისა და ინფორმაციის დინებები პერმანენტულად გადაადგილდებიან სივრცეში, ემორჩილებიან დინამიკას, რომელიც ხელთ არ ეწიფება სახელმწიფოს. თავის შრომაში „ხმელთაშუა ზღვისპირეთი ფილიპე II-ის ეპოქაში“[45], ფ.ბროდელი აანალიზებს რა XVI ს. ესპანეთის ძლიერებისა და მისი დაცემის მიზეზებს, მიუთითებს, რომ სევილია მიტაცებული იქნა, განადგურდა შიგნიდან თერმიტების უხილავი ურდოებით, რითაც დაუყოვნებლივ ისარგებლა ჰოლანდიამ. ამსტერდამმა თავის მხარეზე გადაიბირა ანტვერპენის ვაჭრები და ჩამოაცილა რა მას სევილიელი კონკურენტები, თავისი ეკონომიკის ქსელი თავს მოახვია ამერიკაში არსებულ ესპანურ სამფლობელოებს. მაშინ როცა სახელმწიფო რჩება საკუთარი ტერიტორიის ტყვეობაში, კაპიტალისა და საქონლის მოძრაობის გზები უწყვეტად გადაადგილდება პოლიტიკური და სტრატეგიული კონიუქტურის მიხედვით. იმის მიუხედავად, რომ პოლიტიკა ბატონობს ეკონომიკაზე, ეს უკანასკნელი მუდმივად ცდილობს მისი ბატონობისაგან თავის დაღწევას, რაც კარგად იკვეთება ეკონომიკის გლობალიზაციის პროცესში.

კაცობრიობის განვითარების ისტორია აჩვენებს, რომ პოლიტიკური ბრძოლა ყოველთვის იყო დაკავშირებული სტრატეგიულ რესურსებზე კონტროლის დამყარებასთან. ა. მაკედონელიდან დაწყებული, ვიდრე ახალ გეოგრაფიულ აღმოჩენებამდე, „აბრეშუმის გზა“ წარმოადგენდა ევროპისა და შორეული აღმოსავლეთის დამაკავშირებელ მნიშვნელოვან არტერიას, რომლის საშუალებითაც უწყვეტად მოედინებოდა ფასეული და იშვიათი საქონელი. III-VII სს ბიზანტია და სასანიდების იმპერია ერთმანეთს შორის აწარმოებდნენ ბრძოლას

[45] უფრო დაწვრილებით იხ: Braudel F. The Mediterranean and the Mediterranean World in the Age of Philip II; 2 edn 1966; English trans. London, 1972.

მსოფლიოზე ეკონომიკური გაბატონების მიზნით. ეს კი გულისხმობდა იმ გზების კონტროლისათვის ბრძოლას, რომლითაც დასავლეთი საქონლით ამარაგებდა ჩინეთს და შორეული აღმოსავლეთის სხვა სახელმწიფოებს, უპირველეს ყოვლისა, კი ეს იყო აბრეშუმი (Maxime Rodison). მთელი XIII ს. განმავლობაში იმპერია, რომელიც დაარსებული იყო ჩინგისხანის მიერ, მდიდრდებოდა აბრეშუმის გზაზე დამყარებული კონტროლის მეშვეობით, სადაც მონღოლები უზრუნველყოფდნენ ქარავნების უსაფრთხოებას. სახმელეთო და საზღვაო (ინდოეთის ოკეანის გაელით) კონფლიქტები, შორეულ აღმოსავლეთსა და ევროპას შორის დამაკავშირებელი გზების კონტროლის უფლებაზე, იძენდა გლობალურ მაშტაბებს, რთავდა რა ატლანტიკასა და წყნარ ოკეანეს (უკვე XVI ს დასაწყისიდან) საერთაშორისო სავაჭრო კავშირების სისტემაში.

ამერიკის აღმოჩენის შემდგომ ატლანტის ოკეანე უკვე აღარ იყო იდუმალებით მოცული, გამოუცნობი ზღვა და ძალიან მალე იგი გახდა მსოფლიოს უძლიერეს სახელმწიფოთა სტრატეგიული მეტოქეობის არენა. როგორც ცნობილია, ატლანტიკაზე კონტროლის დამყარებას ერთმანეთს ეცილებოდნენ ესპანეთი და პორტუგალია (XVI ს), შემდგომ ესპანეთი, ჰოლანდია, საფრანგეთი და ინგლისი (XVII ს), მოგვიანებით კი საფრანგეთი და ინგლისი (XVIII ს.)[46].

ეკონომიკური განვითარება თითქმის არასოდესაა თანაბარი, იმის მიუხედავად, თუ რაზეა საუბარი – საწარმოზე, ეკონომიკის დარგებზე თუ სახელმწიფოებზე. უთანაბრობა მუდმივად ზრდის წინააღმდეგობას. კონცენტრაციის პროცესი, რომელიც მჭიდროდაა დაკავშირებული სახელმწიფოსთან, იწვევს წარმოების სტაგნაციას და პარაზიტული ფენების გაჩენას საზოგადოებაში. ვფიქრობთ ამით შეიძლება აიხსნას გასაღების ბაზრებისათვის პერმანენტული ბრძოლა, ბრძოლა მსოფლიოს

[46] უფრო დაწვრილებით იხ: ა. გეგეშიძე, გეოპოლიტიკა, თბ. 1997წ.

გავლენის სფეროების გადანაწილებისა და კოლონირებისათვის. მაგრამ სიმდიდრის დაგროვებას და კონტროლის სფეროს გაფართოებას უმეტესად მივყავართ კაპიტალურ მონოპოლიებს შორის ახალ კონფლიქტამდე.

ჯერჯერობით ფაქტად რჩება ის, რომ არც ერთ სახელმწიფოს არ შეუძლია არსებობა თავისი ძირითადი ბაზის-ტერიტორიის გარეშე. სახელმწიფოს უფლება ამა თუ იმ ტერიტორიაზე მტკიცდება ომის შედეგად და ომის გზით. თუმცა ბევრი ტერიტორია იყო და რჩება რამოდენიმე სახელმწიფოს სტრატეგიული ინტერესების საგანი. მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ იერუსალიმი, სადაც ერთდროულად არსებობს სამი რელიგიის იუდაიზმის, ქრისტიანობისა და ისლამის სიწმინდეები.

ცნობილია, რომ XX ს. ბოლოს ტერიტორიულმა პრეტენზიებმა გამოიწვია ომები, რაც დაამტკიცა ყოფილ იუგოსლავიაში განვითარებულმა მოვლენებმა. ადამიანთა ფსიქოლოგიაში კვლავ შენარჩუნებულია გლეხის ინსტინქტი, რომლის მიხედვითაც მიწის მფლობელობა წარმოადგენს უსაფრთხოების ყველაზე საიმედო გარანტიას. მაგრამ თანამედროვე ცხოვრებას არავითარი აზრი არ აქვს ადამიანთა, საქონლის, იდეათა და ა.შ. გადაადგილების გარეშე. ამ დინებების გაძლიერება კი იწვევს ადამიანისა და სივრცის ურთიერთობის ახალი ასპექტის ანალიზის აუცილებლობას, რომელიც წარმოადგენს კიდეც გეოეკონომიკის კვლევის არეალს.

3.2 ტერიტორიაზე კონტროლის სტრატეგია

საერთაშორისო ურთიერთობების უმეტესი პერიოდისათვის პოლიტიკური კონფლიქტების ფოკუსს წარმოადგენს ტერიტორიული კონტროლი. ნაციონალიზმის აღმოცენების დღიდან ომების ძირითადი მიზეზი იყო ან საკუთარი ეროვნული მისწრაფებების დაკმაყოფილება (დიდი ტერიტორიების დასაკუთრე-

ბის სურვილი), ან ეროვნული დანაკარგის განცდა, რომელიც დაკავშირებული იყო „წმინდა“ მიწის დაკარგვასთან. ზ.ბჟეჟინსკი მიიჩნევს, რომ ტერიტორიული იმპერატიული იყო ის ძირითადი იმპულსი, რომელიც მართავდა ერი-სახელმწიფოს ქცევას[47].

იმპერიები ასევე შენდებოდა სტრატეგიულად მნიშვნელოვანი სივრცეების (გიბრალტარი, სუეციის არხი, სინგაპური და ა.შ) მიტაცების, კარგად მოფიქრებული სტრატეგიების გზით.

ნაციონალიზმსა და ტერიტორიულ პყრობას შორის კავშირის ყველაზე ექსტრემალური გამოვლინება იყო ნაცისტური გერმანიისა და იმპერატორული იაპონიის მხრიდან. „ათასწლიანი რეისის“ შექმნის მცდელობა საკმაოდ ცილდებოდა ყველა გერმანულენოვანი მოსახლეობის გაერთიანებას ერთ პოლიტიკურ ჭერქვეშ და ფოკუსირდებოდა უკრაინისა და სხვა სლავური მიწების მიერთების სურვილზე.

იაპონელთა ნაციონალისტური იდეა კი იმაში მდგომარეობდა, რომ მანჯურიის პირდაპირი ტერიტორიული პყრობა და შემდგომ ჰოლანდიის ნავთობმომპოვებელი ისტ-ინდოეთი ძალზედ მნიშვნელოვანი იყო იაპონელთა ეროვნული ძლიერებისა და გლობალური სტატუსისათვის. საუკუნეების განმავლობაში ანალოგიური ნაციონალისტურ-შოვინისტური ტენდენციებით ხასიათდებოდა რუსეთი, რომლის ძლიერება გაიგივებული იყო ტერიტორიის მიტაცებასთან, თვით XX ს. დასასრულისთვის კი რუსეთის დაჟინებულ მოთხოვნას – შეენარჩუნებინა კონტროლი ისეთ არარუსი ეთნოსის ხალხზე, როგორიც ჩეჩნებია (რომლებიც ცხოვრობენ სასიცოცხლო მნიშვნელობის გაზსადენის გარშემო), ამართლებდნენ იმ განცხადებებით, რომ ასეთი კონტროლი პრინციპულად აუცილებელია რუსეთის, როგორც სახელმწიფოს სტატუსის შენარჩუნებისათვის.

---

[47] Бжежинский Збигнев. Большая шахматная доска, М. 2000.

ერი-სახელმწიფოები კვლავ რჩებიან მსოფლიო სისტემის ძირითად რგოლებად, თუმცა ზესახელმწიფოებრივი ნაციონალიზმის შესუსტება და იდეოლოგიური კომპონენტის გაუფერულებამ დაბლა დასწია გლობალური პოლიტიკის ემოციური შინაარსი, მაშინ როცა ბირთვულმა იარაღმა სერიოზული შემაჩერებელი მომენტი შეიტანა ძალის გამოყენების, კონკურენციისა და სხვა კუთხით. ამ კონკურენციაში გეოგრაფიული მდებარეობა ჯერ კიდევ რჩება ერი-სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტების განსაზღვრის ამოსავალ წერტილად, ხოლო ეროვნული ტერიტორიის ზომები კვლავ ინარჩუნებენ სტატუსისა და ძალის უმნიშვნელოვანესი კრიტერიუმის განზომილებას.

მსოფლიოს ქვეყნების მმართველი ეროვნული ელიტები სულ უფრო აღიარებენ იმას, რომ არათუ ტერიტორიული, არამედ სხვა ფაქტორები გაცილებით პრინციპულები არიან სახელმწიფოს ეროვნული სტატუსის განსაზღვრისა და ამ სახელმწიფოს საერთაშორისო აუტორიტეტისა და გავლენის ხარისხისათვის. აქტიური გეოეკონომიკური პოლიტიკა და ტექნოლოგიური ინოვაციების დანერგვა, ასევე შეიძლება იყოს ძალისა და ძლიერების საკვანძო კრიტერიუმი. აღნიშნულის პირველი მაგალითი აჩვენა იაპონიამ.

აღნიშნულის მიუხედავად, ჯერ კიდევ არსებობს ტენდენციები, რომლის დროსაც გეოგრაფიული მდებარეობა უფრო მეტად განსაზღვრავს სახელმწიფოს უშუალო პრიორიტეტებს, ვიდრე მისი სამხედრო, გეოეკონომიკური და გეოპოლიტიკური სიძლიერე. ახლო წარსულში გეოპოლიტიკის სფეროს წამყვანი პოლიტიკოსები დებატებს მართავდნენ იმაზე, სად მეტი მნიშვნელობა აქვს ხელისუფლებას – ხმელეთზე თუ ზღვაზე და ევრაზიის კონკრეტულად რომელი რეგიონი წარმოადგენს ყველაზე უფრო მნიშვნელოვანს იმისათვის, რომ გაკონტროლდეს მთელი რეგიონი. ჰ. მაკინდერი, გასული საუკუნის დასაწყისში გახდა იმ დისკუსიების ინიციატორი, რომელთა შედეგადაც

შეიქმნა მისი ევრაზიული „საყრდენი ტერიტორიის" კონცეფცია[48], ხოლო მოგვიანებით, „შუაგულის" კონცეფცია.

ამის შემდგომ გერმანიის წამყვანმა სპეციალისტებმა პოლიტიკურ გეოგრაფიაში, მიმართეს გეოპოლიტიკას, რათა დაეფუძნებინათ თავისი ქვეყნის „მისწრაფება აღმოსავლეთზე" (drang nach Osten) კერძოდ, კ. ჰაუსჰოფერი შეეცადა ჰ. მაკინდერის კონცეფცია მოერგო გერმანიის სტრატეგიული ინტერესებისათვის[49]. ამ კონცეფციის ყველაზე ვულგარული გამოძახილი დააფიქსირა ა. ჰიტლერმა, როცა ხაზი გაუსვა გერმანელი ხალხის მოთხოვნილებას სასიცოცხლო სივრცეზე ("lebensraum")

ამჟამად, გეოსტრატეგიული საკითხი აღარ დაიყვანება იმაზე, თუ ევრაზიის რომელი ნაწილია ის საყრდენი წერტილი, რომელიც უზრუნველყოფს კონტინენტზე ბატონობას. გეოსტრატეგიული აზროვნება გეოპოლიტიკაში საკმაოდ წინ წავიდა, კერძოდ მან სერიოზული ევოლუცია განიცადა- რეგიონული აზროვნებიდან გლობალურ აზროვნებამდე. ამასთან მთელს ევრაზიის კონტინენტზე უპირატესობა წარმოადგენს მსოფლიოს ერთპიროვნული ლიდერობის ცენტრალურ საფუძველს.

3.3 გეოეკონომიკური ომების სტრატეგია და სპეციფიკა

XX ს. გლობალური ისტორიული მოვლენების ზემოქმედებით, გეოეკონომიკური სივრცე მუდმივი ცვლილებების მდგომარეობაში იმყოფება. ასწლეულების გასაყარზე ეს

---

[48] უფრო დაწვრილებით იხ: Halford Mackinder. "Geographical Pivot of Historu in: Geographical Journal". 1904; ან ამ ნაშრომის რუსული თარგმანი ჟურნალში. " Элементы Евразийское обозрсния", M; 1996 №7, e. 26-31; ა. გეგეშიძე. გეოპოლიტიკა. თბ., 1997წ.

[49] უფრო დაწვრილებით იხ: Karl Haushofer. «kontinentalblocke: Mittcleuropa-Eurasia-Japan in: Augewaelte Texte zur Geopolitik». Boppar am Rhein.

ცვლილებები ექცევიან პრინციპულად ახალი პროცესების გავლების ქვეშ, რომელიც დაკავშირებულია ტექნოლოგიური განვითარების შედარებით მაღალ ფაზაში გადასვლასთან. ფაზების ცვლილებები ეს ობიექტური მოვლენაა, რამდენადაც იგი დამოკიდებულია მეცნიერებისა და ტქნიკის განვითარების კანონზომიერებაზე და პრაქტიკულად ვერც ერთი განვითარებული ეროვნული ეკონომიკა ვერ გაექცევა ამ ეტაპს. ამასთან ქმედითუნარიანი ეროვნული ეკონომიკა ხდება მსოფლიო კვლავწარმოებადი ციკლების მონაწილე და ერთვება მსოფლიო შემოსავლების ფორმირებისა და გადანაწილების პროცესში.

ჯერ კიდევ გასული საუკუნის 70-იან წლების დასაწყისში რომის კლუბის პირველი პრეზიდენტი ა. პეჩეიმ გამოაცხადა გამჭრიახობა და თავის „პროექტ-69-ში" ჩამოაყალიბა პრინციპი, რომლის თანახმადაც „კაცობრიობა და მისი არსებობის პირობები წარმოადგენს ინტეგრირებულ მაკროსისტემას, რომელიც აღმოცენებულია ურთიერთზემოქმედ მრავალფეროვან და უამრავი სისტემებისა და ქვესისტემებისაგან[50]". ეს ქვესისტემები კი აღმოჩნდნენ მოძრავი, გაფართოებისაკენ მიდრეკილი წარმონაქმნები, რომლებსაც გააჩნიათ თვითგანვითარების უნარი. გასული საუკუნის 70-80-იან წლებში ისინი ადამიანის საქმიანობის ყველა სფეროს ინტერნაციონალიზაციის უპირველეს ყოვლისა კი ეკონომიკური ტრანსნაციონალიზაციის გაელენით თანდათან გარდაიქმნენ მსხვილი გეოტექნოლოგიურ ცენტრებად (ბირთვებად), რამაც საფუძველი დაუდო ზენაციონალური სფეროსა და სტრუქტრურების სწრაფ განვითარებას.

ტრანსნაციონალური კორპორაციები უკვე გაეიდნენ მსოფლიო ეკონომიკის მოწინავე პოზიციებზე და ჩამოაყალიბეს ზესახელმწიფოებრივი კვლავწარმოებადი სისტემა, თუმცა აქაც აქტუალურად მიმდინარეობს ძლიერი და მოძრავი სტრანსასაზღვრო ფორმირების პროცესი. აშშ საბანკო სფეროსა და მრეწ-

---

[50] Римский клуб. История создания, избранные доклады и выступления, официальные документы. УРОС, М, 1997, с. 85.

ეალობაში ბოლო 15-20 წლის განმავლობაში განხორციელდა მსხვილი შერწყმების მთელი სერია, რომელმაც მნიშვნელოვნად გააძლიერა „დიდი ბიზნესის“ კონკურენტული პოზიციები.

ეს სტრუქტურები შედიან რთულ, არაცალსახა ურთიერთობებში სახელმწიფო ინტიტუტებთან, რამდენადაც ამ უკანასკნელის გავლენის მნიშვნელოვანი წილი გადადის ამ ზენაციონალური წარმონაქმნების ხელში. მსოფლიო საზოგადოების წინაშე დგას პრინციპული და სერიოზული საკითხები, კერძოდ, როგორ მოხდეს ზენაციონალური სტრუქტურების ინტერესების შეთანაწყობა.

ეროვნული სახელმწიფოს განვითარების ინტერესებთან როგორ უნდა მოხდეს კოლექტიური უსაფრთხოების სიტემის რეფორმირება ამ პირობებში და როგორ უნდა განისაზღვროს ამ პირობებში სახელმწიფო კომპონენტის როლი, რომელიც ამჟამად აშკარად იხმარება ამ ზენაციონალური მსოფლიო სტრუქტურების ინტერესების დაცვისაკენ. სხვა სიტყვით რომ ვთქვათ, ეკონომიკური სიერცის პრიორიტეტი მსოფლიო საზოგადოების წინაშე აყენებს მსოფლიო საერთაშორისო ორგანიზაციების ისეთ ახალ სისტემაზე გადასვლის გზების ძიების ამოცანას, რომლებიც შეესაბამებიან ახალ გეოეკონომიკურ სიტუაციას. „საერთაშორისო ორგანიზაციის“ თანამედროვე გაგება არ ითვალისწინებს ზენაციონალურ ფუნქციებს და ასახავს მხოლოდ სახელმწიფოთაშორის ურთიერთობას ზენაციონალური სტრუქტურების მოთხოვნების გათვალისიწინების გარეშე. როგორც ჩანს, ამჟამად საერთაშორისო ორგანიზაციებს არ შესწევთ მათ შორის ურთიერთობების დარეგულირების უნარი.

აღნიშნული სიტუაციაში საინტერესოა აღინიშნოს შემდეგი. რუსეთში კარგად შეაფასეს ჩვენი დროის გეოეკონომიკური რეალიები. ამ შეფასების შედეგები კი გამოიყენეს ნეოიმპერიალისტური მიზნებისათვის. (გავიხსენოთ ეკონომიკური ემბარგოების მთელი სერია რუსეთის მხრიდან). რუსეთმა თავისი შეიარაღების არსენალი გაამდიდრა გეოეკონომიკური ექსპან-

სიონიზმით. ამ ქვეყნის პოლიტიკური დოქტრინა იყენებს გეოეკონომიკურ იდეალებსა და ტერმინოლოგიებს საგარეო ეკონომიკური ექსპანსიის გამართლების მიზნით, რომელიც მიმართულია (პოსტსაბჭოურ სივრცეში) სხვა ქვეყნების შემოსაჭრელების მიტაცებისკენ ისე, რომ ეს ქვეყნები არ მოიშვან შემოსაველების ფორმირებასა და განაწილებასთან.

აღნიშნულს კი შეუძლია რუსეთი მიიყვანოს გეოეკონომიკურ ომამდე. მაგრამ ამ ქვეყნის არც ერთ ოფიციალურ დოკუმენტში არ არსებობს ამ ფაქტის აღიარების კვალიც კი. ფაქტია, რომ რუსული გეოეკონომიკური ექსპანსიონიზმი ამოფარებულია გეოპოლიტიკურ „ბურუსს“. რუსეთის ნამდვილი გეოეკონომიკური სტრატეგია კარგადაა შენიღბული გეოპოლიტიკური გატაცებების მითებში. ასეთი ორმაგი სტანდარტის მაგალითია რუსეთის წამყვანი სტრატეგიების (გ. პაველოვსკი, ვ.დუგინი, კ. კორაჩოვი და ა.შ) კონცეფციები.

გეოეკონომიკური ომები სათავეს იღებს ორი ისტორიული მომენტიდან: კერძოდ, „სავაჭრო ომებიდან“ და „ცივი ომის“ პერიოდიდან. მილიტარიზმის „შესისხლხორცება“ ეროვნულ ეკონომიკებში წარმოადგენს გეოეკონომიკური ომების საფუძველს. ასეთი ოპერაციების მაგალითები საკმაოდ კარგადაა ცნობილი, ისინი საკმაოდ დეტალურად დამუშავდა და რეალიზდება ომისშემდგომ პერიოდში, როცა სამხედრო მუქარის დაჭირხნა ხშირად ატარებდა ხელოვნურ ხასიათს, ასევე ხელოვნურობა არც თუ იშვიათი იყო შეიარაღების მორალურ დაძველებაშიც, კერძოდ ხშირად გაუმართლებლად შეიარაღებიდან იხსნებოდა სამხედრო ტექნიკის პირველი კლასის ნიმუშები.

რუსეთის სტრატეგიულ თავდაცვითი დოქტრინა კლასიკურ მაგალითად შეიძლება გამოდგეს. ამ დოქტრინაში კულტივირებს ეროვნულ-ეთნიკური კონფლიქტები და ტერიტორიული უფლებები, რაც ამ ქვეყანას საშუალებას აძლევს ჩამოაყალიბოს იარაღის დიდი ტევადობის მსოფლიო ბაზარი, სადაც მათ ლიდერის პოზიციები უჭირავთ. (რომ არაფერი ვთქვათ იარაღის

უკანონო ვაჭრობაზე, რომელიც ამ ქვეყანაში უსწრაფესი ტემპით ვითარდება).

ამ მოქმედებების შედეგად ბრუნვაში შევიდა მაღალი გეოეკონომიკური ტექნოლოგიებით ოპერირების მექანიზმი მსოფლიო მასშტაბით. ამ ტექნოლოგიების მოქმედების სფეროში ამა თუ იმ ხარისხით ჩართული აღმოჩნდა მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანა. გამოჩნდნენ საკუთარი „ლიდერებიც". ამ „ლიდერებში" კი შევიდნენ ის ქვეყნები, რომლებიც გადაიქცნენ უდიდეს გამოსაცდელ პოლიგონად, სადაც იხვეწება გეოეკონომიკური ომების უახლოესი ტექნოლოგიები. ასეთი ტექნოლოგიების გამოყენების პირობებში ეროვნული ეკონომიკები რეაგირებს ნებისმიერ გლობალური გეოსტრატეგიულ ინიციატივებზე. ბევრი ეროვნული ეკონომიკა იმედით შესცქერის იარაღისა და აღჭურვილობის მსოფლიო ბაზარს, ერთვებიან ლიდერობისთვის ბრძოლაში, რომლის დროსაც გლობალური მილიტარიზაცია სულ უფრო და უფრო აქტიურდება, რომელსაც მსოფლიოსთვის გაუთვალისწინებელი ნეგატიური შედეგები შეიძლება მოყვეს.

გეოეკონომიკურ პროცესებში სამხედრო ფაქტორის თანდათანობითი შეთვისებით ყალიბდება ომის წარმოების სულ უფრო დახვეწილი ხერხები „რაპირდაპირი მოქმედების" სტრატეგიის განვითარების შესაბამისად და მასთან ერთად იქმნება არასამხედრო ხასიათის „იარაღის" ახალი სახე, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში გეოეკონომიკური „ვირუსოლოგიის" სახელითაა ცნობილი.

გეოკონომიკური ომების მსხვერპლმა სახელმწიფოებმა უნდა გაითვალისწინონ ეს სიახლეები ეროვნული დოქტრინების შემუშავების დროს. მოცემული რაკურსი წარმოადგენს საფრთხეებისა და მისი სპექტრის შეფასების სრულიად ახალ ხედვას, ისევე, როგორც საპასუხო რეაქციის ხერხები, რომელთა ამოცანაა ქვეყანამ თავიდან აიცილოს გეოეკონომიკურ ომებში ჩათრევის მცდელობა უცხო ქვეყნების მხრიდან.

3.4. სტრატეგიული მანევრის გეოეკონომიკური არსი

ნებისმიერი ეროვნული ეკონომიკის განვითარების სტრატეგია მხოლოდ მაშინ ფლობს პოზიტიურ ისტორიულ პერსპექტივას, როცა მასში დაცულია გარკვეული ეტაპობრიობა და შენარჩუნებულია სტრატეგიული მანევრირების უნარი.

საქართველოს ეროვნული ეკონომიკის გადასვლა ფუნქციონირებისა და განვითარების გეოეკონომიკურ მოდელზე უნდა ითვალისწინებდეს ორ ეტაპს. პირველი ყალიბდება სტრატეგიული კონიუქტურის ანალიზის შედეგად, რომელიც იქმნება რეალური საფრთხეებისა და გამოწვევის შედეგად, მეორეს მხრივ კი ქვეყნის რესურსების რეალური შესაძლებლობების გათვალისწინებით. საფრთხეებსა და გამოწვევებს შორის პრიორიტეტი ეკუთვნის რუსეთის გეოეკონომიკურ მისწრაფებას, კვლავ აღადგინოს კონტროლი რესურსების ახალ წყაროებზე. მთელის პოსტსაბჭოთა (და არა მარტო მასზე. გაიხსენეთ ვენესუელა, კუბა, ჩრდილოეთი კორეა, ირანი და ა.შ) სივრცეში. ამ ქვეყანამ მიზნად დაისახა არა მხოლოდ დაუქვემდებაროს ამ რესურსების ექსპლოატაცია საკუთარი ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ზრდას მსოფლიო გეოეკონომიკურ სივრცეში, არამედ მაქსიმალურად შეეცადოს, არ დაუშვას საქართველო და სხვა მსოფლიო შემოსავლების განაწილების პროცესში. რუსეთის მთელი სამედრო მანქანის საქმიანობა აშკარად და მჭიდროდ არის დაკავშირებული ამ ამოცანის შესრულებასთან. რუსეთი მიიწევს სამხრეთის, სამხრეთ აღმოსავლეთისა და დასავლეთის მიმართულებით (ამჟამად უკვე ჩრდილოეთის მიმართულებით). ამ მოძრაობაში კი იყენებს ომის ყველა საშუალებასა და ბერკეტს (პოლიტიკიდან დაწყებული მაღალი გეოეკონომიკური ტექნოლოგიებით დამთავრებული). კავკასიის კრიზისი აჩვენებს, რომ გეოეკონომიკური საშუალებები, აქტიურად ეთანაწყობა სამხედრო საშუალებებს. ამ შემთხვევაში ამ ქვეყნის მიზანი აშკარაა, კერძოდ დაანგრიოს

აგრესიის მსხვერპლი ქვეყნების ეკონომიკური ინფრასტრუქტურა და მათ შორის ამ ქვეყნების გეოეკონომიკური კავშირები.

საქართველოს ეროვნული ეკონომიკის გეოეკონომიკურ მოდელზე გადასვლის მეორე ეტაპი უკავშირდება ქვეყნის ეკონომიკური გარღვევის საბაზო წერტილების ფორმირებას და ეკონომიკურ ზრდას. ასევე ეროვნული ეკონომიკის ტრანსნაციონალიზირებული „ქვეყანა-სისტემის" ეკონომიკად გარდაქმნის სტრატეგიის შემუშავების და მის რეალიზაციას. საქართველოს ეკონომიკის წერტილების გადაქცევა სტრატეგიული განვითარების ტრანსნაციონალიზირებულ კერებად, წარმოადგენს ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მეორე ეტაპს. დღეისათვის ქვეყნის ეკონომიკა არც ორგანიზაციულად და არც მეთოდოლოგიურად მზად არაა კონკურენცია გაუწიოს მსოფლიო ტრანსნაციონალური სისტემის ლიდერებს. მიგვაჩნია, რომ თანამედროვე ეკონომიკური ცენტრების ჩამოყალიბება ქვეყნის შიგნით მხოლოდ სახელმწიფოს ხელშეწყობის პირობებშია შესაძლებელი და მხოლოდ ასეთ ცენტრებთან იქმნება ეროვნული სტრატეგიული ინტერესების რეალიზაციის დელიგირება. შესაბამისად, მხოლოდ ასეთ სტრუქტურებს აქვთ უფლება იმედი იქონიონ მათი ინტერესების დაცვის, ქვეყნის შეიარაღებული ძალების მხრიდან. ამ პრობლემის გადაჭრისათვის საქართველოსათვის აუცილებელია განვითარების გეოეკონომიკური დოქტრინის შემუშავება, რომლის ჩარჩოებშიც სტრატეგიული მანევრის უნარი უზრუნველყოფილი უნდა იყოს მსოფლიოში გეოეკონომიკური პროცესების განვითარების ყველა ფაქტორის (გლობალიზაცია, რეგიონალიზაცია, მსოფლიოს ხელახალი გეოეკონომიკური გადანაწილების პირობები, საფრთხეებისა და გამოწვევების ხასიათი და ა.შ) გათვალისწინებით.

მაგრამ საქართველოსათვის მთავარი მაინც ისაა, რომ ქვეყანა დაადგეს მძლავრი ტრანსნაციონალური სტრუქტურების ფორსირებულად ჩამოყალიბების გზას. ამ პროცესს კი შესწევს იმის უნარი, რომ სტიმული მისცეს ქვეყნის ევროატლანტურ

სივრცეში ინტეგრაციის ტენდენციების დაჩქარებას, რაც ქვეყნის გეოეკონომიკური სტრატეგიის ცენტრალური პრიორიტეტიცაა.

35. გეოპოლიტიკური რეალიზმი და გეოეკონომიკური სტრატეგია

ცივი ომის დამთავრების შემდგომ აშშ, როგორც ცნობილია დარჩა ერთადერთ ზესახელმწიფოდ. დადგა „ერთპოლარულობის მომენტი“ ან სხვა სიტყვით, რომ ვთქვათ, სწორედ ის სიტუაცია, რომლის წინააღმდეგაც ყოველთვის გამოდიოდნენ „ძალთა ბალანსის“ დოქტრინის მომხრეები და რომელ სიტუაციაში ისინი ხედავდნენ მშვიდობის შენარჩუნების ყველაზე უფრო მეტ საფრთხეს[51]“.

მსოფლიოს აუცილებელი ლიდერის როლის (რომელსაც ასრულებს მსოფლიოს მთავარი გეოსტრატეგიული მოთამაშე აშშ) შესრულება მომავალი მსოფლიო გეოეკონომიკურ სივრცეში ალბათ გაჭირდება, თუმცა აშშ, როგორიც ზესახელმწიფოს სწრაფი დაქვეითების იმედები, რბილად, რომ ვთქვათ, ძალზედ გადაჭარბებულად გვეჩვენება. ძალთა თანაფარდობა, რა თქმა უნდა, ხარისხობრივად იცვლება, მაგრამ ეს პროცესი საკმაოდ ხანგრძლივია. აშშ–ს ლიდერობა ნარჩუნდება მთავრობათშორისი და ტრანსნაციონალური კავშირების მდგრადი ქსელის სახით, „ოქროს მილიარდის“ ქვეყნებსა და მსოფლიოს რეგიონებს შორის, თუმცა ამერიკის გეოსტრატეგიული ლიდერობის მატერიალურმა ძალამ ნგრევა განიცადა, ერთობლივი და ლეგიტიმური მართვის ინსტიტუტები კვლავ შენარჩუნებულია. მსგავს სისტემას კი უნარი აქვს დიდი ხნის განმავლობაში შეინარჩუნოს სტაბილურობა თავისი მდგრადობით. მის სტაბილურობას კი მაშინ დაემუქრება საფრთხე, თუ რომელიმე ქვეყნის (ან ქვეყანათა ჯგუფის) მზარდი გეოეკონომიკური და

---

[51] Ch.Krauthammer.The Unipolam Moment. «Foreigh ffairs». 1990/91,v.7,j1,pp23-33

გეოსტრატეგიული პოტენციალი ამ სისტემის ლეგიტიმურობის საფუძვლებს ეჭვს ქვეშ დააყენებს, მაგრამ ასეთი გამოწვევა „ერთობლივად უნდა იყოს ძლიერიც და სოციალურიც“, წერს ჯ. იკენბერი[52]

ამ სიტუაციაში ახალი არაფერია. ისტორიამ იცის მსოფლიო ანალოგიები, თუმცა საყურადღებოა თვით პრობლემის განხილვის ფაქტის დაწყება „ერთპოლარულობის“ ფონზე.

ამის მიუხედავად, დასავლეთის მკვლევარები და ანალიტიკოსები გარკვეულ ნოსტალგიას განიცდიან „ცივი ომის“ პერიოდის მიმართ, როცა საბჭოთა საფრთხე, დასავლეთის მოკავშირეებს გაცილებით დისციპლინირებულსა და მობილიზებულს ხდიდა ნებისმიერ საერთაშორისო-სამართლებრივ და ეკონომიკური ხელშეკრულებების მიმართ. საერთაშორისო ვალდებულებების შემცირება და რუსეთის გავლენის შემცირება ძალიან მალე გადააქცევს შედარებით სტაბილურ ევროპასაც კი „ტურბულენტურობის“ ზონად, ამტკიცებდა, ჯერ კიდევ იუგოსლავიის მოყლენამდე, ჯ. მეარშეიმერი[53].

გეოპოლიტიკური იდეალიზმის მომხრეები ორი პოსტულატისაკენ იმხრობიან. უპირველეს ყოვლისა, გეოეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულება და დემოკრატია არის მშვიდობის გარანტია, ხოლო მეორეს მხრივ, რაც მეტი ქვეყანა დაადგება საბაზო რეფორმებისა და პოლიტიკური დემოკრატიზაციის გზას, მით უფრო სტაბილური გახდება გლობალური გეოეკონომიკური სისტემა. აქედან გამომდინარეობს დასკვნა, რომ თანამედროვე მსოფლიო სიტუაცია გაცილებით მეტ შანსს იძლევა, რათა ჩამოყალიბდეს ახალი პროგრესული მსოფლიო გეოეკონომიკური წესრიგი, თუმცა რიგი კითხვები კვლავ ბოლომდე პასუხგაუცემელი არაა. მხედველობაში გვაქვს ის გა-

---

[52] J. Ikenberry. The Future of International leadership «Political Science Quarterly», 1996.v111,j3,p.402

[53] J.Mearsheimer. Back to the Future.Instability in Europe after the cold war. «Int tional Secuarity»,Summer 1990,j1,pp55-56.


რემოება, რომ პირველი პოსტულატის საფუძველს შეადგენს ეკონომიკური ლიბერალიზმი, რომელიც უნდა შენდებოდეს ყველა ქვეყნის მისწრაფებაზე კეთილდღეობისთვის, ხოლო ამ ქვეყნების ლიდერებმა მოქალაქეთა კეთილდღეობა უნდა დააყენონ სხვა დანარჩენ მიზნებზე მაღლა, მათ შორის უსაფრთხოებაზე მაღლაც. ასეთი თვალსაზრისით კი სტაბილურობა მიიღწევა არა იმდენად სამხედრო ძალით, რამდენადაც ლიბერალური გეოეკონომიკური წესრიგის დამყარებით. ამასთან იდეალისტები, როგორც წესი, მიუთითებენ რამდენიმე გზაზე, რომლითაც ლიბერალური ეკონომიკა ხელს უწყობს კონფლიქტების თავიდან აცილებას (ნახ. 3.5). პირველი მათგანი გეოპოლიტიკური თანამშრომლობისა და გეოეკონომიკურ აყვავებას შორის უშუალო კავშირის დამყარებას გულისხმობს.

იმისათვის რათა ეფექტური გახდეს საერთაშორისო გაცვლები და ამ ეფექტურობის საფუძველზე მოხდეს ქვეყნის გამდიდრება, აუცილებელია მჭიდრო გეოპოლიტიკური თანამშრომლობა. ამ თანამშრომლობისადმი ინტერესი კი იზრდება იმისდა მიხედვით, თუ რამდენად მდიდრები და კონკურენტუნარიანი ხდებიან ქვეყნები. მეორე პოსტულატის მიხედვით ლიბერალური გეოეკონომიკური წესრიგი აძლიერებს ქვეყნების ურთიერთდამოკიდებულებას და შესაბამისად ამ ურთიერთდამოკიდებულების მაღალი დონის პირობებში ქვეყნების აგრესიის გამოელენა პარტნიორების მიმართ მცირდება. ძალის იდეალისტების მესამე პოსტულატი ეს არის გეოპოლიტიკური თანამშრომლობის სწრაფი განვითარება ევროკავშირის ტიპის გეოეკონომიკური გაერთიანებების ჩარჩოებში, რომელსაც საბოლოო ჯამში მივყავართ ზესახელმწიფოს აღმოცენებამდე. ეს პოსტულატები შეიძლება იდეალურად მიგვეჩნია, რომ არა ერთი გარემოება, კერძოდ ეკონომიკური მოსაზრებები ქვეყნების განვითარების სტრატეგიაში ყოველთვის წინა პლანზე როდი დგას. სახელმწიფოები ერთდროულად მოქმედებენ არა მხოლოდ გეოეკო-

ნომიკის სფეროში, არამედ გეოპოლიტიკაშიც. მრავალი სახელმწიფოს პოლიტიკური ისტებლიშმენტის თვალში

ეროვნული უსაფრთხოება უფრო მეტს ნიშნავს, ვიდრე შრომის საერთაშორისო დანაწილებისა და ეკონომიკური თანამშრომლობის ნებისმიერი უპირატესობა. მრავალი მაგალითი არსებობს აგრესიული პოლიტიკის გატარების, სხვა სახელმწიფოს ეკონომიკური დასუსტების მიზნით (ნახ.34).

კონფლიქტების თავიდან აცილების ნეოლიბერალური-ეკონომიკური გზები ნახ.35



გეოპოლიტიკური იდეალიზმის მიმდევრები ამტკიცებენ, რომ დემოკრატიული სახელმწიფოები არ ომობენ ერთმანეთთან და თუ დემოკრატია და მისი ფასეულობები ფართოდ გავრცელდება მსოფლიოში, მსოფლიოს უსაფრთხოება გაცილებით დაცული იქნება. აღნიშნული მოსაზრება შემდეგი არგუმენტებით შეიძლება დამტკიცდეს: დადგენილია, რომ ავტორიტარული ლიდერები ადვილად ერთვებიან შეიარაღებულ კონფლიქტებში, რამდენადაც ისინი ანგარიშვალდებულები არ არიან საზოგადოების წინაშე. დემოკრატიის პირობებში კი ხალხი ძლიერ გავლენას ახდენს ქვეყნის ხელმძღვანელობაზე და ამი-

ტომაც შეუძლია ომის თავიდან აცილება. ეს თეზისები, რომელიც ეყრდნობა რეალურ ფაქტებს, ერთი შეხედვით დამაჯერებლად გამოიყურება, მაგრამ დასავლეთის სამეცნიერო წრეებში არსებობს საპირისპირო მოსაზრებაც[54]. თანამედროვე მსოფლიოში ძალიან ძნელია იმის განსაზღვრა, რომ ქვეყნები, რომლებმაც სიტყვით აირჩიეს დემოკრატია, ნამდვილად გახდებიან სტაბილური დემოკრატიული რეჟიმის ქვეყნები, ამიტომ უბრალო სიფრთხილის გამო, აუცილებელია ყურადღებით ვადევნოთ თვალი სხვა სახელმწიფოთა შეიარაღების პოტენციალს, დემოკრატიული სახელმწიფოების ჩათვლით.

ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მაშინ, როცა მსოფლიო დემოკრატიზაციის პროცესები აშკარად შენელდა; „თუ დემოკრატიის ლიბერალურ შინაარსს სერიოზულად მივიღებთ, მაშინ იქმნება შთაბეჭდილება, ვითომ დემოკრატიული ექსპანსიის მესამე ტალღა შეჩერდა და შეიძლება დამთავრდა კიდეც“ წერს ამერიკულ ჟურნალ «Journal of Democraey»-ის რედაქტორი ლ. დაიმონდი[55].

ამდენად, არსებული მდგომარეობა საშუალებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ ლიბერალურ-იდეალისტურმა პარადიგმამ დემოკრატიულ სახელმწიფოებს ჯერჯერობით არ მისცა საშუალება ბოლომდე დაერღვიათ ის სისტემა, რომელიც შენდებოდა ძალასა და სამხედრო ძლიერებაზე.

3.6 გეოსტრატეგიული ბალანსის გეოეკონომიკური პარამეტრები

გეოსტრატეგია, როგორც ცნობილია, არის სახელწმიფოს საგარეო პოლტიკური და ეკონომიკურიი საქმიანობის ერთობლიობა საერთაშორისო არენაზე. იგი წარმოადგენს ეროვნული

---


[54] უფრო დაწვრილებით იხ: E.D Mansfeld, J. Snyder. Democratization and war «Foreign Affairs». May/june 1995, v74,j3 pp. 79-97

[55] . L. Diamond Is the Third Wave over? «Journal of Democracy», Julu 1996,v7, j3,p31

უსაფრთხოების დოქტრინის განუყოფელ ნაწილს, რომელიც თავის თავში მოიცავს სახელმწიფოს ქცევის ტექნოლოგიას საკუთარი მიზნის მიღწევისათვის გეოპოლიტიკურ და გეოეკონომიკურ სივრცეში. ასევე დამანგრეველია (სოციუმისთვის) შედეგების ნეიტრალიზაციის ხელოვნებას გარე და შიდა გამოწვევების პირობებში მრავალგანზომილებიან კომუნიკაციურ სივრცეში. გეოსტრატეგია ქმნის ეროვნული და რეგიონული პრიორიტეტების რეალიზაციის ტექნოლოგიის საფუძვლებს[56] და სახელმწიფოს ადგილს გეოსტრატეგიულ ბალანსში (ნახ. 3.6)

სახელმწიფოს ადგილი გეოსტრატეგიულ ბალანსში

ნახ. 3.6



წყარო: Morgenthau H.J Politics Among Nations, The struggle for Power and Peace. New-York. Alfred A Knopf, 1948

ხოლო გეოსტრატეგიული ბალანსი საერთაშორისო ურთიერთობებში ჩაბმული სუბიექტების უნართა ერთობლიობაა გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური ძალის გამოყენებით ან გამოყენების მუქარით მიაღწიოს სასურველ პოლიტიკურ და ეკონომიკურ მიზანს.

[56] Дергачев В.А 2004. Supported by techdpt, created 2004 AD.

სტრატეგიის ცნობილი მკვლევარი „ჰ. მორგენთაუ გამოყოფს რვა მუდმივას, რომელიც განაპირობებს სახელმწიფოს ადგილს გეოსტრატეგიულ ბალანსსა და საერთოდ საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემაში“[57]. ეს ფაქტორებია:

• გეოგრაფიული ფაქტორი, რომელიც სერიოზულ გავლენას ახდენს პოლიტიკურ სისტემაზე და მის განვითარებაზე. აქ საუბარია იმაზე, რომ შეიძლება რომელიმე სახელმწიფო ან პოლიტიკური სისტემა საერთოდ გაქრეს, ან გაჩნდეს სხვა სახელმწიფო ან პოლიტიკური სისტემა, მაგრამ გეოგრაფიული გარემო კვლავ რჩება. დრო და სივრცე კვლავაც განსაზღვრავს იდეებს და მათი რეალიზაციის ბერკეტებს იქნება ეს მიწაზე, წყალსა თუ ჰაერში, მაგრამ ეს არ ნიშნავს გეოგრაფიული ფაქტორის აბსოლუტიზაციას, ვინაიდან არსებითია ის, თუ როგორაა გამოყენებული ეს ფაქტორი (გეოგრაფიული გარემო) და როგორია გეოგრაფიული საცხოვრისის ათვისების წესი, რადგან მსოფლიო სტრატეგიის თეორია იცნობს ფაქტებს (და არაერთს), როცა გეოგრაფიული მდებარეობის მნიშვნელოლობა ძალიან სწრაფად შეიცვალა არაგეოგრაფიულ ფაქტორთა გავლენის გამო. მაგალითად, გეოგრაფიული ფაქტია, რომ ევროპასა და ამერიკას ერთმანეთისაგან ატლანტის ოკეანე ყოფს, მაგრამ სხვადასხვა ისტორიულ ვითარებაში ამ ფაქტს სხვადასხვა გეოსტრატეგიული ინტერპრეტაცია ჰქონდა. ამდენად, გეოსტრატეგიული ბალანსისათვის გეოგრაფიული ფაქტორი ძალიან მნიშვნელოვანი, მაგრამ არა გადამწყვეტი ფაქტორია;

• გეოსტრატეგიულ ბალანსში მნიშვნელოვანი ფაქტორია დემოფაქტორი იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ არმიისათვის აუცილებელია მოსახლეობის გარკვეული რაოდენობის მობილიზება, თუმცა, ცხადია, შეუძლებელია გეოსტრატეგიული ძალა მხოლოდ მოსახლეობის რიცხოვნობაზე დავიყვანოთ (მაშინ

[57] ციტ: კ. კაციტაძე გეოპოლიტიკური და გეოსტრატეგიული ტრანსფორმაცია ევროპაში. თბ. 2001.

ამერიკის ან რუსეთის წილი გეოსტრატეგიულ ბალანსში ჩინეთზე ან ინდოეთზე ნაკლები იქნება, რომ არაფერი ვთქვათ ისრაელისა და არაბული სახელმწიფოების მოსახლეობის თანაფარდობაზე), მაგრამ მოსახლეობის რაოდენობა, მისი ეთნიკური და დემოსტრუქტურა მაინც მნიშვნელოვნად განსაზღვრავს სახელმწიფო წილს გეოსტრატეგიულ ბალანსში;

• სამხედრო ძლიერების ფაქტორის განისაზღვრება ქვეყნის შეიარაღებული ძალების რაოდენობითა და ხარისხით, სამხედრო ტექნიკის რაოდენობითა და მისი ხარისხობრივი პარამეტრებით და ა.შ. ამასთან ახალი გეოეკონომიკისა და მისი სტრატეგიული პარამეტრების ფორმირების პირობებში უკვე აღარ შეიძლება სამხედრო ძალის გადაფასება და მისი მიჩნევა გეოპოლიტიკის მთავარ ინსტრუმენტად მნიშვნელოვან პირობებში;

• ბუნებრივი რესურსების ფაქტორი გეოსტრატეგიულ ბალანსში მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც ის ქვეყნები, რომლებიც ფლობენ ამგვარ რესურსებს, არ საჭიროებენ ამ ნედლეულის საზღვარგარეთ საძიებლად ეროვნული ენერგიის გადართვას, ამიტომ ნედლეულით მდიდარი ქვეყნები გაცილებით ადვილად ახალისებენ ომის „გაძლებას“ სივრცესა და დროში;

• ბუნებრივი რესურსების ფაქტორი ვერ შეიძენს გეოსტრატეგიულ მნიშვნელობას, თუ იგი სათანადოდ არ არის ათვისებული ქვეყნის სამრეწველო და ტექნოლოგიური პოტენციალის გაძლიერების მიზნით, ვინაიდან ამ უკანასკნელს უდიდესი მნიშვნელობა გააჩნია შეიარაღებული ძალებისათვის;

• გეოსტრატეგიულ ბალანსში დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმას, თუ რამდენად ენდობა მოსახლეობა ხელისუფლების პოლიტიკას და საერთოდ, ნდობის რა ხარისხი არსებობს ხელისუფლებასა და მოსახლეობას შორის. (პოსტსოციალური ქვეყნების გამოცდილება ნდობის ფაქტორის ანალიზისათვის მეტად საინტერესო პოლიგონია, რომელმაც რიგი პრობლემები გააჩინა საერთოდ ზოგიერთი ამ ქვეყნის განვითარებაში);

• განვითარების თანამედროვე ეტაპზე აშკარად გამოიხატა ერთი გარემოება, კერძოდ დაახლოებით თანაბარი პოტენციალის მქონე ქვეყნიდან ერთნი უკეთესად ახერხებენ თავიანთი ინტერესების რეალიზაციას, ვიდრე სხვები, რაც დამოკიდებულია ხელისუფლების ხარისხზე. რაზეც სრულიად სამართლიანად მიუთითებს კ. კაციტაძე. იგი წერს: „რ. რეიგანის ადმინისტრაციის მატერიალური პოტენციალი თვისობრივად არაფრით აღემატებოდა ჯ. კარტერის ადმინისტრაციის პოტენციალს, თუმცა ხელისუფლების ხარისხმა თავისი გაიტანა. თუ ჯ. კარტერის დროს აშშ „დამცირებული“ სახელმწიფო იყო, რ. რეიგანის ეპოქაში მან „ცივ ომში“ გაიმარჯვა. ეს არ ნიშნავს, რომ გენიალურ ლიდერს ყველაფერი შეუძლია, მაგრამ იმაზე კი მიუთითებს, რომ ნებისმიერ, ობიექტური პარამეტრების მატარებელ სახელმწიფოს მხოლოდ მაშინ შეუძლია გამარჯვება, როდესაც სათანადო დონის ლიდერი ჰყავს. არაა არსებითი სტალინ-ჟუკოვ-შაპოშნიკოვზეა ლაპარაკი, თუ რეიგან-ჰეიგ-უაინბერგერზე[58]“.

• გეოსტრატეგიული ბალანსის მნიშვნელოვანი შემადგენელია დიპლომატიის დონე, რომელიც გულისხმობს იმას, რომ ეროვნულმა ხელსიფლებამ მოახერხოს ქვეყნის ყოველგვარი გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური რესურსის მობილიზება სტრატეგიული მიზნის მისაღწევად, ამასთან წინ გაუსწროს საერთო მოვლენებს, გათვალოს შესაძლო გეოეკონომიკური კრიზიები და შეიმუშაოს მათზე ადეკვატური რეაგირების საშუალებები და პრევენცული ქმედებები.

აღნიშნულის რეალიზაციისათვის კი აუცილებელია მეტნაკლები წარმოდგენა გვქონდეს იმ მსოფლიოზე, რომელშიც მოგვიწევს ცხოვრება XXI საუკუნეში.

---

[58] კ. კაციტაძე – გეოპოლიტიკური და გეოსტრატეგიული ტრანსფორმაცია ევროპაში. თბ. 2001, გვ. 20.

თავი IV. გეოეკონომიკა: XXI ს. შემეცნების გასაღები

4.1 ეკონომიკური ფაქტორი და სივრცე

გეოეკონომიკა თავისებურად აყალიბებს გეოპოლიტიკის ორ ძირითად საკითხს, კერძოდ, რას წარმოადგენს ძლიერება და სად და როგორ მატერიალიზდება იგი. გასული საუკუნის მიწურულს მას დაემატა კიდევ ერთი საკითხი, კერძოდ რით აიხსნება ძლიერებას, სივრცესა და ეკონომიკას შორის კავშირების შესწავლისადმი ინტერესის ზრდა. რასაკვირველია ამჟამად გეოეკონომიკა მოდაშია, მაგრამ ნებისმიერი მოდა თავისი ეპოქის ყველაზე უფრო დამახასიათებელი ნიშნის ასახვას წარმოადგენს.

მსოფლიო ეკონომიკური სივრცე XX ს. მიწურულამდე გაცილებით ადრე აღმოცენდა. მაგალითად 1890 – 1914 წწ. ასეთი სიურცე ჩამოყალიბდა ევროპის გარშემო და თავის თავში გააერთიანა აშშ, იაპონია და რუსეთი, ასევე დედამიწის ის ნაწილები, სადაც ბატონობდნენ დასავლეთის სახელმწიფოები. 1930-იან წლების ეკონომიკურმა კრიზისმა თუ მთელი მსოფლიო არა, ყოველ შემთხვევაში რამოდენიმე კონტინენტი მაინც მოიცვა.

ამ თვალსაზრისით ახალი მილენიუმის დასაწყისი ხასიათდება სამი მნიშვნელოვანი ფაქტორით: ა) მიმდინარეობს ქვეყნების ურთიერთკავშირის გაღრმავება სხვადასხვა სფეროებში (ვაჭრობა, ინვესტიციები, კაპიტალის დინებები, ტექნოლოგიათა გაცვლები), რაც ხელს უწყობს ამ ურთიერთკავშირების გაძლიერებას; ბ) ცალკეულ ქვეყნების ეკონომიკის უმნიშვნელოვანესი დარგები (აგრარული სექტორი, მრეწველობა, მომსახურება) მუშაობენ არა იმდენად ეროვნულ, რამდენადაც საერთაშორისო ბაზრისათვის; გ) ქვეყანათა უმრავლესობა მოშავალს უკავშირებენ თავის შესაძლებლობებსა და უნარს მონაწილეობა მიიღონ საერთაშორისო ტექნიკურ-ეკონომიკურ

შეჯიბრში. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ გეოეკონომიკური თვალსაზრისით მსოფლიო ეკონომიკური სივრცე გამოირჩევა მნიშვნელოვანი სხვადასხვაგვარობით და ფრაგმენტულობით.

მნიშვნელოვანი თავისებურებაა ისიც, რომ მიმდინარეობს სახელმწიფოთა დიდი რაოდენობის ინტეგრაცია ერთიან გეოეკონომიკურ სისტემაში, თუმცა მათ შორის შეინიშნება შესამჩნევი განსხვავებები განვითარების დონეების მიხედვით (დასავლეთის ქვეყნები, უცბად გაღარიბებული ყოფილი სოციალური ბანაკის ქვეყნები, აფრიკისა და აზიის ქვეყნები, რომლებიც აღმოჩნდნენ მსოფლიო პროგრესის მიღმა). ეს განსხვავებები განიხილება პლანეტარული ევოლუციის დინამიკაში. ისინი ერთდროულად წარმოადგენენ როგორც პოზიტიურ, ასევე ნეგატიურ ფაქტორებს, რაც იმით დასტურდება, რომ ხდება წარმოების გადატანა ერთი ქვეყნიდან მეორეში, ვინაიდან მათ შორის არსებობს განსხვავება სამუშაო ძალის ღირებულებასა და სოციალური დაცვის დონეებში. აღნიშნულს ასევე ადასტურებს მიგრაციული დინებები ღარიბი ქვეყნებიდან მდიდარ ქვეყნებში[59].

მსოფლიო ეკონომიკური სივრცის ერთიანობა უბრალო ფაქტით მტკიცდება, კერძოდ განვითარების დონეებში სხვაობები არა მხოლოდ ქმნის გადაულახავ წინაღობას სხვადასხვაგვარ ზონებს შორის, არამედ აქტიურად გამოიყენება ეკონომიკური სუბიექტების მიერ (სახელმწიფო საწარმოების და ფიზიკური პირების მიერადაც კი).

სახელმწიფო და სახელმწიფო საზღვრები არსებობას განაგრძობენ. რა თქმა უნდა არსებობს ამ საზღვრების გახსნის მრავალი ხერხი საერთაშორისო ვაჭრობის, ტურიზმის, კაპიტალის გადაადგილებებისა და ინფორმაციული დინებებისათვის. ამის მიუხედავად სახელმწიფოები იტოვებენ უფლებას კა-

[59] უფრო დაწვრილებით იხ: National Bureau of Economic Reserch; Whot fundamentals driver world migration?by T.J. Hatton, J.G. Williamson, NBER Working Paper 9159 (Cambrige, MA, Sep. 2002).

ნონმდებლობით არეგულირონ საზღვრების რეჟიმი. სანამ იარსებებს სუვერენული სახელმწიფო, დარჩება საზღვრებიც, თუნდაც მათი გადაკვეთა არ იყოს დაკავშირებული მნიშვნელოვან სიძნელეებთან. ევროპულმა ინტეგრაციამ დაამტკიცა ზემოთ აღნიშნული. 1960-იანი წლებიდან მოყოლებული ევროპის თანამეგობრობა დაკავებულია თავისი საერთო საზღვრის მოწყობით, რაც გამოიხატა ერთიან საბაჟო ტარიფებში ევროკავშირის მასშტაბით. ევროკავშირის გამოცხადება (მაასტრიხი, 1992წ. 7 თებერვალი) გულისხმობს ამ კავშირს წევრ სახელმწიფოებს შორის საზღვრის საბოლოო გაუქმებას და ერთიანი ევროპული საზღვრის ფორმირების დასრულებას. მიგვაჩნია, რომ გლობალურ ეკონომიკურ ინტეგრაციას და ერთიანი ბაზრის იდეოლოგიას არ შეუძლიათ ჯერჯერობით საზღვრების წაშლა იმ სფეროებში, სადაც პოლიტიკა და ეკონომიკა პრაქტიკულად უძლურია, მხედველობაში გვაქვს კულტურული და რელიგიური საზღვრები. ამ შემთხვევაში ბუნებრივი კითხვა, თუ როგორ უნდა შეეთავსონ ერთმანეთს ბაზრის, თავისუფლების, დემოკრატიის უნივერსალური პრინციპები სოციალურ, ეთნიკურ და რელიგიური ჯგუფების თვითმყოფადობას? ერთის მხრივ ინტეგრაციული პროცესების დინამიკას მივყავართ ერთგვაროვანი, სტანდარტიზირებული კაცობრიობის ფორმირებაზე, რომელიც მართულია დასავლური რაციონალიზმის მეშვეობით, მეორეს მხრივ, განსხვავებები, რომლებიც წარსულის მემკვიდრეობაა, არ ქრება უკვალოდ. ისინი ან იყენებენ უნივერსალიზმს თავისი მიზნებისათვის, ან უპირისპირდებიან მას. ორივე შემთხვევაში ისინი განიცდიან თავის თავზე მის გარდამქმნელ გავლენას. თუმცა უნდა შევნიშნოთ, რომ „დასავლური ცივილიზაცია ფასეულია არა იმიტომ, რომ იგი უნივერსალურია, არამედ იმიტომ, რომ უნიკალურია და შესაბამისად დასავლეთის ლიდერების პრინციპული პასუხისმგებლობა იმაში კი არ მდგომაეობს, რომ შეცვალოს სხვა ცივილიზაციები დასავლეთის მსგავსად, არა-

მედ შეინარჩუნოს, დაიცვას და განაახლოს დასავლური ცივილიზაციური დემოკრატია, კანონის უზენაესობა, იდეური პლურალიზმი და ა. შ.".[60]

რაც შეეხება სახელმწიფოებს, ისინი რჩებიან ტერიტორიულ წარმონაქმნებად, რომლებიც პასუხს აგებენ თავისი მოქლაქეების კეთილდღეობაზე. ახალი მილენიუმის დასაწყისში მათ წინაშე ძნელი ამოცანა დგას, თუ როგორ შეინარჩუნონ მთლიანობა და თავისი ტერიტორიისა და მოსახლეობის თვით არსებობა იმ დროს, როცა მკვეთრად იზრდება ურთიერთდამოკიდებულების დონე და ხარისხი. სახელმწიფოს თვალსაზრისით კლასიკური საგარეო საფრთხე მდგომარეობს მისი ტერიტორიის მიტაცების მცდელობაში. შესაბამისად, იგი მზად უნდა იყოს ადეკვატური პასუხი გასცეს შესაძლო აგრესიას. ამასთან, ეროვნულმა იდეამ, რომელსაც XVIIIს. ბოლოდან ეფუძნება თანამედროვე სახელმწიფო, ასევე უნდა შეინარჩუნოს თავისი სპეციფიკური მნიშვნელობა, მაგრამ ტექნიკურ-ეკონომიკური მეტოქეობა სახელმწიფოებს აიძულებს სხვადასხვაგვარად შეხედონ თავის ტერიტორიას. ამჯერად საუბარი აღარაა მის დაცვასა და სპეციფიკის შენარჩუნებაზე. პირიქით, აუცილებელიცაა ზომიერების გარკვეული დაცვით, მაქსიმალურად გაიხსნას ქვეყანა და უზრუნველყოფილ იქნას მისი შედარებით საუკეთესო პირობები კონკრეტულ ბრძოლაში, რაშიც იგულისხმება, ის რომ იმის მიუხედავად უცხოური ინვესტიციები, ეროვნულ ეკონომიკას აყენებს დამოკიდებულ მდგომარეობაში იმ გადაწყვეტილებებზე, რომელიც მიიღება მის საზღვრებს გარეთ, წარმოადგენს ქვეყნის ინტეგრაციის მნიშვნელოვან ფაქტორს მსოფლიო ბაზარზე. თვით სუვერენიტეტის ფუნდამენტალური ატრიბუტებიც კი (კანონმდებლობა, საგადასახადო პოლიტიკა და განათლების სისტემა) სერიოზულ ცვლილებას ექვემდე-

[60] ციტ: გ. კვინიკაძე – გლობალისტიკა და გლობალიზაცია. ახალციხე-თბილისი 2006წ. გვ. 120.

ბარება საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით. კანონი, საგადასახადო კოდექსი და ეროვნული ვალუტა სერიოზულ კონკურენციას იწყებენ უცხოურ კანონებთან, გადასახადებთან და ვალუტებთან, რამდენადაც ამ კომპეტენციებს შორის დიდმა განსხვავებებმა საერთაშორისო ნორმებთან მიმართებაში შეიძლება დააფრთხოს უცხოელი ინვესტორი ან ბიზნესმენი. სახელმწიფომ, რომელიც მიბმულია თავის ტერიტორიასთან, ეს ტერიტორია მაქსიმალურად მიმზიდველი უნდა გახდეს უცხოელთათვის. ამ ყველაფერს კი მივყავართ სახელმწიფოს სტრუქტურების თავისებურ შიზოფრენიასთან, რომლებიც იძულებულნი არიან კიდეცაც დაიცვან და კიდეცაც გახსნან საზღვრები, შეინარჩუნონ ეროვნული თვითმყოფადობა და უზრუნველყონ შეთვისება ყოველივე ახლის მიმართ.

როგორც ზემოთ აღინიშნა, სახელმწიფო განუყოფელია თავისი ტერიტორიული ბაზიდან, მაგრამ როგორი კავშირები არსებობს საწარმოებსა და ეროვნულ ტერიტორიას შორის? წარმოების ფუნქციაა უზრუნველყოს ფასეულობების წრებრუნვა და განახორციელოს სავაჭრო ოპერაციები. ამჟამად, საქონელგაცვლების მასობრივი ინტერნაციონალიზაცია სერიოზულ დაძაბულობას ქმნის წარმოების ჩარჩოებში. საწარმოები უცილობლობლად ფლობენ საკუთარ ტერიტორიულ ბაზას, თუმცა ეს მომენტი სხვადასხვაგვარად ვლინდება ეკონომიკის ცალკეულ სექტორებში. უპირველეს ყოვლისა, საუბარია საწარმოს იურიდიულ მისამართზე, შემდეგ მისი ადმინისტრაციის ტექნიკური სამსახურის და საწარმოო შენობის ადგილმდებარეობაზე და ბოლოს მისი გასაღების ბაზრის ლოკალიზაციაზე. უნდა შევნიშნოთ, რომ ამა თუ იმ წარმოების გასაღების ბაზრები მას იმ ხარისხით არ „მიეკუთვნებიან", როგორიც მაგალითად ეროვნული ტერიტორია ეკუთვნის მოცემულ სახელმწიფოს. გასაღების ბაზარი თავისი არსით არასაიმედო ტერიტორიას წარმოადგენს, რომელსაც ყოველდღიურად ესხმიან თავს კონკურენტები. ამის მიუხედავად, „ბაზრის შეფასება

ტერიტორიასთან სრულად გამართლებულია“[61]. მრავალი საწარმოთათვის ეროვნული ბაზარი წარმოადგენს ასე ვთქვათ ზურგის ბაზას, ზონას, სადაც შეიძლება დაიხიო წარუმატებლობის შემთხვევაში, მაშინ, როცა უცხოური ბაზრები წარმოადგენენ სივრცეს, სადაც ხდება კაპიტალის ჩადება და რომელებიც აუცილებელია შენარჩუნებული იქნან ყოველგვარი მეთოდით. მეორეს მხრივ, ახალი ათასწლეულის დასაწყისში საწარმოები უკვე დამოკიდებული ხდებიან საკუთარ მობილურობაზე და უნარზე გააერცელონ თავიანთი საქმიანობა ეროვნული ტერიტორიის საზღვრებს გარეთ, ასევე მნიშვნელოვანი ხდება ცლილებებზე ადექვატური და უწყვეტი რეაგირება, ეს ცვლილებები კი მუდმივად ხდება ბაზარზე, ამ უკანასკნელის „კაპრიზული“ ხასიათის გამო. ბაზართან ადაპტირების მიზნით, საწარმოებმა მაქსიმალურად უნდა შეამსუბუქონ თავიანთი სტრუქტურები, კერძოდ გააჩნდეთ ნულოვანი რეზერვები, გადასცენ სუბმოიჯარადეებს დამხმარე ოპერაციები, განახორციელონ ქსელური მართვა (რომელიც ზოგიერთ შემთხვევაში მთელ პლანეტას მოიცავს), მუდმივად ეძებონ ახალი პროდუქტები სულ უფრო დაბალ ფასებში. აღნიშნულის შედეგად საწარმოები ეჯახებიან წინააღმდეგობას, ერთის მხრივ აუცილებლობას, გააჩნდეთ საკუთარი ეროვნული ფესვები და მეორეს მხრივ, თავისი საწარმოო საქმიანობის მოთხოვნის ზრდას. თითოეული ფირმა, ეკონომიკის თითოეული დარგი სხვადასხვაგვარად ცდილობს მოაგვაროს ეს წინააღმდეგობა“[62].

მრეწველობის კლასიკური დარგები მეტალურგია, საავტომობილო და ქიმიური მრეწველობა და ა.შ, ეყრდნობიან მძლავრ ინტეგრირებულ სტრუქტურებს დასაქმებულთა დიდი რიცხოვნობით, გეოეკონომიკის თვალსაზრისით ეს საწარმოები შედარებით სტაბილურია. ისინი მიერთებულნი არიან ან შესაბამ-

---

[61] . Моро-Дерарж Ф. Введение в геополитику, М. Конкорд, 1996. с.113

[62] იქვე с. 114

ისი მინერალური ნედლეულის ზონებს, ან მსხვილ პორტებს, ან დიდ დასახელებულ პუნქტებს. ხანდახან მთელი ქალაქები ასოცირდება ამა თუ იმ სახეობის პროდუქციასთან (მაგ. რურიფოლადის წარმოებასთან, ხოლო დეტროიტი საავტომობილო მრეწველობასთან და ა.შ). ამჟამად, გეოეკონომიკური კონფიგურაცია სერიოზული გადასინჯვის პროცესშია, რომელიც გამოწვეულია რიგი ტექნოლოგიური ნოვაციების დანერგვით, საწარმოო რობოტების ფართოდ გამოყენებისა და მოქნილი საწარმოო ხაზებით.

ამ პერმანენტულ შეჯიბრში ყოველთვის აგებს ის, რომელიც დამძიმებულია ისტორიითა და ვერ ახდენს სწრაფ ტექნოლოგიურ გადაიარაღებას, გააჩნია უზარმაზარი შრომითი კოლექტივი, მისტირის ტრადიციებსა და ამაყობს მიღწევებით სოციალურ სფეროში, ხოლო მოგებული რჩება ის, ვინც ფლობს უპირატესობას სისწრაფეში, ვინც მიისწრაფვის მიიღოს მაქსიმალური მოგება, ვინც მოქმედებს გადაჭრით, ვინც არაა მიჯაჭვული წარსულსა და არ ამაყობს მისით.

ამჟამად, ინტერნაციონალიზაციის შედეგად ისეთი გეოეკონომიკური ვითარებაა ჩამოყალიბებული, რომ სახელმწიფოს ლოგიკა, ისე როგორც არასდროს, ძალიან შორსაა საწარმოს ლოგიკისგან. სახელმწიფოს ესმის, რომ მისი საკუთარი ტერიტორიიდან ფასეულობები შეიძლება გავიდეს, კაპიტალის გადინების შედეგად. თავის მხრივ საწარმოებს გაცნობიერებული აქვთ თავისი ნაკლი და ანგარიშს უწევენ იმ გარეომოებებს, რომ ამ სამყაროში სახელმწიფოს ჯერჯერობით სერიოზული პოზიციები უკავია, რომ მას შეუძლია კიდევაც უბრძანოს, კიდევაც აკრძალოს და დაიცვას ისინი.

4.2 მსოფლიოს გეოეკონომიკური კონფიგურაცია (გეოეკონომიკური და სივრცობრივი პრარქია)

მსოფლიო გეოეკონომიკური სივრცე ერთდროულადაა ერთიანი და არაერთგაეაროვანიც, მოწესრიგებულიც და ანარქი-

ულიც. რასაკვირკველია არსებობს წინადადებებისა და აზროვნების რყევადობა, რაზედაც მეტყველებს როგორც კაპიტალის გადაადგილება, ასევე საწარმოო საქმიანობის გადატანა ერთი ქვეყნიდან მეორეში. გეოფინანსები თუ ახალი ფინანსური დროსივრცე, უგულებელყოფს გეოგრაფიისა და ეროვნული საზღვრების კანონებს იმდენად, რომ ზოგიერთი მეცნიერის აზრით, გეოფინანსების ფორმირება „გეოგრაფიის დასასრულის" მაჩვენებლია[63]. გეოფინანსები წარმოადგენს მსოფლიო ფულის ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და საკანონმებლო რეგულირების ლიბერალიზაციის სინთეზს. ეს კი ნიშნავს, რომ ზოგიერთი ეკონომიკური სუბიექტი (საწარმოო, ფიზიკური პირი, სახელმწიფო, საერთაშორისო ორგანიზაციები) თავის ოპერაციებს ახორციელებენ იმ ფაქტორებიდან გამომდინარე, რომლებიც მოქმედებენ თუ მთელი დედამიწის ტერიტორიაზე არა, ყოველ შემთხვევაში მის მნიშვნელოვან ნაწილში მაინც. საქმიანობის ეს არეალი ხასიათდება მრავალი ბარიერით და უთანაბრობით. ამ არეალში თამაშის შესაძლებლობა განპირობებულია ინფორმაციის გაცვლის სიჩქარეზე და შედარებით დაბალი ტარიფებით (კერძოდ ტვირთვის გადატანის ტარიფებით). ინფორმაციული ქსელი ძალიან მჭიდროა დასავლეთ ევროპაში, ჩრდ. ამერიკასა და იაპონიაში, ძალზედ სუსტი ქსელი კი მოიცავს აფრიკას საჰარის სამხრეთით, ანდებს სამხრეთ ამერიკაში და წყარი ოკეანის სამხრეთ ნაწილს.

ეს გეოეკონომიკური თამაში განსაკუთრებული კანონებით მიდის, რომელსაც არაფერი საერთო აქვთ იმ საერთო ნორმებთან, რომელიც დამუშავებულია საერთაშორისო ორგანიზაციების, კერძოდ ГАТТ-ის (ვაჭრობისა და ტარიფების გენერალური შეთანხმება) მიერ, რომელიც 1993 წლისათვის 117 ქვეყანას აერთიანებდა. 1994 წლიდან იგი გაუქმდა ამ თამაშების

---

[63] უფრო დეტალურად: O'Brien-Glohal Finansial Intenational. The End of Geography. New-York.1992.

სამართლებრივ ჩარჩოებში მოქცევას უკვე WTO (ვაჭრობის საერთაშორისო ორგანიზაცია) ჩაუდგა სათავეში. ეს უკანასკნელი იბრძვის საეაჭრო ბარიერების სრული გაუქმებისათვის და აერთიანებს რა უკვე 135 ქვეყანას, იმ ტერიტორიებსაც მოიცავს, რომლებიც GATT-ის ინტერესების სფეროში არ შედიოდნენ[64], თუმცა ასე არაერთგვაროვან მსოფლიოში, სადაც არ არის ერთიანი, საყოველთაოდ აღიარებული ავტორიტეტი, მუდმივად არსებობს დაპირისპირება, რომლებიც დაკავშირებულია წესების განსხვავებულ განმარტებებთან, კერძოდ იმის, რასაც „ოქროს მილიარდის ქვეყნები უწოდებენ დემპინგს და აღიქვამენ როგორც ეკონომიკური აგრესიის აქტს განვითარებული ქვეყნების მხრიდან, ამ უკანასკნელთათვის იგი წარმოადგენს მათი ეკონომიკური და სოციალური განვითარების დონის მხოლოდ შედეგს.

აქტიური ინტერნაციონალიზაციის პროცესში ხდება წესრიგისა და უწესრიგობის ერთმანეთში აღრევა. ოფიციალური წესრიგი, რომელსაც ამყარებს სახელმწიფო, ავლენს პრობლემებს. აღმოცენდება და ძალიან სწრაფად იშლება სტიქიური წესრიგი, რომლის მაგალითადაც გამოდგება ზოგიერთი საქონლით არაკანონიერი ვაჭრობა (ამ კატეგორიაში განიხილება ნარკოტიკები, ფული, იარაღი და სამუშაო ძალაც კი). სტიქიური წესრიგის პირობებში გამოიყენება სპეციფიკური წესები, რომელიც შეიცავს ძალადობის სოლიდურ პორციას.

ახალი მილენიუმის დასაწყისში გეოეკონომიკის იდეა მჭიდროდაა დაკავშირებული რეგიონალურ ეკონომიკურ ორგანიზაციებთან (თავისუფალი ვაჭრობის ბიზნესი, საბაჟო კავშირები და ა.შ). მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ ევროპის მშენებლობა, რომელიც 1950-იან წლებში დაიწყო. ჩრდილოეთ ამერიკის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაცია, რომელიც აერთი-

---

64 ზ. დაეითაშვილი - „ნაციონალიზმი და გლობალიზაცია". თბ. 2003. გვ. 240.

ანებს აშშ, კანადას და მექსიკას, მერკოსიური, სადაც შეიდნენ ბრაზილია, არგენტინა, პარაგვაი და ურუგვაი, ასევე სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიის ასოციაცია და ა.შ. შეიძლება ვიფარაუდოთ, რომ XXI საუკუნე წარმოდგენილი იქნება მთლიანად რეგიონული ეკონომიკის ბლოკებით, თუმცა ეს სივრცეები მთლიანად ეწერებიან მსხვილი ბაზრების ფორმირების ლოგიკაში. თითოეული მათგანი განსხვავდება ყველა სხვა დანარჩენისაგან. მაგალითად ევროკავშირი, რომელიც ეფუძნება ინტეგრირებულ სივრცეს, ორ მახასიათებელს შეიცავს, ეს არის საერთო სავაჭრო პოლიტიკა გარე სამყაროსთან მიმართებაში და საერთო პოლიტიკური მიზანი, ხოლო ჩრდილოეთით ამერიკის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაცია ხელს უწყობს საქონლის გაცვლას პარტნიორებს შორის, მაგრამ არ წარმოადგენს სავაჭრო პოლიტიკის შემათანხმებელ ორგანოს. ამის გარდა, ეს რეგიონული ორგანიზაცია აერთიანებს თავისი არსით ზესახელმწიფოს (აშშ) და ორ ქვეყანა თანამგზავრს, რომელიც მოძრაობენ მის ორბიტაზე (კანადა და მექსიკა)", რაც შეეხება სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიის ქვეყნების ასოციაციას (ტაილანდი, მალაიზია, სინგაპური, ინდონეზია, ბრუნეი და ფილიპინები) მისი სპეციფიკა ისაა, რომ ამ სივრცის მნიშვნელოვანი პარტნიორები არ წარმოადგენენ ამ ორგანიზაციის წევრებს, საუბარია უპირველეს ყოვლისა იაპონიაზე, ასევე სამხრეთ კორეასა და აშშ-ზე. 1990-იანი წლების დასაწყისში მერკოსიურის დაჯგუფება ჯერ კიდევ პროექტის სტადიაში იმყოფებოდა.

ახალ მილენიუმში რეგიონი-სახელმწიფო მოასწავებს სერიოზულ ეკონომიკასა და პოლიტიკას შორის, კანონიერებასა და სიმდიდრეს შორის. ერთის მხრივ, იზრდება რეგიონების რიცხვი, რომელთა ერთიანობა უზრუნველყოფს ერთობლივ აჟვავებას. ისინი სულ უფრო შესამჩნევ და დამოუკიდებელ როლს თამაშობენ მსოფლიო ეკონომიკის ჩარჩოებში. მეორეს მხრივ, წარსულის მემკვიდრეობა-სახელმწიფო განაგრძობს არსებობას

იმის მიუხედავად, რომ იგი თავისი ფუნქციების მნიშვნელოვან ნაწილს კარგავს.

ასეთ ვითარებაში კი რაც უფრო მაღალი იქნება აღნიშნული ბუნებრივი რეგიონების განვითარების დონე, მით უფრო მეტი ხარისხით უნდა აიღონ მათ პასუხისმგებლობა მოსახლეობის კოლექტიური მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, იქნება ეს ქალაქების კეთილმოწყობა, გზები, ჯანდაცვა, განათლება, სანიტარული მდგომარეობა თუ სხვა. აქ არის ერთი მაგრამ, კერძოდ, როგორ შეიძლება გადაიჭრას ყველა ეს პრობლემა პოლიტიკური სტრუქტურების გარეშე (გადასახადების დაწესება, ბიუჯეტის მომზადება, ამ დანახარჯების ანაზღაურებაზე მოქალაქეების თანხმობა). უფრო მეტიც, არსებობს კი დედამიწაზე ისეთი ზონები ან რეგიონები, სადაც ყველა ერთნაირად მდიდარია, სადაც არ წარმოიქმნება უთანაბრობისა და სოლიდარობის პრობლემა? ლიბერალური ეკონომიზმი მიზნად ისახავს პოლიტიკური ხელისუფლების გაუქმებას. შაყარაუდოა, რომ საყოველთაო გამდიდრება საშუალებას იძლევა „ხალხთა მართვა" შეიცვალოს „საგნების მართვით". არ ვეთანხმებით რა ამ მაქსიმას, ვფიქრობთ, მან შეიძლება იქამდე მიგვიყვანოს, რომ ყველა ბარიერი მოიხსნება ინდივიდუალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილების გზაზე, შედეგები კი ალბათ კატასტროფული იქნება.

ეროვნული სახელმწიფო წარმოადგენს სოლიდარობის მექანიზმს, რომელიც კარგად თუ ცუდად მაინც მუშაობს. მაშინ რომელ კეთილმეზობლობასა და სტაბილურობაზე შეიძლება საუბარი, თუ XXI ს. მსოფლიო წარმოდგენილი იქნება სიმდიდრის კონცენტრირებული ზონით (რომელიც უმცირეს ნაწილს შეადგენს) და საბოლოო ჯამში იძულებული გახდება შექმნას თავის გარშემო თავდაცვითი ზღუდე უდიდესი სიღარიბის ზონით? (ეს ეკონომიკური ზონები პრეტენზიას აცხადებენ დამოუკიდებლობაზე) მაგრამ როგორც ჩანს ისინი არ არიან სიცოცხლისუნარიანები, რადგან თუ თავიანთი სპე-

ციალიზაციის შესაბამისად ისინი ღია დარჩებიან საქონელგადაცვლის ყველა გეოეკონომიკური პოლუსებისათვის, მაშინ აუცილებლად მიიზიდავენ გამორჩენის მოყვარულთა მნიშვნელოვან რაოდენობას, ხოლო თუკი ისინი საკუთარი სიმდიდრის შენარჩუნებისათვის ჩაკეტავენ ტერიტორიებს, მაშინ საკითხავია რა დაემართება საქონელგაცვლებს, რომელიც მათი კეთილდღეობის წყაროს წარმოადგენს?

გეოპოლიტიკის დებულების შესაბამისად, რომლებიც ფორმულირებული იყო ჰ. მაკინდერისა და კ. ჰაუსჰოფერის[65] მიერ, სახელმწიფოს სიძლიერის გარანტიას წარმოადგენს კონტროლი იმ ელემენტებზე, რომლებსაც გააჩნიათ დიდი მასა (ტერიტორია, ხალხი, ნედლეული რესურსები) ცნება „ძლიერება“ და „უსაფრთხოება“ ერთმანეთთან მჭიდროდაა დაკავშირებული. ფლობდე ძლიერებას ეს ნიშნავს განკარგავდე რაც შეიძლება მეტ სხვადასხვაგვარ რესურსებს. ამ თვალსაზრისით ნამდვილად ძლიერ სახელმწიფოებად შეიძლება ჩაითვალოს აშშ და ჩინეთი (იგივე ითქმოდა ყოფილ საბჭოთა კავშირზე), ასევე XX ს. პირველი ნახევრის მეტროპოლიები. იმ პერიოდის გამოცდილება, რომელიც დაიწყო მეორე მსოფლიო ომის შემდეგ და გრძელდებოდა 1980-იან წლებში, ანუ ორი ზესახელმწიფოს დაპირისპირების პერიოდი, ზემოთ აღნიშნულის ნათელი დადასტურებაა.

თავის მხრივ გეოეკონომიკა მიისწრაფვის ძლიერების ცნება გააიგივოს საერთაშორისო ქსელზე კონტროლის დამყარებასთან. ძლიერება მომდინარეობს უნარიდან – შექმნა საერთაშორისო ქსელი (სავაჭრო გზები, ინფორმაციის ან გამოსახულების გადაცემის არხები), გამოიყენო იგი და მისგან მიიღო მოგება. ამასთან ძლიერებას ფლობს ის, რომელიც სტრატეგიულ მდებარეობას იკავებს საერთაშორისო ქსელში და ფლობს თავისი უპირატესობის მაქსიმალურად გამოყენების ტალანტს.

---

[65] უფრო დაწვრილებით იხ: Halford Mackinder. “Democratic ideals and reality”. New-York,1919; Karl Haushofer “Dai Nihor,Munich,1913.

პოლიტიკური სამხედრო ძლიერება (რომელიც საშუალებას იძლევა თავს მოახვიოს საკუთარი ნება, დაემუქროს და მიაყენოს დარტყმა), განსხვავდება იმ ძლიერებისაგან, რომელსაც იძლევა საერთაშორისო ქსელზე კონტროლი, (საშუალებას იძლევა განხორციელდეს დაწოლა და მეტოქის გადმობირება). ამასთან სამხედრო-პოლიტიკურისაგან განსხვავებით გეოეკონომიკური სიძლიერე საშუალებას იძლევა პრობლემის გადაჭრა მიღწეული იქნას შედარებით რბილი მეთოდებით, ცალკეული შემთხვევების გარდა. თუმცა ეს სრულებით არ ნიშნავს, რომ გეოეკონომიკა ამარტივებს ძლიერების ტრადიციულ კრიტერიუმებს. ახალ პირობებში ძლიერება ნიშნავს წესრიგის დამყარების უნარს (მაგ. 1990-იან წლებში აშშ საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზანი იყო ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის რეჟიმის შენარჩუნება, კერძოდ, ჩრდილოეთ კორეის ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის რეჟიმის შენარჩუნება და ამ ქვეყნის ბირთვული ამბიციების წინააღმდეგ ბრძოლა. XXI ს. დასაწყისში იგივე პრობლემა გაჩნდა ირანთან მიმართებაში). ამასთან იერარქია, რომელსაც გეთავაზობს გეოეკონომიკა, საკმაოდ მრავალვარიანტული და ჯერჯერობით გაურკვეველია. მაგალითისათვის შეიძლება მოვიყვანოთ ქალაქ-სახელმწიფო სინგაპური, რომელსაც გააჩნია ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა და საერთაშორისო გაცვლებისათვის ფლობს შესანიშნავ ინფრასტრუქტურას. ამასთან სინგაპური ძალიან სუსტი ადგილია. თავისი სიტუაციით იგი გვაგონებს ევროპის სავაჭრო ცენტრებს (ვენეციას, ამსტერდამს), რომლებიც იმყოფებიან ბიუროკრატიზირებული სახელმწიფოების ხელისუფლების ქვეშ. მეორეს მხრივ 1990-იან წლებში გაცვლების შედეგად სწრაფად გაიზარდა ჰონკონგის მნიშვნელობა საერთაშორისო ვაჭრობის სისტემაში. ამდენად, მობილურობა, ცვლილებებზე სწრაფი რეაგირებისა და შეგუების უნარი წარმოადგენს მნიშვნელოვან გეოეკონომიკურ კოზირს თანამედროვე

განვითარებაში, რაც ორგანულად უნდა ჯდებოდეს ახალი მსოფლიოს გეოპოლიტიკური წესრიგის ჩარჩოებში.

4.3 გლობალური გეოეკონომიკური მეტოქეობა

ეჭვგარეშეა, რომ მსოფლიო გაცილებით გლობალური და ურთიერთდამოკიდებული გახდა. აუცილებელი ხდება ღრმად აიხსნას გლობალიზაციისა და ურთიერთდამოკიდებულების აზრი იმისთვის, რომ კარგად გაეცნოთ ახალი გეოეკონომიკური გარემოს მექანიზმებსა და სტრუქტურაში. ჩვენ შორს ვართ იმ აზრისაგან, რომ გლობალიზაცია და ურთიერთდამოკიდებულება მაინცდამაინც ნიშნავს მ. მაკლუჰანის ე.წ.„გლობალური სოფლის" აღმოცენებას ან იმ პროგნოზებს, რომელსაც აკეთებს ფ. ფუკუიამა თავის „ისტორიის დასასრულში"[66]. გეოეკონომიკის თანამედროვე ხედვით გლობალიზაცია შეიძლება აიხსნას იმით, რომ სახელმწიფოთა ტერიტორიულმა საზღვრებმა მნიშვნელოვნად დაკარგეს თავისი ეკონომიკური აზრი, მოხდა სიმდიდრის დეტერიტორიზაცია და დემატერიალიზაცია, ხოლო მსოფლიო ვაჭრობის ლიბერალიზაციამ, სატარიფო ბარიერების დახევამ და შეზღუდვების მოხსნამ კაპიტალის მოძრაობაზე ეროვნულ-ტერიტორიულ სახელმწიფოებს ეკონომიკაზე კონტროლის უფლებამოსილების ნაწილი ჩამოართვა, უფრო ზუსტად კი ეკონომიკის სფეროში მისი სუვერენიტეტის ნაწილი.

ურთიერთდამოკიდებულება გაიზარდა არა მხოლოდ იმის გამო, რომ გაიზარდა მსოფლიო ვაჭრობის მოცულობა და ჩამოყალიბდა მძლავრი ტრანსნაციონალური ძალები, არამედ იმიტომაც, რომ საწარმოებს როგორც ზემოთ აღვნიშნეთ გაცილებით ადვილად, ვიდრე ადრე, შეუძლიათ გადაიტანონ თავისი საქმიანობა იმ რაიონებში, სადაც მათ სთავაზობენ უკეთეს პრობლემებს.

---

[66] უფრო დეტალურად: Me Luhan M. Understanding Media. London, Routledge. 1964; Fukuyama F. The End of History and the Last Man. New-York.1997.

პროტექციონიზმი (რომ არაფერი ვთქვათ ავტარქიაზე) დღეს მაინცდამაინც ბევრს აღარაფერს ნიშნავს სატარიფო და ტერიტორიული ბარიერების თანდათანობითი გაუქმება. ადრე, „ოქროს მილიარდის“ ქვეყნები მტკიცედ იყენებ დაჯერებულნი თავიანთ მონოპოლური მდგომარეობა'ში ყველაზე უფრო მოწინავე საწარმოო ტექნოლოგიების სფეროში. მხოლოდ მას შემდეგ, რაც ეს ტექნოლოგიები აღწევდნენ მაქსიმალურ ზრდას, რომელიც უკვე მიახლოებულია მორალური დაძველების სამანს, ისინი გადაჰქონდათ ნაკლებად განვითარებული მრეწველობის ქვეყნებში, რომელთაც უკვე აღარ შეეძლოთ პირველებთან კონკურენცია.

ინფორმაციულმა რევოლუციის გაელენით ახალი ინდუსტრიული ქვეყნები (NIK) უკვე უშვებს უმაღლესი ხარისხის პროდუქციას და ღირსეულ კონკურენციას უწევენ „ოქროს მილიარდის“ ქვეყნებს. თუმცა NIK-ის ქვეყნები, იმის გათვლაისიწნებით, რომ იქ გაცილებით დაბალია შრომის ანაზღაურება და გაცილებით ნაკლები სოციოეკონომიკური მოთხოვნები, ფაქტიურად ძირს უთხრიან „ოქროს მილიარდის“ ქვეყნების პოზიციებს და საფრთხეს უქმნიან მათ კეთილდღეობას. ასეა თუ ისე, აშკარად იკვეთება შრომის საერთაშორისო დანაწილების ახალი კონტურები, რომელიც ძალიან სწრაფად ვითარდება, რაც არ იძლევა პროგრესული სტრუქტურული ცვლილებების გატარების საშუალებას. ამ პროცესში კი ის ქვეყნები დაზარალდებიან, რომელთაც თავიანთ შეიარაღებაში არ ექნებათ ეფექტური გეოეკონომიკური სტრატეგია. ამის გარდა ისიც გასათვალისწინებელია, რომ თუ ადრე განვითარებადი ქვეყნების „ციკლი“ დამოკიდებული იყო „ოქროს მილიარდის“ ქვეყნების „ციკლზე“, ამჟამად იგი მეტნაკლებად დამოუკიდებელი ხდება, რის შედეგადაც ქვეყნების ეს ჯგუფი გაცილებით საშიში კონკურენტები ხდებიან, განსაკუთრებით კი კაპიტალის მოზიდვის სფეროში.

გასული საუკუნის ბოლო მეოთხედში მსოფლიოში უკვე გამოიკვეთა ახალი სამყარო (Pax Oeconomicana), რომლისთვისაც დამახასიათებელია ტრანსნაციონალური დინებების ახალი რეალობა, რომელიც ეფუძნება ახალ კულტურულ ნიმუშს. ამასთან კულტურამ მნიშვნელოვნად დაკარგა ეროვნულობის ელფერი და თანდათან გადაიქცა ინტერნაციონალურ ფენომენად.[67] ეს უკანასკნელი ადვილად ვრცელდება ახალი კომუნიკაციური არხების (კინო, ტელევიზია, ინტერნეტი, მსოფლიო სავაჭრო ქსელი და ა.შ) მეშვეობით, თუმცა XX ს. ბოლოსათვის ძირითადი კულტურული განსხვავებანი მაინც შენარჩუნებული იყო, რამაც თავისი ასახვა ჰპოვა გეოეკონომიკური განვითარების სტილსა და სტრატეგიაზე. თვით გეოეკონომიკის აღმოცენება გახდა გეოპოლიტიკური და გეოკულტურული ცვლილებების ძირითადი მექანიზმი, რომელმაც ერთ-ერთი მკაფიო გამოხატულება ჰპოვა ნეოლიბერალურ დოქტრინაში, ეკონომიკური საქმიანობის დერეგულირების ტაქტიკაში, საერთაშორისო ვაჭრობისა და ინვესტიციების პრივატიზაციასა და ლიბერალიზაციაში. რეალურად ეს ნიშნავდა დასავლეთის ლიდერების პოზიციის დამკვიდრება-განმტკიცებას, რომელიც აქტიურად ხორციელდებოდა უკვე XIX ს. დასასრულიდან და ეფუძნებოდა ადამიანისა და მოქალაქის უფლებებსა და თავისუფლებას, ასევე წარმოდგენებს სოციალური ცხოვრების ისეთ განვითარებაზე, რომელიც მიიღწევა ინდივიდუალიზმით და კონკურენციით.

ახალი გეოეკონომიკური გამოწვევების წინაშე ტრადიციული ეკონომიკური და პოლიტიკური ერთეულები (ეროვნული ეკონომიკა და ეროვნული სახელმწიფო) უკვე აღარ თამაშობენ მთავარ როლს. მსოფლიოს ახალ კულტურულ-ეკონომიკურ და

[67] უფრო დაწვრილებით იხ: Smith A.D. Nations and Nationalism in a Global Era. Cambridge. Polity Press, 1995

პოლიტიკურ სივრცეში ყალიბდება რიგი მეგარეგიონები, რომლებიც აერთიანებენ რამდენიმე ეროვნულ-სახელმწიფოებრივი წარმონაქმნების ეკონომიკურ პოტენციალს და ქმნიან ახალ მეგაბაზრებს. გეოეკონომიკური კონკურენციის წინა პლანზე ექცევიან ინტეგრირებული ბიზნეს-ჯგუფები, რომლებიც აერთიანებენ ინოვაციურ საქმიანობასა და მსხვილ წარმოებას, რომლებიც თავიანთ საქმიანობას ეწევიან მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონებში საქმიანი ქსელების მეშვეობით.

ასეთი გეოეკონომიკური, გეოკულტურული და გეოპოლიტიკური გარდაქმნის მთავარი შედეგი გახდა რიგი დიდი ტექნოლოგიების გაფორმება ე.წ. აქტიურობის ჯაჭვი, რომელშიც ადამიანთა საქმიანობა ერთმანეთთან დაკავშირებულია არა მხოლოდ ეროვნული საზღვრების შიგნით, არამედ მთელი მსოფლიოს მასშტაბით. ეს ჯაჭვები თავდაპირველად წარმოადგენდნენ კულტურის ფენომენს და გამოხატავდნენ ორიენტაციას სრულად განსაზღვრულ თავისუფლებებზე. სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ, აქტიურობის ყოველი ასეთი ჯაჭვის უკან იდგა მომავლის საკუთარი ხედვა (პროექტი), განვითარების საკუთარი მოდელი. აღნიშნულიდან გამომდინარე, სულაც არ მოითხოვს ვრცლად დასაბუთებას თეზისი, რომლის თანახმადაც სარგებელს ადამიანთა აქტიურობის „დაკავშირებით“ ღებულობდნენ უპირველეს ყოვლისა ისინი, ვინც იყვნენ მომავლის პროექტების „მწარმოებლები“ და მისი გადამცემი (ტრანსლიატორები).

იმ ქვეყნებმა და ქვეყანათა ჯგუფებმა, რომელთაც შეძლეს 1960-იანი წლების ბოლოსა და 1970-იანი წლების დასაწყისში შეძელეს მსოფლიო განვითარებისა და ტენდენციების „გამოცნობა“, ფაქტიურად მოიპოვეს სხვა ქვეყნების ბუნებრივი რესურსების გამოყენების უფლება და უზრუნველყვეს თავისი დომინირება მსოფლიო საზოგადოებაში. ამ ქვეყნებმა შეძლეს სხვა ქვეყნების აქტიურობის „შეკერა“ და მიისაკუთრეს ნაკლებად განვითარებული ქვეყნების მოქმედებათა შეფასების უფლება, მომავლის პროექტში მათი მონაწილეობის თვალსაზ-

რისით. ამ კუთხით XX ს. ყველაზე უფრო წარმატებუ-ლი ქვეყანა გახდა აშშ. ამ ქვეყანამ დასავლეთ ევროპასთან ერთად აირჩია განვითარების რაციონალურ-მერკანტილიტრური მიმართულება, რომელიც შემდგომ მთელი XX ს. განმავლობაში გაავრცელა მთელს მსოფლიოში, რაც პრაქტიკულად იყო ერთგვარი „კულტურული ექსპანსია“ სხვა ქვეყნების მიმართ. ამ ექსპანსიის ძირითადი ფორმა გახდა ფინანსურ-ეკონომიკური და ტექნოლოგიურ-ინოვაციური დაწოლა. დღეს, როცა რაციონალობა უპირველეს ყოვლისა, იზომება მერკანტილისტური გათვლებით, ხოლო ადამიანები ორიენტირებულნი არიან მოხმარებაზე, მსოფლიო ცენტრი ავტომატურად ხდება ის, ვინც მართავს მოთხოვნილებას და ქმნის ახალ საწარმოო ტექნოლოგიებს, ვინც მართავს მსოფლიო ფინანსებს და ახორციელებს მსოფლიო ვალუტების ემისიას.

ინოვაციური ეკონომიკის აღმოცენებამ გამოიწვია მსოფლიოს ცალკეულ რეგიონებს შორის დისპროპორციების ზრდის ასე ვთქვათ „აფეთქება“, ხოლო შედარებით განვითარებულ ქვეყნებში ასეთი „აფეთქება“ შეინიშნებოდა მსხვილ ქალაქებსა და დანარცენ ტერიტორიებს შორის. დღესიათვის ძირითადი ინოვაციური პოტენციალი და მისით განპირობებული განვითარების რესურსი თავმოყრილია ქვეყანათა მცირერიცხოვან ჯგუფში[68], ხოლო ამ ქვეყნების შიდა ტერიტორიების მიხედვით კი, მსხვილ ქალაქებსა და მეგაპოლისებში, რომლებიც წარმოადგენენ კომუნიკაციებისა და ტრანსნაციონალური მეწარმეობის ცენტრებს.

ფაქტიურად, საწარმოო და ეკონომიკური ინტეგრაციის პროცესებმა, რომლებიც ძალას იკრებდა XX ს. განმავლობაში XXI ს. დასაწყისისათვის უკვე აშკარად მიიღო ფინანსური გლობალიზაციის სახე, რომელშიც აშშ–მ, მეორე მსოფლიო

---

[68] უფრო დაწვრილებით იხ: Valaskis K.-Mondialisation et governence "Futuribles, 1998, #230; Gill S. Globalization, democratization and the Politics of Indifference Globalization: Critical Reflections. Boulder, 1997.

ომის შემდეგ თავის ხელში აიღო მმართველი ცენტრის ფუნქციონირება ახალი ტიპის ფინანსური ინსტრუმენტების წარმოებასა და „მსოფლიო ფულის“ ფორმირებაში, რითაც აშშ–მ შესძლო რიგი ქვეყნებისათვის თავს მოეხვია დამწეველი განვითარების სტრატეგია (დამწეველი მოდერნიზაცია). აღნიშნულმა კი XX ს. დასასრულსა და XXI ს. დასაწყისში შეიძინა აშკარა და სისტემური ხასიათი, რომლის ნეგატიურ ხასიათზე განსაკუთრებით განვითარებადი ქვეყნებისა და ახალი ინდუსტრიული ქვეყნებისათვის ბევრს წერდნენ ამ დარგის ექსპერტები.

4.5 გეოეკონომიკური ლიდერების პროგლემა

XXIს. დასაწყისში გარკვეული „ჩავარდნა“ მოხდა დასავლეთის მიერ შემოთავაზებული განვითარების სტრატეგიაში, რომელიც ეფუძნება ფინანსური გლობალიზაციის კონცეფციებსა და პროექტებს. სერიოზული პრობლემები გაჩნდა ლიდერი ქვეყნების პირველ ათეულში, რაც შეეხება გეოეკონომიკის ცენტრებს, მათი პრობლემები შეიძლება განისაზღვროს მსოფლიო განვითარების გეოეკონომიკურ კონფიგურაციაზე კონტროლისა და მართვის შენარჩუნების ხარისხით. ამ თვალსაზრისით, უპირველეს ყოვლისა, შეიძლება დავასახელოთ დასავლეთის ფრაგმენტაციის პრობლემა, რომელიც გამოწვეულია მისი შიდა კონკურენციით გეოეკონომიკური ცენტრის როლის („მთავარი მეტროპოლიისათვის“) მოსაპოვებლად. ამასთან, საუბარია არა მხოლოდ აშშ, დასავლეთ ევროპისა და იაპონიის მეტოქეობაზე, არამედ თვით დასავლეთის გეოეკონომიკური სიერცის ორგანიზაციაზე (კონფიგურაციაზე), იქნება ეს ქვეყნების კავშირი, ლოკალური რეგიონების (საქალაქო აგლომერაციების) თუ მეგაპოლისების, „მომავლის პროექტი დასავლურად“, არ დამთავრებულა და იგი მრავალვარიანტულია, რომელთა ინიცირება და რეალიზაცია ხდება ერთდროულად რამოდენიმე სუბიექტების მიერ, რომელთა ინტერესები არცთუ იშვიათად ერთმანეთთან წინააღმდეგობაში მოდის.

მეორეს მხრივ, შეიძლება ვისაუბროთ დასავლეთის პასუხისმგებლობის ქვეშ მყოფ კულტურული და ეკონომიკური ზონის შენარჩუნების პრობლემაზე. აშენებს რა Pax Oeconomicana–ს დასავლეთი იძულებულია უდიდესი ძალისხმევა მოიხმაროს როგორც საქონლისა და ფინანსების ბაზრის სტაბილიზაციის შენარჩუნებას, ასევე დემოკრატიასა და უსაფრთხოებას მთელს მსოფლიოში. „სოციალისტური ბანაკის" რღვევის შემდგომ, გაფართოვდა რა დასავლეთის პასუხისმგებლობის კულტურული და ეკონომიკური ზონა თითქმის მსოფლიო მასშტაბში, დასავლეთი, ერთის მხრივ, ზრდის „უზრუნველყოფის ტვირთის" (loyistical loads) დანახარჯებს, რათა შეინახოს თავისი სამხედრო ბაზები და თითქმის ყველა კონტინენზე (ანტარქტიკის ჩათვლით), ხოლო მეორეს მხრივ, ზრდის დანახარჯებს ფინანსურ ინვენსიტიციაზე, იმ მიზნით, რომ შეინარჩუნოს ეროვნული და რეგიონული ბაზრები (დასავლეთის პასუხისმგებლობის ზონის ზოგიერთმა ქვეყანამ საკუთარი ფულად-საფინანსო სისტემის სტაბილიზაციისათვის, მიიღეს ათეული მილიარდი დოლარი სტაბილიზაციური კრედიტების სახით). მესამეს მხრივ, მუდმივადაა შენარჩუნებული იმის შესაძლებლობა, რომ მოხდეს Pax Oeconomicana–ს ერთ-ერთი პერიფერიული აქტორის რეალიზაცია. ამცირებს რა საკუთარი პასუხისმგებლობის ზონას, დასავლეთი სტიმულს აძლევს ალტერნატიული პროექტების ძიებასა და შექმნას. აღებს იდეოლოგიურ და პოლიტიკურ სივრცეს მათი დამკვიდრებისათვის და იძლევა გეოგრაფიულ სივრცეს მათი ტერიტორიული ლოკალიზაციისათვის.

როგორც ჩანს, აღნიშნული პროექტები ჩამოყალიბდება და დამკვიდრდება კონფლიქტური ფორმით. კერძოდ, დასავლეთის წინააღმდეგ ბრძოლის (ან გლობალიზაციის პროექტების წინააღმდეგ) საფუძველზე, რომელიც შეიძლება გამოხატული იყოს სხვა კულტურის დომინირების წინააღმდეგ მიმართული ეთნიკური, კონფესიური და სხვა სახის კონფლიქტებით.

4.6 გეოეკონომიკური აუტსაიდერების პერსპექტივები

XXI ს. პრობლემურად გამოიყურება გეოეკონომიკური აუტსადერი ქვეყნების განვითარება. კერძოდ, იმ ქვეყნებისა, რომლებიც არ მიეკუთვნებიან გეოეკონომიკურ მეტროპოლიებს და იძულებულნი არიან თავიანთი მომავალი დაუკავშირონ განვითარების პროექტების დასავლურ მოდელს, რაც გამოიხატება იმაში, რომ:

•ამა თუ იმ ქვეყნის მიერთება Pax Oeconomicana–თან არ ხდება ავტომატურად და ყოველთვის საჭიროებს სანქციონირებას ამ სამყაროს წამყვანი ცენტრების მხრიდან. ამ უკანასკნელის ფუნქციები კი განაწილებულია სხვადასხვა ინსტანციებს შორის. კერძოდ, ასეთი ინსტიტუტებია აშშ კონგრესი და ამერიკის პრეზიდენტი (რომლებიც იღებენ გადაწყვეტილებას დაუშვან თუ არა საკუთარ ბაზარზე სხვა ქვეყნების საქონელი, მომსახურება, ასევე გაუწიონ თუ არა ფინანსური და სხვა სახის დახმარება სხვა ქვეყნებს და ა.შ), 1975 წ. რამბუიეში შექმნილი „შვიდეული“ (G-7) და კიდევ მსოფლიო ბანკი, სავალუტო ფონდი, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია და ა.შ. თვით სანქციონირების აქტი ნიშნავს ქვეყნის შეფასებას დარიცხული ფასეულობების გაერცელების ხარისხის მიხედვით. ქვეყნები, რომლებიც აღიარებენ ამ ფასეულობებს ექცევიან Pax Oeconomicana-ს ცენტრის კულტურული და ეკონომიკური პასუხისმგებლობის ზონაში, იღებენ ფინანსურ, სამხედრო-პოლიტიკურ, კულტურულ და ტექნოლოგიურ მხარდაჭერას დასავლეთის მხრიდან;

•რაციონალურ – მერკანტილისტური განვითარების ორიენტირების არჩევაში, რომელსაც ცალკეული ქვეყნებისათვის, ავტომატურად არ მოაქვს ტექნოლოგიური და კულტურული განვითარებაც. ბევრი ქვეყანა რჩება Pax Oeconomicana–ს პერიფერიაზე, იღებს რა ამ სამყაროს შიგნით ეკონომიკური ფუნქციის განაწილებისას ნედლეულის წყაროს როლს ან იმ სიერ-


ცის როლს, სადაც ხდება მოძველებული და ხშირად ეკოლოგიურად მავნე ტექნოლოგიების განთავსება. რის შედეგადაც ახალ გეოეკონომიკურ სივრცეში ცენტრისა და პერიფერიის განვითარებაში არსებული დისბალანსი სულ უფრო მწვავედ ვლინდება.

4.3მოსალოდნელი გეოეკონომიკური ცვლილებების სცენარები

ექსპერტები და ანალიტიკოსები XXIს. პირველ ნახევარში ვარაუდობენ მსოფლიოს როგორც მინიმუმ სამი გეოეკონომიკური სცენარით განვითარებას (ნახ.4.7) პირველი სცენარი გულისხმობს კონსტრუქციული მულტიკულტურული დიალოგის შემდგომ გაფართოებას „ოქროს მილიარდის“ ქვეყნებსა და დანარჩენ მსოფლიოს შორის, რომელიც მიმართული იქნება არსებული წინააღმდეგობების გადალახვისკენ. მეორე სცენარი კი გულისხმობს, რომ აღმოცენდება კონკურენციის ახალი ბიპოლარული კონსტრუქცია, ხოლო მესამე სცენარით მოსალოდნელია მსოფლიო სივრცის ფრაგმენტაცია რამოდენიმე კულტურულ-კონფესიური და ეკონომიკურ რეგიონად (სახელმწიფოთა ჯგუფი), რომელიც ხანგრძლივ კონფლიქტსა და კონკურენციაში იქნებიან ერთმანეთთან.

მსოფლიოს შესაძლო გეოეკონომიკური განვითარების სცენარები XXI ს. I ნახევარში

ნახ. 4.7



წყარო: 1. Conen D.The Wealth of the World and of Natons.Cambridg (ma) 1998

2. Etzioni A.The New Golden Rule.N.Y.1996

3. Cray J.False Dawn The Delusion of Global Capitalism L. 1998

4. Huntington S. The Clash of Civilizations and the Remaking of World Order N.Y.1996

5. Luttwak E.Turbo-Capitalism, Winners and losers in the Global Economy L. 1998.
6. Ohmae K. (ed). The evolving Global Economy Mahing Sense of the New World Order. Boston, 1995.
7. Toffler A. Toffeler H. Creating a New Civilization. Atlanta 1995

დასახელებული თითოეული სცენარის რეალიზაცია შესაძლებელია სხვადასხვა პროცესების შედეგად, რომელთაც გააჩნიათ გლობალური ხასიათი, კერძოდ:

1. იმ ქვეყნების კონსოლიდაციის შედეგად, რომლებისთვისაც ფაქტიურად ვერ მოინახა ადგილი Pax Oeconomicana-ში. ბუნებრივია ეს ქვეყნები გააგრძელებენ საკუთარი განვითარების გზების ძიებას. თუ ეს ძიება აღმოჩნდება შედეგიანი, მაშინ აშშ და ევროპის (კულტურული დომინირების ზონა) კულტურული პასუხისმგებლობის ზონა შეიძლება შემცირდეს უკვე არა ამ უკანასკნელთა ინიციატივით.

2. „ცივილიზაციათა შეჯახების" შედეგად მესამე ათასწლეულში კონფლიქტები შეიძლება აღმოცენდნენ როგორ კულტურული პასუხისმგებლობის პერიფერიული ზონის შენარჩუნებისათვის, კონკურენციულ ბრძოლაში, ასევე თვით Pax Oeconomicana-ს ცენტრების ეროვნული ერთიანობის შენარჩუნებისათვის. ამასთან საუბარი არ არის მაინცდამაინც გლობალურ კონფლიქტზე ან ომზე.

3. Pax Oeconomicana–სა და მისი ცენტრის მშენებლობა. პოლიტიკის მოდერნიზაციის შედეგად სრულიად შესაძლებელია, რომ ასეთი მოდერნიზაცია შეიძლება, როგორც სოციო-კულტურული გლობალიზაციის სტრატეგიაზე გადასვლით, ასევე მსოფლიოს ახალი ზონების გამოყოფით.

უნდა შეენიშნოთ, რომ განვითარების ეროი მოდელიდან მეორეზე გადასვლა (ინდუსტრიულიდან ინოვაციურ ეკონომიკაზე) ძნელად თუ იქნება უმტკივნეულო. ბევრი ექსპერტი თანხმდება, რომ 1997-98წწ. მოვლენები (მხედველობაში გვაქვს აზიის ფინანსური კრიზისი) ეს მხოლოდ პირველი სიმპტომებია

მოახლოებული გლობალური ფინანსურ-ეკონომიკური და პოლიტიკური კრიზისის. აღნიშნული კრიზისი მოასწავებს თითქმის ასწლიანი დიდი ეკონომიკური ციკლის დასასრულს. როგორც ისტორიული გამოცდილება გვიჩვენებს, სწორედ მსოფლიო განვითარების გარდამტეხი პერიოდი ხასიათდება მომატებული კონფლიქტურობით.

მსოფლიო განვითარების პროცესები შევიდნენ გლობალური გაურკვეველობის ფაზაში. შეიძლება, როცა ძლიერების ძირითადი ძალების კოოპერაციისა და კონკურენციის პროცესები მიმდინარეობს განვითარების მოდელების კარდინალური ცვლილებების ფონზე. ეს კი იმას ნიშნავს, რომ საქართველოს გაუჩნდა ისტორიული შანსი მოახდინოს თავისი გეოეკონომიკური და გეოკულტურული მდგომარეობის ოპტიმიზაცია, ამისათვის კი, აუცილებელია გლობალურ გამოვლინებებზე ადეკვატური და ოპერატიული რეაგირების მექანიზმების შემუშავება.

II ნაწილი.
გლობალიზაციის გეოეკონომიკური პარამეტრები

თავი V. გლობალიზაცია და გეოეკონომიკა

5.1 გლობალიზაცია გეოეკონომიკის პრიზმაში

ამჟამად გლობალიზაციის პროცესების ანალიტიკური შესწავლა საშუალებას გვაძლევს გამოვყოთ მისი გამოვლინების რამოდენიმე ფორმა, რომლებზედაც ყველაზე უფრო ხშირად მახვილდება ყურადღება მკვლევართა მხრიდან და რომელთა შესწავლა საშუალებას გვაძლევს უკეთ გავერკვეთ ამ ფენომენის არსში[69].

უპირველეს ყოვლისა ეს ეხება ტექნოლოგიურ პროგრესს, (ნახ.1) რომელმაც კარდინალურად შეცვალა ადამიანისა და საზოგადოების კომუნიკალური შესაძლებლობები სივრცესა და დროში.

ათასწლეულების განმავლობაში პერგამენტულად მიმდინარეობდა მსოფლიოს კომუნიკაციური „შეიწროვება" (შეკუმშვა) და როგორც მ. მაკლუჰანი[70] შენიშნაეს მისი გადაქცევა „გლობალურ სოფლად", როცა ჩვენ შეგვიძლია დროის რეალურ რეჟიმში ვუყუროთ ჩვენგან ათასობით მილით დაშორებულ მოვლენებს. შესაბამისად დრო და სივრცე ისეთნაირად "შევიწროვდა", რომ ყველაფერმა დაკარგა ტრადიციული იდენტურობა, მათ შორის – პოლიტიკურმა, ეკონომიკურმა თუ სოციალურმა ჯგუფებმა, რომლებიც ტრადიციული ფორმით ვეღარ ფუნქციონირებენ.


---

[69] Cohen R. and Kennedy P. Global Sociology. N.Y. Palgrave,2000.

[70] Mc Luhan M. Understanding. Media. London Routledge, 1964.

გლობალიზაციის გამოვლენის არსებითი ფორმები

ნახ. 5.1



წყარო: Cohen R. and Kennedy P. Global Sociology. N.Y. Pulgrave.2000

აღნიშნულს ხელი შეუწყო რიგმა ფუნდამენტალურმა აღმოჩენებმა და მიღწევებმა, კერძოდ ევროპელი, ჩინელი, არაბი ზღვაოსნების მიერ მსოფლიოს გეოგრაფიულმა შესწავლამ და უცნობი ტერიტორიების ათვისებამ, ნ. კოპერნიკის მიერ მსოფლიოს ჰელიოცენტრული სისტემის თეორიის შექმნამ, აღორძინების ეპოქის ჰუმანისტურ-კულტურულმა ტრადიციებმა და

რასაკვირველია მეცნიერებამ, წიგნების ბეჭდვამ, მექანიკური საათების გამოგონებამ. ინდუსტრიულ ეპოქაში ტრანსპორტის განვითარებამ, ტელევიზიის გავრცელებამ, კოსმოსის ათვისებამ და ბოლოს ინტერნეტის გლობალური ქსელის შექმნამ. სივრცისა და დროის „შევიწროებამ" შეამცირა არა მხოლოდ ფიზიკური, არამედ სოციალური მანძილიც, რითაც საზოგადოების სხვადასხვა ფენა და კლასები არსებობის შედარებით თანაბარ პირობებში ჩააყენა. მეორეს მხრივ, თითქმის ყველა მეცნიერი მიანიშნებს თანამედროვე საზოგადოების ურთიერთკავშირისა და ურთიერთდამოკიდებულების მაღალ ხარისხზე. ეს პროცესი იმდენად ინტენსიურად მიმდინარეობს, რომ მ. კასტელსმა[71], წარმოქმნილ საზოგადოებას უწოდა „ქსელური" საზოგადოება,სადაც ბირთვის როლს ასრულებს გლობალური ეკონომიკა, რომელიც ჩვენთვის უკვე ნაცნობ ფერნან ბროდელისა და ემანუელ ვალერსტაინის იერარქიული მოდელებისაგან განსხვავებით, მუშაობს როგორც ერთიანი სისტემა რეალური დროის რეჟიმში მთელი პლანეტის მასშტაბით.

გლობალიზაციის არსის მახასიათებელია ცალკეული კულტურების ურთიერთქმედების მზარდი პროცესი. ეს პროცესიც თანდათანობით ვითარდებოდა საუკუნეების მანძილზე ომების, საზღვაო ექსპედიციების, ვაჭრობისა და პროზელიტიზმის* მეშვეობით. კავშირის თანამედროვე ელექტრონული საშუალებები, უპირველეს ყოვლისა კი დისტანციური განათლება და მასობრივი ინფორმაცია, შესაძლებელს ხდის ძალიან ფართო მასშტაბებში უსწრაფესად მოვახდინოთ კულტურის სახეობების გაცვლა. გლობალიზებულ ქვეყნებში ეს პროცესი მრავალი მოქალაქისათვისაა ხელმისაწვდომი. მსოფლიოს სხვადასხვა წერტილში მყოფი ადამიანები სულ უფრო მეტად შეიმეცნებენ, რომ ისინი ცხოვრობენ ერთიან პლურალისტურ

[71] эпоха: экономика овщества и культура. М. ГУВШЭ 2000.

* ამ შემთხვევაში პროზელიტიზმის ცნებას ვიყენებთ ახალი ფასეულობების მიღებასთან კონტექსტში.

მულტიკულტურულ მსოფლიოში. თუმცა „ამის მიუხედავად მსოფლიოში დომინირებს დასავლური კულტურული ტრადიცია მასზე მასობრივი მოთხოვნილების სახით.

საერთაშორისო ურთიერთობების "განსახელმწიფოებრიობის" შედეგად შესაძლებელი გახდა. გლობალური სოციალური ურთიერთობების სისტემის ფორმირების ფორსირებული პროცესი (რომელიც პრაქტიკულად წარმოადგენს ჩამოყალიბების პროცესში მყოფი გლობალური საზოგადოების საფუძველს).

თითქმის ყველა ქვეყნის სოციალურ ცხოვრებაში მეტნაკლებად, მაგრამ მაინც ამაღლდა ტრანსნაციონალური კორპორაციების (ტნკ) და ტრანსნაციონალური ბანკების (ტნბ) მნიშვნელობა. ტნკ ამჟამად პლანეტის ყველაზე მდიდარი და მძლავრი ეკონომიკური სისტემების ნახევარს აკონტროლებენ. როგორც წესი ტნკ თავისი განვითარების სტრატეგიებს ქმნიან არა ეროვნული ინტერესების შესაბამისად, არამედ საკუთარი განვითარების პროექტების მიხედვით, რომელსაც განსაზღვრავს გლობალური ბაზრის კანონები.

გლობალიზაციამ გამოიწვია საერთაშორისო სახელმწიფოთაშორისი ორგანიზაციების ზრდაც. საინტერესოა, რომ პირველი ასეთი ორგანიზაცია ჯერ კიდევ 1815 წელს ჩამოყალიბდა ვენის კონგრესზე და ეწოდებოდა „რეინზე ნაოსნობის მუდმივი კომისია". ამ კომისიამ შეაჯამა ნაპოლეონის ომის შედეგები და დასაბამი მისცა ახალ ეპოქას საერთაშორისო ურთიერთობებში. ამჟამად მსოფლიოში ფუნქციონირებს დაახლოებით ათასი ასეთი ორგანიზაცია. გარდა აღნიშნულისა მსოფლიოში მკვეთრად იზრდება არასამთავრობო საერთაშორისო ორგანიზაციების რაოდენობაც.

გლობალიზაციის ფენომენთან ერთად მკვლევართა ყურადღების ცენტრში ექცევა ისეთი მოვლენა როგორიცაა გლობალიზმი. პ. კენედი[72] აღნიშნავს, რომ იმ დროს როცა გლობა-

[72] Кеннеди П. Вступая в двадцать первый век. М. 1996.

ლიზაცია უპირატესად ახასიათებს მსოფლიოს ობიექტურ ცვლილებებს, რომლებიც ნაწილობრივ ჩვენგან დამოუკიდებლად მიმდინარეობს, "გლობალიზმი" ახასიათებს ცვლილებებს, რომელიც სუბიექტურ სფეროში მიმდინარეობს. ამჟამად გლობალიზმი როგორც საზოგადოებრივი შემეცნების ფორმა, ასახავს გლობალიზაციის ობიექტურ პროცესს და აჩვენებს მოსახლეობის მისწრაფებას აზროვნების კოლექტიური სტილისაკენ, მსოფლიო ცივილიზაციასთან იდენტიფიცირების ტენდენციებს, იზოლირებულად განვითარების დასრულებას, მულტიკულტურული შემეცნებისა და იდენტურობის ზრდას და ა.შ.

ამდენად, ბოლო წლების ფაქტები და მოვლენები, თუ მათ დავუმატებთ ემპირიულ ინფორმაციასა და სტატისტიკას, გვიჩვენებენ, რომ ჩვენს პლანეტაზე ინტენსიურად მიმდინარეობს ერთიანი გლობალური საზოგადოების ფორმირების პროცესი, სადაც ყალიბდება და განვითარების მდგომარეობაშია ახალი სოციალური ურთიერთობები. ამ უკანასკნელთა კონცეპტუალიზაციის საფუძვლები გლობალიზაციის კონტექსტში საკმაოდ განსხვავებული და ხშირად დიამეტრალურად საწინააღმდეგოა იმის გამო, რომ თვით გლობალიზაციის ცნებაა განსხვავებულად ინტერპრეტირებული.

გლობალიზაციის პროცესების განვითარება'ში შეინიშნება ერთი მნიშვნელოვანი გარემოება. კერძოდ, მილენიუმის მიწურულისათვის იგი აშკარად გავიდა ეკონომიკის ჩარჩოებიდან და მსოფლიო პოლიტიკური განვითარების დომინანტი ხდება. მან სხვადასხვა ფორმითა და ხარისხით მოახდინა ზეგავლენა მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონებზე, მოაქცია რა ერთნი ცენტრში, ხოლო მეორენი პერიფერიაზე, რითაც საფუძველი დაუდო ახალ, ზოგ შემთხვევაში კი საკმაოდ ხისტ წინააღმდეგობებს. რაც იმაში გამოიხატა, რომ უპირველეს ყოვლისა გლობალიზაციის თანამედროვე პირობებში სახელმწიფოები იძულებულნი არიან სულ უფრო მეტად მოახდინონ რეაგირება რიგი ტრანსნაციონალური ძალების გამოწვევებზე. ამ კონტექსტში

ნაყოფიერად გვეჩვენება ა. აპადურაის[73] მცდელობა გლობალიზაციის პროცესის ეს მხარე წარმოაჩინოს მსოფლიოს ხუთი „კულტურული დინებების" ან სივრცის სახით: მასმედიით, ეთნოფაქტორებით, ფინანსური ფაქტორებით, ტექნოლოგიური და იდეოლოგიური ფაქტორებით. მოკლედ განვიხილოთ ისინი:

1. მედიასივრცე – ამ სივრცეში ხდება კაცობრიობის შესაძლებლობების მკვეთრი ზრდა ინფორმაციის გადაცემისა და შენახვის, დამუშავებისა და მიღების კუთხით. ძლიერდება ინფორმაციული ტექნოლოგიების ზემოქმედება ადამიანის საქმიანობაზე, რაც იწვევს ტრანსნაციონალური წარმოდგენებისა და შეგრძნებების ერთიანობის ფორმირებას (World culture), რომლის საფუძველს თავის მხრივ წარმოადგენს კომპიუტერული ტექნიკის სრულყოფა, ელექტრონული მედიის განვითარება და ინფორმაციული ტექნოლოგიები (ინტერნეტ ტექნოლოგიების ჩათვლით);

2. ეთნოსივრცე – სადაც ხდება ეთნოფაქტორების (ეთნოეკონომიკა) მობილურობის ზრდა და მიგრაციული დინებების გადასვლა გლობალურ სიბრტყეში (ტრანსნაციონალური მიგრაციები);

3. ტექნოლოგიური სივრცე – სახელმწიფო საზღვრის გაელით მოწინავე და მოძველებული ტექნოლოგიების (ინფორმაციული და მექანიკური) ინტენსიური გადაადგილება;

4. ფინანსური სივრცე – ამ სივრცეში მიმდინარეობს ეკონომიკური გაცვლების ზრდა, სადაც მოქმედებენ ტნკ და ტნბ. იდება ტრანსნაციონალური გარიგებები, ხორციელდება სახელმწიფოს საზღვრებს გარეთ "მისი" საკუთრების უფლება და ა.შ.

5. იდეოლოგიური სივრცე – სწორედ ამ სივრცეში ხდება იდეოლოგიისა და კონტრიდეოლოგიის შექმნა, რომელიც იქმნება დასაელური ფასეულობებისა და "პერიფერიული კულ-

[73] Appadurai A. Disjunetive and Difference in the Global II International Affairs. 2. V75. = 2. 1990.

ტურების" „შეხვედრისას". ხდება ეთნიკური იდენტურობისა და რელიგიური ფუნდამენტალიზმის აღორძინება, იზრდება ნაციონალიზმი და "პანიდეოლოგიური" დინებები. მსოფლიო მასშტაბით ვრცელდება დასავლური ფასეულობები, რითაც ყალიბდება "გლობალიზმის" იდეოლოგია, რომელსაც ჩვენ მოვიაზრებთ როგორც გარკვეულ სწრაფვას, დაასაბუთოს მიმდინარე ცვლილებების გარდაუვალობა, მისი პოზიტიური ხასიათი, ასევე მცდელობად უზრუნველყოს საზოგადოებრივი აზრის თანხმობა და მისი პოზიტიური მონაწილეობა ახალი მსოფლიო წესრიგის ჩამოყალიბებაში.

როდესაც საუბარია ურთიერთქმედებაზე ფართო გაგებით რ. კიოჰენი და ჯ. ნეი[74] აღნიშნავენ მის გამოვლინებას ინფორმაციის, ფულის, საგნების, ადამიანთა და სხვა მატერიალური და არამატერიალური ობიექტების მოძრაობაში სახელმწიფო საზღვრების გავლით. ამასთან ისინი გამოყოფენ გლობალური ურთიერთობის 4 ძირითად ტიპს: 1.კავშირები, ინფორმაციის მოძრაობა (რწმენის გადაცემის ჩათვლით); 2. ტრანსპორტი, მატერიალური ობიექტების გადაადგილება (შეიარაღების ჩათვლით), ასევე კერძო საკუთრებისა და საქონლის გადაადგილება; 3. ფინანსები, ფულისა და კრედიტების გადაადგილება; 4. მოგზაურობა, ადამიანთა გადაადგილება. ამ შემთხვევაში ვფიქრობთ გამართლებული იქნება თუ გლობალური ურთიერთქმედების ამ ტიპებს დაემატება კიდევ ერთი კრიმინალური ტიპი, რომელიც ვლინდება არალეგალური ტრანსნაციონალური დინებების ინტენსიფიკაციაში, ორგანიზებული დანაშაულის ინტერნაციონალურ ხასიათში, რომელსაც მიეკუთვნება: საერთაშორისო ტერორიზმი, ყველა სახის უკანონო ვაჭრობა, უკანონო მიგრაცია, ნარკოტიკებისა და იარაღის კონტრაბანდა, ასევე რადიოაქტიური და მომწამლავი ნარჩენებით ვაჭრობა.

---

[74] Keohane R. Nye J.Power and Interdependence World Politic in Transition. Boston, Little Brown,1977.

ტერმინი „გლობალიზაცია" საერთაშორისო პოლიტიკურ და სამეცნიერო ლექსიკონში 1960 – იან წლებში შევიდა, თუმცა რ. რობერტსონი[75] აღნიშნავს (სხვათა შორის იგი არის გლობალიზაციის თეორიის შექმნის ერთ-ერთი ინიციატორიც), რომ ამ ტერმინმა აკადემიურ კვლევებში მნიშვნელობა მხოლოდ 1980-იანი წლების შუა ხანებში შეიძინა. საინტერესოა, რომ თვით აშშ–ს კონგრესის ბიბლიოთეკის კატალოგებში 1994 წლისათვის მითითებული იყო მხოლოდ 34 წიგნი, რომელიც შეიცავდა ტერმინ „გლობალიზაციას" ან მისგან წარმოებულებს.

დროთა განმავლობაში გლობალიზაციის თემა ყველაზე უფრო გავრცელებულად იქცა თითქმის ყველა სოციალურ მეცნიერებებში და არა მარტო მათში. თითოეული დისციპლინა ყურადღებას ამახვილებს გლობალიზაციის თავისებურებების იმ მხარეებზე, რომლებიც ყველაზე უფრო მეტადაა დაკავშირებული მათი კვლევის ინტერესებთან. ამასთან უნდა შევნიშნოთ, რომ „გლობალიზაციის" დეფინიციის საფუძველში თითქმის ყოველთვის ექცევა ან მისი შემადგენლების უბრალო ჩამოთვლა, ან მათ შორის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანის გამოყოფა. მისი დომინანტი შემადგენლის გამოყოფა უმეტეს შემთხვევაში იმის მიხედვით ხდება, თუ რიგით რომელი უფრო მეტად ასახავს გლობალიზაციის გამოვლინებასა და მის არსს. ავიღოთ ასეთი მაგალითი: ზემოთ აღვნიშნეთ, რომ სახელმწიფოთაშორისი საზღვრები სულ უფრო გამჭვირვალე ხდება იმის გამო, რომ ახალ დონეზე ადის მსოფლიოს ინფორმაციული და ტექნოლოგიური განვითარება, თუმცა საკითხი საზღვრების "გამჭვირვალეობის შესახებ არც ისე მარტივია და საკმაოდ სადისკუსიო თემაა. რ. კიოჰენი თვლის, რომ გლობალიზაციის არსია ტრანსსასაზღვრო პროცესების ზრდა, ანუ საზღვრის

[75] უფრო დაწვრილებით იხ.: Robertson R. Globalization: Social Teory and Global Culture. London, Soge, 1992.

მზარდი ტრანსპარენტულობა. ამ მოსაზრებას იზიარებს ბევრი სხვა მეცნიერიც. უფრო მეტიც, სახელმწიფოთაშორისო საზღვრების „გამჭვირვალეობამ" და „შეღწევადობამ"თანამედროვე მსოფლიო სულ უფრო ურთიერთდამოკიდებული გახადა. სწორედ ამ მიზეზით ზოგიერთი მეცნიერი განსაკუთრებით ემხრობა ნეოლიბერალურ პარადიგმებს და გლობალიზაციას უკავშირებენ ისეთ ურთიერთდამოკიდებულებას, როცა, როგორც ჯ. ნეი აღნიშნავს, მონაწილეები და მოვლენები სისტემის სხვადასხვა ნაწილში ურთიერთქმედებენ ერთმანეთზე. რ. რობერტსონი კი კულტურის გლობალიზაციას განმარტავს როგორც მსოფლიოს შეკუმშვას და მსოფლიო შემეცნების, როგორც ერთიანი მთელის ინტესიფიკაციას, კონკრეტულ გლობალურ ურთიერთდამოკიდებულებად და გლობალური მთელის აღნიშნულთან ახლოს დგას ე. გიდენსის[76] გლობალიზაციის არსის გაგება. იგი გლობალიზაციას განმარტავს, როგორც მსოფლიო სოციალური ურთიერთობების ინტენსიფიკაციას, რომელიც ერთმანეთისაგან დაშორებულ ადგილებს ისე აკავშირებს, რომ ადგილობრივი მოვლენები ყალიბდება ათასობით მილის იქით მომხდარი მოვლენებითა და პირიქით. ამასთან მიანიშნებს, რომ ეს არის უთანაბრო განვითარების პროცესი, რომელიც ერთდროულად კიდევაც აკოორდინირებს და კიდევაც ანაწევრებს. ეს მეცნიერი თვლის, რომ გლობალიზაცია, არ წარმოადგენს ვესტერნიზაციას, რამდენადაც არადასავლური ცივილიზაციები და საზოგადოებები ისევე მონაწილეობენ გლობალიზაციის პროცესში როგორც დასავლეთის.

ეკონომიკურ მეცნიერებაში გამოყოფენ გლობალიზაციის რამოდენიმე მიმართულებას: ფინანსური, წარმოების, ეკონომიკის რეგიონალიზაციის, ვაჭრობის და ა. შ. ამასთან გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ეკონომიკაში გლობა-

[76] უფრო დაწვრილებით იხ.: Giddens A. The Consequences of Modernity. Cambridge and Stanford. 1980.

ლიზაციამ, უპირველეს ყოვლისა, მოიცვა ფინანსური სფერო. ეკონომიკური ფაქტორების პრიორიტეტულობიდან გამომდინარე მსოფლიო ბანკის ანალიტიკოსები გლობალიზაციას განმარტავენ როგორც მსოფლიოს ქვეყნების ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულების ზრდას, რომელიც გამოწვეულია ვაჭრობისა და მომსახურების სფეროებში ტრანსსასაზღვრო გარიგებების მოცულობების ზრდითა და მათი მრავალფეროვნებით, აგრეთვე კაპიტალის საერთაშორისო დინებებისა და ტექნოლოგიების გავრცელების ტემპების დაჩქარებით.

ამასთან, უნდა შევნიშნოთ ის გარემოება, რომ მონოკაუზალური კვლევის სუფთა ეკონომიკური პრინციპები დამახასიათებელია, უპირველეს ყოვლისა, ნეოლიბერალური იდეოლოგიისათვის. უ. ბეკის[77] აზრით, სწორედ ამ თეორიას დაჰყავს გლობალიზაციის მრავალგანზომილებიანობა ერთ– ეკონომიკურ განზომილებაზე, რომლის დროსაც გლობალიზაციის ყველა ასპექტი ექვემდებარება მსოფლიო ბაზარს, როგორც უმთავრესს.

საერთაშორისო ურთიერთობების მკვლევართა ერთი ნაწილი კი გლობალიზაციის ქვეშ მოიაზრებს "ცივილიზაციათა შეჯახებას (მაგ. ს. ჰანტინგტონი[78]), ხოლო მეორეს იგი ესმის როგორც დასავლეთის გამარჯვება ცივ ომში და ამ უკანასკნელის ჰეგემონია, როგორც კანონზომიერი პროცესის, გავრცელება (მაგ. ფ. ფუკუიამა[79]).

ფილოსოფიური, ისტორიული, პოლიტიკური და ტექნიკური მეცნიერების წარმომადგენლები პრინციპში თანხმდებიან იმაზე, რომ გლობალიზაცია ნიშნავს მთელი მსოფლიოს ჩართვას ფი-

---

[77] უფრო დაწვრილებით იხ.: Бек У. что такое глобализация? пер. с немецкого. прогресс.Традиция. М., 2001.

[78] უფრო დაწვრილებით იხ.: Huntington S. The Clash of Civilizations and Remeking of World Politics. N.Y. Simon and Schuster.

[79] უფრო დაწვრილებით იხ.: Fukuyama F. The and History and the Last Man. N. Y. 1997.

ნანსურ – ეკონომიკურ, საზოგადოებრივ – პოლიტიკური და კულტურული კავშირების ღია სისტემაში, რომელიც თავის მხრივ ეფუძნება უახლეს კომუნიკაციურ და ინფორმაციულ ტექნოლოგიებს.

მეცნიერთა უმრავლესობა თვლის, რომ გლობალიზაცია ობიექტური პროცესია, რომელიც შეამზადა წინა განვითარების ეტაპმა და ამჟამად შევიდა ხარისხობრივად ახალ ფაზაში. წამყვანი ამერიკელი ექსპერტები გლობალიზაციას აიგივებენ მძლავრ და პრაქტიკულად შეუჩერებელ ინფორმაციულ დინებებთან, კაპიტალთან, საქონელთან, მომსახურებასთან, ასევე არასამთავრობო სექტორის მომრავლებასთან და მათ გაძლიერებასთან.

გლობალიზებულ მსოფლიოში მთელი პლანეტა წარმოდგენილი იქნება როგორც ერთიანი საზოგადოება და ერთიანი კულტურა, რომლებიც იქნებიან არა პარმონიულად ინტეგრირებულნი, არამედ ექნებათ დიფერენციაციის მაღალი დონისაკენ სწრაფვა, რაც ნიშნავს მრავალპორალურობასა და ქაოსს. ყველა შემთხვევაში, მნიშვნელოვანია ის, რომ ტერიტორიული პრინციპს აღარ ექნება მთავარი როლი სოციალურ და კულტურულ ცხოვრებაში. ეს იქნება საზოგადოება საზღვრებს გარეშე, შესაბამისად გლობალიზაცია განიმარტება როგორც სოციალური პროცესი, რომლის დროსაც მცირდება სოციალური და კულტურული განვითარების დამოკიდებულება გეოგრაფიულ ფაქტორზე.

ჯ. როზენაუს[80] აზრით, პოსტინტერნაციონალური პოლიტიკის საუკუნეში ნაციონალურ – სახელმწიფოებრივი ორგანოები იძულებულნი გახდებიან გაინაწილონ გლობალური არენა და ხელისუფლება ინტერნაციონალურ ორგანიზაციებთან, არასამთავრობო სტრუქტურის ჩათვლით. ეს ავტორი თვლის, რომ გლობალიზაციამ მოახდინა გლობალური მაკროსტრუ-

[80] უფრო დაწვრილებით იხ.: Rosenau J. Along the Domestic – Foreign Frontier. Cambridge, Cambridge University Pre 1997.

ქტურების ბიფურკაცია (ორად გაყოფა), რის შედეგადაც ჩამოყალიბდა: ა) „სახელმწიფო – ცენტრისტული მსოფლიო" და ბ) „პოლიცენტრისტული მსოფლიო". პირველი გულისხმობს ურთიერთობებს ქვეყნებსა და რეგიონებს შორის, ხოლო მეორე ურთიერთობებს ტრანსნაციონალურ აქტორთა შორის.

ჯ. როზენაუ ერთმანეთისაგან განასხვავებს ცნებებს „გლობალიზაცია", "გლობალიზმი" და „რთული ურთიერთდამოკიდებულება". პირველში იგი მოიაზრებს სპეციფიკურ შინაარსს, ურთიერთქმედების ნებისმიერ ერთობლიობას, რომელსაც გააჩნია გავრცელების შეუზღუდავი პოტენციალი, აქვს უნარი თავისუფლად გადალახოს ეროვნული იურისდიქცია და მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში გაელენა მოახდინოს ნებისმიერ სოციალურ ერთობაზე. გლობალიზებული მსოფლიო ეს არის „ტრანსნსციონალური დინებები", სადაც მოქმედებენ ისეთი ტრანსნაციონალური ორგანიზაციები, როგორიცაა მულტინაციონალური კონცერნები, მსოფლიო ბანკი, ნატო, ევროკავშირი და სხვა. საერთოდ ჯ. როზენაუ მსოფლიო ბაზრის მიერ მართული ეკონომიკური სისტემის ცენტრში აყენებს პოლიცენტრისტულ მსოფლიო პოლიტიკას, სადაც პოლიტიკური "დღის წესრიგს" განსაზღვრავენ ტრანსნაციონალური პრობლემები და მოვლენები და იმავდროულად პრიორიტეტს ანიჭებს გლობალიზაციის ტექნოლოგიურ განზომილებას – ინფორმაციულ და კომუნიკაციურ ტექნოლოგიებს.

რ. გილპინის[81] აზრით კი გლობალიზაცია აღმოცენდება მხოლოდ განსაზღვრულ პირობებში და წარმოადგენს გლობალური წესრიგის პროდუქტს, ანუ სახელმწიფოებს შორის ისეთი წესრიგისა, რომელიც საშუალებას იძლევა შექმნას, განავითაროს და ხელი შეუწყოს ურთიერთკავშირისა და ურთიერთდამოკიდებულების ქსელს ეროვნული სახელმწიფოების ფარგლებს გარეთ.

---

[81] უფრო დაწვრილებით იხ.: Век У. что такое глобализация. пер. с немецкого. прогресс.Традицияю М. 2001.

ამ შემთხვევაში, უნდა დავეთანხმოთ უ. ბეკს, რომ გლობალიზაცია რ. გიპლინის კონტექსტში წარმოადგენს ტრანსნაციონალური სივრცეებისა და ორგანიზაციების ექსპანსიას და დამოკიდებულია ეროვნული სახელმწიფოს ავტორიტეტზე, უფრო ზუსტად კი ჰეგემონალურ ხელისუფლებაზე. განასხვავებს რა ტერმინებს „გლობალურობა", „გლობალური საზოგადოება", „გლობალიზაცია", „გლობალიზმი" უ. ბეკი მიუთითებს, რომ პირველი მათგანი ასახავს გარემოებას, რომ ყველაფერი რაც ხდება ჩვენს პლანეტაზე, არ დაიყვანება ლოკალურ შეზღუდულ მოვლენამდე, რომ ყველა გამოგონება, გამარჯვება და კატასტროფები ეხება მთელ მსოფლიოს და რომ ჩვენ, ჩვენი ცხოვრება, ჩვენი მოქმედებები, ჩვენი ორგანიზაციები და ინსტიტუტები უნდა დაეუქვემდებაროთ რეორიენტაციასა და რეორგანიზაციას "ლოკალურ-გლობალური" ღერძის შესაბამისად. გლობალური საზოგადოება კი მისი აზრით ესაა საზოგადოება, რომელიც აღმოცენდება გლობალურ საფრთხეებთან ბრძოლის პროცესში. რაც შეეხება გლობალიზაციას, ეს არის დიალექტიკური პროცესი, რომელიც ქმნის ტრანსნაციონალურ სოციალურ კავშირებსა და სივრცეს, აუფასურებს ლოკალურ კულტურებს და ხელს უწყობს ე.წ. მესამე კულტურების აღმოცენებას. ამასთან მსოფლიო საზოგადოებას იგი განიხილავს როგორც მეგანაციონალურ საზოგადოებას, რომელიც კი არ შთანთქავს ყველა ეროვნულ საზოგადოებას, არამედ ხასიათდება მრავალფეროვნებით და არ ექვემდებარება ინტეგრაციას მსოფლიოს ჰორიზონტში, რომელიც იხსნება მაშინ, როცა ის იქმნება და ნარჩუნდება კომუნიკაციებსა და მოქმედებებში.

ამდენად, გლობალიზაციაში უ. ბეკი გულისხმობს საზოგადოების არსებობას მსოფლიო მთავრობისა და მსოფლიო სახელმწიფოს გარეშე და გვთავაზობს „გლობალურობიდან" განვასხვაოთ „გლობალიზმი", რომელიც როგორც უკვე აღვნიშნეთ

არის მსოფლიო ბაზრის ბატონობის იდეოლოგია, დაფუძნებული ნეოლიბერალიზმზე.

ფრანგულენოვან ლიტერატურაში „გლობალიზაციასთან" ახლოს მდგარი ტერმინია „მონდეალიზაცია" (monde – მსოფლიო). პოლიტოლოგების ზოგიერთი წარმომადგენელი ამ ტერმინებს სხვადასხვა დანიშნულებით იყენებს. ისინი თელიან რომ „გლობალიზაცია" „მონდეალიზაციის" ანგლოსაქსური ვერსიაა. ზოგიერთი მეცნიერი კი თელის, რომ გლობალიზაციის ცნება ასახავს მსოფლიო განვითარებაში არსებული ცვლილებების ეკონომიკურ დომინანტს, მაშინ როცა „მონდეალიზაცია" უფრო მეტად ორიენტირებულია მოხმარების, დასვენების, კულტურის, ადამიანთა სოციალური ცხოვრების სფეროების ერთგვაროვნებაზე ანუ უნიფიკაციაზე. თუმცა, მიგვაჩნია, რომ ტერმინი „გლობალიზაცია" უფრო სრულყოფილად და ადეკვატურად გადმოგვცემს მიმდინარე ცვლილებების არსს, ვიდრე "მონდეალიზმი".

დ. კოლიარი[82] ასახელებს სუთ ფუნდამენტალურ კონცეპტს, რომლებიც ახასიათებენ იმ ცვლილებების მასშტაბებს, რომელსაც განიცდის თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობები: „დამოუკიდებლობა", „ურთიერთდამოკიდებულება", „ტრანსნაციონალიზმი", „მონდეალიზაცია", და „გლობალიზაცია". „გლობალიზაციის" შინაარსი შეიძლება დაეახასიათოთ წინა ოთხთან შეპირაპირებაში. მოკლედ განვიხილოთ ეს ცნებები:

„დამოუკიდებლობა" ემთხვევა სუვერენიტეტის ცნებას. ეს უკანასკნელი კი არის პოლიტიკურ გადაწყვეტილებებში თავისუფლება და დამოუკიდებლობის გამოხატულება. სწორედ გლობალიზაციის შედეგია, რომ XX ს. ბოლოსა და XXI ს. დასაწყისში მსოფლიოს არც ერთი სახელმწიფო უკვე აღარ ფლობს რეალურ სუვერენიტეტს ან დამოუკიდებლობას.

---

[82] ციტ. Уиганков П. А. Теория международных отношении М. 2002.

„ურთიერთდამოკიდებულება" წარმოადგენს ერთმანეთზე დამოკიდებულების შეთანაწყობას, იგი მოიცავს მრავალ ფორმას (გეოპოლიტიკური, დიპლომატიური, გეოსტრატეგიული, გეოეკონომიკური, გეოკულტურული) და აიძულებს სახელმწიფოებს ითანამშრომლონ ამ ურთიერთ დამოკიდებულებათა ერთობლიობის მართვის მიზნით. რაც უფრო დიდია სახელმწიფოთა "ურთიერთდამოკიდებულებები" ერთმანეთზე, მით უფრო მაღალია საერთაშორისო ურთიერთობების ინტერნაციონალიზაციის ხარისხი, რომელიც შეიძლება გამოხატული იყოს ან "რეგიონალიზაციის" ან "მონდეალიზაციის" ფორმით.

„ტრანსნაციონალიზმი" ახლოს დგას მაგრამ ნიუანსებში განსხვავდება წინა ორი ცნებისაგან. თუ "ურთიერთდამოკიდებულებაში" სახელმწიფო აკონტროლებს კავშირებს და სიერცეს, ტრანსნაციონალური ფენომენი გადალახავს მრავალი სახელმწიფოს საზღვარს და თავს ინთავისუფლებს მისი კონტროლიდან ან არ „თანხმდება" სუვერენიტეტის ცნებასთან.

„მონდეალიზაცია" ეს არის იმ მოვლენის შედეგი, რომელიც აიხსნება წინა ორი ცნებით ("ურთიერთდამოკიდებულება" და "ტრანსნაციონალიზმი"). საერთაშორისო ურთიერთობები უკვე აღარაა გაიგივებული სახელმწიფოთაშორის სისტემასთან. პოლიტიკური, ეკონომიკური, ტექნოლოგიური, ეკოლოგიური ცვლილებების შედეგად იბადება ახალი მსოფლიო საზღვრებს გარეშე. მსოფლიო სისტემის მონდეალიზაცია გამოხატავს სახელმწიფოთა ურთიერთდამოკიდებულების ზრდას, ეროვნულ და ტრანსნაციონალურ სოლიდარობას.

„გლობალიზაცია" ზემოთ აღნიშნული ცნებების თანაფარდობაში წარმოადგენს "მონდეალიზაციის" უმაღლეს და შეიძლება ბოლო ფაზასაც.

ამდენად, ზემოთ აღნიშნული საშუალებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ გლობალიზაცია, მისი ძირითადი გამოვლენის ფორმები შეიძლება განვიხილოთ ფაქტორთა რამდენიმე ჯგუფის მეშვეობით. მათი ერთობლივი ურთიერთქმედება და ურთიერთ-

გაელენა შეადგენს კიდეც გლობალიზაციის პროცესის შინაარსს, რომელიც სერიოზული წინააღმდეგობებითა და გარკვეული შეზღუდვებით ხასიათდება.

ბოლო დროს მკვლევართა უმეტესობა აღნიშნავს, რომ გლობალიზაცია არის რთული პროცესი, რომელიც გაიგივებულია უნივერსალიზმთანაც და მის საწინააღმდეგო ტენდენციასთანაც. გლობალიზაციის საწინააღმდეგო ტენდენციაა ფრაგმენტაცია, ამ ცნების გეოეკონომიკურ არსში კი მოიაზრება:

• „რეგიონალიზმი"– შიდასახელმწიფოებრივი რეგიონების გაძლიერების პროცესი;

• „რეგიონალიზაცია" – გამყოფი ხაზის აღმოცენების პროცესი სახელმწიფოთა შორის, რომლებიც თავის პოზიციებს იმაგრებენ გლობალიზაციის კონტექსტში;

• „ავტონომიზაცია" – ადგილობრივი ეთნიკური, ეროვნული მიზიდულობის ცენტრების აღორძინების პროცესი ქვეყნის შიგნით;

• „ტრადიციონალიზმი" – რომელშიც მოიაზრება თანამედროვეობის აბსტრაქტული კონცეფციის უარყოფა. ობსკურანტიზმის (პროგრესისა და მეცნიერებისადმი მტრული დამოკიდებულება), ნაციონალიზმისა და მიეწყებული კულტურული ფეტიშების აღორძინების ინტერესებით;

• „პარტიკულარიზმი" – სამოქალაქო საზოგადოების ინტერესების შეცვლის პროცესი მოქალაქეთა კერძო ინტერესებით;

• „ლოკალიზაცია" – გულისხმობს ეთნიკური და ცივილიზაციური წარმონაქმნების კონსოლიდაციას, რომლებიც ატარებენ "კულტურული იზოლაციის" პოლიტიკას;

•„გლოკალიზაცია" – (ეს ტერმინი წარმოადგენს გლობალიზაციისა და ლოკალიზაციის პროცესების შეთანაწყობას. ბრუნეაში შემოიტანა იაპონური ტრანსნაციონალური კორპორაციის ხელმძღვანელმა აკიო მორიტამ გ.კ). ეს არის

ლოკალური კულტურების მოდერნიზაციის შეთანაწყობა ფორმირებად მულტიკულტურული ცივილიზაციის მიღწევებთან. ეს ტერმინი ნაკლებად ცნობილ ტერმინთა რიგს განეკუთვნება. „გლოკალიზაციის" განსხვავებულ ინტერპრეტაციას გვთავაზობს ზ. ბაუმანი. იგი თვლის, რომ „გლოკალიზაცია" ეს არის პროცესი, რომელიც ეფუძნება პრივილეგიებისა და დისკრიმინაციის გადანაწილებას, სიმდიდრესა და სიღარიბეს, ძალასა და უძლურებას, თავისუფლებასა და დამოკიდებულებას. ეს არის მსოფლიოს რესტრატიფიკაციის (დანაწევრების საწინააღმდეგო) პროცესი.

•„ფრაგმენტაცია" – ეს არის სხვადასხვა ტიპის საერთაშორისო საზოგადოებების ინტერესთა გახლეჩვა და შეჯახება, რასობრივი, ეროვნული და კულტურული, დიფერენციაციის მიზეზით. ნაციონალიზმის ზრდა კი იძენს ადგილობრივი ტრადიციების გლობალიზაციასთან ბრძოლის ფორმას. ეს ტერმინი ეკუთვნის ჯ. როზენაუს, რომელშიც იგი მოიაზრებს ეროვნულ სახელმწიფოთა კავშირებისა და ბლოკების გაძლიერებისა და ინტეგრაციის პროცესს, რომლებიც აყალიბებენ მსოფლიოს რთულ იერარქიულ სისტემას.

ბევრი მეცნიერი ვარაუდობს, რომ ეს პროცესები უბრალოდ გლობალიზაციის საწინააღმდეგო პროცესებია. "ფრაგმენტაცია" არა მარტო უპირისპირდება გლობალიზაციის ყოვლისმომცველ პროცესს, არამედ მიმდინარეობს მის პარალელურად, ამიტომ მისგან შედარებით დამოუკიდებელია. თანამედროვე გლობალიზაცია იმით იპყრობს ყურადღებას, რომ მისი დახმარებით ცდილობენ დაამტკიცონ ან ახალი საფრთხის არსებობა, ან იწინასწარმეტყველონ კაცობრიობის აყვავება და კეთილდღეობა.

იმის გამო, რომ მსოფლიო ეაჭრობა ძირითადად კონცენტრირებულია ევროპის, ჩრდილოეთი ამერიკისა და წყნაროკეანური არეალის რეგიონებს შიგნით, ბევრი მკვლევარი ერთმანეთისაგან განასხვავებს გლობალიზაციასა და ინტერნაციონალიზაციას. მაგალითად იგივე უ. ბეკის აზრით მსოფლიო

ეკონომიკაში და მის წარმატებულ რეგიონებში მიმდინარეობს არა გლობალიზაციის, არამედ ინტერნაციონალიზაციის პროცესი, რაც იმაში ვლინდება, რომ მსოფლიო ვაჭრობა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ძირითადად კონცენტრირდება ზემოთ აღნიშნული რეგიონების მაღალგანვითარებულ ქვეყნებში.

აღიარებენ რა თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე ცვლილებების მნიშვნელობას ნეორეალისტები გლობალიზაციას განიხილავენ როგორც მსოფლიოს ევოლუციური განვითარების პროცესს და არა როგორც მისი გარდაქმნის ხარისხობრივ ცვლილებას. ოპონენტებთან პოლემიკაში ისინი იცავენ იმ აზრს, რომ ტექნოლოგიური პროგრესის მოქმედების სფეროს გაფართოებით და ფინანსური ბაზების მოცულობის ზრდის გამო მაღალგანვითარებული ქვეყნების დამოკიდებულება საგარეო ეკონომიკურ პარტნიორებთან მიმართებაში არათუ იზრდება, არამედ მცირდება.

ყველაფერი ზემოთ თქმული საშუალებას იძლევა გარკვეული მოსაზრებები გამოვთქვათ იმ შეზღუდვებთან დაკავშირებით, რომელიც თან ახლავს გლობალიზაციის პროცესს:

გლობალიზაცია როგორც ასეთი არ არის პანაცეა. ამ პროცესის გაიგივება მსოფლიოს კეთილდღეობასთან და არც ისტორიის დასასრულთან არ შეიძლება. დიდი გულუბრყვილობაა ვიფიქროთ, რომ მოდის უსაზღვრებო მსოფლიო ეპოქა, სადაც სუფევს სრული თანასწორობა, მშვიდობა და თავისუფლება. ეს უფრო მეცნიერული ფანტაზიის სფეროა, ვიდრე მეცნიერული პროგნოზი ან წინასწარგანჭვრეტა[83];

• ჩვენ არ ვიზიარებთ იმ მეცნიერთა შეხედულებებს, რომლებიც ამტკიცებენ, რომ გლობალიზაცია არის ერთი წარმმართველი ძალის შედეგი. გლობალიზაციის მიჩნევა მარტო

---

[83] უფრო დაწვრილებით იხ.: ზ. დავითაშვილი ნაციონალიზმი და გლობალიზაცია. თბ. 2003.

კაპიტალიზმის ან ინდუსტრიული რევოლუციის პროდუქტად, ან უნივერსალური აზროვნების ძიებად, მართებული არაა. იგი ყველაფერი ამის ერთობლიობაა და სხვა ზემოთ აღნიშნული მოვლენების სინთეზური პროდუქტია;

• ასევე ვერ გავიზიარებთ იმ მეცნიერთა შეხედულებებს, რომლებიც გლობალიზაციას განიხილავენ როგორც კულტურულ ჰეგემონიზაციის ერთმნიშვნელოვან პროცესს, ეროვნული კულტურების გაქრობაზე საუბარი იმ დროს, როცა მსოფლიოში კულტურული პოლიფორნიზმის აფეთქების კონტურები იკვეთება, აშკარად გადაჭარბებულია;

• იმის მიუხედავად, რომ წარმოქმნილი გლობალური საფინანსო სისტემა არაა კონცენტრირებული ერთ რომელიმე ქვეყანაზე, ფინანსური გლობალიზაციის პირობებში გეოგრაფიული პარამეტრები მაინც შეინარჩუნებენ თავის მნიშვნელობას, ვინაიდან საქმე გვაქვს ახალი ზეტერიტორიული სივრცის ფორმირებასთან, რომელიც რეგიონალიზმისა და ფრაგმენტაციის არანაკლები მძლავრი ტენდენციების გავლენით კავშირში იქნება ძველ ტერიტორიასთან და მსოფლიო კარტოგრაფიის ახალ განზომილებას მიანიჭებს:

• იმის გამო, რომ გლობალიზაციის დივიდენდები არათანაბრადაა განაწილებული (და იგი სულ უფრო მეტად იზრდება), ამიტომ სახელმწიფოს ძირითადი გეოეკონომიკური ფუნქციდან გამომდინარე, ეროვნული სახელმწიფოს კედომის შესახებ მართებული მოსაზრებები ამ ეტაპზე მაინც ცოტა გადაჭარბებულია.

5.3 გლობალიზაციის არსის გეოეკონომიკური ასპექტი

გლობალიზაციის არსის უკეთ გარკვევისათვის განვიხილოთ სამი გეოეკონომიკური ასპექტი ა) ეკონომიკური ინტეგრაციის ხარისხის გაფართოება,რომელიც არ ცნობს სახელმწიფო საზღვრებს; ბ) იმ ბარიერების მოსპობა, რომლებიც აღმართული იყო საერთაშორისო ვაჭრობისა და ინვესტიციების გზაზე; გ)

საყოველთაო გლობალური ტენდენცია, რომელიც შეიმჩნევა საბაზრო და სახელმწიფო ინსტიტუტების დაახლოებაში. ლოგიკურად ეს სამი ასპექტი ერთმანეთთან დაკავშირებული ჩანს. სინამდვილეში მსოფლიო ვაჭრობის ინტეგრაცია მნიშვნელოვანწილად განპირობებულია იმ ბარიერების მოშლით, რომელიც ადრე არსებობდა, ეჭვს გარეშეა ის გარემოება, რომ გლობალიზაციამ ასობით მილიონ ადამიანს შეუქმნა შედარებით ცივილიზებულად და კომფორტულად ცხოვრების პირობები და მისცა ადრე მათთვის დახურული შესაძლებლობების გამოვლენის საშუალება, რაც მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯია კაცობრიობისათვის. ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ დავიცვათ ყველა ის მოქმედება, რომელიც შეინიშნება ვითომ გლობალიზაციის გამო. აქ საუბარი არაა იმაზე, რომ დავიცვათ ყველა მოქმედების სამართლიანობა ამა თუ იმ ქონების პრივატიზაციის პროცესში. ან ყველა შეთანხმება თავისუფალი ვაჭრობის შესახებ, ყველა მოქმედება და გადაწყვეტილებები, რომლებსაც იღებს საერთაშორისო სავალუტო ფონდი ან მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია. ვთვლით, რომ გლობალიზაციის პროცესის რეალიზაციის პირობებში ძალიან ბევრი რამაა გასაკრიტიკებელი. ამ პარაგრაფში საუბარია გლობალიზაციის პრინციპების გეოეკონომიკური ასპექტების დაცვაზე და არა იმაზე, როგორ რეალიზდება იგი. ის თუ როგორ რეალიზდება იგი შორსაა სრულყოფილებისაგან, როგორც ეს წინა თავებში დავინახეთ.

ბ. ლინდსი თელის, რომ გლობალიზაციის არსთან დაკავშირებით ორი ძირითადი გეოეკონომიკური შეცდომა მოსდით. პირველი შეცდომა იმაში მდგომარეობს, რომ „ბევრი თელის ვითომ გლობალიზაცია ახალი მოვლენაა და არაფერი მისი მსგავსი ადრე არ არსებულა. ამერიკაში ბევრი თავის თავს უსვამს კითხვას: რატომ მიმდინარეობს გლობალიზაციის პროცესი? რასთანაა იგი დაკავშირებული მიკროსქემების გამოგონებასთან, ინტერნეტის ჩვენს ცხოვრებაში შემოს-

ელასთან, საერთაშორისო კორპორაციების ძლიერების ზრდასთან, თუ კიდევ რაღაც სხვა მოვლენებთან, რომლებიც განაპირობებენ დღევანდელ სინამდვილეს"[84] ეს ავტორი არ მიიჩნევს, რომ გლობალიზაცია რაღაც ახალია. პირიქით იგი თელის, რომ ეს მოვლენა უკვე 150 წელს ითვლის. ეს ის მოვლენაა რომლის ჩარჩოებშიც ვითარდება მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების ეკონომიკა. გლობალიზაცია დაიწყო გაცილებით ადრე, ვიდრე შეიქმნებოდა მიკროსქემები ან ინტერნეტი. მანამდე ვიდრე აშშ გახდებოდა სუპერსახელმწიფო. ვაჭრობა არსებობდა ყოველთვის, მათ შორის საერთაშორისო ვაჭრობაც. მაგრამ ეს უკანასკნელი საკმაოდ ძვირი იყო იმასთან დაკავშირებით, რომ სხვადასხვა ტვირთის მიტანა ერთი ადგილიდან მეორეში დაკავშირებული იყო მაღალ დანახარჯებთან და ხშირად გარკვეულ საშიშროებასთანაც. (უსაფრთხოების კონტექსტი) თუმცა მას შემდეგ რაც სამრეწველო რევოლუცია მოხდა, ეს სისტემა რადიკალურად შეიცვალა. ახალი ხომალდების გამოჩენამ, რკინიგზის და საერთოდ სატრანსპორტო საშუალებების გაუმჯობესებამ, მნიშვნელოვნად შეამცირა სატრანსპორტო გადაზიდვების დანახარჯები. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ რომ გლობალური ეკონომიკა სათავეს იღებს დიდი ბრიტანეთის განვითარებისა და გაძლიერების პერიოდში, როცა იგი წარმოადგენდა ყველაზე მძლავრ ეკონომიკურ სახელმწიფოს, რომელიც ფართო საეჭრო ოპერაციებს აწარმოებდა ზღვისგადაღმა ქვეყნებთან. შემდგომ შრომის დანაწილების სისტემის მსოფლიო წესრიგში მონაწილეობას იღებდნენ სულ ახალი და ახალი ქვეყნები, მათ შორის აშშ და რუსეთი.

თუმცა პირველმა ეკონომიკურმა სუპერსახელმწიფომ დიდხანს ვერ იარსება. ეს იმპერია დაიშალა პირველ და მეორე

---

[84] უფრო დაწვრილებით იხ: Brink Lindsey. Against the Dead Hand: The Uncertain Struggle for Global capitalism. John Wiley, 2002.

მსოფლიო ომებს შორის პერიოდში. აღნიშნულს კი წინ უსწრებდა რიგი მოვლენები. უპირველეს ყოვლისა, პირველი მსოფლიო ომი, რომელიც საშინელი იყო და დაარღვია უკვე დამყარებული მრავალი ეკონომიკური კავშირი. ამ ომის პირველი შედეგი იყო რუსეთის სოციალისტური რევოლუცია, რითაც რუსეთი ამოვარდა მსოფლიო ვაჭრობის სისტემიდან და გახდა გეგმიური ეკონომიკის ქვეყანა. ამის შემდეგ ძალიან მალე განვითარდა დიდი ეკონომიკური დეპრესია, რომლის შემდგომ ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში, კერძოდ კი გერმანიასა და იტალიაში ხელისუფლებაში მოვიდნენ ფაშისტები. ისევე როგორც რუსეთის ბოლშევიკურ დიქტატურას, ფაშისტურ დიქტატურასაც არ სჯეროდა მსოფლიო გლობალური ეკონომიკის. მათ არ სჯეროდათ ბაზრის, მაგრამ სჯეროდათ, რომ ქვეყანას შეუძლია იყოს ეკონომიკურად თვითუზრუნველყოფილი საკუთარი, დაგეგმილი ეკონომიკის ხარჯზე. ისინი ასევე თელიდნენ, რომ თუ საკუთარი ტერიტორია არ აკმაყოფილებს მათი ეკონომიკის მოთხოვნებს, არ გააჩნიათ საკმარისი ნედლეული, მაშინ აუცილებელია თავისი ტერიტორიების გაფართოება დამატებით უცხო ქვეყნების ტერიტორიების დაპყრობით. ჯერ რუსეთმა დაიწყო თავისი ტერიტორიების გაფართოება, (კავკასია, შუა აზია, ბალტიისპირეთი, ფინეთი), ხოლო შემდგომ ნაცისტებმა დაიწყეს თავისი ტერიტორიების გაფართოება, უცხო ქვეყნებზე (ევროპა, სსრკ, ჩრდილოეთი აფრიკა და ა.შ.) თავდასხმის გზით. მეორეს მხრივ, პლანეტის აღმოსავლეთით მდებარე იაპონიამაც გადაწყვიტა შეექმნა კეთილდღეობის ეკონომიკური იმპერია აღმოსავლეთში.

ამ მოვლენების შედეგად, პირველი გლობალური ეკონომიკა მიიდა თავის დასასრულთან. მან განიცადა მარცხი იმ ქვეყნების მხრიდან, რომლებსაც არ სჯეროდათ ბაზრების, თავისუფალი ვაჭრობის, რომლებიც ქადაგებდნენ დიქტატისა და კოლექტივიზმის იდეებს. საბჭოთა კავშირისა და გერმანიის დიქტატურებმა მსოფლიო იმ მდგომარეობამდე მიიყვანა, როცა

მსოფლიო ეკონომიკის სივრცის შექმნა შეუძლებელი გახდა. შედეგად, სათავე დაედო მეორე მსოფლიო ომს, სადაც როგორც ცნობილია გერმანიამ და მასთან ერთად იაპონიამაც მარცხი განიცადეს.

მეორე მსოფლიო ომის შემდგომ ლიბერალურმა სახელმწიფოებმა დაიწყეს მსოფლიო ეკონომიკის აღდგენის პროცესი, სადაც ჩაერთვნენ დასავლეთ ევროპისა და ამერიკის (უპირატესად ჩრდილოეთი ამერიკის) ქვეყნები. ეს იყო საერთაშორისო ეკონომიკის შექმნის პროცესი. თუმცა ასეთი ეკონომიკა, მისი საერთაშორისო ხასიათის მიუხედავად, არ იყო გლობალური, ვინაიდან ამ დროისათვის დედამიწის მოსახლეობის უმეტესი ნაწილი ცხოვრობდა იმ ქვეყნებში, რომლებიც უარყოფდნენ თავისუფალი ბაზრისა და ვაჭრობის იდეებს. ამ დროს მსოფლიოში ჩამოყალიბდა ორი ცენტრი, რომლებიც უარყოფდნენ საბაზრო ეკონომიკის იდეებს. პირველი ასეთი ცენტრი იყო საბჭოთა კავშირი, ხოლო მეორე ცენტრად შეიძლება ჩავთვალოთ "მესამე სამყაროს" მიუმხრობელი ქვეყნები, რომელთა უმრავლესობას დამოუკიდებლობა მიღებული ჰქონდათ არცთუ დიდი ხნის წინ. ამ ხელახალ შექმნილ ქვეყნებში ეკონომიკის მოძრაობის ვექტორი საბჭოთა კავშირის ანალოგიური იყო. სწორედ საბჭოთა მოდელი გახდა მრავალი ასეთი ქვეყნისათვის მისაღები.

კოლექტივიზმზე დაფუძნებული ამ სისტემის მოშლის შემდგომ იწყება მსოფლიო ეკონომიკის აღორძინება. ამ პროცესში პირველი ნაბიჯი გადადგა ჩინეთმა, რაც მოხერხდა მაო ძე დუნის სიკვდილის შემდეგ, როცა ქვეყანაში დაიწყო ლიბერალური რეფორმები. ამის შემდგომ 1980-იანი დასაწყისში "მესამე სამყაროს" ქვეყნებში განვითარდა სერიოზული ეკონომიკური კრიზისი. ამ ქვეყანათა უმეტესობა ბანკროტი გახდა. იმისათვის, რომ როგორმე გამოსულიყვნენ შექმნილი ვითარებიდან ამ ქვეყნებმა დაიწყეს თავისი ბაზრების გახსნა და მიმართეს ისეთ ინსტრუმენტებს, როგორიცაა საერთაშორისო

კონკურენცია. რითაც ისინი გავიდნენ განვითარების ახალ ეტაპზე და გლობალიზაციის პროცესთან ერთად საფუძველი ჩაუყარეს გეოეკონომიკასაც.

ამის შემდგომ 1980 წლებში უკვე დაიშალა საბჭოთა ბლოკი (სოციალისტური სისტემის ბანაკი), ხოლო შემდგომ თვით საბჭოთა კავშირიც.

ამ პერიოდში გლობალიზაციის ძირითადი გეოეკონომიკური მიზანი იყო იმ რეჟიმების ნგრევა, რომლებიც ეწინააღმდეგებოდნენ მას და ისეთი პირობების შექმნა, რომ განვითარებულიყო ახალი გლობალური ეკონომიკა. სახელმწიფოს მოწყობის ყველა ალტერნატივა აპრობირებული იყო. ეს ეკონომიკური მოდელები არ აღმოჩნდნენ ქმედითუნარიანები და მიეიდნენ თავის ლოგიკურ დასასრულამდე. როცა ეს მოხდა, იმ ქვეყნების მთავრობები, სადაც ეს მოდელები აპრობაციას გადიოდნენ, იძულებულნი შეიქმნენ ეძებნათ რაღაც სხვა ალტერნატივები. ასეთი ალტერნეტივა კი გახდა თავისუფალ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა.

არსებობს, ჩვენის აზრით, მცდარი მოსაზრება, რომ გლობალიზაცია წარმოადგენს ნეოლიბერალური აზროვნების შედეგს, რომელიც პოპულარული გახდა სხვადასხვა ქვეყნების ხელმძღვანელთა შორის. უნდა ითქვას, რომ ყველა იმ ქვეყნის ლიდერები, რომლებმაც რადიკალურად შეცვალეს თავიანთი ქვეყნის კურსი (გეგმური ეკონომიკიდან თავისუფალ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლით), არსებითად სულაც არ იყვნენ ლიბერალები. ამის მაგალითი კი უამრავია, თუნდაც ჩინეთში დენ სიაო პინი. მტკიცე მარქსისტი, არგენტინაში ხ. პერონი, ინდოეთის ლიდერი ჯ. რაო წარმოადგენდა ინდოეთის ეროვნული კონგრესის პარტიას, რომელიც თავდაპირველად ეფუძნებოდა გეგმიურ ეკონომიკას, იგივე შეიძლება ითქვას ახალ ზელანდიაზე, სადაც რადიკალურად შეცვალეს მდგომარეობა სოციალისტური პარტიის წევრებმა, იგივე მოხდა ესპანეთში და ძალიან ბევრ ქვეყანაში. რუსეთში ე.წ.

„პერესტროიკა“, რომელიც ინიცირებული იქნა მ. გორბაჩოვის მიერ (რომელიც ასევე კომუნისტი იყო) სულაც არ ისახავდა მიზნად კომუნიზმის განადგურებას, იგი უბრალოდ ცდილობდა მიეცა მისთვის ადამიანური ხასიათი და ნიშნები.

როცა ვაცნობიერებთ, რომ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა ხდებოდა იმ ხალხის ხელმძღვანელობით რომლებიც სრულიადაც არ იყვნენ მისი მომხრეები, აღარაა გასაკვირი, რომ ეს პროცესი მიდის არათანმიმდევრულად, რთულად და სავსეა წინააღმდეგობებით. საიდანაც სათავეს იღებს გლობალიზაციის პროცესის გეოეკონომიკური გააზრებისადმი მეორე არასწორი მიდგომა.

ითვლება, რომ გლობალიზაცია წარმოადგენს რაღაც მძლავრ ძალას, რომელსაც შესწევს უნარი ზეგავლენა მოახდინოს სხვადასხვა ქვეყნების მთავრობებზე და აიძულოს ისინი იმოძრაონ ახალი მიმართულებით. სინამდვილეში, ამჟამად, გლობალიზაცია დგამს პირველ ნაბიჯებს. ჩვენ თვალყურს ვადევნებთ მხოლოდ მის საწყის ეტაპს, და ამ ეტაპზე იგი ძალიან ძნელად, არათანმიმდევრულად და ჩახლართულად ვითარდება. შეიძლება ითქვას, რომ დღეს ცენტრალიზებული ეკონომიკის აშენების უტოპიური გეგმა უკვე დისკრიდიტირებულია. თუმცა მისი “მკვდარი ხელის”, როგორც მას უწოდებს ბ. ლინდსი, აჩრდილი კვლავ გვეჯიდება. ამდენად, გლობალიზაცია დღეს წარმოადგენს წარსულის მკვდარი ხელის და ადამ სმიტის უხილავ ხელს შორის ბრძოლას. უნდა ითქვას, რომ მკვდარი ხელი ჯერჯერობით ისევ მხნედ გამოიყურება “მესამე სამყაროს” რიგ ქვეყნებში და ნაწილობრივ ყოფილ სოციალისტურ ქვეყნებში. როგორც ჩანს საბაზრო ეკონომიკის ფასეულობები ხშირად ეჯახება მუდმივად წარმოქმნილ წინააღმდეგობებს და აჩენს ისეთ ქიმერებს, როგორიცაა ეთქვათ „სუვერენული დემოკრატია”, “მმართველობითი დემოკრატია” და ა.შ. საერთოდ ასეთად განიხილება პროტექციონიზმი და რიგი სხვა წინააღმდეგობები, რომელზედაც წინა თავებში გვქონდა

საუბარი. აღნიშნულის საილუსტრაციოდ შეიძლება მოვიყვანოთ ასეთი ფაქტი: კერძოდ, როგორც ცნობილია სოციალიზმის ცენტრალური იდეაა ეკონომიკის ნაციონალიზაცია და წარმოების საშუალებებზე საზოგადოებრიეი საკუთრება. თუ ქვეყანაში ეკონომიკის სექტორის მნიშვნელოვანი ნაწილი ეკუთვნის სახელმწიფოს, მაშინ აშკარაა, რომ ეს სახელმწიფო წინ ვერ წასულა გლობალიზაციის გზაზე. ამჟამად 74 ქვეყანა, რომლის მოსახლეობა შეადგენს დედამიწის მოსახლეობის 53%, კვლავ ინარჩუნებს ცენტრალიზებულ ეკონომიკას, სადაც წარმოების საშუალებებზე სახელმწიფო საკუთრება არის დომინირებადი. ეს ქვეყნები სუსტი ეკონომიკური განვითარებით ხასიათდებიან, რომლისგანაც გამოსვლის პირველი ნაბიჯია პრივატიზაცია, რომელიც არც პანაცეაა და არც ყველა კითხვაზე პასუხი. თუმცა პლანეტის მოსახლეობის უმეტესობას ეს ნაბიჯიც კი არ გადაუდგამს, რაც მათ უღატაკეს მდგომარეობაში ამყოფებს. მეორე მაგალითად გამოდგება ფასებზე კონტროლი, რომელსაც ახორციელებს მთავრობა. შეიძლება ითქვას, რომ ზემოთ აღნიშნული წარმოადგენს ძირითად ინსტრუმენტს, რომელიც შეიძლება გამოიყენონ სახელმწიფო ორგანოებმა. ისინი თავისი კონტროლით ცვლიან იმ სიგნალებს, რომელსაც აგზავნიან ბაზრები ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებაში. მსოფლიო მოსახლეობის 45% ცხოვრობს ქვეყნებში, სადაც მიღებულია ფასებზე სახელმწიფო კონტროლი. ეს ორი მაგალითი (წარმოების საშუალებებზე საკუთრება და ფასებზე კონტროლი) წარმოადგენს იმის ინდიკატორს, რომ სახელმწიფოთა მთავრობები თავის თავზე ძალიან ბევრს იღებენ, როცა ენაცვლებიან საბაზრო მექანიზმებს. თუმცა ეს უკანასკნელი მხოლოდ ერთ-ერთი სცენარია იმასთაგან რომელთაც სახელმწიფოს ზიანის მოტანა მაშინაც შეუძლია თუ იგი არასაკმარის საქმიანობას ეწევა ამ მიმართებით. ასე ხდება ზოგიერთ ქვეყანაში, რომელიც ადრე მიეკუთვნებოდა სოციალისტურ ბანკს. ან განვითარებად

ქვეყნებს. ეს ქვეყნები და მათი მთავრობები ძალიან ცოტას აკეთებენ იმისათვის, რომ თავიანთ სახელმწიფოებში შექმნან ინსტიტუტები, რომლებიც ხელს შეუწყობენ საბაზრო ეკონომიკის განვითარებას. ამ უკანასკნელის მრავალი მაგალითი არსებობს. უპირველეს ყოვლისა კი ეს ეხება კორუფციას. კერძოდ, იმისათვის, რომ საბაზრო ეკონომიკამ წარმატებით იფუნქციონეროს და ამ ფუნქციონირების შედეგად გაუმჯობესდეს მოსახლეობის კეთილდღეობა, საჭიროა იგი მუშაობდეს კანონის ჩარჩოებში, რისთვისაც აუცილებელია ისეთი კანონების არსებობა, როგორიცაა კანონები საკუთრებაზე, მიწის საკუთრებაზე, ინტელექტუალურ და სხვა საკუთრებაზე. ასეთი კანონმდებლობების არარსებობის პირობებში საბაზრო ეკონომიკა სწორად ვერ იფუნქციონირებს. ამასთან საერთაშორისო გამჭვირვალეობის (Transparency International) ჯგუფის მონაცემებით მსოფლიო მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი კვლავ ცხოვრობს ქვეყნებში, სადაც კორუფციის გავრცელების მაღალი დონეა, რაც იმაზე მიუთითებს, რომ გლობალიზაციას მოუწევს ძალიან გრძელი გზის გავლა, რაზეც ჩვენ წინა პარაგრაფში გვქონდა საუბარი.

კიდევ ერთი გეოეკონომიკური ინდიკატორია ჩრდილოვანი ეკონომიკის წილი სახელმწიფოში. ყოფილი სოციალისტური და "მესამე სამყაროს" ქვეყნებში, მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი მუშაობს კანონის ფარგლებს გარეთ, ანუ ჩრდილოვან ეკონომიკაში. ეს იმიტომ ხდება, რომ ამ ქვეყნების საკანონმდებლო სისტემა არასაკმარისად არის განვითარებული იმისათვის, რომ საშუალება მისცეს კომპანიებს ჩამოაყალიბონ თავისი საქმიანობისათვის კანონიერი ბაზა. მაგალითად, ბრაზილიაში მოსახლეობის 40% დასაქმებულია ჩრდილოვან ეკონომიკაში, ბოლივიასა და პარაგვაიში ეს მაჩვენებელი 50% აღწევს, ხოლო ტაილანდსა და პარაგვაიში 70%, ინდოეთში კი იგი 90% აჭარბებს. ამ ქვეყნების მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი დასაქმებულია სოფლის მეურნეობაში, ისინი

ცხოვრობენ უბრალოდ იმისათვის რომ იარსებონ. გლეხების გარდა ამ სტატისტიკაში ხვდებიან, წვრილი მოვაჭრეები და ის ხალხიც რომლებიც რაღაცას ამზადებენ გასაყიდად ანუ ხელოსნები. იმ მთავრობათა ქვეყნები, სადაც ასეთი სიტუაციაა, არ ეწინააღმდეგებიან მას და არაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ იგი შეცვალონ, რამდენადაც ასეთი ეკონომიკა შესანიშნავ ასპარეზს ქმნის მექრთამეობის ზრდისათვის. უფრო მეტიც მაშინ ხშირად თვით არსებული საწარმოებიც კი ვერ ღებულობენ კანონიერ დაცვას სახელმწიფოს მხრიდან, როცა აღმოცენდება კონფლიქტი ამ საწარმოებს არ აქვთ საშუალება მიმართონ სასამართლოს და თუ მიმართავენ არარეფორმირებული (ან ცუდად რეფორმირებული) სასამართლოები ხშირად ექცევიან სახელმწიფო ჩინოვნიკების გავლენის ქვეშ. შესაბამისად უკანონო გადაწყვეტილებები გამოაქვთ. თუ სახელმწიფოები იწყებენ ასეთი ინსტიტუტების ან ორგანიზაციების დევნას, ისინი როგორც უკვე ვთქვით, დაუცველნი რჩებიან, შედეგადაც მათ არ შეუძლიათ ინვესტიციების მოზიდვა, რამდენადაც ისინი უკვე აღარ წარმოადგენენ კანონიერად მოქმედ საწარმოებს, რაც ერთის მხრივ საწარმოთა რიცხვს და მეორეს მხრივ, დარჩენილ საწარმოებს ძალიან ცუდ ფონს უქმნის კონკურენტუნარიანობის ამაღლებისათვის. აქ ჩნდება ერთი მნიშვნელოვანი გეოეკონომიკური ასპექტი, უფრო ზუსტად კი გეოეკონომიკური პრობლემა, კერძოდ, როგორ უნდა მოხდეს ასეთ სიტუაციაში ეკონომიკური საქმიანობა? ასეთ ვითარებაში საქმიანობა ხორციელდება მხოლოდ იმ ხალხთან რომელთაც ერთმანეთთან აკავშირებთ ნაცნობობა, ნათესაობა, მეზობლობა და ა.შ. სხვასთან საქმის დაჭერა (უცხო ხალხი, უცხო კომპანიები, ფირმები, ორგანიზაციები, და ა. შ.) უბრალოდ შეუძლებელია, რამდენადაც ამ ქვეყანებში არ არსებობს ამ ურთიერთობებისა და საქმიანობის დაცვისა და რეგულირების იურიდიული სისტემა, მაშინ როცა "ოქროს მილიარდის" ქვეყნებში

იურიდიული სისტემა იმ დონეზეა განვითარებული, რომ ერთმანეთისათვის სრულიად უცხო კომპანიები მუდმივად ახორციელებენ ურთიერთობებს. სწორედ გლობალიზაციის გეოეკონომიკური სეგმენტის დამსახურებაა ის, რომ დღეს შეიძლება ჩაფრინდე უცხო სახელმწიფოში (რომლის ენაზეც არ იცი არც ერთი სიტყვა), შეხვიდე მანქანების გაქირავების ფირმაში და პლასტიკური ბარათით მიიღო ავტომობილი. ეს ქვეყნები, მათი კომპანიები საერთოდ ეკონომიკური სუბიექტები იმდენად ენდობიან სისტემას, რომ დარწმუნებულები არიან, რომ მათ იგი არ უმუხთლებს. ასეთი ნდობა შეუძლებელია არსებობდეს ჩრდილოვანი ეკონომიკის პირობებში, სადაც ეკონომიკა თავის ტრადიციულ შინაარსს კარგავს. ქვეყნები მხოლოდ მაშინ მდიდრდებიან, როცა მიმდინარეობს ინვესტიციების, კაპიტალდაბანდებების პროცესი, ხოლო ინვესტიციების მოზიდვა ხდება მაშინ, როცა ერთმანეთისათვის უცნობი ადამიანები, კომპანიები, ფირმები და ა.შ. ენდობიან ერთმანეთს და შეუძლიათ განავითარონ ერთობლიეი ბიზნესი.

რა მოხდება მომავალში საითკენ წავა მსოფლიო? როგორც განვითარდება გლობალიზაციის პროცესი, წავა ის წინ თუ დაბრუნდება უკან, როგორც ეს მოხდა პირველი გლობალური ეკონომიკური სისტემის დროს, რომელიც არსებობდა მაგრამ ვერ გამოდგა სიცოცხლის უნარიანი. მეცნიერულ ლიტერატურაში მრავლადაა როგორც პესიმისტური ასევე ოპტიმისტური არგუმენტები. გეოეკონომიკის ასპექტში ჩვენთვის მისაღებია ოპტიმისტთა არგუმენტები. კერძოდ, ვთვლით, რომ ჯერ კიდევ დიდხანს საბაზრო ეკონომიკა შეინარჩუნებს მნიშვნელოვან უპირატესობას იმ "მკვდარ ხელთან" შედარებით, რომელზედაც ზემოთ ვისაუბრეთ. ეს უპირატესობა კი, ჩვენის აზრით, იმაში მდგომარეობს, რომ დღეს მსოფლიოში არსებობს ეკონომიკური აყვავების მხოლოდ ერთი სიცოცხლისუნარიანი იდეა და ეს არის საბაზრო ეკონომიკის მოდელი, რომელსაც გააჩნია მრავალი სხვადასხვა ვარიანტი, რომელზეც ქვემოთ

ვისაუბრებთ. მიუხედავად იმისა, რომ ეს მოდელი მრავალვარიანტულია, ამ ვარიანტებს შორის განსხვავება არცთუ დიდია. აქ მთავარია ის, რომ საბაზრო ეკონომიკის რაიმე კონტრმოდელი ამჟამად ბუნებაში არ არსებობს.

ადრე კოლექტივისტური მოდელი უპირისპირდებოდა თავისუფალი ბაზრის მოდელს. კოლექტივისტური მოდელი წინსელის რაღაც ალტერნატიულ მარშუტს წარმოადგენდა, თუმცა დღეს ეს მოდელი თითქმის აღარ არსებობს. ის ფაქტი, რომ მსოფლიო ეკონომიკურ სიერცეში დარჩა მხოლოდ ლიბერალური მოდელი, სრულებითაც არ ნიშნავს, რომ ყველა ქვეყანა მაშინვე აცნობიერებენ მის ფასეულობებს, სიმართლეს და მაშინვე მოახდენენ მის დანერგვასა და რეალიზაციას. რასაკვირველია ეს არ ხდება, სხვაგვარად მსოფლიოში ისეთი სიტუაცია არ იქნებოდა როგორც დღეს არის. თუმცა ყოველთვის, როცა ნებისმიერ ქვეყანაში მიმდინარეობს ეკონომიკური კრიზისი (უპირატესად იმ ქვეყნებში, რომლებიც ცუდად იმართებიან), აღმოცენდება რეფორმების გატარების აუცილებლობა. როგორც წესი, სწორედ ის ლიდერები, რომლებიც კრიზისულ სიტუაციაში პირდებიან რეფორმების გატარებას, ხშირად აღმოჩნდებიან ხოლმე გარიყულები. როცა ეს ლიდერები მოდიან ხელისუფლებაში, რასაკვირველია რეფორმებისათვის იყენებენ საბაზრო, ერთადერთ დარჩენილ თავისუფალი ეკონომიკის მოდელს.

თანამედროვე რეალობიდან გამომდინარე, ცალკეული რეგიონები (ქვეყანა-სისტემები), რაღაც პერიოდის განმავლობაში ალბათ გააგრძელებენ საწინააღმდეგო მიმართულებით მოძრაობას. დროის გარკვეულ მონაკვეთში შეიძლება მთელი მსოფლიო მოძრაობდეს უკან, მაგრამ საერთო მოძრაობის შეჩერება პრაქტიკულად შეუძლებელია. იმის მიუხედავად, რომ პროგრესი არ მიმდინარეობს თანაბრად, იმის მიუხედავად, რომ მრავალი რამ გლობალიზაციასთან დაკავშირებით გაურკვეველი და ურთიერთსაწინააღმდეგოა, საბოლოოდ ამ პროცესში

უხილავი ხელის გამარჯვება ეჭვს არ იწვევს, რაც მნიშვნელოვან წილად განპირობებულია გლობალიზაციის მამოძრავებელი გეოეკონომიკური ფაქტორებით.

5.4 გლობალიზაციის პროცესის მამოძრავებელი გეოეკონომიკური ფაქტორები.

დღეისათვის სამეცნიერო და საქმიან წრეებში ჯერ კიდევ არ ჩამოყალიბებულა ტერმინ „ეკონომიკის გლობალიზაციის" ერთიანი და მკაფიო განსაზღვრა. ეკონომიკის გლობალიზაციის ქვეშ უფრო ხშირად მოიაზრებენ საქონლის, ინვესტიციების, კრედიტების, ინფორმაციის დინებისა და ინტენსიობის ზრდას, ასევე ადამიანთა და იდეათა სულ უფრო მზარდ პროცესს.

ამ დინებათა სიჩქარე, ინტენსიობა და შეღწევადობა კი ეროვნულ ეკონომიკებს ურთიერთდამოკიდებულს ხდის. ეროვნული ეკონომიკის ელემენტები (ეროვნული მეწარმეები, მომხმარებლები, ფინანსური და სხვა ინსტიტუტები) პირდაპირ ინტეგრაციას ახდენენ გლობალურ ეკონომიკურ სივრცეში. შედეგად ეროვნული მეწარმეები სულ უფრო დაკავშირებული ხდებიან უცხოელ მომხმარებლებთან. შესაბამისად, ისინი იძულებულნი არიან გაუძლონ კონკურენციის პირობებს როგორც შიგა, ასევე უცხოურ ეკონომიკურ სუბიექტებთან დამოკიდებულებაზე. ამდენად, თუ ადრე საქმე გვქონდა ეროვნული ეკონომიკების ურთიერთქმედების რაოდენობრივი მაჩვენებლების ზრდასთან (საქონლის, კაპიტალის, ინვესტიციების დინებათა ფორმით), ამჟამად სახეზეა ამ ურთიერთქმედებათა ხარისხობრივი ცვლილებები. ამასთან დაკავშირებით მსოფლიო ეკონომიკაში, ერთმანეთისაგან განასხვავებენ ტერმინებს "ეკონომიკის ინტერნაციონალიზაცია" და "ეკონომიკის გლობალიზაცია". პირველ შემთხვევაში საქმე ეხება ეროვნული ეკონომიკების ურთიერთდამოკიდებულების ზრდას ინტეგრაციული პროცესების გაელენით, რომლის

დროსაც შენარჩუნებულია ეროვნული სახელმწიფოს წამყვანი როლი და ეროვნული ეკონომიკის ავტონომიურობის შედარებით მაღალი დონე. მეორე შემთხვევაში, კი გლობალიზაციის პროცესს მიეყავართ ეროვნული ეკონომიკების ისეთ ტრანსფორმაციამდე, რომ ისინი ხდებიან მსოფლიო ეკონომიკური სისტემის ნაწილი, ანუ გლობალიზებული ეკონომიკები, რომლებიც ქმნიან გლობალურ გეოეკონომიკურ სივრცეს, რაც ნიშნავს: ა) გლობალიზაციის ზეგავლენით ეროვნული ეკონომიკების გასვლას ეროვნულ – სახელმწიფოებრივი გაერთიანების (სახელმწიფო-სისტემის) ჩარჩოებიდან; ბ) კერძო ეკონომიკური პრობლემების გლობალურ დონემდე აყვანას, მხედველობაშია ის გარემოება, რომ ცალკეულ ქვეყნებში ეკონომიკური პროცესებისა და სიტუაციების განვითარება უკვე გავლენას ახდენს სხვა ქვეყნებზე და საერთოდ გლობალურ ეკონომიკურ სივრცეზეც კი; გ) დიდ აქტუალობას იძენს სხვადასხვა სახელმწიფოთა (ან სახელმწიფოთა გაერთიანებების) ეროვნული ეკონომიკური პოლიტიკის გლობალური კორდინაციის პრობლემა, როგორც გლობალური ეკონომიკის სტაბილურობის პირობა.

გეოეკონომიკურ ასპექტში გლობალიზაციის ადეკვატური გააზრება, ვფიქრობთ, უნდა ითვალისწინებდეს ამ ფენომენის შემდეგ ძირითად თავისებურებებს: ა) გლობალიზაცია არის პროცესი, რომელიც როგორც წინა პარაგრაფში აღვნიშნეთ, არის განვითარების საწყის ეტაპზე და ამდენად მისთვის პროცესისათვის ყველა თვისებაა დამახასიათებელი, კერძოდ, ის შეიძლება: 1. განვითარდეს არათანაბრად; 2. შეჩერდეს ან 3. შეწყდეს ხარისხობრივად ახალ დონეზე; ბ) ეს პროცესი ობიექტურია და გამომდინარეობს მსოფლიო ეკონომიკური სისტემის განვითარების ახალი ეტაპიდან; გ) გლობალიზაცია განიცდის რიგი სუბიექტური ძალების დიდ გავლენას, ეროვნული სახელმწიფოების, ქვეყანა – სისტემების, ტრანსნაციონალური კომპანიების და ბანკების, საერთაშორისო

სამთავრობო და არასამთავრობო ინსტიტუტების მხრიდან. დ) ფართოდაა გავრცელებული მოსაზრება, რომ გლობალიზაცია ხელსაყრელია მხოლოდ აშშ–სა და საერთოდ "ოქროს მილიარდის" ქვეყნებისათვის, ამიტომ ის ხშირად განიხილება როგორც "ამერიკანიზაცია" ან მსოფლიო ეკონომიკის "ვესტერნიზაცია".[85]

საერთოდ ეკონომიკის სფეროში გლობალიზაცია ყველაზე უფრო მკაფიოდ ვლინდება ფინანსების, ვაჭრობის, ინვესტიციებისა და წარმოების სფეროებში, რომელთა შესახებაც წარმოდგენა შეგვექმნა წინა თავებში. ზემოთ ჩამოთვლილ სფეროთაგან ფინანსური დინებებისა და ბაზრების გლობალიზაციას გააჩნია გაცილებით დიდი მასშტაბები. ბრეტონ-ვუდსის სისტემის გაუქმებამ (1972-1973 წწ.) დიდი ბიძგი მისცა სავალუტო ვაჭრობას, რომელიც გავრცელდა გიგანტური ტემპებით. მისი ყოველდღიური მოცულობა 15მლრდ. დოლარიდან 1973 წ. გაიზარდა 900 მლრდ. დოლარამდე 1992 წ. და გასული საუკუნის მიწურულისათვის მან 1,5 ტრილიონ დოლარს გადააჭარბა.[86]

რაც შეეხება პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს, იგი 1990-იან წლებში გახუთმაგდა და 1999წ. მიაღწია 865 მრლდ. დოლარს, ნაცვლად 182 მლრდ-ისა 1990 წ. ამ პერიოდში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ მიაღწია 4,8 ტრლნ. დოლარს. თუ გავითვალისწინებთ, იმ გარემოებას, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციები წარმოადგენს ტრანსნაციონალური კორპორაციების საერთაშორისო წარმოების საფუძველს, ინვესტიციების ზრდა პირდაპირაა დაკავშირებული წარმოების გლობალიზაციასთან.

---

[85] Fakuyama, Francia. the End of History and the Last Man. New-York: Free!Press, 1992.

[86] აქაც და შემდგომაც მონაცემები აღებულია: International Financial Statistic. December 1999.

არსებობს მოსაზრება, რომ გლობალიზაციის მთავარი გამოვლენაა არა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დინებების ზრდა, ან სავაჭრო გაცვლების გაფართოება, რომელთაც ახორციელებენ ტრანსნაციონალური კორპორაციები, არამედ მათ მიერ ბიზნესის წარმართვის უნიფიცირებული პრაქტიკისა და ბიზნესის წარმართვის სტანდარტების გაერცელება. ამ მოსაზრებაში ალბათ არის სიმართლის მარცვალი, ვინაიდან ამ პროცესს თან ახლავს ამერიკულ–ანგლოსაქსური კორპორაციული კულტურის, წარმოების მენეჯმენტის დასავლური პრინციპების, ასევე ვაჭრობის კანონებისა და ინტელექტუალური საკუთრების უფლების დასავლური (უფრო მეტად ანგლო–საქსური) მოდელების დამკვიდრება.

როგორც წინა პარაგრაფში აღვნიშნეთ ეკონომიკის გლობალიზაცია არ წარმოადგენს ახალ პროცესს "ოქროს მილიარდის"ქვეყნების ურთიერთობების კუთხით. ეს ქვეყნები უკანასკნელი ასწლეულის მანძილზე აფართოებდნენ თავიანთ ეკონომიკურ წარმომადგენლობებს მსოფლიოს თითქმის ყველა რეგიონში. თუმცა ეს პროცესი განსაკუთრებით მაღალი სიჩქარით განვითარდა, ბოლო 3 ათეული წლის მანძილზე, რაც დეტერმინირებული იქნა რიგი გლობალური და გეოეკონომიკური ფაქტორების მოქმედებით, რომელთა შორის აღსანიშნავია სამეცნიერო – ტექნოლოგიური პროცესი, ეკონომიკის ლიბერალიზაცია და პოლიტიკური სისტემების ცვლილებები ეროვნულ და ზეეროვნულ დონეებზე.

სამეცნიერო–ტექნოლოგიური პროგრესი გეოეკონომიკური სივრცის გლობალიზებას ახდენს სატრანსპორტო, კომუნიკაციური და ინფორმაციული ტექნოლოგიების მეშვეობით. ტრანსპორტის განვითარებამ გამოიწვია ტვირთებისა და მგზავრთა გადაყვანის სიჩქარის ზრდა და ღირებულების გაიაფება, რამაც თავის მხრივ, მნიშვნელოვნად შეამცირა ქვეყნებს შორის "ეკონომიკური" მანძილი. ყველაზე უფრო

შთამბეჭდავი ცვლილებები მოხდა ავიაგადაზიდვებში, რომელიც მიჩნეულია ტრანსპორტის ყველაზე უფრო სწრაფ და რენტაბელურ სატრანსპორტო საშუალებად. გაიაფდა საოკეანო და საზღვაო გადაზიდვებიც, სადაც ღირებულება 4–5 ჯერ გაიაფდა. შემცირებულია სახმელეთო გადაზიდვების ღირებულებაც, თუმცა შემცირების ტემპები აქ ნაკლებია ვიდრე ავიაგადაზიდვებში.

ტექნოლოგიურ პროგრესში წამყვანი როლი შეასრულა გეოინფორმაციული ტექნოლოგიების სწრაფი ტემპებით დანერგვამ და გავრცელებამ. გეოინფორმაციულ–კომუნიკაციური ტექნოლოგიების განვითარებამ თავის მხრივ მოახდინა ბგერის, მონაცემთა გადაცემის ღირებულების შემცირება. მონაცემთა ციფრული დამუშავების ტექნოლოგიებისა და კომუნიკაციის საშუალებათა კონვერგენციის (გამოთვლით ტექნიკასთან ერთად) დანერგვა საშუალებას იძლევა ინფორმაციის უზარმაზარი დინებების ტრანსპორტირება მოხდეს უმოკლეს ვადებში და დაბალი თვითღირებულებებით. ფართო გავრცელება ჰპოვა ინტერნეტმაც, რომლითაც უკვე ახალი ათასწლეულის დასაწყისისათვის სარგებლობდა 250 მლნ. ადამიანი. ამასთან, ეს ციფრი ძალიან სწრაფად იზრდება. ამ სფეროში მსოფლიოში ლიდერ ქვეყნებად მიჩნეულია: შვედეთი, ფინეთი, ნორვეგია, აშშ და კანადა[87]

ინფორმაციული ტექნოლოგიების დანერგვამ სერიოზული რევოლუციური ცვლილებები გამოიწვია ვაჭრობის სფეროში, ეს უპირველეს ყოვლისა ეხება ელექტრონულ კომერციას (e-commerce). E-commerce საშუალებას აძლევს დედამიწის ნებისმიერ წერტილში მყოფ სუბიექტებს ადვილად მოძებნონ სავაჭრო პარტნიორები, როგორც საცალო, ასევე საბითუმო ვაჭრობაში.

---

[87] უფრო დაწვრილებით იხ: Held D, Mc Grew A, Colblatt D, Perraton G.- Global Transformation. Cambridge. Polity Press, 1999, Удовик С. Л. Глобализация селилотические подходы. Киев, 2002.

ტელეკომუნიკაციების განვითარებამ უდიდესი ეფექტი მოახდინა საწარმოო სფეროს გლობალიზაციაზე. მაგალითად, კომუნიკაციური ტექნოლოგიების ფართოდ გავრცელებამ პრაქტიკულად შეცვალა სკანდინავიის ქვეყნების ტრადიციული ეკონომიკა და მოახდინა მათი ორიენტირება ინფორმაციული ტექნოლოგიების სფეროზე. ამჟამად შვედეთსა და ფინეთში განთავსებულია მობილური ტელეფონების მწარმოებელი ორი ყველაზე მსხვილი კომპანია – "Ericsson" –ი და "Nokia". ამ კომპანიების არსებობამ ამ ქვეყნებს საშუალება მისცა შესაბამისად მესამე ადგილი დაეკავებინათ გლობალიზებული

ქვეყნების ინდექსში[88] (ცხ. 5.4)

მსოფლიოს ყველაზე გლობალიზებული ქვეყნები

ცხრ. 5.4

გლობალიზებული ქვეყნების ინდექსი.			
1.	სინგაპური	11.	დანია
2.	ჰოლანდია	12.	აშშ
3.	შვედეთი	13.	იტალია
4.	შვეიცარია	14.	გერმანია
5.	ფინეთი	15.	პორტუგალია
6.	ირლანდია	16.	საფრანგეთი
7.	ავსტრია	17.	უნგრეთი
8.	დიდი ბრიტანეთი	18.	ესპანეთი
9.	ნორვეგია	19.	ისრაელი
10.	კანადა	20.	მალაიზია

[88] ეს ინდექსი დამუშავებული და შედგენილია მსხვილი კოსტალტინგური კომპანიის მიერ. ინდექსი განსაზღვრავს ცალკეული ქვეყნის გლობალიზირებულობის დონეს, რომლისთვისაც შერჩეულია ისეთი კრიტერიუმები, როგორიცაა პირადი კონტაქტების არსებული დონე, ინტერნეტის მოხმარება ერთ სულზე, ეკონომიკური ინტეგრაციის დონე საგარეო ვაჭრობით, პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისა და ფინანსური დინებების მოცულობა და ა.შ.

ფინანსური სფერო კომუნიკაციური და გამოთვლითი ტექნოლოგიების ზემოქმედებით გადაიქცა მსოფლიო სისტემად და მნიშვნელოვნად გააფართოვა დარგებისა და ცალკეული ფინანსური მომსახურების სპექტრი. ახალი ინფორმაციული და კომუნიკაციური ტექნოლოგიები საშუალებას იძლევა ერთდროული ოპერირება მოვახდინოთ მსოფლიოს ყველა ბირჟაზე რეალური დროის რეჟიმში.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ზრდამ, მასობრივი ზემოქმედების ტექნოლოგიების პროგრესთან ერთად ფაქტიურად ინფორმაციული რევოლუცია მოახდინა. საქმე ეხება იმ გარემოებას, რომ თანამედროვე ინფორმაციულმა ტექნოლოგიებმა მასობრივ ცნობიერებაზე ზემოქმედება პირველად გახადეს მომგებიანი კომერციული თვალსაზრისით, რომლის ყველაზე უფრო ნათელი გამოვლინებაა მარკეტინგის მსოფლიო ბუმი, ასევე რეკლამა და „public relations". მასობრივი ცნობიერების გარდაქმნის სხვა საშუალებებს მიეკუთვნება მასობრივი კულტურის ისეთი ელემენტებიც, როგორიცაა კინო, მუსიკა და ტელევიზია.

გლობალიზაციის მამოძრავებელი მეორე გლობალური გეოეკონომიკური ფაქტორი – ეკონომიკის ლიბერალიზაცია გამომდინარეობს ეკონომიკური ლიბერალიზმის საერთო იდეოლოგიიდან და პრაქტიკიდან, რომელმაც თავისი ეფექტურობა აჩვენა ჯერ დასავლეთის ქვეყნებს, ხოლო მოგვიანებით კი უკვე ახალ ინდუსტრიულ ქვეყნებს. ბაზრის ლიბერალიზაცია, როგორც ცნობილია, ჩადებულია თვით საბაზრო ეკონომიკის არსში. მისი განვითარება მიმდინარეობს ბაზრის ევოლუციის პარალელურად. ლიბერალიზაციის თანამედროვე ფორმა – საგარეო ეკონომიკური ლიბერალიზაცია ძლიერდება განვითარებული ქვეყნების საბაზრო სისტემის სიმწიფის ეტაპზე. ეს ეტაპი ხასიათდება ეკონომიკური კონკურენციის მაღალი ინტენსიობით, საბაზრო და სოციალური ინფრასტრუქტურის ინსტიტუტების განვითარებით, ინდუსტრიალიზაციის მაღალი ხარისხით, სახელმწიფო სექტორის წილის შემცირებით.

ქვეყნებს შორის არსებული დისპროპორციები სოციალურ–ეკონომიკური განვითარების დონეებში ერთის მხრივ, და მეორეს მხრივ, მათში საბაზრო სისტემის განვითარების დონე, მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მათ მზადყოფნას საგარეო ლიბერალიზაციისათვის და სახელმწიფოს გაელენის შემცირებას ეკონომიკურ პროცესებზე. ამასთან ლიბერალიზაციის პოლიტიკას მიეყავართ ეროვნული ბარიერების მოშლამდე, იმ მიზნით, რომ ქვეყანა უფრო მეტად იყოს ღია მსოფლიო ბაზარზე ინტეგრაციისათვის. ბარიერები კი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, უპირველეს ყოვლისა, ისეთ სფეროებში იხსნება, როგორიცაა ფინანსები და ფინანსური დინებები, ვაჭრობა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, მაგალითად, ომის შემდგომ პერიოდში საეაჭრო ბარიერების დონე "ოქროს მილიარდის" ქვეყნებში თითქმის 90%-ით შემცირდა. ეს მოიცავს ტარიფების ლიკვიდაციას ისეთ რეგიონულ ეკონომიკურ წარმონაქმებში, როგორიცაა ევროკავშირი. ჩრდილოეთი ამერიკის თავისუფალი ვაჭრობის ზონა (HAFTA) და ა.შ. "ოქროს მილიარდის" ქვეყნებში საეაჭრო ბარიერების ძირითადი მასა მოდის ისეთ დარგებზე, როგორიცაა სოფლის მეურნეობა, საფეიქრო და ზოგიერთი სამრეწველო საქონელი. განვითარებად და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში საეაჭრო ბარიერების საერთო დონე ძალიან მაღალი რჩება. თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ განვითარებად და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებზე მოდის მსოფლიო ვაჭრობის მეხუთედი ნაწილი, ალბათ გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ ვაჭრობის ლიბერალიზაციისათვის გატარებული აქტიური პოლიტიკის შედეგად, გასული საუკუნის მეორე ნახევარში, საეაჭრო ბარიერები თითქმის 80%-მდეა შემცირებული მსოფლიო მასშტაბით.

ფინანსური სისტემის გლობალიზაცია უკავშირდება ფინანსურ ლიბერალიზაციას, რომელიც გამოიხატება ოქროს სავალუტო სტანდარტზე უარის თქმასა და ეროვნული ვალუტების კურსის მკაცრ ფიქსაციაში. "მცურავი სავალუტო კურსის" შე-

მოღებამ რადიკალურად შეცვალა საერთაშორისო ფინანსური სისტემის ფუნქციონირება. კერძოდ, როგორც ზემოთ დაეინახეთ დაიწყო ახალი–კაპიტალის თავისუფალი მოძრაობის ერა.

სახელმწიფოთა საინვესტიციო რეჟიმების ლიბერალიზაციის ნამდვილი ბუმი დაიწყო გასული საუკუნის 80-იანი წლების მეორე ნახევრიდან, როცა გააქტიურდა უცხოელი ინვესტორების მონაწილეობა პრივატიზაციის პროცესში, მოხდა გადასახადების შემცირება, უცხოური კაპიტალის წილობრივ მონაწილეობაზე მოიხსნა შეზღუდვები, განხორციელდა კაპიტალის რეპატრიაცია და ა.შ. ამ მხრივ შთამბეჭდავია ის ფაქტი, რომ თვით კრიზისულ 1998 წელსაც კი დაფიქსირებული იქნა 145 საინვესტიციო რეჟიმების რეგულატორული ცვლილება მსოფლიოს 60 ქვეყანაში. სულ 1990-იან წლებში იმ ზომებმა, რომელიც მიმართული იყო საინვესტიციო კლიმატის გაუმჯობესებისაკენ, შეადგინა 90%-ზე მეტი ყველა იმ რეგულატორულ ცვლილებებში, რომელიც განხორციელდა მსოფლიო ქვეყნების ინვესტიციურ რეჟიმებში.

გეოეკონომიკური სივრცეები ეროვნულ დონეზე ივსებოდა და ძლიერდებოდა ორმხრივი და მრავალმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულებების გაფორმებით. ორმხრივ დონეზე საინვესტიციო შეთანხმების ქსელი მნიშვნელოვნად ფართოვდებოდა და გასული საუკუნის ბოლოსათვის მან 1726 ერთეულს მიაღწია, რომელშიც 174 სახელმწიფო მონაწილეობდა.

გლობალიზაციის მესამე გლობალური გეოეკონომიკური მამოძრავებელი ფაქტორია ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე პოლიტიკური სისტემების ტრანსფორმაცია, რომელიც ერთის მხრივ, გამოიხატება პოლიტიკური სისტემის დემოკრატიზაციაში (განვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნების უმეტეს ნაწილში). აღნიშნული ტრანსფორმაცია ეფუძნება ადამიანის უფლებებს, სტაბილურობას, საერთო გამჭვირვალეობის პრინციპსა და კონკურენციის ლიბერალურ ფორმას. მეორეს მხრივ, მსოფლიოში გეოპოლიტიკური სიტუაციის ცვლილებას, რაც გა-

მოიხატა ცივი ომის დამთავრებასა და გლობალური დაპირისპირების (იდეოლოგიური, სამხედრო) შერბილებაში, ასევე პოლიტიკური პროცესის განვითარებასა და პოლიტიკურ ინტეგრაციაში (მათ შორის ქვეყნების, ქვეყანა–სისტემების და რეგიონების დონეზე). მესამეს მხრივ, გლობალიზაციამ სერიოზული ბიძგი მისცა მსოფლიოს ერთპოლარულობისაკენ მისწრაფების ტენდენციას[89]. აღნიშნულის გამო ვითარდებიან ისეთი მოდელები, როგორიცაა შეზღუდული ეროვნული სუვერენიტეტი, მსოფლიოს ერთიანი სამართლებრივი სივრცე და გეოეკონომიკური მართვის მსოფლიო ინსტიტუტების შექმნა.

5.5 გლობალიზაციის პროცესის ძირითადი გეოეკონომიკური შედეგები

გლობალიზაციის არსის გაგება და მასზე ადეკვატური რეაგირება მოითხოვს ამ ეტაპზე მისი განვითარების უკვე არსებული შედეგების განსაზღვრას, რომელიც ჩვენის აზრით შემდეგ გეოეკონომიკურ პარამეტრებში გამოიხატა. (ცხრ. 5.5)

გლობალიზაციის შედეგად მსოფლიო ეკონომიკური სისტემა, რომელიც ურთიერთდამოკიდებული ქვეყნების ერთგვარ ნაკრებს წარმოადგენს, გარდაიქმნა ერთიან გლობალურ ბაზრად, რომელშიც საბაზრო მექანიზმების მოქმედება უზრუნველყოფს ამ ბაზრის დინამიურ და მობილურ ფუნქციონირებას. შეიძლება გამოვყოთ მსოფლიო დინამიზმის შემადგენელი სამი მნიშვნელოვანი კომპონენტი:


1. „ნოუ–ჰაუს", ტექნოლოგიების, მომსახურების, საქონლის, ინვესტიციების, ფინანსების გაცილებით თავისუფალი და დინამიური გადინებების გამჭვირვალობას იქამდე მიეყავართ, რომ მსოფლიო წარმოება ინაცვლებს უშუალოდ გასაღების ბაზრებისა და წარმოების ფაქტორებისაკენ. პირდაპირი უცხოური ინ-

[89] უფრო დაწვრილებით იხ: Hantington S. The Glash of Civilizations Foreign Affairs. Vol. 72. №3, Summer. 1993.

ვესტიციების ზრდის შედეგად ჩქარდება ახალი საბადოების, სასარგებლი წიაღისეულის და იაფი მუშახელის გამოყენების პროცესი, ასევე ტრანსპორტირების ეკონომია, რომელიც გაცილებით იაფია მზა პროდუქციისათვის, ვიდრე ნედლეულისა და ნახევარფაბრიკატების ტრანსპორტირებისათვის. გარდა აღნიშნულისა კაპიტალი ინაცვლებს იმ ქვეყნებსა და დარგებში, რომლებიც ლიდერობენ შრომის ნაყოფიერების მაჩვენებლებით და იქ არსებული პირობების მიმზიდველობით.

გლობალიზაციის გავლენის ძირითადი გეოეკონომიკური შედეგები

ცხრ. 55



მსოფლიო ეკონომიკის დინამიზმს ხელს უწყობს ასევე ვაჭრობის პროგრესი. მასში განსაკუთრებულ როლს თამაშობს მომსახურების ვაჭრობის ზრდა, ფინანსების, იურიდიული, ინფორმაციული და ყველა "უხილავი" მომსახურების ჩათვლით. თუ 1970 წ. მომსახურების ექსპორტთან მიმართებაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციები 1/3 შეადგენდა ინვესტიციების საერთო მოცულობაში, ამჟამად ეს წილი 50%–ზე მეტია, ამასთან ინტელექტუალური კაპიტალი გახდა ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი საქონელი მსოფლიო ბაზარზე. აღნიშნულის გარდა მილიონობით ადამიანს ეძლევა საშუალება კარგი განათლება მიიღოს მსოფლიოს ნებისმიერ ნაწილში, იმ ქვეყნებში, რომლებიც ლიდერობენ კონკრეტულ დარგებსა და სფეროებში. საერთოდ, აღნიშნულს მიეყავართ ტექნოლოგიების გაერცელებასთან, მართვის გამოცდილებასთან, კორპორაციული კულტურის ჩამოყალიბებასთან, მენეჯმენტისა და მარკეტინგის სფეროებში ცოდნის ამაღლებასთან. შედეგად რიგმა ქვეყნებმა შეძლეს სერიოზული გარღვევა მოეხდინათ მაღალი ტექნოლოგიების განვითარებასა და მათ დანერგვაში, იმის მიუხედავად, რომ მათ ამისათვის არ გააჩნიათ შესაბამისი მეცნიერულ–ტექნოლოგიური, საწარმოო თუ ფინანსური ბაზები. მაგალითად იგივე ფინური Nokia მსოფლიოში ოავისი ზომებით მეთორმეტეა. მსოფლიოში (მისი საბაზრო ღირებულება 197 მლრდ. დოლარს შეადგენს). ეს კომპანია შეიქმნა ქვეყანაში, რომელსაც არ გააჩნდა რამდენადმე სერიოზული პოტენციალი ტელეკომუნიკაციების ტექნოლოგიების სფეროში, ამასთან განვითარდა იმ კომპანიის ბაზარზე, რომლის ძირითად საწარმოო პროფილს წარმოადგენდა ავტომობილის საბურავები. ამჟამად ამ კომპანიის კაპიტალიზაცია აჭარბებს მთლიანად ფინეთის ანალოგიურ მაჩვენებელს

2. კონკურენციასა და ბაზრის გაფართოებას მიეყავართ შრომის საერთაშორისო დანაწილებისა და სპეციალიზაციის გაღრმავებასთან, არა მხოლოდ ეროვნულ, არამედ გლობალურ

დონეზე. ქვეყნები თავისი კონკურენტუნარიანობის შესაბამისად სპეციალიზირდებიან პროდუქციის ცალკეულ სახეებზე და მათთან ერთად ცდილობენ გავიდნენ გლობალურ ბაზარზე. ამასთან მსოფლიო მომხმარებელი იღებს პროდუქციას, რომელიც წარმოებულია ყველაზე უფრო დაბალი თვითღირებულებებით. საერთო ჯამში ეკონომია წარმოების მაშტაბებზე, დანახარჯების შემცირება და ფასების დაწევა ხელს უწყობს ეკონომიკის ზრდას. წარმოების მასშტაბების ძირითადი ფორმა ხდება ე.წ. ტრანსნაციონალური შერწყმები, მაგალითად, ასეთმა შერწყმებმა გასული საუკუნის მიწურულს რეკორდულ მაჩვენებელს 720 მლრდ. დოლარს მიაღწია. სულ ბოლო 25 წლის განმავლობაში განხორციელდა 2400 ერთეული გარიგება.

აღნიშნული პროცესი განაპირობებს კონსოლიდაციას და ზედმეტი საწარმოო აქტივების აღმოფხვრას, მათ შორის იმ აქტივებისასაც, რომლებიც დაბალმწარმოებლურები არიან და დაგროვილია მსოფლიო ეკონომიკაში ჩაკეტილობისა და პროტექციონიზმის შედეგად. ეს მომენტი განსაკუთრებით კარგად გამოვლინდა ავტომობილების წარმოებაში, ნავთობისა და გაზის მრეწველობაში, სადაც ამჟამად ხდება უმსხვილესი ტრანსნაციონალური შერწყმები (მაგალითად, Texaco – Mobil, BPAmoco, Daimler – Crysler, Renault – Nissan-ი და ა.შ.)

3. მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაცია განაპირობებს შრომის მწარმოებლურობის, ზრდას მეცნიერულ – ტექნოლოგიური პროგრესის საფუძველზე. ერთის მხრივ, მიმდინარე ტრანსნაციონალური შერწყმები და ალიანსები, საშუალებას იძლევა მიღწეულ იქნას ფინანსური და შრომით რესურსების კონცენტრაციის აუცილებელი ხარისხი, იმისათვის, რომ განხორციელდეს მეცნიერულ ტექნიკური პროგრესი, ხოლო მეორეს მხრივ, წარმოების მასშტაბები საშუალებას იძლევა დაინერგოს მეცნიერულ–ტექნოლოგიური ინოვაციები სერიულ წარმოებაში. მეცნიერულ–ტექნოლოგიური პროგრესის, მოწინავე ტექნოლოგიების, ასევე ინოვაციების პერმანენტულად დან-

ერგვის სასარგებლოდ კონკურენციული დაწოლა ზრდის შრომის ნაყოფიერებას მსოფლიო მასშტაბით.

მრავალრიცხოვანი გამოკვლევებიდან ნათელი ხდება, რომ გლობალიზაცია მნიშვნელოვან გავლენას ახდენს გეოეკონომიკური განვითარების უთანაბრობაზე[90]. ყველაზე უფრო ზოგად ფორმებში ეს უთანაბრობა ვლინდება უპირველეს ყოვლისა იმაში რომ:

•გარკვეული სახით მიმდინარეობს "ოქროს მილიარდის" ქვეყნების მცირერიცხოვანი ჯგუფის მხრიდან ექსპანსია. ეს ის ქვეყნებია, რომლებიც სრულად მონაწილეობენ გლობალიზაციის პროცესში, რასაც უზრუნველყოფს ამ ქვეყნების კარგად განვითარებული საბაზრო მექანიზმები, მწარმოებელი ძალების კონკურენტუნარიანობა, მაღალკვალიფიციური შრომითი რესურსები და მძლავრი სამრეწველო და ტექნოლოგიური ბაზები. ტრანსნაციონალური კორპორაციების საქმიანობის მონაცემები მოწმობენ, რომ საერთაშორისო ბიზნესი თავმოყრილია "ტრიადის" ქვეყნებსა და რეგიონებში (აშშ, ევროკავშირი, იაპონია). არსებულ საერთაშორისო სისტემაში "ტრიადაზე" მოდიოდა უცხოური ინვესტიციების 73, გლობალური ვაჭრობის 76, მსოფლიოში ახლად რეგისტრირებული პატენტების დაახლოებით 88 და ინტერნეტის ქსელით მოსარგებლეთა 90%-ზე მეტი[91];

•მსოფლიო არენაზე გამოდიან რიგი ქვეყნები, რომელთაც შესწევთ უნარი ადაპტირება მოახდინონ გლობალიზაციისა და ლიბერალიზაციის პროცესებთან. ეს ქვეყნები სწრაფად აღწევდნენ ეკონომიკის ზრდას, მაგრამ გარკვეული. არასტაბილურობაც ახასიათებთ. როგორც წესი ეს ის ქვეყნებია, რომლებმაც მოახდინეს საკუთარი ეკონომიკის ინდუსტრიალიზაცია, დიდი

---

[90]. Шимай М. Глобализация как источник конкуренции, конфликтов и возможностей. Муждународний журн. "Проблемы теории и практики управления". №1 1999

[91] უფრო დაწვრილებით: გ. კვინიკაძე გლობალისტიკა და გლობალიზაცია. ახალციხე-თბილისი 2006წ. გვ. 79-91.

მოცულობის პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვა, გაანავითარეს ექსპორტზე ორიენტირებული წარმოება, შექმნეს მძლავრი სოციალური და სამრეწველო ბაზა და დაამკვიდრეს აუცილებელი საბაზრო ინსტიტუტები:

•იმ ქვეყნების უმეტესობა, რომლებმაც ვერ გამოავლინეს გლობალიზაციის პროცესში სრულყოფილად მონაწილეობის უნარი, განიცდიან მარგინალიზაციას. ეს ის ქვეყნებია, რომელთაც ვერ შეძლეს გადაეჭრათ რიგი მნიშვნელოვანი პრობლემები, რომლებიც ხელს უშლიდნენ გლობალიზაციის სარგებლის კაპიტალიზაციას.

მსოფლიო ეკონომიკის უთანაბრო განვითარების ძირითად მიზეზად შეიძლება მივიჩნიოთ სპეციალიზაციისა და შრომის საერთაშორისო დანაწილების არსებული სისტემა. "ოქროს მილიარდის" ქვეყნები ამჟამად გვეელინებიან უსაზღვრო მატერიალური რესურსების (მხედველობაშია ინფორმაციული, ტექნოლოგიური, მეცნიერებადტევადი პროდუქციისა და კაპიტალის რესურსები) ძირითად მიმწოდებლად მსოფლიო ბაზარზე, ხოლო განვითარებადი ქვეყნები კი წარმოადგენენ შეზღუდული მატერიალური რესურსების (ბუნებრივი, რესურსტევადი და ენერგიოტევადი პროდუქცია) მიმწოდებლებს. ამ ვითარებაში განვითარებული ქვეყნები ფლობენ სიმდიდრის გამრავლების სრულყოფილ მექანიზმებს, კერძოდ მათი რესურსების მოხმარების ზრდა მსოფლიო ბაზარზე ამ ქვეყნებში წარმოშობს ადამიანური კაპიტალისა და მწარმოებლურობის, ასევე მეცნიერებისა და ახალი ტექნოლოგიების (მხედველობაშია ნეო და ნანო ტექნოლოგიები) განვითარებისათვის ხელსაყრელ პირობებს.

განვითარებადი ქვეყნების ყველა მცდელობა დაეწიონ „ოქროს მილიარდის" ქვეყნებს ნახევარფაბრიკატებისა და სანედლეულო რესურსების ექსპორტის გზით, პრაქტიკულად განწირულია მარცხისათვის, ვინაიდან ამ ქვეყნების პროდუქცია „ოქროს მილიარდის" ქვეყნების პროდუქციასთან შედარებით

მუდმივად უფასურდება, რასაც გაეროს მონაცემებიც ადასტურებს. ამ მონაცემების მიხედვით კი 1980–1992წწ. გაუფასურებამ შეადგინა 52%, რითაც 15 საშუალო შემოსავლიანმა განვითარებულმა ქვეყანამ ერთად დაკარგა საშუალოდ 45 მილიარდი დოლარი.

ამდენად, გლობალიზაციის პროცესში ჩამოყალიბებული შრომის საერთაშორისო დანაწილების გეოეკონომიკური სტრუქტურა, როგორც ჩანს განვითარებადი ქვეყნების გარკვეული ნაწილის მიერ არაპერსპექტიულად არის მიჩნეული. იმ შემთხვევაში თუ კვლავ გაიზრდება (და ეს ალბათ ასეც იქნება) ენერგოდამზოგაეი, ბიო და სხვა ტექნოლოგიები, სიტუაცია ამ მხრივ კიდევ უფრო დამძიმდება. ვფიქრობთ, გლობალიზაცია არ წარმოადგენს განვითარებადი ქვეყნების გაკოტრების ან მათ გლობალიზებულ ეკონომიკის პერიფერიაზე არსებობის პირველ მიზეზს, უბრალოდ გლობალიზაციამ მხოლოდ გააშიშვლა და გაამწვავა ადრე კარგად შენიღბული პრობლემები, რომლებიც ამ ქვეყანებში არსებობდა. ამჟამად ამ ქვეყნების უმთავრესი გეოეკონომიკური პრობლემა იმაშია, რომ შრომის საერთაშორისო დანაწილებაში მათი ეკონომიკური სუბიექტები არაკონკურენტუნარიანები არიან „ოქროს მილიარდის" ქვეყნების კომპანიებთან და მით უფრო ტრანსნაციონალურ კომპანიებთან შედარებით.

გლობალიზაციის პირობებში იზრდება მსოფლიო ეკონომიკის არასტაბილურობა, რომლის ძირითად მიზეზებად შეიძლება მივიჩნიოთ შემდეგი ძირითადი ფაქტორები: 1. მსოფლიო ეკონომიკური განვითარების ციკლურობა და მსოფლიო საბაზრო სისტემის სტიქიური ხასიათი. ურთიერთდამოკიდებულების მაღალი ხარისხის პირობებში ზრდის შენელება, კრიზისები რომელიც შეიძლება განვითარდეს ერთ ქვეყანაში მეტნაკლებად ადვილად ვრცელდება სხვა ქვეყნებზეც და საერთოდ მსოფლიო ეკონომიკაზე (რაც დაადასტურა კიდეც აზიის ფინანსურმა კრიზისმა); 2. მსოფლიო ფინანსური სისტემის

არასტაბილურობა. ეს უკანასკნელი დღეისათვის ერთ–ერთი ყველაზე მწვავე პრობლემაა გეოეკონომიკაში. ამ სისტემას შეუძლია ერთ წუთში დაანგრიოს ის წარმატებები, რომლებიც ათეული წლების განმავლობაში მიიღწევა. ამის ახსნა კი შემდეგი გარემოებებით შეიძლება: ა) ისეთი პროცესი, როგორიცაა ახალი ტექნოლოგიების დანერგვა, ლიბერალიზაცია, ეკონომიკის რეალური მოთხოვნებიდან ფინანსური დინებების მოწყვეტა, ფინანსური ბაზრისათვის დამახასიათებელი სპეკულაციისაკენ მიდრეკილების ტენდენცია, მთელს ფინანსურ სისტემას აქცევს „კაზინოდ". ფინანსური ლიბერალიზაცია და საბანკო სფეროს დერეგულაცია გამოყოფენ ფინანსებს საერთაშორისო ვაჭრობიდან და ინვესტიციებიდან. სრულყოფისაგან ჯერ კიდევ შორს არის კაპიტალის ინვესტირების პროცესი საწარმოო სფეროში; ბ) მეტად უმნიშვნელოა "ოქროს მილიარდის" ქვეყნების მხრიდან განვითარებად ქვეყნებში განხორციელებული ინსტიტუციონალური ინვესტიციები (დიდი ბრიტანეთის საზღვარგარეთული ინვესტიციების 3–4%, აშშ, კონტინენტალური ევროპა და იაპონია 2%), არადა ამ ინვესტიციებს შეუძლიათ განსაზღვრონ განვითარებადი სამყაროს გეოეკონომიკური სიტუაცია; გ) გლობალიზაციის პირობებში მსოფლიო ფინანსური ცენტრები არა მხოლოდ კერძო ინვესტორების ქცევის განსაზღვრას იწყებენ, არამედ გაელენას ახდენენ სუვერენული სახელმწიფოების მთავრობათა გადაწყვეტილებების მოღებაზეც.

მთლიანობაში, ფინანსური სფეროს გლობალიზაცია აყალიბებს გადაწყვეტილებების მიღების ახალ გლობალურ მექანიზმს. გადაწყვეტილებას, რომელსაც იღებს მსოფლიო კოლექტიური ინვესტორი, განმსაზღვრელი მნიშვნელობა გააჩნია მრავალი ქვეყნის (განსაკუთრებით კი ღარიბი ქვეყნების) ეკონომიკური სიტუაციაზე. სახელმწიფოს მხრიდან ნებისმიერი ეკონომიკური გადაწყვეტილება, რომელიც ეროვნული ეკონომიკური ინტერესების დაცვისკენაა მიმართული, ბაზრისაგან თავის

დაცვის მიზნით, დაუყონებლივ იწვევს ვალუტის კურსის რყევას და კაპიტალის გადინებას ამა თუ იმ მოცულობით.

გლობალიზაციის გაელენით, დღეს აქტიურად მიმდინარეობს, გეოეკონომიკის სუბიექტთა როლის ცვლილებები, რომელიც ყველაზე უფრო ელინდება:

•სახელმწიფოს როლის ცვლილებაში. საერთოდ ცალკე აღებული სახელმწიფოს მნიშვნელობა, როგორ პოტენციალსაც არ უნდა ფლობდეს იგი მაინც მცირდება. ლიბერალიზაცია, უთიერთდამოკიდებულების ზრდა და მეცნიერულ– ტექნოლოგიური პროგრესი ზღუდავს სახელმწიფოს უნარს დამოუკიდებლად განსაზღვროს საკუთარი ეკონომიკური პოლიტიკა. "ოქროს მილიარდის" ქვეყნები ინარჩუნებენ შიდა ეკონომიკურ პროცესებზე, საერთაშორისო ორგანიზაციების პოლიტიკასა და ძირითად ეკონომიკურ პროცესებზე კონტროლის განხორციელების უნარს. განვითარებად ქვეყნებში სახელმწიფო მოწოდებულია, იმისათვის რომ მაკროდონეზე მოახდინოს საკუთარი დაბალკონკურენტუნარიანობის კომპენსაცია. ამასთან გლობალიზაციის პროცესი, ამცირებს ეკონომიკურ სუვერენიტეტს, და არც თუ იშვიათად განვითარებადი ქვეყნების ეროვნული ეკონომიკების კონკურენტუნარიანობას ეკონომიკის ცალკეულ დარგებში.

•საერთაშორისო ეკონომიკური ინსტიტუტების როლის გაძლიერებაში. ბრეტონ–ვუდსის ინსტიტუტებს–მსოფლიო ბანკს და საერთაშორისო სავალუტო ფონდს, დღეს დიდი გაელენა აქვთ განვითარებად ქვეყნებზე, რომელიც ნათლად ელინდება მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის (WTO) ჩარჩოებში მიმდინარე სავაჭრო ურთიერთობებში, სადაც არსებული შეთანხმებები მოითხოვენ ამ ქვეყნების კანონმდებლობისა და პოლიტიკის შესაბამისობაში მოყვანას საერთაშორისო სტანდარტებთან მიმართებაში. შეუსაბამობამ შეიძლება გამოიწვიოს სავაჭრო სანქციების დაწესება, რაც მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციას ამ ქვეყნებზე ზემოქმედების დიდ ბერკეტს აძლევს. ამდენად, ეროვნული ეკონომიკური პოლიტიკის უმრავლესობა ამჟამად ყალიბ-

დება იმ მოლაპარაკებების შედეგად, რომელიც მიმდინარეობს მსოფლიო ბანკის, საეალუტო ფონდისა და სავაჭრო ორგანიზაციის ჩარჩოებში. თუმცა ისიც ფაქტია, რომ ამ ინსტიტუტების საქმიანობაში დაგროვდა მრავალი წინააღმდეგობა. კერძოდ, ბრეტონ–ვუდსის სისტემის მოშლას თან არ ახლდა ინსტიტუციონალური სტრუქტურების შესაბამისი ტრანსფორმაციის პროცესი, რომელიც უზრუნველყოფდა მსოფლიო ფინანსური სისტემის სტაბილურ და დაბალანსებულ განვითარებას. ამჟამად საეალუტო ფონდი პრაქტიკულად აღარ იყენებს და იგნორირებას უკეთებს გლობალური ხასიათის წინადადებებს, მას შემდეგ რაც მისმა მცდელობამ, როგორმე გადაეჭრა აზიისა და რუსეთის ფინანსური პრობლემები, კრახი განიცადა.

•ეკონომიკური რესურსების კონცენტრაციასა და ტრანსნაციონალური ეკონომიკური აქტორების მონოპოლიზირებაში. ახალი ათასწლეულის დასაწყისისათვის მსოფლიო ტრანსნაციონალური კომპანიები, რომელთა რიცხვი ამ დროისათვის 63 ათასს აჭარბებდა საერთო ჯამში ფლობდნენ 700 ათას უცხოურ ფილიალს, რომელთა ქსელი მოიცავდა პრაქტიკულად ყველა ქვეყანას. ამჟამად ტრანსნაციონალური კომპანიები აკონტროლებენ მსოფლიო სამრეწველო წარმოების 1/3, მსოფლიო ბანკის პატენტების, ტექნოლოგიებზე ლიცენზიებისა და "ნოუ–ჰაუს" 80%. ტრადიციულად ეს კომპანიები ორიენტირებულებები არიან მოგებაზე, კონკრეტული ქვეყნების რესურსების გამოყენებაზე. სწორედ ამაში მდგომარეობს იმ გეოეკონომიკური კონფლიქტების არსი, რომელიც კარგა ხანია არსებობს ტრანსნაციონალური კომპანიებისა და ეროვნული სახელმწიფოს ინტერესებს შორის. ფლობენ რა დიდ რესურსებსა და ლობს განვითარებულ ქვეყნების სახით, ტრანსნაციონალური კომპანიები დიდ გავლენას ახდენენ გეოეკონომიკური თამაშის წესებზე. განვითარებადი ქვეყნების ძირითადი პრობლემა ისაა, რომ მათ არ შეუძლიათ საკუთარი ინტერესების დაცვა თამაშის ცუდი ორგანიზაციის გამო. ამის მიზეზი კი ხშირად ისაა, რომ განვი-

თარებადი ქვეყნების საგარეო ვაჭრობის სახელმწიფო სტრუქტურები არაა დაკომპლექტებული აუცილებელი დონის სპეციალისტებით.

აღნიშნულის საპირისპიროდ „ოქროს მილიარდის" ქვეყნები, საერთაშორისო ორგანიზაციები და ტრანსნაციონალური კორპორაციები უკეთესი კვალიფიკაციითა და კოორდინაციით ხასიათდებიან, კარგად არიან გეოეკონომიკურად შეიარაღებულნი როგორც ეროვნულ, ასევე ტრანსნაციონალურ დონეზე. ტრანსნაციონალურ დონეზე აქტიურად მოქმედებენ ისეთი ორგანიზაციები, როგორიცაა ევროპის კომისია, და სხვა. ამასთან დაკავშირებით განვითარებადი ქვეყნებისათვის დიდი მნიშვნელობა ექნება მათ უნარს, თუ რამდენად შეძლებენ ისინი კოლექტიური ზეგავლენა მოახდინონ იმ რეალური მექანიზმების შექმნაზე, რომლებიც საშუალებას იძლევა მაქსიმალური სარგებლიანობა მიიღონ გლობალიზაციის პროცესისაგან. ამ კონტექსტში, ვფიქრობთ, რომ გლობალიზაციის როლი არა იმდენად მცირდება, რამდენადაც ხარისხობრივად იცვლება, ვინაიდან გეოეკონომიკაში ეროვნული ეკონომიკის წინა პლანზე გამოდის არა იმდენად პროტექციონიზმი, რამდენადაც სახელმწიფოს უნარი უზრუნველყოს საკუთარი ეკონომიკის კონკურენტუნარიანობა მსოფლიოს ღია ეკონომიკურ სივრცეში, ანუ სახელმწიფო აძლიერებს მწარმოებელ ძალთა ფაქტორებს-საწარმოო და სოციალურ ინფრასტრუქტურას, მეცნიერებას, განათლებას, ეფექტურად მოქმედ საბაზრო და სახელმწიფო ინსტიტუტებს.

რიგი ქვეყნების საგარეო ვაჭრობის მოცულობა და სავალუტო რეზერვები საშუალებას აძლევს მათ შექმნან რეგიონალური ორგანიზაციები და ეფექტურად იმოქმედონ გლობალიზაციის პირობებში. თუ გავითვალისწინებთ მსოფლიო ეკონომიკის არასტაბილურობას და მსოფლიო ეკონომიკური ორგანიზაციების უუნარობას ებრძოლონ მას, მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაცია და ქვეყნების ეფექტური განვითარების

გზა, ჩვენის აზრით, ფოკუსირებული იქნება რეგიონალიზმის სიბრტყეში.

რეგიონალიზმის რეალიზაციის დადებით გამოცდილება გააჩნია ევროკავშირს. საერთო ისტორია ერთად კრავს ამ კავშირში გაერთიანებულ ქვეყნებსა და ხალხებს. ევროპის გეოეკონომიკური სივრცე ეს არის დაბალანსებული საგარეო ვაჭრობა, რომელიც არ უშვებს ექსპორტში დეფიციტს და წარმოადგენს მსოფლიოში მომსახურების უმსხვილეს ექსპორტიორს. კავშირის წევრი ყველა ქვეყანა ფლობს მეტნაკლებად უნიფიცირებული ეკონომიკის მართვის მექანიზმს და გააჩნიათ სოციალური სამყაროს შენარჩუნების განვითარებული სისტემა[92].

ბოლო წლებში საკმაოდ წარმატებით ვითარდება აზიურ-წყნაროკეანური რეგიონი (ASEAN+3), რომელსაც მართვის გაცილებით რთული აპარატი გააჩნია ვიდრე ჩრდილოეთი ამერიკის თავისუფალი ვაჭრობის ზონას (NAFTA). ამასთან ახალი აზიური რეგიონალიზმი გაცილებით სწრაფად ვითარდება ფინანსების, ვიდრე ვაჭრობის სფეროში.

5.6. გლობალიზმი და გეოეკონომიკა

როგორც წინა პარაგრაფში დავინახეთ, გლობალიზაციის წამყვან ფაქტორად გვევლინება გეოეკონომიკა, როგორც მსოფლიო მოწყობის ახალი პარადიგმა. სწორედ გეოეკონომიკა წარმოადგენს გლობალიზაციის პროცესის მკაფიო გამოხატულებას, რამდენადაც სპეციალისტთა აზრით, იგი ეფუძნება კვლავწარმოებად სისტემებს, რომლებიც გავიდნენ ეროვნული საზღვრებიდან და შექმნეს გიგანტური ინტერნაციონალიზირებული კვლავწარმოებადი ციკლები მსოფლიო მასშტაბით. მსოფლიო კვლავწარმოებადი კონვეიერები ბუკვალურად გარს ერტყმის

[92] უფრო დაწვრილებით იხ: Alan M. Rugman. The End Globalization. London: Random House Business Books, April 2000.

დედამიწას. განსაკუთრებული არჩევითობით რთავს თავის რგოლში ამა თუ იმ ქვეყნებს, ეროვნულ სტრუქტურებს, ორგანიზაციებს, ზონებსა და რაიონებს. ასეთი კლავწარმოებადი ციკლების კონტურები მოძრაობია და მოარული ხასიათი გააჩნიათ. ამ ზეეროვნული სტრუქტურების ჩარჩოებში ყალიბდება მსოფლიო შემოსავლები, რომელიც ნაწილდება საერთაშორისო კლავწარმოებადი ციკლის მონაწილეთა შორის. შედეგად გლობალურ მსოფლიოში იგება მსოფლიო განვითარების ცენტრალური, გეოეკონომიკური ვექტორი.

მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის პროცესებში, მათ დაჩქარებაში განსაკუთრებული როლი ითამაშა სატრანსპორტო და ტელეკომუნიკაციურმა ტექნოლოგიებმა. შედეგად დაჩქარდა ნედლეული რესურსების, საქონლის და მომსახურების გადაადგილება. ხარისხობრივი ცვლილებები მოხდა ფინანსურ ბაზრებზე. ამჟამად ტრანსნაციონალურმა კომპანიებმა მიიღეს იმის შესაძლებლობა, რომ მოახდინონ წარმოების კოორდინაცია დედამიწის ნებისმიერ ადგილზე. საერთაშორისო ელექტრონული კავშირების პროგრესმა მკვეთრად შეამცირა ინფორმაციული და სატრანსპორტო დანახარჯები.

გლობალიზაციის ერთ-ერთი პარადოქსალური შედეგი გახდა სახელმწიფოთა რაოდენობის ზრდა. მეორე მსოფლიო ომის შემდგომ გაეროს შექმნას ხელი მოაწერა 50 სახელმწიფომ. ამჟამად გაეროში 189 ქვეყანაა დარეგისტრირებული. სულ მსოფლიოში 250 ქვეყანაა, ხოლო 30 წლის შემდგომ ზოგიერთი პროგნოზების მიხედვით მათი რიცხვი შეიძლება 500-მდე გაიზარდოს. მარტო სსრკ რღვევის შემდგომ მსოფლიოს უცებ 15 სახელმწიფო შეემატა, ანალოგიური პროცესები განვითარდა აღმოსავლეთ ევროპაშიც და ა.შ. როგორც ზოგიერთი სპეციალისტი თელის, მომავალში ტერიტორიული მთლიანობის პრინციპი ადგილს დაუთმობს ეროვნული თვითგამორკვევის პრინციპს. ეს ძირითადად შეეხება აფრიკისა და აზიის ქვეყნებს, სადაც მოხდება ეროვნული სახელმწიფოების რაოდენობის ზრდა,

ისე როგორც ეს იყო XVIII–XX სს. ევროპაში. ასეთი პროგნოზები კეთდება მაშინ, როცა ევროპაში სახელმწიფოები პირიქით თანდათან კარგავენ თავიანთ სუვერენენიტეტსა და მისი შინაარსობრივი დატვირთვის რიგ ელემენტებს, ისეთებს როგორიცაა საკუთარი ვალუტა, საზღვრები და ა.შ.

ეკონომიკის ასპექტში გლობალიზაცია ნიშნავს კაპიტალის, მომსახურების და საქონლის საერთაშორისო გაცვლების, აქამდე არნახული უსწრაფესი განვითარებისა და გაერცელების პროცესს. გლობალიზაციის მამოძრავებელ ძალად გვეელინებიან მაღალი, მეცნიერებადტევადი ტექნოლოგიები, რომლებიც ამსუბუქებენ საერთაშორისო გაცვლებს, ზრდიან ექსპორტისა და იმპორტის წილს, რთავენ რეგიონულ ეკონომიკებს მსოფლიო შრომის დანაწილების სისტემაში. ამ ყველაფერს კი, თავის მხრივ, მივყავართ საგარეო ვაჭრობისა და სხვადასხვა ქვეყნების ფულის ბაზრების საყოველთაო ლიბერალიზაციასთან, წარმოების ინტერნაციონალიზაციასთან და გასაღების ქსელთან, ასევე ტექნოლოგიების სწრაფ და ფართო ათვისებასთან, რომელებიც, თავის მხრივ უზრუნველყოფენ საქონლის, მომსახურებისა და კაპიტალის საერთაშორისო დინებების სწრაფ და დაუბრკოლებლად მოძრაობას. იმ ქვეყნების სამრეწველო წარმოება, რომლებიც ჩართულნი არიან გლობალიზაციის პროცესში, განიცდიან რეორგანიზაციას, რამდენადაც ცალკეული ქვეყნების პროდუქცია გადის მათ საზღვრებს გარეთ, ხოლო საწარმოები გადიან მსოფლიოს ფინანსურ ბაზრებზე და უზრუნველყოფენ პროდუქციის გასაღებას უცხოეთში.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, გლობალიზაციის პირობებში სხვადასხვა ქვეყნების წარმოებისა და ფინანსების სტრუქტურა ურთიერთდაკავშირებული და ურთიერთდამოკიდებული ხდება. ამ პროცესს თან ახლავს საზღვარგარეთული ტრანსაქციების რიცხოვნობის ზრდა, რაც თავის მხრივ იწვევს შრომის ახალ საერთაშორისო დანაწილებას, რომლის დროსაც ეროვნული სიმდიდრის შექმნა დიდადაა დამოკიდებული სხვა ქვეყნების

ეკონომიკის სუბიექტებზე. სახელმწიფოს ეკონომიკისა და საზოგადოების გამჭვირვალეობამ (რომელიც თანამედროვე ეკონომიკური განვითარების აშკარა ატრიბუტია) გამოიწვია პრინციპული ცვლილებები სახელმწიფოთაშორის თანამშრომლობაში. მაგალითად, ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში ადრინდელი პროტექციონისტული ტენდენციები, (რომლებიც დაკავშირებული იყო ნაეთობის კრიზისთან) შემცირებისაკენ წავიდა. თანდათან შემცირდა საბაჟო ბარიერების სიდიდეები და მოხდა ლიბერალიზაციის აღიარების აუცილებლობა საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებში. თუმცა, აღნიშნული სულაც არ ნიშნავს იმას, რომ სახელმწიფოებმა დაუფიქრებლად უნდა გახსნან საზღვრები. ნებისმიერმა სახელმწიფომ, თუ მას სურს მაქსიმალური სარგებელი მიიღოს გლობალიზაციის პროცესებისაგან, უნდა გაატაროს დაბალანსებული, რაციონალური საგარეო ეკონომიკური პოლიტიკა. უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია, რომ სავაჭრო და ფინანსური ბრუნვის ლიბერალიზაცია განხორციელდეს ქვეყნის ეროვნული ინტერესების საფუძველზე ორმხრივი და მრავალმხრივი შეთანხმების შესაბამისად. მეორეს მხრივ, სულ უფრო ფართო გაერცელებას იძენს გამჭვირვალობის ზრდის ტენდენცია ახალ პირობებში. კერძოდ, ინტეგრაციული კავშირების ჩარჩოებში, რომლებიც მოიცავენ რამდენიმე ქვეყანას. (თუმცა ხანდახან რეგიონულ კავშირებში ათეული და ხშირად მეტი ქვეყანაც ერთიანდება.)

რაციონალური მაკროეკონომიკური პოლიტიკის მნიშვნელოვან თავისებურებას სწორედ ის წარმოადგენს, რომ გამჭვირვალეობა მიმდინარეობს რეგიონული სახელმწიფოთაშორისი ინტეგრაციის ჩარჩოებში. რასაც მოწმობს ევროკავშირის გამოცდილებაც. ღია ეკონომიკა, როგორც ამას საერთაშორისო პრაქტიკა გვიჩვენებს, გულისხმობს უპირველეს ყოვლისა ეროვნული ეკონომიკის ინტეგრაციას ამა თუ იმ რეგიონალურ კავშირში. საერთოდ მიგვაჩნია, რომ ეკონომიკის რეორგანი-

ზაცია შეიძლება დავახასიათოდ როგორც გლობალიზაციის პროცესში მონაწილეობის პირველსაწყისი ეტაპი.

მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის პროცესი ატარებს საკმაოდ წინააღმდეგობრივ ხასიათს. ერთის მხრივ, მისთვის დამახასიათებელია მსოფლიო მასშტაბით ეკონომიკური პროცესების შერწყმა. როგორც ცნობილია, წარმოების საერთაშორისო ინტეგრაციის ეტაპზე, რომელიც შეიმჩნეოდა XX ს. მეორე ნახევრიდან, ეროვნული ეკონომიკები წარმოადგენდნენ დამოუკიდებლად განვითარებად სისტემებს. თანამედროვე ეტაპზე კი მსოფლიო ეკონომიკის ინტერნაციონალიზაცია (გლობალიზაციის პირობებში) აყალიბებს ეკონომიკის ახალ ტრანსნაციონალურ სისტემურ დონეს თავისი სამართლებრივი რეგულირების კანონზომიერებებით. მეცნიერები და სპეციალისტები ერთსულოვანნი არიან იმაში, რომ დღეს მთავრდება მსოფლიოს ერთიანი ფინანსური და ინფორმაციული სისტემების, მსოფლიო ეკონომიკის რეგულირების ცენტრების ფორმირება. ტრანსნაციონალური კორპორაციების (მრავალეროვნული საწარმოები) მოქმედების შედეგად, საერთაშორისო ფინანსური ორგანიზაციების უმრავლესობა ჩამოყალიბდა ერთგვარ ზედნაშენად, რომლებიც აკონტროლებენ რა მსოფლიოს რესურსების ნახევარზე მეტს, მოქმედებენ პრინციპებით, რომლებიც განსხვავდება სახელმწიფოთა ეროვნული ორგანოების პრინციპებისაგან. ტრანსნაციონალური კორპორაციების საქმიანობის მრავალწლიანი საქმიანობა მოწმობს (ზოგიერთი მეცნიერის აზრით), რომ რიგ შემთხვევაში არ არსებობს ფორმალური დემოკრატიული პროცედურები. კერძოდ, რეგულირება არსებითად ხორციელდება ადმინისტრაციული მეთოდებით. მაგ. საერთაშორისო სავალუტო ფონდი კრედიტების მიცემის დროს ფაქტიურად დირექტიულად განსაზღვრავს შესაბამისი სახელმწიფოების მთავრობების მოქმედების პროგრამას.

5.7 გლობალიზმის ეკონომიკური პოზიტივები და ნეგატივები

ახასიათებენ რა გლობალიზმს, მკვლევართა უმეტესობა იზიარებს მოსაზრებას, რომ მისი ძირითადი ექტორია ეკონომიკური ინტეგრაცია, რომლის ერთ-ერთი ფორმაა ტრანსნაციონალური კორპორაციების სისტემა. ტნკ არ აღიარებენ არც ერთ–სახელმწიფოს საზღვრებს, არც მათ სუვერენიტეტს. თუმცა უნდა შევნიშნოთ, რომ ცალკეული ავტორები ცდილობენ გლობალიზაციის ეს თვისება წარმოადგინონ როგორც დამოუკიდებელი პროცესი. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, კაცობრიობის სოციალური განვითარების თანამედროვე პროცესში ისინი ხედავენ ორ პარალელურ პროცესს: ინტეგრაციას და გლობალიზაციას. ამ პროცესებში ჩვენის აზრით ინტეგრაცია, გლობალიზმი წამყვანი თვისებაა„ რომელიც გლობალიზაციის პროცესებს ანიჭებს დინამიზმს და მისი ცენტრისკენული ძალების საფუძველს შეადგენს.

ზოგიერთ ავტორს, მაგალითად ჟ. ატალის[93] გლობალიზმი დაყავს ახალ სავაჭრო წყობამდე და პრაქტიკულად კაცობრიობას უტოვებს მხოლოდ ერთ პერსპექტივას: ან მოახდინონ კონფორმირება ამ „მომთაბარეთა საზოგადოებასთან", ან გაირიყონ მისგან. შემდეგ იგი ცდილობს დაარწმუნოს მკითხველი იმაში, რომ არ არის სხვა ვარიანტი ვიდრე მივიღოთ გლობალიზაციური ფინანსურ–ოლიგარქიული კაპიტალიზმი და დავემშვიდობოთ თვით ოცნებასაც კი იმაზე, რომ თუნდაც შორეულ მომავალში ადამიანები მოიფიქრებენ რაღაც უფრო მისაღებ განსხვავებულ მოდელს კაცობრიობის განვითარებაში. ასეთი სკეფსისი ვფიქრობთ საკმაოდ ბუნდოვანი და არასაკმარისად

[93] ჟაკ ატალი-საფრანგეთის ყოფილი პრეზიდენტის ფრანსუა მიტერანის მრჩეველი ეკონომიკურ საკითხებში. ამჟამად რეკონსტრუქციისა და განვითარების ევროპული ბანკის პრეზიდენტი. ავტორი მონოგრაფიისა „ახალი ათასწლეულის მიჯნაზე".

დასაბუთებულია, თუნდაც იმის გამო, რომ თეორიულად, მაგალითად შეიძლება დავუშვათ, რომ დადგება საყოველთაო კეთილდღეობის ეპოქა, რაც გლობალიზმის კორპორაციის მთელი ფინანსური სისტემის კრახს გამოიწვევს, ან ახალმა ტექნოლოგიებმა შეიძლება გამოიწვიონ გლობალური სასაქონლო ბაზრის რღვევა. მათ მაგივრად კი იფუნქციონირებენ ინდივიდუალური ან ოჯახური მცირეგაბარიტიანი, აპარატები.

ფაქტორული ანალიზის საფუძველზე, სავსებით დასაშვებად მიგვაჩნია ვივარაუდოთ, რომ გლობალიზაცია დეტერმინირებულია შემდეგი გეოეკონომიკური პირობებით:

•მსოფლიო ეკონომიკის ბუნებრივი განვითარებით და მასთან დაკავშირებული თანამედროვე ტექნოლოგიური პროცესებით;

•"ოქროს მილიარდის" ქვეყნების დაინტერესებით მსოფლიო რესურსებზე კონტროლის კონცენტრაციაში კარგად უზრუნველყოფილი ცხოვრების წესის შენარჩუნების მიზნით;

•სწრაფად მოახლოებადი მსოფლიო ეკოლოგიური კატასტროფის საშიშროებით;

•ჰუმანიტარული კატასტროფის მოსალოდნელი საშიშროებით, რომელიც ახდენს ძალისხმევის კონსოლიდაციის ინიცირებას პრაქტიკულად მთელი ცივილიზაციის მასშტაბით;

•მსოფლიო ცივილიზაციის ხარისხობრივად ახალ ეტაპზე გადასვლით, რომელსაც ხშირად გლობალურ ცივილიზაციას უწოდებენ (საყოველთაო კეთილდღეობის ან არჩევითი ბედნიერი საზოგადოება)

•საყოველთაო მსოფლიო კრიზისის ზრდით და მისგან თავის დაღწევის კონვერგენციული ძალისხმევით;

•დანაშაულებრივი საზოგადოებების მხრიდან ტერიტორიული საფრთხეების რეალურობით და მასშტაბებით, რომლებიც ემუქრება კაცობრიობის ცივილიზაციას (მსოფლიო პოლიტიკურ–კრიმინალური პოტენციალი);

•სხვადასხვა დონის საერთაშორისო საზოგადოებრივი ორგანიზაციების მზარდი აქტიობა და მათი რაოდენობის ზრდა, მათი ურთიერთქმედება ერი–სახელმწიფოების საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან;

•მსოფლიო ინფორმაციული ქსელის შემდგომი განვითარების შეუქცევადობით და ეროვნული ინფორმაციული ცენტრების მათზე დამოკიდებულების ზრდით;

•გლობალიზაციის პროცესის მოთხოვნილების გასვლით მზის სისტემის სხვა პლანეტებზე და მის ფარგლებს გარეთაც.

ფაქტორთა ეს ჯგუფი, უნდა ვივარაუდოთ, რომ სავსებით დასაბუთებულია და შეიძლება მივიჩნიოთ გლობალიზაციის აღმოცენებისა და განვითარების ძირითად პირობად.

გლობალიზაციის პროცესის ცალკეული ნიშნების არჩევითი დახასიათება საშუალებას გვაძლევს დავრწმუნდეთ, რომ ისინი ერთპოლარულები არ არიან. ისინი თავის თავში აერთიანებენ როგორც პლიუსებს ასევე მინუსებს. განვიხილოთ ისინი ცალ–ცალკე:

1. *ეკონომიკური ინტეგრაცია:*

(+) – ხდება რესურსების მობილიზაცია ადამიანთა პრობლემების გადაჭრის მიზნით; ხელსაყრელ პირობებს ქმნის საერთაშორისო და დარგთაშორისი დანაწილებისათვის; ზრდის კაპიტალისა და კვალიფიციური სამუშაოს ძალის მობილურობას; აფართოებს და აღრმავებს სასაქონლო ბაზრის მოცულობას. ზოგადად ხელს უწყობს საწარმოო ძალების განვითარებას;

(–) – ქვეყნების ეკონომიკური შესაძლებლობებისა და პერსპექტივების კვალიფიკაციის აუცილებლობა (ახალ მოდელში ასეთნაირადაა წარმოდგენილი: ა) განვითარებული, ბ)განვითარებადი გარკვეული პერსპექტივით, გ) მარგინალიური ქვეყნები, რომლებიც განწირულნი არიან ჩამორჩენისათვის, კონსერვაციის ან კედომისათვის; დ) ცივილიზაციური წინააღმდეგობების გამწვავება; ე) მოსახლეობის დასაქმების კრიზისი.

2. *ინფორმაცია და ინფორმაციული წარმოების საზოგადოება:*

(+) – თანამედროვე წარმოების უსწრაფესი განვითარებისათვის ხელის შეწყობა, მართვის ეფექტურობის დონის ამაღლება, ოპერატიული რეაგირება ახალ ტექნოლოგიებზე და გამღიზიანებლებზე;

(–) – გლობალური ქსელის სისუსტე, ჰაკერების გავლენის თავიდან აცილება.

3. *სახელმწიფოს ტრანსფორმაცია ცივილიზაციის სისტემაში:*

(+) – ცივილიზაციის პერმანენტული იდენტიფიკაციის საფუძველზე ა. ტოინბი გამოყოფს ცივილიზაციის სამ თაობას. იგი იქიდან ამოდის, რომ რელიგია არ წარმოადგენს არც ცივილიზაციის ყოველისმომცველ ნიშანს და არც მსოფლიო ცივილიზაციის რღვევის ხაზს.

(–) – ს. ჰანტინგტონი[94] და მისი მომხრეები ან კეთილსინდისიერად იბნევიან, ან აქვთ იმის მცდელობა შენიღბონ ახალი წესრიგის არქიტექტორთა ძირითადი მიზნები და ინტერესები ეროვნული და რელიგიური ფაქტორებით. ამასთან ისინი შეგნებულად უელიან გვერდს იმ ფაქტს, რომ მთელი დასაელური ინდუსტრიული ცივილიზაციები წარმოადგენენ საკუთარი უნივერსალიზაციის მცდელობას[95].

---

[94] Hantington S. The Clash of Civilizations and Remaking of World Order. A Touchstone Book. New-York. 1993.

[95] გიორგი კვინიკაძე – გლობალისტიკა და გლობალიზაცია (ძირითადი მიმართულებები, კონცეფციები, პოსტულატები) ახალციხე-თბილისი 2006. გვ. 119.

4. *ცივილიზაციათა და სახელმწიფოთა კვდომა:*

(+) – გლობალიზაციის დამახასიათებელი ნიშნები ნაკლებად მეტყველებენ, რომ შესაძლებელია გლობალური ომები[96].

(–) – ს. პანტინგტონი სხვები გვაფრთხილებენ, რომ ძირითადი ცივილიზაციები შეიძლება ჩათრეულნი იქნან გლობალურ ომში.

5. *საერთაშორისო ტერორიზმი როგორც გლობალიზმის შედეგი:*

(+) – მსოფლიო საზოგადოების კონსოლიდაცია, ერთიანი ცივილიზაციისადმი კუთვნილების გრძნობის გაძლიერება;

(–) – საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლის გადაზრდის საშიშროება ტოტალურ მსოფლიო ტერორში;

6. *სახელმწიფოს ფუნქციის შეზღუდვა ტნკ სასარგებლოდ:*

(+) – სამოქალაქო საზოგადოებისა და ადგილობრივი თვითმართველობის ინტერესებში სახელმწიფოს ტოტალური შეღწევის შესუსტება;

(–) – წინააღმდეგობის აღმოცენება, რომლის შედეგი იქნება ტნკ და სახელმწიფოს დაპირისპირება, რაც ძლიერ დააზიანებს დემოკრატიას.

7. *პოლიტიკური ისტებლიშმენტის ინტერნაციონალიზაცია და პოლიტიკური ნიჰილიზმი.:*

(+) – ხარისხობრივი არჩევის შესაძლებლობა დეზინტეგრაციის საფუძველზე და ნამდვილი, მძლავრი პოლიტიკური პარტიების აღმოცენება.

(–) – თვით ეს მოვლენა უარყოფითია აღნიშნული პოზიტიური მიკრონაწილის გარეშე.

8. *„მსოფლიო დემოკრატიის" ექსპანსია:*

(+) – დემოკრატიის ერთიანი გაგება და რეგიონულ ცივილიზაციებს შორის არსებული წინააღმდეგობების მოგვარება;

---

[96] Иноземцев В. А. Открытое общество за закритими границами. НГ – сунарий № 6, 2000 г.

(–) – დემოკრატიის ექსპანსია ტოტალიტარულ და არაცივილიზირებულ ქვეყნებში, საფრთხეს უქმნის მთელს კაცობრიობას.

9. *ინდივიდუალიზაციის საყოველთაო გავრცელება:*

(+) – აგრესიული პიროვნების იზოლაცია, ბრბოს აგრესიის მობილიზაციის შესაძლებლობის შეზღუდვა;

(–) – ადამიანის პოლიტიკური პასიურობა.

10. *თანამედროვე ტექნოლოგიები:*

(+) – ტექნოლოგიების სრულყოფა, ინჟინერული აზრის ინტერნაციონალიზაციის საფუძველზე გაერთიანებული ტექნოლოგიური ძალისხმევა მოდერნისტული წარმოების შექმნისათვის;

(–) – ტექნოლოგიური ცელილებები ალბათ მიგვიყვანს გლობალიზმის კრახამდე და მასთან დაკავშირებული არსებული ცივილიზაციის სისტემის კრიზისამდე.

11. *პოლიტიზირებული საერთაშორისო ტერორიზმი:*

(+) – მსოფლიო საზოგადოების ძალისხმევის გაერთიანება ამ ბოროტების წინააღმდეგ, ადამიანთა კულტურული და სულიერი დაახლოება სიკეთისა და ბოროტების წყალგამყოფთან;

(–) – ტერორის ინტერსიფიკაციის საშიშროება, რომელიც შეიძლება იქამდე მივიდეს, რომ ადამიანური ცივილიზაციის განადგურება გამოიწვიოს.

ამდენად, როგორც ვხედავთ, გლობალიზმს აღმოცენებისა და განვითარებისათვის გააჩნია თავისი კონკრეტული ნიშნები. მისი აჩრდილი ჯერ კიდევ 1970-იან წლებში შენიშნეს "პოსტინდუსტრიული საზოგადოების" კონცეფციის ავტორებმა დ. ბელმა, უ. როსტოუმ და სხვებმა. მათ თეორიებში აისახა პოსტინდუსტრიული საზოგადოების ნიშნები. გლობალიზმი ვითარდებოდა კაპიტალისტური საზოგადოების წიაღში, რომელსაც ერთნი უწოდებენ ინდუსტრიულს, მეორენი იმპერიალისტურს, ხოლო მესამენი – „დასაელეთს". მიგვაჩნია, რომ გლობალიზაცია შეიძლება ჩავთვალოთ პოსტინდუსტრიული კაპიტალისტური საზოგადოების ახალ ეტაპად, რომელიც ძირეუ-

ლად განსხვავდება მისი წინა ეტაპებისაგან. ალბათ უპრიანი იქნება თუ მას ვუწოდებთ მთელი საკაცობრიო ცივილიზაციის განვითარების ახალ ეტაპს, რომელსაც გააჩნია თავისი პლიუსები და მინუსები.

სავსებით შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ ყოველივე ზემოთ თქმული მხოლოდ ვარაუდია. თუმცა განვითარების ასეთ პერსპექტივებზე მიანიშნებს რიგი ფაქტორები, რომელთა შორისაც გამოვყოფდით: 1. მსოფლიო მოსახლეობის დემოგრაფიულ ზრდას იმ ფონზე, როცა ამ მხრივ არასასურველი სტატისტიკაა დასავლეთის ქვეყნებში. ჯ. ბიუკენენის კვლევების შესაბამისად დასავლეთი დემოგრაფიულ კვდომას განიცდის და ამ რეგიონის მოსახლეობამ დაკარგა წარმოების უნარი; 2) თანამედროვე და მომავალი ტექნოლოგიები, რომლებიც ნაკლებ მუშახელს საჭიროებენ, კატასტროფულად შეამცირებენ შრომის მოდების სფეროს; 3. ბიორობოტების ინკუბაციის განვითარება არაპრესტიჟული სამუშაო ოპერაციების წარმოებისათვის, ხანდახან საკმაოდ რთული ხდება ადამიანის გონებისათვის; 4. კაცობრიობის ფუნქციონალური აზროვნების ინტელექტუალური ტექნო–ენერგეტიკული განვითარება (რომელმაც შეცვალა "სულიერი სილამაზის", "სხეულის სილამაზით" და ა. შ. იდეალები) და პრაგმანტული კულტურის საფუძველზე; 5. კაცობრიობის გარდაუვალი კვდომა როგორც რაოდენობრივად ნიშნად კატეგორიისა და მისი გადასვლა ცივილიზაციურ საზოგადოებაში – რჩეულთა საზოგადოებაში მკაცრი კრიტერიუმებით. ადამიანის ეპოქის (Homo sapiens) კვდომა და Sapiens homo-ს ეპოქის დადგომა. 6. სამართლის ევოლუცია და ნორმები, რომელთა რეალიზაცია დაკავშირებულია დაპროგრამებული შედეგების მიღების შესაძლებლობასთან, მხოლოდ ნორმებისა და სამართლის მკაცრი დაცვის საფუძველზე, რითაც მოხდება Homo Sapiens_ის გადასვლა სახელმწიფო–სამართლებრივი ცხოვრებიდან, მსოფლიო საზოგადოების სამართლებრივ ცხოვრებაში Sapiens homo.

თავი VI. გლობალიზაცია და ახალი გეოფინანსური ურთიერთობები

6.1 გეოფინანსების ძირითადი პრობლემა

გეოეკონომიკური სივრცის შესწავლის ჩარჩოებში ცალკე განხილვას იმსახურებს ფინანსური სივრცე და ის ურთიერთობები, რომელიც შეიძლება აღმოცენდეს ერთის მხრივ, სივრცის მართვის პოლიტიკასა და მეორეს მხრივ იმ პოლიტიკას შორის, რომელიც მიმართულია ქვეყანა–სისტემის განვითარების უზრუნველყოფისაკენ.

პირველ თავში გაირკვა, რომ გეოფინანსების სივრცე გეოეკონომიკურ სივრცეებს შორის ყველაზე უფრო ტრანსნაციონალურია. გეოეკონომიკის კონტექსტში გეოფინანსური მიდგომა გამართლებულია, რამდენადაც ეროვნული სახელმწიფოები, რომლებიც შუა საუკუნეების ბოლოდან იღებენ სათავეს, ჯერ კიდევ რეალურად არსებობენ, მისი არსებობისათვის კვლავ არის საჭირო კოლექტიური შეგნება. იგი რჩება კულტურის, და საზოგადოებრივი წესრიგის ორიენტირად სუვერენული ხალხისათვის, რომელიც აღნიშნულის გამო სახელმწიფოს გაძლიერებას სასურველ მოვლენად აღიქვამს. თუმცა ეროვნულ სახელმწიფოს უკვე აღარ გააჩნია თავისი სუვერენიტეტი განახორციელოს ვალუტასა და ფინანსებზე. იმავდროულად პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული უსაფრთხოება სულ უფრო მეტად ხდებიან დამოკიდებელი ფინანსური ხასიათის ელემენტებზე. აღნიშნულის შესაბამისად ეროვნული სახელმწიფო იძულებულია ეძებოს ფინანსურ სფეროებზე ზემოქმედებისა და ზეგავლენის ახალი ფორმები და მისი ინტერპრეტაციის ახალი საშუალებები. კვლევები, რომლებიც ეფუძნება ამ მიდგომას არის გეოფინანსური. თუ პოლიტიკურ-ეკონომიკური კვლევა თანამედროვე ეროვნულ სახელმწიფოს განიხილავს,

გეოფინანსური კელევა განიხილავს უკვე პოსტთანამედროვე ეროვნულ სახელმწიფოს და ეს გამართლებულია მხოლოდ იმდენად, რამდენადაც მისი მიზანია თვით ეროვნული სახელმწიფოს შენარჩუნება და გაძლიერება.

გეოფინანსების კელევა გულისხმობს გარკვეულ მეთოდურ დაშვებებს. კერძოდ, გეოეკონომიკური და გეოფინანსური არჩევანი ეფუძნება გრძელვადიან პერსპექტივას და მიმართულია თვითგანვითარების ინსტრუმენტების შენარჩუნებასა და განმტკიცებაზე. ფინანსური ბაზრის გლობალიზაციამ ფინანსური რესურსების კუთვნილების საკითხის დადგენის გაურკვეველობა გამოიწვია. აღნიშნულიდან გამომდინარეობს, რომ გეოფინანსური არჩევანი მიზანმიმართულია არა ფინანსური რესურსების ეროვნული ელემენტის გაძლიერებისაკენ, არამედ ქვეყანა სისტემის უნარის გაძლიერებაზე, გამოიყენოს საერთაშორისო ფინანსური რესურსები. სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ, მიზანი ხდება არა „ფულის ქონა," არამედ ფინანსურ ბაზრებზე შეღწევა, რომელიც შეძლებისდაგვარად იქნება მარტივი, დივერსიფიცირებული და ეკონომიური. გეოეკონომიური თვალსაზრისით ფინანსური რესურსები წარმოადგენს ნედლეულს, რომლის არსებობა დროის ყოველ მომენტში მკაცრად შეზღუდულია, ამიტომ ფინანსური რესურსების გამოყენების საფუძველს შეადგენს ბრძოლა მათი წყაროებისათვის. გეოეკონომიკური კუთხით ეკონომიურობა უპირატესობის მინიჭების მხოლოდ ერთ-ერთი კრიტერიუმია, რეალურად კი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს უსაფრთხოების კრიტერიუმები, რომელთა გამოყენებამ შეიძლება მიგვიყვანოს "ფინანსური ნედლეულის" ეკონომიური წყაროებზე უარის თქმამდე. იმ შემთხვევაში, თუ ისინი წარმოადგენენ მთელი სისტემისათვის საფრთხის წყაროს აძლიერებენ მოწინააღმდეგის ან კონკურენტის პოტენციალს, ან თუ ისინი არასაკმარისად არიან დივერსიფიცირებულები. "ფინანსური ნედლეული" უნდა გადამუშავდეს, რომლის

ხერხებიც უამრავია. გეოფინანსები სწავლობს თუ როგორ განავითაროს ქვეყანა – სისტემამ ისეთი ტექნოლოგიები, რომლებიც უზრუნველყოფენ ყველაზე უფრო მეტ დამატებით ღირებულებას ფინანსურ ნედლეულზე. გეოფინანსები სწავლობს არა უბრალოდ სახელმწიფოთა შორის კონკურენციის გრძელვადიან ასპექტებს, არამედ ქვეყანა–სისტემებს შორის კონკურენციას თითქმის აბსტრაქტულ სივრცეში.

6.2 სახელმწიფოსა და ფინანსების სივრცე

ჯერ კიდევ პრობლემაა, წარმოადგენს თუ არა თანამედროვე ეროვნული სახელმწიფო ეკონომიკურ და ფინანსურ პოლიტიკაში სუვერენულს და თუ წარმოადგენს რა სახით? თანამედროვე პირობებში მეტად აქტუალური ხდება, ვინაიდან ვითარება, რომელშიც მიიღება ეკონომიური და ფინანსური გადაწყვეტილებანი, რადიკალურად არის შეცვლილი. მხედველობაში გვაქვს ის გარემოება, რომ გასული საუკუნის 60-იანი წლების ბოლოდან ფიქსირდება 5 ძირითადი მომენტი, რომელმაც, ჩვენის აზრით, ხარისხობრივად შეცვალა ეკონომიური და ფინანსური სივრცე; კერძოდ მხედველობაში გვაქვს ის გარემოება, რომ:

1) ამ პერიოდიდან მოყოლებული დასავლეთის ეკონომიკაში გაიზარდა როგორც ინფლაციის დონე, ასევე ცალკეულ ეკონომიკებში ინფლაციის დონეებს შორის დისპროპორციები. რის გამოც შეიქმნა სავაჭრო არბიტრაჟისათვის პირობები და მკვეთრად შეიცვალა სახელმწიფოთაშორის სავაჭრო დინებების მარშუტები;

2) დაინგრა კურსის გაცვლის ფიქსირებული რეჟიმი და შესაბამისად გაიზარდა არბიტრაჟის შესაძლებლობები სავალუტო ბაზრებზე;

3) მკვეთრად გაიზარდა საერთაშორისო ვაჭრობის მოცულობა და შესაბამისად ფულის ცირკულაციის სიჩქარე მსოფლიო ბაზარზე;

4) საბანკო სისტემის ტრანსნაციონალიზაციამ გაართულა ცენტრალური ბანკების მხრიდან კრედიტების რეგულირების სისტემა;

5) პერმანენტულად იზრდებოდა კაპიტალის უზარმაზარი მასა, რომლის მოძრაობა ხშირად ქმნიდა დაძაბულ ვითარებას კურსების გაცვლისა და პროცენტული განაკვეთებისათვის.

ამდენად, დროის ძალიან მცირე მონაკვეთში სახელმწიფო შეეჯახა სიტუაციას, რომელიც სრულიად ახალია როგორც ობიექტით (იმის შესაძლებლობა, რომ გარე ფაქტორები ზემოქმედებას მოახდენენ როგორც შიდა ფინანსურ სტაბილიზაციაზე) ასევე სუბიექტით (ეროვნული სახელმწიფოს სუვერენიტეტს ღღეს თავს ესხმის არა სხვა სახელმწიფო, არამედ საკმაოდ მერყეევი სუბიექტები. ისეთები, როგორიცაა ინდივიდუმები, მრავალეროვნული კორპორაციები და ტრანსნაციონალური ბანკები, საერთაშორისო ბაზარი), მოქმედ პირთა ბუნების მრავალფეროვნება, ოპერაციული ცენტრების სიმრავლე, ტექნოლოგიური განვითარება, კაპიტალის დინებების ზომები. ყველა ამ ფაქტორმა გამოიწვია ის, რომ საერთაშორისო ფინანსური ბაზრის გავლენა ეროვნულ ეკონომიკებზე იმდენად გაიზარდა, რომ ერთგვარი შეუთავსებლობა მოხდა გაცვლის კურსის სტაბილურობას, კაპიტალის თავისუფალ გადაადგილებასა და ფულად პოლიტიკას შორის. ეს ე.წ. შეუთავსებლობის სამკუთხედია.

იმის გამო, რომ სახელმწიფოებს არ გააჩნიათ აბსოლიტური ძალაუფლების გამოყენების შესაძლებლობა, ისინი აღმოჩნდნენ არჩევანის წინაშე – ან დაეთანხმონ საერთაშორისო ბაზრის გავლენას (კაპიტალის გადაადგილება და გაცვლითი კურსი) ან ჯიუტად ჩაკეტონ თავის ფინანსური ბაზარი და შეეცადონ გარე ზემოქმედების შესუსტებას.

თავდაპირველად მრავალი სახელმწიფოს რეაქცია შეუთავსებლობის სამკუთხედზე კონსერვატიული ხასიათის იყო. ევროპის რიგი ქვეყნების მიერ ფინანსური ბაზრების ჩაკეტვა,

საკუთარი ფინანსური სუვერენიტეტის შენარჩუნების მიზნით, ბოლოს მაინც წარუმატებელი აღმოჩნდა. აშკარაა, რომ სახელმწიფოში, რომელიც გერმეტიკულადაა ჩაკეტილი (ფინანსური კუთხით) შეუძლებელია ფისკალური არბიტრაჟი. ასევე შეუძლებელია სხვა დანაზოგებისა და ფასიანი ქაღალდების დაბანდება, იმათ გარდა რასაც გვთავაზობს სახელმწიფო–სტრუქტურა. არ არსებობს იმის შესაძლებლობა, რომ ქვეყანა გადაურჩეს ინფლაციას, დანაზოგების უცხოურ ვალუტაზე გადაცვლის დროს. სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ, ადამიანები ექცევიან სახელმწიფო–სტრუქტურების ფინანსური დანაშაულის ძალაუფლების ქვეშ, რომელთაც უნარი აქვთ დააგროვონ დიდი ვალი, ჩიხში მოაქციონ საკუთარი გადამხდელები ან მოახდინონ სახელმწიფო ვალის მონეტიზირება. აქ საუბარია ნამდვილ დანაშაულზე, კერძოდ, სახელმწიფო, რომელიც ახდენს სახელმწიფო ვალის მონეტიზირებას, ნულზე დაყავს დანაზოგები, რომელიც წარმოადგენს მოქალაქის ცხოვრების წლების რაოდენობრივ გამოხატულებას. ამდენად, დანაზოგთა განულება სხვა არაფერია, თუ არა ინდივიდუალური ცხოვრების პერიოდის ავტორიტარულად გადაქცევა–სამუშაოდან მონობაში. ეს კი ტიპიურია corve* –ს შუა საუკუნეების ინსტიტუტისათვის, რომელიც ამჟამად იკრძალება სისხლის სამართლის კოდექსით.

ფინანსური ბაზრის ინტერნაციონალიზაციამ სრულიად ელემენტარული და კულტურულად ნორმალური გახადა "გასვლის ოფციონი"** (გასვლის ოფციონი მიკროეკონომიკაში კარგად ცნობილი ცნებაა და აღწერს მომხმარებლის შესაძლებლობას უარი თქვას ერთ პროდუქტზე და გადავიდეს მეორეზე, ყოველთვის, როცა მისი მოთხოვნილება დაუკმაყოფილებელია). ბუნებრივია, ეს შესაძლებლობა

---

* corve –არაანაზღაურებადი იძულებითი შრომა.

** ოფციონი-არჩევა,შ ერჩევა, შეცვლა.

დაშვებულია მხოლოდ იქ, სადაც არსებობს თავისუფალი კონკურენცია, რომელიც აიძულებს მწარმოებელს ყურადღებით ადევნოს თვალი მომსახურეთა გემოვნებასა და მოთხოვნილებას ამა თუ იმ სახეობის პროდუქციაზე. პოლიტიკაში გასვლის შესაძლებლობაში მოიაზრება ყოფის ერთი ან რამდენიმე ასპექტის რეალიზაცია სხვა ქვეყნის მოქალაქის რანგში. მეორეს მხრივ, თუ არსებობს პოლიტიკური საქმიანობის დარგი, რომელშიც არსებული ოფციონის გასვლა ითხოვს ეფექტურობას, ეს მხოლოდ ფინანსებია. მართლაც გასვლის ოფციონი ფინანსების სფეროში დღეს განსაკუთრებით მარტივია. თუ სახელმწიფო ატარებს ინფლაციურ პოლიტიკას ობლიგაციებს ვყიდულობთ ევროში ან ვთქვათ დოლარში, თუ ფინანსური პოლიტიკა და ქვეყნის ფინანსური სისტემა ისრისება სახელმწიფო ვალით, მაშინ სესხს ვიღებთ სხვა ქვეყნის ბანკებში.

აღნიშნულის შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ თითოეული მოქალაქის ნებისმიერი უბრალო ოფციონი გულისხმობს პოლიტიკურ შეფასებას როგორც საბიუჯეტო, ასევე სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკისა, (რომელიც ხშირად გაუაზრებლად ხდება) მთლიანად. საუბარია ძალზე ეფექტურ შეფასებაზე, იმიტომ რომ იგი აიძულებს სახელმწიფოებს მიიღოს გადაუდებელი ზომები, რათა მოქმედებაში მოიყვანოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფარვის სამი პოლიტიკიდან ერთ-ერთი:

ფულადი, ფინანსური (ან ვალის) და ფისკალური მანევრირება. როგორც ცნობილია ფისკალური პოლიტიკა არაა საკმარისი სახელმწიფო ბიუჯეტის დაფარვისათვის, პრინციპში არსებობს დეფიციტის დაფარვის ორი ფორმა: მონეტიზაცია ან ფინასური ვალის აღება. ამასთან პირველ შემთხვევაში იხდის დღევანდელი თაობა; ხოლო მეორეში მომავალი.

ფინანსებისა და სახელმწიფო სიერცის დაპირისპირების თემა თავის თავში მოიცავს ამ ორი პოლიტიკის ანალიზს და

იმის განსაზღვრას, თუ როგორია სახელმწიფოს საქმიანობის ან მისი აქტიურობის საზღვრები თითოეულ მათგანში.

6.3 ერთიანული სუვერენიტეტი და ფინანსური პოლიტიკა

სახელმწიფო განსაზღვრავს თავის პრიორიტეტებსა და მიზნებს და მიისწრაფის იქითკენ, რომ უმალვე მოხდეს მათი რეალიზაცია. ამისათვის იგი საჭიროებს კრედიტს და მომავალი რესურსების აქტუალიზაციას. ამ აქტუალიზაციას კი შესაძლებელს ხდის ფინანსური ბერკეტები.

ფინანსური ბერკეტები ვითარდება ფინანსური სისტემის შიგნით, რომლის კონტროლსაც ცდილობს სახელმწიფო. სწორედ ამიტომ ტრადიციული სახელმწიფო თავის თავზე იღებდა როგორც საბანკო, ასევე ფინანსური კაპიტალის საერთაშორისო გადაადგილებაზე კონტროლს.

როგორც წინა პარაგრაფში გაეარკვიეთ ეს კონტროლი უკვე აღარაა ეფექტური ბაზრების ინტერნაციონალიზაციის პირობებში. აღნიშნულმა კი სამ კითხვაზე პასუხის გაცემის აუცილებლობა დააყენა: ა). შეუძლია თუ არა სახელმწიფოს პოლიტიკურად განახორციელოს თავისი სუვერენიტეტი ფინანსურ ბაზარზე? ბ). თუ ამ კითხვაზე პასუხი დადებითია, მაშინ რამდენად შესწევს უნარი სახელმწიფოს განახორციელოს ტექნიკური კონტროლი ფინანსურ ბაზარზე? გ). დაინტერესებულია თუ არა ნამდვილად საზოგადოება იმაში, რომ სახელმწიფომ შეინარჩუნოს თავისი სუვერენიტეტი ფინანსურ ბაზარზე?

ბაზრის შინაარსს წარმოადგენს ის, რომ სახელმწიფოს უკვე აღარ შესწევს იმის პოლიტიკური უნარი, რომ განახორციელოს საკუთარი სუვერენიტეტი ფინანსურ ბაზრებზე. (ევროპულმა ინტეგრაციამ მიგვიყვანა კაპიტალის თავისუფალი ცირკულაციის ტრიუმფამდე) და მაინც, ევროპული და ზენაციონალური ახსნა საბაზრო მოდელის მიმართ მთლიანად ვერ სცემს პასუხს ზემოთ დასმულ კითხვებს, თუნდაც იმიტომ,

რომ როგორც ბ. რ. ფულჩერი აღნიშნავს, ევროპული ინტეგრაცია არ წარმოადგენს ბუნებრივ ფაქტს, ვინაიდან გარდა სახელმწიფოს საგარეო ნების ფაქტორისა, მასში უნდა მონაწილეობდეს სახელმწიფოს შინაგანი ნებაც. თუ ევროპის თანამეგობრობის ქვეყნები 1979-1989 წლებში თანდათან უარს ამბობდნენ კაპიტალის გადაადგილების კონტროლზე, მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი საკუთარი გამოცდილების მაგალითზე დარწმუნდნენ, თუ რამდენად ფუჭია რაიმე წინააღმდეგობის გაწევა ამ პროცესისადმი, რისთვისაც საჭვენებლად მოყავს 1980-იანი წლების საფრანგეთის ფინანსური ისტორია და პოლიტიკა. 1981 წ. პრეზიდენტმა ფ. მიტერანმა თავისი მთავრობის მეშვეობით (მეთაურობდა ა. მორუა) გამოაცხადა ერთ ცალკე აღებულ ქვეყანაში აღმავლობის პოლიტიკა, თუმცა ევროპაში დომინირებდნენ კონსერვატიული მთავრობები, რომლებიც საკმაოდ მკაცრები იყვნენ ფულად პოლიტიკაში და ლიბერალურები ფინანსების დარგში. პრეზიდენტმა ფ. მიტერანმა გადაწყვიტა უპირატესობა მიენიჭებინა დემოკრატიული პრინციპისათვის, სამართლებრივთან შედარებით და მის მიერ შემოთავაზებული იქნა საპირისპირო რეცეპტი. კერძოდ ექსპანსიური ფულადი პოლიტიკა, რათა თავიდან აეცილებინა კაპიტალის გადინება და გაეკონტროლებინა კაპიტალის ცირკულაცია. იგი იმედოვნებდა ეკონომიკის აღმავლობას ისეთნაირად, რომ საზოგადოების ქვედა ფენებს არ დაწოლოდათ მკაცრი ფინანსური ეკონომიკის ტვირთი[97].

სამწუხაროდ ყველაფერი ფუჭი გამოდგა, ვინაიდან კაპიტალი ამათუ იმ გზებით მაინც ახერხებდა ემიგრაციას, რითაც ასუსტებდა საფრანგეთის ბანკს, რომელიც უწყვეტად დეევალვირდებოდა. ამასთან, ექსპანსიური ფულადი პოლიტიკა

---

[97] უფრო დაწვრილებით იხ: К.Савона. П. Геоэкономика, господство экополического пространства. М.1997.

იწვევდა ინფლაციას. შედეგად, უმუშევრობა შემცირების ნაცვლად კიდევ უფრო იზრდებოდა, იმდენად რამდენადაც საწარმოები კარგავდნენ კონკურენტუნარიანობას. შემდგომ როცა საფრანგეთის მთავრობის მეთაური გახდა ფაბიუსი, საფრანგეთმა სრულიად გააცნობიერა ფინანსურ სფეროში სუვერენიტეტის შენარჩუნების ამაოება. საფრანგეთის ბანკი, თუმცა ინსტიტუციონალურად არ ფლობს დამოუკიდებლობას (ეს დამოუკიდებლობა გაცილებით მალულია ბუნდეს ბანკში, იტალიის ბანკში და ევროპის რიგ ქვეყნებში), ამის შემდგომ ატარებდა კაპიტალის მოძრაობის დაჩქარების ლიბერალიზაციის მკაცრ სავალუტო პოლიტიკას, ხელს უწყობდა საბირჟო ინოვაციებს, რამაც საშუალება მისცა პარიზს შესულიყო მსოფლიო საქმიანი ცენტრების ელიტაში. ასეთივე ემპირიზმით ფ. მიტერანი დაჟინებით მოითხოვდა, რომ ევროპის თანამეგობრობის კომისიის თავმჯდომარედ დანიშნულიყო ჟ. დელორი, რომლის ევროპული იდეალის აპაღლების პროგრამა ფინანსების სფეროში ეფუძნებოდა ეროვნულ სუვერენიტეტზე უარის თქმას და მის შემდგომ გაფართოებას ფულადი პოლიტიკის სუვერენიტეტზე უარის გზით. საუბარი ეხებოდა სახელმწიფო მდგომარეობის რეალურ შეფასებას თანამედროვე ევროპაში, ანუ სისტემას, სადაც წესებს კარნახობს ტრანსნაციონალური ბაზარი, რომელიც მტრულადაა განწყობილი ნებისმიერი სახელმწიფოებრივი შეზღუდვების მიმართ, სადაც საქმიანი წრეების მიერ წახალისებულია ყველაზე მკაცრი ფულადი პოლიტიკა.

ევროკავშირის ფორმირების შემდგომ მასში შემავალი ქვეყნები მიისწრაფოდნენ ფინანსების სფეროში სუვერენიტეტზე სრული უარისაკენ. საუბარი იყო არჩევანზე, რომელიც იძულებითი იყო არა მხოლოდ პოლიტიკური თვალსაზრისით, არამედ ტექნიკური თვალსაზრისითაც. მართლაც, თუნდაც რომ არსებულიყო ევროკავშირის ყველა ქვეყნის პოლიტიკური ნება, რომ უარი არ ეთქვათ ეროვნულ სუვერენიტეტზე ფინანსების

სფეროში, ასეთი უარი მაინც ბუნებრივად იქნებოდა თქმული, ვინაიდან ფინანსების სფეროში თანამედროვე სახელმწიფოს ცნება, მისი სუვერენიტეტის მახასიათებლები, აბსოლიტურობა და ხელისუფლება მორალურად აშკარად მოძველდა. იგი წარსულში დარჩა არა მხოლოდ იურიდიულად, არამედ როგორც ხარისხობრივად მთლიანი და განსხვავებული სხვა სუბიექტებისაგან. ინტერნაციონალიზებული ფინანსური ბაზრის კონტექსტში სახელმწიფომ დაკარგა თავის სპეციფიკური აბსოლუტურობა და იძულებულია მეტოქეობა გაუწიოს სხვა ფინანსურ ოპერატორებს იმდენად, რამდენადაც, არ ფლობს საკუთარ მოსახლეობაზე მონოპოლიას. ხოლო მეორეს მხრივ, თითოეულ სახელმწიფოს შეუძლია აკრიფოს იმ მოქალაქეთა დანაზოგები, რომლებიც ცხოვრობენ სხვა ქვეყნებში. ოპერატორის რანგში სახელმწიფო ხდება ერთ-ერთი მრავალთაგანი, რომელთაც შეიძლება გამოუცხადო ნდობა. სახელმწიფო გეეელინება ფინანსური კაპიტალის მიმღები, რომელიც კონკურენციას უწევს სხვა მიმღებებს. მისი მდგომარეობა სულ უფრო განსხვავდება იმ მდგომარეობისაგან, რომელშიც იმყოფებიან მსხვილი მრავალეროვნული სამრეწველო და საბანკო კორპორაციები. ისევე როგორც ნებისმიერმა საწარმომ რომელსაც სურს კაპიტალის ბაზარზე მუშაობა, სახელმწიფომაც უნდა გამოიყენოს თავის მართვაში გამჭვირვალეობის პრინციპი, რათა მოიპოვოს საერთაშორისო ბაზრის ნდობა. ამ შემთხვევაში კი გამოირიცხება სახელმწიფოს პოლიტიკური ბატონობა ფინანსების სფეროში, ხოლო მისი აღდგენა შეუძლებელია. ნებისმიერ შემთხვევაში სახელმწიფოს მოუწევს უარი თქვას ტექნიკურ-ოპერატიულ ბატონობაზე. ეროვნული სახელმწიფოს ტრადიციულ სტრუქტურებმა როგორიცაა ტექნიკური ბანკი, დაკარგა თავისი სახელისუფლებო ფუნქცია, ისინი გადაიქცნენ უფრო ეროვნული ინტერესების წარმომადგენელ ცენტრებად, რომლებიც იცავენ ურთიერთობას გარე სამყაროსთან, რომლებიც, თავის მხრივ,

წარმოდგენილია სხვა ცენტრალური ბანკებით, საერთაშორისო საბანკო სისტემითა და მთლიანად ბაზრით. ამ სიტუაციაში საინტერესოა თუ რა ზიანის მომტანი შეიძლება იყოს სახელმწიფოს სუვერენიტეტის დაკარგვა ფინანსების სფეროში?

თეორიულად სახელმწიფო, რომელიც ახორციელებს საკუთარ სუვერენიტეტს, იცავს ეკონომიკურ წესრიგს, დანაზოგებს და ფინანსურ წონასწორობას ნებისმიერი სპეკულაციური შეტევის წინააღმდეგ. თუმცა, ძალიან ხშირად სწორედ თვითონ სახელმწიფო გვევლინება ფინანსური წესრიგისა და ეკონომიკური უსაფრთხოების უბოროტეს მტრად. ეს ძალიან მარტივად შეიძლება დავინახოთ რიგი ქვეყნების მაგალითზე, რომლებიც ძალიან მძიმე დღეში არიან კორუმპირებული მთავრობებისა და პარტიული ოლიგარქიების დამანგრეველი ფინანსური პოლიტიკის გამო. გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია ამ პრობლემის სიღრმისეული კვლევა. როგორც ცნობილია, სახელმწიფოს შექმნის ელემენტს წარმოადგენს არა ელექტორატის კორპუსი, არამედ ხალხი, ანუ მათ შორის ბავშვები და მოზარდები სრულწლოვანების ასაკამდე. უფრო მეტიც, ეს ელემენტი შეიძლება განისაზღვროს როგორც ერი, ანუ მთელი მომავალი თაობა. დემოკრატიული მთავრობა ვალდებულია გამოხატოს არა ხალხის (მით უმეტეს ერის), არამედ ელექტორატის კორპუსის ინტერესები. ამდენად, მას გააჩნია მიდრეკილება თავისი გადაწყვეტილებების სიმძიმის ტვირთი დააკისროს მოსახლეობის იმ ნაწილს, რომელსაც იგი არ წარმოადგენს, ანუ ამომრჩევლების მომავალ თაობას.

ამდენად, სუვერენიტეტის დაკარგვა ფინანსურ პოლიტიკაში შეიძლება შეფასდეს როგორც სახელმწიფოს უპირატესობა თუმცა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ სახელმწიფო თავს შეიკავებს ფინანსური პოლიტიკის სფეროში გადაწყვეტილებების მიღებისაგან. როგორც ჩანს, იგი უბრალოდ ორიენტირებული იქნება იმაზე, რომ ქვეყანას მისცეს სტრატეგიული

განვითარების მიმართულება და არა იმაზე, რომ დაფაროს დღევანდელი სახელმწიფოებრივი დანახარჯები.

6.4 გეოფინანსები როგორც სტრატეგიული იარაღი

როგორც წინა პარაგრაფიდან გაირკვა, სახელმწიფომ დაკარგა სუვერენიტეტი ფინანსებზე კონტროლის კუთხით. ასეთი სიტუაცია, სახელმწიფოს აიძულებს ფართოდ გამოიყენოს საგადასახადო პოლიტიკა, როგორც სახელმწიფოებრივი დანახარჯების ჩვეულებრივი ინსტრუმენტი. ასეთი სიტუაცია, სახელმწიფოს საშუალებას აძლევს აღადგინოს თავისი მორალური საფუძვლები. მხოლოდ სახელმწიფო ბიუჯეტის მკაცრი მართვა აქცევს სახელმწიფოს თავისუფალს. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ ის დაყვება ელექტორატის კორპუსის განწყობას, იგი გადაიქცევა იმ ვასალად, რომელიც მუდამ იქნება გატანჯული ფინანსირების წყაროების პერმანენტული ძიებით. ეს ძიება კი უკვე მოხდება ინტერსაციონალიზირებულ ბაზარზე, რომელსაც სახელმწიფო უკვე ვეღარ სთავაზობს თამაშის საკუთარ წესებს. ამ შემთხვევაში უკვე ბაზარი გააკონტროლებს სახელმწიფოს და არა პირიქით. საგარეო კონტროლი სწრაფად ვრცელდება ჯერ ეკონომიკურ, ხოლო შემდგომ სოციალურ სფეროებში. პრაქტიკაში ქვეყნები, რომელთაც გააჩნიათ დიდი საგარეო ვალი და რომლებიც დამოკიდებულნი არიან საერთაშორისო ფინანსურ ბაზარზე, ხშირად კარგავენ პოლიტიკურ თავისუფლებას. ასეთი ქვეყნები იძულებულნი არიან დაეთანხმონ მათი ფულადი პოლიტიკის კონტროლს მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის მხრიდან. ზენაციონალური ინსტიტუტები ამყარებენ თავიანთ წესებს არა მარტო ფინანსურ, არამედ საერთოდ ამ ქვეყნების ეკონომიკურ სფეროში, სამრეწველო პოლიტიკიდან დაწყებული გარემოს დაცვისა და დემოგრაფიული პოლიტიკით დამთავრებული.

კვლევებით მტკიცდება, რომ თუ სახელმწიფოს სურს შეინარჩუნოს სუვერენიტეტი ფართო სპექტრით, მან რაც შეიძლება ცოტა გადაწყვეტილებები უნდა მიიღოს ფულად და ფინანსური პოლიტიკის სფეროში, და რაც შეიძლება მეტი გადაწყვეტილებები, რომელიც ეხება იმ სტრუქტურებს, რომლებიც თავის მხრივ გავლენას ახდენენ ფინანსურ ბაზრებზე. ამდენად, სახელმწიფო იძულებულია თავისი პროდუქტიული „decision – making"–ი გადაიტანოს პოლიტიკიდან გეოპოლიტიკაში, რითაც იგი ნაკლებ, მაგრამ მნიშვნელოვან ბერკეტებს იტოვებს სუვერენიტეტის განხორციელებისათვის ფინანსების სფეროში. (იხ. ცხრ. 6.4)

საერთოდ შეიძლება ვამტკიცოთ, რომ ფინანსების სფეროში სახელმწიფო სუვერენიტეტის მნიშვნელოვანი წილის დაკარგვა საფუძველს უყრის ახალ დისციპლინას–გეოფინანსებს, რომელშიც ფული და ფინანსები თავისთავად გადაიქცნენ თავდაცვით და შემტევ სტრატეგიულ იარაღად და უკვე აღარ წარმოადგენენ სახელმწიფო ინტერესთა შეჯახების უბრალო სფეროს.

წარსულს ჩაბარდა დრო, როცა ფინანსები გამოიყენებოდა იმისათვის, რომ დახმარებოდა ქვეყანას მიეღწია გარკვეული სტრატეგიული მდგომარეობისათვის, მხედველობაში გვაქვს ის გარემოება, რომ ფინანსური დინებების კონცენტრაციისა და მიმართულების განსაზღვრის უნარი გამოიყენებოდა იმისათვის, რათა შექმნილიყო ფართო შიდა ინფრასტრუქტურა (განსაკუთრებით აშშ), ან გამოყენებულიყო სავაჭრო ან სამხედრო–პოლიტიკურ ასპექტში, სუსტად განვითარებული ქვეყნების დაპყრობის მიზნით.

სახელმწიფო სუვერენიტეტის დარჩენილი ბერკეტები ფინანსების სფეროში

ცხრ.6.4

	უკვე აღარ შეიძლება	მაგრამ შეუძლია
1	გავლენა მოახდინოს საპროცენტო განაკეთზე.	მოიპოვოს ბაზრის ნდობა, სტრატეგიული გადაწყვეტილებებით.
2	საბანკო სისტემის მუშაობის კონტროლი.	ცალკეული ბანკების დახმარება მოახდინონ საჭირო მიმართულებით სტრუქტურირება.
3	შიდა დანაზოგების გადაკეტვა.	ისეთი სამართლებრივი პოლიტიკის გატარება, რომელიც ხელს შეუწყობდა ფინანსური პროექტების განხორციელებას და შესაბამისად ინფრასტრუქტურის შექმნისათვის მსხვილი პროექტების განხორციელებას.
4	გაცვლითი კურსის კონტროლი	ისეთი მერკანტილური ან ლიბერალური პოლიტიკის გატარება, რომელიც ზეგავლენას მოახდენს ბაზარზე.
5	ზეგავლენის მოხდენა მსოფლიო ბაზრის ინვესტირების პორტფელის არჩევანზე	ისეთი პოლიტიკის გატარება, რომელიც რეიტინგული ფირმებისა და კომპანიებისათვის შექმნის „ფინანსურ იმიჯს"
6	ბეგარის გადამხდელთა სუბიექტების წინასწარი განსაზღვრა	ისეთი ფინანსური სისტემის აშენება, რომელთა დაქვემდებარებასაც სუბიექტები დათანხმდებიან.

წყარო: Жан К. Савона П. Геоэкономика, госпдство экономического пространства. М., 1997.

ფინასური ბერკეტების გამოყენების იდეა ქვეყნის ინფრასტრუქტურის განმტკიცებისათვის ეკუთვნის ჯ.პ.მორგანს, რომელმაც შექმნა ამავე სახელწოდების ამერიკის საქმიანი ბანკი. მან პირველმა გაიგო და პრაქტიკულად აჩვენა, რომ „დიდი სამუშაოების" ბოლომდე მიყვანა შესაძლებელია არა მხოლოდ

ადამიანური რესურსების (რომლებსაც შეუძლიათ მხოლოდ გარანტიები შეუქმნან სახელმწიფო ხელისუფლებას) კონცენტრაციით, არამედ ფინანსური რესურსების კონცენტრაციითაც, რომელიც შეიძლება უზრუნველყოფილი იქნას კერძო პირების დახმარებით. აღნიშნულის სადემონსტრაციოდ ბ.რ.ფულჩერს[98] მოყავს საინტერესო მაგალითი, კერძოდ XIX ს. მეორე ნახევარში პირველად დაიწყო ე.წ. „ფინანსური კოლონიზაცია", რომელიც განხორციელდა არა სამხედრო შეჭრის ან საეჭრო კონტროლის (მონოკულტურის შეტანა, პორტებსა და კომუნიკაციებზე კონტროლი), არამედ ფინანსური ვასალიტეტის მეშვეობით. ამ მხრივ, ყველაზე უფრო პარადიგმატური შემთხვევა იყო ეგვიპტეზე ფრანგულ-ინგლისური კონდონიუმი, რომელიც დამყარდა 1876 წელს, როცა ეგვიპტემ გამოაცხადა, რომ იგი საგარეო ვალების გადახდას ვერ შეძლებდა. მაშინ ეგვიპტის საგარეო ვალის მომსახურებისათვის შექმნილი იქნა „Caisse de la Dette" ევროპული მართვის ქვეშ, ხოლო ეგვიპტის მთავრობაში შევიდა ინგლისელი რევიზორი, როგორც ფინანსების მინისტრი და ფრანგი რევიზორი, როგორც საზოგადოებრივ სამუშაოთა მინისტრი.

ფინანსური ბერკეტების ძლიერების ამ მაგალითის მიუხედავად, მთელი სიძლიერით გეოფინანსები მაინც მხოლოდ მეორე მსოფლიო ომის შემდგომ იწყებს განვითარებას, რადგან წინა პლანზე მისი გამოსელისათვის, სტრატეგიული იარაღის რანგში, აუცილებელი იყო იმ გარემოებების გათვალისწინება, რომელიც თან ახლდა ამ პერიოდს, კერძოდ: ა) ომის, როგორც სტრატეგიული საშუალების გამოყენება, როგორც სოციალურ–პოლიტიკური, ასევე ეკონომიკური თვალსაზრისით საკმაოდ ძვირი გახდა იმის გამო, რომ დემოკრატიულ სისტე-

---

[98] უფრო დაწვრილებით იხ: Фулчери Бруни Рочча. Геоэкономический фактор в финансовых отношениях с зарубсжными странами / в кн: К.Жак, Савона П. Геоэкономика, Господство экономическоко пространства. М: Ad Marginem. Вып №7.

მებში გადაწყვეტილების მიღების პროცესი სერიოზული სტრუქტურული ნაკლოვანებებით ხასიათდებოდა, მეორეს მხრივ, საზოგადოების ემოციურობისა და ძალის გამო, რომელიც კონტროლდებოდა მასმედიის საშუალებით, მესამეს მხრივ, საზოგადოების მოუმზადებლობით ჩაეხედა სიკვდილისთვის თვალებში, მეოთხეს მხრივ, იმ რისკით, რომ ჩვეულებრივ შეიარაღებულ კონფლიქტს შეიძლება მოეხდინა ბირთვული კონფლიქტის პროვოცირება; ბ) ფინანსური იარაღის გამოყენება გააადვილა საერთაშორისო ეკონომიკური სისტემის შექმნამ, რაც განაპირობა, უპირველეს ყოვლისა, საერთაშორისო ვაჭრობის თანდათანობითმა ლიბერალიზაციამ, რომელმაც მნიშვნელოვნად გაზარდა ქვეყანა–სისტემებს შორის საქონელბრუნვა, რომელიც სულ უფრო მნიშვნელოვანი ფაქტორი გახდა ქვეყნების შიდა კეთილდღეობისათვის.

მეორეს მხრივ, ამ პროცესს ხელი შეუწყო ფულის ცირკულაციის შესაძლებლობებმა, თავდაპირველად „dollar standart-მა", ხოლო შემდგომ ვალუტის თავისუფლმა კონვერტირებამ. და ბოლოს კაპიტალის თავისუფალმა ცირკულაციამ, რომელმაც შესაძლებელი გახადა გარედან მოეხდინა გავლენა შიდა ეკონომიკურ წონასწორობაზე. (ფულის მასაზე, ინფლაციის დონეზე, საგადამხდელო ბალანსზე, ინვესტიციებისა და დანაზოგების ნორმებზე).

სხვა ქვეყნების ფინანსურ სუვერენიტეტზე ზემოქმედება ნიშნავს გავლენა მოახდინო მის სასიცოცხლო ინტერესებზე. თუ „საერთაშორისო ურთიერთობებში აკრძალულია სამხედრო ძალის გამოყენება, ეკონომიკური და განსაკუთრებით ფინანსური ძლიერება ძალისმიერი შეღწევის საშუალებას იძლევა მეტოქე–ქვეყანაში, ისე როგორც ეს შეიძლება გაკეთდეს ტანკებისა და თვითმფრინავების დახმარებით. საწარმოები არ შეიძლება დაბომბო, მაგრამ შეიძლება დახურო, ადამიანები არ შეიძლება მოკლა, მაგრამ შეიძლება უმუშევარი დატოვო და

არსებითად მონებად აქციო[99]." სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ, თუ შეიძლება საუბარი ქვეყანა–სისტემის სამხედრო ძლიერებაზე, მაშინ ზუსტად ასევე შეიძლება საუბარი სტრატეგიულ ფინანსურ სიძლიერეზე, როგორც ეროვნული ინტერესების დაცვისა და სხვა ქვეყნების დამორჩილების ინსტრუმენტზე.

რაც შეეხება ფულად ინსტრუმენტებს (საპროცენტო განაკეთები, ფულის რაოდენობა და კურსი) ისინი საშუალებას იძლევიან ფინანსურმა სახელმწიფო–ჰეგემონმა გავლენა მოახდინოს ვალუტაზე და შესაბამისად არაპირდაპირ ქვეყანა-target-ის რეალურ ეკონომიკაზე, მისი ინფლაციის მაჩვენებელზე, საგადასახადო ბალანსზე და ა.შ. ამ მხრივ საჩვენებელი მაგალითია 1956 წელი, როცა აშშ-მა აიძულა ბრიტანეთი წასულიყო სუეციდან, რისთვისაც აშშ-მა დაასუსტა გირვანქა სტერლინგი და მოახდინა ფასების სასწრაფოდ ზრდის პროვოცირება, განსაკუთრებით იმპორტიულ სასურსათო და სამომხმარებლო საქონელზე. საერთოდ, უნდა შევნიშნოთ, რომ მსგავსი საჩვენებელი შემთხვევა შეიძლება მომხდარიყო ვალუტის არაკონვერტირობადობის პირობებში (ევროპული ვალუტა თავისუფლად კონვერტირებადი, ფუნტ სტერლინგის ჩათვლით, გახდა 1959 წელს) სიტუაციაში, როცა აშშ ბრიტანეთისათვის წარმოადგენდა მსოფლიო ეკონომიკასთან შემაერთებელ რგოლს, რომელიც თავის მხრივ 50%-ით წარმოდგენილი იყო თვითონ აშშ-ით.

ამჟამად, ფულადი ინსტრუმენტის სტრატეგიული მიზნით ზუსტად გამოყენების მსგავსი რამ ძნელად შეიძლება მოხდეს, იმ შემთხვევის გარდა, როცა ეს ინსტრუმენტები გამოიყენება პატარა და ღარიბი განვითარებადი ქვეყნების მიმართ, რომელებიც კვაზიცალმხრივი კავშირებით დაკავშირებულია ნეოკოლონიალურ სახელმწიფოებთან (აშშ, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი და რუსეთი). ყველა დანარჩენ შემთხვევაში ფულადი

[99] Jean C. Geopolitica, Latena, Ban 1995, p141.

ინსტრუმენტის გამოყენება სტრატეგიული იარაღის რანგში დიდ რისკთანაა დაკავშირებული.

ფულადი ბერკეტების გამოყენება, რომელსაც გააჩნია მასობრივი და არაკონტროლირებადი ხასიათი განსაკუთრებით საშიშია გეოფინანსურ კონტექსტში, ანუ იმ კონტექსტში, რომელშიც სახელმწიფო მუდმივად ეჯახება ბაზრის ოკეანეს. სადაც, ისეც ხდება, რომ დევალვაცია, რომელიც აუცილებელია ვალუტის რეალური ღირებულების გამოთანაბრებისათვის, აღიქმება როგორც დაზავების მოთხოვნა, რომელსაც მოყვება მთელი არმიის დაშლა, რამაც შეიძლება წარმოქმნას ჯაჭვური დევალვაცია. მეორეს მხრივ, ხდება საპროცენტო განაკვეთების მნიშვნელოვანი აწევა, რომლის მიზანია ეროვნული ვალუტის კურსის დაწევაზე საერთაშორისო სპეკულიანტების მხრიდან აგრესიის მოგერიება. იმის მაგივრად, რომ ეს პროცესი აღიქმებოდეს როგორც გადაწყვეტილება იბრძოლო ბოლომდე, იგი შეიძლება გაგებული იქნას, როგორც გამანადგურებელი დარტყმა სახელმწიფო ყალის მომსახურებაზე.

გეოფინანსური მიდგომა „capital market"-ის ინსტრუმენტების მიმართ, როგორც კრედიტორის ასევე დებიტორის თვალსაზრისით, ნიშნავს იმ შედეგების განხილვას, რომელიც შეიძლება არ იყოს არც ფინანსური არც ეკონომიური ხასიათის და შეიძლება მომდინარეობდეს გადაცემის ისეთი მძლავრი არხის გაღებისას, როგორიცაა ფინანსური დავალიანება. ამდენად, სახელმწიფო ხაზინამ წინდახედულობა უნდა გამოიჩინოს, რათა მოახდინოს „ოქროს შუალედი"–ს განსაზღვრა შიდა (კრედიტორები თვით ქვეყნის მოქალაქეები არიან) და გარე (კრედიტორები უცხო სახლმწიფოები ან მოქალაქეები არიან) დავალიანებებს შორის. შიდა დავალიანება ძირითადად კონტროლს ექვემდებარება სახელმწიფოს მხრიდან და მძიმე სიტუაციაში შეიძლება მისი მონეტარიზება, ანუ სახელმწიფოს თავისუფლად შეუძლია ზიანი მიაყენოს ეროვნულ კრედიტორებს, დაუბრუნოს მათ გაუფასურებული ფული. მაგრამ შიდა დავალიანებას

ბანკებიდან მაინც გააქვს ანაბრები და აიძულებს მას გაზარდოს თავისი საპროცენტო განაკვეთები. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, შიდა დანაზოგების გაცემულ დონეზე, რასაც მეტს მიითვისებს სახელმწიფო, მით ნაკლები დარჩება კერძო ეკონომიკისა და მთლიანად საწარმოებისათვის, ანუ გარკვეული ზღვარის შემდეგ შიდა დავალიანება გადაიქცევა ეკონომიკური ზრდის საფრთხედ.

რაც შეეხება საგარეო დავალიანებას, იგი უმატებს დანაზოგებს ქვეყანა – სისტემას (ფული, რომლის ეკონომიაც მოხდა სხვა ქვეყანა–სისტემაში, შედის ეროვნული ეკონომიკის ბრუნვაში). კაპიტალზე მოთხოვნილება მოცემულ დონეზე, შიდა და გარე კრედიტების გამოყენების შესაძლებლობა დაბლა სწევს კაპიტალის ღირებულებას თუნდაც კონკურენციის მიზნით (რომელშიც შედიან საერთაშორისო ბანკები), რომ მიიღონ სახსრების მოზიდვის ოპერაციების ორგანიზაციაზე მანდატი.

ქვეყანაში რისკის დონის შეფასება განსაზღვრავს კაპიტალის სხვადასხვა ღირებულებას. ამდენად, გლობალურ ცივილიზაციაში, რომელშიც ბატონობს დარწმუნების ძალა, მასობრივი ინფორმაციის საშუალებით, სასურველი იმიჯის შექმნა განპირობებულია არა უბრალოდ ეროვნული სიამაყე, არამედ იგი ხდება განსაზღვრული ელემენტი ბაზარზე პოზიტიური ორიენტაციისათვის. მთავრობათა არასტაბილურობა, გადაწყვეტილება ცვალებადობა, პოლიტიკური აქციების გაურკვევლობა, დაუყონებლი ნეგატიურად აისახება საერთაშორისო ბაზარზე და პირიქით, სერიოზულობა და თანმიმდევრული პოლიტიკა დაბლა სწევს კრედიტის ღირებულებას და აფართოებს შესაძლებლობებს.

პარადოქსალურია, მაგრამ ფაქტია, რომ დასავლეთ ევროპის მემარჯვენე პარტიები ნაკლებად არიან დაინტერესებულნი საერთაშორისო იმიჯის შექმნის პოლიტიკით იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ისინი ნაკლებად არიან დაინტერესებულნი

სახელმწიფო ხარჯების მაღალი დონის შენარჩუნებით და შესაბამისად, ნაკლებად საჭიროებენ საერთაშორისო ბაზარს.

კრედიტთან დაკავშირებული ინსტრუმენტები განსხვავდებიან capital market-ის ფინანსირებისაგან. კრედიტორს შეუძლია, მისი გამოყენება იმ მიზნით, რომ მოახდინოს ქვეყანა „target"–ში, პოლიტიკურ სტაბილურობასა და შინაგან თანხმობაზე ზეგავლენა. კრედიტორი შეიძლება იყოს საჯარო (სახელმწიფო ან ზენაციონალური ორგანიზაცია) ან კერძო სუბიექტი (მაგალითად მრავალეროვანული კომპანია ან მოქალაქეთა ასოციაცია). ქვეყანა target–ში შიდა დაძაბულობის განმუხტვის ან მისი გაძლიერების კატალიზატორი შეიძლება იყოს საგარეო სესხები, რომელსაც თუნდაც შეზღუდული სიდიდის პირობებშიც შეიძლება ჰქონდეს დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა, თუ იგი მიმართულია სპეციფიკური სიტუაციის შეცვლისაკენ, კერძოდ:

• საერთაშორისო ფინანსური ინსტრუმენტები შეიძლება გამოყენებული იქნას გარკვეული პოლიტიკური, ეკონომიკური, ეთნიკური ან რელიგიური ჯგუფების მხარდასაჭერად. მაგალითად, დახმარება სენეგალის განვითარებისათვის, რომელიც გამოიხატება ისეთი დარგის ინვესტირებაში, როგორიცაა ბრინჯის წარმოება, მხარს უჭერს მუსლიმანურ საზოგადოებას, ხოლო დახმარება, რომელიც მიმართულია მესიმინდეობის განვითარებისათვის მხარს უჭერს ქრისტიანობას. ასეთი დახმარებები როგორც წესი ნეიტრალური არასოდეს არ არის.

• რამდენიმე მილიონიანი სესხი შეიძლება გადამწყვეტი აღმოჩნდეს, თუ იგი მიმართულია იმ დაძაბულობის განმუხტვისაკენ, რომელიც გამოწვეულია სამომხმარებლო საქონლის უკმარისობით (განსაკუთრებით სასურსათო). ეს სიტუაცია ძირითადად დამახასიათებელია განვითარებადი ქვეყნებისათვის. ასეთი ვითარება შეინიშნებოდა ალჟირში და ტუნისში (პურის ბუნტი) 1980-იანი წლების ბოლოს, ასევე ალბანეთიდან (1991-1992 წწ.) მასობრივი მიგრაციით;

კიდევ უფრო შეზღუდული სესხები შეიძლება პოლიტიკურად მნიშვნელოვანი იყოს, თუ ისინი მიმართულია ქვეყანა target–ის საგანმანათლებლო პროგრამების ფინანსირებაზე, ამ შემთხვევაში ისინი ხელს უწყობენ იმ ანტაგონისტური დამოკიდებულების შექმნას, რომელიც შეიძლება ჩამოყალიბდეს უცხოეთსა და ქვეყანა target–ს შორის. ამის მაგალითია ავსტრიის მთავრობის სტიპენდიები, რომელსაც ის აძლევს გერმანული წარმოშობის სტუდენტებს იტალიის პროვინცია ბოლცანოში;

• ხანდახან საერთაშორისო ან ზენაციონალური სესხები მიმართულია მრეწველობის ან ინფრასტრუქტურის (სამუშაო ადგილების შემდგომი შექმნისათვის) განვითარებისათვის, სპეციფიკურ და შეზღუდულ ზონებში, რომლებიც შეადგენენ პოლიტიკური ლიდერების პოლიტიკური ხელისუფლების საფუძველს. მაგალითად ასეთი ვითარება შეინიშნებოდა მაშინ როცა აშენდა ახალი კაშხალი ფილიპინებზე, ეს იყო მეგაპროექტი, რომელიც ითვალისწინებდა ელექტროენერგიისა და წყლის მიწოდებას (ირიგაციის მიზნით) იმ გლეხებისთვის, რომლებიც წარმოადგენდნენ პრეზიდენტ რამოსის საარჩევნო ოლქს;

• საერთაშორისო სესხი ასევე შეიძლება მოგვევლინოს პოლიტიკური სიგნალის რანგში ყველა კომერციული სტრუქტურებისათვის და შესაბამისად გახდეს მუხრუჭი ან მქნევარა ორ ქვეყანას შორის გაცვლებში. მაგალითად, ასუანის კაშხლის ფინანსირებისას მოხდა ეგვიპტის, ამერიკის გავლენის სფეროდან საბჭოთა კავშირის გავლენის სფეროში გადანაცვლება და ა.შ.

თავი VII. ეროვნული სახელმწიფოს გეოეკონომიკური პარამეტრები გლობალიზაციის პირობებში

7.1 ეროვნული სახელმწიფოს ძირითადი პრობლემები

მსოფლიო ეკონომიკური სივრცე ჩამოყალიბდა ახალი ათასწლეულის დაწყებამდე გაცილებით ადრე. მაგალითად 1890–1914 წწ. ასეთი სივრცე არსებობდა ევროპის გარშემო და მოიცავდა აშშ, იაპონიას, რუსეთს და დედამიწის იმ ნაწილებს, სადაც ბატონობდნენ დასავლეთის სახელმწიფოები.

ამ თვალსაზრისით XX ს. მიწურულის სპეციფიკა შეიძლება დავახასიათოთ სამი ფაქტორით: 1. მიმდინარეობს სახელმწიფოთა ურთიერთდამოკიდებულების სწრაფი ზრდა; 2. ცალკეული ქვეყნების ეკონომიკის დარგები მუშაობენ არა იმდენად ეროვნულ, რამდენადაც საერთაშორისო ბაზრისათვის; 3. სახელმწიფოთა უმეტესობა საკუთარ მომავალს უკავშირებს ხელისუფლების უნარს, თუ რამდენად და რა ხარისხით შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ საერთაშორისო ტექნოლოგიურ-ეკონომიკურ კონკურენციაში. ამავდროულად უნდა შევნიშნოთ, რომ გეოეკონომიკური თვალსაზრისით თანამედროვე გლობალური ეკონომიკური სივრცე არსებითი არაერთგვაროვნებითა და ფრაგმენტაციის მძლავრი ტენდენციებით ხასიათდება. მიმდინარეობს სახელმწიფოთა ინტეგრაცია ერთიან ეკონომიკურ სისტემაში, თუმცა მათ განსხვავებული სასტარტო პოზიციები აქვთ ამ სისტემაში მოსახვედრად. სახელმწიფოები და სახელმწიფო საზღვრები არსებობას განაგრძობენ. ისინი ინარჩუნებენ საზღვრის რეჟიმის საკანონმდებლო რეგულირების უფლებას. განვითარების თანამედროვე ეტაპზე, პლანეტარული ეკონომიკური ინტეგრაცია და ერთიანი ბაზრის იდეოლოგია ჯერჯერობით უძლურია წაშალოს საზღვრები, განსაკუთრებით იმ სფეროში სადაც პოლიტიკას და ეკონომიკას კორექტივების შეტანა ჯერჯერობით არ შეუძლიათ. მხედველობაშია მსოფლიოს კულტურული და რელიგიური საზღვრები.

ამდენად, სახელმწიფო ჯერჯერობით (და ალბათ მომავალშიც) კვლავ დარჩება ტერიტორიულ წარმონაქმნად, რომელიც ვალდებულია იზრუნოს და პასუხი აგოს საკუთარი მოსახლეობის კეთილდღეობაზე. XXI ს. დასაწყისმა სახელმწიფო ურთულესი ამოცანის წინაშე დააყენა, რაც განაპირობა ტრანსნაციონალიზაციის პროცესებმა, რომელიც იმაში მდგომარეობს, თუ როგორ მოახერხებს იგი შეინარჩუნოს საკუთარი ტერიტორია და მოსახლეობა ახალ გეოეკონომიკურ სივრცეში ფუნქციონირების პირობებში. ეს უკანასკნელი კი სახელმწიფოს მთლიანობას სერიოზულ საფრთხეს უქმნის.

ცნობილია, რომ კლასიკური გაგებით საგარეო საფრთხე მდგომარეობს სახელმწიფოს ტერიტორიის მიტაცების მცდელობაში. ამ შემთხვევაში სახელმწიფო მზად უნდა იყოს პასუხი გასცეს გარე აგრესიას. იმავდროულად ეროვნულმა იდეამ, რომელსაც ეფუძნება ეროვნული სახელმწიფო, უნდა შეინარჩუნოს თავისი მნიშვნელობა, იმის მიუხედავად, რომ გეოეკონომიკური მეტოქეობა აიძულებს სახელმწიფოებს სხვაგვარად შეხედონ თავის ტერიტორიას. ამჟამად ნაკლებადაა საუბარი სახელმწიფოს სპეციფიკის დაცვასა და შენარჩუნებაზე, პირიქით აუცილებელი ხდება სახელმწიფოს მაქსიმალურად გაღება და კონკურენტულ ბრძოლაში მაქსიმალური სარგებლის მიღებისათვის პირობების შექმნა. მაგალითად, იმის მიუხედავად, რომ უცხოური პირდაპირი ინვესტიციები ეროვნულ ეკონომიკებს დამოკიდებულს ხდიან გადაწყვეტილებებზე, რომელიც მიიღება ეროვნული სახელმწიფოს საზღვრებს გარეთ, წარმოადგენენ ეროვნული სახელმწიფოს მსოფლიო ბაზარზე ინტეგრაციის მნიშვნელოვან ფაქტორებს და შესაბამისად – ქვეყნის განვითარების მნიშვნელოვან პირობას.

განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში თვით სუვერენიტეტის ფუნდამენტალური ატრიბუტები (კანონმდებლობა, საგადასახადო პოლიტიკა, მართლწესრიგი, გა-

ნათლება და ა.შ) საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის კუთხით სერიოზულ გადახედვას საჭიროებს.

ასეთ პირობებში, ბუნებრივია, ჩნდება არცთუ მარტივი კითხვები, კერძოდ რამდენად ზარალდება ეროვნული სახელმწიფოს სუვერენიტეტი ახალ გეოეკონომიკურ სივრცეში? გაგრძელდება თუ არა იგი თავის ლოგიკურ დასასრულამდე, ანუ ეროვნულ სახელმწიფოს გადაქცევამდე რაღაც სიმბოლოდ, რომელიც მხოლოდ მსოფლიოს ადმინისტრაციულ-პოლიტიკური დაყოფის რუკაზე იქნება დატანილი? რამდენად კორექტულია ეროვნული სახელმწიფოს პრეროგატივის შეპირაპირება ტრანსნაციონალიზაციის პროცესებთან და თუ ასეთი შეპირაპირება მოხდება მაშინ რა მეთოდებით?

თანამედროვე მეცნიერულ დისკუსიებში ჯერჯერობით ვერავინ ბედავს ამტკიცოს, რომ ერი-სახელმწიფოს როლის შენარჩუნება უკეთესია (თუ არ ჩავთვლით იტალიური გეოეკონომიკური სკოლის წარმომადგენლებს). თუმცა დისკურსის ლოგიკის შესაბამისად გამოდის, რომ ოპტიმიზმი ახალი გეოეკონომიკური სივრცის პერსპექტივასთან დაკავშირებით გაიგივებულია ეროვნული სახელმწიფოს მომავლის პესიმისტურ შეხედულებასთან.

7.2 ეროვნული სახელმწიფოს დაკნინება

დღეისათვის ყველა ანალიტიკოსი აღიარებს, რომ თანამედროვე გეოეკონომიკური სივრცე, გლობალიზაციის ძალების გავლენით, ზღუდავს ეროვნული სახელმწიფოს კომპეტენციას, თუმცა ამ მოვლენის მასშტაბები სხვადასხვაგვარადაა შეფასებული. არსებობს მოსაზრება, რომ ეროვნული სახელმწიფო შეიძლება გადაიქცეს „ამძრავ ღვედად" და მსოფლიო ფონზე იგი დაემსგავსება მუნიციპალიტეტს, რომელსაც მხოლოდ ბიზნესისათვის აუცილებელი ინფრასტრუქტურის შექმნისათვის

ხელის შეწყობის ფუნქცია ექნება[100]." განსაკუთრებული რადიკალიზმით გამოირჩევა კ. ომე, ავტორი წიგნებისა "მსოფლიო საზღვრებს გარეშე" და "ეროვნული სახელმწიფოს დასასრული"[101] ამ ავტორის მეორე წიგნი საერთაშორისო ბიზნესის ინტერესებისადმი ეროვნული სახელმწიფოს დაქვემდებარების ისეთივე მანიფესტია, როგორიც იყო ამერიკელი ფუტუროლოგის ჯ. ნესბიტის წიგნები, სადაც ავტორი ამტკიცებდა გლობალური ეკონომიკური ბუმის მოახლოებას და კულტურულ აყვავებას[102].

ამ მეცნიერთა აზრით სახელმწიფო გადაიქცევა ასე ვთქვათ "ნოსტალგიურ ფუნქციად." იგი შეიძლება ინარჩუნებდეს პოლიტიკურ დატვირთვას, მაგრამ სრულ დევალვაციას განიცდის ეკონომიკური კუთხით. უფრო მეტიც კ. ომე ზემოთ აღნიშნულ გამოკვლევებში გვთავაზობს, რომ უარი ვთქვათ „კარტოგრაფიულ ილუზიებზე" და შეეგუოთ ეკონომიკური საზღვრების წაშლის გარდაუვალ პროცესს, რომელზეც 4 ფაქტორი ზემოქმედებს: 1. ინვესტიციები; 2. ინდუსტრია; 3. ინფორმაციული ტექნოლოგიები; 4. ინდივიდუალური მოთხოვნილება. მეცნიერს საკმაოდ დამაჯერებელი არგუმენტები მოჰყავს ამ ფაქტორების ეროვნული სახელმწიფოების საზღვრებზე ზემოქმედების გაძლიერებისა. იგი მართალია იმაში, რომ სახელმწიფოს ფისკალური ფუნქცია მნიშვნელოვნად რთულდება იმ პირობებში, როცა ელექტრონული საშუალებების გამოყენებით, კაპიტალს მომენტალურად შეუძლია გადაკვეთოს რამოდენიმე

---

[100] Cox. R.W. Global perestroika /Approaches to world Order/ R.W.Cox, T. J. Sinclair (eds). Cambridge,1996. P. 302; Hirst P. Tompson G. Globalization and the Future of the Nation State // Economy and Society L. 1995. Vol. 24, #3, p.44.

[101] უფრო დაწვრილებით იხ: Ohmae K. The Borderless World:Power and Strategy in the Interlinked Economy. N.Y. 1990;Iden The End of the nation state: The Rise of Regional Economics. L. 1995.

[102] უფრო დაწვრილებით იხ: Naisbitt J. Aburdene P. Megatrends 2000: The Next Ten Years L, 1990; Naisbitt J.Global Paradox: The Bigger the World Economy, the More Powerful Its smaller Players.N.Y. 1994.

ათეული სახელმწიფო საზღვარი (ოფშორული ზონების ჩათვლით). სრული სიმართლეა ისიც, რომ სახელმწიფოებს შიგნით აღმოცენდება მეგაპოლისები და ტერიტორიები (გაიხსენეთ I თავიდან), რომელთაც კ. ომე რეგიონ–სახელმწიფოებს უწოდებს. ამ მეგაპოლისებისა და ტერიტორიების ეკონომიკა ქვეყნის სხვა ტერიტორიებისაგან დამოუკიდებლად და საკმაოდ წარმატებულადაც ვითარდება. (მაგალითად, ჩრდილოეთი იტალია, ბადენ-ვიურტემბერგის მიწა გერმანიაში, სილიკონიველი და სან-ფრანცისკო აშშ და ა.შ.). საინტერესო ფაქტია, რომ ზოგიერთი „რეგიონი-სახელმწიფო" თავის თავში აერთიანებს სხვა ქვეყნის მიწებსაც (მაგალითად, აშშ და მექსიკაში არსებულ სან-დიეგოსა და ტიუჰანს შორის ტერიტორიები). „თუ ტოკიო და მისი მიმდებარე სამი პრეფექტურა შექმნიდა დამოუკიდებელ სახელმწიფოს, წერს კ. ომე, იგი მესამე ადგილს დაიკავებდა მსოფლიო აშშ და გერმანიის შემდეგ ერთობლივი შიდა პროდუქტის საერთო მოცულობით, ხოლო იაპონიის მეორე რეგიონი, რომელიც აერთიანებს ოსაკას, კობეს და კიოტოს, აღმოჩნდებოდა მეექვსე უშუალოდ დიდი ბრიტანეთის შემდეგ[103]".

აზიის ფინანსურმა კრიზისმა აჩვენა, რომ კ. ომეს ოპტიმისტური შეხედულებები იაპონიაზე, აშკარად გადაჭარბებულია. ეროვნული-სახელმწიფოს სისუსტის მთავარ ნიშნად კ. ომე მიიჩნევს ტრანსნაციონალური ბიზნესის სიძლიერეს, საიდანაც გამომდინარეობს საპირისპირო, კერძოდ სახელმწიფოს სიძლიერეს შეესატყვისება ტრანსნაციონალური კორპორაციებისა და მსოფლიო ბაზრების სისუსტე. აღნიშნული კი საკმაოდ სადაო საკითხია, რაც კარგად აქვს შენიშნული ს. სასენს.[104] მიგვაჩნია, რომ ამ შემთხვევაში საუბარი უნდა იყოს იმაზე, რომ ახალ გეოეკონომიკურ სივრცეს სახელმწიფოს ფუნქცია ში ახეს იცვლის (ტრანსფორმირდება), რაც იმაში გამოიხატება, რომ

---

[103] Ohmae K. The End of the Nations State. p. 80.

[104] Sassen S. Losing Control?: Sovereignty in an Age of Globalization. N.Y. 1996.

კარგავს რა ნაწილობრივ ეკონომიკის რეგულატორის ფუნქციას, იგი ინარჩუნებს ტერიტორიასა და მოსახლეობაზე კონტროლს ისეთ სფეროებში, როგორიცაა: კანონიერების დაცვა, საზღვრების ურღვევობა, საპასპორტო და საიზიტო რეჟიმი, პოლიტიკა და ა.შ.

ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინსტიტუტები და საერთაშორისო ეკონომიკური ინსტიტუტები ევოლუციას განიცდიდნენ ურთიერთშემავსებელი და პარალელური პროცესების ფორმით. თუ თანამედროვე გეოეკონომიკურ სივრცეს განიხილავთ კაპიტალიზმის მსოფლიო სისტემის განვითარების ჩარჩოებში, აშკარად ხდება, რომ ეროვნული სახელმწიფოს სუვერენიტეტის შემცირება, ეკონომიკის სფეროში, წარმოადგენს განვითარების მხოლოდ ფაზას, რომელშიც ხდება ნეოლიბერალური იდეების რეალიზაცია. მაგალითად ზოგიერთი მეცნიერი თვლის, რომ გეოეკონომიკური სივრცის „გლობალიზებული განვითარება" არის კაპიტალიზმის განვითარების სტაბილიზაციის ახალი ფორმა, რომელიც ეფუძნება კაცობრიობის დაყოფას პირველ, მეორე და მესამე სამყაროებად[105]. ზოგიერთი მეცნიერი გლობალიზაციაში საერთოდ ამჩნევს ეკონომიკური პოლიტიკის დერეგულაციის „გვერდით ეფექტს", რომელსაც სახელმწიფო იმისათვის ატარებს, რომ უფრო ეკონომიურად დახარჯოს ბიუჯეტის სახსრები სოციალურ პროგრამებზე[106]. მართლაც, ერთ შემთხვევაში ეროვნული სახელმწიფოები შეგნებულად და მიზანმიმართულად ზრდიან სოციალურ ხარჯებს, ხოლო მეორე შემთხვევაში კი ამცირებენ მას. სწორედ ამიტომ, თუ სახელმწიფოს მონაწილეობა ეკონომიკის სფეროში სუსტდება, ხოლო ფისკალური პოლიტიკა სუსტია, ეს უფრო იმაზე მეტყველებს, რომ მოცემული სახელმწიფო სისტემა სუსტდება მოცემულ

---

[105] · Mc Michael Ph.Globalization: Myths and Realities //Bural Sociology. 1996. Vol. 61. #1, p. 25-61.

[106] Scott A. Globalization: Social Process or political Rhetoric?//The Limitsof Globalization: Cases and Arggments. L. N.Y,1997

კონკრეტულ სიტუაციაში და არა იმაზე, რომ იზღუდება ეროვნული სახელმწიფოს, როგორც ასეთის, სუვერენიტეტი. ეს გვაგონებს ცნობილი "ქათმისა და კვერცხის" პრობლემას, რომელიც ძალიან ახლოა გლობალიზაციასა და დერეგულაციას შორის კავშირის პრობლემასთან, იმ პირობით, რომ ეროვნული სახელმწიფო მართლაც შეიძლება განვიხილოთ როგორც დერეგულაციის, ასევე გლობალიზაციის აგენტად. აღნიშნულ კონტექსტში ბუნებრივად იბადება ორი ძირითადი კითხვა: 1. ხომ არ ანადგურებს თავის თავს ეროვნული სახელმწიფო? და 2. სად გადის მსგავსი თვითგანადგურების ზღვარი? ამ კითხვებზე პასუხი ერთი შეხედვით თითქოს ძალიან მარტივი და ბუნებრივია რადგან სახელმწიფოს კოლაფსში დაინტერესებულია ტრანსნაციონალური კაპიტალი. თუმცა გლობალიზაციის აპოლოგეტებსაც კი კარგად ესმით, რომ როგორც ეროვნული, ასევე ტრანსნაციონალური კაპიტალი საჭიროებს სახელმწიფო ინსტიტუტებისა და ნორმების გამოყენებას. თვით კ. ომეც კი რომელიც "ეთაყვანება" რეგიონი–სახელმწიფოს იდეას, როგორც ეკონომიკის ლოკომოტივს, რომელიც თავისკენ იზიდავს სხვა შიდაეროვნულ ტერიტორიებს, დასაშვებად მიიჩნევს, რომ "თუ ცენტრალური ხელისუფლება სწორ პოლიტიკას გაატარებს (იგულისხმება სახელმწიფოს მხრიდან ისეთი პირობრბის შექმნა, რომელიც მაქსიმალური სარგებლის მიღებას უზრუნველყოფს-გ.კ.) დაწინაურებული და წარმატებული რეგიონები სავსებით შესაძლებელია ეროვნული სახელმწიფოების მეგობრები გახდნენ"[107]

პ. ჰერსტი და გ. ტომპსონი აღნიშნავენ, რომ ტრანსნაციონალური კორპორაციების უმეტესობა ფლობენ რა ბაზებს ეროვნულ ეკონომიკაში, პირდაპირ არიან დამოკიდებულნი ეროვნულ სახელმწიფოებზე. ეს ავტორები საესებით მართლები არიან როცა აღნიშნავენ, რომ რამდენადაც გლობალური არ უნდა

[107] · Ohmae K. The End of the Nation State. p. 100.

იყოს ტრანსნაციონალური კორპორაციების ოპერაციები, ამ კორპორაციებს არ შეუძლიათ შეიქმნან ყველა საჭირო პირობა ეროვნული ტერიტორიების შიგნით. უფრო მეტიც, რაც ფართოა ტრანსნაციონალური კორპორაციის ექსპანსია სუვერენულ სახელმწიფოებში, მით უფრო მეტად ხდებიან ეს კორპორაციები დამოკიდებულნი დაინტერესებული ქვეყნების თანხმობაზე იმ შემთხვევაში, როცა საკითხი ეხება საერთაშორისო ბიზნესის მართვასა და მის პრინციპებს, ნორმებსა და მიზნებს. მაგალითად, იაპონელი მენეჯერები (და არა მარტო ისინი გ.კ.) თავიანთ ფირმებში ემხრობიან მონოეროვნული სოციალური გარემოს შენარჩუნების ტრადიციას, რაც შეუძლებელია სახელმწიფოს რეგულირებადი ფუნქციის გარეშე[108]. ს. ამინი გლობალიზაციის კონცეფტში ხედავს რეაქციულ უტოპიას. დგას რა მემარცხენე რადიკალურ პოზიციაზე, მისი რიტორიკის აშკარა ბანალურობის მიუხედავად, ეს ავტორი მართალია როცა აცხადებს, რომ ტრანსნაციონალიზაციამდე ეროვნული სახელმწიფოები სტიმულს აძლევდნენ ინვესტიციების შემოდინებებს ქვეყანაში როცა ეს სახელმწიფოს ინტერესებით იყო ნაკარნახევი და პირიქით ხელს უშლიდნენ ინვესტირებას თუ იგი არ ემსახურებოდა ეროვნული სახელმწიფოს ინტერესებს[109]. ზემოთაღნიშნული ავტორის მოსაზრებაზე საინტერესო დაკვირვებას ახდენს ს. სასენი. „ამერიკის მთავრობამ – წერს იგი, არაერთხელ გამოიყენა თავისი პოლიტიკური ბერკეტები და სამხედრო დახმარება გაუწია რიგ განვითარებად ქვეყნებს (მაგალითად, დომინიკის რესპუბლიკა, სალვადორი, ფილიპინები, ჩილე და ა.შ.), იმისათვის რომ გაეკონტროლებინა ამ ქვეყნებიდან მომავალი იმიგრაციული დინებები, რაც სულაც არ მოწ-

---

[108] Hirst P., Thompson G. Globalization in Question: The International Economy and the Possibilites of Governance. Cambridge. Polity Press, 1996.

[109] Amin S. Capitalism in an Age Globalization: The Management of Contemporary Society. L.1997.

მობს იმას, რომ ამერიკის სახელმწიფო მანქანა სუსტია". რეალურად, გლობალური განვითარებისა და ეროვნული პოლიტიკის კავშირის სურათი გაცილებით რთულია. მხედველობაში გვაქვს ის გარემოება, რომ ეროვნული სახელმწიფოს გაძლიერება ერთ სფეროში, ხშირად იწვევს მის შესუსტებას მეორეში. 1980-იანი წლების დასაწყისში აშშ ბიუჯეტიდან ყოველწლიურად ხარჯავდა 3 მილიარდ დოლარს, ამერიკულ შაქარზე ფასების შენარჩუნების მიზნით, რათა შეესუსტებინა კონკურენცია კარიბის ზღვის აუზის ქვეყნების მხრიდან. საბოლოო ჯამში 1982–1988 წწ. კარიბის ზღვის აუზის ქვეყნებში დაიხურა 400 ათასი სამუშაო ადგილი, ხოლო შედარებით იაფმა მუშახელმა კი ამერიკაში გადაინაცვლა.[110] აღნიშნული ფაქტი კიდევ ერთხელ ადასტურებს ზემოთ გამოთქმულ მოსაზრებას, რომ ეროვნული სახელმწიფოს გაძლიერება ერთ სფეროში ჯერ კიდევ არ ნიშნავს მის საერთო სიძლიერეს.

7.3 ეროვნული სახელმწიფოს ადგილი გლობალიზირებად მსოფლიოში

სამეცნიერო ლიტერატურაში მკვლევართა უმეტესობა გლობალიზაციას (ისევე როგორც თავის დროზე მოდერნიზაციას, ინტეგრაციასა და ცენტრალიზაციას) განიხილავს იმ პროცესებთან ორგანულ კავშირში, რომელთაც გააჩნიათ საწინააღმდეგო მიმართულება, ანუ დივერგენტული ტენდენციების გათვალისწინებით.

გლობალიზაცია – აღნიშნავს ე. გიდენსი – წარმოადგენს „არათანაბარი განვითარების პროცესს, რომელიც ერთდროულად ანაწევრებს და ამთლიანებს"[111] მ. უოტერსმა ჩამოაყალიბა თანამედროვე მსოფლიოს ჰეტეროგენური ცვლილებების თეორემა, რომელშიც „მატერიალური ურთიერთკავშირები ლოკალიზდება, პოლიტიკური ურთიერთკავშირები ნაციონალი-

[110] Sassen S. Losing Control? p. 79.
[111] Giddens A. The Consequences of Modernity. Cambrige, 1990. p 175.

ზდება, ხოლო სიმბოლური ურთიერთკავშირები გლობალიზდება"[112]. პროცესების ამგვარ დახასიათებაზე შეიძლება ვიკამათოთ, თუნდაც იმიტომ, რომ მასში აშკარად იგრძნობა გლობალიზაციის კონცეფციის ერთ-ერთი არქიტექტორის რ. რობერტსონის გავლენა, რომელიც გლობალიზაციას, უპირველეს ყოვლისა, მიაკუთვნებდა "კულტურისა და ადამიანის შემეცნების სფეროს"[113]. ამის მიუხედავად მ. უოტერსის „თეორემაში" ჩადებული ტენდენციების დივერსიფიკაციის თეზისს, ვფიქრობთ, არსებობის უფლება გააჩნია.

ეროვნული სახელმწიფოს მიმართ ასეთი მიდგომა გულისხმობს სხვადასხვა მხარეს მიმართული ვექტორების ურთიერთქმებებას. ჯ. როზენაუ ჯერ კიდევ 18 წლის წინ წერდა, რომ „ეროვნული სახელმწიფოები კვლავაც დარჩებიან საერთაშორისო ცხოვრების მთავარ სუბიექტად"[114] ერთი წლის შემდეგ კი ჯ. როზენაუ იმ დასკვნამდე მივიდა, რომ გლობალური სტრუქტურების გარემოში აღმოცენდა ორი მსოფლიო „სახელმწიფოცენტრისტული" (სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობების სფერო–გ.კ.) და „მულტიცენტრისტული" (საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციები, ტრანსნაციონალური ბანკები, კორპორაციები, ბაზრები და ა.შ. - გ.კ.)[115] 1998 წ. იგი აღნიშნავდა, რომ გაეროს შეუძლია შეასრულოს ხიდის როლი, რომელიც ერთმანეთთან დააკავშირებს ამ ორ მსოფლიოს, ვინაიდან როგორც ეს მეცნიერი თვლის „ინტეგრაციისა და ფრაგმენტაციის ზოგადპლანეტარული ტენდენციები განუყოფელია"[116]. მართლაც თანამედროვე მსოფლიოში ინტეგრაცია და გალობ-

---

[112] Waters M. Globalization. L, N.Y, 1996. p. 9.
[113] Robertson R. Globalization. L., 1992. p.8.
[114] Rosenau. J. Study of Global Interdependence. N.Y. 1989. p.2.
[115] Rosenau J. Turbulence in World Politics. Princeton, 1980.
[116] Rosenau J. Powerful Tendencies, Enduring Tensions and Glaring conteadictions: The United Nations in a Turbulent Word // Between Sovereignty and Global Covernance: The UN, the State and Civil society. Houndmills, N.Y. ete, 1998. p. 259-260.

ალიზაცია წარმოადგენენ დომინანტ პროცესებს, რომლებიც მომავალში განსაზღვრავენ მსოფლიოს სახეს, თუმცა ეს ისე არ უნდა გავიგოთ, რომ ეროვნული სახელმწიფო საერთოდ გაქრება და აღარ იარსებებს.

ზემოთაღნიშნულ მოსაზრებას იზიარებს მეცნიერთა უმეტესობა. ს. კაიატეკინმა და დ. რუჩომ გამოყო თანამედროვე მსოფლიო სუბიექტურობის ორი საბაზო მოდელი:

•ეროვნულ–კეინსიანური (ეფუძნება კეთილდღეობის სახელმწიფო იდეას–გ.კ.)

•გლობალურ–იმპერატიული (განპირობებული მსოფლიო გეოეკონომიკური და გეოფინანსური ფაქტორებით–გ.კ.)[117]

ამ შემთხვევაში კეინსიანურ მოდელს, პ. პირსონის აზრით, შეიძლება ეუწოდოთ „ნარჩენი", ვინაიდან უკვე მოხდა კეთილდღეობის სახელმწიფოს „დემონტაჟი"[118]. ეს ვითარება სავსებით აწყობთ, როგორც მემარცხენეებს, ასევე მემარჯვენეებს, რამდენადაც იგი სოციალურ რეფორმებისადმი რწმენას სერიოზულად არყევს. თუმცა, ეჭვს არ იწვევს ის გარემოება, რომ სოციალური ფუნქციები და პროგრამები (რამდენადაც არ უნდა შეამცირონ ისინი), შენარჩუნებული იქნება მანამდე ვიდრე იარსებებს ეროვნული სახელმწიფო. ზემოთ აღნიშნულის კონტექსტში სავსებით ვიზიარებთ ე. რიგერისა და ს. ლეიბფრიდის მოსაზრებას, რომ კეთილდღეობის სახელმწიფოს ინსტიტუტებს სავსებით შესწევთ გლობალიზაციასთან ადაპტირების უნარი იმ პირობით, თუ "ისინი ორიენტირებულნი იქნებიან არა წარსუ-

[117] Kayatekin S. Rucco D. Global Fragments: Subjectivity and class politics in Discourses of Globalization // Economy and Socienty. 1998. vol. 27 #1.p.74-96.

[118] Pierson P.Dismanlling the welfare state?: Reagan, Thatcher and the Politics of Retrenching. Cambrige; N.Y. 1994.

ლის მიღწევებზე, არამედ სოციალური პოლიტიკის ახალ მიმართულებებზე".[119]

7.4 ეროვნული სახელმწიფო და კორპორაციები

XX ს. განმავლობაში მომხდარმა ორმა მსოფლიო ომმა ეროვნული სახელმწიფოები დააყენა ზენაციონალური, ზერეგიონული და ზებლოკური მართვის სისტემების შექმნის აუცილებლობის წინაშე. ასეთებს თავდაპირველად მიეკუთვნებოდა ჩვენთვის უკვე ნაცნობი რეინზე ნაოსნობის კომისია, ერთა ლიგა და შემდგომ გაერო. ამ ორგანიზაციების ნაკლებეფექტურობა, უზრუნველყო საერთაშორისო უსაფრთხოება პოლარულ მსოფლიოში, პოლიტიკურ აზრს უბიძგებდა ახალი პრინციპების ძიებისაკენ, რათა ჩამოყალიბებულიყო შედარებით სრულყოფილი მსოფლიო წესრიგი. მეორე მსოფლიო ომის შემდგომ ბევრი მეცნიერი ვარაუდობდა, რომ ახალი წესრიგის ჩამოყალიბებისათვის, უპირველეს ყოვლისა, საჭირო იყო გაეროს საქმიანობის სრულყოფა, რომელსაც დაეკისრებოდა „მსოფლიო მთავრობის" ფუნქცია.

დროთა განმავლობაში ნათელი გახდა, რომ მსგავსი "მართვის" ფუნქციის შესრულება, ერთდროულად ცენტრალიზებულ და კონსენსურ ცხოვრებაში, პრაქტიკულად შეუძლებელი იყო. მაშინ საკითხი სხვაგვარად დადგა, კერძოდ შექმნილიყო "მართვის" (govrnance) სისტემა საერთაშორისო ცხოვრების ცალკეულ სფეროებში, რომელიც ურთიერთმისაღები იქნებოდა ეროვნული სახელმწიფოებისათვის, რამაც ბუნებრივად გააჩინა კითხვა: რამდენად შესაძლებელია governance without government–ი ანუ მართვა მმართველების გარეშე? ამ შემთხვევაში ამაო იქნებოდა მოქმედება მხოლოდ სამოაერობო სტრუქტურების მეშვეობით, რომლებიც ვალდებულნი იყვნენ და არიან დადგნენ ოფი-

[119] Rieger E., Leibfried S. Weifare State Limits to Globalization // Politics and Society.1998.Vol.26# 3. p.382.

ციალურად დეკლარირებული ეროვნული ინტერესების სადარაჯოზე. აღმოჩნდა, რომ ფაქტიურად თანამედროვე მსოფლიოსათვის დამახასიათებელია მართვის დონეებისა და ტიპების მრავალფეროვნება, რომლებიც განსხვავდებიან გადაწყვეტილების მიღების საერთაშორისო ორგანიზაციების მოდელებისაგან. იმის მიუხედავად, რომ გლობალურ მსოფლიოში მართვა, როგორც ასეთი, მოიცავს ყველა არსებულ ინსტიტუტსა და ყველა ფუნქციას (საზოგადოებრივი, კერძო, სახელმწიფო, არასახელმწიფოებრივი, ეროვნული, ტრანსნაციონალური და ა.შ.) ეროვნული სახელმწიფო მაინც მნიშვნელოვან როლს ასრულებს, მსოფლიო პოლიტიკის მოქმედ პირთა შორის დამაკავშირებელი რგოლის რანგში. ეროვნული სახელმწიფო ამა თუ იმ ფორმით, მაგრამ მაინც მონაწილეობს თითეულ მათგანში, ამიტომ მართვის სქემებსა და მოდელების მნიშვნელოვან ნაწილში ეროვნულ სახელმწიფოებს მსოფლიო კავშირების ცენტრში აყენებენ. მაგალითად დ. მესნკრი ეროვნულ სახელმწიფოში ხედავს საერთაშორისო საზოგადოების ყველა აქტორს შორის კავშირების კონცენტრაციის საშუალებას (გაერო, რეგიონალური კავშირები, სუბეროვნული– ლოკალური ორგანოები, ტრანსნაციონალური კორპორაციები და ბანკები, არასამთავრობო ორგანიზაციები, მასმედია, ინტერესთა ჯგუფები, სამეცნიერო ცენტრები და ა.შ). გლობალიზაციის პროცესში ამ ორგანიზაციების კოორდინირებული ძალისხმევის ეექტორი, ამ მეცნიერის აზრით, მიმართული უნდა იყოს 4 ძირითადი ამოცანის გადაჭრისაკენ, კერძოდ:

- მსოფლიო წესრიგის ჩარჩოების განსაზღვრისაკენ, სადაც საერთაშორისო ბიზნესი ვერ შეძლებს პოლიტიკის "პრივატიზაციას";
- ადრინდელზე გაცილებით ადეკვატური და ეფექტური რეაგირებისაკენ გლობალურ გამოწვევებზე;
- "გლობალური სამართლებრივი სახელმწიფოებრიობის" (global Rechtsstaatlichkeit) ფორმირებისაკენ, სამართლებრივი სახელმწიფოს დაელეთის ტრადიციების საფუძველზე;

• მართვის პრინციპების გამოყენებისაკენ ეროვნული სახელმწიფოების მხრიდან რეგიონული და ლოკალური პრობლემების გადაჭრისათვის"[120] ეს სქემა თავისი მიმზიდველობის მიუხედავად, მიგვაჩნია, რომ საკმაოდ წინააღმდეგობრივია, თუნდაც იმიტომ, რომ ეროვნული სახელმწიფოები, რომლებმაც უნდა შეასრულონ ამ კონცეფციის ცხოვრებაში გატარების წამყვანი ფუნქციები, აშკარად ეჯახებიან კაპიტალის ლოგიკასა და ინტერესებს. ეს უკანასკნელი კი ერთ შემთხვევაში შეიძლება დაემთხვეს დემოკრატიულად მიღებულ პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს, ხოლო მეორე შემთხვევაში წინააღმდეგობაში მოვიდეს. მაგალითად, თუ მსოფლიოს ხუთი უმსხვილესი ტრანსნაციონალური კორპორაციების გაყიდვების მოცულობა აჭარბებს ახლო და შუა აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთი აფრიკის ქვეყნების ერთობლივ შიდა პროდუქტს, შეიძლება კი ამ შემთხვევაში მათ შორის, პოლიტიკური იდეალიზმიდან გამომდინარე, წინააღმდეგობის რეგულირება? სავსებით ბუნებრივია, ამ შემთხვევაში მეორე კითხვაც: რამდენად რეალურია ჩამოყალიბდეს, ხატოვნად რომ ვთქვათ, სახელმწიფოთაშორისი "მსოფლიო კონცერტი", თუ იგი ერთდროულად გაითვალისწინებს როგორც დიდ, ასევე პატარა ქვეყნების ინტერესებს?

ეს კითხვები ყველასათვის რამდენადმე მისაღები ფორმით, ჯერჯერობით პასუხგაუცემელია, თუმცა მიუთითებენ „დემოკრატიული კონტროლის დეფიციტზე" საერთაშორისო ორგანიზაციების საქმიანობაში და იმის რეალურ შესაძლებლობაზე, რომ ეს ორგანიზაციები „ანგარიშვალდებული გახდნენ ეროვნული სამოქალაქო საზოგადოების წინაშე".[121] ლიბერა-ლური დემოკრატიის შესახებ ფ. ზაქარია წერს: „80 წლის წინ ვ. ვილსონმა XX ს-ში. აშშ შეიყვანა ლოზუნგით: "მსოფლიო უსა-

[120] Messner D. Globalisierung, Global Governance und Entwicklugs – politik // Politik und Gesellschaft. 1999. #1. s.10-13.

[121] Keohane R. International Institutions: Can Interdependence Work? // Foreign Policy. Spring. 1998 #110.p.92- 94.

ფრთხო გამხდარიყო დემოკრატიისათვის". შემდგომ საუკუ-ნეში შესვლის ძირითადი ამოცანაა უსაფრთხო გავხადოთ დემოკრა-ტია მსოფლიოსათვის"[122]. მიგვაჩნია, რომ ამ მაქსიმის ინტერ-პრეტაცია მეტისმეტად გამჭვირვალეა. ფ. ნუშლერი ყურად-ღებას ამახვილებს იმ წინააღმდეგობებზე, რომლებიც არსებობს გლობალურ და ზესახელმწიფოებრივ მართვას შორის[123], ხოლო ს. უოლტი მიუთითებს, რომ „აშშ–ს იმდენად მოეწონა მსოფ-ლიო პოლიტიკაში „პირველ ნომრად" ყოფნა, რომ მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი შეინარჩუნოს ეს ადგილი"[124].

ალბათ შემთხვევითი არაა, რომ ცნება „მსოფლიო მმართ-ველობა" (World government) შესულია აშშ-ს ენციკლობედიაში, მაშინ როცა ასეთი ცნება არაა ბრიტანულსა და სხვა ქვეყნების ენციკლობედიებში. აღნიშნული კი გვაფიქრებინებს, რომ როცა საუბარია ეროვნული სახელმწიფოს დაკნინებასა და გლობალური მართვის აუცილებლობაზე (ეროვნული სახელმ-წიფოების მონაწილეობით), უნდა გავაცნობიეროთ, რომ ამ პრობლემის განხილვა მისაღებია არა მხოლოდ "სუფთა თეორიული კუთხით (რომელიც ძირითადად ოპერირებს კატე-გორიებითა და ცნებებით), არამედ რეალური გეოეკონომიკური კუთხითაც, სადაც მთელი მსოფლიო, ზ. ბჟეზინსკის კარგად ნაცნობი სიტყვებით რომ ვთქვათ, „დიდი საჭადრაკო დაფაა", ხოლო მოთამაშეები საკუთარი და არა აბსტრაქტული მიზნე-ბისა და ინტერესების მისაღწევად იბრძვიან, სადაც ეროვნული სახელმწიფო როგორც კატეგორია მართლაც კნინდება. უახ-ლოესი ტექნოლოგიები შესაძლებელს ხდის მსოფლიო წარმო-ჩინდეს როგორც "ერთიანი ადგილი", სადაც ფინანსებისა და

---

[122] · Zakkaria F. The Rise of Illiberal Democracy // Foreign Affairs. 1997. Vol. 76 #6. p.43

[123] Nuscheler F. Global Governance versus Superpower Governance // International Politik.1998, #11

[124] ·Walt S. International Relations: One World, Many Theories. // Foreign Policy. Spring. 1998, #110.p.43

ეკონომიკური ბაზრების გლობალიზაცია კარგად ეწერება "ერთიანი ადგილის" ფუნომენოლოგიაში, ხოლო ეროვნული სახელმწიფო კი სწრაფად ადაპტირებადი ბიზნესის ტრანსნაციონალიზაციის ფონზე ჯერ სტატიკური რჩება.

III ნაწილი

კეთილდღეობის სახელმწიფო გეოსოციალურ და გეოეკონომიკურ განზომილებებში

თავი VIII. კეთილდღეობის სახელმწიფოს ძირითადი გეოეკონომიკური პარამეტრები

8.1. კეთილდღეობის სახელმწიფოს ტიპები, შუნქციები და კრიზისი

კეთილდღეობის სახელმწიფო (Welfare State) დიდი ხანია დამკვიდრდა „ოქროს მილიარდის" და განსაკუთრებით დასავლეთ ევროპის ქვეყნებში. თუმცა ამ ინსტიტუტის ერთიანი, ყველასათვის მისაღები განმარტება ჯერჯერობით არ არსებობს იმდენად, რამდენადაც ძალიან განსხვავებულია შეხედულებები თვით ტერმინსა და მისი ამოცანების მიმართ (ამ საკითხებს უფრო დაწვრილებით შემდგომ თავში განვიხილავთ). არაა ფორმირებული ასეთი სახელმწიფოს ზოგადი მოდელიც, თუმცა ინტეგრაციის გაღრმავების კვალობაზე ასეთი მოდელის შემუშავებაში პროგრესი დიდია.

კეთილდღეობის სახელმწიფოს ამოცანები მუდმივად რთულდება. ახალი გეოეკონომიკური სივრცის ჩამოყალიბებამ, რომელიც ქვეყნის კონკურენტუნარიანობისათვის პერმანენტულ ბრძოლას გულისხმობს, ზემოთ აღნიშნული სირთულეები უკვე გააერცელა სოციალური დაზღვევის, ჯანმრთელობის დაცვის, განათლების, პროფესიული მომზადების და გადამზადების და ა.შ. სისტემებზე.

კეთილდღეობის სახელმწიფოს ოქროს ხანად მიღებულია ჩაითვალოს 1940-იანი წლების ბოლო და 1970-იანი წლების პირველი ნახევარი, როცა უპრეცენდენტო ეკონომიკურმა ზრდამ

ძალიან გაზარდა მოთხოვნილება სამუშაო ძალაზე[125], რომელსაც თან ახლდა ხელფასის ზრდა და საზოგადოების კეთილდღეობის ამაღლება. სოციალური დაცვის სისტემის დინამიურმა განვითარებამ მოსახლეობის თითქმის ყველა ფენა მოიცვა, რის გამოც ამ პერიოდში (და შემდგომაც) კეთილდღეობის სახელმწიფოს ექსპანსიამ ფართო საზოგადოებრივი მხარდაჭერა მოიპოვა. შედარებით ადრინდელი თეორიული შრომები, რომელიც ამ სფეროში დაიწერა, უმეტეს შემთხვევაში ამოდიოდა ეკონომიკურ ზრდასა და სახელმწიფოს როლის გაფართოებას შორის არსებული პირდაპირი დამოკიდებულებიდან.[126]

ამავდროულად სამეცნიერო ლიტერატურაში არაერთხელ გამოთქმულა აზრი, რომ კაპიტალიზმის ოქროს ხანის დასასრული ემთხვევა კეთილდღეობის სახელმწიფოს ოქროს ხანის ფინალს. ბევრი მეცნიერი კი 1970-იანი წლების ნავთობის კრიზისში ხედავდა ეკონომიკური ზრდის ტემპების შემცირებას, უმუშევრობის ზრდას და კეთილდღეობის სახელმწიფოს კრიზისს[127], რომელიც დიდი სიმწვავით გამოვლინდა XX ს. 90-იან წლებში და კვლავ სერიოზული მეცნიერული მსჯელობის საგანი გახდა, თუნდაც იმის გამოც, რომ განვითარება ჰპოვა ამ სახელმწიფოს მრავალფეროვანმა ტიპებმა და მოდელებმა.

სამეცნიერო ლიტერატურაში არსებითად გამოყოფილია სოციალური სახელმწიფოს სამი ძირითადი ტიპი (ნახ. 81)

---


[125] უფრო დაწვრილებით იხ: Cutright P.Political Structure, Economic Development and National Social Security Programmes//American F. of Sociology. 1965, Vol. 70. p 537-550; Wilensku H. The Welfare State and Equality. Berkeley, CA: Univ. of California Press, 1975.

[126] უფრო დაწვრილებით იხ: Larkey P.Stolp C. Winer M. Theorizing about the Growth of Government; A research assessment//J. of Public Policy. 1981. vol.1, #2. p. 157-220.

[127] უფრო დაწვრილებით იხ: Esping-Andersen G. After the Golden age?: Welfare the State Dilemmas in a Global Economy// Welfare the State in Transition/G. Esping-Andersen (ed). L: Sage 1996; Continuity and Change in contemporary Capitalism/H. Kitschelt, P.Marks, J.D Stephens (eds). Cambridge Univ.Press, 1998.

კეთილდღეობის სახელმწიფოს პირობითი ტიპები

ნახაზი 8.1



ლიბერალური, ანუ ანგლოსაქსური მოდელის კარგი მაგალითია დიდი ბრიტანეთი, რომელშიც სახელმწიფოს ვალდებულებები მინიმუმამდეა დაყვანილი. ეს მოდელი გულისხმობს უკიდურესად ღატაკი მოსახლეობის დაცვას, ხოლო დანარჩენი მოსახლეობის მოთხოვნილებების დაკმაყოფილება სოციალურ-ეკონომიკურ დაცვაზე უწევს თვით ამ ქვეყნის მოსახლეობასა და თავისუფალ ბაზარს. (ამ მოდელს შემდგომ თავში განვიხილავთ, ვინაიდან იგი აქტუალურია საქართველოსათვისაც;)

- სკანდინავიური მოდელი ბაზისური უზრუნველყოფის საშუალებას აძლევს აბსოლუტურად ყველა მოქალაქეს და ფინანსირდება იმ გადასახადების ხარჯზე, რომელსაც იხდის ყველა მოქალაქე ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე, (მათ შორის შეედეთის მეფეც). ამ მოდელის უმნიშვნელოვანესი ნიშანია

უნივერსალიზმი და შემოსავლების გადანაწილება საგადასახადო პროგრესის დახმარებით. იგი ორიენტირებულია სიღარიბის წინააღმდეგ და ღირსეული ცხოვრების სტანდარტების უზრუნველყოფაზე ყველა მოქალაქისათვის, იმ პირობით, რომ ეს მოქალაქეები მონაწილეობენ დასაქმების სისტემაში;

- კონტინენტალურ-ევროპული კეთილდღეობის სახელმწიფოს ყველაზე უფრო ნათელი მაგალითია გერმანია, ამ მოდელის მიხედვით ხდება სიღარიბის წინააღმდეგ ბრძოლის შეთანაწყობა ყველა მოქალაქის ღირსეული ცხოვრების დონის უზრუნველყოფასთან. სოციალური დაზღვევის სისტემა აგებულია მომუშავეთა და სამუშაოს მიმცემთა შენატანთა საქმიანი გადარიცხვის მეთოდზე. სახელმწიფო კი სოციალურ პარტნიორებთან ერთად არეგულირებს შრომის ბაზრს და ამცირებს უმუშევრობას.

ფართოდაა გავრცელებული მოსაზრება, ვითომ კეთილდღეობის სახელმწიფო მხოლოდ შემოსავლების გადანაწილებას ახდენს, რაც სიმანდვილეს ნამდვილად არ შეესაბამება. ამჟამად სულ მცირე 6 ფუნქცია მაინც შეიძლება გამოვყოთ ასეთი სახელმწიფოებისათვის (ნახ. 81)

- კომპენსატორული ფუნქცია ანუ ანაზღაურებადი ფუნქცია, განპირობებულია ბოლო 30 წლის მანძილზე განვითარებული ორი ტენდენციით. კერძოდ, უპირველეს ყოვლისა, ფართოვდება საქმიანობა და იზრდება დასაქმება მომსახურების სფეროს სხვადასხვა სექტორებში, მეორეს მხრივ კი, იზრდება თვითშემოქმედი მოსახლეობის რიცხოვნობა არაერთგვაროვანი ქონებრივი მდგომარეობით.

- ინვესტიციური ფუნქცია ხელს უწყობს მოდერნიზაციის სოციალური წინამძღვრის შექმნას, საზოგადოებრივი ინფრასტრუქტურის განვითარებას, განათლებასა და მეცნიერებას. გასული საუკუნის 80-90-იან წლებში ასეთი გეოსტრატეგიული ინვესტიციები უგულველყოფილი იყო, თუმცა მასზეა დამოკიდე-

ბული მომავალი განვითარება. დღეისათვის ინვესტიციური ფუნქცია სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება.

• ემანსიპატორული ფუნქცია მდგომარეობს პიროვნების სოციალური რისკებიდან დაცვაში, რომელიც აღმოცენდება საბაზრო ეკონომიკის პირობებში. კეთილდღეობის სახელმწიფოში პიროვნების განვითარების წამყვანი რესურსი ხდება ადამიანის უფლება არა მარტო სოციალურ უსაფრთხოებაში, არამედ განათლებაშიც. ამიტომ ემანსიპატორული ფუნქცია გულისხმობს თითოეული მოქალაქისათვის შესაძლებლობის მიცემას ინდივიდუალური განვითარებისათვის.

• განაწილებისა და გადანაწილების ფუნქცია კვლავ ინარჩუნებს თავის მნიშვნელობას, იცვლება მხოლოდ თანაფარდობა იმ სოციალურ დანახარჯებს შორის, რომელიც მიიღება დაქირავებულ მომუშავეებსა და დამქირავებლებისაგან.

• ფუნქციათა ამ კატალოგში მნიშვნელოვანია აგრეთვე კეთილდღეობის სახელმწიფოს ინტეგრაციული და ლეგიტიმაციური ფუნქციები, რომლებიც თითქოს იგულისხმება ზემოთ ჩამოთვლილ ფუნქციებში. თუ კეთილდღეობის სახელმწიფოს არსის ფართოდ გაგების შემთხვევაში ჩნდება მოთხოვნა ახალ საზოგადოებრივ ხელშეკრულებაზე, რომელიც უზრუნველყოფს მთელი მოსახლეობის, მათი ნებისმიერი პოლიტიკური, სოციალური და სხვა სახის დისკრიმინაციის აღმოფხვრაზე, ცხოვრების ღირსეულ დონეზე და სოციალურ უსაფრთხოებაზე, რითაც სოციალური პოლიტიკა პოსტინდუსტრიალ საზოგადოებაში. ხდება სახელმწიფო ხელისუფლების ლეგიტიმაციის მთავარი წყარო. მოქალაქეების მხრიდან არსებული საზოგადოებრივი სისტემის აღიარება დიდადაა დამოკიდებული იმაზე, თუ როგორი დამოკიდებულება გააჩნიათ მათ სახელმწიფოს სოციალური ინსტიტუტებისადმი.

როგორც ცნობილია, გასული საუკუნეების 70-იან წლებში დასავლეთ ევროპაში დაიწყო კონიუნქტურის დაცემა და მასთან ერთად დამთავრდა ეკონომიკური ზრდის ოქროს ხანა. სტაგ-

ნაციამ, უმუშევრობის ზრდამ და დემოგრაფიულმა პრობლემებმა შეზღუდა სოციალური სფეროს დაფინანსება. რის შედეგად მნიშვნელოვნად გაძლიერდა კეთილდღეობის სახელმწიფოს ექსპანსიისადმი წინააღმდეგობა. კრიტიკოსები აღნიშნავენ სოციალური მომსახურების არაეფექტურობას, ვინაიდან იგი ვერ წყვეტს დაგროვილ სოციალურ პრობლემებს, რომ ასეთი ტიპის სახელმწიფოს ფუნქციონირება ხდება გეოეკონომიკური კონკურენტუნარიანობის შემცირების ფაქტორი. ამასთან საუბარია არა მთლიანად კეთილდღეობის სახელმწიფოს დემონტაჟზე, არამედ მის შედეგებზე ან/და გარდაქმნაზე ახალი გეოეკონომიკის მოთხოვნების შესაბამისად.

1990-იანი წლების დასაწყისში, როცა სერიოზულად ამოქმედდა ახალი გეოეკონომიკური სიერცის ყველა ბერკეტი, დაისვა საკითხი კეთილდღეობის სახელმწიფოს ბედის შესახებ. რამდენიმე ევროპელმა მეცნიერმა, პოლიტიკოსმა და მრეწველმა რ. პეტრელიოის მეთაურობით („ლისაბონის ჯგუფი") გამოაქვეყნეს ნაშრომი – „კონკურენციის ზღვარი", რომლის სათაური აჩვენებს რომის კლუბის ცნობილ მანიფესტთან („ზრდის ზღვარი") იდეურ კავშირს. ამ შრომაში ავტორები ამტკიცებდნენ, რომ გლობალური კონკურენციის პირობებში, მთავრობები იხრებიან იქითკენ, რომ სამართლიანობა და ეკონომიკური წარმატება შეუთავსებელია ერთმანეთთან, უწევენ რა პროტექციას ეროვნულ ეკონომიკებს მსოფლიო ბაზარზე, ამით ისინი ანგრევენ კეთილდღეობის სახელმწიფოს.

გეოეკონომიკური თვალსაზრისით მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ კეთილდღეობის სახელმწიფოს გადატვირთვა სოციალური მომსახურებებით ასუსტებს ქვეყნის საინვესტიციო მიმზიდველობას. გლობალიზაციის პირობებში ყველაზე დიდი პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს საბაზრო ეკონომიკას, მაგრამ არ შეიძლება ეკონომიკური პოლიტიკა არ ჩაჯდეს სოციალურ ჩარჩოებში, ვინაიდან იმ ქვეყნებში, რომელთაც კარგად გათვლილი გეოეკონომიკური სტრატეგია აქვთ, საბაზრო ეკონომიკა ბუნე-

ბრიუად მეტნაკლებად ბადებს კეთილდღეობას ყველასათვის. თუმცა არსებობს განსხვაებული თვალსაზრისიც, რომელიც ეკუთვნის ჰ. ერენბურგს და იმაში მდგომარეობს, რომ არ "შეიძლება დასაქმების ზრდის მიღწევა მხოლოდ საწარმოების გადასახადების დაბლა დაწევითა და სოციალური მომსახურების შემცირებით. იმისთვის, რომ ამაღლდეს ეკონომიკური ზრდის ტემპები, აუცილებელია რადიკალურად შეიცვალოს მთელი ფინანსური, ეკონომიკური და ფულადი პოლიტიკა. მხოლოდ ამ შემთხვევაში გადაიქცევიან სოციალური დახმარების მიმღებნი გადამხდელებად და იმ შენატანების გადამხდელებად, რომელიც მიდის სოციალურ დაზღვევებზე".[128]

8.2. ეკონომიკური ზრდა და კეთილდღეობის სახელმწიფოს დინამიკა

იმ მიზეზშედეგობრივი კავშირის გაგება რომელიც არსებობს ეკონომიკურ ზრდასა და კეთილდღეობის სახელმწიფოს განვითარებას შორის იმითაა გართულებული, რომ შედარებითი ხასიათის კვლევებში ფიგურირებს „ველფერის" პოლიტიკა. იმისთვის, რომ გექონდეს ქვეყნების შედარების საშუალება, რომლებიც ეკონომიკური განვითარების სხვადასხვა დონეზე იმყოფებიან, მიღებულია მათი სოციალური დანახარჯების მოცულობების მაჩვენებლის გამოყენება, რომელიც იანგარიშება ერთობლივი შიდა პროდუქტიდან (პროცენტებში). თუმცა ეს პროცედურა ბურუსში ხვევს იმ აშკარა კავშირის აზრს, რომელიც არსებობს სოციალურ დანახარჯებსა და ეკონომიკურ ზრდას შორის და რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ ქვეყნის შემოსავლების ზრდა საშუალებას იძლევა დავხარჯოთ მეტი სოციალური საჭიროებებისათვის. ქვეყნების მთავრობები ხშირად მიუთითებენ ამ დამოკიდებულებაზე იმ იმედით, რომ

დაარწმუნონ საზოგადოება იმაში, რომ პოლიტიკა, რომელიც მიმართულია ეკონომიკური წარმატების მისაღწევად ნაყოფიერი იქნება სოციალური უზრუნველყოფის სისტემისთვისაც.

სოციალური დანახარჯების ზრდის ტემპების ანალიზი საშუალებას იძლევა სხვაგვარად შევხედოთ პრობლემას. სოციალური დანახარჯების დინამიკის მიხედვით გამოირჩევიან ის ქვეყნები, რომლებსაც საწყის ეტაპზე ეს მაჩვენებელი დაბალი ჰქონდათ, მაგრამ განიცადეს არსებითი ეკონომიკური ზრდა.[129] ანალიზის საფუძველზე გამოვლინდა, რომ 1950-1995 წწ. სოციალური დანახარჯები ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა იაპონია და პორტუგალია უფრო სწრაფად იზრდებოდა, ვიდრე სოციალურ-დემოკრატიულ სკანდინავიაში.

თუ სოციალური დანახარჯების დინამიკას გავზომავთ მათი აბსოლუტური ზრდით დოლარებში, მაშინ მომგებიან მდგომარეობაში აღმოჩნდებიან ქვეყნები, რომელთა ეკონომიკური განვითარების საწყისი დონე შედარებით მაღალია, რადგან თანაბარი პროცენტული ზრდის შემთხვევაში, ამ დანახარჯების რეალური ზრდა დოლარებში, მდიდარ ქვეყნებში მეტი იქნება ვიდრე ღარიბში. მაგალითად ფ.ჯ. კასლსის მიერ ჩატარებული კვლევებით დადგინდა, რომ აშშ აშკარად მიეკუთვნება "ჩამორჩენილი მდიდრების" კატეგორიას, მაგრამ სოციალური დანახარჯების ზრდის აბსოლუტური ზომებით იგი ცოტათი ჩამორჩება ავსტრიას, რომელსაც ჩვეულებრივ მოწინავე სახელმწიფოდ თელიან „ველფერის" განვითარების კუთხით. უკუმოძრაობა რომელიც შეიმჩნევა ბოლო ორი ათეული წლის განმავლობაში, ამერიკის სოციალური უზრუნველყოფის სისტემაში,

---

[129] უფრო დაწვრილებით იხ: Pampel F. Witiamson J. Age, Class, Politics, and rhe Welfare State, Cambridge: Cambridge Univ.Press, 1989; Casteles F. The Impact of Parties on Public Expenditure// The Impact of Parties/ F. Castles (ed). L: Sage Publications, 1982; Hicks A, Swank D. On the Political Economy of Welfare Expansion// Comparative Political Studies. 1984. vol.17.# 1.

შეიძლება ანომალურად მოგვეჩვენოს, თუ ყურადღებას გავამახვილებთ სოციალური დანახარჯების დაბალ ხვედრით წილზე აშშ ერთობლივ შიდა პროდუქტში. თუმცა თუ ვიმსჯელებთ ამ დანახარჯების დინამიკის მიხედვით აბსოლუტურ ციფრებში, მაშინ სურათი არც თუ ისე ცუდად გამოიყურება.[130]

XIX ს. დასასრულს ა. ვაგნერმა წამოაყენა „სახელმწიფოს აქტიობის ზრდის" კანონის ვერსია, სადაც იგი პოსტულირდება, რომ ქვეყანაში ერთ სულ მოსახლეზე რეალური შემოსავლების ზრდის პარალელურად იზრდება ეროვნული შემოსავლის ის ნაწილი, რომელიც ხმარდება საზოგადოებრივ საჭიროებას[131], ეს ჰიპოთეზა ეფუძნება წარმოდგენებს იმაზე, რომ ინდუსტრიალიზაციის დროს სახელმწიფოს სულ უფრო მეტ მოთხოვნას წაუყენებენ, რათა მან გადაჭრას სოციალური პრობლემები, რომელიც აღმოცენდება მოდერნიზაციის ნიადაგზე. იმის მიუხედავად, რომ მთლიანობაში ა. ვაგნერის კანონი დასტურდება სახელმწიფოს დანახარჯების დინამიკით, მსოფლიოს უმეტეს ქვეყნებში XX ს. განმავლობაში, ჯერ კიდევ არ არსებობს ფაქტი, რომ მისი მოქმედება ვრცელდება იმ თანამედროვე ქვეყნებზე, სადაც ინდუსტრიალიზაციის პროცესი უკვე დასრულებულია. ნებისმიერ შემთხვევაში, იმის მიუხედავად, რომ ა. ვაგნერის კანონი, რომელიც თუნდაც ხსნიდეს სოციალური დანახარჯების დინამიკას, სულაც არ ნიშნავს, რომ მისი გამოყენება შეიძლება ქვეყანათშორის კვლევებში. ა. ვაგნერი თვლიდა, რომ სოციალური დანახარჯები იზრდება უფრო სწრაფად, ვიდრე ეროვნული შემოსავალი, ან სხვანაირად, რომ ვთქვათ, ეს დანახარჯები ელასტიურია ეროვნულ შემოსავალთან მიმართე-

---

[130] უფრო დაწვრილებით იხ: F.G Castles. "The Dog that didn't bark: Economic Development and the Postwar Welfare State"; (European review .2000. vol.8#3. p. 313-332.

[131] უფრო დაწვრილებით იხ: Larkey P, stolp C, Winer M. Op cit: Wildavsky A. The logic of sector grwth// State and Market: The politics of the public and the private/J-E. Lane (ed). Sage Publications, 1985. p. 231-270.

ბაში. იგი არ ამტკიცებდა, რომ ელასტურობის კოეფიციენტი თითქმის თანაბარია ყველა ქვეყნისათვის, თუმცა სოციალური დანახარჯები აუცილებელია არა მხოლოდ მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, რომელიც აღმოცენდება ინდუსტრიალიზაციის პროცესში, არამედ არახელსაყრელ ეკონომიკურ სიტუაციაში სახელმწიფოს მხრიდან ხშირად ჭირდება დახმარება მათ, ვინც იზარალა კრიზისიდან, რაც არ გამორიცხავს ეკონომიკურ ზრდასა და სოციალურ დანახარჯებს შორის უარყოფით დამოკიდებულებას. ასეთ შესაძლებლობაზე ისიც მიუთითებს, რომ ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპების ქვეყნებში, ისეთში როგორიც თუნდაც იაპონიაა, სოციალური დანახარჯების მნიშვნელოვანი აბსოლუტური ზრდის პირობებში მისი წილი ქვეყნის ერთობლივ შიდა პროდუქტებში მხოლოდ უმნიშვნელოდ გაიზარდა[132].

შედარებითი ხასიათის კვლევებში ვხვდებით იმის დასაბუთებას, რომ არსებობს როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი დამოკიდებულება. თუმცა, კვლევების უმეტესობაში ამტკიცებენ, რომ ეკონომიკურ ზრდასა და სოციალური დანახარჯების დინამიკას შორის არავითარი კავშირი არ არსებობს. დასკვნების ასეთმა აღრევამ, წარმოქმნა ტენდენცია, სადაც ეკონომიკის უშუალო როლი, სოციალური პოლიტიკის ფორმირების ვარიანტში, მეტად მცირეა. და გააჩნია მიდრეკილება იქითკენ, რომ იდეოლოგია, სოციალური ინსტიტუტები და დემოგრაფია განიხილოს როგორც კეთილდღეობის სახელმწიფოს განვითარების განმსაზღვრელი ფაქტორები.

ჩვენ ვეთანხმებით მოსაზრებას, რომ ეკონომიკურ ზრდასა და სოციალურ დანახარჯებს შორის დამოკიდებულების ხარისხი განისაზღვრება ამ ზრდის ზომით. ასეთი მოსაზრება იქიდან

---

[132] უფრო დაწვრილებით იხ: Wildavsky A.Budgeting: A Comparative theory of budgetary processes, Boston:Little Brown.1975. 135. Castles F.Comparative Public Policy: Patterns of Postwar Transformation. Cheltenham: Edward Elgar. 1998.

მომდინარეობს, რომ უნდა არსებობდეს გარკვეული ზღვრული სიდიდე, რომლის ქვემოთ სოციალური უზრუნველყოფის სისტემის რეფორმირების მცდელობას აფერხებს გეოეკონომიკური რესურსების სიმწირე. თუ მიმდინარე და მოსალოდნელი ტემპები, ეკონომიკურ ზრდაში მაღალია ვიდრე ეს ზღვარი, მაშინ საბიუჯეტო პოლიტიკის შესაძლო ვარიანტების არჩევანი ფართოვდება, რითაც ქვეყანას ეძლევა შესაძლებლობა განკარგოს სახელმწიფო ხარჯები ამა თუ იმ სახით, ძირითადად კი ქვეყნის იდეოლოგიური და გეოეკონომიკური ორიენტაციის შესაბამისად. აღნიშნულიდან გამომდინარე, ეკონომიკის ზრდის ზომიერად მაღალი დონე არის აუცილებელი, მაგრამ არასაკმარისი პირობა კეთილდღეობის სახელმწიფოს განვითარებისათვის.[133] თუ ზღვრული დონე მომატებულია, მაშინ ეკონომიკურ ზრდასა და სოციალურ დანახარჯებს შორის დამოკიდებულება განისაზღვრება სხვადასხვა მხარეს მიმართული ძალებით. ერთის მხრივ, ქვეყნებს, რომელთაც აქვთ ერთნაირი ზრდის ტემპები, მაგრამ განსხვავებული ორიენტაციები სოციალური პოლიტიკის სფეროში; მათი სოციალური დანახარჯების დინამიკა განსხვავებულია, რაც მოწმობს რომ ცვლადებს შორის არ არსებობს პირდაპირი დამოკიდებულება. მეორეს მხრივ, იმ ქვეყნებს შორის, რომელთაც მსგავსი ორიენტაცია გააჩნიათ ამ სფეროში, მაგრამ განსხვავებული ეკონომიკური ზრდის ტემპები, სოციალური დანახარჯების წილი ერთობლიე შიდა პროდუქტში უფრო ნელა იზრდება იმ ქვეყნებში, რომელთა ზრდის ტემპები ყველაზე მაღალია, რაც მიუთითებს უარყოფითი დამოკიდებულების, უფრო ზუსტად კი უარყოფითი დამოკიდებულების არსებობაზე.

---

[133] უფრო დაწვრილებით იხ: Castles F. Comparative Publie Policy Patterns of Postwar Transformation. Cheltenham: Edward Elgar.1998.

8.3. ეკონომიკური ზრდის ტემპების შემცირება და კეთილდღეობის სახელმწიფო

„ოქროს მილიარდის" ქვეყნების კეთილდღეობის სახელმწიფოს დინამიკაში არის ორი საკამათო საკითხი. ორივე საკითხი ეხება პარტიული ორიენტაციის ჯერ კიდევ შესამჩნევ როლს სოციალური პროგრამების შეფერხებების ეპოქაში. ერთი მოსაზრება იმაში მდგომარეობს, რომ პარტიულმა ორიენტაციამ დაკარგა თავისი მნიშვნელობა, რადგან აღმოცენდა „ახალი პოლიტიკა", სოციალური პოლიტიკის სფეროში. სხვადასხვა გამოკვლევების საფუძველზე, ამტკიცებენ, რომ კეთილდღეობის სახელმწიფოს განვითარებამ თვითონ, ბუნებრივად გამოიწვია თანამედროვე პოლიტიკური ცხოვრების ინსტიტუციონალური პარამეტრების ცვლილებები. თუ ადრე სოციალური პროგრამის მიღება განისაზღვრებოდა პარტიულ-იდეოლოგიური მოსაზრებებით, ამჟამად, დახმარებების მიმღებნი და სოციალური სამსახურის თანამშრომლები ისწრაფვიან რათა შეინარჩუნონ ის პროგრამები, რომლებიც მათი ინტერესების სფეროშია, ხოლო მთავრობები, რომელთაც ბუნებრივია სურთ ხელისუფლებაში დარჩენა, ცდილობენ თავიდან აიცილონ ის ბრალდებები, რომელთაც მათ უყენებენ სოციალური დანახარჯების შემცირებასთან დაკავშირებით. აღნიშნული კი არის იმის გასაღები, რომ გავიგოთ, თუ რატომ მოახდინა ზოგიერთმა ქვეყანამ ამ ბოლო წლებში სოციალური პროგრამების შემცირება, იმის მიუხედავად, რომ ხდებოდა ეკონომიკური ზრდის შენელება და დიდი თავდასხმები სახელმწიფო სექტორზე იდეოლოგიური მოტივებით (აღნიშნული მოვლენა სულაც არ არის უცხო საქართველოსათვის.)

მეორე მოსაზრებით კი პარტიული ორიენტაციის ფაქტორმა ამოწურა თავისი თავი მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციისა და ტრანსნაციონალიზაციის პროცესის განვითარების შედეგად. ამ შეხედულების თანახმად კეთილდღეობის სახელმწიფოს

ზრდა თავდაპირველად (იგულისხმება 1950-1970-იანი წლები), შესაძლებელი იყო იმის გამო, რომ ეკონომიკური პოლიტიკის სფეროში ეროვნული სახელმწიფოები ავტონომიურობას ფლობდნენ[134]. საერთაშორისო ვაჭრობის გაფართოებისა და ტრანსნაციონალური კაპიტალის მზარდი მობილურობის შედეგად, სულ უფრო შეიზღუდა სახელმწიფოს მოქმედების თავისუფლება ეკონომიკურ საკითხებში. აღნიშნულმა კი ის გამოიწვია, რომ დღეს პარტიათა განსხვავებანი სოციალური პოლიტიკის სფეროში უფრო სიმბოლურია ვიდრე რეალური. ამასთან გეოეკონომიკა წარმოადგენს ისეთ ფაქტორს, რომელიც ყველა ქვეყანას მეტნაკლებად უბიძგებს რეალური დანახარჯების შემცირებისაკენ.

ამ ორ მოსაზრებას ის აერთიანებს, რომ კეთილდღეობის სახელმწიფოს დინამიკას უკვე აღარ განსაზღვრავს მთავრობების პარტიულ-იდეოლოგიური ორიენტაცია, რაც მტკიცდება თითქოს უდავო არგუმენტებით. კვლევამ, აჩვენა[135], რომ 1979-1986 წწ. პერიოდისათვის ამა თუ იმ პოლიტიკის არჩევა სოციალურ სფეროსთან მიმართებაში არ იყო დამოკიდებული იმაზე, თუ ვინ, რომელი პარტია იმყოფებოდა ხელსუფლებაში, ანალოგიური ტენდენცია შეინიშნებოდა 1986-1995 წწ.

ზემოთაღნიშნული მოსაზრებები ერთნაირად უარყოფენ პარტიული ორიენტაციის როლს თანამედროვე ეტაპზე, თუმცა სხვადასხვაგვარად ხსნიან ამის მიზეზს და განსაკუთრებული შეხედულებები აქვთ სოციალური დანახარჯების მომავალი დინამიკის განსაზღვრასთან დაკავშირებით. „ახალი პოლიტიკის" კონცეფციიდან გამომდინარე შეიძლება ვთქვათ, რომ ის ქვეყ-

---

[134] უფრო დაწვრილებით იხ: Jessop B. Post-Fordism and the State//Comparative Welfare System: The Scandinavian Model in a Period of Change/B.Greve (ed). N.Y:St Martin's Press. 1996.

[135] უფრო დაწვრილებით იხ: Stepens J, Huber E, Ray L. The Welfare State in Hard Times//Continuity and Change in contemporary capitalism/H.Kitschelt, P.Lange, G.Marks, J.Stephens (ed), Cambridge: Cambridge Univ.Press, 1998.

ნები რომლებსაც გააჩნიათ ფართო სოციალური პროგრამები უფრო მეტად არიან დაცულები სოციალური დანახარჯების შეკვეცებისაგან, ვიდრე ის ქვეყნები, სადაც კეთილდღეობის სახელმწიფოს განვითარების დაბალი დონეა, ხოლო „გეოეკონომიკის კონცეფციიდან“ გამომდინარე კი, სოციალური დანახარჯების შემცირებაზე უფრო მეტ მიდრეკილებას ავლენენ ის ქვეყნები, სადაც ეს დანახარჯები თავდაპირველად ყველაზე მაღალი იყო. მაგალითად: ოთხი სკანდინავიური ქვეყნიდან სამმა (დანია, ფინეთი და ნორვეგია), 1983-1995წწ მნიშვნელოვნად გაზარდეს სოციალური დანახარჯები, რაც არ ეწინააღმდეგება „ახალი პოლიტიკის“ კონცეფციას, მეორეს მხრივ, ნიდერლანდები და ბელგია, რომლებიც 1983 წ. სოციალურ სფეროში მოწინავე ქვეყნებს წარმოადგენდა, შემდგომ პერიოდში აღმოჩნდნენ ერთადერთი ქვეყნები, რომლებმაც განიცადეს სოციალური დანახარჯების შემცირება ერთობლივ შიდა პროდუქტში, რაც შეესაბამება გეოეკონომიკური განვითარების თეალსაზრისს. შვედეთშიც კი იქნენად უმნიშვნელო იყო სოციალური დანახარჯების ზრდა, რომ შეიძლება ვისაუბროთ ზემოთაღნიშნულ ტენდენციასთან მის მსგავსებაზე.

არანაკლებ წინააღმდეგობრივი სურათი შეინიშნება საპირისპირო პოლუსზე. „ჩამორჩენილი“ ჯგუფის ზოგიერთმა ქვეყანამ (ავსტრალია, საბერძნეთი, აშშ) 1983 წლის შემდეგ აჩვენა სოციალური დანახარჯების დაბალი ფარდობითი ზრდა, მაშინ როცა სხვა ქვეყნებში (პორტუგალია, შვეიცარია) ეს ზრდა გაცილებით მაღალი იყო „ოქროს მილიარდის“ ქვეყნების საშუალო მაჩვენებელთან შედარებით.

როგორც „ახალ პოლიტიკაში“, ასევე „გეოეკონომიკურ კონცეფციაში“ ძალიან დაკნინებულია ეკონომიკური განვითარების ეროვნული თავისებურებების გავლენა სოციალური დანახარჯების დინამიკაზე. რაც, ჩვენის აზრით, იმასთან არის დაკავშირებული, რომ შედარებითი კვლევები, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, კონცენტრირებულია მხოლოდ სოციალურ პოლიტიკაზე.

თუმცა გეოეკონომიკური ფაქტორის ამგვარი უგულებელყოფა გაოცებას იწვევს მაშინ, როცა მრავალი ქვეყანა ეკონომიკურ სიძნელეებს განიცდის, ხოლო ქვეყნების გეოეკონომიკურ მდგომარეობასა და სოციალურ დანახარჯებს შორის კავშირი სრულიად აშკარაა.

ეკონომიკური ზრდის გარდა, სოციალური დანახარჯების დინამიკაზე გავლენას სხვა ეკონომიკური ფაქტორიც ახდენს. მაგ: სოციალური დანახარჯების მოცულობაზე პირდაპირ გავლენას ახდენს უმუშევრობის დონე და სახელმწიფოს მიღწევები ან მარცხი ამ სფეროში. ამჟამად, „ოქროს მილიარდის" ყველა ქვეყანაში არსებობს უმუშევრების შემწეობა. ეს ნიშნავს, რომ უმუშევრობის ზრდა აუცილებლად მიგვიყვანს სოციალური დანახარჯების ზრდასთან მოკლე და საშუალოვადიან პერსპექტივაში თუმცა, გრძელვადიან პერსპექტივაში უმუშევრებისადმი დახმარების ზრდამ შეიძლება აიძულოს სახელმწიფო შეამციროს სხვა სოციალური პროგრამები. თუ უმუშევრობის ზრდა დადებითად მოქმედებს სოციალური დანახარჯების დინამიკაზე, სახელმწიფოს დიდი საგარეო ვალის დონე პირიქით, ხელს უშლის სოციალური პროგრამების დინამიკას.

ახალი გეოეკონომიკური სივრცის პირობებში შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ ზღვარი ეროვნულ და გლობალურ ეკონომიკას შორის ძალიან სწრაფად იშლება. თუ სახელმწიფოს ბიუჯეტის დიდი დეფიციტი, ან დიდი საგარეო ვალი აქვს, იგი გაცილებით მგბნობიარეა საერთაშორისო ბაზრის მიმართ. მაასტრიხის ხელშეკრულების მიხედვით ევროკავშირის ქვეყნებმა იკისრეს ვალდებულება შეამცირონ ბიუჯეტის დეფიციტი მისაღებ დონემდე, რაც ზემოთაღნიშნულ ფაქტის აღიარებას ნიშნავდა ინსტიტუციონალურ დონეზე და მნიშვნელოვანი სტიმული გახდა ბევრი ევროპული ქვეყნისათვის თავშეკავებული პოლიტიკა ეწარმოებინათ სოციალური დანახარჯების სფეროში უკვე გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან.

8.4 კეთილდღეობის სახელმწიფოს ძირითადი გეოეკონომიკური პარამეტრები

თავდაპირველად იმ ფაქტორების კვლევაში, რომელიც ხელს უწყობდა კეთილდღეობის სახელმწიფოს განვითარებას, ხაზს უსვამდნენ იმ კავშირს, რომელიც არსებობდა ეკონომიკის დინამიკასა და სოციალურ პოლიტიკას შორის. მეთოდოლოგიურად ეს შრომები ეყრდნობოდნენ სტრუქტურულ-ფუნქციონალურ მიდგომას, რომლის ჩარჩოებშიც ინდუსტრიული მოდერნიზაცია გვეელინება ეკონომიკური, დემოგრაფიული, სოციალური და პოლიტიკური ცვლილებების წამყვან ფაქტორად. ინდუსტრიალიზაცია ქმნის სიმდიდრეს, ამცირებს სიკვდილიანობას, ზრდის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობას, შლის ტრადიციულ ოჯახურ კავშირებს და საზოგადოებრივ სტრუქტურებს. ასევე ხელს უწყობს მასების ჩართვას დემოკრატიულ პროცესებში. ამასთან მოდერნიზაციას მოაქვს მწვავე სოციალური პრობლემების ახალი სპექტრი. დაჩქარებული ურბანიზაცია ბადებს ჯურღმულებს, ეპიდემიებს და მასობრივ არეულობას. სამრეწველო განვითარება ქმნის არა მხოლოდ სიმდიდრეს, არამედ „ზედმეტ" (ეკონომიკის მოთხოვნის თვალსაზრისით) მოსახლეობას. ეს უპირველეს ყოვლისა მოხუცი და ავდმყოფი მოსახლეობაა. ამ კატეგორიას მიეკუთვნება ჭარბი სამუშაო ძალაც.

ამ კონტექსტში გასაგებია, სახელმწიფოებრივი ჩარევის საკითხებში არსებული უდიდესი განსხვავებანი, მდიდარ და ღარიბ ქვეყნებს შორის, მაგრამ პრობლემის ხედვის აღნიშნული კუთხე არც თუ სასარგებლოა. იმ შემთხვევაში, თუ ვცდილობთ გავარკვიოთ კეთილდღეობის სახელმწიფოს ჩამოყალიბების ისტორიული თანმიმდევრობა დასავლეთის ქვეყნებში ან/და მისი თანამედროვე გეოეკონომიკური დიფერენციაცია სოციალური დანახარჯების დონეების მიხედვით. პ. ფლორამ და ჯ. ოლბერმა აჩვენა, რომ შეუძლებელია ავხსნათ, თუ რატომ მოხდა, რომ

ევროპულ სახელმწიფოთა ერთმა ნაწილმა ადრე, ხოლო მეორე ნაწილმა უფრო გვიან, შეინარჩუნა სოციალური დაზღვევის სისტემა, თუ ამოვალთ მხოლოდ მათი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონეებიდან. ცალკეული ქვეყნების წინსწრება ან ჩამორჩენა ამ სფეროში გასაგები მაშინ ხდება, როცა მხედველობაში მიიღება ისეთი ფაქტორები, როგორიცაა მშრომელი კლასის მობილიზაციის დონე და კონსტიტუციური განვითარების ხასიათი[136]. იმის მიუხედავად, რომ XIX ს. გერმანია და ავსტრია მათი ავტორიტარული რეჟიმით, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მხრივ ჩამორჩებოდნენ ლიბერალური დემოკრატიის ქვეყანას, ისეთი როგორიც დიდი ბრიტანეთია, სწორედ გერმანია და ავსტრია გახდნენ პიონერი სახელმწიფოები სოციალური დაზღვევის საქმეში, რამდენადაც მათ სურდათ ეს დათმობა იმისათვის გამოეყენებინათ, რომ შეეჩერებინათ მშრომელი კლასის პოლიტიკური აქტივობის ზრდა.

დამოკიდებულებას ქვეყნის სიმდიდრესა და სოციალური დანახარჯების ფართობით დონეს შორის, მოდერნიზაციის პოსტულირებულ კონცეფციასთან მიმართებაში აშკარად ხაზობრივ და დადებით ხასიათს ატარებს. ითვლება, რომ რაც უფრო მდიდარი და კონკურენტუნარიანია ქვეყანა, მით უფრო მაღალია სოციალური საჭიროებისათვის დანახარჯები. ის მეცნიერები, რომლებმაც აჩვენეს რომ არ არსებობს ასეთი დამოკიდებულება „ოქროს მილიარდის" ქვეყნებში, აკეთებენ დასკვნას, რომ ამ ცვლადებს შორის არაეითარი კავშირი არ არსებობს, თუმცა გვეჩვენება, რომ ეს არც ისეე აშკარაა, რადგან ცვლადებს შორის დამოკიდებულება ყოველთვის არაა ხაზობრივი.

ქვეყნების რანჟირება სიმდიდრის დონის მიხედვით – „ღარიბი", „საშუალო" და „მდიდარი" – საშუალებას იძლევა მოვინიშ-

---

[136] Flora P, Alber J.Modernization, Democratization, and the development of welfare state in Western Europe// The development of welfare state in Europe and America/P.Flora, A.Heidenheimer (eds). New Brunsweik: Transaction Books, 1981. p. 37-80.

ნოთ ამ ორ საძიებელ პარამეტრს შორის სხვა ფორმაც. ეს ნიშნავს, რომ ამ ცვლადებს შორის არსებული დადებითი კავშირი რაღაც წერტილში იცვლება უარყოფითი კავშირით.

სამეცნიერო ლიტერატურაში ძირითადი ყურადღება ექცევა იმას, თუ რა განასხვავებს საშუალო კატეგორიის ქვეყნებს როგორც მდიდარი, ასევე ღარიბი ქვეყნებისაგან. ძირითადი კითხვა იმაში მდგომარეობს, თუ რატომ იქცევა ძალიან მდიდარი ქვეყნების ჯგუფი სხვაგვარად ვიდრე სხვა ქვეყნები? (ამ სხვა ჯგუფში შედის: ავსტრალია, კანადა, შვეიცარია და აშშ). თუ ამ ქვეყნებს არ მივიღებთ მხედველობაში ყოველთვის იქნება გამოკვეთილი ხაზობრივი დამოკიდებულება ქვეყნის სიმდიდრესა და სოციულური დანახარჯების ფარდობით დონეს შორის. ხოლო თუ მათაც მივიღებთ მხედველობაში, ხაზობრიობის ყველა ნიშანი გაქრება[137].

იმისთვის, რომ ავხსნათ ეს სტატისტიკური ფენომენი, აუცილებელია გამოვლინდეს ის პარამეტრიც, რომლის გამოც სიმდიდრის დონე ერთ ქვეყანაში შეიძლება იყოს სოციალური დანახარჯების დადებითი ფაქტორი, ხოლო მეორეში უარყოფითი. სრულებითაც არაა გამორიცხული, რომ მოცემული ფენომენი განპირობებულია არსებული შეხედულებებით სოციალურ პოლიტიკაზე ცალკეულ ქვეყნებს შორის და კეთილდღეობის სახელმწიფოს ფორმაზე, რომლებიც თავის მხრივ დამოკიდებულნი არიან დომინანტ რელიგიურ დოქტრინაზე. კათოლიკური სოციალური პოლიტიკა შენდება ორ ურთიერთდაკავშირებულ კონცეფციაზე – "სამართლიანი გასამრჯელო" და "სუბსიდირება"[138]. როცა საუბარია "სამართლიან გასამრჯელოზე" ჩვენ ვგულისხმობთ იმას, რომ საზოგადოების თვითოეული წევრი, როგორც მომუშავე, ასევე შემწეობაზე

---

[137] F.G.Castles. "The Dog that didn't Bark". p. 329-330.

[138] უფრო დაწვრილებით იხ. Van Kersbergen K.Social Capitalism: A Sdudy of Christian Democracy and the Welfare State: L: Routledge, 1995.

მცხოვრები, ღირსია მიიღოს შემოსავალი, რომელიც საშუალებას მისცემს მას შეინარჩუნოს ცხოვრების ცივილიზაციური სტანდარტი. "სუბსიდირება" კი ნიშნავს პირდაპირი სახელმწიფოებრივი ჩარევისაგან თავის არიდებისაკენ სწრაფვას და აქცენტის გაკეთებას სოციალური დაზღვევის განაწილებაზე-აღნიშნული კი წინა პლანზე აქცევს იმ დამოკიდებულებას, რომელიც არსებობს შემოსავლების დონესა და სოციალური საჭიროებისათვის დანახარჯების სიდიდეს შორის. ცნება "ცხოვრების ცივილიზაციური სტანდარტი" გულისხმობს, რომ სოციალური დახმარებების გაცემა უნდა იზრდებოდეს საზოგადოებრივი სიმდიდრის ზრდის კვალობაზე. სოციალური დაზღვევის წამყვანი პრინციპები უნდა იყოს იმის გარანტია, რომ გადარიცხვის დონე გაიზრდება შრომის ანაზღაურების ზრდასთან ერთად. ეს როგორც მინიმუმი ნიშნავს იმას, რომ ერთ სულ მოსახლეზე სოციალური დანახარჯები პროპორციული იქნება ეროვნული შემოსავლისა. უფრო მეტიც, საზოგადოებრივი კეთილდღეობის ზრდის კვალობაზე, ცნება – "ცხოვრების ცივილიზაციური სტანდარტი", მუდმივად ფართოვდება და თავის თავში აერთიანებს სოციალური კეთილდღეობის ახალ სახეებს.

რაც შეეხება არაკათოლიკურ ქვეყნებს, მათში შეიმჩნევა სოციალური დანახარჯების შედარებით დაბალი დონე, რასაც სამეცნიერო ლიტერატურაში იმით ხსნიან, რომ ასეთ სიტუაციაზე მოქმედებს ორი ფაქტორი: დემოგრაფიული და პოლიტიკური. არაკათოლიკური ქვეყნები აშკარადაა გაყოფილი ორ ჯგუფად. პირველი ეს არის სკანდინავიის ქვეყნები, უპირატესად სოციალ-დემოკრატიული ორიენტაციით და მეორე ინგლისურენოვანი ქვეყნებს დამატებული იაპონია და შვეიცარია[139], მეორე ჯგუფი თავისი ნიშნებით ძალიან ახლოა კეთილდღეობის

[139]უფრო დაწვრილებით იხ.: Families of Nations: Patterns of Public Policy in Western Democracies/ F.G Catles (ed). Aldershot: Dartmouth, 1993.

ე.წ კაპიტალისტური ლიბერალიზმის სამყაროსთან. სკანდინავიის ქვეყნებში, კი სოციალური დანახარჯები მუდმივად მაღალი იყო, ვიდრე დასავლეთის სხვა ქვეყნებში, რაც იმით შეიძლება აიხსნას, რომ ამ ქვეყნებში ჩამოყალიბდა განსაკუთრებული დემოგრაფიული სტრუქტურა, სადაც დომინირებს მაღალი ასაკობრივი ჯგუფის მოსახლეობა, ხოლო მეორეს მხრივ, ამ ქვეყნების პოლიტიკურ ორიენტაციაში სჭარბობს მემარცხენე (ყოველ შემთხვევაში არა მემარჯვენე) მიმართულება უკვე საკმაო დროის განმავლობაში.

ქვეყნები, რომლებიც არ მიეკუთვნებიან კათოლიციზმსა და მართლმადიდებლობას თავის დროზე იწყებდნენ იმ სოციალურ პროგრამებით, "რომელიც ეფუძნება კეთილდღეობის შემოწმებას იმ მიზნით, რომ გამოეელინათ მოსახლეობის ის ნაწილი, რომელიც ყველაზე მეტად საჭიროებენ დახმარებას[140]" დიდ ბრიტანეთსა და სკანდინავიის ქვეყნებში უარი თქვეს სარჩევნო სოციალურ პოლიტიკაზე მოქალაქეთა საყოველთაო უზრუნველყოფის სასარგებლოდ. სოციალურ-დემოკრატიულ სკანდინავიაში შემოღებული იქნა სოციალური კეთილდღეობის ფართო კრებული, რომლითაც ხდებოდა გადანაწილება მდიდრებიდან ღარიბებისაკენ, რათა დაეპყროთ იმ ამომრჩეველთა გულები და ჯიბეები, რომლებიც მიეკუთვნებოდნენ საშუალო კლასს[141]. ამდენად, სოციალური ინსტიტუტების სათანადო ფუნქციონირების ლოგიკა გეკარნახობს, რომ საზოგადოებრივი სიმდიდრის ზრდის შესაბამისად სოციალური უზრუნველყოფის სისტემა უნდა გახდეს არათუ ხელგაშლილი, არამედ უფრო ეკონომიური.

---

[140] უფრო დაწვრილებით იხ.: Overbye E. Convergence in policy outcomes: Social Security Systems in Perspective// J.of Public Policy.1994. vol 14, #2 p. 147-174.

[141] უფრო დაწვრილებით იხ.: Esping-Andersen G.Politics against market: The social democratic road to power Princeton, NJ: Princeton Univ.Press, 1985.

8.5. კეთილდღეობის სახელმწიფო ახალ გეოეკონომიკურ წესრიგში

ამჟამად კეთილდღეობის სახელმწიფოს განვითარებაში შეიმჩნევა ორი ურთიერთსაპირისპირო ტენდენცია. კერძოდ, ერთის მხრივ, მისი ფუნქციის შემცირება და მეორეს მხრივ, მისი გაფართოება. ხშირად აღნიშნავენ, რომ გეოეკონომიკური წესრიგის სტრუქტურული ცვლილებები აიძულებს ეროვნულ სახელმწიფოს გადახედოს სოციალური დაცვის სტრატეგიას. იმისათვის, რომ შეინარჩუნონ კონკურენტუნარიანობა. იქმნება შთაბეჭდილება, რომ კეთილდღეობის სახელმწიფო ძნელად თავსებადია გეოეკონომიკურ წესრიგთან (გამონაკლისად შეიძლება ჩაითვალოს ანგლოსაქსური მოდელი, რომელსაც შემდგომ თავში განვიხილავთ), ვინაიდან იგი ვერ წყვეტს კონფლიქტს სოციალურ დაცვასა და შრომის ბაზრის მოთხოვნებს შორის.

თუმცა არსებობს სხვაგვარი მოსაზრებაც, რომლის მიხედვითაც გამარტივებულად ფუნქციონირებადი სოციალური სისტემა კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა არა ახალმა გეოეკონომიკურმა წესრიგმა, არამედ ზოგიერთი ქვეყნის მთავრობების არშემდგარმა პოლიტიკამ. ამასთან დაკავშირებით ო.ლაფონტენი მკაცრად აკრიტიკებს ჰ.კოლის დროინდელ გერმანიის მთავრობის პოლიტიკას და აღნიშნავს, რომ გერმანიის სოციალური გარანტიების სისტემამ დაამტკიცა თავისი უნარი წარმატებით იფუნქციონიროს და შეეგუოს სხვადასხვაგვარ პირობებს (ომსა და მშვიდობას, ეკონომიკურ ზრდასა და სიღარიბეს). იგი არაერთხელ შეჯახებია ახალ გამოწვევებს და გამკლავებია მას, სამართლიანად დაუმსახურებია მოსახლეობის მხარდაჭერა და ნდობა. რასაკვირველია სოციალური დაცვის ინსტიტუტების რეფორმირება აუცილებელია, მაგრამ ამასთან არაა აუცილებელი, რომ იგი დაექვემდებაროს საბაზრო იმპერატივებს. ამჟამად გერმანიის ეკონომიკისა და მოქალაქეთა კეთილდღეობა უპირველეს ყოვლისა დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად შესძლებს გერმანიის მმართველი ხელისუფლება გააუმჯობესოს

მოსახლეობის სოციალური მდგომარეობა და კონიუქტურა. ეკონომიკის ლიბერალიზაცია არასდროს ყოფილა თვითმიზანი, იგი ყოველთვის ექვემდებარებოდა უმაღლეს პოლიტიკურ ამოცანებს.[142]

მსოფლიოს გეოეკონომიკურ წესრიგში, კეთილდღეობის სახელმწიფოს ადგილსა და როლის განსაზღვრაში, ბევრი ეკონომისტი და პოლიტიკოსი თელის, რომ სოციალური მომსახურება ტვირთია და ეკონომიკაზე, სოციალურ განვითარებასა და პოლიტიკაზე, მათ პროდუქტულობაზე, მისი (სოციალური მომსახურების) ზემოქმედების იგნორირებას ახდენს. მიიჩნევენ, რომ ეს მოდელები (განსაკუთრებით გერმანული და შვედური) დასაღუპავად არიან განწირულები. მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის მოკლევადიანი „გაუცხოება" ეკონომიკური განვითარებისაგან შეიძლება ეფექტური იყოს, მაგრამ ხანგრძლივ პერსპექტივაში იგი წარმოადგენს უეჭველ საფრთხეს საზოგადოებისა და საერთოდ ქვეყნის მომავლისათვის. გეოეკონომიკა ზრდის იმ ინდივიდუალურ რისკებს, რომელიც დაკავშირებულია შრომის პირობების უსწრაფეს ცვლილებებთან, რომელიც სახელწიფოს სოციალური დაცვის ფუნქციას სულ უფრო დიდ მნიშვნელობას ანიჭებს. ადამიანები, რომლებიც გრძნობენ თავს სოციალურად დაუცველად, დიდი ხალისით უჭერენ მხარს იმ სტრუქტურულ ცვლილებებს ეკონომიკაში, რომელიც ორიენტირებულია პროგრესზე. მიგვაჩნია, რომ სოციალური სისტემის პასუხისმგებლობის მთლიანად ინდივიდებზე გადატანა, შეიძლება საბედისწერო შეცდომა აღმოჩნდეს.

დასავლეთ ევროპის გამოცდილება გვიჩვენებს, რომ პასუხის გაცემის მცდელობები ეკონომიკური გამოწვევებისა და დასაქმების კრიზისებზე, სოციალური დემონტაჟითა და სოციალური

---

[142] უფრო დაწვრილებით იხ.: Lafontaine O; Milter ch.Keine Angst vor der Globalisierung: Wohlstand und Arbeit for alle. Bonn.1998.

სისტემის პრივატიზაციის საშუალებით, არ იწვევს ეკონომიკური ზრდის ახალი ფაზის შექმნას. სამაგიეროდ კონსერვატორულ-ლიბერალურმა მთავრობამ თანდათან დაკარგა მოსახლეობის მხარდაჭერა და 1990-იანი წლების მეორე ნახევრიდან ხელისუფლება გადაეიდა სხვა პოლიტიკური ძალების ხელში. ამ ხელისუფლებებს მოუწიათ ხელახლა გაეაზრებინათ ისეთი საკითხები, როგორიცაა საბაზრო ეკონომიკის სოციალური წინამძღვრები და სოციალური პოლიტიკის როლი გეოეკონომიკურ განვითარებაში. თუ სახელმწიფო და საზოგადოება უარს ეტყვის საკუთარი მოქალაქეების სოციალური უსაფრთხოების პასუხისმგებლობაზე, იგი ადამიანის უფლებების დაცვის დასავლეთ-ევროპული ტრადიციის დასასრულს, ტოლფასი იქნება, – თვლის რ. დარენდორფი. ამ პოზიციებიდან მან კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა ტ. ბლერისა და გ. შრიოდერის ერთობლივი დოკუმენტი – "მესამე გზა"[143]. კრიტიკოსმა აღნიშნა, რომ ღია მსოფლიოში არსებობს განვითარების არა მხოლოდ ორი ან სამი გზა, არამედ უამრავი. კრიტიკულად უდგება რა ტ. ბლერი – გ. შრიოდერის თეზისს "სახელმწიფო ნიჩაბს კი არ უნდა უსვამდეს, არამედ უნდა მართავდეს". (ანუ კი არ უნდა იხდიდეს საზოგადოებრივი კეთილდღეობისათვის, არამედ მხოლოდ უნდა მიუთითებდეს ადამიანებს, თუ რა უნდა გააკეთონ მათ – გ.კ). ასეთ მიდგომას რ. დარენდორფი უწოდებს „ავტორიტარულ ხიბლს". პოლიტიკური კლასი ხდება შეუცვლელი ნომერკლატურა, ხოლო მათ ვინც ამას არ ეთანხმება, უბრალოდ იგნორირებას უკეთებენ.[144]

ელიტარული სახელმწიფოს ლოგიკით პოლიტიკოსებმა და ჩინოვნიკებმა უკეთ იციან, თუ რა ჭირდება მოქალაქეს და საკითხს, თუ როგორ იცხოვრონ, წყვეტენ მათ მაგიერად (ყველაზე

---

[143] Blair T, Schreder G.Europe: The Third waydie Neue Mitte. L. Labour Party and SPD 1999.

[144] Dahrendorf R. The Third way and liberty: An Authoritarian Streak in Europes New Center// Foreign affirs, 1999, #5. p.16.

უფრო ხშირად ნარჩენის პრინციპით), თუმცა სოციალურ სახელმწიფოებრიობას განსხვავებული ლოგიკა აქვს. მოქალაქეები ითხოვენ და აღწევენ მიზანს, იმისათვის რომ ემსახურებოდეს მოქალაქეთა ინტერესებს, რომელთაც გააჩნიათ უფლება პირდაპირ ან არაპირდაპირ მიიღონ მონაწილეობა იმ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, რომელზედაც არის დამოკიდებული მათი ცხოვრების პირობები.

სახელმწიფოს არა აქვს უფლება დადგეს მზრუნველისა და კეთილისმყოფელის პოზაში, რამდენადაც იგი სოციალურ მომსახურებას სწევს გადასახადების ხარჯზე. სოციალური საჭიროებისათვის დანახარჯების შემცირება იწვევს შოკს, მოქალაქეებს უკარგავს სოციალური უსაფრთხოების (insecurity shock) რწმენას. "წითელი ფანქრის" პოლიტიკა, ანუ სახელმწიფო დანახარჯების სოციალური სტრატეგიის იგნორირება, აუცილებლად იწვევს სახელმწიფოსადმი მხარდაჭერის შესუსტებას.

განიცდის თუ არა კეთილდღეობის სახელმწიფო კრიზისს? რასაკვირველია. თანამედროვე მსოფლიოში ასეთი კრიზისი არსებობს თუმცა მიგვაჩნია, რომ ეს არის ადაპტაციის კრიზისი და არა კეთილდღეობის სახელმწიფოს დასასრული. დასავლეთ ევროპაში გაცხოველებული კამათი მიმდინარეობს კრიზისიდან გამოსვლის გზებთან დაკავშირებით, მაგრამ არავინ გეთაყვა ზობს შევუმციროთ პენსიები ადამიანებს, (რომლებმაც მთელი ცხოვრება იშრომეს) იმ დონემდე, რომ მათ ბოთლები აგროვონ ქუჩაში. თუმცა კეთილდღეობის სახელმწიფოს განმტკიცებისათვის ყველაზე უფრო მეტად იბრძვიან ის სახელმწიფოები, რომლებსაც კარგად აქვთ გაცნობიერებული თავისი დაცვითი ფუნქციების მნიშვნელობა შიდაპოლიტიკური და საერთაშორისო სტაბილურობის შენარჩუნებისათვის. "კეთილდღეობის სახელმწიფო, – წერს ი.შტრასერი, ეს სხვა არაფერია, თუ არა დემოკრატიის დაფარული, საქმიანი საფუძველი. თუ სოციალური გარანტიები ინგრევა, სულ უფრო იზრდება სხვაობა მდიდრებსა და ღარიბებს შორის, იზრდება უმუშევართა რიცხვი

და სულ უფრო მეტი ახალგაზრდა ვერ იღებს განათლებას და სამუშაო ადგილს, როგორც ეს შეინიშნება ბოლო წლებში ყველგან ევროპაში, რის გამოც შეიძლება დაზარალდეს დემოკრატია და თუ ავტოკრატიულ ეპოქაში დაბრუნება ნაკლებ მოსალოდნელია, დემოკრატიის შეცვლა ტექნოკრატიული ელიტის ბატონობით-ეს რეალური საშიშროებაა".[145]

[145] Штрассер Й. Будущее социального государства // пер. с. немец. Социальное государство в западной европе. М. ИНИОН, 1999. с.127.

თავი IX. კეთილდღეობის სახელმწიფოს „მესამე გზის“ გეოეკონომიკური და გეოსოციალური მოდელი

9.1 კეთილდღეობის სახელმწიფო: რეაქციები გეოეკონომიკურ გამოწვევებზე

11 სექტემბრის მოვლენებამდე დასავლეთს საკმარისად არ ჰქონდა გაცნობიერებული, თუ როგორ გარე გამოწვევებს შეეჯახებოდა იგი. ითვლებოდა, რომ დასავლეთის პოლიტიკურ მოდელს არ გააჩნია ალტერნატივა, რაც გარე საფრთხეების თავიდან აცილების გარანტად ითვლებოდა

1984 წ ჯ. ნებსიტი თავის ცნობილ ‘შრომაში “მეგატრენტი. ჩვენი ცხოვრების ტრანსფორმაციის ათი ახალი მიმართ‘ულება” ამტკიცებდა, რომ კაცობრიობას ელოდება გადასვლა:

- ინდუსტრიული ეკონომიკიდან ინფორმაციულზე;
- განვითარებული ტექნოლოგიებიდან, მაღალ ტექნოლოგიებზე;
- ეროვნული ეკონომიკიდან, მსოფლიო ეკონომიკაზე;
- მოკლევადიანი პროცესებიდან, გრძელვადიან პროცესებზე;
- ცენტრალიზაციიდან დეცენტრალიზაციაზე;
- ინსტიტუციონალური დახმარებიდან თვითდახმარებაზე;
- წარმომადგენლობითი დემოკრატიიდან პარტიციპატორულზე (მონაწილეობის დემოკრატია)
- იერარქიიდან ქსელებზე;
- ჩრდილოეთიდან სამხრეთზე;
- არჩევანის შესაძლებლობების მრავალფეროვნებაზე.[146]

სწორედ იმ დროს, როცა სუსტდება ძველი საფუძვლები, პოლიტიკაში იზრდება ფუნდამენტალიზმი. ეს ნიშნავს, რომ ყველა ცვლილების მიუხედავად ნარჩუნდება სახელმწიფოს მიერ წესრიგის შენარჩუნების საბაზო პრინციპი და იერარქიისა და ორგანიზაციის ნგრევა, კაპიტალის მისწრაფება იქ, სადაც

[146] Naisbitt J.Megatreds. Ten New Directions Transforming Our Lives. N.Y., Warner Books. 148.p.27.

მომგებიანია, სახელმწიფოს ინტერესების გათვალისწინების გარეშე, ცვლილებები სამოქალაქო საზოგადოებასა და დემოკრატიაში, ტერიტორიული ძერები, შრომის ხასიათის ცვლილებები და სრული დასაქმების შეუძლებლობა, ხოლო ოჯახის ინსტიტუტის ცვლილება და ცხოვრების სტილის მრავალფეროვნება აწმყოსა და მომავლის ისეთი ფაქტორები აღმოჩნდნენ, რომლებმაც მოითხოვეს პასუხები.

ძველი რეალობა ჯერ კიდევ არ გამქრალა, ხოლო ახალი მხოლოდ იბადება. მაგრამ დღეს ცვლილებები ძალიან სწრაფად მიმდინარეობს. ახალი მდგომარეობა, რომელიც მოიცვა ტერმინმა "გლობალიზაციამ" გეოეკონომიკის თვალსაზრისით წარმოადგენს გადასვლას ახალ თანამედროვეობაში. კლასიკური მოდერნიზაცია წარმოადგენდა გადასვლას ტარდიციული საზოგადოებიდან (რომელიც ხასიათდებოდა ტრადიციის ბატონობით ინოვაციაზე, რელიგიურობით, კოლექტივიზმით, ინდუსტრიამდელი განვითარებით, რაციონალურობის ფასეულობებით და ა.შ) თანამედროვე ცხოვრებაზე. (სადაც ინოვაცია საჭიროებს ტრადიციას, ჩნდებიან ავტონომიური ინდივიდები, ყალიბდება ინდუსტრიული წარმოება და ა.შ). ე. გიდენსი თვლის, რომ თანამედროვე საზოგადოება, რომლის ბირთვსაც შეადგენს ინდუსტრიალიზაცია, გავრცელდა მრავალ არაინდუსტრიულ ქვეყანაში. იგი დღეს შეიძლება იწოდებოდეს როგორც ტრადიციული იმ საზოგადოებასთან შედარებით, რომელსაც ქმნის გლობალიზაცია და რომელიც უკვე დღეს ხასიათდება გლობალური თავისუფალი ბაზრით და ზემოთ აღწერილი ნიშნებით. ზოგადად შეიძლება ამ გეოეკონომკურ კონცეფციას ეწოდოთ პროგრესიზმი, ყოველ შემთხვევაში ასე იწოდება ის დოკუმენტებში, სადაც აშშ, ინგლისისა და გერმანიის ლიდერები ცდილობენ თავიანთი ქვეყნები წაიყვანონ პროგრესული განვითარების გზით, რომელიც გლობალიზაციის პირობებში ახალ სახეს იღებს. კერძოდ, გლობალური ეკონომიკის ათვისებისა და შიდა ამოცანების გადაჭრის სახეს, რაც გამომ-

დინარეობს ახალი სიტუაციიდან, კერძოდ იქიდან, რომ გლობალური ბაზარი, როგორც წინა თავებში გავარკვიეთ, არ ემორჩილება არც სახელმწიფოს, არც სახელმწიფო-სისტემას და არც ზენაციონალურ ორგანოებს. მსგავსად იმისა, როგორც ცალკეულ ქვეყნებში ლიბერალური მოდელები წარმოადგენენ მათი მოდერნიზაციის შემადგენელ ნაწილს, ბაზრის გლობალური ლიბერალიზაცია განიხილება როგორც ახალი მოდერნიზაციის შემადგენელი ნაწილი. ეს გეოეკონომიკური მოდელი გ'ულისხმობს სოციალური სოლიდარობის შეერთებას გლობალურ დინამიურ ეკონომიკასთან. ქვეყნები, რომლებსაც ამ ეტაპზე დგანან, ცდილობენ ნაწილობრივ მაინც გამოასწორონ მსოფლიო ბაზრის ექსცესები, საკუთარი პოლიტიკის ხარჯზე, მაგრამ მათი საბოლოო მიზანი მაინც არის თავისი ქვეყნების პროგრესული განვითარების უზრუნველყოფა.[147]

9.2 მოდელის გეოეკონომიკური არსი

განვითარების ზემოთ აღწერილი ვარიანტის გამოყენება, შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც დასავლეთის ქვეყნების გეოეკონომიკური მოდერნიზაციის ახალი ეტაპი. პრაქტიკაში არ არსებობს „მესამე გზის" ზოგადევროპული მოდელი. მისი სხვა ქვეყნებში გამოყენება მოითხოვს, ამ ქვეყნების, როგორც ისტორიული ასევე კულტურული თავისებურებების გათვალისწინებას. ამ მოდელის ნაირსახეობა ამჟამად გამომდინარეობს საბაზო მოდელიდან ან „ემპირიულად" გამოიყვანება ცალკეულ ქვეყნებში. საბაზო მოდელი მოიცავს სახელმწიფო რეფორმას და მის სოციალურ სახელმწიფოდ გარდაქმნას ისეთი ახალი აზრით, რომელიც გამდიდრებულია ახალი ატრიბუტიკებით (ნახ.9.2)


---

[147] Blair T. The third way. L. Fabian Society.1998.Blair T, Schroder G.Europe: The third way-die Neue Mitte. L; Labour Party and SPD. 1999; The third way: Progressive Governance for the 21st century//The White House. 25 April 1999.

ბოლო წლების გეოეკონომიკური და გეოპოლიტიკური ძვრები (კომუნიზმის დაშლა, გლობალიზაცია, ტექნოლოგიური რევოლუცია, რისკების ზრდა) ამ მოდელს უსპობს აბსტრაქტულობის შესაძლებლობას, იმ აბსტრაქტულობისა, რომელიც დამახასიათებელია სხვადასხვა პარტიების პროგრამებისთვის და რომლებიც მხოლოდ განზრახვის დეკლარირებას ახდენენ. ეს მოდელი გაცილებით სპეციფიკური ხდება და კონკრეტულად რეაგირებს როგორც გლობალურ ასევე რეგიონულ გეოეკონომიკურ პრობლემებზე, „მესამე გზის" საბაზო მოდელი ეგიდენსის შრომებში მეტად საინტერესოდაა გადმოცემული რადგან კაპიტალიზმის ინგლისური მოდელი მიახლოებულია მის "კლასიკურად სუფთა" ტიპთან, რომელიც თავისუფალია ხარვეზებისაგან. გლობალური ბაზრის უარყოფა მემარცხენეების მიერ და მისი გაფეტიშება მემარჯვენეების მხრიდან, "მესამე გზის" მომხრეების აზრით, არ შეესაბამება დღევანდელი მომენტის ამოცანებს.

მესამე გზის გეოეკონომიკური მოდელი და მისი ატრიბუტიკა

ნახ. 9.2



მოდელის ატრიბუტიკა

1 – სამოქალაქო საზოგადოების გაელენის ზრდა
2 – სოციალური კონტროლის ახალი ფორმები
3 – პასუხისმგებლურ კაპიტალიზმზე გადასვლა
4 – ინდივიდუალიზმისა კომუნიტარიზმის შეთანაწყობა
5 – სოციალური დახმარების კონცეფციის გადახედვა
6 – დასაქმების ახალი კონცეფციების შემოტანა
7 – სტაბილური ეკოსისტემის უზრუნველყოფა
8 – ადამიანის პოტენციალის მაქსიმალური გახსნა
9 – სოციალური და ადამიანური კაპიტალის დომინანტობის აღიარება
10 – გლობალურ მსოფლიოში ცხოვრების უნარის ფორმირება

წყარო: Giddens A.The Third way and its Critics, Cainbride: Polity Press, 2000; Blair T. The Third Way. L Fabian Socicty, 1998; Blair T., Schroder G. Europe: The Third Way – die Neue Mitte. L.: Labour Party and SPD, 1999.

კერძოდ: ეროვნულ სახელმწიფოებს არ შეუძლიათ რეაგირება მოახდინონ გლობალურ ბაზარზე, ხოლო მისი სრული დერეგულაცია ზრდის რისკებსა და გაუთვალისწინებელი კატასტროფის შესაძლებლობას. არსებულ სიტუაციასთან ადაპტირების მიზნით ე.გიდენსი გვთავაზობს სტრუქტურულ

პლურალიზმს, რომელიც მოიცავს იმ რიგი სოციალური და პოლიტიკურ- ეკონომიკური ინსტიტუტების ურთიერთქმედებას (სახელმწიფო, ბაზარი, სამოქალაქო საზოგადოება, დემოკრატია) ურთიერთქმედებას, რომლებიც სახელმწიფოს არ მისცემენ გაბიუროკრატების საშუალებას, როგორც ეს მოხდა უკიდურესად მემარცხენე კომუნისტურ კონტექსტში და როგორც ეს ხდება ლიბერალური რეჟიმისათვის დამახასიათებელ სიტუაციაში, როცა სახელმწიფო ხდება სტატიკური, დამოკიდებული და არააქტიური. „მესამე გზა" სახელმწიფოს აკისრებს სერიოზულ პასუხისმგებლობას. კერძოდ მის წინაშე დგება საზოგადოების ცივილიზაციისა და საჯარო სფეროს შენარჩუნების უდიდესი ამოცანები. ერთის მხრივ, სახელმწიფო უნდა შეეგუოს თავისი როლის შემცირებას მსოფლიო ეკონომიკაში, მეორეს მხრივ, შექმნას სოციალური და ცივილიზაციური ჩარჩოები, რომელიც დღეს მეტისმეტადაა დამოკიდებული ბაზარზე. ამ შემთხვევაში სახელმწიფოს როლი იზრდება. სახელმწიფო უნდა ცდილობდეს გადასახადების შემცირებას, ეკონომიკურ აყვავებას და სოციალური წესრიგის დამყარებას. სახელმწიფო უნდა დაეყრდნოს საჯარო ინსტიტუტებს, რომლებმაც შეიძლება მიიღონ პრიორიტეტები მრავალი პრობლემის გადაჭრაში. სახელმწიფომ უნდა მოახერხოს და ვალდებულებაცაა მოახდინოს თვითრეფორმირება საზოგადოებრივი კეთილდღეობის მიღწევის მიზნით, გადალახოს ამომრჩეველთა აპათია და მოიპოვოს მათი ნდობა. მან თავის თავზე უნდა აიღოს განათლების სტანდარტის ამაღლების ფუნქცია, ამოვიდეს იქიდან, რომ არსებული დემოკრატიის დონე არასაკმარისია და ყოველმხრივ წაახალისოს საზოგადოებრივი თვითმმართველობა, ჩამოაყალიბოს მისაღები პოლიტიკური მმართველობის ფორმა, ებრძოლოს კორუფციას, ნეპოტიზმს* და კრიმინალს. სახელმწიფო უნდა გახდეს დემოკ-

---

* ნეპოტიზმი – თანამდებობის პირთა მიერ თავიანთი ნათესავების, ახლობლების მფარველობა; გაულენიან და შემოსაელიან თანამდებობათა დარიგება ნათესავებისათვის.

რატიზაციის ახალი ტალღის ინიციატორი (რომლის აუცილებლობა გამოიწვია გლობალიზაციამ) და ამავდროულად ხელი შეუწყოს ზენაციონალური გაერთიანების (მაგალითად ევროკავშირი), დემოკრატიზაციის პროცეს, რაშიც დიდი როლი შეიძლება შეასრულოს სამოქალაქო საზოგადოებამ. "სამოქალაქო საზოგადოება – წერს ე. გიდენსი, – წარმოადგენს სახელმწიფოსა და ბაზრის ერთდროულად შეკავების ფაქტორს. არც საბაზრო ეკონომიკას და არც დემოკრატიულ სახელმწიფოს არ ძალუძს ეფექტური ფუნქციონირება სამოქალაქო ასოციაციების ცივილიზირებადი გაელენის გრეშე."[148]

აშშ-ში ეს პოზიცია დამკვიდრებას იწყებს 1980-იან წლებში. კლასიკური თვალსაზრისით სამოქალაქო საზოგადოების ქვეშ იგულისხმება საზოგადოება, რომელიც თავისი კონტროლის ქვეშ აქცევს სახელმწიფოს. ბიზნესთან დამოკიდებულებაში კი აშშ–ში მისაღებად ითვლება ფორმულა: "რაც კარგია ჯენერალ მოტორსისათვის, კარგია ამერიკისათვისაც". რ. ნაიდერიმა (რომელიც ამ პოლო წლებში აშშ–ს პრეზიდენტობის ერთ-ერთი კანდიდატი იყო) შეცვალა სიტუაცია. მან მოითხოვა საზოგადოებრივი კონტროლის დაწესება ბიზნესზე, შექმნა იურიდიული სამსახური, რომელიც განიხილავს მოქალაქეთა საჩივრებს ბიზნესის წინააღმდეგ (რომელიც აშშ ამჟამად ძალიან კარგად მუშაობს). დღეს აშშ–ს მოსახლეობა დარწმუნებულია იმაში, რომ "ის ყველაფერი რაც კარგია ჯენერალ მოტორსისათვის ყოველთვის კარგი არაა ამერიკისთვის". სამოქალაქო საზოგადოება განიხილება როგორც საზოგადოება, რომელსაც შეუძლია თავის კონტროლს დაუქვემდებაროს როგორც სახელმწიფო, ასევე ბიზნესიც. ეს უკანასკნელი წარმოადგენს "მესამე გზის" გეოეკონომიკური მოდელის საკვანძო ფორმულას, რომელიც ხსნის სახელმწიფოს როლის შესახებ (ტრადიციული მემარცხენე და ტრადიციული მემარჯვენე) წარმოდგენებს ეკო-

[148] Giddens A. The Third way and its critics.Cambrige: Polity press, 2000.

ნომიკაში, რომელიც როგორც წინა თავებში უკვე აღვნიშნეთ, სახელმწიფოს აკისრებს საარბიტრაჟო და ცივილიზაციურ ფუნქციებს, ხოლო სამოქალაქო საზოგადოებას კი კონტროლს ბიზნესსა და სახელმწიფოზე. ბაზრის, სახელმწიფოსა და სამოქალაქო საზოგადოების თანაფარდობის საკითხი "მესამე გზის" ქვეყნებში, ბუნებრივად ბადებს ისეთ საკითხების განხილვის აუცილებლობას, როგორიცაა სახელმწიფოსა და გლობალური ეკონომიკის, სახელმწიფოსა და ახალი ტექნოლოგიების ურთიერთ დამოკიდებულება, რომლებიც თავის მხრივ მრავალი ცვლილების მიზეზს წარმოადგენს და გეოეკონომიკური განვითარების ახალი გზების ძიების ინიცირებას ახდენს.

გლობალურ ეკონომიკას გააჩნია რიგი პრინციპულად ახალი ნიშნები. მათ შორის ე. გიდენსი გამოყოფს მეცნიერებისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების უდიდეს როლს წარმოებაში, ასევე ადამიანის მოღვაწეობის სიმბოლურ შინაარს, რეკლამას და წარმოებული პროდუქტის „დაწინაურების" უნარს. მართლაც ისეთი სიმბოლოები, როგორიცაა „ფრანგული პური", „ესპანეთის ღვინო", „იტალიური მოდა" და ა.შ მუშაობენ გლობალურ ბაზარზე, როგორც ბიზნესის მნიშვნელოვანი ფაქტორები, რომლებიც ცოტა შანსს ტოვებენ ახალი სიმბოლოების გამარჯვებისათვის, რამდენადაც რეალურად გერმანული პური არ ჩამოუვარდება ფრანგულს, ხოლო ესპანური ღვინო ალბათ არც თუ ძალიან უკეთესია ვიდრე იტალიური. თუმცა, გლობალური ბაზარი უპირველეს ყოვლისა ყალიბდება მეცნიერებადტევადი პროდუქტითა და ახალი ეკონომიკით, რომელიც ეფუძნება ცოდნას. სწორედ ეს უკანასკნელი ქმნის ინოვაციასა და მოგებას. გლობალურ ბაზარზე ინდუსტრიულ წარმოებას, წარმოადგენენ არადასავლური ქვეყნები, რომლებიც არათუ დიდი ხნის წინ შეეიდნენ ინდუსტრიალიზაციის ეპოქაში, მაგრამ ისინიც მიისწრაფვიან ახალ ეკონომიკაში სერიოზული ნახტომისაკენ. ამასთან დაკავშირებით ე. გიდენსს მოჰყავს ორი მაგალითი: აგრარული ბაზარი ჩიკაგოში, დიდი ტბების

რაიონში, რომელიც შეიწროებულია ფინანსური ბაზრის მიერ და „სილიკონის ველის" სახელწოდებით განხილვადი პროექტი (სილიკონის ველის ანალოგიით აშშ-ში, სადაც აწარმოებენ კომპიუტერებს) ბანგლადორში (ინდოეთი) ინგლისელი ლეიბორისტები მხარს უჭერენ ინოვაციის კონკურენტულ არჩევანს ბაზრის მეშვეობით და უარს ამბობენ თავისი მრეწველობის პროტექციონიზმზე. ამისაკენ მათ უბიძგებს თავისუფალი ვაჭრობის ძველი ტრადიცია და ყველაზე უფრო განვითარებული კაპიტალიზმი. ე.გიდენსი აღნიშნავს, რომ თუ ამერიკის ხელისუფლება მხარს დაუჭერდა IBM, არ გაჩნდებოდა ისეთი ახალი შესანიშნავი კომპიუტერები, როგორიცაა Apple-ს ფირმის მიერ გამოშვებული Macintosh-ის კომპიუტერები. "მესამე გზის" სხვა ქვეყნებში, მაგალითად საფრანგეთში, სახელმწიფო განსაზღვრავს პრიორიტეტებს. გერმანიის მთავრობა კი უარს ამბობს სამრეწველო პოლიტიკაზე, მაგრამ ამ უკანასკნელს ახორციელებს გერმანიის ბანკი.

ახალი ტექნოლოგიები ვითარდება ძალიან სწრაფად და მათ, ვისაც სურს დაიკავოს ადგილი გლობალურ ეკონომიკაში, ტექნოლოგიური განახლების სიჩქარე აუცილებლად ძალიან მაღალი უნდა ჰქონდეთ. მაგალითად ფირმა IBM ლიდერობდა კომპიუტერების მსოფლიო ბაზარზე, მაგრამ გადაწყვიტა დაეცადა, ვიდრე ბ. გეისტი შექმნიდა ახალ Windows მათი ახალი კომპიუტერებისათვის. ამ პაუზით დაუყოვნებლივ ისარგებლა ფირმა Compaq-მა. მას სწრაფად გაუსწრო კომპანია Dell-მა, რომელიც უშვებდა მოდემებს ინტერნეტის ქსელისათვის.

გლობალურ ეკონომიკაში კონკურენტული შეჯიბრი იმას ნიშნავს, რომ აქ გაჩერება სიკვდილის ტოლფასია. ამერიკელი ჟურნალისტი თ.ფრიდმანი აღწერს ერთ საინტერესო ისტორიას, კერძოდ ჟურნალისტი აკვირდება იაპონიის ერთ-ერთ ქარხანას, სადაც იწარმოება საკმაოდ ძვირი და პრესტიჟული ავტომობილი „ლექსუსი". წარმოების პროცესში ერთი რობოტი მანქანას აკრავს ემბლემას, ხოლო მეორე ამ ოპერაციის შედეგად დარჩე-

ნილ ერთ წვეთ წებოს წმენდს. სულ ავტომობილის წარმოებაში აქ გამოიყენება 300 რობოტი. იმავე დღეს იგი „ინტერნეიშენალ ჰერალდ ტრიბუნში“ კითხულობს, რომ არაბი და ებრაელი ერთმანეთს წაეჩხუბენ იმაზე, თუ რომელი მათგანი „ფლობს“ ზეთისხილის ხეს. წიგნს ასე ჰქვია „გლობალიზაციის ახსნა, ლექსუსი და ზეთისხილის ხე“. ავტორი წერს, რომ “ზეთისხილის ხე ძალიან მნიშვნელოვანია. იგი წარმოადგენს ყველაფერს, რასაც ჩვენი ფესვები ჰქვია, რაც ახდენს ჩვენს იდენტიფიცირებას და ხელს გვიშლის ამ სამყაროში იქნება ეს ოჯახისადმი, საზოგადოებისადმი, ტომისადმი, თემისადმი, რელიგიისადმი კუთვნილება ან, უპირველეს ყოვლისა, სახლად წოდებულ ადგილისადმი კუთვნილებაში. სნამდვილეში ეს ერთერთი მიზეზია იმისა, რომ ეროვნული სახელმწიფოები არასდროს გაქრებიან (თუნდაც ძალიან შესუსტდნენ). ამის მიზეზი კი ზეთისხილის ხეა, საბოლოო გამოხატულება იმისა, რასაც ჩვენ ვეკუთვნით ლინგვისტურად, გეოგრაფიულად და ისტორიულად.“[149] გლობალიზაციის მიერ შექმნილი ახალი მსოფლიო 10 წლისაა, მაგრამ ახალ მსოფლიოში გამარჯვებული იღებს ყველაფერს”[150]. სხვებს რჩებათ მხოლოდ შური, მათ ალტერნატივის შექმნა ჯერჯერობით არ შეუძლიათ. ამ პირობებში სახელმწიფომ შეიძლება უარი თქვას გლობალურ ეკონომიკაში მონაწილეობაზე, მაგრამ, მისი შედეგი აღმოჩნდება მათზე დამოკიდებულება, ვინც მასში მონაწილეობს.ახალ მსოფლიოში შესვლას იმიტომ უწოდებენ ახალ მოდერნიზაციას, რომ მისი კანონები ძალიან ჰგავს იმას, რაც ადრინდელი პერიოდისთვის იყო დამახასიათებელი, კერძოდ ქვეყნები, რომელთაც არ სურდათ ეპასუხათ დასავლეთის გამოწვევას მოდერნიზაციაზე, მაშინვე ხდებოდნენ მათზე დამოკიდებულნი, ჩამორჩენილნი იმ ღირსების მიუხედავად, რომელიც მათ გააჩნდათ, ხოლო როცა

---

[149] Friedmen Th. Understanding Globalization. The Lexus and the Olive Tree. N.Y. Ancher Books, 2000. p.30

[150] იქვე. გვ.306-320.

ქვეყანა ჩამორჩენილია, იგი ყოველგვარ საკუთარ ღირსებას კარგავს. დღევანდელი სიტუაცია იმ სიტუაციას ჰგავს, რომელიც ე. გიდენსს მოყავს იმ ადამიანებთან დამოკიდებულებაში, რომელთაც „გააჩნდათ თანაბარი შესაძლებლობები, მაგრამ ვერ გამოიყენეს იგი პირველ თაობაში, ხოლო როცა გაღარიბდნენ მათ მოუსპეს მომავალ თაობას თანაბარი შესაძლებლობების შანსი."[151]

სოციალ-დემოკრატია (ძველი ტიპის) კონცენტრირდებოდა ინდუსტრიულ პოლიტიკაზე და მოითხოვდა კეინსიანურ მიდგომას, მაშინ როცა ლიბერალები აქცენტს აკეთებდნენ დერეგულაციასა და ბაზრის ლიბერალიზაციაზე. "მესამე გზის" პოლიტიკური ეკონომია სხვადასხვა პრიორიტეტებს გულისხმობს. კერძოდ, ეს არის განათლება, ინიციატივა, სამეწარმეო კულტურა, მოქნილობა, ხელისუფლების გადაცემა და სოციალური კაპიტალის ასე ვთქვათ გამოზრდა. "მესამე გზის" მიმდევრები აღნიშნავენ, რომ მკაცრი ეკონომიკა გულისხმობს მკაცრ საზოგადოებას, რომლის დროსაც მაკროეკონომიკის პოლიტიკის მიზანია შეინარჩუნოს დაბალი ინფლაცია, შეზღუდოს სახელმწიფოს სესხები და გამოიყენოს ყველა აქტივები, მათ შორის ლიბერალური სესხებიც, რათა დააჩქაროს ზრდა და უზრუნველყოს დასაქმების მაღალი დონე.

დასაქმების პრობლემა ბაზრის გლობალიზაციის პირობებში ერთ-ერთი სახელმწიფოებრივი ამოცანა ხდება. თუ ადრე ადამიანები სოფლიდან მიდიოდნენ ქალაქის ინდუსტრიაში, შემდეგ ქარხნიდან მომსახურების სფეროში, ამჟამად მათ წასასვლელი აღარსად ექნებათ. ამჟამად აშშ-ში მატერიალურ წარმოებაში მონაწილეობს მოსახლეობის მხოლოდ 7%, დანარჩენები წარმოებისათვის განიხილება როგორც მომხმარებელი და ის მუშაკები, რომლებიც უზრუნველყოფენ წარმოებასა და მოხმარებას. კერძოდ, აშენებენ გზებს, ქმნიან ინფრასტრუქტურას

[151] Giddens A.The Third Way and its critics. Cambridge: Polity Press. 2000, p.79

და ა.შ. დასაქმების ასეთი მოდელი ალბათ კიდევ დიდხანს იქნება შენარჩუნებული, მაგრამ ახალი ტექნოლოგიების დანერგვა, შეამცირებს მომუშავეთა რიცხოვნობას იმის გამო, რომ მათი კვალიფიკაცია და რაოდენობა აღარ იქნება ერთმანეთთან შესაბამისობაში.

ე. გიდენსი, რომელიც აცნობიერებს მომავალ სიტუაციას გვთავაზობს ვიზრუნოთ ადამიანურ კაპიტალზე. როგორც ჩანს, მოგვიწევს ვაღიაროთ დასაქმება როგორც ფასეულობა, მაგრამ ამ შემთხვევაში, იგი ეწინააღმდეგება ეკონომიკის ეფექტიანობას და დაუნდობელ კონკურენციას. იგი გვთავაზობს ადამიანური კაპიტალის შენარჩუნებას განათლებით და ახალ პროფესიებზე გადამზადების სისტემის მეშვეობით. მთავარი კი ისაა, რომ ბიზნესში არ დაეინახოთ მხოლოდ ეგოიზმი, რომელიც მიმართულია მოგების მიღებაზე, ან მხოლოდ იმ რაციონალობის მნიშვნელობა, რომელიც შეესაბამება ბაზრის საჭიროებას.

სოციალური და სამოქალაქო მეწარმეობა, ანუ წარმატებული საქმიანობა სოციალურ სფეროში, არანაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე მუშაობა ბაზრის კონტექსტში. შემოქმედებითი ენერგიის მოზღვავება, რომელიც შეინიშნება ტექნოლოგიებსა და გლობალურ ბაზარზე, ჭირდება საზოგადოებას, საჯარო სექტორში". ამიტომ, დასაქმების გადამზადების პრობლემა დეტალურად მუშაუდება იმ პრინციპების თვალსაზრისით, რომელიც შეიძლება მიღწეულ იქნას გეოეკონომიკური პოლიტიკით. მაგრამ აქ არავითარი საუბარი არ შეიძლება იყოს ზედმეტ ხალხზე ან იმაზე, რომ ზოგიერთი შეიძლება გახდეს ზედმეტი. პირიქით, ამ მოდელში საუბარია კოოპერაციაზე (მათ შორის ტექნოლოგიურ დარგებში იმისთვის, რომ შეიქმნას ნორმატიული ინოვაციური ქსელი. მთავარი იმედი, იმისთვის რომ უზრუნველყოფილი იქნას დასაქმება იმაში მდგომარეობს, რომ სოციალური მეწარმეები შეიძლება გახდნენ მაღალკვალიფიციური ნოვატორები სამოქალაქო სა-

ზოგადოების სფეროში და იმავდროულად. თავისი წვლილი შეიტანონ ეკონომიკურ განვითარებაში.

დღეს საზოგადოება მეტად საჭიროებს სახელმწიფოს მონაწილეობას. მაგრამ სახელმწიფომ უნდა იმუშაოს ბაზრის დონის „ზევითაც" და ამ დონის „ქვევითაც" იგი ორიენტირებული იყოს საზოგადოების კეთილდღეობაზე. ამ შემთხვევაში კი, აქ ერთმანეთს ერწყმის კეთილდღეობის ძიების გაწყვეტილი ტრადიცია და მხოლოდ თავისუფლების განხილვა ყოველგვარი კეთილდღეობის წყაროდ.

ამ მოდელის კრიტიკის მთავარი მიმართულება ისაა, რომ იგი წარმოადგენს ანგლოსაქსურ მოდელს, რომელიც მიუღებელია თვით კონტინენტალური ევროპისთვისაც. სკანდინავიის ქვეყნები ამაყობენ კეთილდღეობის მიღწევის საკუთარი სისტემით, რომელიც ეფუძნებოდა მაღალ გადასახადებსა და მათ სამართლიან გადანაწილებას, რითაც უზრუნველყოფდა ამ ქვეყნების მოსახლეობის აყვავებას. მართლაც, ნორვეგია და ფინეთი ეს მაღალი ცხოვრების დონის ქვეყნებია, მაგრამ ისინი როგორც უკვე შევდეთი, ეჯახებიან კაპიტალის გადინების პროცესს, რომელზეც წინა თავებში გვქონდა საუბარი. როგორც შვედი მკვლევარი ო.პეტერსონი აღნიშნავს "თანამედროვე სახელმწიფოს უნარი მოძებნოს შესაფერი გადაწყვეტილება დღეს მკვეთრად შემცირდა. უპირველეს ყოვლისა იმიტომ, რომ მათი უმტესი ნაწილი გადის ეროვნულ საზღვრების გარეთ, მეორის მხრივ, შედარებით სერიოზული საკითხები მოითხოვენ ძალისხმევის მნიშვნელოვან კოორდინაციას საერთაშორისო მაშტაბით, მესამეს მხრივ, კი ამჟამინდელი პუბლიკა არ არის მიდრეკილი დაეთანხმოს წესებს, რომლებიც მიიღება ზემოთ და შესრულებისათვის ეშვება „ქვემოთ".[152]

ინგლისელ ლეიბორისტებს. იმისთვის აკრიტიკებენ, რომ ისინი ეყრდნობიან მხოლოდ ინგლისის შედარებით უკეთ განვი-

---

[152] Петерсон О. Шведская система правления и политика. М : Ad Margirem, 1998. с.13.

თარებული რეგიონების საშუალო კლასის ეიწრო ფენას. ამ მოდელის ერთ-ერთი მიზანია საშუალო ფენის გაფართოება, სოციალური დახმარების გადახედვა და უთანაბრობის პრობლემის განხილვა. ამ მოდელში დეტალურადაა დამუშავებული სახელმწიფოს გარდაქმნის პრინციპი იმ მიზნით, რომ მოხდეს საზოგადოების სტიმულირება. შემოთავაზებულია თანასწორობის იდეის გადახედვა ყველაზე მაღალი და ყველაზე დაბალი ფენების შესაძლებლობების შედარებითი შეფასების საფუძველზე, ეს ორდონიანი მიდგომა შეადგენს სიღარიბის პრობლემისადმი მიდგომის ახალ საფუძველს.

9.3. მოდელის გლობალიზაცია


ამ გეოეკონომიკური მოდელის გლობალიზაცია ორი აზრით შეიძლება იქნეს გაგებული კერძოდ, როგორც იმ ქვეყნების წრის გაფართოება, რომლებიც ირჩევენ ამ მოდელს და როგორც მოდელის გამოყენება კაცობრიობის გლობალური პრობლემების გადაჭრისათვის.

პირველი აზრით, ქვეყნების უმეტესობა დიდი იმედით შესცქერის ამ მოდელის პერსპექტივას, რადგან მასში პოულობს ერთდროულად პრინციპების ცვლილებებსაც და კონკრეტულ პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ მექანიზმებსაც, რომლებიც იმავდროულად ფლობენ საკმაოდ დიდ ვარიანტულობას. ეს უკანასკნელი თავის მხრივ განისაზღვრება ამა თუ იმ ქვეყნის კულტურის თავისებურებითა და მისი კონკრეტული ამოცანებით. მსოფლიოს ახალმა სიტუაციამ გამოიწვია ამ მოდელის გავრცელება. დღეს მას ევროპაში იყებებს 4 ქვეყანა. (იხ. ნახ. 9.3)

ეს მახასიათებლები (ორიენტირები) მოცემულია გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის კელევის სამსახურის ანალიზში. გერმანიაში ახალი სოციალ დემოკრატები გაცილებით პრაგმატულები არიან. გ.შრიოდერმა მოდერნიზაცია გაუკეთა

ბიზნეს-თანამეგობრობის ურთიერთობას, შემოიტანა პოლიტიკისა და ბიზნესის პარტნიორობის ფორმები. რომლის

„მესამე გზის" გლობალიზაცია *ნახ. 93*



წყარო: Giddens A. The Third Way and its Critics.Cambridge. Polity press. 2000. p.31)

მეშვეობითაც იქმნება სამუშაო ადგილები. გერმანიის საერთო ეროვნულ არჩევნებში გამარჯვების შემდეგ გ. შრიოდერი მისდევდა "მესამე გზის" ინგლისურ ვარიანტს, როგორც რეაქციას გლობალიზაციასა და ახალ მოდერნიზაციაზე. თუ გ.შრიოდერს ეჭირა მოდერნისტული პოზიცია, ფინანსთა მინისტრი ო. ლაფონტენი შედარებით ტრადიციონალისტურ პოზიციას

იკავებდა. ეს უკანასკნელი აუცილებლად მიიჩნევდა მაკროეკონომიკურ მართვას, გლობალური ბაზრის რეგულირებისათვის საერთაშორისო ნორმების შემოღებას, არსებული სოციალური დაცვის სისტემის განმტკიცებას და ა.შ. ამ დავაში ყალიბდება გერმანიის "მესამე გზის" სახე, რომელიც ეროვნული ორიენტაციისაა, მაგრამ ღიაა გლობალური ეკონომიკისათვის.[153]

მოდელის გეოგრაფია ფართოვდება. ჰოლანდია, პორტუგალია, ესპანეთი, საბერძნეთი, იტალია, ახალი ზელანდია, ლათინური ამერიკის რიგი ქვეყნები, ტაივანი და სხვა ქვეყნები ამ მოდელისადმი დიდ ინტერესს იჩენენ.

ბრაზილიელი მეცნიერი ლ. ბრესერ-პერეირა ცდილობს აჩვენოს სერიოზული განსხვავებანი, ამ მოდელისადმი დამოკიდებულებაში განვითარებადი ქვეყნების მაგალითზე. იგი გამოყოფს ძველ მემარცხენე, ძველ და ახალ მემარჯვენე შეხედულებებს. იგი წერს, რომ ძველი მემარცხენეები პარტიულ კონტროლს აღიქვამენ ბიუროკრატიად, ახალი მემარცხენეები, როგორც ახალი საშუალო ფენის რგოლად, ახალი მემარჯვენეები, როგორც ბიზნესს-ელიტის როლს. ამ ძალებს შორის სხვადასხვა პრობლემების აღქმაში სერიოზული განსხვავებანი არსებობს. (ცხრ. 9.3.1)

---

[153] Meger Th.From Godesberg to the Neue Mitte: The New Social Democracy in Greiany// The Global Third Way Debate. p.74-85 (ციტ: Giddens A. The Third Way and ist. Critics. Cambrige. Polity Press, 2000).

პრობლემათა აღქმა სხვადასხვა ძალების მიერ განვითარებად ქვეყნებში

ცხრ. 93.1

პროგლება	ძველი მემარცხენეები	ძველი მემაჯვენეები	ახალი მემაჯვენეები
სახელმწიფო როლი	ცენტრალიზაცია	დამატებითი	მეორადი
სახელმწიფოს რეფორმა	ბიუროკრატიისა და დიდი სახელმწიფოს კვლავ წარმოება	მენეჯერული ფუნქციებისაკენ გადახრა	მინიმალური როლი
შესრულება როგორც სოციალური სამსახურის საფუძველი	კონტროლდება უშუალოდ სახელმწიფოს მხრიდან	საჯარო არასახელმწიფოებრიეი ორგანიზაციები	კერძო ფირმები, რომლებიც ახორციელებენ ბიზნესს
ფინანსირება როგორც სამსახურის საფუძველი	ხორციელდება სახელმწიფოს მხრიდან	ხორციელდება სახელმწიფოს მხრიდან	კერძო სექტორის მიერ
სოციალური უსაფრთხოება	უზრუნველყოფს სახელმწიფო	სახელმწიფო უზრუნველყოფს სოციალური უსაფრთხოების მხოლოდ საფუძვლებს	უზრუნველყოფს კერძო სექტორი
მაკროეკონომიკური პოლიტიკა	პოპულისტური	ნეოკეინსიანური	ნეოკლასიკური

წყარო: Bresser-Pereira L.C. The New Left Viewed from the South// The Global Third Way Debate. (ციტ: Globalization with a human face. UNDP Report 1999 // The Global Transformation Reader, An Introduction to the Globalization debate. Cambridge: Polisy press, 2000.

როგორც ვხედავთ, ბრაზილიელი მეცნიერის მიერ "მესამე გზის" ინტერპრეტაციაში ნეოკეინსიანელობა შენარჩუნებულია, თუმცა, როგორც ცნობილია, ახალი მემარცხენები ევროპაში მასზე უარს ამბობენ ეს შეიძლება ავხსნათ ბრაზილიური კაპი-

ტალიზმის განსხვავებული სიმწიფით და განვითარების დონით (მისი ნაკლებად მონაწილეობით გლობალურ ეკონომიკაში). საინტერესოა ის ფაქტი, რომ ძველი მემარცხენეები (არა მარტო ბრაზილიაში) გლობალიზაციას აღიქვამენ როგორც საფრთხეს, ახალი მემარცხენეები როგორც გამოწვევას, რომელსაც უნდა უპასუხო, ხოლო ახალი მემარჯვენეები როგორც ხელსაყრელ პროცესს.

თუ გლობალიზაციაში გამარჯვებული დასავლეთის ქვეყნები თელიან, რომ აუცილებელია პროგრესული გეოეკონომიკური განვითარება და ახალი საკმაოდ დრამატული მოდერნიზაციის გავლა, რა უნდა შესთავაზონ მათ იმათ, ვინც ჯერ კიდევ ვერ მოახერხა მოდერნიზაციის განხორციელება ამ პროცესის კლასიკური გაგებით. ეს ძირეული გეოეკონომიკური საკითხი არ შეიძლება გადაიჭრას მხოლოდ დემოკრატიის გადანაწილების პალიატივებით,* რომელიც ხშირად ღებულობს ჰუმანიტარული ინტერვენციის ფორმას და ვერ უზრუნველყოფს პროგრესს.

რას წარმოადგენს არადასავლური ქვეყნების განვითარება იმ პირობებში როცა დასავლეთის ქვეყნები შევიდნენ ახალ მოდერნიზაციაში, მათ კი ძველიც არ აქვთ დამთავრებული? ს. ჰანტინგტონის აზრით, ვესტერნიზაციის მოდელმა კი, მოდერნიზაციის მოდელის გარეშე (ეგვიპტე, ფილიპინები) აჩვენა თავისი უსუსურობა, მოდერნიზაციის მოდელმა, ვესტერნიზაციის მოდელის გარეშე (სამხრეთ-აღმოსავლეთი აზია) აჩვენა თავის შეზღუდულობა და არახანგრძლივობა. დამწეები მოდელი (რუსეთი, თურქეთი, მექსიკა) კი იმითაა გართულებული, რომ ამ მოდელის ქვეყნებისათვის (განსაკუთრებით კი რუსეთისათვის) დასავლეთი აღარ წარმოადგენს განვითარების მაგალითს, მას შემდეგ რაც იგი შევიდა ახალ ინფორმაციულ სამყაროში. რჩება ერთი მოდ-

* პალიატივი – ღონისძიება, საშუალება, რომელიც დასახულ ამოცანის მხოლოდ ნაწილობრივ გადაჭრას გულისხმობს, წარმოადგენს ძნელი მდგომარეობიდან დროებით გამოსავალს.

ელი- ეროვნული მოდერნიზაცია, რომელიც შეიძლება განხორციელდეს ადრე მიღწეული ევსტერნიზაციის ჩარჩოებში[154]. დახლოებით ანალოგიურ აზრს გამოთქვამს მოდერნიზაციის ცნობილი თეორიტიკოსი შ. აიზენშტადტი და სხვა მკვლევარები. ისინი აჩვენებენ, რომ დასავლეთი კარგავს განვითარების მოდელის სტატუსს, იგი აყენებს მრავალი მოდერნიზმის კონცეფციას და კვლავ მოდერნიზაციის ეროვნულ მოდელებს[155]. აღნიშნული საშუალებას გვაძლევს ვისაუბროთ არადასავლური ქვეყნების განსხვავებულ შიდა ამოცანებსა და პრობლემებზე, გლობალურ ეკონომიკაში ინტეგრაციის თვალსაზრისით.

9.4. მოდელის გლობალიზაციის გეოეკონომიკური პრობლემები

საქართველოში მოსახლეობის არცთუ უმნიშვნელო ნაწილი თვლის, რომ ჩვენს ქვეყანას არაფერში ჭირდება გლობალიზაციის პროცესში მონაწილეობა (უფრო მეტიც, ქართველი მემარცხენეები გლობალიზაციას კაპიტალიზმთანაც კი აიგივებენ). ზეთისხილის ხეზე მიჯაჭვულობის პრინციპი (ჩვენს შემთხვევაში პირობითად ვაზთან მიჯაჭვულობა), ანუ საკრალური მიჯაჭვულობა, ჯერჯერობით ისევ მნიშვნელოვანია (იმის მიუხედავად რომ ამჟამად ქვეყნიდან 1 მლნ. მეტი ადამიანია გასული). როგორც სხვა ქვეყნების ტრაგიკული გზა გვიჩვენებს, განვითარების, ცხოერების პირობების გაუმჯობესების გარეშე, ერის სიღრმისეული თვითიდენტი-ფიკაციის ეს პლასტი ქრება და იცვლება უბრალო ადაპტაციით. ქვეყნის დიდ პატრიოტად ის ითვლება, ვინც მოახერხებს ამ მიჯაჭვულობის შეთანაწყობას თავისი ქვეყნის განვითარებასთან. არ შეიძლება

---

[154] Hantington S. The Clash of Civilization and the remarking of World Order.N.Y:Simon@Schuster.96.

[155] Multiple Modernities// Daedalus, Journal of the American Academy of Art and Sciences. 2000. Winter. vol. 129 , N 1 (სპეციალური გამოშვება)

ორი აზრი არსებობდეს იმაში, რომ გლობალიზაცია მართლაც არათანაბარი და უსამართლოა. გლობალიზაცია იმ სახით, როგორითაც დღეს არსებობს, მის დადებით მომენტებთან ერთად, წარმოადგენს რიგი ქვეყნებისა და კონტინენტების სიღარიბის ზრდის წყაროს და რაც ყველაზე უფრო ცუდია – ყველაზე ღარიბი ქვეყნების ფორმირების საფუძველს. გაეროს 1999 წ. ერთ-ერთ დოკუმენტში მოყვანილია ფანტასტიური ციფრები. კერძოდ, მსოფლიოს სამი ყველაზე მდიდარი ადამიანი (ვულვორტის მაღაზიების ქსელის მეპატრონის ქვრივი, ბილ გეიტსი და ბრუნეის მეფე) ფლობს კაპიტალს, რომელიც უტოლდება ხუთი ღარიბი ქვეყნის ერთობლივ მთლიან პროდუქტს[156]. ამ თვალსაზრისით ბუნებრივია, გლობალიზაცია სრულიად საწინააღმდეგო პროცედურაა, კლასიკურ მოდერნიზმთან მიმართებაში. ეს უკანასკნელი იმაზე იყო ორიენტირებული, რომ არადასავლური ქვეყნები დაწეოდნენ (ყოველ შემთხვევაში უმეტესობა მაინც) დასავლეთის ქვეყნებს, ან მიუახლოვდებოდნენ მათ. მათი სლოგან – დასავლეთი ინდუსტრიალიზებულია, ჩვენც ავაშენოთ ინდუსტრია; იგი აწარმოებს ავტომობილებს, ვაწარმოოთ ჩვენც. ეს სლოგანი გლობალიზაციის პირობებში უკვე აღარ მუშაობს. რუმინთის მაგალითზე (და არა მარტო ამ ქვეყნის) დღეს შეიძლება დავინახოთ, რომ საკუთარი ავტომობილების, ტანკების და თვითმფრინავების ქონა სულაც არ აქცევს მას გლობალური ეკონომიკის ქვეყნად, იმიტომ რომ ეს ავტომობილები, ტანკები და თვითმფრინავები არავის არ ჭირდება. ყველა მცდელობა დაეწიონ გაღმოღების ან კოპირების გზით. ამ ტიპის ქვეყნებს წირავს უსასრულო ჩამორჩენისთვის. არსებითად გლობალურ ეკონომიკაში შეუძლიათ შესვლა იმ ქვეყნებს, ვინც შეძლო ან შეუძლია შექმნას განსაკუთრებული, უნიკალური პროდუქტი მსოფლიო ბაზრისთვის ან აწარ-

[156] Globalization with a Hyman face. UNDP report 1999// The Global Transformation Reader. An Introduction to the Globalization Debate. Cambridge: Polity Press, 2000.

მოოს რაღაც აუცილებელი პროდუქტი ყველაზე დაბალ ფასებში. დღეს რჩეულთა კლუბში შევიდნენ: ბრაზილია, ინდოეთი, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა, თურქეთი, პოლონეთი, ჩინეთი, მექსიკა, ინდონეზია, ტაილანდი, მალაიზია. ისეთი დიდი სახელმწიფო კი, როგორიც რუსეთია, ან გიგანტური ნავთობის საბადოს მქონე საუდის არაბეთი – ამ კლუბში ვერ მოხვდნენ. იმიტომ, რომ აქ საუბარია არა ენერგეტიკულ შესვლაზე, არამედ შესვლაზე ტექნოლოგიური გარღვევით.

ეკონომიკურად, ინფორმაციულად და ტექნოლოგიურად განვითარებულ ქვეყნებს გლობალიზაციის პირობებში უჩნდებათ არაჩვეულებრივი უპირატესობა, რის გამოც მდიდარ და ღარიბ ქვეყნებს შორის განვითარების დონეებში არსებული სხვაობა კიდევ უფრო იზრდება. თუ მსოფლიოს გეოეკონომიკურ სივრცეში განვითარება კვლავ ამ გზით გაგრძელდება, სხვაობა უკვე უახლოეს მომავალში გადაულახავი გახდება.

XX ს-ში თავისუფალი ვაჭრობისა და დასავლეთის ექსპანსიის პასუხად გაჩნდა ისეთი მოძრაობები, როგორიცაა ნაციონალიზმი, კომუნიზმი, ფაშიზმი (ამჟამად ალბათ შეიძლება საუბარი ნეოიმპერიალიზმზე, შოვინიზმსა და ისლამურ ფუნდამენტალიზმზე). მათ ნაწილობრივ შეასუსტეს გლობალიზაციის გავრცელების არეალი, მაგრამ საკუთარი ხალხისათვის ამით ბედნიერება არ მოუტანიათ. დღეს ამ მაშტაბის სისტემურ წინააღმდეგობაზე ჯერჯერობით საუბარი არ არის, თუნდაც იმიტომ, რომ მათ უკვე აჩვენეს თავისი სისუსტეები, როგორც გლობალური მსოფლიოს ალტერნატივებმა. სამართლიანობა მოითხოვს აღვნიშნოთ, რომ დღევანდელი პროტესტები, რომელიც მსოფლიოს მრავალ ადამიანს აერთიანებს (რომლებიც სხვადასხვა მიზეზით სკეპტიკურად უყურებენ გლობალიზაციას), არ აყენებენ გლობალიზაციის ალტერნატივას და გეთავაზობენ მხოლოდ დაეფიქრდეთ მის არასამართლიანობაზე. მათი ეთიკური პროტესტი არ ქმნის ალტერნატიულ გეოეკო-

ნომიკურ მოდელს, ხოლო გლობალიზაცია შენდება მსოფლიო ეკონომიკაზე.

თუ არ ჩავთვლით საქართველოს ახალგაზრდობის ნაწილს და ქალაქების პოლიტიკურ და ინტელექტუალურ ელიტას, ჩვენს ქვეყანაში გლობალიზაციისადმი დამოკიდებულება ძალიან გავს ადრინდელ დამოკიდებულებას კაპიტალიზმთან. მემარცხენე პოზიციებიდან გამომდინარე გლობალიზაციის გამოწვევებზე რეაქცია ისეთივე უნდა იყოს, როგორც ეს იყო ადრე კაპიტალიზმთან მიმართებაში. სოციალიზმი იყო კაპიტალიზმის გამოწვევებზე მოდერნიზაციული პასუხის ერთ-ერთი ხერხი, კლასიკური მოდერნიზაცია კი ხშირად ატარებდა ძალისმიერ ხასიათს და ხორციელდებოდა იზოლაციის პირობებში.

ამჟამად, საქართველოში ძირითადად გეოეკონომიკურ პრობლემას წარმოადგენს ის, რომ გლობალიზაციის პირობებში კონცეფტუალურად არ არის გაწერილი ქვეყნის შიგა და საგარეო ამოცანები. კერძოდ, შიგა მოდერნიზაციის ხერხების განსხვავება ეროვნული მოდელით და გლობალურ ეკონომიკაში გარღვევის შესაძლებლობების მცდელობა, როგორც კლასიკური მოდერნიზაციის შანსი, რომელსაც უნარი შესწევს საბოლოო ჯამში შექმნას შედარებით წარმატებული შიგა განვითარების პირობები.

ამ მოდელში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ახალ ტექნოლოგიებს, ახალ ეკონომიკასა და ინფორმაციას. რამაც ერთგვარ ჩრდილში მოაქცია საშუალო და მცირე ბიზნესის განვითარება. ამჟამად საქართველო ვითარდება ტიპიური ნეოლიბერალური მოდელით. მაქსიმუმი, რაზეც აქ არის საუბარი ეს არის ეკონომიკური ინიციატივების მრავალფეროვნება. სახელმწიფოს სოციალური პოლიტიკა კი ეფუძნება ორ წყაროს: ა) სუბსიდიარობას და ბ) თვითპასუხისმგებლობას. ეს უკანასკნელი წყარო კი სრულიად შეესაბამება "მესამე გზის" მოდელს.

სუბსიდიარობა ეს არის პრინციპი, რომელიც სახელმწიფოსაგან ითხოვს ღარიბი მოსახლეობის სოციალურ დახმარებას

და მის დაცვას სოციალური რისკებისაგან. სოლიდარობა კი ეს არის სოციალური კონცეფცია, რომელიც წარმატებით გამოიყენება ინდუსტრიულ საზოდაგოებაში, ამკვიდრებს კლასობრივი კომპრომისის შესაძლებლობას და უზრუნველყოფს მის მიღწევებს აქტიური სოციალური პოლიტიკის მეშვეობით, არბილებს ბაზრის ზემოქმედებას ისეთ სფეროებში როგორიცაა ჯანდაცვა, განათლება, ტრანსპორტი და ა.შ. თვითპასუხისმგებლობა კი ეს არის ლიბერალური სახელმწიფოს პოლიტიკა, რომელიც სოციალური პრობლემების გადაწყვეტას აკისრებს თვით მოქალაქეებს. ინგლისურ მოდელში იგი წარმოდგება როგორც მოდერნიზირებული სოციალური სახელმწიფოს პოლიტიკა, რომელიც იცავს საზოგადოებას ბაზრის ზღვარგადასული შემოჭრისა და მისი ექსცესებისაგან, რითაც გარკვეულად იცავს არასაბაზრო სფეროებს. ეს პოლიტიკა რეალურად მხოლოდ ბრიტანეთში რეალიზდება, სადაც მკვიდრდება და სრულდება სახელმწიფოსა და მოქალაქეების ურთიერთპასუხისმგებლობა სამოქალაქო საზოგადოების შუამავლობით, რომელიც საქართველოში ჯერჯერობით ძალიან სუსტია. სწორედ განვითარებული სამოქალაქო საზოგადოება აძლევს ბრიტანეთს ამ მოდელის აქტიურად გამოყენების შესაძლებლობას სხვა ქვეყნებთან შედარებით. თვით აშშ-შიც კი კეთდება უდიდესი ფსონი სუბსიდიარობაზე და სოლიდარობაზე, რაც გამოიხატება ღარიბი და მარგინალური ფენების, ემიგრანტების, ინვალიდების და სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების (განსაკუთრებით აფროამერიკელების და ლათინოამერიკელების) მხარდაჭერაში. "მესამე გზის" მოდელის ქართული ვარიანტი ითვალისწინებს მხოლოდ უკიდურესად ღატაკი მოსახლეობის მდგომარეობის შემსუბუქებას, სხვებთან მიმართებაში კი გულისხმობს მხოლოდ პრევენციულ ზომებს, რომელიც ჯერჯერობით, დიდი ეფექტით არ გამოირჩევა.

როგორც ჩანს, საქართველოს განვითარების დღევანდელ ფაზაში სოციალურ-დემოკრატიული სახელმწიფოს იდეები

სრულადაა გაიგივებული ბრიტანულ მოდელთან, თუმცა მისი რეალიზაციისათვის ხელსაყრელი პირობები საქართველოში ჯერ არ არის. სახელმწიფოს ტრანსფორმაციის ინგლისური ვარიანტი ძნელად გადის გერმანიაში და საერთოდ არ აღიქმება როგორც სხვა ქვეყნებისათვის მისაღები. ამიტომ საქართველომ თავისი ინტერესების შესაბამისად უნდა შექმნას "მესამე გზის" მოდელი, რომელიც უზრუნველყოფს ქვეყნის გლობალურ გეოეკონომიკურ სივრცეში თუნდაც წერტილოვან შეღწევას, ერთის მხრივ და მეორეს მხრივ მოაწესრიგებს შიდა სახელმწიფოებრივ სივრცეს, სადაც ძალიანაა გაზრდილი სოციალური დაძაბულობის ფონი, რომელმაც შეიძლება დააჩქაროს სამოქალაქო საზოგადოების ძლიერი კერების გაჩენა, რომლებსაც შეეძლებათ ისეთი კონსოლიდირებული წინააღმდეგობა გაუწიონ მთავრობის პოლიტიკას, რომ შეიძლება წყალში ჩაიყაროს მთავრობის ძალისხმევა დასახული გარდაქმნის განხორციელებისათვის.

ნაწილი IV.
ეროვნული სახელმწიფოს გეოეკონომიკური კონკურენტუნარიანობისა და უსაფრთხოების კარკასის საყრდენი წერტილები

თავი 10. ქვეყანა – სისტემის კონკურენტუნარიანობის ინსტიტუტები

10.1 კონკურენტუნარიანობის არსი და პრობლემები

იმისათვის, რომ ეფექტური იყოს საერთაშორისო გეოეკონომიკურ კონკურენციაში მოაწილეობა, აუცილებელია ქვეყანა–სისტემის ორგანიზაციისათვის ინსტიტუციონალური ბაზის შექმნა, იმ რისკების და შესაძლებლობების გათვალისწინებით, რომელიც განპირობებულია გარემოსთან შეჯახების სპეციფიკით. პრაქტიკულად შეუძლებელია ზუსტად განვსაზღვროთ ეროვნულ სასაქონლო დინებაზე საერთაშორისო კონკურენტების შემდგომი ნაბიჯების გავლენა, თუ შედგენილი არ იქნა ქვეყნის გეოეკონომიკურ სტრუქტურაზე, მის რეალურ შიდა დინამიკაზე წინასწარი ზოგადი წარმოდგენები.

ზუსტად ასევე შეუძლებელია წინასწარ განვჭვრიტოთ გეოეკონომიკური კონფლიქტის განვითარების ტენდენცია, განვსაზღვროთ სტრატეგიის ელემენტები (რომლებიც აღმოცენდება წარმოების სისტემაში) ან დავადგინოთ რესურსების შემოდინების არხები, თუ არ იქნება იმის შესაძლებლობა, რომ დროულად მოვახდინოთ ეკონომიკური საქმიანობის სუბიექტების სტიმულირება და მხარდაჭერა. ასევე მნიშვნელოვანია ისიც, რომ მკაფიოდ იქნეს ჩამოყალიბებული ისეთი პოლიტიკურ–ეკონომიკური ამოცანები, რომლებიც პასუხობს ეროვნულ ინტერესებს.

მოვიყვანოთ ინსტიტუციონალური სისტემა გეოეკონომიკური მეტოქეობის შესაბამისად, ნიშნავს ერთის მხრივ, დაფუძნდეს

გეოეკონომიკის საკითხებში კომპეტენტური ერთი, ან რამდენიმე ორგანო, მეორეს მხრივ, კი ჩავრთოთ ეს ორგანოები ქმედით ინსტიტუციონალურ გარემოში, უკიდურეს შემთხვევაში ეკონომიკის სფეროში, რომელიც თავის მხრივ საშუალებას იძლევა შეიქმნას ინფორმაციული ბაზა, უზრუნველყოფილი იქნას მართვის პროცესი ცენტრალური სტრუქტურების მეშვეობით და მოხდეს მართვის ცალკეული ადმინისტრაციული განშტოებების კორდინაცია.

ასეთი "გარემო" უნდა ფლობდეს გადაწყვეტილებების შესრულების ოპერატიულ საშუალებებს, ასევე ამა თუ იმ ქმედებებისა და ინიციატივის შედეგის გამოვლენისათვის უკუქმედების კავშირის მექანიზმებს.

ამ სფეროში საკმაოდ დიდი პრობლემებია. რომელთა წყაროდ მიჩნეულია: ა) ის სტრუქტურული მახასიათებლები, რომლებსაც უნდა ფლობდნენ მსგავსი ორგანოები, და ის კომპლექსური პირობები, რომელიც აუცილებელია მათი ეფექტური მუშაობისათვის; ბ) ისეთი ქვეყანა–სისტემის ჩამოყალიბება, რომელშიც სახელმწიფოებრივი და კერძო სტრუქტურების ურთიერთზემოქმედება ხელს შეუწყობს ეროვნული კონკურენტუნარიანობის ზრდას; გ) ხელმძღვანელი კადრების მომზადება იმ დაწესებულებებისათვის, რომლებიც ორიენტირებულნი არიან ეროვნული კონკურენტუნარიანობის გაძლიერებაზე.[157]

10.2 გეოეკონომიკური დაზვერვა

ამჟამად დაზვერვის სამყარო ღრმა ცვლილებებს განიცდის, რომელიც დაკავშირებულია რიგ უაღრესად მნიშვნელოვან და დროში თანმთხვევ პროცესებთნ. მათ შორის შეიძლება აღვნიშნოთ: 1) აღმოსავლეთ ევროპის კომუნიზმის დასასრული; 2) ეკონომიკის გლობალიზაცია (კაპიტალის, საქონლის, ადამიანების

[157] უფრო დაწვრილებით იხ.: Luttwak E. The Coming Global War For Economic Power – The International Economy, 1993, september – october.

მოძრაობის დიდი თავისუფლება); 3) ინფორმაციული აფეთქება, რომელიც დაკავშირებულია ინფორმატიკისა და კომუნიკაციების განვითარებასთან; 4) სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის ცნების, დეგრადაცია, რომელიც განპირობებულია ისეთი მრავალრიცხოვანი სუბიექტების საქმიანობით, როგორიცაა საერთაშორისო ორგანიზაციები, მსხვილი საწარმოები, არასამთავრობო ორგანიზაციები, მძლავრი ინფორმაციული ქსელი, ტრანსნაციონალური ორგანიზაციები (მათ შორის რელიგიური), ბანკები და სხვა ფინანსური ინსტიტუტები, ასევე ეთნო, რელიგიური და ენობრივი უმცირესობები.

ინფორმაციული სამსახურები ეჯახება ინფორმაციის მოცულობის ზრდას თითქმის ყველა სფეროში. თუმცა იმისაგან განსხვავებით, რაც იყო წარსულში, დღეს დაზვერვით დაკავებულია სულ უფრო და უფრო მეტი რაოდენობის კერძო სააგენტოები. ეს განსაკუთრებით ეხება ეკონომიკურ ჯაშუშობასა და კონტრჯაშუშობას. საჭირო ინფორმაციის მისაღებად აღნიშნული სტრუქტურები იყენებენ ისეთ მეთოდებსა და ხერხებს, რომელიც სხვადასხვა სამსახურების ტრადიციული მეთოდებისა და ხერხების თითქმის მსგავსია. აღნიშნულ კონტექსტში სრულად ეწერება დისკუსია ინფორმაციული სამსახურების მომავალზე.

დაზვერვის განახლების აუცილებლობა საყოველთაოდ არის აღიარებული. საქმე მხოლოდ იმაშია, თუ როგორ შეიძლება მოიძებნოს ამ განახლების შესაბამისი მეთოდიკა. ზოგიერთი თვლის, რომ დღევანდელი მდგომარეობით, მსოფლიო სახელმწიფოთა იერარქია მათი განვითარების დონეებისა და ძლიერების მიხედვით, დიდად იქნება დამოკიდებული სხვადასხვა ქვეყნის დაზვერვის სტრუქტურების ეფექტურობის ხარისხზე.

ეკონომიკაში დაზვერვის ტრადიციული მიდგომა, ძირითადში ძალიან შორსაა გეოეკონომიკური კონკურენციის ლოგიკისაგან. ეს მიდგომა ტრადიციულად მხოლოდ თავდაცვითია და დაიყვანება რა მხოლოდ ჯაშუშობასა და კონტრჯაშუშობაზე, იგი

ამით ეწინააღმდეგება საერთაშორისო კანონმდებლობას. ამასთან მრეწველობაში ძირითადი ყურადღება ექცევა ისეთი ტექნოლოგიების გადაცემას, რომელთაც შეიძლება გავლენა მოახდინონ შეიარაღების სისტემაზე. სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ, მთავარი ინტერესი მიმართულია თავდაცვით მრეწველობაზე. ამასთან ყურადღება მახვილდება სამხედრო დარგების საგარეო დამოკიდებულების ხარისხზე.

იმ ცვლილებებმა, რომელზედაც ზემოთ ვსაუბრობდით, უკვე უბიძგეს მრავალი ქვეყნის დაზვერვის სამსახურებს საკუთარი ამოცანებისა და საქმიანობის მიმართულების გადახედვისაკენ, რაც იმაში გამოიხატება, რომ ამჟამად ძირითადი აქცენტი გადატანილია ტექნოლოგიების სფეროსაკენ, ასევე ტექნოლოგიური საკითხების, ეროვნული სავაჭრო–ეკონომიკური ან შესაბამისი დაჯგუფებების ინტერესების დაცვაზე.


ამდენად, გეოეკონომიკური დაზვერვის საქმიანობა ეკონომიკურ-ინდუსტრიულ სფეროში ძლიერდება. იგი უკვე აღარ შემოიფარგლება მხოლოდ სამხედრო-სამრეწველო კონტრჯაშუშობით, თუმცა ეს უკანასკნელი ინარჩუნებს თავის ადრინდელ მნიშვნელობას. დაზვერვის საქმიანობის სპექტრი მნიშვნელოვნად გაფართოვდა, რომლის მთავარი ამოცანა ხდება ქვეყნის ეკონომიკური ინტერესების დაცვა. სამეცნიერო ლიტერატურაში ამჟამად გამოყოფილია გეოეკონომიკური დაზვერვითი საქმიანობის შემდეგი სახეები (ნახ. 10. 2).

როგორც ნახაზიდან ჩანს გეოეკონომიკური დაზვერვის პირველი ბლოკი ითვალისწინებს ისეთი პროცესებისადმი წინააღმდეგობის გაწევას როგორიცაა არაკანონიერი კონკურენცია, არალეგალური კომერციული ოპერაციები, სტრატეგიული საშიშროების მტრული შენაძენები და დეზინფორმაცია. ეს არის პროცესები რომლებიც სერიოზულ ზიანს აყენებენ ეროვნული ეკონომიკის საწარმოებს და ანგრევენ ეროვნული ეკონომიკური სუვერენიტეტის საფუძვლებს, მეორე ბლოკი ეს არის გეოეკონომიკური მონიტორინგი. რომელიც ახორციელებს კონტროლს

უცხო სახელმწიფოს იმ ტექნოლოგიურ მიღწევებზე, რომლებმაც შეიძლება უარყოფითად იმოქმედონ ეროვნული ეკონომიკების ცალკეული დარგების კონკურენტუნარიანობაზე. ამ ბლოკში ასევე მნიშვნელოვანია საერთაშორისო ფინანსური ბაზების კონტროლი, იმ მიზნით, რომ შესაძლებელი გახდეს იმ სპეკულაციური სიტუაციის ან სიტუაციების პროგნოზი, რომელთაც შეუძლით ეროვნულ ეკონომიკაში დესტაბილიზაციის გამოწვევა. მესამე ბლოკი მოიცავს დაკვირვებას ბაზრების შერწყმის პროცესზე, მსხვილი მულტინაციონალური კომპანიების საქმიანობაზე, ენერგიისა და სტრატეგიული ნედლეულის წყაროებზე, მომარაგებაში მათი მოსალოდნელი შეწყვეტის თავიდან აცილების მიზნით.

თუმცა, ვფიქრობთ გეოეკონომიკური დაზვერვა გაცილებით ფართო ცნებაა, რომელიც შეიძლება განვიხილოთ როგორც ინფორმაციული ქსელების ისეთი სისტემა, როდესაც სისტემას გააჩნია ეკონომიკური სუბიექტებისათვის სასარგებლო ინფორმაციის მოძიების, დამუშავებისა და გავრცელების უნარი.

გეოეკონომიკური დაზვერვის ძირითადი სახეები *ნახ. 10.2*



წყარო: Серджо фиоре. Институциональная организция геоэкономической конкуренции/В. кн.: Геоэкономика. Господство экополи-тического пространства. Пор.ред. К. Жана, М.Савоны. - М; Ad Marginem, 1997.

გეოეკონომიკური დაზვერვის ასეთი განმარტება გულისხმობს დაზვერვის არა მხოლოდ ორგანიზაციული სტრუქტურის ცვლილებას (რომელიც ვიწრო გაგებას გულისხმობს), არამედ გაცილებით მნიშვნელოვან ცვლილებებს, რომელიც ეხება სახელმწიფო და კერძო სტრუქტურებს, ასევე კერძო ეკონომიკური სუბიექტების მხრიდან ინფორმაციისადმი დამოკიდებულების კულტურას.

ინფორმაციულ–სტრატეგიული ინჟინერია გეოეკონომიკური დაზვერვის ერთ–ერთი მიმართულებაა და წარმოადგენს მრავალი ქვესისტემის ერთობლიობას, რომლებიც თავის მხრივ ქმნიან გეოეკონომიკური დაზვერვის სისტემას, რომლის ერთ–ერთ მიზანს წარმოადგენს კონკურენტების საქმიანობის ყველა არსებული ინფორმაციის საფუძველზე განისაზღვროს მათი კონკრეტული განზრახვები ან მათი მომავალი ქმედებების ორიენტირები. ამ სისტემის ეფექტურობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად შეთანხმებულია მისი შემადგენელი ქვესისტემების მოქმედება. იზოლირებული ქვესისტემა ძნელად თუ მიაღწევს ეფექტურობის მაღალ დონეს.

დაზვერვის აღნიშნული სისტემის ერთ–ერთ მიზანი, ყველა არსებული ინფორმაციის საფუძველზე, არის ზუსტად განისაზღვროს გეოეკონომიკური კონკურენტების განზრახვა და მათი მომავალი ქმედებები. მაგალითად, ფარმაცევტული მრეწველობის სფეროში, სადაც კვლევისა და ექსპერიმენტების ფაზამ შეიძლება გასტანოს 15 წლამდე, წინასწარი ინფორმაცია მსხვილი ფარმაცევტული კომპანიების შესახებ საშუალებას იძლევა მნიშვნელოვნად დაიზოგოს რესურსული დანახარჯები და გაუმჯობესდეს ეროვნული საწარმოს სიცოცხლისუნარიანობის პერსპექტივა.

ერთ-ერთი პირველ სიძნელეს, რომელიც წარმოიქმნება გეოეკონომიკური დაზვერვის საქმიანობის პროცესში, ტრადიციული დაზვერვის საქმიანობასთან შედარებით, წარმოადგენს გამიჯვნა მეგობრებად და მტრებად, მიზნის არჩევა

და მკვეთრად გამოხატული მიზანდასახულობა. ქვეყნის ეკონომიკური განვითარების საფრთხე შეიძლება მიმდინარეობდეს არა მხოლოდ პოლიტიკურად მეგობრული ქვეყნებიდან, არამედ საწარმოთა ცალკეული ჯგუფებიდანაც. ამ შემთხვევაში კარგად იკვეთება ის კავშირი, რომელიც არსებობს ეროვნულ ეკონომიკურ პროექტებსა და გარკვეულ პოლიტიკურ ამოცანებს შორის.

წამყვან სახელმწიფოებში ორი ცნება – „პოლიტიკური მეგობარი“ და გეოეკონომიკური „მოწინააღმდეგე-შეთანაწყობა“, დაზვერვით საქმიანობას კიდევ უფრო დელიკატურს ხდის. ტრადიციულ საქმიანობასთან შედარებით ინფორმაციის ფარულად მოპოვება, მისი გამჟღავნების პირობებში რასაკვირველია აუარესებს პოლიტიკურ ურთიერთობებს. ტრადიციულ დაზვერვასთან შედარებით გეოეკონომიკურმა დაზვერვამ დეტალურად უნდა გაანალიზოს ოპერაციის ჩატარება. კერძოდ, თუ როგორი თანაფარდობა იქნება იმ დანახარჯებს შორის, რომელიც ჭირდება ოპერაციის ჩატარებასა და მისგან მოტანილ სარგებელს. მეორეს მხრივ, კარგად არის ცნობილი, რომ საქმიან მსოფლიოში ინფორმაციის მოპოვება არაა აუცილებელი ხდებოდეს არაკანონიერი გზით. პირიქით, ინფორმაციის უდიდესი ნაწილი შეიძლება მიღებული იქნას ღია წყაროებიდან. სტრატეგიული საწარმოების შერწყმის პროცესი საშუალებას იძლევა უცხო ტექნოლოგიისა და სხვა სასარგებლო კომერციული ინფორმაციის მოპოვების. ამ კონტექსტში დიდი მნიშვნელობა გააჩნია პრივატიზაციის ფენომენს, რომელმაც ფართო გავრცელება ჰპოვა ბევრ ქვეყანაში.

ინფორმაციის მოპოვებასთან მჭიდროდაა დაკავშირებული მისი გამოყენების, ორგანიზაციისა და დამუშავების საკითხები. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ დღეს ძალიან დიდი ეკონომიკური ხასიათის ინფორმაციაა დაგროვილი, გეოეკონომიკური დაზვერვა მიმართული უნდა იყოს არა იმდენად ტექნოლოგიებზე (ანუ ინფორმაციის მოპოვების მეთოდებზე), რამდენადაც ადამიანურ კაპიტალზე, რომელიც საშუალებას

იძლევა გამოიყენოს სასარგებლო ინფორმაცია და მოუნახოს მას სწორი გამოყენების გზები. დისკუსია techint – humint, რომელიც უკვე მიმდინარეობს ტრადიციულ დაზვერვასთან მიმართებაში, აჩვენებს, რომ გეოეკონომიკურ დაზვერვას სჭირდება ეკონომიკის დარგის სპეციალისტები და ეკონომ–გეოგრაფები. გეოეკონომიკური დაზვერვის გამჭვირვალობა სამრეწველო–აკადემიურ სამყაროსთან მიმართებაში ხელს უწყობს დაზვერვის მომხმარებელთან უკეთეს ურთიერთობას. მომატებული საშიშროება სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ის დიდი დაცილება, რომელიც დაზვერვის სამსახურებსა და მეწარმეთა სამყაროს შორის არსებობს, იწვევს საწარმოთა ძირითადი საჭიროებებისადმი გაუგებრობას. დაზვერვის ეფექტურობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად სრულყოფილია მისი კავშირი და ურთიერთობა ინფორმაციის მომხმარებელთან და რამდენად აქტიურია სახელმწიფო და კერძო სტრუქტურების ურთიერთქმედება. ასეა თუ ისე, გეოეკონომიკური დაზვერვის საქმიანობა არ უნდა აღვიქვათ როგორც უბრალო პასუხი იმ მოთხოვნაზე, რომელსაც აყენებენ მომხმარებლები. მისი განსაკუთრებული ბუნება და მის წინაშე მდგარი ამოცანა (თავიდან აიცილოს საწარმოო სისტემის საფრთხე), გულისხმობს სწრაფი ოპერატიული მოქმედებების შესაძლებლობას, რისთვისაც გეოეკონომიკურმა დაზვერვამ უნდა გაითვალისწინოს ქვეყნის სამრეწველო სტრუქტურების მოთხოვნები.

გაცილებით რთულია გეოეკონომიკური დაზვერვა, როცა საქმე ეხება ინფორმაციის სახელმწიფოებრივ მოხმარებას, რომლის დროსაც ხდება რიგი ბარიერებისა და წინააღმდეგობების გადალახვის აუცილებლობა. გეოეკონომიკური დაზვერვისათვის ასეთი წინააღმდეგობები მით უმეტეს დამღუპველია იმიტომ, რომ დაზვერვა ეფუძნება ინფორმაციულ ურთიერთქმედებასა და ინფორმაციის მუდმივ გაცვლას. მსოფლიოს ყველაზე მოწინავე დაზვერვის სისტემებმა უკვე სცადეს ამ პრობლემის გადაჭრა. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა

იაპონიის Cabinet Information and Research office (CIRO)-ს გამოცდილება. ამ ქვეყნის გეოეკონომიკური დაზვერვის შეზღუდული შტატი ინფორმაციით ამარაგებს პრემიერ- მინისტრსა და იმ მინისტრებს, რომლებიც პასუხისმგებლები არიან ეროვნულ უსაფრთხოებაზე. ამ ინსტიტუტის დირექტორი ინიშნება ეროვნული პოლიციიდან, დირექტორის მოადგილე კი - საგარეო საქმეთა სამინისტროდან. ამის გარდა ამ ინსტიტუტის შემადგენლობაში შედიან სხვა უწყებათა წარმომადგენლებიც. ამერიკული Economic security council-ის ჩარჩოებში ასევე დგება ინფორმაციის გაცვლის საკითხი ცალკეულ უწყებებს შორის[158].

10.3 გეოეკონომიკური კონკურენციისა და დაზვერვის ინსტიტუტები მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში

როგორც წესი განვითარებული ქვეყნების გეოეკონომიკური კონკურენციის ინსტიტუციონალური ორგანიზაცია სულ უფრო სრულყოფილი ხდება, რასაც პერმანენტული ხასიათი გააჩნია და გამოხატავს საწარმოო აპარატის ძირითად ცვლილებებს.

მრავალი ქვეყნის ადმინისტრაციების ნაკლოვანებები, რაც უპირველეს ყოვლისა, გამოიხატება სხვადასხვა კომპეტენციის სფეროების კოორდინაციაში, ძირითადად აღმოფხვრილია. გერმანიასა და იაპონიაში არსებობს ერთიანი სამინისტრო, რომელსაც გააჩნია კომპეტენცია, გადაწყვეტილება მიიღოს როგორც სამრეწველო, ასევე საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის სფეროში. გერმანიაში არსებობს ეკონომიკის ფედერალური სამინისტრო, რომელიც განაგებს ყველა ეკონომიკურ საკითხის, (ფინანსურის გარდა) საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის ჩათვლით.

---

[158] უფრო დაწვრილებით იხ.: Серджсо Фиоре. Институциональная организация геоэкономической конкуренции//В кн: К.Жан,П.Савона. Геоэкономика. господство экополического пространства . М: Ad Marginem, 1997.

იაპონიაში ფუნქციონირებს საერთაშორისო ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტრო, რომელიც აყალიბებს ეროვნულ საგაჭრო–სამრეწველო პოლიტიკას.

საფრანგეთში არსებობს საგარეო ვაჭრობის სამინისტრო, ხოლო ეკონომიკისა და ფინანსების სამინისტროს ჩარჩოებში მოქმედებს საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების სამმართველო (Direction des Reiations Economiques Exterieures), რომლის ამოცანაა საგარეო ვაჭრობის პოლიტიკის დამუშავება და განვითარების მიმართულებების განსაზღვრა, ასევე თითოეული სამინისტროს მიერ გატარებული მოქმედების კოორდინაცია.

დიდ ბრიტანეთში ამ რამდენიმე წლის უკან მოხდა მრეწველობის დეპარტამენტისა (Departament of Industry) და ვაჭრობის დეპარტამენტის (Departament of Trade) შერწყმა.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ გეოეკონომიკური პოლიტიკისა და სტრატეგიის ეფექტურობას უზრუნველყოფს არა მხოლოდ აუცილებელი სტრუქტურის შექმნა, არამედ სოციალური ორგანიზაციის მთელი რიგი ასპექტები და კვალიფიციური ჩინოვნიკებისა და პოლიტიკოსების მომზადება. ამ მხრივ, მეტად საინტერესოა ერთმანეთისაგან განსხვავებული გერმანული და იაპონური მოდელების შედარება, ვინაიდან როგორც წინა თავებში აღვნიშნეთ, ეს ქვეყნები კლასიკური გეოეკონომიკური ქვეყნების რიგს განეკუთვნება.

გეოეკონომიკის სფეროში გერმანიის მოდელი ხასიათდება მცირე ბიუროკრატიული აპარატით ფედერალურ დონეზე, რომელსაც ამავე დროს არ გააჩნიათ გადამწყვეტი ხმა გეოეკონომიკური სტრატეგიის განსაზღვრაში. მეორეს მხრივ, თვით გერმანული საზოგადოების ორგანიზაციაში სჭარბობს ცენტრალიზმი. მეწარმეობა, პროფკავშირები და საბანკო სისტემა ორგანიზებულია ნეიტრალისტური პრინციპით. კერძოდ, მათი სტრუქტურები თავის წევრებს სთავაზობენ არა მხოლოდ სხვადასხვა მომსახურებას, არამედ ასრულებენ ეფექტურ მმართველობით ფუნქციებს.

იაპონიის გეოეკონომიკაში კი პირიქითაა, სახელმწიფო მაკონტროლებელის როლს ასრულებს აღნიშნულ სფეროში, რომელსაც იგი ახორციელებს უდიდესი სამინისტროს მეშვეობით, რომელიც განსაზღვრავს ეროვნული ეკონომიკის განვითარების ძირითად სტრატეგიას. ისეთი ორგანიზაცია, როგორიცაა იაპონიის საერთაშორისო ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტრო, ამუშავებს გრძელვადიან სტრატეგიულ გეგმას, წარმოების წამყვან დარგებში მთელი ქვეყანა–სისტემის მასშტაბით და მასში მონაწილეობისათვის კონკურსის საფუძველზე იწვევს უმსხვილეს ეროვნულ საწარმოებს[159]. ეს სამინისტრო წარმოების სამყაროსთან აქტიური კავშირებით გამოირჩევა და ცდილობს მასთან გამონახოს კონსესუსი, რასაც საბოლოო ჯამში იქამდე მიეყავართ, რომ ქვეყანა–სისტემის კურსი ემთხვევა მთელი ეკონომიკური სისტემის კურსს, რაც გეოეკონომიკაში იდეალური თუ არა იდეალურთან მიახლოებული შემთხვევაა. აღნიშნულს ხელს უწყობს ასევე პოლიტიკოსების, ბიუროკრატებისა და მსხვილი სამრეწველო და საფინანსო ინსტიტუტების წარმომადგენელთა კულტურული ინტეგრაცია. საწარმოთა ხელმძღვანელ თანამდებობებზე აქ ხშირად გვხვდება სამინისტროების ყოფილი ჩინოვნიკები.

ზემოთ აღნიშნული სტრუქტურული რეორგანიზაციების ეფექტურობა მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული გეოეკონომიკურ დაზვერვაზე. ქვემოთ მოყვანილი მონაცემები აღებულია ღია წყაროებიდან. იმდენად რამდენადაც საუბარი გვექნება საიდუმლო საქმიანობაზე, შემოთავაზებული აღწერა მხოლოდ ნაწილობრივ ასახავს განსახილველ მოვლენას.

კონფიდენციალური კვლევების მონაცემებით, რომელიც ჩაატარა აშშ მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განყოფილებამ, სპეციალურად თეთრი სახლისათვის, ყოველწლიურად ზარალი

---

[159] K. Yamamura. Caveat Emptor: The Industrial Policy of Japan – In Krugman P.R(ed) : Strategic Trade Policy and the New International Economics.MIT Press, Cambridge MA, London 1991.

რომელსაც განიცდიან ამერიკული საწარმოები ეკონომიკური ჯაშუშობის შედეგად მხოლოდ მეგობარი ქვეყნების მხრიდან (რომელთა შორის უნდა აღვნიშნოთ იაპონია, საფრანგეთი, სამხრეთ კორეა, გერმანია) დაახლოებით მილიარდ დოლარს შეადგენს. ინფორმაციული სამსახურის შესახებ სენატის კომისიის მოსმენებში 1994 წელს ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს მაშინდელმა დირექტორმა აღიარა, რომ მართვამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ამერიკის ინტერესების დაცვაში მსოფლიო ბაზარზე, ასევე აღნიშნა, რომ 1993 წელს ამ საქმიანობამ ამერიკის მრეწველობას საშუალება მისცა მიეღო მილიარდობით დოლარი. 1992 წელს ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ბიუჯეტი შეადგენდა 3,2 მილიარდ დოლარს, საბიუჯეტო სახსრების საფუძველზე შეიქმნა განყოფილება სახელწოდებით "Strategic and Business Group", რომელმაც სადაზვერვო საქმიანობა გაშალა, რათა: ა) დახმარება გაეწია მთავრობისა და პარლამენტის ეკონომიკური პოლიტიკისათვის; ბ) თვალი ედევნებინა იმ ტექნოლოგიური კვლევებისათვის, რომელსაც მნიშვნელობა ჰქონდა ეროვნული უსაფრთხოებისათვის; გ) კონტრჯაშუშობის ღონისძიებების გატარებისათვის (გამოძიების ფედერალურ ბიუროსთან ერთად), ამერიკის მრეწველობის დასაცავად უცხოური დაზვერვისაგან.[160]

იაპონიის დაზვერვის სამსახურის DRP (Departament of Research and Planning) დამახასიათებელი თავისებურებაა მისი მცირე ზომა. რეალურად იგი წარმოადგენს მთელი ინფორმაციული სამსახურების ქსელის თავში მოქცეულ ორგანოს, რომელიც 1950–იანი წლების დასაწყისიდან მჭიდროდაა დაკავშირებული საწარმოებთან, ბანკებთან, საერთაშორისო ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროსთან და იმ ინსტიტუტებთან, რომლებიც სპეციალურადაა შექმნილი გეოეკონომიკური დაზვერვის კადრე-

[160] უფრო დაწვრილებით იხ.: Alessandro Comeli. Intelligence Age. Luiss, Roma, 1994; ან Peter Schweiyer. Friendly Spies - Atlantic Monthly Press, 1993.

ბის მოსამზადებლად და ინფორმაციის ლეგალური და არალეგალური გზით მოსაპოვებლად. იაპონიის დაზვერვა, უპირველეს ყოვლისა, მიზნად ისახავს ეკონომიკური უპირატესობის მოპოვებას არა წამყვან დარგებში, არამედ ინფორმაციის ცენტრალიზებულად მოპოვების ორგანიზაციაში, მის შესწავლასა და შემდგომ გადანაწილებაში ეკონომიკის სხვადასხვა სუბიექტებს (საწარმოებს) შორის. აღსანიშნავია, რომ 1984 წ. Keindaran–ის ფედერაციამ, რომელიც აერთიანებს ქვეყნის ყველა ეკონომიკურ ორგანიზაციას, მიიღო დავალება უზრუნველყო ცენტრში არსებული ყველა ინფორმაცია გადაცემა ცალკეული საწარმოებისათვის. ექსპერტები ვარაუდობენ იაპონიის დაზვერვის სამსახურების 80%–ზე მეტი იხარჯება ეკონომიკურ დაზვერვაზე.[161]

საფრანგეთში გეოეკონომიკური დაზვერვის მნიშვნელობის საბოლოოდ გააზრება და ამ ინსტიტუტის ჩამოყალიბება დაიწყო 1980–იან წლებში, როცა ქვეყნის პრეზიდენტად არჩეული იქნა ფ. მიტერანი, რომელმაც დააკანონა ურთიერთობები საწარმოებს (სახელმწიფო და კერძო), მრეწველობის სამინისტროსა და საიდუმლო სამსახურებს შორის. ფრანგული წარმოების ეკონომიკური ჯაშუშობისაგან დაცვაში დიდი როლი ითამაშა DST–მ. (გეოეკონომიკური დაზვერვის სამსახური). აღნიშნულის გარდა, აეწყო ურთიეთობები და თანამშრომლობა, საიდუმლო სამსახურებსა და კერძო ორგანიზაციებს შორის ინფორმაციის მოპოვებისათვის ლეგალური გზით. ეს უკანასკნელი კი ტექნიკურად არ ითვლება ჯაშუშობად და გეოეკონომიკური დაზვერვის საქმიანობის საფუძველს შეადგენს. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ამ სამსახურის საქმიანობა ითვალისწინებს სამრეწველო ჯაშუშობის განხორციელებას მეგობრული ან მოკავშირე ქვეყნების მიმართაც. ვინაიდან ცნობილია

[161] უფრო დაწვრილებით იხ.: K. Yamamura Caveat Emptor: The Industrial Policy of Japan. op.cit. p. 32-47.

შემთხვევა, როცა ამ ქვეყნის გეოეკონომიკური დაზვერვის აგენტებმა შეაღწიეს ამერიკული კომპანია IBM-სა და Texas Instruments–ში, რომლებიც ფრანგული ფირმა Bull–ის კონკურენტები იყვნენ[162]. ასევე ცნობილია ფრანგი ინჟინრების გამოძეგების პრეცენდენტი აშშ შტატებიდან, როცა ისინი „ზედმეტ ინტერესს" იჩენდნენ ამერიკული სამხედრო თვითმფრინავის Stealth–ის მიმართ. 1992 წ. საფრანგეთის საიდუმლო სამსახურის ბიუჯეტი 9%–ით გაიზარდა, რამაც საშუალება მისცა ამ ორგანიზაციას გაეზარდათ შტატი 1000 აგენტით.

რაც შეეხება გერმანიის გეოეკონომიკურ დაზვერვას, იგი გაძლიერებას იწყებს 1960–იანი წლების მეორე ნახევრიდან. ამ სამსახურის მიზანს თავდაპირველად წარმოადგენდა გერმანიისათვის მეტი დამოუკიდებლობისათვის პირობების შექმნა, აშშ, ინგლისისა და საფრანგეთისაგან. ასევე მისი ეკონომიკური წონის გაზრდა მსოფლიოში. (ეს უკანასკნელი ოპერაცია "მონიკას" სახელითაა ცნობილი). 1980–იან წლებში ეს სამსახური (BND –ის სახელითაა ცნობილი) შეუდგა პროექტ „რაჰაბის" რეალიზაციას, რომელიც ორიენტირებული იყო ეკონომიკურ დაზვერვაზე, მაგრამ აგებული იყო "ინფორმაციული მეკობრეობის" პრინციპზე, რომლის არსი მდგომარეობს საწარმოთა და მთავრობათა მონაცემთა ბანკების შეღწევაში მთელი მსოფლიოს მასშტაბით. ამ სამსახურის განსაკუთრებული ინტერესის სფეროში მოექცა ისეთი ქვეყნები, როგორიცაა რუსეთი, იაპონია, საფრანგეთი, აშშ, იტალია და დიდი ბრიტანეთი. ცივი ომის დამთავრების შემდგომ (1991წ.) მოხდა ამ პროექტის ორიენტირების შეცვლა უმეტესად ეკონომიკური, ტექნოლოგიური კომერციული და ფინანსური მიმართულებებით. შეიძლება ითქვას, რომ ამჟამად გერმანია იყენებს გეოეკონომიკური დაზვერვის ყველაზე უფრო სრულყოფილ საშუალებებს (იმ აწყო-

[162] Jean Lesiur. Lo scandalo delle spie Francesi-Express, 25 maggio 1994.

ბილი თანამშრომლობის ხარჯზე, რომელიც არსებობს BND–სა და ფირმა Siemens-ს შორის).

გაცილებით მწირია ინფორმაცია დიდი ბრიტანეთის საიდუმლო სამსახურების შესახებ, განსაკუთრებით სამრეწველო–ეკონომიკურ სფეროში. სრულიად შესაძლებელია, რომ ეს არის ამ ტიპის სამსახურის მაღალი პროფესიონალიზმისა და მკაცრად გასაიდუმლების შედეგი. Ми 6–სათვის ამოცანას ამარტივებს ის გარემოება, რომ იგი შენიღბულია Foreign office სახელით. როგორც არ უნდა იყოს, ცნობილია, რომ ამერიკის ეროვნული უსაფრთხოების სააგენტომ (NSA) ეჭვი აიღო ბრიტანეთის სამსახურებზე, რომლებიც უსმენდნენ იმ ამერიკული საწარმოების ტელეფონებს, რომლებიც მუშაობდნენ დიდ ბრიტანეთში.

გეოეკონომიკურ დაზვერვაში განსაკუთრებული აქტიურობით შვედეთი გამოირჩევა. საწარმოებსა და ადმინისტრაციას შორის კავშირი, ამ სახელმწიფოში, ხორციელდება საქმიან და საუნივერსიტეტო წრეებს შორის თანამშრომლობით, სახელწოდებით BISNES (Businees Intelligence and Security Network of Sweden). სხვა ორგანოები, ისეთები როგორიცაა FOA (Defence Research Establihment) და SAPO (ეროვნული უსაფრთხოების სამსახური), აქტიურად მუშაობენ გეოეკონომიკური დაზვერვის სრულყოფაზე. შვედეთის 600 მეტი საწარმო თავის შტატში ითვლის უშიშროების ოფიცრებს, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი დაკავებულია გეოეკონომიკური დაზვერვითი საქმიანობით. 1976 წლიდან ლუნდის უნივერსიტეტში ტარდება სპეციალური კურსები ეკონომიკურ დაზვერვაში, ასეთივე კურსი იკითხება სტოკჰოლმის უნივერსიტეტშიც.

ცნობილია, რომ ჩინეთში მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სახელმწიფო კომისია (SSTC) დაკავებულია იმ ტექნოლოგიების ლოკალიზაციით, განსაზღვრითა და შეგროვებით, რომელიც ხელს უწყობს ქვეყნის წინაშე მდგარი ეკონომიკური ამოცანების შესრულებას. აღნიშნული სამსახური შეიქმნა ჯერ კიდევ 1958

წელს, რომლის რეორგანიზაცია მოხდა 1975 წ. ჯოუ ენ ლაის დოქტრინის შესაბამისად, რომლის საფუძველსაც დამტკიცებული იქნა ჩინეთის მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ტექნოლოგიებისა და სამხედრო მრეწველობის განვითარების პროგრამები 2000 წლისათვის. აღნიშნულ უწყებას ოპერატიული და სტრუქტურული კავშირი აქვს სამოქალაქო საინფორმაციო სამსახურებთან. კომისიის თანამშრომლები ნამდვილი სადაზვერვო საქმიანობით არიან დაკავებულნი. ამ კომისიას აქვს განშტოებული სტრუქტურა როგორც ეროვნულ, ასევე პროვინციულ დონეზე. ამჟამად SSTC ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში გადამწყვეტ როლს ასრულებს, ვინაიდან იგი განსაზღვრავს ყველაზე უფრო პერსპექტიულ ტექნოლოგიებს და მათი დანერგვის ხელშეწყობას ჩინეთის ეკონომიკაში.

10.4 გეოეკონომიკური კონკურენციის ორგანოები (ამერიკული მოდელი)

იმ სტრუქტურის წინაშე რომელიც უშუალოდ არის დაკავებული გეოეკონომიკური კონკურენციით, ორმაგი პრობლემა დგას: ა) მასში დასაქმებულების ხარისხი და მომზადების ტიპი და ბ) ამ სტრუქტურის ფუნქციები და ადგილი ადმინისტრაციის შიგნით.

მთლიანობაში თანამშრომელთა კეთილსინდისიერება წარმოადგენს სტრუქტურის აწყობილი მუშაობის უპირველეს პირობას. გეოეკონომიკის სფეროში კეთილსინდისიერება, (რომელიც, უპირველეს ყოვლისა, მოიაზრება როგორც უნარი არ მოექცეს ეკონომიკური ლობის ზემოქმედების ქვეშ უდიდეს მნიშვნელობას იძენს, ვინაიდან როცა საუბარია ეკონომიკური საქმიანობის განხორციელებაზე, როგორც ამას მოითხოვს ძირითადი გეოეკონომიკური მეთოდები, აუცილებელია აღმოფხვრილი იქნას ის მცდელობები, რომელიც დაკავშირებულია სასიცოცხლო ეროვნული ინტერესების არასწორი მიმართულებით შეცვლასთან. ამ თვალსაზრისით გარანტად გვევლინება სწორედ ის, ვინც უშუ-

ალოდ ატარებს ქვეყნის გეოეკონომიკურ პოლიტიკას. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს თანამშრომელთა კულტურულ მომზადებასაც, რომელიც აშკარად ჩამორჩება თანამშრომელთა კომერციულ მომზადებას. აღნიშნული კი იწვევს იმას, რომ არა მხოლოდ მცირდება საქმიანი წრეების წარმომადგენელთა ურთიერთგაგება, არამედ საერთოდ რთულდება საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები, რაც თანამედროვე გეოეკონომიკური მეტოქეობის მოთხოვნებს ნამდვილად არ შეესაბამება.

აღნიშნულის გარდა ფუნქციონირების მომზადება, რომელიც წარიმართება მაღალ დონეზე და უპირატესად გააჩნია თეორიული მიმართულება, აადვილებს ბიუროკრატიულ გარემოში ლიბერალური პრინციპებისა და იდეალური სქემების გავრცელებას. მეორეს მხრივ, როგორც ჩანს, საფუძველს მოკლებული არ უნდა იყოს საპირისპირო შენიშვნა, რომელიც გამოთქვა ე. ლუტვაკმა და რომლის მიხედვითაც „დროთა განმავლობაში ყველაზე უფრო თავმოყვარე ბიუროკრატები იპოვნიან საკუთარი ლეგიტიმაციის წყაროსა და საკუთარი სოციალური ამბიციების დამკვიდრებას სწორედ გეოეკონომიკურ ბრძოლაში".[163] როცა საუბარია იმაზე, თუ რომელ, ინსტიტუტის კომპეტენციაა მსგავსი საკითხების გადაჭრა, აუცილებელია გავიხსენოთ ამერიკული გამოცდილება. 1990-იან წლებში ამერიკაში მიმდინარე ინსტიტუტების რეორგანიზაცია დაკავშირებულია სწორედ ეკონომიკური ინტერესების შეჯახების გამწვავებასთან.

ბოლო წლებში გამოიკვეთა საერთაშორისო ვაჭრობის სფეროში კონტროლის გაძლიერების ტენდენცია, გაიზარდა ინფორმაციის წყაროების რიცხოვნობა, გაფართოვდა შესაბამისი საგენტოების უფლებები და ბოლოს უმაღლეს დონეზე დაფუძნდა ეკონომიკური პოლიტიკის კოორდინაციისა და დაგეგმვის ორ-

[163] Luttwak E. The Coming Global War For Economic Power. op.cit., p64.

განო, რომელსაც მჭიდრო კავშირი აქვს ეროვნული უსაფრთხოების ორგანოებთან.

უკვე 1987 წ. მას შემდეგ, რაც დაფუძნდა Bureau of Export Administration, იყო მცდელობა შეექმნათ ისეთი სააგენტო, რომელიც კონტროლს განახორციელებდა ეროვნულ ექსპორტზე. ამ მიმართულებით შემდგომი ნაბიჯი გადაიდგა 1988 წ, როცა მიღებული იქნა Omnibus Trade and Competitiveness Act-ი, რომელმაც დიდი უფლებამოსილება მიანიჭა United States Trade Representative (USTR)-ს. აღნიშნული კანონის 1601 მუხლში განსაზღვრულია (USTR)-ის ძირითადი ამოცანები:

•განავითაროს და კოორდინაცია მოახდინოს აშშ–ს პოლიტიკის საერთაშორისო სფეროში;

•აწარმოოს კონსულტაციები პრეზიდენტთან მთავრობის პოლიტიკური ნაბიჯების ზემოქმედებასთან დაკავშირებით სავაჭრო პოლიტიკაზე;

•იყოს აშშ–ს მთავარი წარმომადგენელი კომერციული ხასიათის მოლაპარაკებებზე;

•თვალყური ადევნოს არასამართლიანი სავაჭრო პრაქტიკის შემთხვევებს, გაცილებით ფართო უფლებამოსილების შემდგომი გამოყენების უფლებით[164].

არაკორექტულ გარიგებებთან წინააღმდეგ ბრძოლაში USTR ეყრდნობა Interagency Unfair Trade Practices Committee-ს კონსულტაციურ მხარდაჭერას, რომელიც აერთიანებს სხვადასხვა უწყების (სახელმწიფო დეპარტამენტი, ვაჭრობისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროები) წარმომადგენლებს.

კოორდინაციის გაუმჯობესების მიზნით აშშ–ში შეიქმნა Interagency Trade Organization-ი, რომელმაც შეასრულა პრეზიდენტთან არსებული კონსულტანტის როლი. ამ ორგანიზაციაში შედიან ვაჭრობის, ფინანსების, შრომის, საგარეო საქმეთა და

---

[164] უფრო დაწვრილებით იხ.: Trans-pacific Anger.- Foreign Policy, № 78, Spring 1990.

სოფლის მეურნეობის მინისტრები. აღნიშნულთან ერთად დაფუძნებული იქნა მრავალი სათათბირო კომიტეტები, რომლებიც უზრუნველყოფენ მუდმივ კავშირს, კერძო სექტორსა და არაფედერალურ სახელმწიფო დაწესებულებებს შორის.

ბ. კლინტონის ადმინისტრაციის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ შეიქმნა Economic Security Council-ი, როგორც National Security Council-ის დამატება, რითაც კიდევ ერთხელ გაესვა ხაზი აშშ–ს ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკაში ეკონომიკური შეჯიბრის ფაქტორის განსაკუთრებულ მნიშვნელობას. ასევე გლობალური პოლიტიკის ახალ პრიორიტეტებს.[165] ახალი ადმინისტრაცია ეკონომიკის ზოგიერთ ხელმძღვანელებს გაემიჯნა (კერძოდ, USTR და ვაჭრობის მინისტრს), რითაც აღმოიფხვრა უფლებამოსილების დუბლირება. ასეთმა გამიჯვნამ მკვეთრად შეუწყო ხელი დროული და საქმიანი გადაწყვეტილებების მიღებას.

ამერიკულმა გამოცდილებამ მნიშვნელოვანი დახმარება შეიძლება გაუწიოს საქართველოს ადმინისტრაციულ სტრუქტურაში შესაბამის ორგანოების შექმნას. ასეთი ორგანოები დაკავებულნი უნდა იყვნენ უშუალოდ გეოეკონომიკური კონკურენციის საკითხებით, ასევე Unfair Competiton-ის წინააღმდეგ ეფექტური მექანიზმების დამუშავებით, რომელიც დამახასიათებელია საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობებისათვის.

1960-იანი წლების ბოლოდან განვითარებული ქვეყნები განიცდიან მწვავე ეკონომიკურ კრიზისებს, რამაც აიძულა ისინი მიეღოთ ზომები, რომლებიც მიმართულია სტიქიური სავაჭრო დინებების შესაცვლელად საკუთარი ეროვნული საწარმოების სასარგებლოდ. მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის საკმაოდ კონკრეტულმა წესებმა საბაჟო გადასახადებთან მიმართებაში, აიძულა ქვეყნები განსაკუთრებული ყურადღება მიექციათ არა-

---

[165] უფრო დაწვრილებით იხ.: Marc Uwn. Bill Clinton: une nouvelle economique-Probleemes e economiquec. №2. 309, 1993.

სატარიფო ბარიერებისათვის, რომელიც ძალზედ მრავალფეროვანი და დახვეწილი გახდნენ. შედეგად დადგა იმის აუცილებლობა, რომ შემჭიდროებულ ვადებში გამოეველინათ თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების დამრღვევნი სავაჭრო პარტნიორების მხრიდან.

USTR-ის ამერიკული გამოცდილება მოწმობს უფლებამოსილების ერთიანი ორგანოს–არაპატიოსანი კომერციული პრაქტიკის ზედამხედველობის სამსახურის, გამოყოფის აუცილებლობას. თუმცა ასეთი სამსახურის ეფექტურობა დამოკიდებული იქნება მის განკარგულებაში მყოფ ინსტრუმენტებზე. ამ სამსახურმა უნდა უზრუნველყოს მისი საქმიანობის ნდობის კრედიტის მოპოვება.

სავაჭრო ურთიერთობების ქსელი, რომელიც აღმოცენდება მკაცრი ნაცვალგების პრინციპის მეშვეობით და შესაბამისად ორმხრივი მიდგომით, შეიძლება იმდენად დანაწევრებული აღმოჩნდეს, რომ მისი მართვა ძალზე ძნელი იქნება. მაგალითად, სხვადასხვა ქვეყნების ერთი და იგივე სახეობის საქონელთან მიმართებაში საჭიროა სხვადასხვა დონის ბარიერების შექმნა. იმის გამო, რომ "ეს ბარიერები ხშირად იქმნება საერთო, განყენებული (ავიღოთ თუნდაც სანიტარული და ტექნიკური სტანდარტები) ნორმების საფუძველზე ან/და ითვალისწინებს ეროვნული საწარმოების სუბსიდიებს (ასეთ შემთხვევაში ძნელია გამოვავლინოთ საწარმო, რომელსაც ეყოლებოდა კონკურენტები მხოლოდ იმ ქვეყნებში, რომელიც არღვევს ხელშეკრულებას). ამგვარად სახეზეა ამ დროს აღმოცენებული კონფლიქტების მართვის მთელი სიძნელე".[166] ამ სფეროში კერძო სექტორსა და სახელმწიფო სტრუქტურებს შორის თანამშრომლობა შეიძლება წარმატებული აღმოჩნდეს კონკურენციისათვის, კერძოდ იმ ასპექტში, რომელიც ეხება სავაჭრო პარტნიორების მხრიდან უპა-

[166] Richard N. Cooper Us response to foreign industrial policy. In: Dominik Salvatore. Protectionosm and world welfare. Cambridge University Press. 1993. p. 153.

ტიოსნო სავაჭრო პრაქტიკის შედეგად მიყენებული ზარალის ანაზღაურებას. აშშ წამოყენებული იქნა წინადადება, რომლითაც „საწარმოს შეუძლია იმპორტზე მისთვის ხელსაყრელი ბარიერის შექმნა, თუ, რასაკვირველია, დამაჯერებლად დაასაბუთებს unfair trade-ს არსებობას მისი ინტერესების სფეროში".[167]

[167] Richard N. Cooper. op.cit., p. 154

თავი 11. ეროვნული სახელმწიფოს გეოეკონომიკური უსაფრთხოება

11.1 გეოეკონომიკური უსაფრთხოების არსი და სტრუქტურა

გეოეკონომიკური უსაფრთხოება განიხილება, როგორც გეოეკონომიკური სისტემის მნიშვნელოვანი თვისობრივი-ხარისხობრივი მაჩვენებელი, რომელიც განსაზღვრავს ამ სისტემის უნარს უზრუნველყოს: ა) ქვეყნის მოსახლეობის ცხოვრების დონის მაღალი სტანდარტები; ბ) უწყვეტად უზრუნველყოს ქვეყნის მომარაგება საჭირო რესურსებით; გ) თანმიმდევრულად მოახდინოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესების რეალიზაცია. გეოეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის, როგორც ეროვნული უსაფრთხოების შემადგენელი ნაწილის, აუცილებლობა მნიშვნელოვნად იზრდება განვითარების კრიზისული ფაზის პირობებში. ამ ფაზის გარდაუვალი ეკონომიკური და სოციალური დანახარჯები, მნიშვნელოვნად ამახინჯებენ უსაფრთხოების ფაქტორსა და მის კრიტერიუმებს, ამასთან, დამატებით ამძიმებენ საზოგადოებაში სტაბილურობის შენარჩუნების მექანიზმებს,კვეცავენ მის შესაძლებლობებს ეკონომიკური კომპენსაციისა და სტაბილიზაციის პროგრამების შემუშავებასა და რეალიზაციაში. გეოეკონომიკური უსაფრთხოების მაკროეკონომიკური ასპექტების მნიშვნელობა შესამჩნევად იზრდება დიდი ეროვნულ–სახელმწიფოებრივი გარდაქმნების პირობებში.[168]

გეოეკონომიკური უსაფრთხოება ორგანულადაა ჩართული ეროვნული უსაფრთხოების სისტემაში, სისტემის ისეთ კომპონენტებთან ერთად როგორიცაა: ქვეყნის თავდაცვისუნარიანობა, საზოგადოებაში სოციალური მშვიდობისა და სტაბილურობის შენარჩუნება, ეკოლოგიური კატასტროფებისაგან დაცვა და ა.შ.

---

[168] უფრო დაწვრილებით იხ.: De Soura P. J. ed. Econimic Strategy and National Security. Boulder: Westview Press, 2000.

ამ სისტემაში ყველაფერი ერთმანეთთანაა დაკავშირებული და ერთი სლოგანი აქვთ: არ შეიძლება არსებობდეს სამხედრო უსაფრთხოება სუსტი და არაეფექტური ეკონომიკის პირობებში, ისევე როგორც არ შეიძლება არსებობდეს არც სამხედრო უსაფრთხოება და არც ეფექტური ეკონომიკა საშინელი სოციალური კონფლიქტების პირობებში. როცა ამ კავშირებზე ვსაუბრობთ, უნდა გავითვალისწინოთ ის გარემოება, რომ მასში მთავარი როლი ენიჭება გეოეკონომიკურ უსაფრთხოებას.

თვით გეოეკონომიკურ უსაფრთხოებას გააჩნია საკმაოდ რთული შინაგანი სტრუქტურა. რეალური პროცესების ანალიზი და მდიდარი უცხოური გამოცდილება, რომელიც ამ პრობლემების კვლევებისადმია მიძღვნილი, საშუალებას იძლევა გამოვყოთ გეოეკონომიკური უსაფრთხოების სტრუქტურის სამი ძირითადი ბლოკი:

•ეკონომიკური დამოუკიდებლობის ბლოკი, რომელიც თანამედროვე გეოეკონომიკურ სივრცეში სულაც არ ატარებს აბსოლუტურ ხასიათს. შრომის საერთაშორისო დანაწილება და ტრანსნაციონალიზაციის პროცესი ეროვნულ ეკონომიკებს ერთმანეთზე ურთიერთდამოკიდებულს ხდის. ამ პირობებში ეკონომიკური დამოუკიდებლობა ნიშნავს სახელმწიფო კონტროლის შესაძლებლობას ეროვნულ რესურსებზე, წარმოების ეფექტურობისა და პროტექციის ხარისხის ისეთი დონის მიღწევას, რომელიც უზრუნველყოფს მის კონკურენტუნარიანობას და მათი გლობალურ ბაზარზე შეღწევისა და დამკვიდრების საშუალებას იძლევა;

•ეროვნული ეკონომიკის სტაბილურობის ბლოკი, წარმოადგენს საკუთრების ყველა ფორმის დაცვის მექანიზმს, რომელიც ქმნის სამეწარმეო აქტიურობისათვის საიმედო პირობებსა და გარანტიებს. ასევე იმ ფაქტორთა შეჩერების მექანიზმს, რომელთაც ძალუძთ სიტუაციის დესტაბილიზაცია (ეკონომიკაში კრიმინალურ სტრუქტურებთან ბრძოლა, შემოსავლების განაწილებაში სერიოზული განსხვავებების თავიდან

აცილება, რომლებსაც შეიძლება მოყვეს ძლიერი სოციალური აფეთქება და ა.შ.)

•თვითგანვითარებისა და პროგრესის ბლოკი ყველაზე მნიშვნელოვანია თანამედროვე დინამიურად განვითარებად მსოფლიოში. ამ ბლოკის მიზანია ინვესტიციებისა და ინოვაციებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა, წარმოების პერმანენტული მოდერნიზაცია, დასაქმებულთა პროფესიული, საგანმანათლებლო და საერთო კულტურული დონის ამაღლება, რომელიც ეროვნული ეკონომიკის თვითშენარჩუნებისა და სტაბილური განვითარების აუცილებელი პირობა ხდება.

ამდენად, გეოეკონომიკური უსაფრთხოება ეს არის პირობებისა და ფაქტორების ერთობლიობა, რომელიც უზრუნველყოფს ეროვნული ეკონომიკისა და მისგან გამომდინარე, ეროვნული პოლიტიკის სტაბილურობასა და უნარს მუდმივი განახლებისა და თვითსრულყოფისათვის.

გეოეკონომიკური და გეოპოლიტიკური კრიზისების მსხვილმასშტაბიან გარდამავალ პროცესებში, უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და სტაბილიზაციის მექანიზმები საკმაოდ წინააღმდეგობრივ სისტემას წარმოადგენენ. გეოეკონომიკური და გეოპოლიტიკური უსაფრთხოების ურთიერთკავშირი კარგად მაშინ იკვეთება, როცა პოლიტიკური და ეროვნულ–ეთნიკური სტაბილურობის და უსაფრთხოების ფაქტორი საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში შეიძლება "ცურავდეს" უდიდესი ეკონომიკური დანახარჯების (აშკარად არაექვივალენტური გაცვლები, დანაკარგები ე.წ. "ტექნიკური" კრედიტების გაცემის შედეგად და ა.შ) გამო. ამ დანახარჯების ზომები (განსაკუთრებით კრიზისული სიტუაციის პირობებში) უკვე თავისთავად ხდება ეკონომიკური დესტაბილიზაციისა და ეროვნული ბუნებრივ – ეკონომიკური პოტენციალის არაკომპენსირებადი დანახარჯების ფაქტორი.

გეოეკონომიკური უსაფრთხოების მახასიათებლების უმნიშვნელოვანეს პრობლემას წარმოადგენს მისი ძირითადი

კრიტერიუმების განსაზღვრა, რომელიც ღრმა კრიზისის პირობებში შეიძლება იყოს ერთობლივი ზარალის მინიმუმი, რომელიც მიადგა საზოგადოებას, ეკონომიკას და ადამიანს. ასეთი მიდგომის კონკრეტიზაციად გვევლინება განსაკუთრებული სასაზღვრო "ხაზი", როგორც სოციალურ–ეკონომიკური სისტემის ზღვრული მდგომარეობის ნიშანი, რომლის საზღვრებს გარეთ აღმოცენდება საფრთხე ან ფაქტიურად ხდება ამ სისტემის დეგრადაცია ან საერთოდ ნგრევა.

უსაფრთხოების ცნება მჭიდროდაა დაკავშირებული რისკის კატეგორიასთან. დიდი ხნის განმავლობაში ეკონომიკის მართვის თეორიასა და პრაქტიკაში (განსაკუთრებით მაკრო დონეზე), მისი განვითარება განიხილებოდა როგორც მკაცრად დეტერმინებული პროცესი. ამასთან არასაკმარისად იყო გათვალისწინებული ეკონომიკური გადაწყვეტილებების გაუთვალისწინებელი მოსალოდნელი შედეგები, ანუ ეკონომიკური რისკის გარდაუვალი ფაქტორები. ამასთან, რისკის კატეგორიის გამოყენება საშუალებას იძლევა მნიშვნელოვნად გაიზარდოს მართვის ეფექტურობა, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როცა ეკონომიკის ადმინისტრაციულ–მბრძანებლური მეთოდები იცვლება საბაზრო სისტემით, როცა ხდება მკვეთრი დეცენტრალიზაცია ეკონომიკაში.

სამეცნიერო ლიტერატურაში განარჩევენ რისკის შეფასებასა და რისკების მართვას. რისკის შეფასება როგორც წესი ატარებს ექსპერტულ, ალბათურ ხასიათს, ვინაიდან გაურკვეველი რჩება ზოგიერთი მოქმედი ობიექტური ფაქტორებისა და ეკონომიკური გადაწყვეტილებების ნეგატიური შედეგები.

შეიძლება იმის თქმა, რომ ქართულ ეკონომიკაში, რომელიც ღრმა სტრუქტურული ტრანსფორმაციის პირობებში შინაგანი მდგრადობის მინიმუმს ფლობს, რისკის პრაქტიკულად ყველა ფაქტორს შესწევს უნარი ქვეყანაში შექმნას კრიტიკული ხასიათის სიტუაცია.

რაც შეეხება რისკების მართვას, იგი გულისხმობს შესაძლოა კრიზისული სიტუაციის განჭვრეტას იმისათვის, რომ თავიდან იქნეს აცილებული მისი შერბილებული ან შესუსტებული შედეგები. ამა თუ იმ კრიტიკული სიტუაციის ალბათობის შეფასებასთან ერთად, აუცილებელია დანაკარგების (ზარალის) შეფასებაც, რომელიც თან ახლავს კრიტიკული სიტუაციის აღმოცენებაც. აქედან გამომდინარეობს, რომ გეოეკონომიკური უსაფრთხოების დონის შეფასება (რისკის ფაქტორების ანალიზთან ერთად) გულისხმობს დანაკარგის (ზარალის) კატეგორიის გამოყენებასაც, რომელიც შეიძლება იყოს ფაქტიური, მოსალოდნელი, პოტენციური, კომპენსირებადი და არაკომპენსირებადი.

კრიტიკული სოციალურ-ეკონომიკური სიტუაციები, როგორც წესი ვლინდება ლოკალურ (ცალკეული ტერიტორიის ფარგლებში, მოსახლეობის ჯგუფებში, საწარმოებში), მეზო (ქვეყნის ავტონომიური, სამხარეო სუბიექტები, ეკონომიკის სექტორები) და ზეეროვნულ (ეკონომიკური ბლოკები, ეკონომიკური ალიანსები) და ტრადიციულ (გლობალურ) დონეებზე[169].

გეოეკონომიკური უსაფრთხოების კონცეფციაში მონაწილეობენ ისეთი ცნებები როგორიცაა "კომპენსაციის რესურსები" და "კომპენსაციური პოტენციალი", რომელთა შორისაც გარკვეული განსხვავებაა. კომპენსაციური რესურსები როგორც შედარებით ვიწრო გაგება თავისი მნიშვნელობით ახლოა ტრადიციულ დაზვერვასთან და სარეზერვო მარაგთან, ხოლო კომპენსაციური პოტენციალი კი ასახავს ქვეყნის ეკონომიკის უნარს ადეკვატური რეაგირება მოახდინოს კრიტიკულ სიტუაციაზე.

პირდაპირი კომპენსაციების პოტენციალი წარმოადგენს საწარმოო და არასაწარმოო ხასიათის მატერიალურ მარაგსა და

---

[169] უფრო დაწვრილებით იხ.: Goodwin C.D. ed. Economics and National Security. A History of Their Interaction. Durnham: Duke University Press, 1991.

რეზერვს, მათ ტერიტორიულ განლაგებას, ადეკვატურ დამატებით სატრანსპორტო შესაძლებლობებსა და სარეზერვო სიმძლავრეებს იმ ტექნიკურ საშუალებებთან ერთად, რომელიც აუცილებელია მსხვილი აღდგენითი სამუშაოების საწარმოებლად. აღნიშნულის გარდა კომპენსაციის პოტენციალი ხასიათდება ისეთი უმნიშვნელოვანესი მაჩვენებლებით, როგორიცაა ფინანსური რეზერვები (ვალუტის ჩათვლით), დაზღვევის სისტემა, საერთაშორისო მხარდაჭერის შესაძლებლობა, საქველმოქმედო ფონდების შესაძლებლობები, ჯანდაცვის სისტემის კომპენსაციური ფუნქციისა და მობილურობის განვითარება, კადრების გადამზადების მობილურობა და ა.შ.

ზემოთ აღნიშნული თავის გამოხატულებას პოულობს შესაბამის მაჩვენებელთა სისტემაში, რომლებიც ახასიათებენ ქვეყნის გეოეკონომიკურ უსაფრთხოებასა და მისი ცვლილებების ტენდენციებს. გეოეკონომიკური უსაფრთხოება მიიღწევა როგორც სუფთა ეკონომიკური მეთოდებით, ასევე გეოეკონომიკური ხასიათის საშუალებებითაც (გეოპოლიტიკური, სამხედრო-სტრატეგიული, გეოსოციალური და ა.შ.). გეოეკონომიკური უსაფრთხოების შეფასება ნებისმიერ სფეროში, როგორც წესი, უზრუნველყოფს უნივერსალურ მიდგომას, რომელიც საშუალებას იძლევა რაოდენობრივად შეფასდს ზარალი, რომლის საფუძველზეც განისაზღვრება პრიორიტეტების სისტემა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, გეოეკონომიკური უსაფრთხოების სახელმწიფოებრივი რეგულირება წარმოადგენს ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფის აუცილებელ პირობასა და საერთო სახელმწიფოებრივ მიზანს.

იმდენად, რამდენადაც ქვეყნის გეოეკონომიკური სისტემა წარმოადგენს რთულ იერარქიულ სტრუქტურას გეოეკონომიკური უსაფრთხოების ობიექტებად გვევლინებიან სხვადასხვა დონის ეკონომიკური ურთიერთობები:

- მაკრორეგიონალური–მთელი ქვეყნის ეკონომიკა;

- რეგიონალური და დარგობრივი–რეგიონებისა და დარგების ეკონომიკა;
- მიკროეკონომიკური–ბაზრის აგენტები;
- ოჯახური და პიროვნული–ქვეყნის თითოეული მოქალაქის ეკონომიკური ინტერესები.

აღნიშნული ობიექტების ინტერესები ურთიერთდაკავშირებული და ურთიერთგანპირობებულია, ამასთან ერთმანეთის მიმართ წინააღმდეგობრივიც. ამიტომ, აუცილებელია განისაზღვროს სახელმწიფოს ჩარევის ხარისხი ეკონომიკის ცალკეულ სექტორებსა და მის დროებით ჩარჩოებში, რომელსაც განსაზღვრავს კონკრეტული ქვეყნების გეოეკონომიკური უსაფრთხოების დოქტრინები.

11.2 გეოეკონომიკური უსაფრთხოების დოქტრინები

საერთოდ, ეროვნული უსაფრთხოების და მათ შორის ეკონომიკური უსაფრთხოების პრობლემის აქტუალურობა რეალური გახდა ეროვნული სახელმწიფოებისა და კაპიტალიზმის ჩამოყალიბების ეპოქაში. (XVII–XVIIIსს.). სწორედ მაშინ, ევროპული ცივილიზაციის ქვეყნებში ჩამოყალიბდა და ვითარდებოდა იდეა, რომლის მიხედვითაც სახელმწიფოს მთავარი მიზანია საყოველთაო კეთილდღეობა და უსაფრთხოება. თუმცა XX ს–მდე ეროვნული ეკონომიკური უსაფრთხოების ნათლად გააზრება ლიბერალური იდეოლოგიის გაბატონებული მდგომარეობის გამო პარალიზირებული იყო. ეროვნული გეოეკონომიკური უსაფრთხოების შესახებ თანამედროვე დისკურსი ეფუძნება წარმოდგენებს, სადაც საზოგადოება განიხილება როგორც ერთიანი ორგანიზმი, რომლის ფუნქციონირება შეგნებულად უნდა რეგულირდებოდეს საზოგადოებრივი კეთილდღეობის ამაღლების მიზნით. ამასთან XVIII–XIX სს.-ის ლიბერალიზმი იდგა მეთოდოლოგიური ინდივიდუალიზმის პოზიციებზე. ითვლებოდა, რომ ერთადერთ სუბიექტს წარმოადგენს ცალკეული ინდივიდი, რომელსაც ბაზრის „უხილავი ხელის" დახმარებით, შეუძლია

ეფექტურად და დამოუკიდებლად გადაწყვიტოს თავისი პრობლემები და არ საჭიროებს სახელმწიფოებრივ მეურვეობას.

აღნიშნული პრობლემის ირგვლივ აქტიური დისკუსია დაიწყო მხოლოდ გასული საუკუნის 30–40-იან წლებში, როცა დამთავრდა კაპიტალიზმის თავისუფალი კონკურენციის ეპოქა და ასპარეზი დაეთმო "ადმინისტრაციულ რევოლუციას" (ასე უწოდა ინგლისელმა ეკონომისტმა ჯ. ჰიკსმა XIX ს. მიწურულს დაწყებულ საბაზრო ეკონომიკის რეგულირების პროცესს – გ.კ.). სწორედ ამ დროს დაიწყო დომინირება მოსაზრებამ, რომ საზოგადოების ინტერესებისათვის საბაზრო თვითრეგულაციას უნდა დაემატოს ცენტრალიზირებული ეროვნული უსაფრთხოების რეგულირებაც.

„ეროვნული უსაფრთხოების" ტერმინი პირველად გაჩნდა აშშ–ში ითვლება, რომ ეს ტერმინი ამერიკის პოლიტიკურ ლექსიკონში პირველად შემოიტანა ამერიკის პრეზიდენტმა თ. რუზველტმა 1904 წ. თუმცა, 1940 წლამდე აღნიშნული ტერმინი გამოიყენებოდა ვიწრო გაგებით, კერძოდ, ქვეყნის სამხედრო აგრესიისაგან თავის დაცვის კონტექსტში. ამ ცნებამ ახალი დატვირთვა შეიძინა 1930-იან წლებში, როცა მოსალოდნელი ომის პირობებში გაცხოველებული დისკუსიები მიმდინარეობდა ეროვნული ინტერესებისა და პრიორიტეტების შესახებ. ამ დისკუსიებში უკვე სჭარბობდა არა მხოლოდ თავდაცვითი, არამედ ეროვნული უსაფრთხოების ეკონომიკური კომპონენტიც. ამერიკის, გერმანიის და იაპონიის წინააღმდეგ ომში ჩართვის ერთ–ერთი არგუმენტი ისიც იყო, რომ იგი აშშ საშუალებას მისცემდა შეენარჩუნებინა საერთაშორისო ბაზრებზე შესასვლელი გზები და თავიდან აეცილებინა შეზღუდვები მრეწველობის განვითარებაში[170].

---

[170] უფრო დაწვრილებით იხ.: Spykman H.J. American's Strategy in the world politics: the United State and the balance of power. New-York: Haroourt, Brace. 1942.

„ეროვნული უსაფრთხოების" ცნებამ თანამედროვე მნიშვნელობა შეიძინა მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდგომ. სენატში მოსმენების მასალების თანახმად, 1945 წ. აგვისტოში, აშშ სამხედრო-საზღვაო მინისტრმა ჯ. ფორესტოლმა სენატს განუცხადა, რომ აშშ ეროვნული უსაფრთხოება შეიძლება უზრუნველყოფილი იქნას ძალიან ფართო და ყოვლისმომცველი აზრით. ეროვნული უსაფრთხოების საკითხი მისი აზრით არ დაიყვანება მხოლოდ ფლოტსა და არმიაზე, რომ აუცილებელია ასევე აშშ პოტენციალის გათვალისწინება ომის წარმოებისათვის, იმ პოტენციალისა (მაღაროები, მრეწველობა, ადამიანის რესურსები, მეცნიერება და საქმიანობის სხვა სფეროები), რომლებიც შეადგენენ ჩვეულებრივ სამოქალაქო ცხოვრებას[171].

„ეროვნული უსაფრთხოების" თანამედროვე მნიშვნელობა აშშ-ში განმტკიცდა 1947 წელს, როცა მიღებული იქნა კანონი ეროვნული უსაფრთხოების შესახებ, ამ კანონის თანახმად შეიქმნა აშშ-ს ეროვნული უსაფრთხოების საბჭო, ამ კანონში ნათლად იქნა დაფიქსირებული, რომ საბჭოს ფუნქციას შეადგენს იმ საშინაო, საგარეო და სამხედრო პოლიტიკების კოორდინაცია, რომელიც მიეკუთვნება ეროვნულ „უსაფრთხოებას[172]".

აშშ-ს მთავრობის ოფიციალური დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფის პრიორიტეტებს, არის პერიოდულად განახლებადი „აშშ ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგია". ეს დოკუმენტი წარმოადგენს მთავრობის პოლიტიკურ დეკლარაციას უსაფრთხოების საკითხებში, რომელიც განსაზღვრავს საგარეო პოლიტიკურ ურთიერთობებში სახელმწიფოს გაძლიერების ვექტორს. თუმცა ეს დოკუმენტი არ წარმოადგენს მთავრობის ნორმატიულს, მა-

---

[171] უფრო დაწვრილებით იხ.: Post R. National Security and the amended Freedom of Information Act // Yale law Journal, Vol. 85. 1985.

[172] უფრო დაწვრილებით იხ.: United State Code. 1988. ed. Vol.19. Title 48 to 50 Washington, DC. 1989.

გრამ ამერიკის მთავრობის რეალური საშინაო და საგარეო პოლიტიკა ძირითადში ყალიბდება ამ დოკუმენტის მიერ შემოხაზულ საზღვრებში, სადაც ეროვნული უსაფრთხოების აუცილებელ კომპონენტად ითვლება გეოეკონომიკური უსაფრთხოება, რომელიც ადრე ეკონომიკური უსაფრთხოების სახელით იყო ცნობილი. ამ უკანასკნელის ჩამოყალიბების ისტორიას ჩვეულებრივ იწყებენ დიდი დეპრესიების პერიოდიდან, რომელიც ყველაზე მძიმე ეკონომიკური კრიზისი იყო აშშ-ის მთელი ისტორიის მანძილზე. სწორედ მაშინ, 1934 წ. როგორც კი ხელისუფლებაში მოვიდა ფ. დ. რუზველტი, მან მაშინვე ჩამოაყალიბა ეკონომიკური უსაფრთხოების ფედერალური კომიტეტი. ამ კომიტეტს სათავეში ჩაუდგა შრომის მინისტრი ფ. პერკინსი. სადაც შეიდნენ ასევე იუსტიციის, ფინანსების, ვაჭრობის მინისტრები და საგანგებო დახმარების სამსახურები.

ამდენად, აშშ ეკონომიკური უსაფრთხოების კომიტეტი გახდა სისტემური და მიზანმიმართული საქმიანობის პირველი ორგანიზაციული ფორმა. ამჟამად, ანალოგიური სამთავრობო ორგანიზაციული სტრუქტურები არსებობს მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში (საქართველოში ჯერჯერობით ასეთი სტრუქტურა სრულიად ჩამოყალიბებული არ არის).

ამერიკაში აღმოცენებული ცნება "ეროვნული ეკონომიკური უსაფრთხოება", 1970-იან წლებში აქტიურად ექსპლოატირდებოდა ყველა განვითარებულ ქვეყანაში, თუმცა ყველაზე უფრო აქტიურად იგი კვლავ აშშ–ში გამოიყენება, რაც იმით შეიძლება აიხსნას, რომ ამ ზესახელმწიფოს სერიოზული პრეტენზია გააჩნია მსოფლიო ეკონომიკურ ლიდერობაზე ახალ ათასწლეულშიც. ცივი ომის დამთავრების შემდეგ უკვე გეოეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფა ხდება აშშ–ს პოლიტიკის პრიორიტეტული მიმართულება, რაზეც არაერთხელ განაცხადეს ამ ქვეყნის ხელმძღვანელებმა და რომელშიც ძალზედ დიდია გეოეკონომიკის ფუძემდებლისა აშშ–ს სახელმწიფო დეპარტამენტის თანაშემწის ე. ლუტვაკის წვლილი.

აშშ გეოეკონომიკური უსაფრთხოების წამყვან მომენტად ითვლება შემდეგი მიზნები:

• ამერიკული საქონლის კონკურენტუნარიანობის ამაღლება საშინაო და საგარეო ბაზრებზე;

• ქვეყნის დამოკიდებულების შემცირება უცხოურ სესხებზე;

• ქვეყნის შესაძლებლობების განმტკიცება საეთაშორისო ვალდებულებების შესრულებაში საავჭრო–ეკონომიკურ და სხვა სფეროებში.

1995 წ. დეკემბერში ჯ. ბუშის (უფროსი) მიერ დამტკიცდა მემორანდუმი, რომელშიც ჩამოყალიბებულია გეოეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის ეროვნული პროგრამის ძირითადი შინაარსი. ამ პროგრამის რეალიზაციის შედეგი გახდა ქვეყნის მაშტაბით ერთიანი გეოეკონომიკური უსაფრთხოების სისტემის შექმნა, რომელიც მიმართულია აშშ-ს ლიდერობის შენარჩუნებისაკენ ტექნოლოგიების სფეროში და ქვეყნის ეკონომიკური ინტერესების დაცვის უზრუნველყოფისაკენ. სპეციალურად შექმნილი უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფის მიერ, რომელშიც შევიდნენ თავდაცვის მინისტრის მოადგილე, ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს დირექტორის მოადგილე, ენერგეტიკის მინისტრი, გამოძიების ფედერალური ბიუროს წარმომადგენლები, წამყვანი კორპორაციების ხელმძღვანელები (ისეთები როგორიცაა "ჯენერალ ელექტრიკი" და "ბოინგი"), არა მხოლოდ გამოიყო აშშ გეოეკონომიკური უსაფრთხოების ძირითადი საშიშროებანი, არამედ ამ ჯგუფის მიერ აშშ მთავრობას მიეცა რეკომენდაცია გამოეშვა სპეციალური ცნობარი სახელწოდებით „გეოეკონომიკური უსაფრთხოების კატალოგი და მისი შეფასება."

ბ. კლინტონის ადმინისტრაციამ დაადასტურა ქვეყნისათვის გეოეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის პრიორიტეტული მნიშვნელობა. გეოეკონომიკური უსაფრთხოების კონცეფციაში ძირითად მიზნად, გამოყოფილი იქნა ეროვნული გეოეკონომიკური ინტერესების უზრუნველყოფა მსოფლიო არენაზე მე-

ტოქეებთან კონკურენტულ ბრძოლაში და „ტექნოლოგიურ სფეროებში ლიდერის პოზიციების" დაცვა. ამასთან, აშშ ეკონომიკური ძლიერების შენარჩუნებას პირდაპირ უკავშირებენ იმ ღონისძიებათა გატარებას, რომელიც უზრუნველყოფს ქვეყნის გეოპოლიტიკურ უსაფრთხოებას. ეს პრობლემა კიდევ უფრო სერიოზული გახდა ჯ. ბუშის (უმცროსი) ხელისუფლებაში მოსვლის შემდგომ. რაც განაპირობა 2001 წ. 11 სექტემბრის მოვლენებმა. ამჟამად, გეოეკონომიკური უსაფრთხოებისადმი ამერიკული მიდგომა ყველა განვითარებულ ქვეყანაში დომინირებს[173]. ამდენად, განვითარებულ ქვეყნებში ჭარბობს ეროვნული გეოეკონომიკური უსაფრთხოების ისეთი გააზრება, რომელიც ეროვნულ ეკონომიკას უმთავრესად იცავს გარე საფრთხეებისაგან, რაც შეეხება შიდა საფრთხეებს ისინი აღიარებულია, მაგრამ შედარებით მეორეხარისხოვნად ითვლება.

11.3. გეოეკონომიკური უსაფრთხოება ეროვნული უსაფრთხოების სტრუქტურაში

როგორც ზემოთ დავინახეთ, გადაჭარბების გარეშე შეიძლება ვთქვათ, რომ ქვეყნის საშინაო და საგარეო უსაფრთხოების გარანტირებული უზრუნველყოფის პრობლემების დამუშავება (განსაკუთრებით გეოეკონომიკური უსაფრთხოება) წარმოადგენს მენეჯმენტის სფეროში მომუშავე სპეციალისტების პრიორიტეტულ ამოცანას.

ალბათ ზედმეტი არ იქნება ხაზი გაესვას იმ გარემოებას, რომ საზოგადოების, ადამიანის და სახელმწიფოს უსაფრთხოების დაცვა მრავალრიცხოვანი საშიშროებებისაგან არ დაიყვანება მხოლოდ იმაზე, რაც უკვე მიღწეულია, არამედ იგი გულისხმობს ისეთი ხელსაყრელი პირობების შექმნას, რომელიც უზრუნველყოფს მოდერნიზაციას, საზოგადოების

---

[173] უფრო დაწვრილებით იხ.: www. jobmaster.com. ua / professions / ekonomika /15/3193.

საქმიანობის ყველა სფეროს სწრაფ განვითარებას, ქვეყნის სახელმწიფოებრიეი ორგანიზმის სრულყოფას და ა.შ.

საფრთხეების სხვადასხვა სახეების მეტი კონკრეტიზაციის მიზნით როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მათ ყოფენ შიდა და გარე საფრთხეებად.

საზოგადოებისა და სახელმწიფოსათვის შიდა საფრთხეები წარმოიქმნება სხვადასხვა რადიკალურად განწყობილი (სოციალური, ეროვნული, ეთნიკური ჯგუფები, პოლიტიკური პარტიები და მოძრაობები, რომლებიც ორიენტირებულნი არიან კონსტიტუციური წყობის შეცვლაზე. ასევე არსებული ეკონომიკური სისტემისათვის ზიანის მიყენება ან მისი დასუსტებისაკენ მიმართული ქმედებები, ქვეყნის პოლიტიკური სტაბილურობისა და სახელმწიფოს თავდაცვისუნარიანობის დასუსტებისაკენ სხვადასხვაგვარი ქმედებები) ჯგუფების მოქმედების შედეგად.

გარე გეოეკონომიკური საფრთხეები შეიძლება შექმნას ქვეყნის გარეთ მყოფმა როგორც მეგობრულმა, ასევე არამეგობრულმა ძალებმა (ქვეყნებმა, ეკონომიკურმა ბლოკებმა, ტანსნაციონალურმა და პოლიტიკურად დაპირისპირებულმა ორგანიზაციებმა, რომლებიც ხშირად სხვა სახელმწიფოების სპეცსამსახურებისაგან არის მართული და ა.შ.). ამასთან, გაცილებით საშიშია საზღვარგარეთის ქვეყნების მმართველი ელიტებისა და ხელისუფლების ორგანოების პოლიტიკიდან მომდინარე მოქმედებები სხვა სახელმწიფოს ეკონომიკური ძლიერების დასუსტებისათვის, ცალმხრივი დათმობების მიღწევის, რესურსებზე კონტროლისათვის და ა.შ.


ქვეყნის უსაფრთხოების მდგომარეობაზე შიდა და გარე საფრთხეების ზემოქმედება, როგორც წესი, სტატიკური არაა და იცვლება იმისდა მიხედვით, თუ როგორია ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ორიენტაციის ცვლილებები. ერთ შემთხვევაში დომინანტი შეიძლება იყოს შიდა (აღნიშნული ძირითადად დამახასიათებელია განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებისათვის) საფრთხეები,

ხოლო მეორეში ქვეყნის უსაფრთხოებაზე გადამწყვეტი გავლენა შეიძლება მოახდინოს გარეშე ძალებმა.

შიდა და გარე საფრთხეები არსებობენ და ელინდებიან საზოგადოების ძირითად სფეროებში (ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური, სულიერ–ზნეობრივი, თავდაცვითი, ინფორმაციული და ა.შ.). სწორედ ამ სფეროებში ხდება საფრთხეების კონკრეტიზაცია, რომლისგანაც უნდა იქნეს დაცული სახელმწიფო კარგად მოფიქრებული მეთოდებისა და მექანიზმების სისტემის დახმარებით საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში (ნახ. 11.3.)

ეროვნული უსაფრთხოების სტრუქტურა

ნახ. 11. 3



წყარო: Cable V. What Is International Economic Security? // International Affairs. 1995.April. Vol.71.no. 3; Westing A.Global Resources and International Conflict: Environmental Factors in Strategic Policy and Action. Oxford: Oxford University Press, 1986.

ეროვნული უსაფრთხოების სტრუქტურაში გეოეკონომიკურ უსაფრთხოებას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს, რაც იმი-

თაა განპირობებული, რომ უსაფრთხოების ყველა დანარჩენი სახეები რამდენადმე მაღალ დონეზე ვერ იქნება რეალიზებული გეოეკონომიკური უსაფრთხოების გარეშე.

საბჭოთა კავშირის დაშლამ აჩვენა, რომ უსაფრთხო არსებობისათვის საკმარისი არაა ძლიერი არმიის ყოლა ან მაღალტექნოლოგიური სამხედრო მრეწველობა, რომ აუცილებელია მძლავრი გეოეკონომიკა, ეკონომიკის მართვის აწყობილი მექანიზმები და ა.შ.

ქვეყნის გეოეკონომიკური მდგომარეობის მდგრადობა, მისი განვითარების დინამიზმი, მნიშვნელოვნად უწყობს ხელს სოციალური სფეროს სტაბილიზაციას, დესტრუქციული კონფლიქტების თავიდან აცილებას, მოსახლეობის დასაქმების ზრდას, ცხოვრების ხარისხის ამაღლებას და იმ ადამიანების რიცხოვნობის შემცირებას, რომელთა შემოსავალი დაბალია საარსებო მინიმუმზე.

ეროვნული უსაფრთხოების გეოეკონომიკური შემადგენელი მნიშვნელოვან გაელენას ახდენს ქვეყნის პოლიტიკური სისტემის განვითარებაზე. ჯეროვანი გეოეკონომიკური პოტენციალის გარეშე პრაქტიკულად შეუძლებელია შეიქმნას და უზრუნველყოფილი იქნას ისეთი პოლიტიკური, სამართლებრივი და ძალისმიერი სტრუქტურების საქმიანობა, რომელთაც ექნებათ იმის პოტენციალი დაიცვან ქვეყნის გეოპოლიტიკური ინტერესები.


გეოეკონომიკურ უსაფრთხოებას, რომელიც უშუალოდ უკავშირდება ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის უზრუნველყოფის ამოცანებს, ხშირად განიხილავენ რომ სამხედრო–ეკონომიკურ უსაფრთხოებადაც. სამხედრო–ეკონომიკურ უსაფრთხოება ქვეყნის გეოეკონომიკური უსაფრთხოების შემადგენელი ნაწილია და გულისხმობს ეკონომიკის სამხედრო სექტორის ისეთ მდგომარეობას, როცა უზრუნველყოფილია სამხედრო მოთხოვნილებების საკმარისი დონე ომის ან შეიარაღებული კონფლიქტის დროს, ან მშვიდობიანობის დროს უზრუნველყოფს

თაედაცეის მოთხოვნილებებს ქვეყნის გეოპოლიტიკური და გეო-სტრატეგიული ინტერესების შესაბამისად. სრულიად გასაგებია, რომ ამ რთული ამოცანის გადაწყვეტა დამოკიდებულია მთლიანად ეროვნული ეკონომიკის დონესა და ხარისხზე.

ქვეყნის გეოეკონომიკური უსაფრთხოების არსი შეიძლება განხილული იქნას შედარებით სტატიკურ მდგომარეობაში, როგორც ეროვნული ეკონომიკის ისეთი მნიშვნელოვანი ელემენტების კომპლექსი, როგორიცაა: ადამიანის რესურსები, პოლიტიკური, ტექნოლოგიური ტექნიკურ–საწარმოო, ტექნოლოგიური, სასურსათო, ენერგეტიკული, მმართველობითი და ინფორმაციული ელემენტები (ნახ. 113.1.)

გეოეკონომიკური უსაფრთხოების სტრუქტურა

ნახ. 113.1



11.4ეროვნული გეოეკონომიკური უსაფრთხოების არსის თეორიული პარადიგმები

ეროვნული ეკონომიკური უსაფრთხოების პრობლემის ფიქსაცია ოფიციალურ სამთავრობო დოკუმენტებში და იმ სპეციალური სახელმწიფო ორგანიზაციების ფორმირება, რომლებიც დაკავშირებულნი არიან ამ უსაფრთხოების უზრუნველყოფასთან, წარმოადგენს იმ კონცეფციების მასობრივ ცნობიერებაში შეღწევის შედეგს, რომელიც ადრე იქნა შემუშავებული ეკონომიკის თეორიაში. სწორედ ეკონომიკური თეორიის პარადიგმები (გეოპოლიტიკურთან ერთად) განსაზღვრავენ ეროვნული გეოეკონომიკური უსაფრთხოების საკითხების განხილვის საერთო ჩარჩოებს.

გეოეკონომიკური უსაფრთხოების დოქტრინის დამოკიდებულება გარკვეულ ეკონომიკურ და პოლიტიკურ პარადიგმებზე, დღემდე შესაბამის სამეცნიერო ლიტერატურაში სამწუხაროდ მხედველობიდანაა გამორჩენილი (რომლის ერთ-ერთი მიზეზი გეოეკონომიკის ჯერ კიდევ მყიფე მდგომარეობაში ყოფნაა). შედეგად არც თუ გასაგები ხდება, თუ რომელი მიზეზების გაელენის შედეგად ყალიბდება და იცვლება "ეროვნულ გეოეკონომიკური უსაფრთხოების" ცნება. ალბათ იგულისხმება, რომ ეროვნულ ეკონომიკურ საფრთხეებზე წინააღმდეგობის გაწევა არის პირდაპირი რეაქცია თვით ამ საფეხურებზე. სინამდვილეში კი იმის გაგება, თუ რა შეიძლება ჩაითვალოთ საფრთხედ და როგორ ეებრძოლოთ მას, სრულებითაც არაა ისეთი აშკარა, როგორც ეს ერთი შეხედვით შეიძლება მოგვეჩვენოს. საფრთხის აღმოცენებასა და მასთან ბრძოლის ღონისძიებათა კომპლექსის ფორმირებას შორის ყოველთვის არსებობს შუალედური რგოლი – გეოეკონომიკური კონცეფცია, რომელიც გაიაზრებს ამ საფრთხეს.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ის ორგანიზაციული სტრუქტურები, რომლებიც მიზანმიმართულად და სისტემურად იცავენ ეროვნულ გეოეკონომიკურ უსაფრთხოებას, მხოლოდ XX

ს. ჩამოყალიბდა. თუმცა, ეროვნული გეოეკონომიკური უსაფრთხოების პრობლემის თეორიული შემეცნება ფ. რუზველტის ფედერალური კომიტეტის შექმნაზე ერთი საუკუნით ადრე მოხდა. ეროვნული გეოეკონომიკური უსაფრთხოების თეორიული კონცეფციები ეს არის საბაზო გეოეკონომიკური კონცეფციები, რომელიც ეროვნული სახელმწიფოს გეოეკონომიკური პოლიტიკის ეფექტიანობის ამაღლებისაკენ არის მიმართული.

ბოლო 150 წლის განმავლობაში ეკონომისტ–თეორეტიკოსთა მიერ ჩამოყალიბდა სამი ძირითადი მიდგომა, იმასთან დაკავშირებით, თუ რა შეიძლება ჩაითვალოს ეროვნული გეოეკონომიკური უსაფრთხოების ძირითად საშიშროებად და როგორ შეიძლება მასთან ბრძოლა (ცხრ. 11. 4):

ეროვნული გეოეკონომიკური უსაფრთხოების გაგების პარადიგმების ევოლუცია.

ნახ. 11. 4

პარადიგმათა მახასიათებლები	კამერალისტური კონცეფცია	კეინსიანური კონცეფცია	გეოინსტიტუციონალური კონცეფცია
აღმოცენების დრო და კონცეფციის ფუძემდებელი	1840-იანი წლები **ფრიდრიხ ლისტი**	1930-იანი წლები **ჯონ კეინსი**	1980-იანი წლები **ერნანდო დე სოტო**
გეოეკონომიკური უსაფრთხოების მთავარი საშიშროების გაგება	უცხო სახელმწიფოთა კონკურენცია ან სხვა მოქმედებანი	ბაზრის "ჩავარდნა"- ეკონომიკური ზრდის არასტაბილურობა, უმუშევრობა, ინფლაცია	სახელმწიფოს "ჩავარდნა"- ადმინისტრაციული ბარიერები რენტისმაძიებლობა
ეროვნული გეოეკონომიკური უსაფრთხოებისათვის ბრძოლის მიზანი	ეკონომიკური დამოუკიდებლობა	ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური სტაბილურობა	"სამართალის მმართველობა", საკუთრების უფლების დაცვა
ეროვნული გეოეკონომიკური უსაფრთხოებისათვის ბრძოლის მეთოდები	პროტექციონისტული საგაჭრო პოლიტიკა	ფულის მიმოქცევის, დასაქმებისა და წარმოების სახელმწიფოებრიული რეგულირება	გადახდებისა და სარეგისტრაციო პროცედურების შემცირება, ბრძოლა ბიუროკრატიზმისა და კორუფციის წინააღმდეგ.

წყარო: Лист Ф. Национальная система политической экономии / пер.с немец.М Изд. "Европа", 2005; Кеине Дж. общая теория занятости, процента и денег / пер.с англ. М : Экономика, 1993; Сото Э.де Иной путь. Невидимая революция в третьем мире. М.: Cata//axy. 1995

1. საგარეო გეოეკონომიკური უსაფრთხოების კამერალისტური კონცეფცია (XIX ს. შუა წლებიდან);
2. შიდა გეოეკონომიკური საფრთხეებიდან დაცვის კეინსიანური კონცეფცია (XX ს. 60-70-იანი წლებიდან);
3. ადმინისტრაციული ბარიერებისაგან დაცვის გეოინსტიტუციონალური კონცეფცია (XX ს. ბოლოდან).

ეროვნული გეოეკონომიკური უსაფრთხოების თეორიული ანალიზის ფუძემდებლად უნდა ჩაითვალოს ფ. ლისტი, კლასიკური პოლიტეკონომიის ერთ–ერთი პირველი კრიტიკოსი. კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის ყველა წარმომადგენელი ა. სმიტიდან მოყოლებული, თავიანთ კონცეფციებს აგებდნენ წარმოდგენების ერთიან პარადიგმაზე ადამიანის ბუნებაზე, საზოგადოებაზე, მთავრობაზე და ა.შ.. კლასიკური ლიბერალური პარადიგმის თანახმად, თითოეულ ადამიანს გააჩნია საკუთარი ინტერესები და თვითონ შესწევს იმის უნარი, რომ დაიცვას ეს ინტერესები აქტიური ავტონომიური საქმიანობით. საზოგადოება ასეთი მიდგომის დროს განიხილება როგორც ინდივიდების ერთობლიობა, ხოლო "საზოგადოებრივი ინტერესები", როგორც პირადულიდან წარმოებული მათი მექანიკური ჯამი. ლიბერალი–პოლიტეკონომები კარგ საზოგადოებად თვლიდნენ იმ საზოგადოებას, რომელიც ყველაზე უფრო მაღალი ხარისხით აძლევდა საშუალებას ინდივიდებს, რომ მათ მოეხდინათ საკუთარი, კერძო ინტერესების თავისუფლად რეალიზაცია. მთავრობა კლასიკური ლიბერალების აზრით, იქმნება თავისუფალი ადამიანების მიერ, რათა მან დაიცვას დადგენილი კონსტიტუციური უფლებები და ეროვნული სახელმწიფო მხოლოდ ამ

ფუნქციით უნდა შემოიფარგლოს. რამდენადაც არ არსებობს ის ობიექტური მეთოდები, რომელიც საშუალებას მისცემს ინდივიდს ობიექტურად განსაზღვროს, თუ რას ანიჭებს იგი უპირატესობას, ამდენად სწორედ ინდივიდებმა თვითონ უნდა გადაწყვიტონ, რა არის მართალი და რა არის ტყუილი, რათა მოახდინონ საკუთარი კეთილდღეობის მაქსიმიზირება.

„ლესე ფერის" ლიბერალური დოქტრინის პირობებში, გარდაუვალი იყო კოსმოპოლიტიზმი, რომელიც უარყოფს თვით ეროვნული გეოეკონომიკური ინტერესების არსებობასაც კი. კლასიკოსი ეკონომისტები ვარაუდობდნენ, რომ ნებისმიერი ეროვნების ხალხს აქვს მხოლოდ ერთი ძირითადი მოთხოვნილება გახსნილი ჰქონდეთ ხელ–ფეხი, რათა დამოუკიდებლად ახორციელებდნენ ეკონომიკურ საქმიანობას. სახელმწიფოს ნებისმიერ ქმედებას – დაეცვა თავისი მოქალაქეები „უცხოებისაგან" (ეთქვათ, პროტექციონისტული ბაჟისაგან) ეკონომისტ-ლიბერალები თვლიდნენ რეაქციულ ფეოდალურ გადმონაშთად.

როგორც ზემოთ აღინიშნა, კლასიკური პოლიტეკონომიის ერთ-ერთი პირველი კრიტიკოსი იყო ფ. ლისტი, რომელიც პოლიტიკურ ეკონომიას მიუდგა არა როგორც იდეალური საზოგადოების კანონების უნივერსალურ სისტემას, არამედ როგორც ისტორიულ და კომპარატიულ მეცნიერებას. ფ. ლისტმა აღნიშნული მიდგომის საფუძველზე გამოყო ერის გეოეკონომიკური განვითარების ის ხუთი სტადია, სადაც თითოეულ სტადიაში ერს გააჩნია განსაკუთრებული გეოეკონომიკური ინტერესები. გააკრიტიკა რა ა. სმიტისა და დ. რიკარდოს კოსმოპოლიტური ეკონომიკა, ფ. ლისტი პირველად მოგვევლინა როგორც ეროვნული ეკონომისტი.

ინგლისელ კლასიკოს-ეკონომისტებთან პოლემიკაში ფ. ლისტი ამტკიცებდა, რომ თავისუფალი ვაჭრობა, უპირველეს ყოვლისა, ხელსაყრელია მოწინავე ერებისათვის (XIX ს. პირველ ნახევარში ასეთი იყო დიდი ბრიტანეთი – გ.კ.), რომ თავისუფალი ვაჭრობის შედეგად ჩამორჩენილი ერები (რომელთა

რიცხვსაც მაშინ გერმანიაც მიეკუთვნებოდა – გ.კ.), განწირულები არიან ეკონომიკური ჩამორჩენილობისათვის.

ფ. ლისტი იცავდა თავისი ქვეყნის კომპლექსური ეკონომიკური განვითარების კონცეფციას, ფაბრიკულ-ქარხნული მრეწველობის ჰარმონიულ შეთანაწყობის საფუძველზე მიწათმოქმედებასთან. იმისათვის, რომ დაცული ყოფილიყო გერმანიის სუსტი მრეწველობა იაფფასიანი იმპორტული საქონლისაგან, ფ. ლისტმა მოითხოვა პროტექციონისტული პოლიტიკის გატარება, რაც იმას ნიშნავდა, რომ სახელმწიფოს თავისი დაცვის ქვეშ მოექცია "საკუთარი" მეწარმეები. ფ. ლისტი თვლიდა, რომ ფასების ზრდა (პროტექციონისტული პოლიტიკის გარდაუვალი შედეგი-გ.კ.) იქნება „ერის სამრეწველო აღზრდისა" და გერმანიის ეროვნული გეოეკონომიკური ინტერესების დაცვის საშუალება.

გეოეკონომიკურ და გეოპოლიტიკურ ლიტერატურაში ფ. ლისტი მიჩნეულია კამერალისტიკის (რომელიც თანამედროვე ინტერპრეტაციით ძალიან ახლოა გეოეკონომიკასთან) ერთ-ერთ თვალსაჩინო წარმომადგენლად ითვლება პირველ ისტორიკოს-გეოეკონომისტადაც. შესაბამისად, მის მიერ დამუშავებული გეოეკონომიკური ინტერესებისა და ეროვნული გეოეკონომიკური უსაფრთხოების ვერსიები, რომლებიც ძირითადად აქცენტს აკეთებენ საგარეო ეკონომიკურ საფრთხეებზე, შეიძლება ჩაითვალოს როგორც კამერალისტური ვერსია[174].

ამდენად, ეროვნული გეოეკონომიკური უსაფრთხოების კამერალისტური ვერსია გულისხმობს, რომ უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის ბრძოლის წამყვანი ფიგურებია ცენტრალური ხელისუფლება, საბაჟო და სასაზღვრო სამსახურები, რომელთა ფუნქციაა უცხოური საქონლის კონტრაბანდასთან ბრძოლა.

---

[174] უფრო დაწვრილებით იხ: Лист Ф. Национальная система политической экономии / пер.с немец.М : Изд. "Европа", 2005

თუ XX ს–მდე ეროვნული გეოეკონომიკური უსაფრთხოების დაცვა აქტუალური იყო ძირითადად პერიფერიული ქვეყნებისათვის, XX ს. პირველ ნახევარში ეროვნული გეოეკონომიკისათვის საფრთხეების ობიექტურად არსებული საშიშროებები უკვე განვითარებული ქვეყნების ერებმაც გააცნობიერეს. ამასთან მნიშვნელოვნად შეიცვალა ამ საფრთხეების სათავეებისა და მასთან ბრძოლის გზების ჩამოყალიბებული შეხედულებები.

პერიფერიული ქვეყნები გეოეკონომიკური უსაფრთხოების საშიშროებას ხედავდნენ ძირითადად ქვეყნის გარეთ, ეკონომიკურად ძლიერ ქვეყნებთან კონკურენციაში. ამ პერიოდში მაღალგანვითარებული ქვეყნები აღმოჩნდნენ ეკონომიური კატასტროფის ზღვართან (აშშ დიდი დეპრესია). ამიტომ ეროვნული გეოეკონომიკური უსაფრთხოების დაცვაში უკვე მოიაზრებდნენ არა მხოლოდ საშინაო არამედ საგარეო საფრთხეებსაც.

ეკონომიკური თეორიისა და ეროვნული გეოეკონომიკური უსაფრთხოების ახალი პარადიგმა 1930–იან წლებში ჩამოაყალიბა ჯ. კეინსმა, რომლის მიხედვითაც ეროვნული გეოეკონომიკური უსაფრთხოების მთავარ საშიშროებად მიჩნეული იქნა, არა უცხოურ საქონელთან კონკურენცია, არამედ უმუშევრობა და ეკონომიკური დეპრესია[175]. იმისათვის რომ გამკლავებოდა ამ საფრთხეებს, სახელმწიფოებსა და მათ მთავრობებს ეძლეოდათ რეკომენდაციები, აქტიურად ერეგულირებინათ ეკონომიკური საქმიანობა, არა მხოლოდ სახელმწიფო შეკვეთების დარიგებითა და სუფსიდიებით, არამედ კონკურენციაზე პირდაპირი ადმინისტრაციული კონტროლითაც.

თუ ეროვნული გეოეკონომიკური უსაფრთხოების ძველი, „პროტექციონისტული" პოლიტიკა (ტიპიური პერიფერიული ქვეყნებისათვის), ვითარდებოდა ფ. ლისტის გაელენით, ეროვ-

[175] Куинс Дж.М. Общая туория занатости, процента и денег/ пер.с англ. М.; Экономика, 1993.

ნული გეოეკონომიკური უსაფრთხოების ახალი ვერსია (ტიპიური განვითარებული ქვეყნებისათვის), იმყოფებოდა ჯ. კეინსისა და მისი მიმდევრების გავლენის ქვეშ. გეოეკონომიკური უსაფრთხოების ეს უკანასკნელი ვერსია, რომელიც აქცენტს აკეთებს ეროვნული ეკონომიკური ზრდის შიდა მაკროეკონომიკურ პირობებზე, შეიძლება განვიხილოთ როგორც ეროვნული გეოეკონომიკური უსაფრთხოების კეინსიანური ვერსია.

1970-იანი წლებიდან კეინსიანელობის გავლენა გარკვეულ შესუსტებას იწყებს. ამ პერიოდიდან დაიწყო ნეოკლასიკური ეკონომიკური თეორიის პრიორიტეტული გავლენის განმტკიცება. თუ კეინსიანელები იმედს ამყარებდნენ სახელმწიფოებრივი რეგულირების სიბრძნეზე, ნეოკლასიკოსებმა მიუთითეს მის შეზღუდულობაზე.

იმის მიუხედავად, რომ ნეოკლასიკოსები ეროვნული გეოეკონომიკური ინტერესების საშიშროებებისადმი მკვეთრად განსხვავებულ მეთოდებს გვთავაზობდნენ, კეინსიანელებთან შედარებით, მათ ნაწილობრივ მაინც მიიღეს კეინსიანელების მიერ შემოთავაზებული მიდგომები ამ ინტერესებთან მიმართებაში. XX ს. მეორე ნახევრიდან ნეოკლასიკოსები, დეკლარაციის დონეზე კვლავ განაგრძობდნენ იმის მტკიცებას, რომ ერთადერთ ეკონომიკურ სუბიექტს წარმოადგენს ინდივიდი. თუმცა, მათ დე ფაქტოდ მიიღეს კეინსიანური წარმოდგენები იმაზე, რომ არსებობს საერთო სახელმწიფოებრივი ეკონომიკური პრობლემები (უმუშევრობა, ეკონომიკის ზრდის ტემპების შემცირება, ინფლაცია და ა.შ.), რომელთა სიმწვავე ნაკარნახევია ეროვნული ეკონომიკის, როგორც მთლიანის შიდა განვითარებით. ამასთან, რამდენადმე იქნა შეცვლილი პრიორიტეტების გააზრება, კერძოდ ინფლაცია გაცილებით მნიშვნელოვნად იქნა ჩათვლილი, ვიდრე უმუშევრობასთან ბრძოლა.

XX ს. ბოლოს ნეოკლასიკური გეოეკონომიკური თეორია შევიდა კრიზისის ფაზაში. თანამედროვე გეოეკონომიკური აზრი სულ უფრო მეტ ეჭვს იჩენს ნეოკლასიკური საბაზო მოდელის

"ეკონომიკური ადამიანის" მიმართ, ხოლო სხვადასხვა ქვეყნის მთავრობები კი იმ მეთოდების მიმართ, რომელთაც გვთავაზობენ ნეოკლასიკოსები კერძო საკუთრების განმტკიცებისა და ინფლაციასთან ბრძოლის საქმეში. პრიორიტეტული გეოეკონომიკური თეორია ხდება ინსტიტუციონალიზმი, რომელიც წარმოადგენს გეოეკონომიკურ პარადიგმას, რომლის ძირითადი აქცენტი გადატანილია გეოეკონომიკური "თამაშის წესებზე" (ინსტიტუტებზე).

ეროვნული გეოეკონომიკური უსაფრთხოების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ინსტიტუციური კონცეფცია ეკუთვნის ჯ. დე სოტოს, რომელიც ჩრდილოვანი ეკონომიკის სპეციალისტად ითვლება. ე. დე სოტოს ნაშრომმა „სხვაგვარი გზა", ძალზედ მნიშვნელოვან შრომას წარმოადგენს ამ მხრივ[176]. ჩვენ არ ვიზიარებთ წიგნის ბევრ დებულებას, თუმცა მიგვაჩნია, რომ ავტორის მიდგომა ჩრდილოვანი ეკონომიკის ზრდის საკითხთან დაკავშირებით საინტერესოა, რომლის ძირითად მიზეზად მიჩნეულია არა ჩამორჩენილობა და მიგრანტთა ან ღატაკთა კრიმინალობა, არამედ ბიუროკრატიული აპარატი, რომელიც ხელს უშლის კონკურენტული ურთიერთობების თავისუფალ განვითარებას. ამ ვერსიის თანახმად მასობრივი ჩრდილოვანი ეკონომიკური საქმიანობის ძირითადი მიზეზი არის არაეფექტური სამართლებრივი რეჟიმი, როცა კომპანიების აყვავება ძალზედ ნაკლებადაა დამოკიდებული იმაზე თუ რამდენად კარგად მუშაობს იგი და გაცილებით მეტადაა იმ დანახარჯებზე, რომელსაც მას უწესებს კანონი. მეწარმე, რომელიც უკეთ მანიპულირებს ამ დანახარჯებით ან ჩინოვნიკებთან დაკავშირებით გაცილებით წარმატებულია, ვიდრე ის, ვისაც მხოლოდ წარმოების ინტერესები ამოძრავებს. შესაბამისად, ეროვნული

[176] უფრო დაწვრილებით იხ.: Сото Э. де. Иной путь. Невидимая революция в третьем мире. М.: Catallaxy, 1995.

გეოეკონომიკის მთავარი საფრთხეა არა „ბაზრების ჩავარდნა", არამედ "სახელმწიფოს ჩავარდნა".

ამდენად, ამ ვერსიის თანახმად, ეროვნული გეოეკონომიკური უსაფრთხოების მთავარი საშიშროება არის ადმინისტრაციული ბარიერები – „ცუდი კანონები" ან/და „კარგი კანონების" ცუდი შესრულება.

შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ ეროვნული გეოეკონომიკური უსაფრთხოების დაცვის პრიორიტეტები უპირველეს ყოვლისა განისაზღვრება იმით, თუ რომელ ჯგუფს მიეკუთვნება კონკრეტული ქვეყანა. „ოქროს მილიარდის" ქვეყნებისათვის შედარებით აქტუალურია კეინსიანური მიდგომა, ნაკლებად განვითარებული ქვეყნებისათვის (პერიფერიული და ნახევრად პერიფერიული) ე. დე სოტოს მიდგომები. რაც შეეხება ფ. ლისტის გეოეკონომიკურ მიდგომას ახალი გლობალური გეოეკონომიკური სივრცის პირობებში, იგი მნიშვნელოვანია ყველა ქვეყნისათვის, თუმცა მას უფრო მეორეხარისხოვანი დანიშნულება უფრო აქვს, ვიდრე ძირითადი.

11.5 გეოეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები

იმ მრავალრიცხოვან ამოცანების გვერდით, რომელიც წყდება სამოქალაქო საზოგადოებისა და საბაზრო ეკონომიკის ჩარჩოებში, არსებობენ პრობლემები, რომლებიც მიეკუთვნებიან ეროვნული სახელმწიფოს პრეროგატივას. უბრალოდ, ამ პრობლემების გადაჭრა არავის შეუძლია სახელმწიფოს გარდა. ასეთ პრობლემათა რიცხვს უნდა მივაკუთვნოთ ქვეყნის გეოეკონომიკური ურთიერთობის უზრუნველყოფა. უფრო კატეგორიულად, რომ ვთქვათ, თვით სახელმწიფოს არსებობის აუცილებლობა განპირობებულია მსგავსი დონის პრობლემების არსებობით.

სახელმწიფოს უმაღლესი მოვალეობა და მისი წამყვანი ფუნქცია იმაში მდგომარეობს, რომ უზრუნველყოს საზოგადოების სტაბილურობა, მისი თვითშენარჩუნება და განვითარება,

თავიდან აიცილოს ქვეყნის უსაფრთხოების შესაძლო საშიშროებანი და მუქარები. თუ ამ პრობლემების გადაჭრა შესაძლებელი იქნებოდა სახელმწიფოს მონაწილეობის გარეშე, მაშინ სახელმწიფოს არსებობის საჭიროება ნამდვილად აღარ იქნებოდა.

შერეული ეკონომიკის ფუნქციონირების პროცესში, როცა სახელმწიფოს ხელთ აღარ ეწიფება დირექტიული მეთოდებით განსაზღვროს და წარიმართოს ეკონომიკური სუბიექტების საქმიანობა, აუცილებელი ხდება ისეთი კორექტივების შეტანა, რომელიც უზრუნველყოფს სახელმწიფოს საზოგადოებრივი კლასაწარმოების პროცესზე ოპტიმალურ ზემოქმედებას. იმისათვის, რომ სახელმწიფო ორგანოებმა მიიღონ დასაბუთებული გადაწყვეტილებები, აუცილებელია გეოეკონომიკური უსაფრთხოების ინდიკატორთა მონიტორინგის ორგანიზაცია, რომელიც გულისხმობს გეოეკონომიკური მაჩვენებლების ძირითად ჯგუფზე აქტიურ თვალის დევნებას, ანალიზს და პროგნოზირებას. სამეცნიერო ლიტერატურაში ამჟამად გამოიყოფა გეოეკონომიკური უსაფრთხოების საერთო მაჩვენებლების შემდეგი ჯგუფები, როგორც ეროვნული სახელმწიფოს, ასევე გეოეკონომიკური რეგიონების დონეზე. (ცხრ. 11.5)

გეოეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის სახელმწიფო სტრატეგია იგება ეკონომიკური და სოციალურ-პოლიტიკური განვითარების პროგნოზის ვარიანტებზე, როგორც გლობალურ, ასევე სახელმწიფოებრივ, ზერეგიონალური და რეგიონალურ დონეებზე და კორექტირდება მოვლენების განვითარების შესაბამისად.

გეოეკონომიკური უსაფრთხოების ინდიკატორთა ჯგუფი

ცხრ. 11.5

გეოეკონომიკური უსაფრთხოების ინდიკატორები		
ეროვნული სახელმწიფოს დონე		რეგიონალური დონე
ცხოვრების დონე და ხარისხი		მოსახლეობის შემოსაელები
ინფლაციის ტემპი		საცალო ფასების დონე
უშიშროების დონე		საცხოვრებელი ბინებით უზრუნველყოფა
ეკონომიკური ზრდა		დევნილთა, ემიგრანტთა და სხვათა რაოდენობა
ბიუჯეტის დეფიციტი		რეგიონის საგადასახადო ბალანსი
საგარეო ვალი		ექსპორტ-იმპორტის სალდო
გლობალურ ეკონომიკაში მონაწილეობის ხარისხი		
„ჩრდილოვანი ეკონომიკის“ საქმიანობა		
საკუთრების სტრუქტურა		
საგადასახადო სისტემა		
საბაზრო სტრუქტურის განვითარება		
პოლიტიკური დემოკრატიის ხარისხი		

წყარო: Goodwin C.D.-ed. Economics and National Security. History, of Their Interaction. Durnham: Duke University Press, 1991; Desouza P.J.-ed Economic Strategе and National Security. Boulder: Westview Press, 2000.

მრავალვარიანტული სტრატეგია წარმოადგენს გარკვეული უპირატესობას, კერძოდ მას გააჩნია ამა თუ იმ ვარიანტზე „გადართვის“ შესაძლებლობა, სიტუაციის კონკრეტული განვითარებიდან გამომდინარე, ყოველგვარი გადაუდებელი, არასამარისად მოფიქრებული გადაწყვეტილების მიღების გარეშე. ამასთან ჩამოყალიბებული უნდა იქნას ეკონომიკაზე ზემოქმედების სრულყოფილი სახელმწიფო სისტემა, რომელიც საშუალებას

იძლევა ძალზედ მცირე დანახარჯებით განხორციელდეს მნიშვნელოვანი სტრუქტურული ძერების რეგულირება და მეორეს მხრივ, უნდა შესწევდეს უნარი თავის თავზე აიღოს ქვეყნის ეკონომიკის უსაფრთხო დონეზე შენარჩუნების ფუნქცია, რომლის საფუძველიც უნდა იყოს სახელმწიფო ეკონომიკაში ჩარევის მკაცრად განსაზღვრული საზღვრები და კრიტერიუმები (პირობები), ასევე სახელმწიფოებრივი რეგულირების ეფექტური მეთოდების შემუშავება.

სახელმწიფომ ასევე არ უნდა დაუშვას, რომ ეკონომიკური სუბიექტების ეკონომიკური საქმიანობა შეიცავდეს გეოეკონომიკური უსაფრთხოებისათვის საშიშ ტენდენციებს. ამ მიზეზით აუცილებელია მომზადდეს და განხორციელდეს ის ღონისძიებები, რომელიც მიმართულია სამეწარმეო კლიმატის გაუმჯობესებისაკენ, ქვეყნის ეკონომიკაში მცირე და საშუალო ბიზნესის წილის გაზრდისაკენ, გეოეკონომიკური კონკურენტუნარიანობის ამაღლებისაკენ, ეკონომიკის დემონოპოლიზაციისაკენ, საფონდო ბაზრის ფორმირებისაკენ და ა.შ.

იმისათვის რომ სახელმწიფომ შეინარჩუნოს გეოეკონომიკური უსაფრთხოება აუცილებელია შემდეგი პირობების შექმნა:

•ისეთი ინსტიტუციური გარადაქმნების გატარება, რომელიც ხელს უწყობს მოქმედებათა კოორდინაციას და მოქმედი საზოგადოებრიეი ინსტიტუტების სტრატეგიათა დაახლოებას;

•ეკონომიკურ საქმიანობაში მონაწილეობათა და მხარეთათვის სოციალური და ეკონომიკური ქცევის საერთო პრინციპების შემუშავება მათი მაქსიმალური უნიფიკაციის (სხვადასხვა პრეფერენციებისა და შეღავათების შემცირება და ლიკვიდაცია) ხარჯზე, ლობიზმის არასამართლებრივი ფორმების საკანონმდებლო შეზღუდვა;

•ამ წესების დაცვაზე კონტროლის დაწესება ყველა მოქმედი ეკონომიკური სუბიექტების და სახელმწიფოს მართვის ორგანოების მხრიდან;

•კონფლიქტური სიტუაციებისა და სადაო საკითხების წამოჭრის შემთხვევაში, რომელიც შეიძლება აღმოცენდეს გეოეკონომიკის სფეროში ყველა დონეზე, ისეთი მექანიზმების შექმნა, რომელსაც შეეძლება სიტუაციის სტაბილიზირება;

•საზოგადოებაში სოციალ-პოლიტიკური სტაბილურობის ზრდა;

•ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობების ჰარმონიული განვითარება უცხოეთის სახელმწიფოებთან ქვეყნის გეოეკონომიკური ინტერესების გათვალისწინებით;

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, მოკლე და საშუალო ვადიან პერსპექტივაში სახელმწიფოებმა უნდა გადაჭრან შემდეგი გეოეკონომიკური ამოცანები:

•ეფექტური და კონკურენტუნარიანი წარმოებისათვის მხარდაჭერა, არაპერსპექტიული და მოძველებული საწარმოების თანდათანობით შემცირებასთან პარალელურად;

•ეკონომიკის ისეთი ინფრასტრუქტურის განვითარება, რომელიც აუცილებელია სტრუქტურული გარადქმნებისათვის;

•რესურსების გაცილებით ეფექტური ეკონომიკური გამოყენება;

•დაგროვილი მეცნიერულ-ტექნოლოგიური პოტენციალის ყველაზე უფრო ფარული ელემენტების შენრჩუნება;

•სტრუქტურული დეფორმაციის გადალახვა, წარმოების სტრუქტურის შეაბამისობაში მოყვანა გადახდისუნარიანობის მოთხოვნილებებთან;

•საბაზრო პირობებთან წარმოებათა ადაპტაციის დაჩქარება;

•ექსპორტ-იმპორტის პოტენციალის დივერსიფიკაცია;

•გეოეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის ამაღლება.

აღნიშნული ამოცანების გადაჭრა, ვფიქრობთ, საშუალებას მისცემს სახელმწიფოს თავიდან აიცილოს გეოეკონომიკური უსა-

ფრთხოების მთავარი პრობლემა – ეროვნული ეკონომიკის დარგთა უმეტესობის არაკონკურენტუნარიანობა.

გეოეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფა ეს არის ამოცანა, რომელიც ხანგრძლივ, სტრატეგიულ ხასიათს ატარებს. მისი გადაჭრა გულისხმობს სახელმწიფო სტრატეგიის (ქვეყნის გეოეკონომიკური უსაფრთხოების დოქტრინას) დამუშავებას და დამტკიცებას. აღნიშნული კი ნამდვილად უნდა გახდეს სახელმწიფო სტრატეგია, რომელიც უპასუხებს უმაღლეს სახელმწიფო ინტერესებს და ექნება ნორმატიული ხასიათი.

ნაწილი V. გეოეკონომიკური სივრცის დიფერსიფიკაცია

თავი 12. გეოეკონომიკური სივრცის რეგიონალიზაცია, გლობალიზაცია და ეროვნული სახელმწიფო

12.1 გეოეკონომიკური რეგიონის განსაზღვრების პრობლემა

ამჟამად რეგიონის განსაზღვრება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემაა, ვინაიდან სწორედ ამ განსაზღვრებაზეა დამოკიდებული რეგიონალიზმის ფენომენის გაგება. შეიძლება ითქვას, რომ რეგიონის უნივერსალური განსაზღვრება არ არსებობს. ბევრი მეცნიერი ვარაუდობს, რომ საერთოდ შეიძლება მას არც ჰქონდეს განმარტება. „რეგიონი" ეს თანამედროვე საზოგადოებრივ მეცნიერებებში ერთ-ერთი ურთულესი ცნებაა, რომლის საილუსტრაციოდ შეიძლება მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითი. ცნობილია, რომ არსებობს რეგიონის საგარეო პოლიტიკური გააზრება, რომელსაც იყენებენ საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტები. ამერიკელი ავტორებისათვის „რეგიონული პრობლემა" ჩვეულებრივ ეხება მთელ გეოპოლიტიკურ ზონას (ეს შეიძლება იყოს ახლო და შუა აღმოსავლეთი, ცენტრალური ან აღმოსავლეთ ევროპა, ჩრდილოეთი ან ტროპიკული აფრიკა). კ. დოიჩისათვის „რეგიონი წარმოადგენს ქვეყნების ჯგუფს, რომლებიც მრავალი ა'შკარა პარამეტრებით უფრო მეტად არიან ერთმანეთზე ურთიერთდამოკიდებულნი, ვიდრე სხვა ქვეყნებზე".[177]

სახელმწიფოებს, რომლებიც გაერთიანებულნი არიან რეგიონში, უნდა გააჩნდეთ რაღაც საერთო, გამაერთიანებელი გეოგრაფიული ფაქტორი მაგალითად, ზღვაზე საერთო გასასვლელი ან ბუნებრივი სატრანსპორტო კომუნიკაციების

---

[177] Karl W. Deutsch. on Nationalism, World Regions and the Nature of the West // Mobilization, Center-Periphery Structures and Nation-Building. A volume in Commemoration of Stein Rokkan / Ed. by Per Torsvik.Universitetes Forlaget Bergen-Oslo-Tromso, 1981. p.36.

სისტემა. გეოეკონომიკური თვალსაზრისით ამ ქვეყნებს უნდა ჰქონდეთ ეკონომიკის მსგავსი ტიპები ან საერთო ბუნებრივი რესურსები (კასპიის ზღვა, „ნორდისტული" ევროპა და ა.შ). მნიშვნელოვანია ასევე ცივილიზაციური ფაქტორი.

მსოფლიო პოლიტიკაში რეგიონალიზმის მნიშვნელობა აიხსნება გლობალური პროცესების სუსტი კონტროლით და ხელისუფლების ზენაციონალური ფორმების ორგანიზაციის ნაკლოვანებებით (მაგ: ისეთი ორგანიზაციისა როგორიცაა გაერო).[178] შესაბამისად ნ.პალმერის აზრით, "რეგიონალიზმი შეიძლება განხილული იქნას, როგორც შუამავალი, აგრესიული, ექსკლუზიორობისაკენ მსწრაფ ნაციონალიზმსა და ტრანსნაციონალიზმს შორის, რომელიც იმის გამო რომ ჯერ კიდევ მჭიფეა, ხშირად ძალიან პრაქტიკულად გამოიყენება[179]."

ტერმინ „რეგიონის" საერთაშორისო-პოლიტიკური მნიშვნელობა საკმაოდ მოქნილია და არ შეიცავს კონცეპტუალურ სიმკაცრეს. მაგალითად, ამ სფეროში "რეგიონის" ცნება ხშირად იცვლება "სუბრეგიონის" ცნებით ან ორივე ტერმინი პარალელურად იხმარება.

რეგიონის მეორენაირ ხმარებას შეიძლება ეწოდოს გეოფილოსოფიური. ფ. ბროდელისათვის რეგიონი წარმოადგენდა განსაკუთრებული „სამყაროს", ანალოგს მისთვის დამახასიათებელი მენტალიტეტით, აზროვნების წესით, ტრადიციებითა და მსოფლმხედველობით.

მესამე თვალსაზრისს წარმოადგენს რეგიონის ისტორიული გაგება, კერძოდ, შუა საუკუნეებში ის ტერიტორიები, რომელთაც მკვლევარები უწოდებენ მიკრო რეგიონებს, ასეთი მიკრო

---

[178] უფრო დაწვრილებით იხ.: Watt W.Rostow. Regionalism in a Global System// From Globalism to Regionalism.New Perspectives on U.S Foreign and Defense Policies/Ed.by Patrik M. Cronin. National Defense University Press. Washington, D.C.1993.

[179] Norman D. Palmer. The New Regionalism in Asia and the Pacific. Lexington books.Massachussets.Toronto, 1991. p.3.

რეგიონები ევროპაში ხშირად იყო „მიჯაჭვული" საეკლესიო ეპარქიებს, „ლათინურ ამერიკაში მუნიციპალიტეტებს, ან ქალაქებს მაკრორეგიონები, რომლებიც არსებობდნენ სამრეთ ამერიკაში ეიცე-სამეფოებისა და „აუდიენციების" ფორმით, დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის შემდეგ გადაიქცნენ თანამედროვე სახელმწიფოებად".[180]არსებობს რეგიონის გეოგრაფიული ინტერპრეტაცია, რომელიც თავის თავში ატარებს ჰ. მაკინდერის მემკვიდრეობას[181], რომლის მიხედვითაც:

ა)რეგიონი არის გეოგრაფიული ტერმინი ისეთი ტიპის ბუნებრივი გარემოს აღწერისათვის, რომელშიც გეოგრაფიული ელემენტები ერთმანეთთანაა გაერთიანებული გარკვეული მუდმივი ურთიერთობებით;

ბ)რეგიონი – ეს არის ის ზონები, რომლებიც თავიანთ ჩარჩოებში მოიცავენ არსებით ერთგვაროვნებას ფიზიკური პირობების და შესაბამისად ერთგვაროვან ცხოვრების წესს;

გ)რეგიონი – კომპლექსი, რომელიც შედგება მიწის, ჰაერის, ფლორის, ფაუნის და მოსახლეობისაგან, რომლებიც შეიძლება განვიხილოთ მათ ერთმანეთთან განსაკუთრებული ურთიერთობებით და რომელებიც ერთად შეადგენენ დედამიწის ზედაპირის გარკვეულ სპეციფიკურ ნაწილს.

არსებობს ასევე რეგიონის ფორმალურ-იურიდიული გააზრებაც, როგორც ფედერაციის (კონფედერაციის) ან სხვა სუბნაციონალური ერთეულის, რომლის უფლებები და მოვალეობები განსაზღვრულია კონსტიტუციით ან სხვა კანონებით.

დასავლურ ლიტერატურაში არის მცდელობები მოხდეს ამ ტერმინის სინთეზური განსაზღვრება. ე. მარკუზენის აზრით, „რეგიონი არის ისტორიულად ევოლუციონირებადი, კომპაქტური ტერიტორიული თანამეგობრობა, რომელიც თავის თავში მოი-

---

[180] Magnus Marner.Region and State in Latin American Past. The Jones Hopkins University Press..1993. p.7.

[181] უფრო დაწვრილებით იხ.: Halford J. Mackinder. Democratic Ideals and Reality. NDU Press Defence Classic Editions.Washington, D.C. , 1996.

ცავს ფიზიკურ გარემოცვას, სოციოეკონომიკურ, პოლიტიკურ და კულტურულ გარემოს, ასევე ისეთ სივცობრივ სტრუქტურას, რომელიც განსხვავდება სხვა რეგიონებისა და ტერიტორიული ერთეულებისაგან, ისეთებისგან, როგორიცაა ქალაქი ან ერი[182]." ზემოთ მოყვანილი ვარიანტების ზერელე ანალიზიც კი გვიჩვენებს, რომ უპირველეს ყოელისა, ისინი არსებითად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან და მეორეს მხრივ, თითოეული მათგანი კონცენტრირდება ერთ, ხშირად ვიწრო ასპექტზე, უკეთებს რა იგნორირებას დანარჩენ მნიშვნელოვან მახასიათებლებს.

ქ. ჰარვის აზრით, "ტერმინის ბუნდოვნება ნიშნავს, რომ იგი ლავირებს რამდენიმე სკოლას შორის ისე, რომ არ ახდენს მათ ინტეგრაციას. როგორც სახელმწიფო ადმინისტრირების ელემენტი, რეგიონი წარმოადგენს ეროვნული ისტორიის შესწავლის ობიექტს, როგორც „ქალაქი-რეგიონი", იგი შედის ქალაქის ისტორიაში; როგორც „ეროვნული კულტურა" იგი ჩართულია იმ ხალხის პოლიტიკურ ისტორიაში, რომლებიც ცდილობენ საკუთარი სახელმწიფოს შექმნას; როგორც „სამრეწველო რეგიონი", იგი ნაწილია ეკონომიკური ისტორიის[183]".

ჩვენთვის ყველაზე მეტად მისაღებია უ. აიზარდის ფუნქციონალისტური პოზიცია, რომელიც შეიძლება ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: როგორც დეფინიცია რეგიონი ქრება, საკმარისია ჩაეულრმავედეთ სუფთა სივრცობრივ თეორიზაციას. იგი ბრუნდება იმ კონცეფციის რანგში, რომელიც აუცილებელია ჩვენი დოქტრინების დასაბუთებისათვის. სხვა სიტყვით " რეგიონების იერარქიას განსაზღვრავს მხოლოდ მეცნიერული პრობლემა...

---

[182] Ann Markusen. Regions: Economics and Politics of Territory. Rowman and Littlefield Publishers, 1987. p. 17.

[183] Christoper Harvie. The Rise of Regional Europe. London and New-York: Routledge, 1994. p.5.

რეგიონი დეტერმონირებულია იმ საკითხით, რომელსაც ჩვენ ვიკვლევთ[184]".

საინტერესოა, რომ სუფთა პრაქტიკული კუთხით, ოფიციალური ინსტანციები ამჯობინებენ საერთოდ არ მისცენ ტერმინ „რეგიონს" მკაფიო დეფინიცია. რეგიონი შეიძლება წარმოადგენდეს „ეკოლოგიურ ზონას", „გეოგრაფიულ ტერიტორიას", „გეოპოლიტიკურ" და „გეოეკონომიკურ ერთეულს". კ. მოტოლა ჩრდილოეთ ევროპას შემდეგნაირად განსაზღვრავს: „ეს არის გეოპოლიტიკური რეგიონი, რომელიც შედგება სკანდინავიისა და ბალტიის ქვეყნებიდან, რუსეთის ჩრდილო-დასავლეთისაგან, ასევე გარკვეულ ინსტიტუციონალურ კონტექსტში პოლონეთისა და გერმანიისაგან. იგი ასევე მიუთითებს, რომ ჩრდილოეთ ევროპას, როგორც რეგიონს გააჩნია რთული სტრუქტურა და თავის თავში აერთიანებს: ა) განეითარებულ "უსაფრთხოების ნორდისტულ თანამეგობრობას"; ბ) სამოკავშირეო კავშირებს ნატოსა და ევროკავშირის სახით; გ) არასამხედრო ორგანიზაციების ქსელს (ბალტიის ქვეყნების საბჭო, ევროარქტიკის, ბარენცის ზღვის საბჭო და ა.შ)[185].

დებატები ტერმინ „რეგიონის" ირგვლივ ბუნებრივად გადადის ტერმინ „რეგიონალიზმზე, ალბათ უნდა დავეთანხმოთ ს.ტაროუს, რომელმაც აღნიშნა, რომ არის მნიშვნელოვანი განსხვავება" იმ რეგიონალისმს, რომელიც წარმოადგენს პოლიტიკურ კურსს (ან პოლიტიკური კურსების ერთობლიობას) და რეგიონალიზმს შორის, რომელიც წარმოადგენს პერიფერიული ტერიტორიების დაცვის ორგანიზაციულ საფუძ-

---

[184] Andrew M. Isseman. Lost in Space? on the History, Status, and Future of Regional Science // The Review of Regional Studies. vol 23. 1 Summer. 1993. p.5-6.

[185] უფრო დაწვრილებით იხ.: Kari Mottola. Security in Northern Europe-Combining and Reinforcing National, Regional and Wider European Policies // Vision of European Security - Focal Point Sweden and Northern Europe. Olof Palme International Center, 1996.

ველს[186]. ამავე აზრს აგრძელებს ე. მარკუზენი: "რეგიონალურმა პოლიტიკამ შეიძლება მიიღოს სხვადასხვა ფორმა. უპირველეს ყოვლისა, იგი შეიძლება გამოიხატოს შინაგანი კონფლიქტებით რეგიონის მომავალი ევოლუციის მიზეზთან დაკავშირებით, მეორეს მხრივ, ამ პოლიტიკამ შეიძლება მიიღოს რომელიღაც გარე ძალის (იქნება ეს სხვა რეგიონი, მსხვილი სახელმწიფო ან ეკონომიკური სტრუქტურა) საერთო რეგიონული ოპოზიციის შეფერილობა"[187].

ჩვენ ვვარაუდობთ, რომ შინაარსობრივად შეიძლება განვასხვაოთ ტერმინ "რეგიონალიზმის" ორი განზომილება. უპირველეს ყოვლისა, ეს არის ადამიანთა საზოგადოების პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული, საქმიანობის ტერიტორიული ორგანიზაციის ორგანული პრინციპი. ამ აზრით, რეგიონალიზმი შეიძლება გაანალიზდეს შემდეგ კატეგორიებში:

- ერთად მცხოვრები ენობრივი, რასობრივი, ეთნიკური ჯგუფების სოციალური ერთიანობა;
- იმ ეკონომიკური და სამრეწველო ერთეულების ურთიერთშემავსებლობა, რომლებიც მუშაობენ მოცემული ტერიტორიის ჩარჩოებში;
- იმ საერთო ფასეულობების შეთავსება, რომელიც დაკავშირებულია კულტურასთან, რელიგიასთან და ისტორიულ ტრადიციებთან;
- „პოლიტიკური სოლიდარობა"[188].

---

[186] The Territorial Polities in Industrial Nations/ Ed. by Sidney Tarrow, Peter J. Katzenstein, Luigi Grazino. Now-York, London: Praeger Publishers, 1987 p.79.

[187] Ann Markusen. Op. Cit. p.17.

[188] Andrew Hurrell. Explaining the Resurgence of Regionalism in World Politics // Review of International Studies vol.21.4 October. 1995. p. 333.

ე. პიურელის მიერ გამოყოფილ ამ კატეგორიებს ვფიქრობთ უნდა დაემატოს კიდევ ერთი-სამხედრო სტრატეგიული ინტერესების ერთიანობის კატეგორიაც[189].

რეგიონალიზმის მიზანს წარმოადგენს იმ შესაძლებლობების პრაქტიკული გამოყენება, რომლებიც გამომდინარეობენ თანამედროვე საზოგადოების ბუნებრივი ტერიტორიული დაყოფიდან, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი ქმნის ხელისუფლების კომპეტენციისა და საწარმოო რესურსების რაციონალური განაწილების პირობებს, მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფებს შორის. ამიტომ, შეიძლება ითქვას, რომ რეგიონალიზმი შინაგანად დამახასიათებელია თანამედროვე საზოგადოების ყველა ტიპისთვის, იმისგან დამოუკიდებლად თუ როგორია მათი ზომები, განვითარების დონე, პოლიტიკური სტრუქტურების თავისებურება და ა.შ.[190] რეგიონული განსხვავებები არსებობს პატარა საქართველოშიც და დიდ ჩინეთშიც. სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ, რეგიონალიზმი უცვლელად მონაწილეობს საზოგადოებრივი ურთიერთობების შიგა მოწყობაში და ყოველთვის ვერ იღებს სახელმწიფოს მიერ გატარებულ კონკრეტულ ხაზს. მთავრობის გეოპოლიტიკური კურსი, რომელსაც ხშირად აქვს კონოტაცია* ტერმინ "რეგიონალიზმთან", ეს სხვა არაფერია თუ არა თავიდანვე არსებული იმ შესაძლებლობებისა და მოთხოვნილებების ასახვა (ადეკვატური ან/და დამახინჯებული), რომლებიც გამომდინარეობენ ადამიანური და მატერიალური რესურსების სივრცობრივ-ტერიტორიული განაწილების პრინციპიდან. თუ ამ შესაძლებლობებისა და მოთხოვნილებების უგულებელყოფა

---

[189] გ. კვინიკაძე. გლობალისტიკა და გლობალიზაცია.ახალციხე-თბილისი. 2006. გვ. 142-160.

[190] Daniel Lerner. Some Comments on Center-Periphery Relations // Comparing Nations. The Use of Quantative Data in Cross-National Research / Ed. by Richard L. Marritt and Stein Rokkan. New Haven and London, Yale University Press, 1966.

* კონოტაცია – თანამდევი მნიშვნელობა.

ხდება ოფიციალურ დონეზე, მაშინ რეგიონალიზმი გააგრძელებს არსებობას პასიური ფორმით და გამოვლინდება ტრადიციებში, მენტალიტეტის ტიპებში, საყარო აქტიურობაში, კულტურულ თავისებურებებში და ა.შ. ფაქტიურად, რეგიონალიზმს მივყავართ რეგიონული მიზიდულობის სხვადასხვა ცენტრების აღმოცენებამდე და გეოპოლიტიკური აზრით, იწვევს ხელისუფლების დეცენტრალიზაციას.

მეორეს მხრივ, რეგიონალიზმი შეიძლება იყოს სხვადასხვაგვარი ინტელექტუალური მიმდინარეობისა და დოქტრინების (რომლებიც ორიენტირებულნი არიან იმ ბუნებრივი სივრცობრივი განსხვავებების რაციონალურ გამოყენებაზე, რომლებიც არსებობენ თანამედროვე საზოგადოების შიგნით) საერთო სახელწოდებაც.

აღნიშნულ კონტექსტში რეგიონალიზმი შეიძლება გამოიხატოს ორგვარად. ერთის მხრივ, ეს არის ე.წ პასიური რეგიონალიზაცია, რომელიც განისაზღვრება საერთო იდენტურობით, კულტურით, ისტორიით, გეოგრაფიით. მეორეს მხრივ, ხშირად აქვს ადგილი მიზანმიმართულ და აქტიურ საქმიანობას რეგიონული გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური ინსტიტუტების შესაქმნელად, მთავრობების, ზენაციონალური ერთეულების ზემოქმედებისა და ხელის შეწყობის შედეგად. ასეთ რეგიონალისმს ჩვენ პირობითად ვუწოდებთ „აქტიურ რეგიონალიზმს“.

რეგიონალიზმის მიმართულების „ვექტორის“ კუთხით აზრი აქვს განვასხვაოთ ეს ტერმინი ორი აზრით:

1. რეგიონალიზმი შეიძლება ვარაუდობდეს მეზობელი ტერიტორიების გაერთიანების (შემოერთების) ვარიანტს. გეოეკონომიკური, გეოპოლიტიკური, გეოსტრატეგიული და გეოკულტურული მოსაზრებებით, ეს არის “ინტეგრაციული” რეგიონალიზმი, რომელსაც გააჩნია ზენაციონალური ხასიათი. ცნობილია, რომ ევროატლანტური ცივილიზაციის სივრცეში მრავალეროვნული და მთავრობათაშორისი ორგანოების ფუნქციების გაფართოებას ასაბუთებენ ამ ინსტანციების შექმნის აუ-

ცილებლობით, რომელთაც შესწევთ უნარი შეინარჩუნონ და ხელი შეუწყონ შრომისუნარიან და მშვიდობიან მსოფლიო გეოპოლიტიკურ და გეოეკონომიკურ წესრიგს.

2. დისოციალური რეგიონალიზმი ატარებს ტერიტორიების უკვე ჩამოყალიბებული სტრუქტურების დაშლისაკენ მისწრაფების ხასიათს და ძალზედ ახლოა ისეთ ცნებებთან, როგორიცაა: დეცენტრალიზაცია, ტერიტორიული იდენტურობა, ლოკალიზაცია, რეგიონული ავტონომია და ა.შ. რეგიონალიზმის ეს ტიპი საერთოდ შეიძლება მიეიჩნიოთ, როგორც საერთაშორისო ტერორიზმისა და სეპარატიზმის საფუძველი.

ჩვენის აზრით, რეგიონალიზმი წარმოადგენს ინტერდისციპლინარული ცოდნის დარგს, რაშიც სრულად ვეთანხმებით ე.აისერმანის მოსაზრებას, რომ "რეგიონალიზმი წარმოადგენს მნიშვნელოვან ფენომენს მეცნიერების სოციოლოგიაში (ის რასაც ჰქვია რეგიონული მეცნიერება – გ.კ), გვეელინება დისციპლინათაშორის და საერთაშორისო კონგლომერატის რანგში, რომელსაც ა) თავისი წელილი შეაქვს რამდენიმე დისციპლინის განვითარებაში; ბ) დისციპლინათაშორისი და ეროვნული საზღვრების ბარიერების მიუხედავად სტიმულს აძლევს იდეების ცირკულაციას.... რეგიონალიზმი არის ფორუმი დისციპლინებს შორის იდეების გავრცელებისათვის[191].

12.2 რეგიონალიზმი, ეთნიკურობა და ტერიტორიალურობა

ტერიტორიალურობის სპეციფიკის გააზრებას ცდილობს რამდენიმე მეცნიერული მიმართულება და მათ შორის გეოეკონომიკაც. საუბარია რთულ და ხშირად მეტად აბურდულ იდეათა კომპლექსზე, რომელიც გაიგივებულია ჯგუფური საზოგადოებების პოსტეროვნულ, პოსტინდუსტრიულ და პოსტმატერიალურ ფორმებთან. ამ ჯგუფების ეკონომიკურ და სოციალურ-პოლიტიკურ ორგანიზაციაში იდეოლოგემათა ეს კრე-

[191] Andrew Isserman. Lost in Space? op. cit. p.26-29.

ბული საკმაოდ ფართოა, იქნება ეს "ეროვნული-სახელმწიფოს გაქრობა" თუ "გეოგრაფიის სიკვდილი", "ტრანსნაციონალური დემოკრატია" თუ "ტერიტორიალურობის ემანსიპაცია და ა.შ"[192]. ყველა ეს კონცეფციები, რამდენადაც პრეტენზიულები არ უნდა იყვნენ ისინი, საბოლოო ჯამში დადიან ტერიტორიალურობის კატეგორიაზე ან/და გეოეკონომიკური და გეოპოლიტიკური სიერცის ტერიტორიულ ფაქტორამდე. ეს სიუჟეტი განსაკუთრებით აქტიურად ვითარდება ლიბერალების ნაშრომებში.

ამ მიმდინარეობების ზოგიერთი წარმომადგენელი ამტკიცებს, რომ "ტერიტორიული თანამეგობრობა კარგავს ტრადიციულ იდენტურობას, იმის გამო, რომ იზრდება როგორც მათი კომპონენტების (იდენტურობის – გ.კ) დიფერენციაცია, ასევე ურთიერთდამოკიდებულების ზრდის მაჩვენებელი. "ოქროს მილიარდის " ქვეყნებში ამა თუ იმ ტერიტორიული ერთეულისადმი კუთვნილება კარგავს თავის მნიშვნელობას .. იზრდება არატერიტორიალური ფაქტორების რაოდენობა, რომელთა აქტიურობა ყველაზე უფრო კარგად გაიაზრება იმ სისტემის ფარგლებში, რომელიც თავდაპირველად არ განისაზღვრებოდა ტერიტორიით"[193]. გლობალიზაციის მომხრე მეცნიერები ამტკიცებენ, რომ ადამიანთა ბევრი არსებული ერთობები (პოლიტიკური, რელიგიური, კულტურული, ეთნიკური, პროფესიული და ა.შ) მოქმედებენ ისეთ მაშტაბებში, რომელიც ყველა მსხვილი სახელმწიფოებრივი წარმონაქმნების მასშტაბებსაც კი აღემატება. მათი ლოგიკის თანახმად, ეროვნული სახელმწიფოს პოლიტიკური და იურიდიული საზღვრები, სულ უფრო ნაკლებად შეესატყვისება ადამიანთა ჯგუფების ცხოვრების გართულებულ მოდელებსა და ნიმუშებს. ჯ. კემილერის

---

[192] უფრო დაწვრილებით იხ.: Steven Crosby. Territoriality: the Translcendental, Primordial Feature of Modern Societies. Nations and Nationalism. Vol.1, part 2. July 1995.

[193] უფრო დაწვრილებით იხ.: Globalization and Territorial Identities. Edited by Zdravko Mlinar.Avebury, England. 1992. p.62.

აზრით", ჩვენ ვცხოვრობთ სამოქალაქო საზოგადოების ახალ ფორმაში გადასვლის პერიოდში, სადაც არის ნათლად შემოხაზული საზღვრები, ის საზღვრები, რომელიც ეფუძნება ეროვნული იდენტურობის პრინციპს".[194] მიგვაჩნია, რომ ჯ. კემილერის ეს შეფასება ცოტა გადაჭარბებულია, თუმცა ამ ტრანსფორმაციაში, კონფიგურაციის თვალსაზრისით ბევრი რამ არ ემთხვევა ეროვნული სახელმწიფოების ფორმალურ საზღვრებს. მაგალითად, თავისი ლოგიკა გაჩნია ტრანსნაციონალურ მიგრაციულ ნაკადებს. იგივე შეიძლება ითქვას თავისუფალ საბაზრო ურთიერთობებზე (ძალიან ბევრია ცნობილი კალიფორნიისა და მექსიკის " განსაკუთრებულ ურთიერთობებზე", კალინინგრადის (კენიგსბერგის) ოლქსა და გერმანიაზე, შერეულ ზღვისპირეთს მხარესა და ჩინეთზე, კარელიასა და ფინეთზე).

ტერიტორიულად ორგანიზებული მსოფლიო მართლაც სავსეა წინააღმდეგობებით. ისტორიულად ეროვნული სახელმწიფოებისათვის დამახასიათებელი იყო კონფლიქტის ორი ძირითადი ტიპი. უპირველეს ყოვლისა, ადამიანებს, რომლებიც ეკუთვნოდნენ ერთ ეთნიკურ ჯგუფს, შეიძლება ცხოვრობდნენ მრავალი სახელმწიფოს იურისდიქციის ქვეშ (ქურთები, ებრაელები, არაბები, ჩინელები და ა.შ.) მეორეს მხრივ, ტერიტორია რომელსაც ადამიანები თავისად მიიჩნევენ, შეიძლება დეფაქტოდ ან დე იურედ იმყოფებოდეს სხვა ერის კონტროლის ქვეშ (აფხაზები, ე.წ სამხრეთ ოსეთი, დნესტრისპირეთი და ა.შ). მსოფლიოს სახელმწიფოების სამი მეოთხედი ეჯახება ამ ორიდან ერთ-ერთ პრობლემას მაინც. სუფთა ტერიტორიული მიდგომით ამ პრობლემების გადაჭრა მართებული არ იქნება, ვინაიდან მან შეიძლება გამოიწვიოს სუვერენული სახელმწი-

---

[194] უფრო დაწვრილებით იხ.: Joseph Camilleri. Rethinking Sovereignty // Contending Sovereignties Redefining Political Community/Ed.by. R. B. J. Walker and Saul H. Mendlevitz. Lynne Rienner Publishers. Boulder. London. 1990. p. 35.

ფოების რაოდენობის მკვეთრი ზრდა და შესაბამისად კიდევ უფრო კონფლიქტური გახადოს მსოფლიო. ამ ტენდენციას ჯ.როზენაუმ უწოდა „სუბჯგუფიზმი", ანუ ეს არის ეთნოტერიტორიული ჯგუფების მხრიდან პოლიტიკური პრეტენზიებისა და ამბიციების გაძლიერება მსოფლიო პოლიტიკაში. რაც შეეხება ალტერნატივებს, იგი სამეცნიერო ლიტერატურაში საკმაოდ უტოპიური ხასიათისაა და მისი სერიოზულად მიღება არ შეიძლება. მაგალითად, გ. გოტლიბი აღიარებს, რომ ამჟამინდელი მდგომარეობის ალტერნატივას წარმოადგენს მსოფლიო, რომელშიც არ არსებობს ტერიტორიული ხასიათის უმაღლესი ხელისუფლება, ან/და ის (მსოფლიო – გ.კ), სადაც არ არის მკაფიოდ გამოკვეთილი ტერიტორიული საზღვრები[195].

„თავდაპირველად ტერიტორიალურობა, როგორც სახელმწიფოებრივი მშენემლობის პრინციპი, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობდა მოსახლეობის განსაზღვრულ სოციალურ ერთგვაროვნებას, ხოლო მეორეს მხრივ ადამიანთა ჯგუფის გარკვეულ საერთო თვითშეგნებას, რომელიც იფარგლებოდა საერთო საზღვრებით"[196]. ამ შემთხვევაშიც აშკარაა რიგი პრობლემების არსებობა. კერძოდ, ო. შპენგლერი საუბრობდა ერებში არსებულ რაღაც რეალურ კომპონენტზე, ბიჰევიორისტები საუბრობენ ტერიტორიულ თვით იდენტიფიკაციაზე[197]. ჰ.გადამერი დარწმუნებული იყო, რომ ტერიტორიის ცნებამ უნდა მოიცვას ურთიერთობების კატეგორია, ხოლო მ.შელერმა მეცნიერულ ბრუნვაში შემოიტანა ცნება „მენტალური გარემოცვა' რომელსაც იგი იყენებდა ადამიანთა დიდ ჯგუფებთან მიმარებაში.

---

[195] უფრო დაწვრილებით იხ.:Gidon Gdlieb. Nation
New Approach to Ethnic conflicts and the Decline of Sov
on Foreign Relations Press, New York. 1999.

[196] უფრო დაწვრილებით იხ.: Andrew Hurrel. Op.cit. p.

[197] უფრო დაწვრილებით იხ.: О Шпенглер. Челове
культурологиая XX век. Антология. М. 1995.

კიდევ უფრო რთულადაა საქმე ერთგვაროვნებასთან (თუნდაც შეფარდებითთან) მიმართებაში. სრულიად აშკარაა, რომ ტერიტორიულად შემოსაზღვრული სტრუქტურები არ შეიძლება უსასრულოდ იყვნენ ჰეტეროგენურები. პოსტმოდერნისტებმა აღნიშნულთან დაკავშირებით კარგა ხანია გამოთქვეს ვარაუდი, რომ ტერიტორიალურობა შეიძლება შთანთქას უფრო მნიშვნელოვანმა ფაქტორებმა. მაგალითად, ამა თუ იმ "მსოფლიო რელიგიისადმი კუთვნილებამ, ანუ იმ ერთიანობისა და სოლიდარობის ფაქტიურმა გრძნობამ, რომელიც აღემატება ეროვნულ საზღვრებს."[198] აღნიშნულიდან გამომდინარე, პოსტმოდერნიზმი გაძლიერებულ პროპაგანდას უწევს „ურთიერთგადამკვეთი სუვერენიტეტის" თეორიას, რომლის მიხედვითაც ადამიანი შეიძლება იყოს ერთი ან რამოდენიმე ქვეყნის მოქალაქე (ქვეშევრდომი) და იმავდროულად მიეკუთვნებოდეს სხვა იერარქიებს (გეოეკონომიკურ სტრუქტურებს, პროფესიულ ასოციაციებს, რელიგიურ ან ეთნიკურ ჯგუფებს და ა.შ).

მიუხედავად აღნიშნულისა, პოსტმოდერნისტების ლოგიკა მთლიანად მისაღებად მაინც ძნელია. უპირველეს ყოვლისა, იმის გამო, რომ ტერიტორიალურობა ყველა თანამედროვე საზოგადოებების თვითორგანიზაციის ბუნებრივი პრინციპია. რთულია იმაზე კამათიც, რომ ჩვენ ვცხოვრობთ პოლიფონიურ მსოფლიოში. მაგრამ ეს პრულარიზმი სრულად შეიძლება განხორციელდეს „ეროვნული იდენტურობისა" და შესაბამისად ეროვნული სახელმწიფოს ფორმით. თავის „გლობალური სამოქალაქო საზოგადოების" აპოლოგეტიკაში, პოსტმოდერნისტები ცდილობენ არ შეამჩნიონ ეროვნული იდეების ის რენესანსი, რომელსაც ადგილი აქვს თანამედროვე მსოფლიოში. აღნიშნულთან დაკავშირებით ზ. მლინარი ვარაუდობს, რომ ტერიტორიალური იდენტიფიკაციის ფორმები უფრო ძლიერები აღმოჩნდნენ, ვიდრე ტრანსნაციონალური და ზენაციონალური ერ-

[198] Antonu Giddens. The consequences of Modernity. Polity Press. 1990. p. 70-77.

თობების ყველა ცნობილი ვარიანტები. იგი წერს: „დასავლეთისა და მესამე სამყაროს დემოკრატიულ ან ავტორიტარულ ქვეყნებში, საერთაშორისო მოძრაობა დღეს განიცდის ლოკალურ ფორმებთან ავადმყოფურ დაბრუნებას თავისი აუდიტორიის ნიშენელოვანი ნაწილის დაკარგვის ხარჯზე. ყველა უნივერსალურმა მეგობრობებმა, იქნება ეს კომუნიზმი, ისლამი თუ ქრისტიანობა, დაამტკიცეს თავისი უუნარობა შეესუსტებინათ ადამიანთა მიჯაჭვულობა თავის მიწის ნაკვეთთან, რომელიც გეელინება მაფრაგმენტირებლად, მაგრამ საოცარ ეფექტურ სიმბოლოდ[199]." მეორეს მხრივ, პოსტმოდერნოსტები პოსტულირებენ, რომ ადამიანები შეიძლება იყვნენ საერთაშორისო თანამეგობრობის (უფრო სწორად მისი კონკრეტული კომპონენტების) წევრები სახელმწიფოს გვერდის ავლით. ეს მართლაც ასეა, მაგრამ ამის მიზეზია არა პოსტმოდერნიზმი, როგორც ეპოქა, არამედ მსოფლიოში დემოკრატიული ინსტიტუტების ფართოდ გავრცელება. ასეთია მთლიანობაში ლიბერალიზმის თვისება.

12.3. რეგიონალიზმის ანომალიები

თანამედროვე სეპარატიზმის ტიპოლოგიისა და ფორმების გამოვლენა ამჟამად ფართოდ განიხილება მეცნიერულ წრეებში. ცნობილი თეორიების („მცირე და საშუალო ინტენსიობის კონფლიქტებისა" და „პრეროგატული ომების" თეორიები) ბევრი დასავლელი ექსპერტი მიუთითებს სეპარატიზმის დესტრუქციულ პოტენციალზე, რომელსაც ისინი აღიქვამენ XXI ს. მსოფლიოს არასტაბილურობის ფაქტორად.

თუ განვაზოგადებთ არსებულ შეფასებებს, მთლიანობაში შეიძლება ჩამოვაყალიბოთ ხელისუფლების დეცენტრალიზაციის შემდეგი ტიპიური ვარიანტები:

---

[199] ციტ: Global Modernities/ED .by Mike Featherstone, Scott Lash and Roland Robertson. SAGE Publication, 1995. p. 28-33.

• ისეთი რეგიონის არსებობა, რომლებსაც გააჩნიათ "რეგიონული იდენტურობის" გრძნობა, მაგრამ არ გააჩნიათ თავიანთი პრობლემების (იმის გამო, რომ აქვთ შეზღუდული რესურსები, რეგიონული პოლიტიკური ელიტის სუსტი სტრუქტურები, ძლიერი მიჯაჭვულობა ცენტრთან და ა.შ) დამოუკიდებლად გადაწყვეტისაკენ მიდრეკილება;

• რეგიონები, რომლებიც ითხოვენ ავტონომიებს (ენა, რელიგია, ადგილობრივი ეთნიკური ტრადიციების შენარჩუნება და სხვა);

• რეგიონები, რომლებიც ახდენენ გეოეკონომიკური ინტერესების არტიკულაციას (ტარიფები, ინფრასტრუქტურა, ვაჭრობა, გადასახადი, გლობალურ ბაზარზე პირდაპირი გაელის შესაძლებლობა და სხვა);

• რეგიონები, რომლებიც გამოდიან პოლიტიკური ლოზუნგებით, რომლებიც მიმართულია კომპეტენციის და პრეროგატივების განაწილების არსებული სისტემის წინააღმდეგ;

• სეპარატისტული რეგიონები, რომელთაც გააჩნიათ საკუთარი ან უცხო სახელმწიფოების მხრიდან თავსმოხვეული, ფორმულირებული იდეოლოგია. ასეთი ტიპის რეგიონები ორგვაროვანია: 1. სეცესიისაკენ, ანუ ეროვნული სახელმწიფოსაგან გამოყოფის მიდრეკილების მქონე რეგიონები (აფხაზეთი, კოსოვო და ა.შ); 2. ირედენტიზმისაკენ მიდრეკილების მქონე რეგიონები, ანუ რეგიონები რომლებიც ცდილობენ განცალკევებას იმ მიზნით, რომ ერთი ტერიტორიის ფარგლებში თავი მოუყარონ ერთიანი ეთნოენობრივი ჯგუფის ყველა წევრს. (XIX ს. იტალიური მოძრაობა, ისრაელის შექმნა, ე.წ. სამხრეთ ოსეთი, ქურთების პრობლემა და ა.შ).

რეგიონული სეპარატიზმი შეიძლება მიმდინარეობდეს როგორც მშვიდობიანი (ჩეხოსლოვაკიის დაშლა, უფრო ადრე ნორვეგიის შექმნა), ასევე ძალადობის გამოყენებით (აფხაზეთი, ე.წ სამხრეთ ოსეთი, ყარაბაღი, იუგოსლავია და ა.შ) გზით. თანამე-

დროეე მსოფლიოში სეპარატიზმის ყველაზე უფრო ტიპიური მიზეზია:

• სახელმწიფოს ეთნორელიგიური მრავალფეროვნება (კვიპროსი, ლიბანი, საქართველო და ა.შ)

• არათანაბარი ეკონომიკური განვითარება (სლოვენია, კატალონია და ა.შ);

• გარკვეული პოლიტიკური ფასეულობების დაცვა (ტაივანი);

• არსებული რესურსების გამოყენების ამაღლებისაკენ სწრაფვა (ჩეხეთი, სლოვენია და ა.შ);

• სურვილი და შესაძლებლობა გამოასწორონ ძველი უსამართლობა (მთელი პოსტსაბჭოთა – და პოსტსოციალისტური სივრცე და ა.შ);

• კულტურული და ეროვნული ფასეულობების შენარჩუნება (სუდანის ჩრდილოეთი და სამხრეთი, ტრანსილვანია და ა.შ);

• მსოფლიოში გეოპოლიტიკურ და გეოეკონომიკური გაჟღენის სფეროების გაყოფა. რასაც მივყავართ ალტერნატიულ გეოპოლიტიკური მიზიდულობის ცენტრის შექმნამდე (აფხაზეთის და ე.წ. „სამხრეთ ოსეთის" – რუსეთზე; ხორვატიის – გერმანიასა და ევროკავშირზე, სერბეთის – რუსეთზე, კვებეკის – საფრანგეთზე და ა.შ ორიენტაცია);

• სეცესიის თავიდან აცილების საერთაშორისო მექანიზმის არაეფექტურობა, სახელმწიფოთა ტერიტორიული მთლიანობის დაცვის სუსტი საერთაშორისო მექანიზმები. რიგი მკვლევარები მიუთითებენ, რომ არსებობს პირდაპირი და ცალსახა დამოკიდებულება პოტენციური სეპარატისტების დისკრიმინაციის დონესა და მათი აქტიურობის ინტენსიობას შორის (საბჭოთა კავშირის თითქმის ყველა ერი, ალბანელები და სლოვენიელები იუგოსლავიაში და ა.შ).

სეპარატიზმის მატარებლად გ. გოტლიბის აზრით, როგორც წესი გვევლინებიან:

• ეთნონაციონალისტები, ანუ მსხვილი და კარგად სტრუქტურირებული სოციალური ჯგუფები (კვებეკელები, ხორვატები, სლოვაკები და სხვა);

• ერთმანეთთან მეომარი დაჯგუფებები (ირლანდიის რესპუბლიკური არმია, ბასკები ესპანეთში, თამილები შრილანკაში და ა.შ);

• მრავალეთნიკური კოალიციის დაშლის წარუმატებელი მონაწილეები (მარონოტები ლიბანში, კრეოლები სიერა-ლეონში და სხვა.).

ეს მეცნიერი ვარაუდობს, რომ „მსგავსი კონფლიქტების გადაჭრა, ეროვნული სახელმწიფოების დანაწევრების გზით ჩიხამდე მიგვიყვანს, რამდენადაც იგი გამოიწვევს დამანგრეველ არასტაბილურობას. მისი აზრით, საერთაშორისო უსაფრთხოების სისტემა უნდა დაიხვეწოს იმისთვის, რომ მან თავის თავში გააერთიანოს არა მხოლოდ ეროვნული სახელმწიფოები, არამედ ის ხალხი, რომლებსაც არ გააჩნიათ საკუთარი სახელმწიფო. ეს ხალხი აღიარებული უნდა იქნენ საერთაშორისო სამართლის სუბიექტებად, რაც ნაწილობრივ შეარბილებს ტერიტორიული ცვლილებების სიმწვავეს". [200]

ტ.რ. გური ვარაუდობს, რომ ახალი „მსოფლიო წესრიგისათვის" ყველაზე დიდ საშიშროებას წარმოადგენენ რელიგიური და ეთნიკური უმცირესობები, რომლებიც ორგანიზებულნი არიან არასამთავრობო "კომუნალური ჯგუფების" სახით. ისევე როგორც გ.გოტლიბი, ტ.რ. გურიც ემხრობა არა სეპარატისტული რეგიონების სრულ დამოუკიდებლობას და არსებული ეროვნული სახელმწიფო საზღვრების ნგრევას, არამედ ისეთ პოლიტიკურ რეფორმებს, როგორიცაა კონფედერალიზმი, ფედერალიზმი, რეგიონული ავტონომია, რეგიონული ადმინისტრაციული დეცენტრალიზაცია და „საზოგადოებრივი ავტონომიზმი". ამასთან ნებისმიერ ეროვნულ სახელმწიფოს, რომელიც

[200] Gidon Gottlieb. Op. cit p.39.

ეჯახება სეპარატიზმის პრობლემას აქვს მოქმედების ოთხი ვარიანტი: "თავის შეკავება", „ასიმილაცია", „პლურალიზმისთვის ხელის შეწყობა" და „ხელისუფლების ხელახლა გადანაწილება"[201]

ამჟამად მრავალი მეცნიერი თანხმდება იმაზე, რომ სეპარატიზმის იდეალურმა მოდელმა თავის თავში უნდა გააერთიანოს რამოდენიმე პირობა:

- რეგიონული „იდენტურობა" („ლოიალურობა") – კულტურული, ენობრივი, რელიგიური, ეთნიკური, კლასიკური;
- განსაკუთრებული ინტერესების არსებობა – გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური, რომლებიც განსხვავდებიან ეროვნული სახელმწიფოს (ან ცენტრების) დანარჩენი ნაწილების ინტერესებისაგან;
- სახელმწიფოების დეცენტრალიზირებული ხასიათი;
- სეპარატისტების განკარგულებაში არსებული გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური ინსტიტუტების არსებობა, რომელთაც შეუძლიათ უზრუნველყონ შიდა უსაფრთხოება.

მომავალში ნაკლებად მოსალოდნელია, რომ რომელიმე სამეცნიერო სკოლა, მზად იქნება შემოგვთავაზოს იმის კომპლექსური ხედვა, თუ რასთან მიგვიყვანს და როგორ განვითარდება ეთნიკურობის, ეროვნულობისა და ტერიტორიალურობის ტრადიციული პრინციპების ეროზია. ამასთან გეოპოლიტიკურ და გეოეკონომიკურ ლიტერატურაში უკვე გაჩნდა ტერმინი „გლოკალიზაცია" და „ფრაგმენტაცია"[202], ორივე ეს ტერმინი ასახავს იმ თანმედროვე გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური პროცესების, უჩვეულოდ წინააღმდეგობრივ ხასიათს, რომელითაც ხასიათდება თანამედროვე მსოფლიო განვითარება.

---

[201] Ted Robert Gurr. Minorities at Risk. A Global View of Ethnopolitical conflicts. United States Institute of Peace Press. Washington, D.C. 1993. p. 3-23.

[202] უფრო დაწვრილებით იხ.-Barry Smart. Postmodernity. Key Idea. Routledge. 1993.

ძნელია არ დაეთანხმო მოსაზრებას, რომ დღეს კითხვის ნიშნის ქვეშ დგას არა მხოლოდ არსებული გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური წარმონაქმნები (ან/და მათ შორის საზღვრების დემარკაცია) არამედ, დღეს ჩვენ ვხედავთ რთულ და სხვადასხვაგვარ, მაგრამ იმავდროულად შედარებით უნიფიცირებულ მსოფლიო წესრიგს, ვიდრე ეს არის სუვერენული სახელმწიფოების უბრალო სისტემა[203]. ამასთან, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ არარეგულირებადი ეთნორეგიონალიზმის გამოვლინებას შეიძლება მოყვეს სისხლისღვრა. მედლის მეორე მხარე ისეთია, რომ სახელმწიფოთა ტერიტორიული მთლიანობის პრობლემა ხშირად იჭრება სამხედრო ძალის გამოყენებით
(რუსეთი ამის კარგი მაგალითია). ეს ის „სცენარია" რომლისგანაც ძლიერმა სახელმწიფოებმა თავი უნდა შეიკავონ.

12.4 რეგიონული გეოეკონომიკური ინტეგრაცია – გეოეკონომიკური რეგიონი

რეგიონული გეოეკონომიკური ინტეგრაციული გაერთიანების ფორმირება მიეკუთნება XX ს. მეორე ნახევარს. ამჟამად, მათი რიცხვი უკვე 60 აჭარბებს. ქვეყნების მონაწილეობა ინტეგრაციულ გაერთიანებაში აძლევს რიგ უპირატესობას ეკონომიკური განვითარების პროცესში, რომელთა შორის ყველა მნიშვნელოვანია: (ნახ. 12.4);

- გაცილებით ფართო საერთაშორისო (ინტეგრაციულ) ბაზარზე ოპერირების შესაძლებლობა;
- ინტეგრაციულ პროცესებში მონაწილე ქვეყნებისათვის პრივილეგირებული მდგომარეობის შექმნა და მათი გარკვეული დაცვა მესამე ქვეყნების ფირმების მხრიდან, გეოეკონომიკური კონკურენციის პირობებში;

[203] Joseph Gamilleri op.cit. p. 39.

• ინტეგრაციის მონაწილე ქვეყნების რთული გეოეკონომიკური, გეოპოლიტიკური, მეცნიერულ-ტექნოლოგიური, გეოეკოლოგიური და სხვა პრობლემების, ერთობლივი გადაწყვეტა ერთიანი გეოეკონომიკური სტრატეგიის შემუშავება.

ისტორიულად ცნობილია, რომ გეოეკონომიკური ინტეგრაცია ევოლუციონირდება რამდენიმე ძირითადი საფეხურით, სადაც ყოველი მომდევნო საფეხური, გარკვეულად ანვითარებს მის წინ მდგომს. პირველ დონეზე პრეფენციალური სავაჭრო შეთანხმებები იდგება ან ქვეყნებს შორის ორმხრივ საფუძველზე, ან უკვე არსებულ ინტეგრაციულ ჯგუფებსა და ცალკეულ ქვეყანას, ან ქვეყნების ჯგუფს შორის. მეორე დონეზე ქვეყნები გადადიან თავისუფალი ვაჭრობის ზონის შექმნაზე, რომელიც ითვალისწინებს საბაჟო ტარიფების გაუქმებას ერთმანეთთან ვაჭრობასა და მომსახურებაში. მესამე ქვეყნებთან მიმართებაში კი ეროვნული საბაჟო ტარიფები შენარჩუნებულია. თავისუფალი ვაჭრობის ზონის კოორდინაცია შეიძლება მოახდინოს მცირე ზომის სახელმწიფოთაშორის სამდივნომ, რომელიც ათანხმებს გეოეკონომიკური განვითარების ძირითად პარამეტრებს.

მესამე დონეზე საბაჟო კავშირი ხასიათდება მონაწილე ქვეყნებს შორის ეროვნული საბაჟო ტარიფების შეთანხმებული გაუქმებით, ერთიანი საბაჟო ტარიფებისა და მესამე ქვეყნებთან მიმართებაში ვაჭრობის არატარიფული რეგულირების სისტემის მეშვეობით. ამ დონეზე ხდება ყოველგვარი საბაჟო გადასახადის გარეშე საქონლითა და მომსახურებით შიდაინტეგრაციული ვაჭრობა და მათი გადაადგილების სრული თავისუფლება გეოეკონომიკური რეგიონის შიგნით. ჩვეულებრივად ამ ეტაპზე იქმნება სახელმწიფოთაშორისი ორგანოების სისტემა, რომელიც კოორდინაციას უწევს შეთანხმებული საგარეო ვაჭრობის გატარების პოლიტიკას.

რეგიონული ინტეგრაციის მეოთხე დონეზე ინტეგრირებული ქვეყნები თანხმდებიან არა მხოლოდ საქონლისა და მომსახურე-

ბის თავისუფალ გადაადგილებაზე, არამედ წარმოების ფაქტორების (კაპიტალი, სამუშაო ძალა, ტექნოლოგიები) მოძრაობის ლიბერალიზაციაზეც. ერთდროულად იქმნება მუდმივადმოქმედი სახელმწიფოთაშორისი სამდივნო (მაგ: სახელმწიფოთა და მთავრობათა ევროპის საბჭო).

ყველაზე უფრო მაღალ მეხუთე დონეზე, ხდება სრული ინტეგრაცია, რომელიც გულისხმობს ინტეგრაციის მონაწილე ქვეყნების ერთიანი (ეკონომიკური, საეალუტო, ფულადი პოლიტიკის, ერთიანი ვალუტის შემოღება; ზენაციონალური მართვის ორგანოების დაწესება) გეოეკონომიკური სივრცის შექმნას. მთავრობები შეთანხმებულად ამბობენ უარს თავიანთი ფუნქციების ნაწილზე, ზენაციონალური ორგანოების სასარგებლოდ, რომლებსაც გააჩნიათ უფლება მიიღონ გადაწყვეტილება იმ საკითხებში, რომლებიც ეხება ინტეგრაციას, მონაწილე ქვეყნების მთავრობებთან შეუთანხმებლად (მაგ: ევროკავშირში ასეთი ორგანოა, ევროკავშირის კომისია).

განვითარების სხვადასხვა დონეებისა და სიმრავლის მიუხედავად მსოფლიოს ყველა ინტეგრაციული დაჯგუფებები მიყვებიან დაახლოებით ერთი და იმავე მიზნის რეალიზაციის გზებს, რომელიც მდგომარეობს:


ა) ტრანსაქციული დანახარჯების შემცირებაში, უცხოური ინვესტიციების აქტიურად მოზღვავებაში (მსგავსი გეოეკონომიკური მიზნები გამორჩეულად დამახასიათებელია ცენტრალური ამერიკისა და აფრიკის ქვეყნების გეოეკონომიკურ დაჯგუფებებში);

ბ) გეოპოლიტიკურ, სამხედრო, სოციალურ და სხვა არაეკონომიკის სფეროში მონაწილე ქვეყნების ხელსაყრელი საგარეო პოლიტიკური გარემოს შექმნაში, მათი თანამშრომლობისა და ურთიერთგაგების გზით;

გ) სავაჭრო პოლიტიკის ამოცანების გადაწყვეტაში, მონაწილე ქვეყნების მოლაპარაკების პროცესში პოზიციების გამტკიცებით, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციასთან მიმართებაში;

რეგიონული გეოეკონომიკური ინტეგრაცია და მისი ევოლუციის ძირითადი ეტაპი.

ნახ. 12.4



დ) ეკონომიკის სტრუქტურული გარდაქმნების ხელის შეწყობაში, საბაზრო ეკონომიკის, კაპიტალის, ტექნოლოგიების განვითარების ხარჯზე, ამ მხრივ უფრო განვითარებული ქვეყნების გამოცდილების გამოყენების ხარჯზე;

ე) ეროვნული ეკონომიკის დარგების განვითარების ხელშეწყობაში იმ შემთხვევაში, თუ აღმოცენდება გაცილებით ფართო რეგიონული ბაზარი. (ეს მიზანი წამყვანი იყო ლათინური ამერიკისა და სჰარის სამხრეთით მდებარე აფრიკის ქვეყნების გეოეკონომიკური დაჯგუფებისათვის).

ამდენად, სრულიად აშკარაა, რომ გეოეკონომიკური ინტეგრაციის პროცესში, ქვეყნების ცალკეული ჯგუფები ერთმანეთს უქმნიან ხელსაყრელ პირობებს, შიდარეგიონულ ვაჭრობაში და წარმოების ფაქტორთა მიგრაციაში, რითაც სტიმულს აძლევენ საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების განვითარების ჩარჩოებში. ამასთან რეგიონული გეოეკონომიკური ინტეგრაცია (განსაკუთრებით თავის ადრეულ ფორმირებაში) შემაკავშირებელ გაელენას ახდენს გლობალური საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებაზე, იმდენად, რამდენადაც გ'ულისხმობს გაცილებით ნაკლები ხელსაყრელი პირობების შექმნას მესამე ქვეყნებთან საგარეო ეკონომიკურ კავშირში.

12.5 გლობალიზაციის გეოეკონომიკური პარამეტრები

გლობალიზაციის კრიტიკოსები ამ ფენომენის მიმართ გამოთქვამენ საყვედურს, რომ იგი ახდენს მსოფლიო კულტურის უნიფიცირებას. თუმცა, შედარებით დაკვირვებულმა ანალიტიკოსებმა უკვე მიაქციეს ყურადღება იმას, რომ გლობალიზაციის პროცესი თვითონ გაურბის ტოტალური ერთგვაროვნებების ტენდენციას, ანუ გლობალური პროცესების გაძლიერების კვალობაზე იზრდება მათი დიფერენციაცია. თვით მსოფლიო მუსიკალური მოდის ისეთი კანონმდებელი, როგორიცაა MTV, უძლურია გვერდი აუაროს მრავალფეროვან ეთნიკურ კომპოზიციებს "World Music" –ის სტილში. აღსანიშნა-

ეია, რომ თვით ამ სტილის დასახელება "მსოფლიო მუსიკა" ხაზს უსვავს არა რაღაც საყოველთაო უნივერსალურობას, არამედ სწორედ სხვადასხვა კულტურების უნიკალურობას. თუმცა, მოცემულ შემთხვევაში ისინი წარმოდგენილია არა არქაულად – "სუფთა" სახით, არამედ მართლაც უნივერსალურ, ციფრულ მუსიკალურ ტექნოლოგიებთან სინთეზში. ყოველ შემთხვევაში პარადოქსი სახეზეა – რაც უფრო ძლიერია გლობალიზაცია, მით უფრო აქტიურია ყოველგვარი შესაძლო ლოკალური სპეციფიკა.

ამ ორგვარი პროცესის აღნიშვნისათვის რ. რობერტსონმა შემოგვთავაზა, ჩვენის აზრით, საკმაოდ მოხერხებული ტერმინი „გლობალიზაცია". იგი ამტკიცებს, რომ გლობალური და ლოკალური კულტურები ერთმანეთს ავსებს, თუმცა კონკრეტულ სიტუაციაში შეიძლება გამოიწვიოს შეჯახებაც[204].

ეს ნეგატიური „კონკრეტული სიტუაციები" ცნობილია ჯერ კიდევ მოდერნის ეპოქის დუალისტური შემეცნების დროიდან, როცა ტრადიციულ ლოკალურობასა და უნივერსალისტურ ტენდენციებს შორის კონფლიქტი მოიაზრებოდა როგორც კანონზომიერი. პოსტმოდერნიზმის პირობებში კი იწყება მათი ურთიერთადაპტაცია, უფრო მეტიც, იმის შემეცნება, რომ ეს ორი ტენდენცია ურთიერთდამოკიდებული და ურთიერთგანპირობებულია. ლოკალური კულტურები აცნობიერებენ, რომ ისინი შეინარჩუნებენ თავიანთ თვითმყოფადობას და განვითარდებიან მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ თავის განსაკუთრებულ როლს შეასრულებენ გლობალურ სივრცეში. იზოლაციონალიზმი მათ უეჭველად დაღუპავთ, ხოლო გლობალური გეოეკონომიკური სივრცის სუბიექტები, თავის მხრივ, აცნობიერებენ, რომ ცხოვრების სტანდარტების საყოველთაო უნივერსალიზაცია მხოლოდ ზიანს აყენებს ბაზრის დინამიკას. აღნიშნულს უ. ბეკი

---

[204] უფრო დაწვრილებით იხ.: Robertson R. Globalization : Time – Space and Homogeneity , In M. Featherstone, S.Lash and R. Robertson (eds). Global Modernities. London. sage. 1995.

გაცილებით რადიკალურად აყალიბებს: „...უნიფიცირებული კულტურა, რომელშიც, ერთის მხრივ, კვდებიან ლოკალური კულტურები, ხოლო, მეორე მხრივ, ყველაფერს მოიხმარენ (მიირთმევენ საკვებს, სძინავთ, უყვართ, იცმევენ, მოყავთ არგუმენტები, ოცნებობენ და ა.შ) ერთი სქემით, ეს ყველაფერი კიდეაც რომ გავყოთ მოსახლეობის ამა თუ იმ ჯგუფის შემოსავლების მკაცრი შესაბამისობით, ეს იქნებოდა ბაზრისა და მოგების დასასრული“[205].

მარკეტოლოგები, რომლებიც ამუშავებენ „გლობალურ ბრენდებს“, მულტიკულტურული პოსტმოდერნიზმის სიტუაციაში ძალზედ რისკავენ რომ არ გაკოტრდნენ საკუთარი კომპანიები. გლოკალიზაცია ცელის თვით ბრენდინგის სტრატეგიას, ითხოვს რა მომხმარებლის კულტურული თავისებურებების მაქსიმალურ გათვალისწინებას. „ლოკალიზდება“ არა მხოლოდ თვით პროდუქტი, არამედ მარკეტინგული კომუნიკაციების მთელი კომპლექსი და ხანდახან თვით მარკეტოლოგების იმიჯიც.

გლოკალიზაცია სწორედ ვლინდება სრულიად მოულოდნელ კონტექსტებში და აქტიურად გამოიყენება იმ კომპანიების მიერ, რომლებიც ტრადიციულად ითვლებიან გლობალური სტანდარტების ყველაზე აქტიურ გამტარებლად. მაგალითად “მაკდონალდსის” ფრანგულ როლიკებში ყველანაირად აქებენ ფრანგული პროდუქტების ხარისხს, რომლისგანაც მიიღება “ნამდვილი ჰამბურგერები”, ხოლო კუბელები უკვე ათწლეულების მანძილზე, სვავენ კოქტეილს სახელწოდებით “Cuba Libre” (თავისუფალი კუბა). ეს კოქტეილი კი შედგება რომისა და კოკა-კოლისაგან და კუბელისათვის საწყენიც შეიძლება იყოს თუ მათ მიუთითებენ, რომ კოკა-კოლა ამერიკული სასმელია. როგორც ჩანს ძალიან მალე მოხდება „კვასის პატრიოტიზმის“ ახლებურად გააზრებაც, ვინაიდან კოკა-კოლას კომპანიამ 2002 წ. ერთ-ერთ ესტონური ფირმისაგან შეიძინა არა მხოლოდ კვა-

---

[205] უფრო დაწვრილებით იხ.: Бек, Ульрих. Что Такое Глобализасия? пер.с немецк. М, Прогрессо-Традиция. 2001.

სის დამზადების ტრადიციული ტექნოლოგია, არამედ ამ დასახელების ბრენდიც კი.

აღნიშნული პრაქტიკა არ წარმოადგენს მხოლოდ "მსოფლიო ბიზნესის ზეიგენების" საკუთრებას. იგი ანალოგიურ შესაძლებლობებს უხსნის ადგილობრივ მწარმოებლებს მთელს მსოფლიოში. გლობალური მონოპოლიების სტანდარტების ადგილობრივ პირობებთან ადაპტაციას, ადგილობრივი მეწარმეები პასუხობენ საკუთარი ლოკალური ბრენდების გლობალური დაწინაურებითა და წინსვლით მსოფლიო ბაზარზე. მათ ნაწილს ჩვეულებრივ ყიდულობენ გლობალური კორპორაციები, მაგრამ არც ერთ მონოპოლიას არ შეუძლია აწარმოოს ყველაფერი. თვით ეს მონოპოლიები, აწარმოებენ და ანვითარებენ რა მრავალ ლოკალურ ბრენდებს, სულ უფრო მეტად კარგავენ გლობალური "სტანდარტიზატორების" იმიჯს. აღნიშნულს არსებითად იქითკენ მივყავართ, რომ გლობალურობა ხდება არა რაღაც ერთგანზომილებიანი სივრცე, არამედ ეს სივრცე იძენს ტრანსლოკალურობის განზომილებას.

თუმცა გლოკალიზაცია, არ ნიშნავს გლობალურობის ეპოქამდე არსებულ ადგილობრივი თავისებურებების ბუკვალურ რესტავრაციას, მას ეს თავისებურებები გაჰყავს ეროვნული სახელმწიფოების მეურვეობიდან პირდაპირ გლობალურ მსოფლიოში. "ახალი რეგიონალიზმი", რომელიც სულ უფრო შლის სახელმწიფო საზღვრებს, ერთდროულად ვითარდება მაკრო და მიკრორეგიონულ დონეზე. დიდი ხანია მოექცა მეცნიერთა ყურადღების ცენტრში[206].

ფაქტია, რომ უნიტარული სახელმწიფო მოდერნიზმის ეპოქის ცენტრალურ გეოპოლიტიკურ მოდელს წარმოადგენდა. მაგრამ დღეს „ევროპის ეროვნული სახელმწიფოების" შემცვლელად დაიძრა „რეგიონების ევროპა" და როგორც ჩანს, ეს

---

[206] Hette B. Globalization and New Regionalizm. vol N1, London, 1999, Ohmae Kenichi. The End of the Nation-State. The Rise of Regional Ecomomics. London, Harper Collins Publishers, 1995.

პროცესი ძალას იკრებს სწორედ საერთოევროპული ინტეგრაციის მიზეზით. ამდენად, მაკრო და მიკრორეგიონული დონეები აყალიბებენ ერთიან, მაგრამ მრავალფეროვან რეგიონულ-კონტინენტალურ ქსელს, სადაც რეგიონებს შორის პირდაპირი კონტაქტები (რომელიც ღიაა საერთო ევროპული ვალუტის მეშვეობით) სახელმწიფო ბიუროკრატიას ზედმეტად აქცევს. არაა გასაკვირი, რომ მისი წარმომადგენლები და იდეოლოგიური დამცველები პანიკაში იმყოფებიან.

ეროვნული სახელმწიფო, დასავლეთის უდიდესი პოლიტიკური წარმონაქმნი, სიკვდილის ზღვარამდეა მისული. დიდი ბრიტანეთის ყოფილ სამეფოებში შოტლანდიასა და უელსში აქვს პარლამენტები. საფრანგეთში ბრეტონელები, ასევე ბასკები და ელზასელები ითხოვენ თვითგამორკვევის უფლებას, კორსიკას სურს დამოუკიდებლობა და საკუთარ ენაზე ლაპარაკის უფლება. იტალიაში არსებობს ლიგა, რომელსაც ერთი სული აქვს გამოყოს ჩრდილოეთი სამხრეთისაგან. ვენეციაში შექმნილია პარტია, რომელიც ოცნებობს ამ ქალაქის გამოყოფაზე ეროვნული სახელმწიფოდან[207].

გლოკალიზაციის თვალსაზრისით ეს პროცესი შეიძლება შემდეგნაირად განვიხილოთ. იმისათვის, რომ არ გაითქვიფონ გლობალურ ნაკადებში, თითოეული რეგიონი ცდილობს შექმნას უნიკალური ბრენდი, რომელიც ცნობადი იქნება მსოფლიო კონტექსტში. ეს პროცესი ვითარდება და მას ლოგიკურად ავსებს ევრორეგიონების სისტემა, რომელიც წარმოადგენს კულტურულად ახლო მდებარე ორ ან რამოდენიმე ქვეყნის საზღვარზე მდებარე ტერიტორიებს, რომელთა არსებობის სპეციფიკა, თანდათან უბიძგებს ამ რეგიონებს მათი იურიდიული ექსტერიტორიულობისაკენ, ანუ დამოუკიდებლობისაკენ ამა თუ იმ "მეტროპოლიდან" და მისი ცენტრალიზირებული ბიუროკრატული აპარატიდან. ამასთან ეს პროექტი რე-

[207] Barzun Jaegues. From Dawn to Decadence: 500 years od Western Cultural Life. New York, Harper Collins Publishers, 2000.

ალიზდება არა მხოლოდ ევროკავშირის შიგნით, არამედ მის საზღვრებზეც. (მაგალითად რუსეთის საზღვართან შექმნილია ევრორეგიონი კარელია.)

მთელი მსოფლიო პოლიტიკა, გლოკალიზაციის პროცესში ტრანსფორმირება სახელმწიფოთაშორისიდან შიდაგლობალურში. მაგრამ ამ ტრანსფორმაციის პროცესში სულ უფრო შესამჩნევად იზრდება „ვერტიკალურ", „იერარქიულ გლობალიზმსა" და „ჰორიზონტალურ" პოზიციებს შორის განსხვავებები (ქსელური ტრანსრეგიონულობა). პირველი პოზიცია („ვერტიკალური") გამოხატავს გლობალური მონოპოლიებისა და სახელმწიფო ბიუროკრატიის ინტერესებს. სწორედ მათ გამოუცხადეს ომი საერთაშორისო ტერორიზმს, რომელშიც აქტიურად მონაწილეობენ ლოკალური ოდენტურობის დამცველები (განსაკუთრებით ისლამური ფუნდამენტალიზმის წარმომადგენლები, რომელთაც საერთაშორისო ტერორიზმის უმსხვილესი ცენტრები გააჩნიათ), რომლებიც კრიტიკულად არიან განწყობილი მონოპილიების და საერთოდ ტრანსნაციონალიზაციის პროცესების მიმართ. ამ კუთხით გლოკალიზაციის პროცესი მსოფლიო სტაბილურობისა და მშვიდობისათვის დიდ საფრთხეს შეიცავს. სწორედ აღნიშნული პროცესები ბადებს მსოფლიოსათვის კიდევ ერთ დიდ საშიშროებას რასაც ეთნიკური და ეკონომიკური სეპარატიზმი ჰქვია, რაც ანტიგლობალისტური მოძრაობის არაპოპულარობის მიზეზია.

ანტიგლობალისტები, რომლებიც ხშირად აკრიტიკებენ გლობალურ მონოპოლიზმს, ხშირად ივიწყებენ შეხედონ იმ სახელმწიფოს, რომელშიც ისინი ცხოვრობენ. მაგალითად, საქართველო შენდებოდა (და ამჟამადაც შენარჩუნებულია) მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მკაცრი მონოპოლოური პრინციპით. მსოფლიოს თითქმის არც ერთ ქვეყანაში არ არის მთელი ფინანსური, პოლიტიკური, ინფორმაციული რესურსების 90%-ზე მეტი თავმოყრილი დედაქალაქში, დანარჩენი ქალაქები კი პრაქტიკულად წარმოედგენს პროვინციებს. საქართველოში

მონოპილიზმი ელინდება ეკონომიკაში, კულტურაში, სადაც მთელი ქვეყნის მრავალფეროვნება დაქვემდებარებულია თბილისის სტანდარტებს, რომელიც გამოხატულია როგორც "ნორმა". თუ საფრანგეთში და მით უმეტეს დიდ ბრიტანეთში რეგიონული კულტურები ადვილად აღწევენ ოფიციალურ აღიარებას და თანაბარუფლებიან არსებობას "ეროვნულ ნორმებთან", საქართველოში ისინი კვლავ ითელებიან " ეროვნული ნორმებიდან გადახვევად.

თბილისი დღეს საქართველოსთვის იგივე როლს თამაშობს, რასაც აშშ მსოფლიო არენაზე. მსოფლიო პოლიტიკის ამერიკანიზაციას და საქართველოსთვის "თბილისიზაციას", რა თქმა უნდა, ჰქონდა გარკვეული ისტორიული პოზიტივები, რომელიც უპირველეს ყოვლისა იმაში გამოიხატებოდა, რომ 1990-იანი წლების დასაწყისიდან ამერიკას მსოფლიოში და თბილისს საქართველოში ჰქონდათ "პროგრესის მატარებლის" იმიჯი. თუმცა, გლობალიზაციის პროცესის დაჩქარებამ, რომელიც არ უარყოფს არავითარ ტექნოლოგიურ, ეკონომიკურ, სოციალურ და სტილურ ნოვაციებს, გამოიწვია აქცენტის გადატანა საპროექტო ორიგინალობაზე, რისთვისაც ამერიკისაგან განსხვავებით თბილისი მოუმზადებელი აღმოჩნდა (რაშიც დიდია 1990-იანი წლების „დამსახურება"). უფრო მეტიც, ამჟამად თვით ცენტრიზმი, რაღაც მომენტში, ღრმად პროვინციალური მოვლენა ხდება. ეს პროცესები მიმდინარეობდა არა რაღაც წინასწარ განსაზღვრული „სეპარატიზმის" შედეგად, არამედ იმიტომ, რომ თვით „ცენტრები" ვერ ახერხებენ მიმდინარე გლობალურ ტენდენციებში გარკვევას. კერძოდ, 1990-იანი წლების ქართული პოლიტიკური და ეკონომიკური ელიტა კვლავ აგრძელებდა პოლიტიკურ თამაშებს დასავლურ და რუსულ ორიენტირებს შორის. მათ უბრალოდ არ ესმოდათ, რომ გლობალური ურთიერთობები უკვე მოსული იყო დედამიწის ფორმასთან შესაბამისობაში.

ზოგადად გლობალიზაცია ცვლის ადრინდელ გეოპოლიტიკურ მეტოქეობას, ქსელური გეოეკონომიკური კონკურენციითა და პირდაპირი გეოკულტურული გაცვლებით სხვადასხვა რეგიონებს შორის. ამასთან ეს რეგიონები, თავიანთი უნიკალური ბრენდებით, თავდაპირველად შეიძლება აღმოცენდნენ როგორც ვირტუალური პროექტები. ზუსტად ისე როგორც ოდესღაცა თ.მორისა და ფ.ბეკონის "ვირტუალური" სურათიდან, იმდროინდელი შორეული, უხილავი პერიფერიიდან მოხდა ამერიკის კრისტალიზაცია.

თავი 13. გეოეკონომიკური სივრცის ფრაგმენტაცია

13.1 გეოეკონომიკური და გეოპოლიტიკური სივრცის ფრაგმენტაციის ტენდენციები, პოტენციური კლანეტარული კონფლიქტის კონტექსტში

ის ცვლილებები, რომელიც ხდება პოსტბიპოლარულ მსოფლიოში ახალი გეოეკონომიკური სტრუქტურების ჩამოყალიბების თვალსაზრისით, ატარებენ საკმაოდ წინააღმდეგობრივ ხასიათს, ეს ცვლილებები განისაზღვრება გავლენის სფეროსათვის და გეოეკონომიკური კონკურენციისათვის ბრძოლის გამწვავებით, რაც მნიშვნელოვნად განაპირობებს ახალი გეოეკონომიკური წესრიგის ევოლუციის გაურკვეველ პერსპექტივებს და ძალთა თანაფარდობას XXI ს-ში.

ბრძოლა გავლენის სფეროებისათვის გეოეკონომიკისა და გეოპოლიტიკის მნიშვნელოვანი კომპონენტია. როგორც ცნობილია, ეს ბრძოლა პირდაპირ ექვემდებარება სახელმწიფოს ეროვნული უსაფრთხოების ინტერესებს და მოწოდებულია უზრუნველყოს სახელმწიფოს წარმატებული განვითარება როგორც უშუალოდ გეოეკონომიკურ რეგიონში, ასევე საერთაშორისო (გლობალურ) გეოეკონომიკურ სივრცეშიც.

მსოფლიოს გეოპოლიტიკური მოდელი, რომელიც მნიშვნელოვნად განსაზღვრავდა მსოფლიო პოლიტიკისა და გეოსტრატეგიის წამყვანი ფაქტორების თავისებურებებს მთელი XX ს. განმავლობაში, დამუშავებული იქნა ანგლოსაქსონური გეოპოლიტიკური სკოლის წარმომადგენლების მიერ (ჰ.მაკინდერი, ა.მეჰენი, ნ.სპიკმენი)[208], რომლებიც იყენენ საზღვაო ატლანტური

---

[208] ფრო დაწვრილებით იხ.: Геоекономика: теория и практикаю ИМЭМО.М, 1993; Malford Makinder " Geographical Pivor of History" in " Geographical Journal, 1904; Alfred Mahan " The Influence of Sea Power in History (1660-1783), and A.Mahan " The influence of Sea Power upon the French revolution and empire (1793-1812), Boston, 1892; N.Spykman " America's Strategy in World Politics". 1940.

სახელმწიფოების მსოფლიო ბატონობისა და უსაფრთხოების მომხრეები. ამ სკოლის მიერ პლანეტარული გეოპოლიტიკური მოდელი განიხილება გეოგრაფიული და იდეოლოგიური კოსტანტის დაპირისპირების ჭრილში. ეს კოსტანტები არიან: ევრაზიული მასივი, რომლის მნიშვნელოვანი ნაწილი უჭირავს რუსეთს (ადრე რუსეთის იმპერიას, ხოლო შემდეგ საბჭოთა კავშირს) და საზღვაო ატლანტურ სახელმწიფოებს, რომელთაც XX ს. მეორე ნახევრიდან სათავეში ჩაუდგა აშშ.

რუსეთ-ევრაზია, რომელსაც კონტინენტის (ხმელეთი) ძირითადი ნაწილი უჭირავს, ყველა უპირატესობა გააჩნდა (ტერიტორია, რესურსები, სამხედრო-ეკონომიკური პოტენციალი) თავისი ინტერესების დასაცავად მის მიმდინარე სიერცეებში. რუსეთი პრეტენზიას აცხადებდა ევრაზიის გაბატონებული სახელმწიფოს როლზე, რომელსაც გააჩნდა გლობალური ინტერესები, რითაც იგი ემუქრებოდა საზღვაო სახელმწიფოების ინტერესებს. მდგომარეობას ამწვავებდა ის გარემოება, რომ ამ ორ გეოპოლიტიკურ რეგიონს შორის არსებობდა ცივილიზაციური შეუთავსებლობა, უფრო ზუსტად კი – რუსეთსა და დანარჩენ აქტორებს შორის. ომისშემდგომი კონფრონტაციის ეტაპზე, რომელიც მიმდინარეობდა დასავლეთ-აღმოსავლეთის დაპირისპირების ფონზე გეოპოლიტიკური დუალიზმის იდეოლოგია დამკვიდრდა დასავლური დემოკრატიის ფასეულობისა და კომუნისტური დესპოტიზმის ფასეულობებს შორის.

საბჭოთა კავშირის სამხედრო-იდეოლოგიური ექსპანსია აღმოსავლეთ ევროპასა და მესამე სამყაროს ქვეყნებში წარმოადგენდა ევრაზიულობის გეოსტრატეგიის თავისებურ აპოგეას. თავის მხრივ, დასავლეთის გეოსტრატეგია (გეოპოლიტიკური კავშირები) იგებოდა ანგლოსაქსური სკოლის გეოპოლიტიკოსების რეკომენდაციების შესაბამისად, რომლის მიხედვითაც ევრაზიის მთელს პარამეტრზე კონტროლი უზრუნველყოფს ევრაზიის გაბატონებულ მდგომარეობას, ხოლო

ევრაზიაზე ბატონობა ეს არის მსოფლიოზე ბატონობის გასაღები.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ მსოფლიოში გეოპოლიტიკური ვითარების ევოლუციას ყველაზე უფრო კარგად ახასიათებს გლობალური მსოფლიოს გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური სივრცის ფრაგმენტაცია, რომელმაც თავისი გამოხატულება ჰპოვა გეოპოლიტიკური ძალების ცენტრებისა და გეოეკონომიკური ბლოკების ფორმირებაში პოსტკონფრონტაციულ სივრცეში, სადაც ცენტრალური როლი ეკუთვნის აშშ, რომლის გეოსტრატეგია ეფუძნება ამერიკის გეოგრაფიულ მდგომარეობას (მსოფლიო კუნძული), რომლის სტაბილურობა და აყვავება დამოკიდებულია მისი ჰეგემონიზმის შენარჩუნებაზე მთელს მსოფლიოში.

გარკვეული გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური პოზიციების განსაზღვრა ხდება მსოფლიო პოლიტიკის ევროპულ ცენტრში (ევროკავშირი). ატლანტური სოლიდარობის ჩარჩოებში ასეთ პოზიციებს მიეკუთვნება ნატოს გაფართოება აღმოსავლეთით და მომავალში ალბათ სამხრეთ-აღმოსავლე-თით, ასეთი გაფართოებით ნატო პრაქტიკულად უზრუნველ-ყოფს პოსტსაბჭოთა სივრცის ევროპულ ნაწილზე კონტროლს. ამასთან, ევროკავშირი ატარებს თავისი საგარეო და თავდაცვითი პოლიტიკის ავტონომიზაციის ხაზს (ამსტერდამის ხელშეკრულების შესაბამისად, რომელიც ძალაში შევიდა 1999წ). ამასთან ევროკავშირი მიისწრაფის გეოეკონომიკური სივრცის გაფართოებისაკენ, აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოების თავის შემადგენლობაში მიღების გზით. ამდენად, საუბარია ევროპულ სივრცეში გეოეკონომიკური და გეოპოლიტიკური ქვესისტემების შექმნაზე, რომლის მიზანია ევროკავშირის პოზიციების განმტკიცება მსოფლიო პოლიტიკის ცენტრის რანგში და ხელსაყრელი პირობების შექმნა მისი გეოეკონომიკური ინტერესების რეალიზაციისათვის ევრაზიულ სივრცეში.

რუსეთი, რომელმაც დაკარგა ზესახელმწიფოს სტატუსი, ეყრდნობა ბირთვულ პოტენციალს, რომელიც მისი გეოეკონომიკური კოლაფსის მიუხედავად, მას გარკვეულ უპირატესობას ანიჭებს გლობალური სამხედრო სახელმწიფოს რანგში. რეფორმების პირველ წლებში, ამ ქვეყანას ჰქონდა მცდელობა დაემყარებინა სტრატეგიული პარტნიორობა აშშ-თან ერთის მხრივ, ხოლო მეორეს მხრივ, ყველანაირად ცდილობდა თავისი გეოპოლიტიკური პოზიციების განმტკიცებას ფრაგმენტირებულ პოსტსაბჭოთა სივრცეში. ამ ქვეყნის ფაქტიურმა დამარცხებამ ჩეჩნეთის ავანტურაში, ასევე მონეტარული რეფორმების ჩავარდნამ, რუსეთი გაცილებით აგრესიული სახელმწიფო გახადა პოსტსაბჭოთა სივრცის ცალკეული ქვეყნების მიმართ, რაც გამოიხატა მის ნეოიმპერიალისტურ ამბიციებში მეზობელი სუვერენული სახელმწიფოს მიმართ. ამასთან, რუსეთის გეოპოლიტიკური ინტერესები სცილდება პოსტსაბჭოთა სივრცის საზღვრებს. დამოუკიდებელ სახელმწიფოთა გარდა პრორუსული ორიენტაციის სივრცეების შექმნა რუსი პოლიტოლოგების აზრით, რუსეთს საშუალებას მისცემს განამტკიცოს თავისი პოზიციები და გავლენა ბალკანეთის, ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნებში, რითაც მას მიეცემა საშუალება გაამყაროს საკუთარი გეოსტრატეგიული პოზიციები ერთის მხრივ, ხოლო მეორეს მხრივ უზრუნველყოს ხელსაყრელი პოზიციების შექმნა მისი შესვლისათვის გლობალურ გეოეკონომიკურ სივრცეში.

პოსტსაბჭოთა სივრცეში გეოპოლიტიკური ფრაგმენტაცია ძლიერება: ა) სეპარატისტული რეჟიმის ფორმირების მცდელობით; ბ) ისლამის სხვადასხვა დაპირისპირებული მიმდინარეობის გააქტიურებით (რომელსაც წარმოადგენს ირანი და თურქეთი); გ) აშშ, იაპონიის, ინდოეთის, პაკისტანისა და განსაკუთრებით ჩინეთის გეოეკონომიკური ინტერესების შეჯრით ამ სივრცეში.

ჩინეთმა, რომელმაც წარმატებით ჩაატარა ეკონომიკური გარდაქმნები და ასევე მნიშვნელოვნად გაზარდა თავისი სამხედრო პოტენციალი, მყარად დაიმკვიდრა რეგიონის ბირთვული

სახელმწიფოს სტატუსი, რომელსაც უკვე გაუჩნდა მსოფლიო პოლიტიკაში წონიანი მოთამაშის პრეტენზია, რაც მან დაამკვიდრა ჯერ კიდევ 1995წ, როცა სამხრეთ-ჩინეთის ზღვაში მიიტაცა ფილიპინებთან სადაო ტერიტორია და როცა ტაივანის სრუტის კრიზისის პირობებში გადაკეტა საერთაშორისო ავია და საზღვაო საზები (1996წ). თავისი გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე, ჩინეთი აძლიერებს საკუთარ გეოეკონომიკურ და გეოპოლიტიკურ ინტერესებს მონღოლეთში, ცენტრალურ აზიაში, რუსეთის სასაზღვრო რეგიონებსა (ამასთან რუსეთის ამ რეგიონში, რომელიც ძირითადად მოიცავს ხაბაროვსკის, ვლადივოსტოკისა და ციმბირის მხარეებს, გეოეკონომიკური ბალანსი ნამდვილად არაა რუსეთის სასარგებლოდ) და ამ ბოლო წლებში კავკასიაშიც კი.

იაპონიამ პოსტბიპოლარულ მსოფლიოში საბოლოოდ დაიმკვიდრა რეგიონის გეოეკონომიკური ლიდერის სტატუსი. თუმცა უნდა შევნიშნოთ, რომ ამ სივრცეში იაპონია არ ფლობს რეგიონში არსებულ ვითარებაზე ძალისმიერი ზემოქმედების ბერკეტებს და უშიშროების საკითხებზე კვლავ ორიენტირებულია აშშ-ზე. ამასთან იაპონია დავობს აშშ გეოეკონომიკურ უპირატესობაზე და ცდილობს კონკურენცია გაუწიოს მას. ამ ორ ქვეყანას შორის გეოეკონომიკური ბატალიები (სავაჭრო, ტექნოლოგიური და ა.შ) გარკვეულად ამწვავებენ ორმხრივ ურთიერთობებს, რომლებმაც შეიძლება რეგიონში გეოეკონომიკური კონფრონტაციაც კი გამოიწვიოს. აშშ ვერ მალავს შეშფოთებას იმის გამო, რომ თუ იაპონია გახდება თითქოს ფორმირებული აზიურ-წყნაროკეანური რკალის ლიდერი, ეს პოზიცია მან შეიძლება გამოიყენოს აშშ–ს როგორც გლობალური გეოეკონომიკური ლიდერის პოზიციების შესასუსტებლად. თავისი გეოეკონომიკური ინტერესების გატარებასთან ერთად აზიურ-წყნაროკეანურ რგოლში იაპონია ალბათ, გააფართოებს საკუთარი გეოეკონომიკური და გეოპოლიტიკური ინტერესების სივრცეს რუსეთის შორეული აღმო-

საველთის რეგიონში, პოსტსაჭოთა სივრცესა და ცენტრალურ აზიაში.

გეოეკონომიკური და გეოპოლიტიკური ვითარების ფორმირების გათვალისწინებით ყალიბდება მსოფლიო გეოეკონომიკური მოდელის თანამედროვე კონცეფციები ჯერ კიდევ 1960-იან წლებში. ფართო გავრცელება ჰპოვა ე.წ „გლობალური სოფლის“[209] თეორიამ, სადაც მსოფლიო დახატულია როგორც ტელეკომუნიკაციებისა და ინფორმატიკის ერთიანი ინტეგრაციული სისტემა. ამ სისტემის დახმარებით პოსტინდუსტრიული ქვეყნები ავრცელებენ დასავლეთის ძირითად ფასეულობებს მსოფლიოს დანარჩენ რეგიონებში. ასევე ქმნიან და განამტკიცებენ ურთიერთდამოკიდებულების სისტემასა და გლობალურ თანამშრომლობას საქმიანობის სხვადასხვა სფეროებში[210].

აღნიშნული კონცეფციის ყველა პოზიტიური მხარეების მიუხედავად, უახლოეს მომავალში საკმაოდ უტოპიურად გამოიყურება. მის წინააღმდეგ გამოდის „ფრაგმენტაციის მძლავრი ტენდენცია, რომელსაც იმდენად მძლავრი ენერგეტიკა გააჩნია, რომ მსოფლიო შეიძლება შემობრუნდეს უკვე მიღწეული ერთიანობისა და მთლიანობის საწინააღმდეგოდ[211]“, ხოლო მეორეს მხრივ, ასეთი სოფლის შექმნას წინ ელობება ეროვნული სახელმწიფო და ცივილიზაციური წესრიგისადმი პროტესტი. ეს უკანასკნელი კი კარგადაა გაშუქებული “ცივილიზაციათა შეჯახების” ს. ჰანტინგტონისეულ ცნობილ კონცეფციაში[212].

---

[209] უფრო დაწვრილებით იხ.: Meluhan M. – Understanding Media. London, Routledge, 1964.

[210] Barnet R. Gavanagh J. Global Dreams. New-York. 1994, p.14.

[211] გ. კვინიკაძე. გლობალისტიკა და გლობალიზაცია. ახალციხე-თბილისი. 2006 წ. გვ. 82.

[212] უფრო დაწვრილებით იხ.: Hantington S. The Clash of Civilizations and Remarking of World Order. A Touchstone Book. New-York. 1993.

ს. ჰანტინგტონი ამტკიცებს, რომ დასავლეთის ცივილიზაციასთან ერთად მოსალოდნელია კიდევ რიგი ცივილიზაციების: სლავურ-მართლმადიდებლური, კონფუციანური, იაპონური, ისლამური, ინდუისტური, ლათინურ-ამრიკული და შესაძლოა აფრიკულის გააქტიურება. შეიძლება ითქვას, რომ რუსეთის იმედგაცრუება ლიბერალური ფასეულობების მიმართ (უფრო სწორედ მისი აგრესიული დამოკიდებულება ამ ფასეულობისადმი), სლავიანოფილობის გამოცოცხლება (უფრო ზუსტად კი რუსული შოვინიზმის), ისევე როგორც ისლამური ფუნდამენტალიზმის პოზიციების გაძლიერება მსოფლიოში და მისი დაპირისპირება დასავლეთთან, რაღაც ზომით ადასტურებს სჰანტინგტონის პროგნოზსს. ყოველ შემთხვევაში, ეს სიმპტომები ადასტურებენ გეოეკონომიკური სივრცის ფრაგმენტაციის პროცესის გაღრმავების ტენდენციას, თუმცა ასახავენ მოსალოდნელი (შესაძლო) კონფლიქტების მხოლოდ იდეოლოგიურ მხარეს.

მსოფლიოს გეოეკონომიკური და გეოპოლიტიკური ვითარების შეფასების თვალსაზრისით დიდ ინტერესს იწვევს თეზისი "მშვიდობისა და სტაბილურობის ზონის" შესახებ, ასევე "ქაოსის" თეორია, რომლის ფუძემდებლები არიან მ.ზინგერი და ა.ვილდავსკი.[213] ეს მეცნიერები ამტკიცებენ, რომ რეალური, პოსტკონფრონტაციული მსოფლიო შედგება ორი ნაწილისაგან: ა) მსოფლიო ზონები, რომელშიც აყვავება და დემოკრატიაა (დასავლეთი ევროპა, აშშ და კანადა, იაპონია), სადაც თავმოყრილია მსოფლიო მოსახლეობის 15%, ბ) ამ ზონის ანტიპოდი, ზონა სადაც გამეფებულია არასტაბილურობა (პოსტსაბჭოთა სივრცე, ბალტიის ქვეყნების გამოკლებით) აზიის უმეტესი ნაწილი, აფრიკა და ლათინური ამერიკა. მშვიდობის ზონა, ამ ავტორთა აზრით, წარმოადგენს მომავალი მსოფლიო წესრიგის

---

[213] უფრო დაწვრილებით იხ.: Singer M., Wildavsky A. The Real World Order. N. J. 1993.

ცენტრალურ ღერძს. ამ ზონაში პოლიტიკური ურთიერთობები არ არის მიბმული სამხედრო და გეოსტრატეგიულ ძლიერებას, სადაც დემოკრატიულ ქვეყნებს არ შეუძლიათ ერთმანეთს დაუპირისპირდნენ სამხედრო ბლოკების ფორმით. თუმცა, აღნიშნული არ გამორიცხავს მათ შორის რაღაც წინააღმდეგობისა და კონფლიქტების აღმოცენებას, თუნდაც კონფლიქტების ისეთი ახალი ტიპის სახით, როგორიცაა გეოეკონომიკური კოლიზიები. ამ შემთხვევაშიც კი ძნელი წარმოსადგენია, რომ ასეთმა კონფლიქტმა დემოკრატია მიიყვანოს ომამდე. ამასთან ამ ორი ზონის პარალელურად არსებობას გააჩნია მსოფლიოში ქაოსური მოვლენის წარმოქმნის უნარი, რომელიც შეიძლება გამოიწვიოს ზენაციონალური სამხედრო ნაკროკარტელების პროვოცირებამ. ავტორები თვლიან, რომ ეს კონფლიქტები არ უნდა განიხილებოდეს ტრადიციული ჩრდილოეთი-სამხრეთის დაპირისპირების კონტექსტში, ვინაიდან ამ დაპირისპირების პოლიტიკურ-იდეოლოგიური შემადგენელი უკვე ისტორიის კუთვნილებაა, მას შემდეგ რაც საბოლოოდ დაინგრა მარქსისტული რეჟიმი მესამე სამყაროს ქვეყნებში. იმ თეორიასთან ერთად რომელიც "დამოკიდებული განვითარების" თეორიის სახელითაა ცნობილი. თუმცა ქაოსის პერსპექტივა საფრთხეს უქმნის აყვავების ზონის დემოკრატიის სტაბილურობასა და უსაფრთხოებას. უარყოფენ რა დასავლეთში კონფლიქტური პოტენციალის არსებობას, ეს მკვლევარები უპასუხოდ ტოვებენ კითხვას, თუ რა ზომით შეიძლება იყოს ეს ზონა დაკავშირებული გეოეკონომიკურ სივრცეში ბრძოლასთან.

ამ მხრივ რამდენადმე შორს მიდიან გეოეკონომიკური კონცეფციის მომხრეები, რომლებიც მსოფლიოს ყოფენ სამ ერთმანეთთან კონკურირებად ეკონომიკურ ბლოკებად:

- წყნაროკეანური სანაპირო კორეის ჩათვლით, სამხრეთ-აღმოსავლეთი აზია და ჩინეთი. ამ ბლოკს მეთაურობს იაპონია;

• დასავლეთ ნახევარსფეროს ბლოკი (ძირითადად ჩრდილოეთი ამერიკის თავისუფალი ვაჭრობის ზონა) და პოტენციურად სამხრეთი ამერიკა. ამ ბლოკის ლიდერია აშშ.

•გერმანოცენტრული ევროპული ბლოკი, რომელშიც შეიძლება გაერთიანდნენ ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნები და შესაძლებელია აფრიკაც[214].

როგორც მოცემული აგებულებიდან ჩანს, არასტაბილურობის ზონას ძირითადად ინაწილებს მსოფლიო პოლიტიკის სამი წამყვანი ცენტრი და შეადგენს მათი გეოეკონომიკური ინტერესების სფეროს. ამ შემთხვევაში საინტერესოა თუ როგორია ბლოკთაშორისი გეოეკონომიკური და გეოპოლიტიკური კონკურენცია? 1990-იანი წლებში ევროკავშირი გადის გეოეკონომიკური კონკურენციის ზღვარზე. კერძოდ, მისი ერთობლივი ეროვნული პროდუქტი საპირწონე ხდება აშშ ანალოგიური მაჩვენებლის და ამავე დროს აშშ–ს შემდეგ მეორე ადგილი უჭირავს სამეცნიერო-ტექნოლოგიური პოტენციალით. 1996წ ევროკავშირი აწარმოებს განეითარებული ქვეყნების ერთობლივი შიდა პროდუქტის 38%, ხოლო აშშ 33%. ევროკავშირზე ამავე პერიოდში მოდის მსოფლიოს საქონლით ვაჭრობის 40% და მომსახურების 30%[215].

აღნიშნული ტენდენციების გამო ევრაზია და მისი მიმდებარე სამხრეთის რეგიონები შეიძლება გახდნენ მსოფლიო პოლიტიკის გეოსტრატეგიული პლაცდარმები. ასეთი მდგომარეობა განპირობებულია ენერგორესურსების უდიდესი მარაგის კონცენტრაციით ამ ფართო გეოეკონომიკურ სივრცეში, ასევე ეკონომიკური ზრდის უდიდესი შესაძლებლობებითა და ამავე დროს არასტაბილურობის პოტენციალის არსებობით (ტერიტორიულ-სასაზღვრო დაევები, რუსეთის მიერ მეზობელი სახელმწიფოების ტერიტორიების მიერთების მცდელობები,

---

[214] ORBIS, Fall 1997, p. 571.

[215] Международная жизнь, М, 1998 №3. с.25.

კონტინენტის პერიფერიების დაპირისპირება მის გეოეკონომიკურ ცენტრთან, სეპარატიზმის ტენდენციები და ა.შ). ეს ტენდენციები ჩვენის აზრით, ევრაზიული სივრცის გლობალიზაციას კი არა, არამედ მომავალ'ში უფრო შეუწყობენ ხელს ამ სივრცის ფრაგმენტაციას.

13.2. გეოეკონომიკური სივრცის პოლარიზაცია და გეოეკონომიკური რეგიონის შორმირება

ეკონომიკის განვითარებისა და ფუნქციონირებისათვის, მის ტერიტორიულ ასპექტ'ში, ყოველთვის დამახასიათებელია გარკვეული უთანხმოება. ერთ ადგილას შეინიშნება მოსახლეობის, ეკონომიკური აქტივობის და ინფრასტრუქტურის კონცენტრაცია,ხოლო სხვაგან „ეკონომიკური ლანდშაფტის" მეჩხერიანობა.

ზოგიერთი ტერიტორიები გვევლინებიან ინოვაციური აქტივობის ეპიცენტრად, სხვები კი მხოლოდ სესხულობენ სხვადასხვა სახის ორგანიზაციულ, ტექნოლოგიურ და სხვა ინოვაციებს. ცალკეული არეალები "იზიდავენ" თანამედროვე ეკონომიკის მაღალ'შემოსაელიან დარგებს, სხვები უპირატესად ასრულებენ ნედლეულის ფუნქციას და ა.შ. აღნიშნული სიტუაცია კანონზომიერად აისახება მოსახლეობის ცხოვრების დონეზე, განაპირობებს კულტურული ლანდშაფტის მდგომარეობას, აყალიბებს „ადამიანის კაპიტალის" ხარისხს, ახდენს რეგიონთაშორისი და ტრანსნაციონალური ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული კავშირების დეტერმინირებას, რაც საბოლოო ჯამში განსაზღვრავს ზეტერიტორიული ერთობულების (გეოეკონომიკური ბლოკების), სახელმწიფოებისა და ლოკალური რეგიონული წარმონაქმნების გეოეკონომიკური და გეოპოლიტიკური პროცესების განვითარების ტენდენციებს.

ახალი დროის დადგომასთან ერთად – აღნიშნავდა ფ. ბროდელი – ეკონომიკის დომინანტობა სულ უფრო წონადი ხდება: „იგი არის ორიენტირი, ანგრევს წონასწორობას, ზემოქმედებს

სხვა წესრიგზე. იგი უზომოდ აძლიერებს უთანაბრობას, კეტავს (ტერიტორიებს) სიღარიბეში ან სიმდიდრეში[216]".

გეოეკონომიკური პოლარიზაცია, უპირველეს ყოვლისა, წარმოადგენს ორი შედარებით დამოუკიდებელი ტერიტორიული ერთეულის ისეთი ურთიერთობის სისტემას, რომლებშიც მათ შორის არსებობს ურთიერთდამოკიდებულების კომპონენტი, რომელსაც გააჩნია გეოეკონომიკური ბუნება.

აღნიშნული ურთიერთობების საფუძველს (და შესაბამისად გეოეკონომიკური პოლარიზაციის ფუძემდებლურ მომენტს) წარმოადგენს ის ტერიტორიული კავშირები და ურთიერთდამოკიდებულება, რომელიც ყალიბდება (წარმოებისა და მომსახურების პროცესში, გაცვლებისა და მომსახურების) ტერიტორიულ ორგანიზებულ სისტემაში.

გეოეკონომიკურ პოლარიზაციაში სუბიექტების როლში გამოდიან ცალკეული სამეწარმეო სტრუქტურები, კორპორაციები, სხვადასხვა მაკოორდინირებელი რეგიონული პროცესები, სახელმწიფო და არასახელმწიფო ინსტიტუციები (სახელმწიფოებისა და ქვეყანა-სისტემების, ასევე ტრანსრეგიონული და ტრანსნაციონალური კორპორაციები და სხვა).

აღნიშნული ურთიერთობების ობიექტად შეიძლება ჩაითვალოს ის მოგება, რომელიც ყალიბდება ფირმების, კორპორაციების, სახელმწიფოების, ზერეგიონული ბლოკებისა და სხვა არხებით, ასევე ხელფასი და რენტა (შემოსავლების, ინვესტიციების, კრედიტების, სხვადასხვა სახის დოტაციების და ა.შ. ფორმით).

უნდა აღვნიშნოთ, რომ მსგავს სუბიექტურ-ობიექტურ დახასიათებაში განსაკუთრებით არსებითია სწორედ გეოეკონომიკური რეგიონების როლი, რამდენადაც პოლარიზაციის ფუძემდებლური მომენტია ტერიტორიის დიფერენციაცია ცენტრად და მის შესაბამის პერიფერიად (გარკვეული რეგიონული ტაქ-

---

[216] უფრო დაწვრილებით იხ.: Врогель Ф. Материальная цивилизация, экономика и капитализм XV - XVIII В, «Время Мира», М, 1992, Т.3. с.89.

სონის ჩარჩოებში).[217] საერთოდ, გეოეკონომიკური მოვლენების სივრცობრივი პოლარიზაცია წარმოადგენს ერთ-ერთ ფუძემდებლურ კანონზომიერებას, ტერიტორიის უნივერსალურ თვისებას. ამასთან, სწორედ რეგიონალიზმი ქმნის პოლარიზაციის აუცილებელ გეოგრაფიულ წინამძღვრებს. თვით პოლარიზაციის ფაქტი კი წარმოადგენს ტერიტორიული ურთიერთობების სისტემის ფორმირების ყველაზე უფრო წონად დასაბუთებას.

გეოეკონომიკური პოლარიზაციის პირობად შეიძლება მივიჩნიოთ, არა მხოლოდ გეოეკონომიკური სივრცის ერთიანობა, არამედ მისი დისკრეტულობა, ტერიტორიული (რეგიონული) სტრატიფიკაცია, ანუ გეოეკონომიკური რეგიონალიზმი.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ "რეგიონის" ცნება მრავალასპექტური და ინტერდისციპლინარულია, რაც გამოიხატება მისი შინაარსობრივი ინტერპრეტაციის მრავალფეროვან მიდგომაში. ამასთან, ბოლო წლების გეოეკონომიკურ სამეცნიერო ლიტერატურაში „რეგიონს", უპირველეს ყოვლისა, განიხილავენ როგორც: ა) განსაკუთრებულ ინსტიტუციონალურ-ეკონომიკურ წარმონაქმნს; ბ) გეოეკონომიკური ურთიერთობის სისტემას, რომელიც ყალიბდება წარმოებისა და მომსახურების ტერიტორიული ფაქტორების გამოყენების პროცესში; გ) ტერიტორიულ, გეოეკონომიკურ, გეოპოლიტიკურ ქვესისტემას; დ) როგორც კვლავწარმოებად სისტემას.

გეოეკონომიკური რეგიონისათვის მნიშვნელოვანია, რომ მას გააჩნდეს ის გარკვეული ფუნქციები და მახასიათებლები, რომლებიც დაკავშირებულია მის ჩართვასთან მაკროეკონომიკურ პროცესებში და გლობალურ გეოეკონომიკურ კონკურენციაში. მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება მიიღოს გეოეკონომიკურმა რეგიონმა მეტნაკლებად სრულყოფილი სახე.

---

[217] Mc. Kenzie N. "Centre and Periphery". Acto Sociologia. 20. 1997; გ. კვინიკაძე, გლობალისტიკა და გლობალიზაცია, ახალციხე-თბილისი, 2006, გვ.130-136.

რეგიონები, ერთის მხრივ, გარკვეულ ჩარჩოებში აქცევენ ჩამოყალიბებულ პოლარიზაციულ ურთიერთობებს (ეს უკანასკნელი, შესაბამისად, ყოველთვის იღებენ რეგიონულ ორგანიზაციულ ფორმას), ხოლო მეორეს მხრივ, შედარებით დაბალ ტაქსონომიურ დონეებზე სუბრეგიონული წარმონაქმნების თანაგანვითარების პროცესში ხდება მათი სპონტანური "დანაწევრება" ხარისხობრივად თავისებური, მაგრამ ერთდროულად ურთიერთგნმაპირობებელ შემადგენელ ნაწილებად, რომლებიც სამეცნიერო ლიტერატურაში აღინიშნება როგორც „ცენტრი", „ნახევრადპერიფერია" და „პერიფერია".

გეოეკონომიკური თვალსაზრისით „ცენტრი-პერიფერიის" ანალიზი ერთ-ერთმა პირველმა სცადა ტიუნენმა, რომლის მიერ შემოთავაზებული იქნა ეკონომიკური საქმიანობის სხვადასხვა სახეების ლოკალიზაციის მოდელი ცალკე აღებული ქალაქის მოსახლეობის ირგვლივ[218], ამ მეცნიერის მიერ შემოთავაზებულ მოდელში ძირითადი აქცენტი გაკეთებულია არა უბრალოდ ქალაქების ("ცენტრის") და მის გარშემო არსებულ სპეციალიზირებულ კონცენტრისტულ ტერიტორიებზე, არამედ მათ ფუნქციონალურ ურთიერთგანპირობებულობაზე სისტემური მთლიანობის ჩარჩოებში. სწორედ ფუნქციონალური კავშირები წარმოედგენს ცენტრულ-პერიფერიული ორგანიზაციის არსებით, ხარისხობრივ მხარეს, მაშინ როცა ნებისმიერი გეოეკონომიკური განსხვავებანი გვევლინებიან როგორც მისი გარეგანი გამოვლინების ფორმები.

სიერცობრივი გეოეკონომიკის იერარქიულობაზე ერთ-ერთმა პირველმა გაამახვილა ყურადღება ფ.ბროდელმა. გეოეკონომიკის პოლარიზაციის შესახებ წარმოდგენების შემდგომი ევოლუცია უკავშირდება ვ.კრისტალერის "ცენტრალური ადგილების" თეორიას. ამ მეცნიერის თვალსაზრისის შესაბამისად, "ცენტრალური ადგილი ეს არის ნებისმიერი ზომის დასახლება,

---

[218] უფრო დაწვრილებით იხ.: Тюнен И.Г Изолированное государство, пер. с немец. М. 1926.

ყველაზე ხშირად ქალაქი, რომელიც უზრუნველყოფს მისკენ მსწრაფ პერიფერიას ცენტრალური საქონლითა და ცენტრალური მომსახურებით[219]." შემდგომში გეოეკონომიკური პოლარიზაციის ფაქტის კონსტატაციას კანონზომიერად ემატებოდა „ცენტრის" კელავწარმოებისა და მისი პერიფერიასთან ურთიერთობის მეცნიერული ახსნების მცდელობები.

ასეთი მცდელობები კი უპირველეს ყოვლისა დამახასიათებელია ი. ვალერსტაინის შრომებისათვის, სადაც ძირითადი აქცენტი გადატანილია ცენტრში რესურსების გამონთავისუფლებაზე (პერიფერიისათვის რიგი ფუნქციების გადაცემის ხარჯზე), როგორც „ცენტრის" გეოეკონომიკურ და მეცნიერულ-ტექნოლოგიური პროგრესის საფუძველზე. მსოფლიო სისტემური ანალიზის თეორიაში ი. ვალერსტაინმა გამოყო სამი ძირითადი ზონა (ბირთვი, ნახევრადპერიფერია და პერიფერია), რომლებიც დაანაწევრა ისეთი კატეგორიის მიხედვით, როგორიცაა ეკონომიკური ინსტიტუტების სირთულე, წარმოებული პროდუქტების მომგებიანობა და მთავარი, შრომაზე კონტროლის ხერხები და მეთოდები[220]. ამ კონტექსტში მნიშვნელოვანია ბირთვის განცალკევების ინოვაციურ ბუნებაზე აქცენტის გაკეთება და ინოვაციების როლი ცალკეულ ტეროტირიულ-ტაქსონომიური დონეების პოლარიზაციაში.

„ცენტრი-პერიფერიის" მექანიზმების შესწავლაში არსებითი ნაბიჯი გადაიდგა, თ. ჰაგერსტრანდის ინოვაციების დიფუზიის შესწავლის შემდგომ. ამ ავტორის ლოგიკის შესაბამისად „ცენტრი" სულ უფრო მკვიდრდება, როგორც ინოვაციური პროცესის (ტექნოლოგიური და გეოეკონომკური რიგის) აღმოცენების ადგილი, ხოლო დანარჩენი სივრცე ემსახურება ინოვაციების

---

[219] Занадворов В.С., Занадворова А. В., Экономика города. М.1998. с.36

[220] უფრო დაწვრილებით იხ.: Wallersten J. The Modern World-System. New-York. 1974.

გავრცელებას, თუმცა იგი ძალიან ეჭვობდა რეგიონალიზმის შესაძლებლობებში[221].

ზემოთ აღნიშნულ კონცეფციებთან შინაარსობრივად ძალიან ახლოა XXს. პირველ ნახევარში ჩამოყალიბებული თეორიული კონსტრუქციები, რომლებიც აქცენტს აკეთებენ ამა თუ იმ ეროვნული ეკონომიკური სისტემის (ისევე როგორც რეგიონების) არათანაბარ მდგომარეობაზე გლობალურ ეკონომიკაში და ცალკეულ ტერიტორიებს შორის ეკონომიკურ ურთიერთობებში პარიტეტის არარსებობაზე. ამ თეორიული კონსტრუქციებიდან კი აღსანიშნავია იმპერიალიზმის და ნეოკოლონიალიზმის (ჩ. გილფერდინგი, ო.ბაუერი), მოდერნიზაციისა და ნეოევოლუციონიზმის (მ. ვებერი, თ. პირსონი, შ. ეიზენშტადტი), პერიფერიული ეკონომიკის და დამოკიდებული კაპიტალიზმის (რ. პრებიში, ს. ფურტადო) თეორიები[222].

ბოლო 25-30 წლის განმავლობაში პოლარიზაციის დომინანტი ფაქტორია ახალი გლობალური გეოეკონომიკური სივრცე, რომელიც ერთდროულად ყალიბდება მსოფლიო ეკონომიკის წამყვანი „ბირთვის" (აშშ, დასავლეთ ევროპა, აზიურ-წყნაროკეანური რკალი) და რეგიონული გეოეკონომიკური განვითარების წამყვანი ფაქტორების მკვეთრი ცვლილებების ფონზე. ეს უკანასკნელი კი გამოხატულია წარმოებისა და მოსახლეობის დეკონცენტრაციაში. საუბარია ე. ტოლფერის ე.წ „მესამე ტალღის" გავრცელებაზე, ანუ ისეთ საზოგადოებაზე, რომელიც ეფუძნება ტელეკომუნიკაციებს, ინფორმაციის გადამუშავებას და ა.შ[223], ამ პირობებში კი: ა) გეოეკონომიკაში აგლომერაციის ეს ეფექტი, რომელიც უკავშირდება სატრანს-

---

[221] უფრო დაწვრილებით იხ.: Hegerstrand T. Geography and the Study of Interaction between Nature and Society, California, 7, 1976.

[222] უფრო დაწვრილებით იხ.: Siebert H. Regional Economic Groth: Theory and Policy. Sctrantion. 1969.

[223] უფრო დაწვრილებით იხ.: Toffler A, Toffler H.. Creatig a New Civilization. Atlanta, 1995.

პორტო დანახარჯებზე ეკონომიას, უკვე აღარ იმოქმედებს; ბ) გეოეკონომიკური აქტიურობა შეიძლება ყველგან განთავსდეს; გ) გარემოს ხარისხი ხდება წარმოების რესურსი. გეოეკონომიკური განვითარების "პოლუსები", ამ სიტუაციაში რაოდენობრივად იზრდება და იძენენ ახალ სიეცობრივ კონფიგურაციას. მათდამი კუთვნილება ხდება ცალკეული ფირმების, ტრანსნაციონალური კომპანიების და საერთოდ მეზოეკონომიკების ინოვაციური ზრდისა და კონკურენტუნარიანობის უმნიშვნელოვანესი ფაქტორი. ახალ გეოეკონომიკურ პირობებში ცენრტულ-პერიფერიული მოწყობის ზოგადი თეორიების ლოგიკური დანამატი ხდება მრავალრიცხოვანი, განლაგების თანამედროვე "დინამიური თეორიები" (ეს თეორიები ითვალისწინებენ პოლარიზაციის ფაქტისა და მოცემული პროცესის ინოვაციურ ბუნებას.)

13.3. ფრაგმენტაცია, ინტერნაციონალიზაცია და გეოეკონომიკური ნაციონალიზმი

თანამედროვე გეოეკონომიკურ სიერცეში აშკარად შეინიშნება ორი, გარეგნულად ერთმანეთის საპირისპირო ტენდენცია, კერძოდ, ერთის მხრივ, ყალიბდება გლობალური გეოეკონომიკური (ინტერნაციონალიზირებული) სიერცე, ხოლო, მეორეს მხრივ, ეროვნული იდენტიფიკაცია, ფრაგმენტაცია და ეროვნული განცალკევების ტენდენციები. მკვლევართა ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ ეს არის პარადოქსი და ძნელად გადასაჭრელი თეორიული პრობლემა, ხოლო მეორენი მიიჩნევენ, რომ ეს არის ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი ორი პრობლემა (ამოდიან რა დუალისტური მოდელიდან) და ყურადღებას არ აქცევენ მათ ურთიერთკავშირს.

მაგალითად, ეკონომიკური თეორიის ჩარჩოებში პრივალირებს გლობალიზაციის ტენდენციების ანალიზი, პოლიტოლოგიის ჩარჩოებში-ფრაგმენტაციის ტენდენციები. შედეგად კი იმას

ვლებულობთ, რომ იკარგება გეოეკონომიკური სივრცის ერთიანი ხედვა.

სოციალურ ფილოსოფიაში გაცნობიერებულია, რომ გეოეკონომიკური სივრცე და ფრაგმენტაცია – ეს ორი ურთიერთგამაპირობებელი პროცესია. ამასთან, ჯერჯერობით ამ პროცესის მექანიზმი ბოლომდე არაა ახსნილი. გვეჩვენება, რომ მასში დიდი როლი ეკუთვნის ინტერნაციონალიზაციის ფენომენს, მაგრამ თუ გეოეკონომიკური სივრცის კავშირი ინტერნაციონალიზაციასთან აღიარებული ფაქტია, ინტერნაციონალიზაცია და ეროვნული განცალკევება აღიქმება როგორც ურთიერთგამომრიცხავი მოვლენა.

საერთოდ ინტერნაციონალიზაციის ფენომენს გააჩნია ინტერსუბიექტური ბუნება და წარმოადგენს პროცესს, რომელიც ახასიათებს ეროვნული ერთობების ურთიერთქმედების დიალექტიკას.

1980-იანი წლების დასაწყისიდან, როგორღაც შემცირდა იმ შრომების რიცხვი, რომლებიც ეძღვნება ინტერნაციონალიზაციის პრობლემების კვლევას, რომლის ერთ-ერთი მიზეზი, ჩვენის აზრით, უნდა იყოს ეთნიკური, გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური კონფლიქტების განვითარება. სამეცნიერო ლიტერატურაში ეს თემა ჩანაცვლებული იქნა ისეთი თემებით, როგორიცაა ეროვნებათშორისი დაძაბულობა და კონფლიქტები, ეროვნული იდენტიფიკაცია, ეროვნული თვითგამორკვევა. თუ ინტერნაციონალიზაცია მაინც განიხილება ცალკეულ შრომებში, როგორც წესი, იგი ეხება მის ნეგატიურ ასპექტებს. ამასთან შენარჩუნებულია რედუქციონიზმის ადრინდელი მეთოდოლოგიური პრაქტიკა და კონცეფტუალური საფუძვლები. ინტერნაციონალიზაცია უპირატესად განიხილება როგორც პროცესი, რომელიც ეწინააღმდეგება ერთიანი გეოეკონომიკური სივრცის ჩამოყალიბების მსოფლიო ტენდენციას.

ინტერნაციონალიზაციის პრობლემის გაძლიერება კვლავ შეინიშნება 1990-იანი წლებიდან, განსაკუთრებით ახალი გეოე-

კონომიკური სივრცის ფორმირების პროცესში, სადაც ინტერნაციონალიზაციის ფენომენის შინაარსში გამოიყოფა ორი ძირითადი მიმართულება. პირველი მიმართულების ჩარჩოებში იგი ასოცირდება ამა თუ იმ მოვლენების მოქმედების სფეროს გაფართოებასთან, (როგორც წესი გლობალურ მაშტაბებამდე), ამიტომ იგი განიხილება უშუალოდ გლობალიზაციის პროცესებთან კავშირში. ამ კონტექსტში განიხილება წარმოების, კაპიტალისა და ეკონომიკის[224], მართვის,[225] ასევე მასობრივი საინფორმაციო საშუალებების, კეთილდღეობის, კულტურისა და უსაფრთხოების ინტერნაციონალიზაციის საკითხები. მეორე მიმართულება წარმოდგენილია შრომებით, რომელშიც გაანალიზებულია ინტერნაციონალიზაციის პრობლემა ისეთ ცნებებთან კავშირში, როგორიცაა ერი, ნაციონალიზმი, ეთნიკური ერთობა და ეთნიკურობა,[226] ეთნოსებს შორის ურთიერთქმედება და კონფლიქტები,[227] გამოიყოფა ინტერნაციონალიზაციის სხვადასხვა ფორმები საერთაშორისო თანამეგობრობის როგორც სახელმწიფოთა სისტემის რეპრეზენტაციის ალტერნატივის რანგში და ა.შ.[228]

---

[224] Berberogla B. The Internationalization of capital and its impact on labor on a World scale // Intern. rev. of mod. sociology, Dekald, 1990, vol.20. N2; Waters M. Globalization. L; N-Y: Routlege, 1995.

[225] Derr C.B, Oddou G, Internationalizing managers: Speeding up the process//Europ. management . Oxford, 1993.vol.11, N4; Forster N, Whipp R. Future of European human resource management: A Contigent approach // Europ. management oxford, 1995 vol.13, N 4.

[226] ზ. დავითაშვილი ნაციონალიზმი და გლობალიზაცია თბ., 2003წ; ზ. დავითაშვილი ენა და გეოგრაფიული გარემო. კავკასიის გეოგრაფიული ჟურნალი. 2005. №5. გვ. 23-30; Gellner E. Nations and Nationalism, Oxford, 1983, Hassner P.Beyond nationalism and internationalism// Survival. L; 1993,vol. 35, 8 sup 1.

[227] Nash M. The cauldron of ethnicity in the modern World. Chicago; L: Univ. of Chicago press, 1989; Stavenhagen R. Ethnic conflicts and their impact on international society//Intern. social science j: ISSJ-Paris-N.Y. 1991. vol 43-N 127.

[228] Rosow S.J. The forms of internationalization: representation of Western culture on a global scale.

მსოფლიო ეკონომიკა ინტეგრირდება ერთ მთლიანობაში. მსგავსი ტენდენციის განვითარების შედეგად მსოფლიოში მიმდინარეობს სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობების ღრმა ცვლილებები, რომელიც დაკავშირებულია საერთაშორისო ურთიერთობებში სისტემაშემქმნელი ფაქტორების შეცვლასთან. გეოეკონომიკა რომელიც მოწოდებულია ასახოს ეკონომიკური განვითარებისა და ინტეგრაციის ახალი ხარისხი, აქტიურადაა ჩაბმული ამ პროცესში. ამჟამად მიმდინარეობს მსოფლიო ეკონომიკის ახალი სისტემის ფორმირება, რომლის ჩარჩოებშიც ყალიბდება რამდენიმე გეოეკონომიკური არეალი, მსოფლიო გეოეკონომიკაში კი სულ უფრო მტკიცდება "ახალი რეგიონალიზმის" გეოეკონომიკური კონფიგურაცია (ჩრდილო ატლანტური, ევრაზიული, სამხრეთის და წყნაროკეანური).

იმის მიუხედავად, რომ გლობალიზაცია აღიარებულია ობიექტურ პროცესად, სულ უფრო წინააღმდეგობრივი ხდება მისი შეფასებები მის გავლენასთან დაკავშირებით ისეთ პროცესებთან მიმართებაში, როგორიცაა გლობალური გეოეკონომიკური სივრცის ჩამოყალიბება, საერთაშორისო ურთიერთობების განვითარება, ცალკეულ სახელმწიფოთა სუვერენიტეტი და ა.შ.

გლობალურ გეოეკონომიკურ სივრცეში ინტეგრაციის პარალელურად მიმდინარეობს სპეციფიკური დანაწევრება, სპეციალიზაცია, რომელიც დაკავშირებულია ამა თუ იმ საზოგადოების მიერ ახალი ხარისხისა და როლის შეძენასთან შრომის გლობალური დანაწილების სისტემაში. აღნიშნული კი ხშირად დაკავშირებულია გეოეკონომიკური ნაციონალიზმის აღმოცენებასთან. კერძოდ, ისეთი კონცეფციები, როგორიცაა "ავტარქია", "დიდი სივრცეების ეკონომიკა" ან "ეკონომიკური ინსულაცია", გამომდინარეობენ გეოეკონომიკური ნაციონალიზმის ფუძემდებლური იდეებიდან, რომელიც მოწოდებულია უზრუნველყოს ერის დამოუკიდებლობა, აღნიშნულიდან გამომდინარე მისი არსებითი ნიშანია ის, რომ ეს არის დოქტრინა, რომელიც მიისწრაფვის იმისკენ, რომ ერი გახდეს არცთუ

მეტად მდიდარი, მაგრამ შედარებით თავისუფალი, ასევე უზრუნველყოს არა იმდენად მისი მატერიალური აყვავება, რამდენადაც ერის დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა სხვა ქვეყნების გავლენასთან მიმართებაში. გეოეკონომიკური ნაციონალიზმი ეს პრაქტიკულად წარმოადგენს თვითუზრუნველყოფის ეროვნულ პოლიტიკას.

გეოეკონომიკური ნაციონალიზმი, უპირველეს ყოვლისა, ცდილობს შეზღუდოს ერის მიერ იმ პროდუქტებისა და საქონელის მოხმარება, რომლებიც იწარმოება მის წიაღში. ნაციონალიზმის ეს ფორმა ერთის მხრივ, ყველა შესაძლო ხერხებითა და საშუალებებით ცდილობს აიძულოს ერი დაკმაყოფილდეს საკუთარი საქონლით, პროდუქტით და მომსახურებით, უარი თქვან უცხოური პროდუქტის მოხმარებაზე. მეორეს მხრივ, გეოეკონომიკური ნაციონალიზმი მიისწრაფვის განავითაროს იმ საქონლის, პროდუქტებისა და მომხმარებლების წარმოება, რომელიც სასიცოცხლოდ აუცილებელია ერისათვის. მესამეს მხრივ, გეოეკონომიკური ნაციონალიზმი ცდილობს თავისი გავლენის სივრცეში მოაქციოს რაც შეიძლება დიდი ტერიტორიები (მეზობელი ტერიტორიები, კოლონიები და ა.შ). მეოთხეს მხრივ, ითვალისწინებს რა სიტუაციის აქტუალობას, სიტუაციას და აღიარებს რა იმ ფაქტს, რომ თანამედროვე გეოეკონომიკური სიტუაციის პირობებში იმპორტზე ვერავითარი შეზღუდვა, ეროვნული წარმოების ვერავითარი სტიმულირება და ვერავითარი ტერიტორიული გაფართოება ვერ გახდის სახელმწიფოს მთლიანად თვითუზრუნველყოფად სისტემას. გეოეკონომიკური ნაციონალიზმი ცდილობს მიიღოს გადახდების ხელსაყრელი ბალანსი საერთაშორისო გარიგებაში და ამით უზრუნველყოს კაპიტალის შემოდინება ქვეყანაში.

მიგვაჩნია, რომ გეოეკონომიკური ნაციონალიზმი, რომელიც პოსტულირებს დიდი სივრცეების ეკონომიკას, არ შეიძლება გაიზომოს მხოლოდ სუფთა ეკონომიკური, მატერიალური კრიტერიუმებით. მისი ვარგისიანობა და სარგებელი უნდა შეფას-

დეს გაცილებით ფართო, ისტორიულ და პოლიტიკურ კონტექსტში. მასში ასახვა უნდა ჰპოვოს ყველა ერის ბუნებრივმა უფლებამ გამოხატოს საკუთარი, დამოუკიდებელი ნება, რასაც რა თქმა უნდა – უნდა ჰქონდეს ეკონომიკური შეფერილობაც.

თანამედროვე გეოეკონომიკური პრობლემატიკა ამჟამად კარნახობს მთავარ დილემას – ან "One World" (ერთი მსოფლიო) ან რამოდენიმე დამოუკიდებელი დიდი სივრცეების ავტარქიის შექმნას. გეოეკონომიკურ დონეზე, დღეს საუბარი მიდის იმ დაპირისპირებამდე, რომელიც არსებობს გლობალურ გეოეკონომიკურ სივრცესა დ გეოეკონომიკურ ავტარქიას შორის, ანუ ეკონომიკის გლობალიზაციასა და ეკონომიკის ფრაგმენტაციას შორის. გეოეკონომიკური დაპირისპირების ფორმულა ამ შემთხვევაში შემდეგ სახეს მიიღებს: "ან/და გლობალიზმი + ლიბერალიზმი ან/და კონტინენტალიზმი + კომუნიტარიზმი + დიდი სივრცეების ავტარქია".

13.4. მოხმარების შრამმენტაციის გეოეკონომიკური პრობლემები

თანამედროვე გეოეკონომიკური სივრცის მნიშვნელოვანი სუბიექტები ხდებიან მსხვილი კორპორაციები, რომლებიც თავისი საქმიანობის ხასიათის მიხედვით პირობითად ორ ჯგუფში შეიძლება გავაერთიანოთ: ა) მრავალეროვნული; და ბ) გლობალური კორპორაციები.

მრავალეროვანი კორპორაციები მოქმედებენ რამდენიმე ქვეყანაში და წარმოება-გასაღების ადაპტირებას ახდენენ თითოეული ქვეყნის მიხედვით, მათი ინტერესების შესაბამისად. გლობალური კორპორაცია კი მუშაობს გლობალური ბაზრისათვის და ერთი სახეობის პროდუქციას აწარმოებს ყველა ქვეყნისათვის, რაც საშუალებას აძლევს მათ მნიშვნელოვნად შეამცირონ წარმოების დანახარჯები და გაზარდონ კონკურენ-

ტუნარიანობა".[229] გლობალური კორპორაციების წარმატება მნიშვნელოვანწილად ეფუძნება სხვადასხვა ქვეყნის მომხმარებელთა მიერ პროდუქციის აღიარებას. ბევრი მაგალითია იმისა, როცა იმ ქვეყნებშიც კი, სადაც მაღალია ნაციონალიზმის განვითარების დონე, გლობალური კორპორაციების პროდუქცია წარმატებით რეალიზდება. ამის მიზეზზე კი ამ პროდუქციის დაბალი თვითღირებულება და მაღალი ხარისხია. ამასთან, გლობალური კორპორაციების ძალიან მაღალი მოგება მათ საშუალებას აძლევს ფანტასტიკური სახსრები დახარჯონ რეკლამაზე, რომელიც მომხმარებლის ცნობიერებაში საკმაოდ დიდხანს რჩება.

ამჟამად, არა მარტო თბილისსა და საქართველოს დიდ ქალაქებში, არამედ მაღალმთიან სოფლებშიც კი შეგვხვდება იმავე კომპანიებისა და კორპორაციების რეკლამები და პროდუქცია, რომელთა ფირნიშები და საქონელი გვხვდება აშშ, დიდ ბრიტანეთში, ავსტრალიაში, ბელგიაში და რიგ მაღალგანვითარებულ ქვეყნებში (მაგალითად ისეთი კომპანიებისა, როგორიცაა „მაკდონალდსი", „კოკა-კოლა", „ნესკაფე", „მარლბორო", „პანასონიკი", „სონი" და ა.შ.)

მოხმარების მექანიზმები ახალ გეოეკონომიკურ სივრცეში სხვადასხვაგვარია. რიგ შემთხვევებში იგი იძენს რომელიმე ეროვნული კულტურის ექსპანსიის ფორმას. გლობალური საქონელი, რომელიც აღიარებულია მთელს მსოფლიოში, იმიტომ სარგებლობს წარმატებით, რომ იგი ასოცირდება რომელიმე კონკრეტულ ქვეყანასთან, რომელსაც ამ სფეროში გააჩნია მაღალი იმიჯი. (აღნიშნული განსაკუთრებით თვალნათლივ ვლინდება პარფიუმერიისა და მოდის სფეროში). სხვა შემთხვევაში მოხმარების გეოეკონომიკური სივრცის საფუძველია სა-

---

[229] Levit The. The Globalization of Martet // B, de Witt, R. Meyer(ed). Strategy. Process, content, context. An International Perspective. Minneapolis, St. Paul, New-York, Los Angeles, San Francisco, 1994, p. 482-489.

ქონლის მაღალი ხარისხი და მომსახურება (მაგალითად, ჰამბურგერი "მაკდონალდსიდან", კომპიუტერები IBM-დან და ა.შ).[230]

გლობალური წარმოება და გასაღება აყალიბებენ გლობალურ მომხმარებელს, მსოფლიო მოქალაქეს, რომელთაც ყველა ქვეყანაში ერთი და იგივე სურვილი გააჩნიათ და მომხმარებლის იდეალურ ტიპს განეკუთვნება. როგორც წესი მოსახლეობაში ვლინდება და ძლიერდება ამ იდეალური ტიპის დაახლოების ტენდენცია მსოფლიო მომხმარებლის საშუალო სტატისტიკურ მაჩვენებელთან.

გლობალური გეოინფორმაციის ფორმირებადი სისტემა აყალიბებს იმ მოთხოვნილებებსა და ინტერესებს, რომელიც "საერთოა ყველა ქვეყნის მცხოვრებისათვის, ხოლო თავის მხრივ, გლობალურ მოთხოვნილებებს მიეყავართ გლობალური პროდუქტების აღმოცენებამდე"[231] აღნიშნული პროცესი ვლინდება საქონლის სტანდარტიზაციასა და სავაჭრო მარკების უნიფიკაციაში.

გლობალური სტანდარტიზაციის მომდევნო დონეა მენეჯერული სტრატეგიისა და ტაქტიკის უნიფიკაცია, რომელიც მუშავდება გლობალური ბაზრისათვის, სადაც გამოირიცხება ადგილობრივ სპეციფიკასთან, მართვის ადაპტაციის მცდელობა.

ამდენად გლობალური სტანდარტიზაციის საფუძველს შეადგენს რამოდენიმე საწყისი გზავნილი:

• გლობალურ გეოეკონომიკურ სივრცეში მომხმარებელთა მოთხოვნილებები და ინტერესები სულ უფრო ერთგვაროვანი ხდება;

---

[230] Douglas S, Wind Y. The Myth of Globalization // B.de Witt, R. Meyer (ed) strategy. Progress, content, context. An International Perspective. Minneapolis, St. Paul, New-York, Los Angeles, San Francisco, 1994. p. 495-504.

[231] Ohmae K. Managing in a Borderless World // B. De B. de Witt, R. Meyer (ed) strategy. Progress, content, context. An International Perspective. Minneapolis, St. Paul, New-York, Los Angeles, San Francisco, 1994. p. 489-495.

• მსოფლიოს მოსახლეობა გარკვეულწილად მზად არის უარყოს ზოგიერთი საკუთარი უპირატესობის მინიჭება, რომელიც ეხება საქონლის (პროდუქციის) რიგ მახასიათებლებს, მის ფუნქციებს და დიზაინს, იმისათვის, რომ შეიძინონ შედარებით დაბალი ფასისა და მაღალი ხარისხის საქონელი;

• გლობალური ბაზრის არსებობა ფირმებს, კომპანიებსა და კორპორაციებს საშუალებას აძლევს მნიშვნელოვანი ეკონომია გააკეთონ წარმოებისა და მარკეტინგის დანახარჯებზე.

გეოეკონომიკური სივრცის გლობალიზაციის პარალელურად, რომელიც მიიჩნევა გლობალური ეკონომიკის საფუძვლად, სულ უფრო ხმამაღლა ისმის სკეპტიკოსების ხმებიც. ეს უკანასკნელნი, არ უარყოფენ რა საქონლის ბაზარზე გლობალიზაციის ძლიერი ტენდენციის არსებობას, მიუთითებენ იმ მრავალრიცხოვანი ბარიერების არსებობაზე, რომელიც ხვდება საქონლის სტანდარტიზაციას და პესპექტივას. უპირველეს ყოვლისა, ასეთია პროდუქტთა ადაპტაციის შემობრუნება თითოეული ბაზრის თავისებურებებისაკენ, ამ შემთხვევაში მოხმარების უნიფიკაციას უპირისპირდება ფრაგმენტაციის მძლავრი ტენდენცია. მარტო აშშ ჩატარებულმა გამოკვლევებმა გამოავლინა ფასეულობათა 9 ჯგუფი, რომელთა გარშემო ჩამოყალიბდა ცხოვრების სხვადასხვა სტილი. ამ გამოკვლევამ გამოავლინა რეგიონებს შორის დიდი დისპროპორციებიც. საერთოდ ცხოვრების სტილისა და რეგიონული განსხვავებების სიჯრელე დამახასიათებელია მსოფლიოს მრავალი ქვეყნისათვის.[232]

გასული საუკუნის 90-იან წლებში დაიწყო დასავლეთის ფირმების აქტიური შეღწევის პროცესი პოსტსოციალუსტური ქვეყნების ბაზრებზე. ამ ქვეყნებმა თავდაპირველად აიტაცეს დასავლური ეგზოტიკა, თუნდაც იგივე „სნიკერსის" სახით, ხოლო შემდეგ კი აღმოჩნდა, რომ დიდი განსხვავებები არსებობდა

[232] Douglas S, Wind Y. op.cit. p. 495-504.

გემოვნებაში. მაგალითად, ევროპის ბაზარზე რძიანი და მწვანე შოკოლადი წარმოდგელინია 85:15 და ამ რეგიონში უპირატესობას ანიჭებენ შოკოლადის ბატონებს და არა ფილებს. განვითარებული ეკონომიკის ქვეყნების უმეტესობაში კი პროპორცია საპირისპიროა, ამიტომ დასავლური კომპანიები ცდილობენ წარმოება გადაიყვანონ ადგილობრივ რეცეპტებზე. აღნიშნულ მოხმარების ფილოსოფიას ყველაზე უფრო აქტიურად ქადაგებს ბრიტანული კომპანია „კედბერი". 1997 წ. ამ კომპანიამ თავისი კლასიკური სავაჭრო მარკა გაამდიდრა ვერსიით – ნაითი", მწარე შოკოლადისაგან, შემდეგ კი შეუდგა მწარე შოკოლადის ფილების გამოშვებას უკვე კონკრეტული სახელმწიფოების გეოგრაფიული დასახელებების ეტიკეტის გამოყენებით. მსგავსი მაგალითები ძალზედ ბევრია, თუნდაც იგივე შვეიცარული კომპანია "ნესტლე", რომელიც გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნების ბაზარზე გამოჩნდა 1990-იან წლებში. ამ კომპანიამ შესძლო დაეპყრო ისეთი დიდი სახელმწიფოს ბაზარი, როგორიც რუსეთია. ამ ქვეყნის წამყვანი საკონდიტრო საწარმოების საკონტროლო პაკეტის შექმნის გზით მარტო ერთ საწარმოში "ნესტლეს" კომპანიამ სამი წლის განმავლობაში 40 მლნ. დოლარის ინვესტიცია განახორციელა, რითაც მნიშვნელოვნად გააფართოვა უკვე ადგილობრივ მომხმარებელზე ადაპტირებული საკუთარი პროდუქციის წარმოებისა და გასაღების მაშტაბები.

XXს. განმავლობაში ყოფილი საბჭოთა კავშირის, დასავლეთ ევროპის, ჩრდილოეთ ამერიკისა და აზიურ-წყნაროკეანურ რეგიონში დიდი ტემპებით ხორციელდებოდა ინდუსტრიალიზაციის პროცესი, რომელიც მიმდინარეობდა ჰიპერურბანიზაციის თანხლებითა და მძლავრი ტრანსნაციონალური მიგრაციული ნაკადებით. ეს ტენდენციები კი იწვევდა ეთნიკურად მრავალფეროვანი ქალაქების შექმნას და შესაბამისად მიმდინარეობდა ასიმილაციის ტენდენციების თანხლებით, რომელსაც ზოგიერთი მეცნიერი პროგრესის ნიშნად განიხილავდა (როგორც ეთნოსის გაქრობის, ან/და ახალი ერის დასაწყისი). მსოფლიოს ეს ახალი

ხედვა თაჯის გაბოხატულებას პოულობდა და პოულობს რო-გორც რუსული, ასევე რიგ დასავლურ კონცეფციებში (ძალიო-თად რუსიფიკაცია საბჭოთა პერიოდში, ნეოიმპერიალიზმი და შოვინიზმი რუსული მესიანელობის თანხლებით, ამერიკანი-ზაცია დასავლური ფასეულობების გავრცელებისა და ამერიკის ჰეგემონიზმის თანხლებით). საბედნიეროდ რუსულ კონცეფციას გამარჯვება არ ეწერა. საბჭოთა კავშირში ძალზედ პოპულა-რული იყო ხალხთა თანდათანობითი დაახლოების იდეა, ხოლო შორეულ პერსპექტივაში სსრკ ხალხთა კულტურული ასიმი-ლაციის სტიმულირება ე.წ საბჭოთა ხალხის ჩამოყალიბება. აღ-ნიშნული ტენდენცია, უპირველეს ყოვლისა, მიმდინარეობდა მოხმარების ეთნიკური თავისებურებების წაშლის თანხლებით. რაც შეეხება ამერიკანიზაციას, იგი ამჟამად განიხილება რო-გორც გრანდიოზული ქვაბსადნობი, სადაც ემიგრანტთა მრავა-ლრიცხოვანი ეთნიკური ჯგუფი ჩამოყალიბდა როგორც ერთი ხალხი – ამერიკელი ერი.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, XXს. პირველი ნახევრისათვის დამახასიათებელი იყო ერთი სახეობის პროდუქციის წარმოება, რომელიც ინდუსტრიალიზაციისათვის დამახასიათებელი თვისე-ბაა. ამ პროცესის სიმბოლო გახდა კონვეიერი, რომელმაც თა-ვის მხრივ მყარი საფუძველი შეუქმნა პოლიტიკურ და იდეოლოგიურ კონცეფციებს ეროვნული ურთიერთობების სფეროში. კერძოდ, მასობრივმა წარმოებამ წაშალა განსხვავე-ბები მოხმარების ფორმებში ცალკეული ეთნიკური ჯგუფების მიხედვით. მასობრივი ფაქტიურად ეს ნიშნავს იაფს და ხელმი-საწვდომს, რაც მძლავრი ეკონომიკური არგუმენტი და საშუ-ალებაა მოსახლეობაში ეთნიკური შეზღუდულობის წინააღმდეგ. თუმცა, უკვე გასული საუკუნეების 60-იან წლებში აშშ გა-მოჩნდა თეორიულ შრომებში, რომლებშიც გამოითქვა ეჭვი იმის შესახებ, თუ რამდენად ცალმხრივი იყო ეთნიკური ჯგუფების

ასიმილაციის ტენდენციები[233]. ამ სფეროში ემპირიულმა გამოკვლევებმა გამოაჟლინა ის, რომ ასიმილაციის ტენდენციებთან ერთად მკვეთრად იყო გამოკვეთილი საპირისპირო ტენდენცია (ფრაგმენტაცია), რომელიც აისახა ცალკეული ეთნიკური ჯგუფების სწრაფვაში თავიანთი შორეული სამშობლოს ეთნიკური კულტურის აღორძინებასა და მის შენარჩუნებაში. მაგალითად, ზანგების მოძრაობამ სამოქალაქო უფლებებისათვის, აფრიკული კულტურისადმი დიდი ინტერესი გამოიწვია, ეს ტენდენცია დამახასიათებელი იყო ყოფილი სსრკ-თვისაც, რომელიც ბოლოს და ბოლოს დაინგრა. ბევრი მკვლევარი ვარაუდობს, რომ არათუ ასიმილაცია, არამედ ეთნიკურობა იქნება დომინირებადი გეოეკონომიკური და გეოსოციალური განვითარების მომავალი[234]. 1970-იან წლებში გამოთქმული ეს მოსაზრება XXI ს. დასაწყისშიც ინარჩუნებს თავის აქტუალობას.

ეთნიკური გამოყოფისაკენ სწრაფვამ თავისი ასახვა ჰპოვა მოხმარებაშიც. სადაც სულ უფრო იკვეთება მოსახლეობის ერთი ნაწილის მისწრაფება, სწორედ მოხმარების პროცესში მოახდინოს საკუთარი ეთნიკური კუთვნილების დემონსტრირება. პოსტფორდიზმის ეპოქის დადგომამ, რომელიც ხასიათდება მოქნილი ტექნოლოგიების ბატონობით და შეუძლია პროდუქციის პატარა პარტიებით გამოშვება (ისე რომ ზიანი არ მიადგეს თვითღირებულებას) მატერიალურად გაამყარა ტენდენცია, რომელიც უკავშირდება მასობრივი მოხმარების ეთნიკური საზღვრების კიდევ უფრო განმტკიცებას. ბევრ ქვეყანაში ვითარდება ბიზნესი, რომელიც დაკავშირებულია მოხმარების კულტივირებისაკენ სწრაფვასთან და ეთნიკური სიმბოლოების

---

[233] უფრო დაწვრილებით იხ.: Glazer N, Mogniham D.P. Beyond the Melting Pot. Cambridge: MRR Press, Harvard University Press, 1963.

[234] უფრო დაწვრილებით იხ.: Glazer N, Mogniham D.P (Eds). Ethnicity: Theory and Experience. Cambridge, M.A: Harvard University Press, 1975.

გააქტიურებასთან (მაგ: ეროვნული კერძი, ტრადიციული სამოსის ელემენტები, ეროვნული სუვენირების წარმოება და ა.შ) თუ მომავალში ეს ტენდენცია გაძლიერდება, მაშინ ეთნიკური ფაქტორის როლი მოხმარებაში გაიზრდება, რაც გეოეკონომიკურ სივრცეს კიდევ უფრო ფრაგმენტულს გახდის, თუნდაც იმიტომ, რომ მარკეტინგის სპეციალისტთათვის და მეწარმეთათვის ეთნიკური სიჭრელე ნიშნავს ბაზრის ეთნიკურ სეგმენტაციას. თითოეული ეთნიკური ჯგუფი გეევლინება როგორც განსაკუთრებული სეგმენტი, რომელიც აყენებს სპეციფიკურ მოთხოვნებს, რომლის დაკმაყოფილებამაც შეიძლება მოიტანოს მოგება. ეთნიკური სეგმენტაციის მექანიზმის საფუძველია ფაქტორთა ორი ძირითადი ჯგუფი. უპირველეს ყოვლისა, ეთნოსის არსებობის თავისებურება მეტნაკლებ დაღს ასვავს მის სტილსა და მოხმარების მაშტაბებს, რომლებიც მოცემულ შემთხვევაში გეევლინება ეთნიკური ნიშნის სახით. მაგ: ხალხი, რომელიც მისდევს ვთქვათ, მეირმეობას, ხასიათდებიან მოხმარების სპეციფიკური სტილით, რომელიც განსხვავდება იმ ხალხის მოხმარების სტილისაგან, რომლებიც ცხოვრობენ მეგა ან ტექნოპოლისებში ან სულაც სამხრეთის რეგიონებში და სუბტროპიკულ მეურნეობით არიან დაკავებულნი. ამასთან, გეოეკონომიკური განვითარების დონე ასევე მნიშვნელოვანი საგარეო ფაქტორია, რომელიც განსაზღვრავს მოხმარების დონეს, სტილს და შესაბამისად ფრაგმენტაციის ხარისხს. მეორეს მხრივ, კი მოხმარების სტილი შეიძლება მოგეეელინოს როგორც სიმბოლო, ანუ როგორც შეგნებულად კონსტრუირებადი ნიშანი, რომელიც საშუალებას იძლევა აღინიშნოს ეთნიკური კუთვნილება და გარკვეული საზღვარი გაივლოს ასე ვთქვათ „თავისიანებსა" და „უცხოებს" შორის. ამ შემთხვევაში მოხმარებაში ეთნიკური განსხვავებანი ყველაზე უფრო მეტად შეინიშნება იმ სიტუაციებში, როცა ხდება ეთნიკური ურთიერთობის ესკალაცია, ან კონფლიქტები. ამასთან, ძალზედ ხშირად, შენიღბული დაძაბულობა და გაუცხოება ვლინდება მოხმარე-

ბის სტილში. ეს უკანასკნელი კი, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში ვლინდება, როცა ეთნიკური ჯგუფი გრძნობს ასიმილაციის საფრთხეს და უპირისპირდება მას, რომლის დროსაც აფიქსირებს თავის ეთნიკურ თავისებურებას მოხმარების სპეციფიკის მეშვეობით.

ნაწილი VI. გლობალური გეოეკონომიკა

თავი 14. გლობალური გეოეკონომიკური ცვლილებების ტექნოლოგია

14.1 გეოეკონომიკური რეალობა და გლობალიზაციის თეორია

იმისათვის, რომ დაისახოს ეროვნული განვითარების გრძელვადიანი სტრატეგია, საჭიროა რიგი იმ საწყისი პრინციპული პოზიციების მოხაზვა, რომლებიც სტრუქტურულად წინასწარ განსაზღვრავენ სტრატეგიის კონცეფციას და მისი რეალიზაციის საშუალებების არსენალს. ამ შემთხვევაში წამყვან მომენტად გვევლინებიან: ა) მსოფლიო განვითარების ცენტრალური ვექტორის გაცნობიერება; ბ) ამ ვექტორის შესაბამისად ქვეყნის საგარეო პოლიტიკის აგება; გ) ეროვნული ინტერესებისა და ამ რანგში კორპორატიული სტრუქტურის ადგილის განსაზღვრა.

გეოეკონომიკა, როგორც XXI ს. განვითარების ცენტრალური ვექტორი, ახლებურად განსაზღვრავს ქვეყნის განვითარების სტრატეგიასა და მის რეალიზაციაში საგარეო პოლიტიკის კურსს. თავის მხრივ, ამ პოლიტიკის კონტურები განისაზღვრება მსოფლიო სისტემის რესტრუქტურიზაციის იმ რეალური პროცესების ბაზაზე, რომელიც აღინიშნება გლობალიზაციისა და რეგიონული ინტეგრაციის პირობებში. მსოფლიოში მოხდა ხარისხობრივი ცვლილებები. გეოპოლიტიკური მიდგომები ღრმად ტრანსფორმირდება, რითაც გეოპოლიტიკა იძენს ახალ შეფერილობას. ყალიბდება მსოფლიო სისტემისა და პოლიტიკის ახალი კარკასი, რომელსაც ახასიათებს შემდეგი მომენტები:

•იშლება საზღვარი საშინაო და საგარეო პოლიტიკებს შორის. ამასთან, ძალიან სწრაფად იკრებს ძალებს პოლიტიკის ეკონომიზაცია, რითაც დომინანტი ხდება გეოეკონომიკური სიერცე;

•მსოფლიოში ჩამოყალიბებულმა ყველაზე უფრო პერსპექტიულმა მიმართულებებმა, ტექნოლოგიურმა განვითარებამ და მოძრავი ტრანსსასაზღვრო კვლავწარმოებადი სისტემების რესურსულმა უზრუნველყოფამ სამხედრო კომპონენტი გაიყვანა ახალ მიჯნაზე. შეიარაღებული ჯარები ფუნქციურად ტრანსფორმირდება, ისინი ამჟამად იცავენ არა მარტო ეროვნული სახელმწიფოების სუვერენიტეტს, არამედ ტრანსნაციონალიზირებული სტრუქტურების ეკონომიკურ საზღვრებსაც (გეოეკონომიკური ინტერესები, პლაცდარმები, პრეროგატივები);

• ამ პირობებში ეროვნული სახელმწიფოს როლი ტრანსფორმირდება, მათ შორის ყველაზე განვითარებული ქვეყნები გარდაიქმნებიან ტრანსნაციონალიზირებულ „ქვეყანა-სისტემებად". მათ უკვე აღარ შეუძლიათ ანგარიში არ გაუწიონ ზენაციონალურ ტენდენციებს ეკონომიკის, ინფორმაციის, ფინანსურ, სოციალურ, სამხედრო, პოლიტიკურ და სხვა სფეროებში. ეროვნული სახელმწიფოები იწყებენ გლობალური მეწარმის როლის თამაშს, ახდენენ რა სტრატეგიული ეროვნული ინტერესების და მძლავრი ფინანსურ-საკრედიტო-საბანკო სტრუქტურების მისწრაფებების, ტრანსნაციონალური კომპანიების, რეალიზაციის ფუნქციების დელეგირებას;

• ძირეულად იცვლება საგარეო პოლიტიკური მოტივაცია, სადაც „ქვეყანა სისტემები" აყალიბებენ მსოფლიო შემოსავალს. ამ შემოსავლის ფორმირებასა და განაწილებაში მონაწილეობა ეროვნული ეკონომიკებისათვის წარმოადგენს უმაღლეს მოტივაციურ სტიმულს, რომელიც ხორციელდება მაღალი გეოეკონომიკური ტექნოლოგიების გამოყენებით;

• ტრადიციული საგარეო ეკონომიკური დოქტრინები კარგავენ თავის ძალას. საგარეო ვაჭრობის ოპერირება უკვე მიმდინარეობს არა მსოფლიო ბაზარზე, არამედ ახალ სტრატეგიულ სივრცეში – მსოფლიო გეოეკონომიკურ ატლასზე. სავაჭრო ომები წარსულს ბარდება. მათ ადგილს იკავებს გეოეკონომიკური ომები თავისი გაცილებით საშიში მეთოდებით. სამხედრო

ფაქტორის ზემოქმედების გარეშე მიმდინარეობს ეროვნული ეკონომიკური სტრუქტურების ნგრევა, მსოფლიო შემოსავლების ეროვნულ შემოსავალში გადაქაჩვა და როგორც შედეგი, ხდება სოციალური დეფორმაცია. თავის განვითარებას პოულობს „არაპირდაპირი მოქმედებების" სტრატეგია;

• ის საერთაშორისო ორგანიზაციები და ინსტიტუტები, რომლებიც ჩამოყალიბდნენ ომის შემდგომ პერიოდში გეოპოლიტიკური მიზნების განსაზღვრისათვის, მსოფლიოს გეოეკონომიკური ტრანსფორმაციის პირობებში ქმედითუნარიანები აღარ არიან. ამიტომ დღის წესრიგში დგება მსოფლიო ეკონომიკური სტრუქტურების ისეთი ახალი სისტემის ჩამოყალიბება, რომელებიც ასახავენ ახალ გეოეკონომიკურ რეალიებს;

• გეოეკონომიკურ სივრცეში ჩამოყალიბებულმა მძლავრმა ზენაციონალურმა სტრუქტურებმა არა მხოლოდ მნიშვნელოვნად შეასუსტეს ეროვნული სუვერენიტეტი, არამედ გახდნენ თვითუზრუნველყოფადნი, თვითორგანიზებადნი და თვითგანვითარებადი სისტემები. ეს ტენდენცია განსაკუთრებით დამახასიათებელია საკრედიტო ფინანსური სფეროსათვის. დაკარგა რა კავშირი კვლავწარმოებად ციკლებთან, მსოფლიო ფინანსური დინებების მოძრაობამ გამოიწვია ძნელადმართვადი სპეკულაციური კაპიტალის სწრაფი ზრდა და ეროვნული ფინანსური და საკრედიტო ურთიერთობების დეფორმაცია. ფინანსური დუალიზმი, ანუ მსოფლიო ფინანსური სისტემის გაყოფა რეალურ და ვირტუალურ ნაწილებად, მრავალ პრობლემას სხვანაირად წარმოაჩენს. კერძოდ, საუბარია საგარეო ვალზე და მისგან ვირტუალური შემადგენლის გამოცალკევებაზე, გეოეკონომიკური კონტრიბუციის სტატისტიკურ აღრიცხვაზე და სხვა.

ზემოთ აღნიშნული მიუთითებს იმაზე, რომ მსოფლიო თანდათან ჯდება განვითარების გეოეკონომიკურ პარადიგმაში, რითაც გეოეკონომიკა სულ უფრო მეტად კარნახობს საგარეო პოლიტიკური თამაშის წესებს მსოფლიო არენაზე. იმისათვის,

რომ მოხდეს ეროვნული განვითარების გეოეკონომიკური პარადიგმის რეალიზაცია აუცილებელია რამოდენიმე პირობა:

• ინსტიტუციონალურად იქნას გაფორმებული საგარეო ეკონომიკური კავშირების გეოეკონომიკური მოდელი, რაც ნიშნავს, ისეთი ახალი ორგანიზაციულ-ფუნქციონალური სისტემის ფორმირებას, რომელსაც შესწევს უნარი გადააქციოს ეროვნული სახელმწიფო „ქვეყანა სისტემად";

• პირველ ეტაპზე აუცილებელია განისაზღვროს შედარებით მომზადებული და მძლავრი ფინანსურ-სამრეწველო ჯგუფების საბოლოო რიცხოვნობა, რომელთანაც სახელმწიფომ შეიძლება მოახდინოს თავისი გეოეკონომიკური მიზნებისა და ინტერესების რეალიზაციის დელეგირება. ფინანსურ-სამრეწველო ჯგუფების მონაცემები იღებენ სტრატეგიული კორპორაციების სტატუსს და სპეციფიკურ შეღავათიან პირობებს, რომელიც საშუალებას იძლევა მობილურად განახორციელონ ძალთა გადაჯგუფება, დამოუკიდებლად მიიღონ ოპერატიული ხასიათის გეოეკონომიკური გადაწყვეტილება და ა.შ;

• ასეთი სტრუქტურები აუცილებელია, რომ ფლობდნენ მაღალ გეოეკონომიკურ ტექნოლოგიებს, რომელიც თავის მხრივ უზრუნველყოფენ მსოფლიოს გეოეკონომიკურ სივრცეში ოპერირებასა და შესაბამისად გასვლას ტრანსსასაზღვრო ფინანსურ დინებებზე;

• აუცილებლად უნდა იქნას გადახედილი სამხედრო კომპონენტის როლი ეროვნული სახელმწიფოს გეოეკონომიკურ მისწრაფებაში. კერძოდ, სტრატეგიულ ფინანსურ-სამრეწველო სტრუქტურებში უნდა მოხდეს სამხედრო კომპონენტის, ასე ვთქვათ, "ჩაშენება". საუბარია კორპორაციული სტრუქტურების უახლესი კლასის ფორმირებაზე სამხედრო, ინტელექტუალური, ფინანსური და სამრეწველო სიმბიოზის ბაზაზე;

• მსოფლიოს გეოეკონომიკურ ატლასზე აუცილებელია სახელმწიფოს სტრატეგიული კორპორაციების ოპერირების ზონების გამოყოფა. რისთვისაც უნდა დამუშავდეს სახელმწიფოს

ეროვნული გეოეკონომიკური ატლასის ვერსიები (ასეთი ატლასის დამუშავების ელექტრონული ვერსიის იდეა ეკუთვნის ე. კოჩეტოვს–გ.კ), გეოეკონომიკური მისწრაფებების, პლაცდარმები, გაელენის ზონებისა და ა.შ, გამოყოფით;

- კონცეფტუალურად უნდა იქნეს გადახედული ქვეყნის განვითარების ეროვნულ სტრატეგიაში ენერგეტიკული და სანედლეულო კორპორაციების როლი. გეოეკონომიკური მიდგომა გულისხმობს ახლებურად განისაზღვროს ამ ტიპის კორპორაციების სტატუსი.

ამდენად, გეოეკონომიკური სტრატეგიები ქვეყნას ჭირდება იმისათვის, რომ მოახდინოს გადასვლა სავაჭრო–საშუამავლო მოდელიდან საგარეო ეკონომიკური კავშირების კლავეწარმოებად მოდელზე ვინაიდან გეოეკონომიკური პარადიგმა ითხოვს თავის ინსტიტუციონალურ გაფორმებას და ახალ მაკროორდინირებულ სტრუქტურებს.

14.2 გეოეკონომიკური იმპერატივი

გასული საუკუნის დასაწყისში ინდუსტრიულმა ეკონომიკამ განიცადა უსწრაფესი განვითარება, რომელიც გამოწვეული იყო მეცნიერულ-ტექნოლოგიური პროგრესითა და შრომის ორგანიზაციის ახალი ფორმებით. თუმცა, "იაფფასიანი საგნების" დიდმა რაოდენობამ, გამოიწვია ჭარბწარმოების გაჭიანურებული კრიზისი, სამუშაო ძალის სიჭარბე, ხოლო შემდგომ სერიოზული სოციალური კრიზისი.

აშკარაა, რომ ეკონომიკური და პოლიტიკური მექანიზმები საჭიროებდნენ სერიოზულ მოდიფიცირებას ამასთან, გლობალურ მასშტაბებში. მსოფლიო იმპერიების (ზონალური გლობალიზაცია) მიერ პლანეტის ადრინდელი განაწილებას ასევე უნდა დაეთმო ადგილი გლობალური მართვის ახალი თაობის ტექნოლოგიებისათვის.

XX ს. განმავლობაში მსოფლიოში აღმოცენდა ახალი წესრიგის ორგანიზაციის სხვადასხვა ვერსიები (კომუნისტური, ნა-

ციონალ-სოციალისტური, კორპორატიული, ნეოლიბერალური). საზოგადოებაში გაელენიან პოზიციებს იკავებს მმართველთა კლასი (ახალი კლასი), ყალიბდება რთული ნაკეთობებისა და მომსახურების გადახდისუნარიანი მომხმარებლის ახალი ფენა (საშუალო კლასი); ყალიბდება ახალი სოციალური გარემო (მასობრივი მოხმარების საზოგადოება), ხოლო ადრე არსებული საზოგადოებრივი ცნობიერების ფორმები (პროტესტანტული ეთიკა), რომელიც აკავებდა საქონლისა და მომსახურების ჭარბი მოთხოვნილების ინსტიქტს, ადგილს უთმობს ჰედონისტურად ორიენტირებულ მსოფლმხედველობას, რომელიც თავში აყენებს კომფორტსა და უსაფრთხოებას. აღნიშნულის პარალელურად ვითარდება (საკმაოდ ფართო დიაპაზონით), მატერიალური ფასეულობების დესტრუქციის ინდუსტრია, დაწყებული მოდის აგრესიული და დახვეწილი გემოვნებიდან (ხელოვნური მოხმარება) დამთავრებული მაღალტექნოლოგიური ომებით.

ფიზიკური და ეკოლოგიური შეზღუდვა, რომელიც უკავშირდება ბუნების შესაძლებლობებს რესურსების ინტენსიურად მოხმარების, პირობებში გარკვეულ შეშფოთებას იწვევს, რაც აისახა ცივილიზაციის პროგრესის სტრატეგიის ალტერნატიული პროექტების შექმნის კონსტრუირების მცდელობებში. თუმცა ეს შეშფოთება მნიშვნელოვანწილად დაძლეული იქნა არამატერიალური (ცოცხალი) წარმოების ინტენსიური გავითარების ხარჯზე, პოსტინდუსტრიული ეკონომიკის მთელი კორპუსის ფორმირებისა და დამკვიდრების პროცესში.

სერვისის მაღალპროფესიული მომსახურების ეკონომიკამ, ციფრულმა (digital economy) და ცოდნის ეკონომიკამ (knowledge-based economy), მკვეთრად გააფართოვა ბუნებადტევადი ეკონომიკის დეფორმირებული პრობლემის "ზრდის ზღვარის" ჰორიზონტი.

ინოვაციური ეკონომიკა მნიშვნელოვნად ამცირებს აღნიშნული შეზღუდვების მნიშვნელობას. ინფორმაციულ ეკონომიკას კი ასეთი შეზღუდვები პრაქტიკულად არ გააჩნია. ეჭ

სპანსიის ზრდის შესაბამისად ბუნებრივი რესურსების მოხმარება კი არ იზრდება, არამედ მცირდება, კერძოდ მიმდინარეობს სამრეწველო მექანიზმების მინიატურიზაცია (ნანოეკონომიკა) და ოპტიმიზაცია, რიგ ახალ დარგებს გააჩნიათ გამოკვეთილი ვირტუალური ხასიათი. ამასთან შემოქმედებით უნარს, განსხვავებით სანედლეულო და ბიოსფერულ რესურსებთან, გააჩნია განახლებადი და ამოუწურავი ხასიათი.

ამჟამად მსოფლიოში იხაზება რთული, მთლიანი კომპოზიციის კონტური, რომელიც აერთიანებს ეროვნულ ეკონომიკებს შრომის დანაწილების ახალი ფორმულის საფუძველზე. მსოფლიო ეკონომიკა დიდი ხნის განმავლობაში წარმოადგენდა მოედანს (ობიექტს), რომელზედაც სუბიექტების რანგში მოქმედებდნენ ეროვნული სახელმწიფოები. თუმცა, XX ს. დასასრულს, როცა ჩამოყალიბდა გლობალური ბაზარი, კრახი განიცადა ალტერნატიულმა (სოციალისტურმა) სისტემამ. ეკონომიკური სახელოსნოს გენერალური სუბიექტის ხარისხი თანდათან გადადის ტარნსნაციონალურ "შტაბურ ეკონომიკაში'. ამავდროულად ეროვნული ეკონომიკები ტრანსფორმირდებიან გლობალური ბაზრის თავისებურ ობიექტებად და ერთიანდებიან გეოეკონომიკურ რეგიონებში.

გლობალური ეკონომიკის წიაღში ნაბიჯ–ნაბიჯ შენდება ეკონომიკის გალაქტიკის ფინანსურ–სამართლებრივ რეგულირებას რთულად დაქვემდებარებული კონსტრუქცია, რომელიც ერთ მთლიანობაში აქცევს აგრარული, ინდუსტრიული და პოსტინდუსტრიული აქტიობის ფორმებს. აღნიშნულის შედეგად დედამიწაზე ყალიბდება გეოეკონომიკური რეგიონების სისტემა, რომლებიც ერთმანეთთან შეერთებულია რესურსული დინებებისა და რენტის (კვაზირენტის) გადასახადების ძაფებით. "ამ შემთხვევაში იმპერიასთან ანალოგია გამართლებულია, რადგან მსოფლიო კაპიტალიზმის სისტემა იმართება მათ მიერ, ვინც მას (ამ სისტემას-გ.კ) ეკუთვნის და ძალიან რთულია მისგან თავის დაღწევა, – წერს ფინანსისტ–ინტელექტუალი ჯ.სოროსი.

უფრო მეტიც ამ სისტემას, როგორც ნამდვილ იმპერიას, გააჩნია ცენტრი და პერიფერია. კიდევ უფრო მნიშვნელოვანია ის, რომ მსოფლიო კაპიტალიზმის სისტემა აელენს იმპერიალისტურ ტენდენციებს... ის არ შეიძლება იყოს დამშვიდებული მანამდე, ვიდრე არსებობს რომელიმე ბაზარი ან რესურსები, რომლებიც ჯერ კიდევ არ არის ჩართული მის (კაპიტალისტური სისიტემის-გ.კ.) ორბიტაში. ამ მხრივ, იგი ნაკლებად განსხვავდება ალექსანდრე მაკედონელის ან ჰუნების ატილას იმპერიებისაგან, ხოლო მისი ექსპანსიონისტური ტენდენციები შეიძლება გახდეს მისი სიკვდილის დასაწყისი[235].

პოსტინდუსტრიული გარემო და ბაზრის ტრანსნაციონალური ხასიათი, კომუნიკაციების ახალ საშუალებებთან უნისონში, ხელს უწყობენ გლობალური ეკონომიკის დინამიური პერსონაჟების გაჩენას. მათ შორის იმ მრავალფეროვანი ამბიციური კორპორაციების შექმნას, რომლებიც ითვისებენ ახალ ეკონომიკურ სივრცეებს და ხშირად ახასიათებს ტრანსეკონომიკური მიზანმიმართულება. ამასთან, ფართოდ იყენებენ ახალაღმოცენებული რესურსებს, ისეთებს როგორიცაა: ადამიანის (საკადრო), ინტელექტუალური, სიმბოლური, სოციალური, კულტურული და ა.შ, რომლებიც ეფექტურად უხამებენ ეკონომიკურ აქტივობას საქმიანობის სხვა ტიპებს.

14.3 მაღალი გეოეკონომიკური ტექნოლოგიები

შტაბის ეკონომიკა, რომელიც ეკონომიკური მექანიკის ფორმულირებას ახდენს, ოპერირებს მაღალი გეოეკონომიკური ტექნოლოგიებით, რომლებიც არათუ უზრუნველყოფენ მნიშვნელოვან მოგებას, არამედ მნიშვნელოვნად განსაზღვრავენ რესურსული და ფინანსური დინებების ტრაექტორიას, მსოფლიო შემოსავლების განაწილებისა და გადანაწილების კარტოგრაფიას. მაგალითად, ასეთ ტექნოლოგიათა რიცხვს განე-

---

[235] Сорос Дж. Кризис мирового капитализма. Открытое общество в опасности.\пер.с англ.М. 1999. с. 114

კუთვნება მსოფლიო სარეზერვო ვალუტის ტექნოლოგია, რომლის მოდიფიცირება მოხდა 1971–1973 წწ. ახალი ფულის ფენომენის სახით. ამ წლებში, როგორც ცნობილია, აშშ-მა, რომელიც წარმოადგენდა მსოფლიო სარეზერვო ვალუტის ფაქტიურ ემიტენტს (ფულადი ემისიის გამომშვებს), უარი თქვა დოლარის ოქროს პარიტეტზე, რითაც ფულმა შეიძინა თავისებური "ალქიმიური" ხასიათი. კერძოდ, მათი მნიშვნელობა საბოლოო ჯამში განისაზღვრება, აშშ სიმბოლური კაპიტალით, მისი გლობალური მართვის შესაძლებლობებით და არა ამა თუ იმ მატერიალური რესურსებით. უფრო მარტივად რომ ვთქვათ, ახალი ფული–არის ფული, რომელიც არაა უზრუნველყოფილი ძვირფასი ლითონებით. უფრო მეტიც, იგი არაა უზრუნველყოფილი ეროვნული სახელმწიფოს ქონებით, რაც საფუძველს იძლევა ვთქვათ, რომ აშშ გაკოტრება შეუძლებელია, და სწორედ იმიტომ, რომ ეს ქვეყანა წარმოადგენს ამ ახალი ფულის ემიტენტს. სხვა სიტყვებით კი დოლარს ემუქრება მხოლოდ დევალვაცია, რომლის დროსაც აშშ ფინანსური კუთხით არათუ ზარალობს, არამედ გარკვეულ მოგებასაც ნახულობს, ვინაიდან წარმოადგენს რა პერმანენტული ინფლაციის ობიექტს – ფული (მოვალეობა) „ლპება".

ჩვეულებრივი საბანკო ტექნოლოგია კი შემდეგნაირად მოქმედებს: ადამიანი ან საწარმო ფულს სესხულობენ ბანკიდან და იხდიან პროცენტს, მაგრამ თუ მოხდება ვალის ხელწერილის, როგორც უნივერსალური ფულის ემიტირება, ყველაფერი მოხდება ზუსტად საწინააღმდეგოდ. კერძოდ. ჩვენ ვესესხულობთ მსოფლიოსაგან, ხოლო მსოფლიო ამისათვის იხდის პროცენტს. დოლარის ბანკნოტები ან შესაბამისი ელექტრონული გადასახადები (სესხის ამღების ხელწერილში) შემდგომ წარედგინება ემიტენტს (თუ წარედგინება). ვთქვათ მისი იმ საქონლის გადახდისათვის რომელიც უკვე გაუფასურებულია, ამ შემთხვევაში ინფლაციის პროცენტი ავტომატურად გამოკლებულია. სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ, ტრადიციული საბანკო სქემა "კრედი-

ტორი–სესხის ამღები" მოცემულ შემთხვევაში პირდაპირ საპირისპიროდ იცვლება–კრედიტორი უხდის სესხის ამღებს პროცენტს, რომელიც გაუფასურების პროცენტის ტოლია.

შემდეგ მაღალ გეოეკონომიკურ ტექნოლოგიას წარმოადგენს გლობალური ვალი, რომლის გენეზისი დაახლოებით იმავე პერიოდს (1971–1973წწ) განეკუთვნება. 1973წ. გაჩაღდა ნავთობის კრიზისი, რომლის დროსაც ნავთობზე ფასებმა ძალიან სწრაფად მოიმატა, ნავთობმომპოვებელი ქვეყნების შემოსავლები კი სერიოზულად გაიზარდა და ევროდოლარების მნიშვნელოვანი მოცულობა შეიჭრა მსოფლიო ფინანსურ-ეკონომიკურ სისტემაში.

ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნები ამ დროს არ ფლობდნენ ისეთ ინფრასტრუქტურას, რომელთაც შეეძლებოდათ ჭარბი ფინანსების აბსორბაცია (ათვისება), ამიტომ მათ არ შეეძლოთ ეფექტურად გამოეყენებინათ ეს დიდი სიმდიდრე. რჩებოდა ერთადერთი გზა ეს ფული შეეტანათ საიმედო ევროპულ ბანკებში, (რასაც აკეთებენ კიდეც ეს ქვეყნები). ეს ბანკები კი თანდათანობით ივსება, კრედიტი საკმაოდ იაფი ხდება, ფული თანდათან იწყებს ლპობას, ხოლო როცა ფული უძრავად დევს, საბანკო დაწესებულებებს ემუქრება გაკოტრება. ინფლაცია მსგავს შემთხვევაში თავისით იზრდება. კრედიტების გაცემა ხდება ნაკლებად სანდო მსესხებლებზე და ბანკებისათვის ნაკლებად ხელსაყრელი პირობებით. ბოლოს და ბოლოს კი სესხების გაცემას იწყებენ ისეთი პროცენტით, რომელიც პრაქტიკულად უფრო დაბალია ვიდრე ინფლაციის დონე.

აღნიშნულ სტადიაზე ("ფინანსური სიუხვის კრიზისი") სიტუაცია ნაწილობრივ იქნა შერბილებული. ამ პერიოდში განვითარებული დეკოლონიზაციის პროცესით, რომელმაც გააფართოვა საკრედიტო ოპერაციების სივრცე. ამ დროს აღმოცენდა მრავალი სახელმწიფო, რომლებიც სიამოვნებით იღებდნენ სესხად ფულს და არანაკლები სიამოვნებით ხარჯავდნენ მას (შენდებოდა სტადიონები, სასახლეები, იწყებდნენ ახალ პროექტებს,

გადაქონდათ ფული ბანკიდან ბანკში და ა.შ), ხოლო როცა დგებოდა ვალის გადახდის დრო, ფინანსური დაწესებულებები იღებდნენ ახალ კრედიტებს წინა კრედიტების დაფარვის მიზნით.

1980-იანი წლების დასაწყისისათვის სიტუაცია დრამატულად შეიცვალა. ნავთობზე ფასების ახალი მომატების პირობებში ინფლაციურმა პროცესებმა მოითხოვა საკმაოდ მკაცრი ზომების მიღება, მათ შორის საპროცენტო განაკვეთის ზრდა. ამასთან „ოქროს მილიარდის" ქვეყნებში ამ დროისათვის ამოქმედდა ისეთი ფინანსურ-ეკონომიკური მექანიზმები, რომლებიც საშუალებას იძლეოდა ბუნებრივი რენტა გადანაწილებულიყო მათ სასარგებლოდ. ბოლოს კი უმსხვილეს სესხის ამღებად მოგვეელინა აშშ, რომელიც რიგი გარემოებების გამო შეეჯახა სახელმწიფო დანახარჯების პერმანენტულ ზრდასა და ბიუჯეტის დეფიციტს, რომლის უმთავრესი მიზეზი იყო ხელისუფლებაში რ. რეიგანის ადმინისტრაციის მოსვლა, რომელმაც დაიწყო თავდაცვაზე დანახარჯების მკვეთრი ზრდის პოლიტიკის გატარება.

საკრედიტო ბაზრების გაღატაკებამ შექმნა ადრე აღებული ვალდებულებების გადახდის პრობლემა, რიგმა განვითარებადმა ქვეყნებმა იგრძნო დაკარგული ათწლეულის "სრული უაზრობა". იმავდროულად გამკაცრდა საბანკო თანამეგობრობის პოლიტიკა, რომელიც გლობალური დეფოლტის წინაშე აღმოჩნდა, რომლის პირველი მერცხალი იყო 1980-იანი წლების დასაწყისის ვალის კრიზისი.

აღნიშნული სიტუაციის მშველელად მსოფლიოს მოევლინა საბანკო დაწესებულებების გადასვლა კოლექტიურ მოქმედებებზე. (შემთხვევით არაა, რომ ამ პერიოდში ასპარეზზე გამოვიდა ისეთი გაელენიანი საკრედიტო ორგანიზაციები, როგორიცაა პარიზისა და ლონდონის კლუბები). ჩიხიდან გამოსვლის კომპლექსი სტრატეგიის სათავეში მოექცნენ საერთაშორისო ეკონომიკური ორგანიზაციები, კერძოდ საერთაშო-

რისო სავალუტო ფონდი და რეკონსტრუქციისა და განვითარების (მსოფლიო ბანკი) ბანკები, რომლებიც ბრეტონ–ვუდსი სისტემის ჩარჩოებში სხვა მიზნებისათვის იქნა შექმნილი და რომლებმაც ახალი სიცოცხლე შეიძინა 1970-იანი წლების ბოლოსა და 1980-იანი წლების დასაწყისში. სწორად შეაფასეს რა პერსპექტივები. მათი ძირითადი სტრატეგია გახდა სესხის ამღები ქვეყნებისათვის ვალის რესტრუქტურიზაცია, მათი ფინანსური მდგომარეობის სანაცია, ბიუჯეტის დეფიციტის შემცირება, ეროვნული ეკონომიკების სტრუქტურული გარდაქმნა, რომელიც უკავშირდებოდა ფართო პრივატიზაციას, ფასებისა და საგარეო ვაჭრობის ლიბერალიზაციას, რაც იწვევდა ექსპორტის ზრდას და ა.შ. საბოლოო ჯამში მსოფლიო ფინანსურმა სისტემამ გაუძლო ვითარებას, თუმცა გლობალურმა ეკონომიკამ შეიძინა ხარისხობრივად სხვა სახე.

პერიფერიული ეკონომიკების გლობალურ ბაზართან ადაპტაციის ტექნოლოგიების ანალიზში (სტრუქტურული გარდაქმნებისა და ფინანსური სტაბილიზაციის პროგრამები), ყურადღებას იპყრობს შემდეგი გარემოებები: უპირველეს ყოვლისა, განვითარებადი ქვეყნების მსოფლიო ეკონომიკის დინამიკაში ინტეგრაციის ძველი რეცეპტებისაგან განსხვავებით ახალი ტექნოლოგიების ალგორითმები მიმართულია არასაპირწონე სიცოცხლისუნარიანი, მაგრამ მსოფლიო შემოსავლების გადანაწილების მდგრადი მოდელის ფორმირებისაკენ. მეორეს მხრივ, ახდენს რა ფინანსური გარემოს სტაბილიზაციის და მისი განვითარების სტიმულირებას, რეფორმების პაკეტი მოწოდებულია გადაჭრას მეორე სტრატეგიული ამოცანა – უზრუნველყოს სამხრეთის გრძელვადიანი ჩართვა ჩრდილოცენტრისტულ გლობალურ ბაზარში რესურსულ-სანედლეულო შემადგენელი ნაწილის რანგში.

სტრუქტურული გარდაქმნების ტექნოლოგიების შესაბამისად, ქვეყანა– რეციპიენტში (სესხის, კრედიტის მიმღები ქვეყნები) მიმდინარეობს სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების

ოპტიმიზაცია, შემდეგ ნედლეული დიდი რაოდენობით გადის ბაზარზე, ხოლო სახელმწიფო მოცემული ლოგიკით იღებს ფულს, რომელთა საშუალებითაც მას შეუძლია გადაიხადოს ვალი, რითაც მსოფლიო საბანკო სისტემას იცავს კრახისაგან. სულ უფრო მეტი ქვეყანა იწყებს ნედლეულის ექსპორტის ზრდას (ვინაიდან ეს მათი ვალუტის ერთადერთი წყაროა), ამიტომ მსოფლიო ფასები ნედლეულზე ეცემა (გარდა სპეციფიკური ხასიათის ეპიზოდებისა). ასევე ეცემა გლობალური ეკონომიკის ბუნებრივი რესურსებით უზრუნველყოფასთან დაკავშირებული რისკების დონე. ნედლეული მოიპოვება მეტი რაოდენობით, თუმცა მისი გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი შეიძლება შემცირდეს. ამასთან, ნედლეულის მომხმარე ქვეყნები ინარჩუნებენ თავიანთ სასარგებლოდ რენტის გადანაწილების მექანიზმებს. კერძოდ, მაღალი იმპორტული ტარიფების შემოღებით, ასევე ფაქტიურად უფასო ეკოლოგიური სესხების მოხმარების ფორმით და ა.შ.

რაც შეეხება ფინანსურ სტაბილიზაციას, იგი თავისი არსით წარმოადგენს საბიუჯეტო ოპერაციას, რომლის დახმარებითაც შიდა მოხმარება, ანუ ბიუჯეტის ხარჯვითი სტატიები (განსაკუთრებით სოციალური) იწყებენ ოპტიმიზაციას ანუ მცირდებიან, ხოლო შექმნილი პროფიციტი ხმარდება საგარეო ვალის გადახდას.

ამდენად, მსოფლიო საბანკო სისტემა არა მხოლოდ გამოეიდა კრიზისიდან, არამედ ჩამოაყალიბა ვალის გადახდის ისეთი პერმანენტული სისტემა, რომელმაც მთელი მსოფლიო მოიცვა.

მაღალი გეოეკონომიკური ტექნოლოგიების კიდევ ერთი მაგალითია რისკების მართვა, უნდა აღინიშნოს, რომ რისკების მართვა არ დაიყვანება მათ დაზღვევაზე, თუმცა ეს უკანასკნელი პოტენციურად წარმოადგენს საქმიანობის საკმაოდ მასშტაბურ სახეს. მაგალითად, ჯერ კიდევ 1997 წელს, აზიის ფინანსური კრიზისის დროს, საუბარი დაიწყეს ეროვნული და

რეგიონული რისკების დაზღვევაზე. ამასთან წამოყენებული იქნა იდეა აღნიშნული სახის საქმიანობისათვის ახალი საერთაშორისო ინსტიტუტის შექმნის თაობაზე. რისკების მართვა ორიენტირებულია არა მხოლოდ შემცირებაზე, არამედ ხანდახან მისი დონის ზრდაზეც. ამჟამად, მსოფლიოში შეინიშნება თავისუფალი ფინანსური საშუალებების საკმაოდ დიდი რაოდენობა. Stankey Morgan-ის შეფასებით მეტნაკლებად თავისუფალ მდგომარეობაში იმყოფება თანხები, რომელიც უახლოვდება მსოფლიო პროდუქტის ღირებულების ნახევარს, ხოლო როგორც მინიმუმ 500–600 მლრდ. დოლარი გადაადგილდება დედამიწაზე, ვინაიდან ეს თანხა წარმოადგენს "ცხელ ფულს" (რომელსაც ხშირად სპეკულაციურ ფულსაც უწოდებენ), რომელიც ეძებს თავის გამოყენების არეალებს.

14.4 კორპორაციების ტრანსფორმაცია

ცნობილია, რომ გლობალური ეკონომიკის წიაღში შეინიშნება არცთუ უბრალო პრობლემები და ერთმანეთს ეჯახება მომაელის დაპყრობის ალტერნატიული სტრატეგიები, რომელთაგან აღსანიშნავია:

• ოპტიმიზაციური სტრატეგია (რომლის უკანაც დგას ინფორმაცია, რომელიც განიხილება როგორც საზოგადოების საბაზრო რესურსი), რომელიც მჭიდროდაა დაკავშირებული ფინანსურ–სამართებლივ ტექნოლოგიებთან, მსოფლიოს "კატალოგიზაციასთან", რომელიც ჩასმულია ახალი გეოეკონომიკური წესრიგის კონსტრუქციის ჩარჩოებში და ახალი გლობალური მართვის სისტემაში;

•ინოვაციური სტრატეგია, რომლის არსს შეადგენს ახალი ცოდნის მიღება და ხარისხობრივი გარდაქმნა ადამიანის საცხოვრებელი გარემოსი.

პირველი სტრატეგიის საფუძველს შეადგენს გლობალური მართვის იდეალი, რომელშიც მოიაზრება ფინანსურ– სამართლებრივი რეგულირება, რესურსების გადანაწილება და გეოე-

კონომიკური რენტის გადასახადების ამაღლება. იგი მჭიდროდაა დაკავშირებული ფინანსური დაწესებულებების ინფრასტრუქტურებთან და გლობალურ ტრანსნაციონალურ კორპორაციებთან. ეს ეკონომიკური გიგანტები კი ფლობენ კოლოსალურ ძლიერებას.

მეორე სტრატეგია უკავშირდება სხვადასხვაგვარი მოქნილი და ზემოქნილი საწარმოების რაოდენობრივ ზრდასა და ხარისხობრივ განვითარებას (manterprise: "ადამიანი–საწარმოს" ფენომენამდე). მსგავსი საწარმოების საფუძველი ხდება არა ძირითადი ფონდები და არარეგლამენტირებული მმართველობითი რესურსი, არამედ მისი საფუძველია ადამიანის კაპიტალი, შემოქმედებითი პიროვნებების რომელიმე კრიტიკული რიცხვი, რომელთა რიცხოვნობაზეც ხშირად დამოკიდებულია ორგანიზაციის ბედი.

ორივე ტრენდი ჩვენს გარემომცველ რეალობაში როგორც ავტონომიური და აშკარად დაპირისპირებული სახით. ფაქტიურად არ არსებობს ისინი ცალ-ცალკე ერთიან გარემოში და ხანდახან ორგანიზაციულ სტრუქტურაში, როგორც ორი სტრატეგიული ვექტორი, რომლებიც მიმართულია ახალ საუკუნეში დომინირებისაკენ. თანამედროვე ეკონომიკა, რომელიც კონიუქტურულია და ასიმეტრიულად აერთიანებს ორივე სფეროში მიღწევებს (ინფორმაციული და ინოვაციური), როგორც ჩანს, ამზადებს დრამატული შეჯახება მმართველ ელიტასა და ახალ ცოდნის მწარმოებლების ინტერესებს შორის, ანუ ახალი საუკუნის თავისებურ კლასობრივ კონფლიქტს.

გლობალური ეკონომიკის შემდგომი მეტამორფოზა შეიძლება მჭიდროდ დაკავშირებული აღმოჩნდეს "სახელმწიფო–კორპორაციასთან", დინამიურ ტრანსსახელმწიფოებრივ კონსტრუქციასთან, რომელიც ეფუძნება აშკარად განსხვავებულ ორგანიზაციულ საწყისებს, ვიდრე ადრინდელი ტრანსნაციონალური კორპორაციები. მოქნილი "სახელმწიფო–კოოპერაციები" მიზნად ისახავენ არა მხოლოდ ეკონომი-

კურ, არამედ გეოეკონომიკურ და სოციალურ-კულტურული ამბიციების დაკმაყოფილებას, ხშირად გვეელინებიან რა სტრატეგიული მოქმედების სრულიად დამოუკიდებელ სუბიექტებად (აღნიშნულთან დაკავშირებით ბევრი რამ ჯერ კიდევ შეუცნობელია, მაგრამ რაღაც ანალოგიად შეიძლება დავიმოწმოთ ვირუსული შეტევის ფენომენი ვირტუალურ ელექტრონულ სივრცეში).

სახეშეცვლილ გარემოში ვრცელდება პოლიფონიური გეოკულტურა, რომელიც მჭიდროდაა დაკავშირებული პოსტინდუსტრიული ორგანიზაციის ფორმებთან. პარალელურად იზრდება კაპიტალიზაციის მნიშვნელობა, რომელიც წარმოადგენს რა უნივერსალური ბაზრის მეტაენას იმავდროულად გამოიყენება ნებისმიერი ანთროპოლოგიური ტექსტების წაკითხვისა და გაშიფრისათვის, ანუ ყალიბდება "ახალი ეკონომიკა". განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ნებისმიერი, მათ შორის ყველაზე უფრო ეგზოტიკური, ერთობლივი საბაზრო ღირებულების ზრდის წყარო. მნიშვნელოვნად იზრდება ისეთი არამატერიალური ფაქტორებისა და აქტივების როლი, როგორიცაა:

- ადამიანის კაპიტალი და უპირველეს ყოვლისა ორგანიზაციების წამყვანი თანამშრომლების კონტრაქტების ჯამი;
- კომპეტენციის ბალანსი, უპირველეს ყოვლისა, კი არამატერიალური რესურსების მართვის უნარი;
- ინტელექტუალური საკუთრება და უპირველეს ყოვლისა ძირითადი ბრენდი;
- ციფრული მასივების ხარისხი, და უპირველეს ყოვლისა უნიკალური, ექსკლუზიური ინფორმაცია;
- კორპორაციული კავშირები (ურთიერთ მოვალეობები, რეგლამენტი, ფორმალური და არაფორმალური ქსელი, ნდობა) და კორპორაციული კულტურა მთლიანად;
- სტრატეგიული აქტივები და შორეული პორიზონტების არსებობა.

ფასეულობათა იერარქიის მსგავსი ცვლილებები, შეიძლება შევადაროთ იმ ურთიერთობებს, რომელიც არსებობს მუტაციურ (ცვლილების) ფაქტორსა და ევოლუციის პროცესში ბუნებრივ შერჩევას შორის. პირველი ქმნის ხარისხობრივ გარღვევას, ხოლო მეორე უზრუნველყოფს ახალგაჩენილი ნიშების გეგმაზომიერ ათვისებას.

14.5. გეოეკონომიკური ტრენდები და მეოთხე ზონა

სივრცის ვირტუალიზაცია XXI ს. კიდევ ერთი ახალი ტენდენციაა, რომელიც გულისხმობს პლანეტარული სივრცის ხარისხის შეცვლას. ეს სივრცე ტრანსპორტისა და განსაკუთრებით ტელეკომუნიკაციების ახალი ფორმების განვითარების პარალელურად გადადის არსებობის ახალ მოდულში (სახეში). რეალური გეოეკონომიკური სივრცე როგორღაც დუბლირდება ვირტუალურ, კერძოდ კი ინფორმაციული სისტემებისა და ქსელების დონეზე. აღნიშნული კი ბადებს მსოფლიოს გეოეკონომიკური სურათის განსაკუთრებულ განზომილებას, ფინანსური პროცესების კულტურულ–ცივილიზაციურ დამკვიდრებას, გეოეკონომიკური და გეოპოლიტიკური ბატალიები და ევოლუციის ძირითადი ტენდენციები გადადის გლობალური კომპიუტერული ქსელის ვირტუალურ სფეროში. მსოფლიო განვითარების მოდელები კი უძლურნი არიან გაითვალისწინონ გეოეკონომიკის ყველგან შეღწევადი ხასიათის ობიექტური მიმდინარეობა, ამიტომ დღის წესრიგში დგება მსოფლიო განვითარების ზენაციონალური სუბიექტების ვირტუალური სივრცის განხილვის თემა. ეს ვირტუალური რეალობა მსოფლიოს გეოეკონომიკური მოწყობის უმნიშვნელოვანეს პარამეტრს წარმოადგენს, რამდენადაც მისი სტრუქტურის და ფუნქციის კანონზომიერებანი, მისთვის დამახასიათებელ ახალ ხარისხთან ერთად აშკარა ზეგავლენას მოახდენენ (უკვე ახდენენ) ადამიანის არსებობის ყველა ძირითად პარამეტრზე.

მსოფლიოს გეოეკონომიკური წყობა დაკავშირებულია გლობალურ ეკონომიკურ, პოლიტიკურ და ცივილიზაციურ პროცესებთან. იმდენად, რამდენადაც მაგისტრალური ხაზი მდგომარეობს ზღვის ცივილიზაციის გამარჯვებაში, გეოეკონომიკაში იგი ვლინდება ლიბერალური ეკონომიკური მოდელის დამკვიდრებაში. ლიბერალური საბაზრო მოდელი არის ზღვის ცივილიზაციის ღერძი ამ მოდელის განვითარების აქტუალურ ფაზაში და მის პირდაპირ განსახიერებას წარმოადგენს. XX ს. განმავლობაში ეს მოდელი უპირისპირდებოდა მის ალტერნატივას და დაამარცხა კიდეც, რითაც იგი დამკვიდრდა დედამიწის პრაქტიკულად ყველა ნაწილში[236].

ლიბერალური გეოეკონომიკური მოდელის დამკვიდრება მსოფლიოს ქვეყნებსა და რეგიონებში იმაზე იქნება დამოკიდებული, თუ რამდენად განვითარდება ერთპოლარული ატლანტური მსოფლიო. თუმცა ისიც უნად შევნიშნოთ, რომ გლობალიზაციის პროცესში ლიბერალურ გეოეკონომიკურ მოდელში შეინიშნება სიღრმისეული ნაკლოვანებები და აშკარად იკვეთება ისეთი წინააღმდეგობები, რომლებიც გარკვეულწილად შენიღბული და უხილავიც კი იყო ალტერნატიული ეკონომიკური სისტემის დაპირისპირების პროცესში[237]. შესაბამისად გეოეკონომიკური ლიბერალიზაციის საერთო ტენდენცია შეიძლება განვითარდეს მზარდი კონტრტენდენციის თანხლებით. ამასთან მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ეს ალტერნატივა დამოკიდებული იქნება იმ მდგომარეობაზე, რომელშიც აღმოჩნდება მსოფლიო ეკონომიკა კონკურირებადი სისტემის საბოლოოდ დამარცხების შემდეგ. ალტერნატივის პლურალისტური ავანგარდულ-ფუტურულოგიური ძიებები ერთის მხრივ და მეორეს მხრივ, ლიბერალური ეკონომიკის გლობალიზაცია

---

[236] Tooze R. International Political Economy in an Age of Globalization in:Baylis J. and Smith S.(Ed) "TheGlobalization of World Politics". Oxford University Press. 1997.

[237] Mearsheimer J. Back to the Future: Instability Affer the Cold War. In: "International Security. N.Y. 19(3), 1990

იქნება ის ორი ტენდენცია, რომელიც მსოფლიოს მომავალ გეოეკონომიკურ განვითარებასა და კარტოგრაფიას განსაზღვრავს[238]. ამჟამინდელი დედამიწის გეოეკონომიკური დიფერენციაცია, სამი გეოეკონომიკური ტრენდები წარმოადგენენ საბაზრო სისტემის ჰომოგენიზაციაზე რეაქციას. ისტორიული, სოციალური და ეროვნული ლანდშაფტების ბუნებრივი განსხვავებები, გამოვლინდებიან გეოეკონომიკის გლობალური ლიბერალიზა-ციის პროცესში, რაც გამოიხატა კიდეც რამდენიმე სიერცობრივი ზონის შექმნით, რომელთა ეკონომიკური სისტემა ზოგადად ერთნაირია, მაგრამ მათი გეოეკონომიკური ინტერესები კი განსხვავებული და ხანდახან კონფლიქტურიც. სამ მთავარ გეოეკონომიკურ ტრენდს: ამერიკულს, ევროპულსა და აზიურ-წყნაროკეანურს გააჩნიათ სხვადასხვა ინტერესები, პრიორიტეტები და თვისებები. ეს გეოეკონომიკური წარმონაქმნები ერთმანეთთან სოლიდარულები არიან იმაში, რომ არ დაუშვან კაპიტალისტურ ეკონომიკასთან დაპირისპირება. ეს სამი გეოეკონომიკური ტრენდი ერთმანეთს შეიძლება შევადაროთ ერთი – "სუფთა" ეკონომიკური პარამეტრით, მაგრამ არ შეიძლება მათი შედარება სხვა პარამეტრებით (გეოსტრატეგიული, სივრცობრივი, დემოგრაფიული და ა.შ.). ის ფაქტი, რომ ამერიკული ზონა წარმოადგენს მსოფლიო ლიდერს, მნიშვნელოვნად მოქმედებს დანარჩენ ზონებზე ძალთა გადანაწილების ბალანსზე და კრიტიკული ეკონომიკური პრობლემები გადაყავს გეოპოლიტიკის სიბრტყეში.

მსოფლიოს გეოეკონომიკურ სივრცეში ამჟამად შეინიშნება მეოთხე გეოეკონომიკური ზონის ფორმირების მცდელობა, მხედველობაშია ევრაზიის კონტინენტი, რომელიც მსოფლიო ეკონომიკური სისტემის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დასაყრდენი იყო მთელი XX ს. განმავლობაში. თანამედროვე გეოეკონომიკურ სურათში ეს ზონა გარკვეულად ამოვარდნილია, იმდენად რამ-

[238] Krugman P. Pop Internationalism. Boston, 1996

დენადაც იგი ჩამოყალიბდა გლობალურ სისტემათა დაპირისპირების პროცესში და ფაქტიურად მიმართული იყო ევრაზიული პოლუსის წინააღმდეგ. ცივი ომის დასრულებასთან და ეკონომიკური გარდაქმნების დაწყებასთან ერთად რუსეთი (რომელიც ამ სივრცის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოთამაშეა) მსოფლიოს ტრადიციული სურათის ჩარჩოებში იწყებს (უფრო ზუსტად აწყებინებენ) ოდესღაც ერთიანი ევრაზიული ეკონომიკური სივრცის დანაწევრებას და "დაშლილი პროდუქტების" გადანაწილებას გეოეკონომიკურ ტრენდებში, რაც რუსეთის ერთადერთი პერსპექტივაა. აღნიშნული პროცესი უკვე განხორციელდა შემდეგ დონეზე:

- მოსკოვის გაელენის ორბიტიდან გავიდა აღმოსავლეთი ევროპის ქვეყნები და მოხდა მათი ინტეგრაცია ევროკავშირში;
- ყოფილი საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად მისი შემადგენელი ნაწილები გადანაწილდა ევროპულ და აზიურ გეოეკონომიკურ სივრცეში.

გეოეკონომიკური პროცესების განვითარების საერთო ლოგიკამ (ორიენტაციის მკაცრი ცვლილებების გარეშე) უნდა მიგვიყვანოს რუსეთის ე.წ. რეგიონების ეკონომიკურ დანაწევრებამდე უკვე რუსეთის შიგნით და პერსპექტივაში მათ ჩართვაში სხვადასხვა გეოეკონომიკურ ზონებში[239]. ფაქტია, რომ მეოთხე ევრაზიული გეოეკონომიკური ზონის შექმნა თავისთავად არ მოხდება, რადგან თანამედროვე მსოფლიოს გეოეკონომიკური სისტემა ისეთნაირადაა სტრუქტურირებული, რომ ამას არ დაუშვებს, აშშ სტრატეგიული დოქტრინა მიაჩნია მომენტად გამოყოფს პუნქტს, სადაც მითითებულია, რომ აშშ დაუშვებლად მიიჩნევს მსოფლიოს აღნიშნული სცენარით განვითარებას.

---

[239] Moscow, the Regions and Russia's Foreign Policy /German T. (ed), L.: Conflict Studies Research Centre. 1999. №3

თავი 15. მსოფლიოს ახალი გეოეკონომიკური წესრიგის ნეოლიბერალური მოდელი

15.1 გეოეკონომიკური წესრიგი იდეალიზმისა და რეალიზმის თანაფარდობის კონტექსტში

ცივი ომის დასრულების შემდგომ, აშშ დარჩა ერთადერთ ზესახელმწიფოდ, ანუ დადგა ერთპოლარულობის მომენტი. კერძოდ, ისეთი სიტუაცია, „რომლის წინააღმდეგაც ყოველთვის გამოდიოდნენ „ძალთა ბალანსის" დოქტრინის მომხრეები".[240]

მას შემდეგ რაც ჩამოცილებული იქნა მთავარი კონკურენტი სსრკ, ხოლო აშშ-მ გამოაცხადა პრინციპი „ლიდერობა ბატონობის გარეშე", ყველაფერი მეტყველებდა ამერიკის ჰეგემონიზმის დამყარებაზე მთელს მსოფლიოში. ამასთან გაჩნდა მრავალი სიმპტომი, რომელიც მიანიშნებდა აშშ-ს გავლენის შესუსტებაზეც. დასავლეთის აკადემიურ წრეებში საკმაოდ პოპულარული გახდა თეზისი აშშ მოსალოდნელი „დაცემის" შესახებ, კერძოდ ფიქსირდებოდა მოსაზრებები, რომ იგი აღარაა ეკონომიკური გიგანტი და სულ უფრო მძაფრ კონკურენციას აწყდება თავისი ყოფილი კონკურენტების, დასავლეთ ევროპისა (ევროკავშირი) და იაპონიის მხრიდან, რომ მას უკვე აღარ ძალუძს შეინარჩუნოს კაპიტალური სამყაროს ერთადერთი ლიდერის როლი. აღნიშნული შეფასებები ცოტა გადაჭარბებულად გვეჩვენება იმის მიუხედავად, რომ რა თქმა უნდა, ძალთა თანაფარდობა ხარისხობრივად იცვლება, მაგრამ, ჩვენის აზრით, ეს საკმაოდ ხანგრძლივი პროცესია. გეოეკონომიკური თვალსაზრისით აშშ ლიდერობა ნარჩუნდება სამთავრობათშორისო და ტრანსნაციონალური კავშირების მდგრადი ქსელის სახით „ოქროს მილიარდის" ქვეყნებს შორის. იმის მიუხედავად, რომ ამერიკული ჰეგემონიზმის მატერიალური ძალა განიცდიდა ნგრევას "ლეგიტიმური და ორმხრივი ერთობლივი მართვის ინ-

---

[240] Ch. Krauthammer. The Unipolar Moment. "Foreign Affairs", 1990/1991, V.7, j1. pp. 23-33.

სტიტუტები მაინც შენარჩუნებულია. მსგავს სისტემას გააჩნია უნარი შედარებით დიდი ხნის განმავლობაში შეინარჩუნოს მდგრადობა. მის სტაბილურობას იმ შემთხვევაში შეიძლება დაემუქროს საფრთხე, თუ რომელიმე ქვეყნის (ქვეყანა–სისტემის), რეგიონული ეკონომიკური ბლოკის მზარდი ეკონომიკური და სამხედრო პოტენციალი, მოახდენს ამ სისტემის ლეგიტიმურობის საფუძვლების გამოწვევას. ასეთი გამოწვევა კი თავისი ხასიათით ერთდროულად უნდა იყოს ძალისმიერიც და სოციალურიც, რომ მან შესძლოს სერიოზული პრობლემები შეუქმნას აღნიშნულ სისტემას, აღნიშნავს ჯ. იკენბერი.[241]

სამეცნიერო ლიტერატურაში ფიქსირებულია „ცივი ომის" დროინდელი ერთგვარი ნოსტალგია, როცა საბჭოთა საფრთხე დასავლეთის მოკავშირეებს „დისციპლინირებულს" ხდიდა ნებისმიერი საერთაშორისო-სამართლებრივი და ეკონომიკური ხასიათის მოლაპარაკებების დროს.

ჯერ კიდევ იუგოსლავიის მოვლენებამდე ზოგიერთი პოლიტოლოგი ამტკიცებდა, რომ რუსული (იგივე საბჭოთა-გ.კ.) გავლენის შესუსტება გამოიწვევდა თვით შედარებით სტაბილური ევროპის გადაქცევას „ტურბულენტობის ზონად."[242] თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ამჟამად სოციტოლოგიამ განიცადა სრული ფიასკო, საზოგადოებრივი მეცნიერებების პროგნოზული შესაძლებლობები გვარიანადაა დისკრიდიტირებული, ხოლო საერთაშორისო და გლობალური კელეები სერიოზულ კრიზისში იმყოფება, კერძოდ ყველა მცდელობის მიუხედავად საზოგადოებრივმა მეცნიერებებმა ჯერჯერობით ბოლომდე ვერ გაარღვიეს კარგა ხნის წინ ჩამოყალიბებული გეოეკონომიკური დილემის – რომელს ეკუთვნის უპირატესობა გეოეკონომიკურ იდეალიზმს თუ რეალისმს – ჩარჩოები.

---

[241] J. Ikenberry. The Future of International Leadership."political Science Quarterty",1996.V.111, j 3, P. 402.

[242] J. Mearsheimer. Back to the Future. Instability in Europe after the Cold War. "International Security", Summer 1990, v.15. j1.

გეოეკონომიკური იდეალიზმის მომხრეები მისდევენ ორ პოსტულატს: 1. ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულება და ლიბერალური დემოკრატია ორივე ერთად წარმოადგენს მშვიდობის გარანტს მთელს მსოფლიოში და 2. რაც მეტი სახელმწიფო განვითარდება საბაზრო რეფორმებისა და პოლიტიკური დემოკრატიზაციის გზით, მით უფრო სტაბილური იქნება საერთაშორისო სისტემა. აღნიშნულიდან ლოგიკურად გამომდინარეობს დასკვნა, რომ თანამედროვე სიტუაცია ყველაზე კარგ შანსს იძლევა ახალი მსოფლიო გეოეკონომიკური წესრიგის ჩამოყალიბებისათვის.

ფაქტია, რომ პირველი პოსტულატის საფუძველს შეადგენს ეკონომიკური ლიბერალიზმი, რომელიც შენდება ყველა სახელმწიფოს მისწრაფების საფუძველზე იყოს ეკონომიკურად წელში გამართული ქვეყანა, ხოლო მათი ლიდერები კი მოქალაქეთა კეთილდღეობას აყენებდნენ ყველა მიზანზე მაღლა, მათ შორის უსაფრთხოებაზეც კი. (ეს ამერიკული „წარმატების ფილოსოფიის" ერთგვარი ასახვაცაა-გ.კ.). საკითხის ამგვარად დაყენების შემთხვევაში სტაბილურობა მიიღწევა არა იმდენად გეოპოლიტიკური, რამდენადაც გეოეკონომიკური ფაქტორით. ამასთან, იდეალისტები, როგორც წესი, მიუთითებენ რამდენიმე გზაზე, რომლითაც ლიბერალური ეკონომიკა უზრუნველყოფს კონფლიქტების თავიდან აცილებას.

ამ გზათაგან პირველი იმაში მდგომარეობს, რომ ქმნის უშუალო კავშირს პოლიტიკურ თანამშრომლობასა და ეკონომიკური აყვავებას შორის, კერძოდ იმისათვის, რომ საერთაშორისო ეკონომიკური გაცვლა იყოს ეფექტური და მიგვიყვანოს სახელმწიფოს ეკონომიკურ კეთილდღეობამდე, საჭიროა მჭიდრო პოლიტიკური თანამშრომლობა. სწორედ ამიტომაა, რომ ამ უკანასკნელისადმი ინტერესი იზრდება ან მცირდება იმისდა მიხედვით, თუ როგორ მდიდრდებიან ესა თუ ის ქვეყნები.

მეორე პოსტულატში ჩადებული ლიბერალური გეოეკონომიკური წესრიგი აძლიერებს ქვეყნების ურთიერთდამოკიდებულე-

ბას და შესაბამისად ქვეყნების ურთიერთკავშირს ეკონომიკის სფეროში. მაღალი ურთიერთდამოკიდებულების დონის პირობებში აგრესიისაკენ მიდრეკილება პარტნიორთან მიმართებაში მცირდება და შესაბამისად პოლიტიკური თანამშრომლობის სწრაფი განვითარება ისეთი ტიპის გაერთიანების ჩარჩოებში, როგორც მაგალითად ევროკავშირია, მიგვიყვანს გეოეკონომიკური წესრიგის ახალი სუბიექტის-ზესახელმწიფოს ალმოცენებამდე (რაზეც თავის დროზე წერდა მ. ტეტჩერი-გ.კ.).

მიგვაჩნია, რომ ეს იდეალისტური პოსტულატები გაცილებით დამაჯერებელი იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფოთა საწყისი გეოეკონომიკური მოტივაცია არ იქნებოდა სადაო. კერძოდ, გეოეკონომიკური მოსაზრებები ყოველთვის არ დგას წინა პლანზე. სსრკ დაშლის შემდგომ პერიოდშიც კი საერთაშორისო სისტემას არ დაუკარგავს თავისი პოლიტიკური ხასიათი, პირიქით იგი გაძლიერდა კიდეც. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ურთიერთდამოკიდებულება ბოლომდე ვერ აღმოფხვრის კონფლიქტს. ზოგიერთი სახელმწიფო მზადაა ყველაფერზე წავიდეს, რათა გაექცეს ურთიერთდამოკიდებულების მაღალ დონეს და წავიდეს საწინააღმდეგო გზით, რომელსაც ჩვენ გეოეკონომიკურ სეცესისი (განცალკევებას) ვუწოდებთ. კერძოდ, ზოგიერთი ქვეყნის პოლიტიკური ისტებლიშმენტის თვალში ეროვნული უსაფრთხოების გეოპოლიტიკური ასპექტი იმაზე მაღლა დგას, ვიდრე ეს არის უპირატესობის მოპოვებისაკენ სწრაფვა გეოეკონომიკურ კონკურენციაში ან/და აქტიური ეკონომიკური თანამშრომლობა.

რაც შეეხება დემოკრატიას, როგორც მშვიდობის გარანტს, გეოეკონომიკაში იდეალისტები ამტკიცებენ, რომ დემოკრატიული სახელმწიფოები არ ომობენ ერთმანეთში, ამიტომ საჭიროა დემოკრატიის დამყარება გლობალური მასშტაბით. ითვლება, რომ ავტორიტარული ტიპის ლიდერები ადვილად ერთვებიან შეიარაღებულ კონფლიქტებში, ვინაიდან ისინი ანგარიშვალდებული არ არიან იმ საზოგადოების წინაშე რომელ-

ზედაც, როგორც წესი, გადაივლის ხოლმე ომის სიმძიმე. დემოკრატიის პირობებში კი ხალხი დიდ გავლენას ახდენს ქვეყნის ხელისუფლებაზე და ამდენად მათ შეუძლიათ თავიდან აიცილონ ომის ესკალაცია. ეს თეზისი ეყრდნობა რეალურ ფაქტებს, რაც მას დამაჯერებლობას მატებს, თუმცა არსებობს საწინააღმდეგო შეხედულებებიც და შესაბამისი არგუმენტებიც. კერძოდ, ისტორიამ იცის მაგალითები, როცა გარკვეულ გარემოებებში დემოკრატიული ქვეყნებიც ენთუზიაზმით ერთვებოდნენ ომებში, ადვილად "ავადდებოდნენ" ნაციონალისტური თუ რელიგიური ციებ–ცხელებით და პირიქით, ზოგიერთი ავტორიტარული ლიდერები იმის შიშით, რომ არ დაეკარგათ თავისი ხელისუფლება, საგარეო პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების დროს შესაშურ სიფრთხილეს იჩენდნენ.[243]

ეჭვს გარეშეა ის გარემოება, რომ დემოკრატიაზე ორიენტირებული მოქალაქეები ყოველთვის პატივს სცემენ სხვა ხალხის უფლებებს. თუმცა, ვინ იძლევა იმის გარანტიას, რომ ქვეყნები, რომლებმაც სიტყვით აირჩიეს დემოკრატია (ამის კლასიკურ მაგალითად შეიძლება რუსეთის დასახელება) რეალურად გახდნენ სტაბილური დემოკრატიული რეჟიმის ქვეყნები? სწორედ ამიტომაა საჭირო უბრალოდ სიფრთხილის გამო ყურადღებით ვადევნოთ თვალი ამ ქვეყნების გეოეკონომიკურ სტრატეგიას. ეს მოსაზრება მით უფრო მნიშვნელოვანია იმის გამო, რომ რეალური დემოკრატიული პროცესები მსოფლიოში ცოტა შენელდა. "თუ მხედველობაში მივიღებთ დემოკრატიის ლიბერალურ შინაარსს, მაშინ რჩება შთაბეჭდილება, რომ ს. ჰანგტინგტონისეული კლასიფიკაციის მიხედვით[244], დემოკრატიის მესამე ტალღა შეჩერდა და შეიძლება დამთავრდა კიდეც" – წერდა ამერიკული ყოველკვარტალური ჟურნალის

---

[243] უფრო დაწვრილებით იხ.: Manstield E.,Snyder J. Democratization and War."Foreing Affairs", May/June 1995.v.74., j3pp 79-97.

[244] უფრო დაწვრილებით იხ.: S. Hantington. The Third Wave. Democratization in the Late Twentieth Centuy. Oklahoma, 1993.

"Journal of Democracy"–ის გამომცემელი ლ. დაიმონდი[245] არ არის გამორიცხული (ეს კარგად გამოჩნდა დემოკრატიული რევოლუციებით საქართველოში, უკრაინაში, მოლდავეთში), რომ ამ ეტაპზე მსოფლიომ შეიძლება თავი დააღწიოს ავტორიტარიზმის ტენდენციებს, მაგრამ ამ პირობებშიც კი ლ. დაიმონდის ეჭვი, თუ რამდენად შესძლებს მსოფლიო დემოკრატია შეინარჩუნოს ის ტერიტორიები, რომელიც მან მოიპოვა ბოლო ათწლეულში, კვლავ აქტუალურად გვეჩვენება. უფრო ზუსტად კი დღეს აქტიურად განიხილება საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ მოხერხდება არსებული სიტუაციის შენარჩუნება იმ დრომდე, ვიდრე დაიწყება დემოკრატიზაციის მოსალოდნელი მეოთხე ტალღა, "რომელიც ბოლოს და ბოლოს ალბათ მოიტანს იმას, რასაც ვერ გაუმკლავდა მესამე, კერძოდ მსოფლიო მშვიდობასა და უსაფრთხოებას."[246]

ამდენად, ახალი მსოფლიოს გეოეკონომიკური წესრიგი პრაქტიკულად ეფუძნება ლიბერალურ მოდელს და გულისხმობს მსოფლიოში დასავლური ფასეულობების გავრცელებას, რაც თავის მხრივ ნიშნავს იმას, რომ ლიბერალურ–იდეალისტურმა პარადიგმამ დემოკრატიულ სახელმწიფოებს, ამ ეტაპზე, ბოლომდე არ მისცა საშუალება ბოლო მოეღო სისტემის იმ სტრეოტიპებისათვის, რომელიც შენდება ძალისა და ძლიერების იერარქიაზე.

რაც შეეხება რეალიზმს გეოეკონომიკაში, მისი მომხრეები პრაქტიკულად უუნარონი აღმოჩნდნენ შემოეთავაზებინათ მსოფლიო გეოეკონომიკური სისტემის პრინციპულად ახალი ხედვა, რომელიც აშენდება არა ძალაზე (გეოპოლიტიკა), არამედ ძალთა ბალანსზე და ცალკეული სახელმწიფოების ეკონომიკურ და ეროვნულ ინტერესებზე. უფრო მეტიც, შეიძლება

---

[245] Daimond L. Is the third Wave over? "Journal of Democracy", July 1996,v.7. j 3, p.31.

[246] S. Hantington. Democracy for along Haul. "Journal of Democracy", April 1996, V.7. j 2, p.5.

ითქვას, რომ ადრინდელი წარმოდგენები რამდენადმე არქაული და პრიმიტიულიც კი გახდა, ვინაიდან რეალისტების თეორიულ კონსტრუქციებში ბატონობს ორი კონცეფცია, რომელთაგან ერთს ძნელად თუ ეუწოდებთ ძველს, ხოლო მეორეს ახალს.

ძველი კონცეფცია ინარჩუნებს გეოეკონომიკური რეალიზმის ძირითად ნიშნებს და ცდილობს შეინარჩუნოს სუვერენიტეტის, ხელისუფლების (ძალის) და იერარქიის ძველი, ნაცნობი ცნებები. ამ მიმართულების მომხრეები აღიარებენ იმ სოციალურ – ეკონომიკურ ცვლილებებს, რომელიც მოხდა XX ს. მეორე ნახევარში, მათ შორის გლობალიზაციას (განსაკუთრებით ეკონომიკურს) აღიარებენ როგორც რეალურად მიმდინარე პროცესს. თუმცა ამ ფაქტს ისინი განიხილავენ უცვლელ გეოპოლიტიკურ კონტექსტში (ერთი სახელმწიფოების დომინირება სხვებზე და უსაფრთხოების მიღწევა ძალის მაქსიმალიზაციის გზით). მათი აზრით, დღეს არც თუ ისე მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ სამხედრო ძალის ნაცვლად წინა პლანზე გამოდის ეკონომიკური ძალა, ანუ ხდება პოლიტიკის თავისებური ეკონომიზაცია და რეალურად ხდება გეოპოლიტიკის ჩანაცვლება გეოეკონომიკით.

რეალისტები ასევე აღიარებენ, რომ საერთაშორისო არენაზე გამოჩნდნენ ახალი მოქმედი პირები ტრანსნაციონალური კორპორაციების სახით, რომელთა გავლენა მსოფლიო პოლიტიკაზე პერმანენტულად იზრდება. ნეორეალიზმის მომხრეები დარწმუნებულნი არიან, რომ ეს ახალი აქტორები მოქმედებენ ისეთ საერთაშორისო გარემოში, რომლის კონტროლსაც ახორციელებს სახელმწიფოები. (ერთ-ერთ ასეთ მიდგომას წარმოადგენს ს. ქრასნერის კონცეფცია-გ.კ.). ახალ აქტორებსა და ტრანსნაციონალურ პროცესებს ნეორიალისტები განიხილავენ საერთაშორისო რეჟიმების კონტექსტში, ანუ იმ ნორმების, პრინციპებისა და წესების კონტექსტში, რომელსაც ადგენს სახელმწიფო. სახელმწიფოთა სისტემაში ისინი უბრალოდ აერთიანებენ დამატებით ინსტიტუტებსა და პროცესებს, რომლის სა-

ფუძველზეც მსოფლიო სისტემას (რომელსაც უწოდებდნენ ანარქიულს) უბრალოდ უცვლიან სახელს და ნახევრადანარქიულად მოიხსენიებენ. გეოეკონომიკური რეალიზმის ასეთი მოდერნიზაცია, ვფიქრობთ, სრულიად საკმარისია, იმისათვის, რომ რეალისტური აზროვნების ასეთი ტიპისათვის გვეწოდებინა გეოეკონომიკური ნეორეალიზმი.

კონცეფცია, რომელიც ზემოთ მოვიხსენეთ როგორც ახალი (სხვათა შორის ჯ. როზენაუ ამ კონცეფციის მიმართ იყენებს ტერმინს „მულტიცენტრიზმი"-გ.კ.) იგება ეარაუდზე, რომ გლობალიზაციის გავლენით თანამედროვე მსოფლიოში ძლიერდება არა მხოლოდ ცენტრისკენული (გეოეკონომიკური უნიფიკაცია), არამედ ცენტრიდანული (გეოეკონომიკური სეცესიონიზმი) ძალებიც. სახელმწიფოთა სისტემა განიხილება შედარებით ფართოდ. კერძოდ, როგორც სუვერენიტეტით დაკავშირებული და დაუკავშირებელი აქტორების ერთობლიობა. ისინი ურთიერთქმედებენ ისე, რომ შესაძლებელი ხდება მათი თანაარსებობა – წერს ჯ. როზენაუ[247]. იცვლება, რომ ასეთი მიდგომა რამდენადმე აწესრიგებს მსოფლიო სისტემას და საშუალებას იძლევა გარკვეულწილად გადაილახოს მისი (სისტემის-გ.კ.) ქაოსურობა. იმის მიუხედავად, რომ ახალი ნეოლიბერალური კონცეფციის მომხრეები აღიარებენ, რომ ბოლო ათწლეულებში სახელმწიფოთა შესაძლებლობები გამოიყენონ იძულება (ძალა) და კონტროლი სისტემაზე, მცირდება, ისინი მაინც თვლიან, რომ სახელმწიფოებს საკმაოდ შესწევთ უნარი შეინარჩუნონ საერთაშორისო სისტემის პრაქტიკა და ნორმები. ამ ორი საწინააღმდეგო ტენდენციის შეთანაწყობა კი ქმნის სახელმწიფოთა სისტემას და მულტიცენტრისტული მსოფლიო სისტემის ურთიერთობების სრულიად ახალ პლასტს.

---

[247] უფრო დაწვრილებით იხ.: Rosenay J. Turbulence in World Politics. Priceton, 1991.

ჰ. ბული ჯერ კიდევ 1970-იანი წლების ბოლოს წერდა რაღაც „ახალი შუასაუკუნეების" დასაწყისზე, რაღაც ანალოგიაზე საზოგადოების ორგანიზაციის შუასაუკუნეობრივ მოდელსა და თანამედროვეობას შორის[248]. ასეთი მიდგომა, გარკვეული აზრით, აჭარბებდა კიდეც ფ. ფუკუიამას ლიბერალური „ისტორიის დასასრულს"[249] და ჯ. როზენაუს მულტიცენტრისტულ კონცეფციებს. არსებითად ჰ. ბულს მხედველობაში ჰქონდა მსოფლიოს ახალი წესრიგის ჩამოყალიბება, რომელიც აერთიანებდა სხვადასხვა ტიპის რეჟიმებსა და მულტიკულტურალიზმს, მიზანთა მრავალფეროვნებით, ასევე ამ მიზნების ორიენტაციებსა და მისი რეალიზაციის ხერხებს. ასეთ მოდელში პრიორიტეტი კვლავ რჩებოდა ეროვნულ ინტერესებს, რომლის დაცვასაც სახელმწიფოები უსრუნველყოფდნენ სამხედრო ძალის გაძლიერებით, ხოლო დემოკრატიული პრინციპების გავრცელება და დამკვიდრება საერთაშორისო პოლიტიკაში მეორე პლანზე გადადიოდა. ჰ. ბული და მისი თანამოაზრეები ხედავდნენ მსოფლიოს მომავალ პოსტინდუსტრიულ სურათს, მართალია საუბრობდნენ ზოგადსაკაცობრიო ფასეულობებზე და რეერანსებს უკეთებდნენ მულტიკულტურალიზმს, მაგრამ ყველაფერ ამას ისინი წარმოადგენდნენ ლიბერალური ფასეულობებისა და იდეების ფართოდ გავრცელების კონტექსტში. მრავალი ქვეყნის ამჟამინდელი მდგომარეობა ცხადყოფს, რომ პოლიტიკურ რეალისტური აქცენტი ძალასა და ეროვნულ ინტერესებზე არ დაკარგულა „ცივი ომის" დასრულებასთან ერთად და დღესაც დიდად განსაზღვრავს არადემოკრატიული ქვეყნების კურსს დემოკრატიულ ქვეყნებთან მიმართებაში.

აღნიშნული პრობლემისადმი ბოლო დროს დიდ ყურადღებას იჩენენ პოლიტიკური ფილოსოფიის ისეთი გამოჩენილი მეც-

---

[248] Bull H. The Anarchical Society: A Study of Order in World Politics. New-York, 1977. p.238.

[249] უფრო დაწვრილებით იხ.: Fukuyama F. The End of History and the Last Man New-York. 1997.

ნიერები როგორებიც არიან: იურგენ ჰაბერმასი, ჯონ გრეი, კლაუს ჰოფე და სხვა. ამ მეცნიერებს კარგად ესმით, რომ ის ახალი სიტუაცია, რომელიც ამჟამად ჩამოყალიბდა მსოფლიოში არ შეიძლება გააზრებული იქნას, „საშუალო" დონის თეორიით და აუცილებლად ითხოვს ფილოსოფიურ ანალიზს. აღნიშნულთან დაკავშირებით, ამერიკელი მეცნიერი და დიპლომატი ჩარლზ ფრენკელი სამართლიანად წერდა ჯერ კიდევ გასული საუკუნის 70-იან წლებში, რომ „ეროვნული ინტერესი რუკა არაა, სადაც შეიძლება აღნიშნო შენი მოძრაობის მიმართულება. გადაწყვეტილების მიღების ცენტრი... არის არა ეროვნული ინტერესების საუკეთესო საშუალებების ძიება, რომელიც უკვე კარგადაა ცნობილი და გასაგები, არამედ ეს არის თვით ინტერესების განსაზღვრა, ეროვნული რესურსების შეფასება, მოთხოვნილება, კომუნიკაციები, ტრადიციები, პოლიტიკური და კულტურული ჰორიზონტი, მოკლედ იგი ფასეულობათა თავისებური კალენდარია"[250]. სწორედ ამიტომ საუბარი ახალ მსოფლიო წესრიგზე, ეს არის უპირველეს ყოვლისა საუბარი ფასეულობებზე. როგორც ჩანს, ცივილიზაციური ფაქტორი ახლო მომავალში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი იქნება როგორც ფილოსოფიურ კვლევებში, ასევე ახალი გეოეკონომიკური წესრიგის ჩამოყალიბების პროცესში. ამასთან მოდერნიზებული (უპირველეს ყოვლისა კი ე.წ. მეორად პარადიგმების) პარადიგმები, რომელსაც გვთავაზობენ სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური მეცნიერებების თეორეტიკოსები, საშუალებას იძლევა მეტნაკლები სიზუსტით შემოვხაზოთ მსოფლიოს ახალი კონტური და ხარისხობრივი ცვლილებები შევიტანოთ გლობალური გეოეკონომიკური რეალობის გააზრებაში.

გასული საუკუნის მიწურულს ბევრს წერდნენ ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების და ადამიანის უფლებებზე. თუ ეს

---

[250] Frankel Ch. Morality and U.S. Foreign Policy. "Headline Series", 1975 j. 224, p.52.

ფასეულობები ეჭვს არ იწვევენ, საკმაოდ საკამათოა დასავლური ფასეულობების უნივერსალურობა. სამუელ ჰანგტინტონი 2001 წ. გამოქვეყნებულ სტატიაში: „დასავლეთი: უნიკალური, მაგრამ არა უნივერსალური", აღნიშნავს, რომ თუ მოდერნიზაცია შეიძლება და აუცილებელიცაა გამოიყენონ სხვა ცივილიზაციებმა, ვესტერნიზაცია (ამერიკანიზაცია) მხოლოდ დასავლური საზოგადოების პროდუქტია.. ამიტომ დასავლეთის ცივილიზაციამ უნდა გაითვალისწინოს სხვა ცივილიზაციების სულიერი ღირებულებები"[251].

ამჟამად, როცა გლობალურმა ცივილიზაციურმა პრობლემებმა ახალი ენერგია შეიძინა, ახალი სიმწვავით დადგა საკითხი დასავლეთის ფასეულობების უნივერსალიზმის შესახებ და ბუნებრივად ისმის კითხვა: ხომ არა არის შექმნილი ვითარება გზა იდეოლოგიური მონოპოლიისაკენ, რომლის წინააღმდეგაც დიდი ხნის განმავლობაში გამოდიოდა თვითონ დასავლეთის (ევროატლანტური-გ.კ.) ცივილიზაცია? რა მოელის პერსპექტივაში სისტემას, რომელიც ელიტარულ („ოქროს მილიარდის" სახელმწიფოები) სახელმწიფოებსა და საზოგადოებებს უპირისპირებს დანარჩენ კაცობრიობას? ეს კითხვები არც ისე მარტივად პასუხგასაცემია, ვინაიდან ვფიქრობთ, რომ ფასეულობების ძალით თავს მოხვევა ძნელი საქმეა. ეს იგივეა, როგორც ვთქვათ, ადამიანი აიძულო დაიჯეროს ათი მცნება, თუ ეს მას არ სურს.

ზემოთ აღნიშნული კითხვების ლაბირინთში, ჩვენის აზრით, შედარებით რეალისტურ გზას გვთავაზობს ცნობილი ამერიკელი ფილოსოფოსი ჯონ როულზი „გზაჯვარედინული კონსენსუსის" ფორმით[252]. ეს მეცნიერი დარწმუნებულია, რომ

---

[251] ციტ.: გ. კეინიკაძე. გლობალისტიკა და გლობალიზაცია. /ძირითადი მიმართულებები, კონცეფციები, პოსტულატები/. ახალციხე–თბილისი 2006. გვ. 99–100.

[252] Rowls J. The Idea of an Overlapping Consensus. "Oxford Journal of Legal Studies". 1987. j 7, pp1- 25.

სხვადასხვა ქვეყნები, კულტურული და რელიგიური საზოგადოებები პრინციპში შეიძლება მივიდნენ ადამიანის ქცევის იდენტური ნორმების შეთანხმებამდე, თუ გამოიჩენენ მოთმინებას განსხვავებული მსოფლმხედველობის მიმართ. თუმცა, ჯ. როულზი არ თელის საჭიროდ, რომ სხვადასხვა მსოფლმხედველობები შეირწყას და გადაიქცეს რაღაც სუპერიდეოლოგიად. მისი აზრით, ასეთმა ტენდენციამ შეიძლება ტოტალიტარიზმამდეც კი მიგვიყვანოს. მას მხედველობაში აქვს მხოლოდ ქცევის პრინციპების ისეთი კოდექსი, რომელსაც შესწევს უნარი შექმნას კაცობრიობის ჰარმონიული განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობები. თუმცა, მიგვაჩნია, რომ ასეთი კონსენსუსი მიღწევადი იქნება მხოლოდ იმ პირობებში, თუ შეთანხმების არც ერთი მონაწილე არ მოახვევს თავს მეორე მხარეს ქცევის ნორმების მზა რეცეპტებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, მსოფლიოს ახალი გეოეკონომიკური წესრიგი უნდა ჩამოყალიბდეს კომპრომისების საფუძველზე იმ აუცილებელი პირობებით, რომ არ მოხდება მისი ფილოსოფიური ფუნდამენტის (ახსნა იმისა, თუ რატომ ცნობენ მხარეები მოცემულ ნორმებს სამართლიანად) უნიფიკაცია.

15.2 ახალი გეოეკონომიკური წესრიგის ფორმირების ძირითადი თავისებურებანი

აზიის ფინანსური კრიზისის ანალიზი გვაიძულებს ახლებურად შევხედოთ: ა) იმ ცვლილებებს, რომელიც მსოფლიო ეკონომიკაში მოხდა გასული საუკუნის ბოლო მეოთხედში; ბ) იმ დოქტრინებს, რომელიც საფუძვლად ედო გეოეკონომიკური სტრატეგიებისა და პოლიტიკის შემუშავებას.

ყველაზე უფრო ზოგადი ფორმით მიმდინარე პროცესები უნდა განვიხილოთ, როგორც ხანგრძლივი ისტორიული გადასვლა ეკონომიკის, პოლიტიკის და კულტურული ცხოვრების (როცა პრივალირებდა დამოუკიდებლად განვითარებად ქვეყნებს შორის ურთიერთობა) ინტერნაციონალიზაციისა გლობ-

ალიზაციაზე, ანუ იმ ეტაპზე, როცა ყალიბდება ადამიანთა ერთობების ახალი სისტემური დონე მის საკუთარ კანონზომიერებებთან, მამოძრავებელ ძალებთან, რეგულირების მექანიზმებთან მიმართებაში.

რამდენად შორს წაიდა ეს გადასვლა და როგორია მისი ფორმები და პერსპექტივები? კითხვის ასეთი განზოგადებულად დასმისას თანამედროვე ვითარება არ მიანიშნებს გლობალური განვითარების რაღაც ახალ ეტაპზე გადასვლას, მაგრამ იგი აჩენს რიგ სრულიად ახალ პრობლემებსა და ცელილებების ხასიათს. უფრო მეტიც, უკვე იკვეთება მომავალი განვითარების ცალკეული კონტურები იდეოლოგიის, რეგულირების მექანიზმებისა და ძალთა თანაფარდობის კუთხით.

ბოლო ათწლეულში ჩვენს აზროვნებაში ღრმად გაიდგა ფესვი ისეთმა ცნებებმა, როგორიცაა გლობალიზაცია და ინტეგრაცია. ეს ცნებები, როგორც წესი, აბსოლუტიზირდება. ნებისმიერი კონტრტენდენციები, პრობლემები და წინააღმდეგობები ან იგნორირდება ან/და მათი მნიშვნელობა კნინდება. უფრო მეტიც, ამ პროცესების გამოვლენის სხვადასხვა ფორმების გამართლება ხდება ზოგადი მეგა-ტენდენციების არსებობის ფაქტით. შეფასების ასეთი მეთოდის არამართლზომიერება აშკარაა. კოლონიალიზმი აშკარად წარმოადგენდა გარკვეულ ეტაპს გლობალიზაციამდე და ინტეგრაციამდე. არარეგალური მიგრაცია ან/და კონტრაბანდული ვაჭრობა, ასევე წარმოადგენდნენ მეგა-ტენდენციების გამოვლინებას. აშკარაა, რომ გლობალიზაციის გამოვლენის ფორმებსა და მეთოდებს არ გააჩნიათ ერთნაირი ისტორიული მნიშვნელობა, პერსპექტივები, მდგრადობა და სიცოცხლისუნარიანობა. გლობალიზაცია არის არა სწორხაზობრივი, არამედ საკმაოდ წინააღმდეგობრივი, უთანაბრო პროცესი, რომელიც მუდმივად იცვლის კონკრეტულ ფორმებს, გამოვლინებისა და რეალიზაციის მექანიზმებს. „უთანაბრო გლობალიზაცია შეიძლება წარმოვიდგინოთ როგორც დიალექტიკური პროცესი, რომელიც მოიცავს როგორც ინტე-

გრაციას, ასევე დანაწევრებას, როგორც ზოგადს ასევე კონკრეტულს, როგორც კულტურულ დიფერენციაციას, ასევე პომოგენიზაციას".[253]

ბოლო ათწლეულებში, როგორც თეორიაში, ასევე პრაქტიკაში სჭარბობს გლობალიზაციის ნეოლიბერალური მოდელი. გლობალიზაციის ეს ვარიანტი კი გამომდინარეობს ლიბერალური ეკონომიკური აზრების პოსტულატებიდან და სათავეს იღებს ფ. ჰაიეკის, მ. ფრიდმანის, მოგვიანებით კი საერთაშორისო სავალუტო ფონდის, მსოფლიო ბანკის, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის პუბლიკაციებიდან.

ამ მოდელმა ახალი იმპულსი შეიძინა გასული საუკუნის 70-იან წლებში, როცა კოლონიური უღლიდან განთავისუფლებულმა ქვეყნებმა სცადეს დაემყარებინათ ახალი ეკონომიკური წესრიგი, რომლის არსიც იმაში მდგომარეობდა, რომ საერთაშორისო ორგანიზაციებს სთავაზობდა ისეთი წესებისა და რეგულირების მექანიზმების შემუშავებას, რომელთაც შეეძლებოდათ უზრუნველყოთ რესურსების განაწილება განვითარებადი ქვეყნების სასარგებლოდ. აღნიშნულის საპირწონედ დასავლეთის ქვეყნებმა აქცენტი გააკეთეს მსოფლიო ეკონომიკის განვითარების ნეოლიბერალურ მოდელზე, რომელიც ეკონომიკურად ძლიერ სახელმწიფოებს საშუალებას აძლევდა შეენარჩუნებინათ თავიანთი გაბატონებული პოზიციები ადრინდელი კოლონიების მიმართ, მათი პოლიტიკური დამოუკიდებლობის პირობებში. მიგვაჩნია, რომ სწორედ ეს პერიოდი უდებს სათავეს ახალ გეოეკონომიკურ წესრიგს. თუმცა, ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ დასავლეთის ქვეყნების ნეოლიბერალურ მოდელზე გადასვლა არ იყო ერთადერთი მიზეზი ახალი გეოეკონომიკური წესრიგის ფორსირებაში. ამ შემთხვევაში არანაკლები როლი ითამაშა კეთილდღეობის სახელმწიფოს კრიზისმა, დასავლეთის ქვეყნების მწვავე საფინანსო–საბიუჯეტო

[253] Whose World Order? Uneven Globalization and the End of the Cold War./edby H. Holm G. Sorensen, Westview Press, 1995. p.6.

სიძნელეებმა, რომელიც შეა ახალმა მოთხოვნებმა და გამოწვევებმა, რაც გამოიხატა ეკონომიკის ფორმირებულ ინტერნაციონალიზაციასა და საერთაშორისო ეკონომიკური კონკურენციის გამწვავებაში.

ჩნობილია, რომ ახალი გეოეკონომიკური წესრიგის ნეოლიბერალურ მოდელს ახასიათებს შემდეგი ძირითადი ნიშნები:

• აქცენტი კეთდება გლობალურ ეკონომიკაში შემავალი ქვეყნების ეკონომიკის რეგულირების მექანიზმების ფორსირებულ ჰომოგენიზაციაზე (მკაცრ მონეტარულ საფუძველზე). განვითარების ძირითად რეგულატორად მიჩნეულია სტიქიური საბაზრო მექანიზმი. ეროვნული ეკონომიკა, სუვერენიტეტი და ნაწილობრივ სახელმწიფოც კი განიხილება როგორც მომაკედავი ეკონომიკური კატეგორია;

• ზემოთ აღნიშნული პრობლემების გადაჭრა განიხილება როგორც წარმატების გარანტი. ძირითადი ძალისხმევა მიმართულია სახელმწიფოს ეკონომიკური როლის შემცირებისაკენ, ლიბერალიზაციისა და დერეგულირებისაკენ. აღნიშნულში კი იგულისხმება, რომ ნეოლიბერალური რეცეპტები გამოიწვევს წარმოების ეფექტიანობის ისეთ ზრდას, რომელსაც შეეძლება უზრუნველყოს საყოველთაო კეთილდღეობა;

• არცთუ იშვიათად ზემოთ აღნიშნული რეცეპტები შემოთავაზებულია როგორც მსოფლიოს გარდაქმნის საფუძვლები. ამჟამად და თვალსაწიერ მომავალშიც, როგორც ვარაუდობენ, ერთადერთი ცივილიზაცია ეს იქნება მსოფლიო ბაზრის გაბატონებული გეოეკონომიკური კულტურა.

როდესაც განიხილება გლობალიზაციის ნეოლიბერალური გეოეკონომიკური მოდელი აუცილებლად უნდა განვასხვაოთ, ერთის მხრივ, მისი თეორიული პოსტულატები და დეკლარაციები, ხოლო მეორეს მხრივ, რეალური პრაქტიკა, პოლიტიკა და მისი შედეგები. საქმე იმაშია, რომ ისინი ძალიან დაცილებულნი არიან ერთმანეთისაგან. კერძოდ, ნეოლიბერალები მუდმივად იყენებენ ორმაგ სტანდარტებს და თავს ახვევენ უცხო

სახელმწიფოებს საკუთარი კონცეფციების ყველაზე უფრო რადიკალურ ვარიანტებს. ამერიკის საქმიან წრეებშიც კი აღიარებენ, რომ როცა ამერიკული ბიზნესი საუბრობს კაპიტალიზმზე, მას მხედველობაში აქვს „ყველა თავისუფალი ბაზარი, გარდა საკუთარისა"[254].

ალბათ შემთხვევითი არაა, რომ როცა საუბარია სახელმწიფოს როლის საყოველთაო შემცირებაზე, რეალურად დასავლეთის ქვეყნების ეკონომიკაში სჭარბობს სრულიად განსხვავებული პროცესები. საქმე იმაშია, რომ ბოლო 30 წლის განმავლობაში "ოქროს მილიარდის" პრაქტიკულად ყველა ქვეყანაში ერთობლივი შიდა პროდუქტის წილი (რომელიც გადანაწილდება ბიუჯეტიდან) მეტნაკლებად უცვლელია. რეალურად მიმდინარეობს სახელმწიფოს ფუნქციის შეკვეცა მოსახლეობის სოციალური დაცვის სფეროში და მეორეს მხრივ, საგარეო ეკონომიკური სფეროს საგრძნობი ლიბერალიზაცია. სამაგიეროდ მკვეთრად გაიზარდა სახელმწიფოთა როლი საკუთარ მეწარმეთა კონკურენტუნარიანობის ამაღლებაში და ამისათვის აუცილებელ მეცნიერულ, კომუნიკაციურ, ინფორმაციულ ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებაში. მიმდინარეობს საგადასახადო სისტემის არსებითი გარდაქმნები, ხდება კონკურენტუნარიანი საწარმოების წახალისება.

1970–იანი წლებიდან განიხილება (და რეალიზდება) სამრეწველო და სხვა დარგების სტრუქტურული პოლიტიკა. "ოქროს მილიარდის" პრაქტიკულად ყველა ქვეყანაში პერმანენტულად მკაცრდება შეზღუდვები, რომელიც მიმართულია უცხო ქვეყნებიდან სამუშაო ძალის იმიგრაციის რეგულირებისაკენ. აღნიშნულის გარდა დიპლომატიური აპარატის მზარდი ნაწილი ორიენტირებულია იქითკენ, რომ მათ ხელი შეუწყონ (ამა თუ იმ ფორმით) საზღვარგარეთ არსებულ თავისი ქვეყნის კომპანიებს.

---

[254] უფრო დაწვრილებით იხ: Fortune, May 25, 1998. p. 25.

აღნიშნული მოვლენების ანალიზი გვაფიქრებინებს, რომ ეკონომიკურად მაღალგანვითარებული ქვეყნებში რეალურად მიმდინარეობს არა სახელმწიფოს ეკონომიკური ფუნქციის შემცირება, არამედ მისი ეკონომიკური ფუნქციის ცვლილება, რომელიც მიმართულია მისი აქტიობის ამაღლებისაკენ მსოფლიოს ახალ გეოეკონომიკურ სივრცეში მყარად დამკვიდრებისათვის. საყურადღებოა ის გარემოება, რომ დასავლეთი უკანასკნელ წლებში ორიენტაციას იღებს არა იმდენად დერეგულირებაზე, რამდენადაც რეგულირების რეფორმაზე.[255]

მთლიანობაში „ოქროს მილიარდის" ქვეყნებში ლიბერალიზაციის პოლიტიკა ტარდებოდა განსაკუთრებული ფანატიზმის გარეშე, თანდათანობით და ეტაპობრივად სახელმწიფოთა მიზანმიმართული მონაწილეობით, რამაც დასავლეთის ქვეყნებს საშუალება მისცა წარმატებით მოეხდინათ თავიანთი ეროვნული ეკონომიკების გარდაქმნა და უზრუნველყოთ მათი ახალ გეოეკონომიკურ სივრცესთან სწრაფი ადაპტაცია.

განვითარებად და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში სადაც ლიბერალიზაცია ინერგება შედარებით მკაცრი ფორმებით, მისი შედეგები გაცილებით რთული და წინააღმდეგობრივია.

საერთოდ, ნეოლიბერალური გეოეკონომიკური წესრიგი სამი ძირითადი მიმართულებით რეალიზდება: 1. მსოფლიო ეკონომიკის ცენტრების კონკურენტუნარიანობის საფუძვლების გარდაქმნით; 2. გლობალური ეკონომიკის ახალი რეგულატორების შექმნით; 3. განვითარებად სამყაროს ეკონომიკაზე მუდმივი ზემოქმედებით.

ბოლო ათწლეულების განმავლობაში „ოქროს მილიარდის" ქვეყნების ეკონომიკაში მოხდა სიღრმისეული ცვლილებები, რომელიც ასე თუ ისე დაკავშირებულია მეცნიერულ–ტექნიკურ რევოლუციასთან და პოსტინდუსტრიულ განვითარებასთან. დასავლეთის ქვეყნები გულუხვად აფინანსებდნენ და სტიმულს

---

[255] უფრო დაწვრილებით იხ: OECD Observer, N206, June-Jule 1997.

აძლევდნენ ასეთ ცვლილებებს, ხელმძღვანელობდნენ რა უპირველეს ყოვლისა როგორც სამხედრო შეიარაღების მოთხოვნილებებით, ასევე საერთაშორისო კონკურენციის იმპერატივებით. ცოტა მოგვიანებით კი ნეოლიბერალურ გეოეკონომიკურ მოდელზე გადასვლამ მკვეთრად გააძლიერა არა მხოლოდ საწარმოო აპარატის კონკურენტუნარიანობის ამაღლების მოთხოვნილება, არამედ სერიოზული გარდაქმნა მოითხოვა ეკონომიკის ორგანიზაციულ-მმართველობითმა საფუძვლებმაც. აღნიშნული ცვლილებები კი მჭიდროდ უკავშირდება მსოფლიო ეკონომიკის ცენტრების მოთხოვნილების ხასიათს. კერძოდ, მასობრივი წარმოების პროდუქციით ბაზრის გაჯერება და მატერიალური კეთილდღეობის ზრდა ხელს უწყობს მოთხოვნილების სწრაფი დიფერენციაციისა და ინდივიდუალიზაციის პროცესს. მხედველობაშია ის გარემოება, რომ საქონელმწარმოებლები სულ უფრო მეტად ორიენტირებულები ხდებიან არა ფართო მასობრივ ბაზარზე, არამედ ეძებენ თავიანთ ადგილს დანაწევრებულ ბაზრებზე, ეძებენ რა თავიანთი საქმიანობისათვის სპეციფიკურ ნიშას. აღნიშნულის შედეგად კი ხდება სამეცნიერო–ტექნიკური მიმართულების, პერსპექტიული დარგებისა და კაპიტალის სარფიანი დაბანდების ახალი გზების ძიება. ამ უკანასკნელის შესაბამისად კი საჭირო ხდება გადაიხედოს სტაბილურობისა და მდგრადობის ადრინდელი ნორმატივები, რომელიც სულ უფრო ხშირად იცვლება მოქნილობის, მანევრირებისა და ადაპტაციაზე ორიენტირებით. დასავლეთში ასეთი ორიენტაციის მნიშვნელობა ჯერ კიდევ გასული საუკუნის 80–იან წლებში იქნა გაცნობიერებული.[256] ყველაფერი ზემოთ აღნიშნულის საბოლოო შედეგს ეკონომიკური საქმიანობის შეფასებისას წარმოადგენს მოქნილობისა და შე-

[256] უფრო დაწვრილებით იხ.: OECD. Positive Adjustment Policies: Managing Structural Change. 1983; ან Коллонтай В. Гибкие производственные структуры: новые тенденции в западных социально-экономических исследованиях. М, 1985

გუების ალიარება უმნიშვნელოვანეს კრიტერიუმად. ბაზრების მზარდი დინამიურობის ფონზე, ეფექტურობა და კონკურენტუნარიანობა ამჟამად განისაზღვრება არა იმდენად წარმოების მიმდინარე დანახარჯებით, რამდენადაც ახალი ხარისხიანი პროდუქციის შექმნითა და დანერგვით, ახალი ტექნოლოგიებით, ახალი ორგანიზაციულ-მმართველობითი ხერხებითა და წარმოქმნილი საბაზრო ნიშნების გამოყენებით და დაკმაყოფილებით. საბოლოო ჯამში ნეოლიბერალურ გეოეკონომიკაში გადამწყვეტი ხდება შემოქმედებითი ძიდგომები. დინამიურ მდგომარეობაში ორიენტირდება, ამ მგდომარეობასთან სწრაფი შეგუების უნარი და ორიგინალური გადაწყვეტილებების პოვნა-რეალიზაცია.[257] სწორედ აღნიშნულზეა გამიზნული სწრაფად განვითარებადი მენეჯმენტის, მარკეტინგის, კორპორაციების მართვის (corporate governancer) მეცნიერებები.

15.3 გლობალური კორპორაციული და ფინანსური ცენტრები

XX ს. მეორე ნახევრიდან მსოფლიო ეკონომიკაში ჩნდება და სწრაფად ვითარდება ახალი სისტემა შემქმნელი ტრანსნაციონალური კომპანიები (ტნკ) და მსოფლიოს ფინანსური ცენტრები (მფც). მათი ფესვები უკავშირდება საგარეო ვაჭრობისა და უცხოური ინვესტიციების ხანგრძლივ ისტორიას. მათი ფორმირების მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენდა 1970–იანი წლებიდან დაწყებული ლიბერალიზაციის პოლიტიკა, რომელმაც საშუალება მისცა მძლავრ კომპანიებს (ფირმებს) დასხლტომოდა ეროვნულ–სახელმწიფოებრივ კონტროლს და შეეძინა დამოუკიდებლობის მნიშვნელოვანი ხარისხი.

ტნკ და მფც ერთმანეთთან ძალზედ მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი და პრაქტიკულად ერთ საქმეს აკეთებენ. მაგრამ

---

[257] უფრო დაწვრილებით იხ.: Drucker P. Managing in a Time of Great Change, N.Y. 1998.

მათ შორის არსებობს გარკვეული განსხვავებაც, რომლის მხედველობაში მიუღებლობა არ შეიძლება. საქმე იმაშია, რომ ტნკ სხვადასხვა ქვეყნებში ფლობენ გარკვეულ სეგმენტებს, ახდენენ რა წარმოქმნილი ანკლავების საქმიანობის კოორდინაციას, ამით ისინი ქმნიან შრომის საერთაშორისო დანაწილების საკუთარ მოდიფიცირებულ ქვესისტემებს. ფაქტია, რომ საერთაშორისო ვაჭრობის ზრდის ძირითადი ნაწილი, ამჟამად, უკავშირდება სწორედ ტნკ საქმიანობას, მათ სხვადასხვა დანაყოფებს შორის განხორციელებულ ოპერაციებს. საინტერესოა აღინიშნოს, რომ დღეისათვის ტნკ უცხოური ფილიალების მიერ წარმოებული პროდუქცია გაცილებით სჭარბობს მსოფლიო ექსპორტის მოცულობას. თუ ადრე ტნკ ექსპანსიის ძირითადი მოტივაცია იყო იაფი მუშახელით, გასაღების ბაზრით და ნედლეულის წყაროებით დაინტერესება, დროთა განმავლობაში აღნიშნულს დაემატა ტნკ მისწრაფება თავი აარიდონ გადასახადებს, გამკაცრებულ ეკოლოგიურ კანონებს და ა.შ.

ტნკ მომხიბლელობა მიმღები ქვეყნებისათვის ისაა, რომ მათ მოაქვთ გარკვეული ინვესტიციები, აძლიერებენ წარმოებას, ქმნიან სამუშაო ადგილებს და გარკვეული ზომით ხელმისაწვდომს ხდიან თანამედროვე მეცნიერებისა და ტექნოლოგიების მიღწევებს. ამისათვის კი მიმღებმა ქვეყნებმა უნდა უზრუნველყონ მათი ფუნქციონირებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა, შექმნან აუცილებელი ინფრასტრუქტურა, ნება დართონ საზღვრებს გარეთ მოგების თავისუფალი გადაგზავნის და ა.შ.

მფც თავის თავში ახდენენ უდიდესი ეკონომიკური ძლიერების კონცენტრირებას. მათ განსაკუთრებულ ძალას ანიჭებს ინფორმატიკის უახლესი მიღწევები, რომელიც საშუალებას იძლევა წამიერად განახორციელონ ოპერაციები და უმოკლეს ვადებში გადაისროლონ თანხები დედამიწის ნებისმიერ წერტილში.

მფც წარმოადგენს არა მხოლოდ მსხვილი ბანკები და ფინანსური ინსტიტუტები, არამედ მისი განუყოფელი ნაწილია

საკალუტო, საფონდო და სხვა ბირჟები, რომლებიც შეთანხმებულად მოქმედებენ უნიფიცირებული წესებით.[258] მფც გარშემო კი თავს იყრიან მრავალრიცხოვანი ფირმები, რომლებიც იძლევიან იურიდიული, აუდიტორული, ტექნიკურ–ეკონომიკურ და სხვა სახის მომსახურეობას.[259] შესაბამისად, ამ ცენტრებში ხდება უდიდესი ანალიტიკური პოტენციალის თავმოყრა, რომელიც მდიდარ ინფორმაციასთან ერთად საშუალებას აძლევს კლიენტებს მისცეს არა მხოლოდ მრავალფეროვანი კონსულტაციური და სხვა სახის მომსახურება, არამედ იგი გარკვეული დამატებითი წყაროცაა იმისათვის, რომ მფც გაატარონ საკუთარი დამოუკიდებელი პოლიტიკა.

გლობალური ფინანსური ქვესისტემის მნიშვნელოვანი ატრიბუტია მრავალრიცხოვანი ოფშორული და სხვა ზონები. ეს ზონები საშუალებას იძლევა თავი აარიდონ არსებულ ეროვნულ-სახელმწიფოებრივ კანონმდებლობებს.

მფც აწესებენ გეოეკონომიკური საქმიანობის ახალ კრიტერიუმებს, სახეს უცვლიან მის მოტივაციასა და პრიორიტეტებს. ასეთი ცვლილებების შედეგად თანხების მზარდი ნაწილი მიმართულია არა წარმოებაში, არამედ სუფთა ფინანსურ ოპერაციებში. საქმე, ამ შემთხვევაში, ეხება არა მხოლოდ იმას, რომ არსებულ ფინანსურ საშუალებებში (ევროობლიგაციები, ნავთობდოლარები და ა.შ.) საწარმოო ობიექტების კონკურენტუნარიანობა (საერთაშორისო სტანდარტებით) შეზღუდული და ხშირად მომატებული პოლიტიკური რისკებითაა დამძიმებული, არამედ იმასაც, რომ თვით ფინანსური სფერო ხელოვნურად ქმნის თავისი თავისათვის ხელსაყრელ პირობებს. ძალზედ

---

[258] უფრო დაწვრილებით იხ.: OECD. The new Financial Landscape: Forces Shaping the Revolution in Banking. Risk Menegement and Capital Markets. p.1995; The Global Structure of Financial Markets:An overview (ed D.K. Ghosh and E. Oritz), N.Y. 1997.

[259] Goalitions and Competition: The Globalization of professional Business Services.(ed.Y.Aharoni), N.Y., 1993.

სწრაფად მრავლდება ვირტუალური ფული და საკრედიტო მოვალეობანი, რომლებიც ხშირად (და ალბათ უმეტეს შემთხვევაში) მოწყვეტილია რეალურ გეოეკონომიკურ საქმიანობას, მაგრამ აუცილებლად ახდენს ამ უკანასკნელზე საკმაოდ დიდ ზემოქმედებას.[260] სწრაფად ვითარდება ვირტუალური სპეკულაციური მსოფლიო. ბოლო წლებში მომხდარ საჯალუტო ნგრევებში (ინგლისი, საფრანგეთი, მექსიკა და ა.შ.) დიდია სპეკულიანტების „დამსახურება", რომელთაც ამით ზღაპრული ქონება დააგროვეს.[261]

აღნიშნულის შედეგად, ბოლო 30 წლის განმავლობაში სერიოზული ცვლილებები განიცადა სხვადასხვა ფინანსური ძალაუფლებისა და გაელენის ცენტრების ძალთა თანაფარდობამ. საქმე იმაშია, რომ უკვე 1990–იანი წლების დასაწყისში სავალუტო ბირჟების ყოველდღიურმა ბრუნვამ გადააჭარბა "ოქროს მილიარდის" ქვეყნების ცენტრალური ბანკების ერთობლივ საჯალუტო რეზერვებს.[262]

ამჟამად, არა მხოლოდ მრავალი მწარმოებელი, არამედ რიგი ტერიტორიულ ადმინისტრაციული გაერთიანებები (ქალაქები, რეგიონები, ქვეყნები) დამოკიდებულნი ხდებიან მფცზე (მსოფლიო ფინანსური ცენტრები). ამას ემატება მზარდი მოთხოვნილებები ახალ ტექნოლოგიებსა და ეფექტური მართვის მეთოდებზე, რომლებიც თავმოყრილია მფც ხელში. ყალიბდება სიტუაცია რომლის დროსაც წარმოების შესაძლებლობებს და დედამიწის სხვადასხვა წერტილებში ცხოვრების წესს უმეტესად განსაზღვრავს ის გადაწყვეტილებები, რომელსაც იღებს გლობალიზირებადი კაპიტალი. აღნიშნულის შედეგად კი როგორც მწარმოებლები, ასევე ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეულები ერთეებიან მწვავე კონკურენტულ

---

[260] Foreign Affairs, Sept. Oct. 1997, p. 159-172.

[261] Soros on Soros: Staying Ahead of the Curve. N.Y., 1995.

[262] Mc. Kinsey Global Institute. The Global Capital Market: Supply, Demand, Pricing and Allocation. Wash., 1994. p. 56.

ბრძოლაში, რათა მოიპოვონ ტნკ-ის და მფც-ის კეთილგანწყობა. ამ ბრძოლის მთავარი იარაღია იძულებითი დერეგულირება და შეღავათების შესაძლო მიღება.[263]

ზემოთ აღნიშნულ პირობებში „სახელმწიფო უკვე ვეღარ განკარგავს რესურსებს ისე, როგორც ის აკეთებდა ადრე. იგი ახორციელებს მოლაპარაკებებს უცხოურ და ადგილობრივ კაპიტალთან. ამასთან ცდილობს შეიტყუოს ისინი თავის ეკონომიკურ სფეროში იმ იმედით, რომ უზრუნველყოს ზრდა"[264]

15.4 ძალთა თანაფარდობის მოდელები გლობალურ გეოეკონომიკურ წესრიგში

წინა პარაგრაფში აღნიშნული ტენდენციები არსებითად ცვლის მსოფლიოს გეოეკონომიკურ კონფიგურაციას და მსოფლიოს ძალთა განლაგებას. იგი ხდება იმდენად რთული და მრავალფეროვანი, რომ მისი მართვა უკვე შეუძლებელია ერთი ცენტრიდან. თუ ადრე გეოეკონომიკურ წესრიგის ჩამოყალიბებაში ძირითად როლს თამაშობდა სულ რამდენიმე ეკონომიკურად და ტექნოლოგიურად წარმატებული სახელმწიფოები, ამჟამად ამ როლზე პრეტენზია გააჩნია ქვეყანათა გაცილებით ფართო წრეს, ასევე გლობალიზირებად კაპიტალსა (ტნკ და მფც) და საერთაშორისო ეკონომიკურ ორგანიზაციებს.

იმის მიუხედავად, რომ პერმანენტულად იცვლება მსოფლიოს ეკონომიკურ ცენტრებს შორის ძალთა თანაფარდობა, ერთიანობაში იგი ფლობს საშუალებათა ფართო ნაკრებს, რომელიც საშუალებას იძლევა ქმედითი ზეგავლენა მოახდინოს პერიფერიის (განსაკუთრებით მათზე, ვინც მხარს უჭერს ნეოლიბერალურ ორიენტაციას) უმეტეს ქვეყნებზე.

პოსტკოლონიალური განვითარება განისაზღვრება ორი უმსხვილესი ტენდენციის, ორი ურთიერთგადამკვეთი (არათავსე-

---

[263] Finance and World Politics (ed. Ph. Cerny), Aldershot-England, 1993 ch. 1. § 3.

[264] Foreign Affairs, July –b August 1996, p. 46.

ბადი) განვითარების სტრატეგიით. პირველი ორიენტირებულია ქვეყანაში არსებული რესურსების მაქსიმალურ მობილიზაციაზე სახელმწიფოს დახმარებით, ასევე შიდა ბაზრისა და ეროვნული ეკონომიკის განვითარებასა და ინტერესების დაცვაზე. მეორე ამოდის ნეოლიბერალური გლობალიზაციის პერსპექტივებიდან და გულისხმობს განვითარებადი ქვეყნების (პერიფერიის) ფორსირებულ ინტეგრაციას გლობალურ ეკონომიკაში, ანკლაეურ განვითარებას უცხოეთიდან შემოსული ფინანსური საშუალებებისა და ტექნოლოგიების გამოყენებით.

ეს ორივე მოდელი ეყრდნობა რეალურად არსებულ თანამედროვე იმპერატივებს და გულისხმობს ამა თუ იმ ობიექტურად მიმდინარე პროცესების შეგნებულ წახალისებას. ორივე მოდელს გააჩნიათ თავისი პოზიტიური და ნეგატიური მხარეები. ორივესათვის ამოსავალს წარმოადგენს ის მემკვიდრეობა, რომელიც პერიფერიულ ქვეყნებს ერგოთ კოლონიალიზმის პერიოდიდან (ეკონომიკური ჩამორჩენილობა), საკუთარი პოტენციალის უქონლობა იმისათვის, რომ დამოუკიდებლად განახორციელონ ფინანსური მოდერნიზაცია, შიდა ბაზარზე აღმოფხვრან კვალიფიციური მუშახელის დეფიციტი, დაძლიონ ტექნოლოგიური სისუსტე და ა.შ. მათში დამატებით სიძნელეებს ქმნის მოსახლეობის სწრაფი ზრდაც. ვფიქრობთ, ამ პირობებში პერიფერიული ქვეყნების მოდერნიზაციის ნებისმიერმა მცდელობამ შეიძლება მიგვიყვანოს სოციალურ-ეკონომიკურ დანაწევრებამდე. ამ ქვეყნების არჩევანს კი მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ის, თუ რამდენად მწვავე იქნება სოციალურ-ეკონომიკური დიფერენციაცია და არაერთგვაროვნება, რამდენად იქნება მათი განვითარება მიმართული ქვეყნის შიგნით ან ქვეყნის გარეთ ინტეგრაციაზე.

ახალგანთავისუფლებულ კოლონიურ ქვეყნებში, მათი დამოუკიდებლად არსებობის პირველ წლებში შეინიშნებოდა ეკონომიკური ჩამორჩენილობის დაძლევისაკენ მიმართული ბრძოლის აღმავლობა, ეკონომიკური დამოუკიდებლობისა და ეროვ-

ნული ეკონომიკის (როგორც ეროვნული ერთიანობის საფუძველის) ფორმირებისაკენ სწრაფვა. აღნიშნულის მიღწევის ძირითად საშუალებად ისინი მიიჩნევდნენ სახელმწიფოს აქტიურ ჩარევას ეკონომიკაში. ასევე მნიშვნელოვნად იყო მიჩნეული აგრარული რეფორმა, რომელიც ხშირად ფერხდებოდა. სახელმწიფოების მიერ განხორციელებული სამშენებლო სამუშაოები ზრდიდა ქვეყნების საწარმოო პოტენციალს, მაგრამ, ამასთან ერთად, ხშირად იქმნებოდა არარენტაბელური საწარმოები, რომლებიც, თავის მხრივ, ითხოვდნენ პროტექციონისტულ დაცვას, ანდა მუდმივ სუბსიდიებს. უაღრესად დაჩქარებული სამეცნიერო-ტექნოლოგიური რევოლუციის ფონზე, პერიფერიული ქვეყნების მრავალი საწარმო ექსპლოატაციაში გაშვების მომენტისათვის უკვე მორალურად დაძველებული და არაკონკურენტუნარიანი იყო. ამავდროულად მწვავედ შეიგრძნობოდა ფინანსური საშუალებებისა და შესაბამისი ტექნოლოგიების დეფიციტი ფორსირებული განვითარებისათვის.

ამ პირობებში მსოფლიოს გეოეკონომიკური პერიფერია მტკიცედ მიისწრაფოდა რათა მსოფლიოში დამყარებულიყო შედარებით თანაბარუფლებიანი მსოფლიოს ახალი გეოეკონომიკური წესრიგი.

ამ მოთხოვნილების საპირწონედ „ოქროს მილიარდის" ქვეყნებმა, მეტნაკლებად ერთიანი ფრონტით, კურსი აიღეს ნეოლიბერალურ მსოფლიო გეოეკონომიკურ წესრიგზე. საგანგებო ბუნებრივია, რომ მიუმხრობლობის მოძრაობა, ახალი გეოეკონომიკური წესრიგის მოთხოვნა და რაც მთავარია, პერიფერიული ქვეყნების მხრიდან მათ მიერ ბუნებრივ რესურსებზე გამკაცრებული კონტროლი, „ოქროს მილიარდის" ქვეყნებმა აღიქვეს როგორც სერიოზული, რეალური საფრთხე. ეს მომენტი განსაკუთრებით კარგად გამოჩნდა 1970–იანი წლების ენერგეტიკული კრიზისის პერიოდში. მსოფლიოს გეოეკონომიკური პერიფერიის მხრიდან. ანალოგიურად იქნა შეფასებული 1970–იანი წლების ბოლოს განვითარებული ფინანსური კრიზისიც, რომლის შემ-

დგომაც „ოქროს მილიარდის" ქვეყნების უმთავრეს ამოცანად იქცა როგორმე უზრუნველყო გეოეკონომიკურ პერიფერიაში ფინანსური სტაბილურობა და გაეზარდა ამ ქვეყნების ვალის გადახდის უნარიანობა (პოტენციალი). შესაბამისად, უკვე 1980-იანი წლებიდან გეოეკონომიკური პერიფერია მუდმივად განიცდის განვითარების მოდელების ცვლილებებს. კერძოდ, ეკონომიკური ზრდის სანაცვლოდ, რომელიც ეყრდნობა სახელმწიფოს, მათ სთავაზობდნენ ნეოლიბერალურ და მონეტარულ რეცეპტებს, რომლებიც ორიენტირებულები იყვნენ საბაზრო ეკონომიკაზე. საერთოდ, მრავალმხრივი ეკონომიკური პროგრესის ნაცვლად გეოეკონომიკურმა პერიფერიამ მიიღო ნეოლიბერალური პრინციპები და დამწვევი, ანკლაური განვითარების თეორია.

ნეოლიბერალური კონცეფციების თანახმად არსებობის უფლება გააჩნია მხოლოდ კონკურენტუნარიან (საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით) საწარმოებს. ასეთები კი გეოეკონომიკურ პერიფერიაში ძალზედ მცირეა. აზიის ფინანსური კრიზისის პერიოდში ამერიკულ პრესაში დაიბეჭდა სტატია, სადაც გაცხადდა, რომ „აზიური კომპანიები ბოლოს და ბოლოს უნდა შეესაბამებოდნენ იმ საქმიან და ფინანსურ სტანდარტებს რომელიც დამახასიათებელია აშშ-თვის, როგორც ყველაზე მოწინავე ქვეყნისათვის. სხვაგვარად აზიური ბიზნესი ვერასდროს ვერ შეძლებს უზრუნველყოს ის შემოსავლები, რომელთაც შეუძლიათ კაპიტალის მოზიდვა ბაზრების გლობალიზაციის თანამედროვე პირობებში"[265]

ასეთი მიდგომების დროს თითქოს ვერ ამჩნევენ, რომ საქმე ეხება მსოფლიოს უდიდეს გეოეკონომიკურ მასივებს, რომელიც კვებას რამოდენიმე მილიარდ ადამიანს. სხვანაირად, რომ ვთქვათ, წამოყენებულია დედამიწის მოსახლეობის 3/4–ის ცხოვრების უზრუნველყოფის ტრანსფორმაციის მოთხოვნა. ამასთან, როგორც დასავლეთში, ასევე გეოეკონომიკურ

[265] Fortune, Feb. 16, 1998, p.84.

პერიფერიაშიც, კარგად ესმით, რომ ასეთი ტრანსფორმაციისათვის კაპიტალდაბანდებების მობილიზება საბაზრო მეთოდებით პრაქტიკულად შეუძლებელია.

ასეთი განვითარება მრავალ პრობლემას უქმნის გეოეკონომიკურ პერიფერიას. განვითარება მოიცავს მისი მოსახლეობისა და ეკონომიკის მხოლოდ ნაწილს, იზრდება სოციალურ-ეკონომიკური დანაწევრება და რიგი ქვეყნების მარგინალიზაცია იმდენად, რამდენადაც საქმე ეხება იმ ანკლავებს, რომლებსაც ქმნიან ტნკ. ეს კომპანიები კი ადგილობრივი ან/და ეროვნული პრობლემების გადაწყვეტისათვის ადგილობრივ პოლიტიკურ ხელისუფლებას ართმევენ შეზღუდული რესურსების (ბუნებრივი სიმდიდრეები, კვალიფიციური მუშახელი) საკუთარი მიზნებისათვის გამოყენების შესაძლებლობას. უფრო მეტიც, ასეთი ანკლავების წარმატებული საქმიანობა მთლიანადაა დამოკიდებული გლობალური გეოეკონომიკური სივრცის სტაბილურობასა და ნორმალურ ფუნქციონირებაზე. ეს უკანასკნელი კი, როგორც აზიის ფინანსურმა კრიზისმა აჩვენა, სრულიადაც არაა გარანტირებული.

ნეოლიბერალური მოდელის მნიშვნელოვანი ელემენტია გეოეკონომიკური პერიფერიის მუდმივი კრედიტირება და სუბსიდირება. აღნიშნულთან დაკავშირებით თანხების შედინება მხოლოდ ნაწილობრივ ახდენს (ჯერ კიდევ კოლონიალიზმის დროიდან შენარჩუნებული) რესურსების რეგულარულ გადინების არაექვივალენტური გაცვლების ხაზით, ასევე უცხოური ინვესტიციებიდან შემოსავლების და ა.შ. კომპენსირებას. სამაგიეროდ სესხებისა და სუბსიდიების ხანგრძლივი შედინება გარედან ახდენს გეოეკონომიკური პერიფერიის ქვეყნების სოციალურ-ეკონომიკური სტრუქტურის დეფორმირებას, ქმნის ისეთ სექტორებსა და სოციალურ ჯგუფებს, რომლებიც ორიენტირებულნი არიან მუდმივ პოლიტიკაზე, ბადებს საზოგადოების სტრუქტურულ დამოკიდებულებას. ამ კუთხით მხოლოდ ზოგიერთმა ქვეყანამ (მათი განსაკუთრებული მდგომარეობის

გამო) შეძლო საკუთარი ინტერესებისათვის გამოეყენებინა მიღებული რესურსები. (მაგალითად, სამხრეთ კორეა და ტაივანი კომუნისტურ რეჟიმებთან კონკურენციაში გამარჯვებისათვის, უკრაინა და საქართველო დემოკრატიული ინსტიტუტების განმტკიცებისათვის პოსტსაბჭოთა სივრცეში და ა.შ)

პოსტკოლონიური პერიოდის განმავლობაში გეოეკონომიკური პერიფერიის დავალიანება მუდმივად იზრდებოდა იმის მიუხედავად, რომ მასში შემავალი ქვეყნები რეგულარულად ცდილობდნენ დაეფარათ საგარეო ვალი.[266] აღნიშნული კი იმიტომ ხდება, რომ კრედიტორები უპირველესად მოითხოვენ პროცენტის გადახდას, ვინაიდან ძირითადი ვალის გადახდისათვის ხშირად თანხები არასაკმარისია. სწორედ ამ დროს ხდება ვალის რესტრუქტურიზაცია ანუ მათი გასტუმრების ვადის გადადება. ამასთან ვალის გადავადების პირობების მოლაპარაკებების პროცესში, კრედიტორებს უჩნდებათ იმის შესაძლებლობა წამოაყენონ მიმდინარე მომენტისათვის საჭირო გეოეკონომიკური (და არა მხოლოდ) მოთხოვნები. ამდენად, ვალების რესტრუქტურიზაცია წარმოადგენს არა მხოლოდ ქმედით, არამედ ძალზედ მოქნილ და მანევრირებად გეოეკონომიკურ ინსტრუმენტს, კრედიტორების ხელში. თვით ეპიზოდური ფინანსური კრიზისებიც კი საშუალებას აძლევენ კრედიტორებს ზეწოლა მოახდინონ მოვალეებზე, ჩალის ფასად იყიდონ მათი ქონება და მოახდინონ სახელმწიფოთა ქონების პრივატიზირება. მაგალითად, 1980-იანი წლების ფინანსური კრიზისის შედეგად „მექსიკაში პრივატიზირებული იქნა (ძირითადა უცხოური კაპიტალის სასარგებლოდ) 3/4–ზე მეტი სახ-

[266] უფრო დაწვრილებით იხ.: George S. The Debt Boomerang: How Third World Debt Harms Us All. Boulder CO, 1992; Lehman H.P. Indebted Development: Strategic Bargaining and Economic Adjustment in the Third World, N.Y., 1993.

ელმწიფო საწარმო"[267]. ამ პირობებში გეოეკონომიკური პერიფერიის ქვეყნების ეკონომიკები უძლურნი ხდებიან გარედან მიმდინარე შეგნებული ან სტიქიური დაწოლის წინაშე. უფრო ხშირად კი მფც და საერთაშორისო სავალუტო ფონდის მხრიდან ისეთი განაკვეთები და სავალუტო კურსებია, რომლებიც ძირს უთხრიან რეალურ სექტორს და ხელს უწყობენ ფინანსური წრეების გაძლიერებას.

15.5. ახალი გეოეკონომიკური წესრიგის ალტერნატიული მოდელი

ცხოვრება აჩვენებს, რომ „სუფთა სახით" განვითარების არც ერთ ადრე არსებულ მოდელს არ შეუძლია წარმატების მოტანა (განსაკუთრებით პერიფერიული ქვეყნებისათვის). სახელმწიფოს ფართო ჩარევა ქვეყნის ეკონომიკაში (მით უმეტეს თუ ამ ქვეყანაში კორუფცია და დანაშაული ფართოდაა გავრცელებული) მთავრდება არა მხოლოდ ეროვნული რესურსების მობილიზაციით, არამედ მათი უკონტროლო განიავებით, არასტაბილურობის ზრდით. ასეთი მოდელი, ბუნებრივია, უძლურია უზრუნველყოს ქვეყნის რაციონალური ეკონომიკური (და არა მარტო ეკონომიკური) განვითარება. რაც შეეხება ნეოლიბერალურ მოდელს, იგი ხშირად არ ითვალისწინებს იმ გეოეკონომიკური გარემოს (სივრცე, ეკონომიკა, პოლიტიკური სტრუქტურები) სპეციფიკას, სადაც მას მოუწევს მოქმედება. აღნიშნულის შედეგად კი ის საბაზრო და დემოკრატიული ინსტიტუტები, რომელიც ინერგება უცხო საზოგადოებებში, ხშირად თვითონ განიცდიან ღრმა ტრანსფორმაციას და იძლევიან შედეგებს, რომლებიც შორსაა სასურველისაგან.

როგორც ჩანს, უკვე დადგა დრო უარი ვთქვათ ამა თუ იმ მოდელისადმი ფანატიკურ მხარდაჭერაზე და გადავიდეთ გონიერულ და პროგრამულ შეთანაწყობაზე გლობალიზაციის იმ-

[267] Lustung N. Mexico: The Remarking of an Economy. Wash. D.C., 1992, p.105.

პერატივებსა და ეროვნული ინტერესებს შორის. ასევე ეკონომიკურ განვითარებაში სახელმწიფოსა და კერძო სექტორის განცალკევებაზე. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ სწორედ ამით იყო გამორჩეული, დიდი ხნის განმავლობაში, ისეთი ქვეყნების განვითარება, როგორიცაა სამხრეთი კორეა, მალაიზია, ტაივანი. ამ ქვეყნებში კი სახელმწიფოს როლი ეკონომიკურ განვითარებაში ძალზედ დიდი იყო.[268]

რამდენადმე ადრე ანალოგიური გზით ვითარდებოდნენ ლათინური ამერიკის რიგი ქვეყნებიც (განსაკუთრებით კი ჩილე და ბრაზილია) შედეგად მათ შეძლეს დანაწევრებული ანკლავური განვითარებიდან გადასულიყვნენ საკუთარი ეკონომიკის შედარებით კომპლექსურ განვითარებაზე.

არსებული ტენდენციები მიგვანიშნებს, რომ მომავალში ნეოლიბერალიზმი არაა გამორიცხული შეიცვალოს შერეული ეკონომიკების ახალი კონცეფციებით, რომლებიც ორიენტირებულები იქნებიან გარდამავალ ეკონომიკაზე (რომლებიც ვითარდებიან სწრაფად მიმდინარე გლობალიზაციის პირობებში). ვფიქრობთ, ასეთ მოდელებში დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს გეოსოციალურ და გეოკულტურულ, ასევე განვითარების ისტორიულ ასპექტებს.

როგორც წინა თავებში აღინიშნა, ბოლო წლების განმავლობაში გლობალიზაციის ნეოლიბერალური გეოეკონომიკური მოდელი (სტიქიური საბაზრო პროცესების შეთანაწყობა მიზანმიმართულ პოლიტიკასთან) საკმაოდ მტკიცედ მკვიდრდება როგორც თანამედროვე ეკონომიკური ურთიერთობების საფუძველი. ამ მიმართულებით მიღწეული წარმატებები საკმაოდ კარგადაა ცნობილი და ალბათ არ საჭიროებს დაწვრილებით აღწერას (საქონლის, მომსახურებისა და კაპიტალის გადაადგილებისათვის ბარიერების მოხსნა, საერთაშორისო ვაჭრობისა და

[268] უფრო დაწვრილებით იხ.: Wade R. Governing the Market: Economic Theory and the Role of Government in East Asian Industrialization. Princeton, 1990.

უცხოური კაპიტალდაბანდებების სწრაფი ზრდა და ა.შ.). ასეთი მდგომარეობის საფუძველს კი წარმოადგენს ცენტრისა და პერიფერიის ურთიერთქმედების ზემოთ განხილული განახლებული გეოეკონომიკური სისტემა, რომელიც ყალიბდება პოსტკოლონიალურ წლებში. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, პრაქტიკულად ხელმეორედ ფორმირებული (რომელმაც უდიდესი მნიშვნელობა შეიძინა) ცენტრის მონოპოლია სამეცნიერო-ტექნოლოგიურ პროგრესსა და ფინანსურ-ინფორმაციული დინებების კონტროლის სფეროში. ამას ემატება კიდევ ერთი უკიდურესად მნიშვნელოვანი ისეთი ფაქტორიც, როგორიცაა მასობრივი განადგურებისა და სწრაფი რეაგირების ძალებზე თითქმის მონოპოლიური კონტროლიც. დიდი როლი ენიჭება ასევე იმასაც, რომ ძირითადი გეოეკონომიკური ცენტრების მთავარ კომპონენტებს შორის ამჟამად მიღწეულია შეთანხმების (კონსესუსის) და მოქმედებების კოორდინაციის ისეთი ხარისხი, რომელიც ჯერ კიდევ ინარჩუნებს არსებული გეოეკონომიკური წესრიგის საყრდენ წერტილებს, რომელსაც არც ამჟამად და (დიდი ალბათობით) არც უახლოეს მომავალში პრაქტიკულად არ ექნება რეალური ალტერნატივა.

ზემოთ აღნიშნულთან ერთად, არ შეიძლება არ შევნიშნოთ ის გარემოებაც, რომ არსებული შინაგანი წინააღმდეგობების შედეგად გეოეკონომიკის ნეოლიბერალური მოდელი მომავალში იძულებული იქნება სერიოზული კორექტივები შეიტანოს მსოფლიო გეოეკონომიკური წესრიგის ცალკეულ აქტორთა ურთიერთქმედების სისტემაში. უპირველეს ყოვლისა კი მოსალოდნელია სახელმწიფოს ეკონომიკაში ჩარევისა და გლობალურ გეოეკონომიკაში მართვის პოზიციებზე მისი მეტნეკლები გააქტიურება. ამ კუთხით ალტერნატივები არა მხოლოდ შესაძლებელი, არამედ გარდაუვალიცაა.

გეოეკონომიკის ნეოლიბერალურმა მოდელმა ღრმა ცვლილებები შეიტანა მთელს კვლავწარმოებად პროცესში. მან მიგვიყვანა ეროვნული ეკონომიკების გახლეჩვამდე, შრომის საერ-

თაშორისო დანაწილების ზრდამდე, ერთმანეთთან დაკავშირებული, მთელი მსოფლიოს კვლავწარმოებადი პროცესის ცალკეული რგოლების გაუქმებამდე და ა.შ. აღნიშნულის საწინააღმდეგო პროცესია კვლავწარმოებადი პროცესებისა და დისპროპორციების დაშორიშორება საკმაოდ ფართო ტერიტორიებზე, მრავალი პრობლემის გადატანა მსოფლიოს გეოეკონომიკური ცენტრებიდან მის პერიფერიაზე. მსოფლიო გეოეკონომიკური ცენტრებიდან გადატანილი დისპროპორციები და პრობლემები (წინააღმდეგობანი) კი გარდაიქმნება და გროვდება (განსაკუთრებით გეოეკონომიკურ პერიფერიაზე) იმისათვის, რათა ადრე თუ გვიან გამოვლინდნენ გლობალურ მასშტაბებში. გეოეკონომიკური ინტეგრაციის ანკლავური ხასიათის გამო, გეოეკონომიკური პერიფერიის უმეტეს ქვეყნებში, ზემოთ აღნიშნული დისპროპორციები და პრობლემები, უპირველეს ყოვლისა, კონცენტრირდება მათ სავაჭრო და საგადასახადო ბალანსზე, სავალუტო და ფინანსური ურთიერთობების სფეროში.

XX ს. ბოლოს განვითარებული ფინანსური კრიზისის გეოეკონომიკური ანალიზი გვაფიქრებინებს, რომ მომავალში კრიზისებმა შეიძლება მიიღოს საკმაოდ არაორდინალური კონფიგურაცია, დაწყებული სავალუტო-საფინანსო (ან ვალის) კრიზისებიდან, რომელიც განვითარდება გეოეკონომიკურ პერიფერიაზე და მხოლოდ ამის შემდგომ საგარეო ვაჭრობისა და საინვესტიციო დინებების არხებით შეიძლება გადაინაცვლონ მსოფლიოს გეოეკონომიკურ ცენტრებში.

რაც შეეხება ნეოლიბერალური გეოეკონომიკური მოდელის გეოცივილიზაციურ შედეგებს, ამ მხრივ პრაქტიკულად არავინ ამტკიცებს, რომ ამ მოდელის წარმატების შედეგად (ბოლო ათწლეულებში) მსოფლიოში რამდენადმე მაინც შეინიშნება მორალურ-ეთიკური სტანდარტების, შემწყნარებლობის ან ურთიერთგაგების ამაღლება (ალბათ უფრო პირიქით ხდება). დღეს დასავლეთის მეცნიერები პრაქტიკულად აღიარებენ, რომ

თანამედროვე მსოფლიო სულაც არ გამხდარა უფრო მეტად სტაბილური. მათი ოპტიმისტური პროგნოზები კი ძალზედ იშვიათია. აქსიომაში, რაზეც ისინი საუბრობენ, ეს არის ურთიერთდამოკიდებულების ზრდა, რომელმაც, მათი ჩანაფიქრით, უნდა მიგვიყვანოს ურთიერთდათმობებამდე და ახალი ურთიერთობების ფორმირებამდე. სტაბილური გეოეკონომიკური ვითარება კი მოითხოვს ცალკეული ცივილიზაციების განვითარების ტრაექტორიების შეხების წერტილების ძიებას, ნებაყოფილობით გაერთიანებას და ა.შ.

აზიის ფინანსურმა კრიზისმა იმით მიიქცია ყურადღება, რომ მან გამოავლინა გეოეკონომიკური სივრცის რეგულირების ქმედითი და ადეკვატური მექანიზმების შექმნის აუცილებლობა. რეალურად დღეს მსოფლიო ბაზრები რეგულირდება სამი ძალის მიერ:

- გლობალიზირებადი კაპიტალი (ტნკ+მფც);
- ეროვნული სახელმწიფოები;
- საერთაშორისო ეკონომიკური ორგანიზაციები.

ვფიქრობთ, ამჟამად გლობალური ეკონომიკური რეგულირების შედარებით გონივრულ მექანიზმებზე გადასვლის შესაძლებლობები მნიშვნელოვნად იზრდება.

აღნიშნული კი უკავშირდება ნეოგლობალური კონცეფციების ამჟამინდელ კრიტიკას. ასეთი კრიტიკა უკვე კარგა ხანია გაისმის არა მხოლოდ გეოეკონომიკური პერიფერიის, ან/და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში, არამედ სკანდინავიაში, საფრანგეთში, კანადაში და ავსტრალიაშიც. ამ კუთხით ახალი ისაა, რომ ასეთ კრიტიკას სულ უფრო ხშირად უჭერენ მხარს ამერიკელი მეცნიერებიც.[269] აშშ ეს კრიტიკა უპირველეს ყოვლისა ვლინდება იმაში, რომ გახშირდა შემთხვევები როცა ნეოლიბერალიზმის პრინციპები ზოგადად დასავლეთისა და

[269] უფრო დაწვრილებით იხ.: Schaeffer R. understanding Globalization. Boston, 1997.

კერძოდ აშშ პრაქტიკულ ინტერესებთან წინააღმდეგობაში მოდიან. მსოფლიოს გართულებულ გეოეკონომიკურ არქიტექტურაში არც ერთ ქვეყანას არ შეუძლია თავის თავში გააერთიანოს ყველა კონკრეტული უპირატესობანი. გლობალურ გეოეკონომიკურ სივრცეში იაფ მუშახელის მქონე რეგიონების ჩართვა ბაზრის კანონების მიხედვით უნდა წარმოადგენდეს გეოეკონომიკურ ცენტრებში შემოსავლების დონეზე ზეწოლის ფაქტორს. ბოლო წლებში კი ასეთი პროცესი აშკარად შეინიშნება.[270] აშშ–ში ეს პროცესი ვლინდება უპირველს ყოვლისა შესრულებული სამუშაოს ანაზღაურების შემცირებაში, ხოლო ევროპაში უმუშევრობის მაღალი დონის არსებობაში. როგორც აშშ-ში, ასევე ევროპაში სწრაფად იზრდება დეპრესიული გეოეკონომიკური რაიონების (რეგიონების) რაოდენობა, რაც გამოწვეულია ერთის მხრივ, წარმოების გატანით იმ ქვეყნებში, სადაც იაფი მუშახელია, მეორეს მხრივ კი, ასეთი ქვეყნებიდან იაფი საქონლის იმპორტის კონკურენციით, რომლებიც რიგ სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ პრობლემებს ქმნის გეოეკონომიკურ ცენტრებში, იქნება ეს ეთნიკური გეტოები, არაფორმალური სექტორი თუ ტერიტორიული სოციალურ-ეკონომიკური პოლარიზაცია.[271]

15.6 გეოეკონომიკური სივრცის ტრანსფორმაცია და ახალი ბიპოლარულობის პერსპექტივები

ამჟამად განსაკუთრებით შესამჩნევი ხდება ის ძვრები, რომლებიც მსოფლიო გეოეკონომიკურ სივრცის სტრუქტურაში. ფორმალურად მონოპოლარულ სისტემაში ყოველად უფუნქციო დარჩა ისეთი ორგანიზაციები, როგორიცაა მიუმხრობელი

---

[270] უფრო დაწვრილებით იხ.: Grider W.One World, Ready or Not. Penguin Books., 1997.

[271] უფრო დაწვრილებით იხ.: Globalization and the Chaning U.S.City. Annals of the American Academy of political and Social Sciences, May 1997; Sassen S. Globalization and its Discontents. N.Y., 1998

ქვეყნების მოძრაობა „ჯგუფი 77“ და ა.შ. მსოფლიოს ახალი გეოეკონომიკური სივრცის სტრუქტურა ძალიან გვაგონებს XX ს. პირველ ნახევარში შექმნილ მდგომარეობას, როცა მსოფლიო ლიდერი, რეგიონული სახელმწიფოები, მათი გაერთიანებები და გეოეკონომიკური პერიფერიების სახელმწიფოები რაღაცნაირად განცალკევებულები იყვნენ ერთმანეთისაგან. ამ უკანასკნელზე ლიდერები სახელმწიფოები ადვილად ახდენენ ზემოქმედებას, თუმცა აღმოჩნდა, რომ გლობალური სისტემის მართვა ერთმანეთში არც ისე ადვილი იყო. ეს პრობლემა დღეს განსაკუთრებით აქტუალურია, ვინაიდან იმ რაოდენობის სახელმწიფოების მართვა (200-ზე მეტი ქვეყანა) ერთი ცენტრიდან პრაქტიკულად შეუძლებელი ხდება. სწორად ამიტომ, მსოფლიოს გეოეკონომიკური სივრცე ვიწროვდება „არაპრიორიტეტული“ (მარგინალური) ქვეყნების ამ სისტემიდან გამოდევნის ხარჯზე. დღეს 4-დან 50 ქვეყნამდე გადაიქცა ე.წ. „რუხ ზონად“ (მაგალითად მსოფლიო მასმედიამ „ვერ შენიშნა“ 1998 წ. მოხდარი ომი კონგოში (ზაირში), სადაც დაიღუპა 2,5 მლნ. ადამიანი). ამ ზონებზე მსოფლიოს გეოეკონომიკური ცენტრები პრაქტიკულად იხსნიან პასუხისმგებლობას, ან/და არ უნდათ ასეთი პასუხისმგებლობის თავის თავზე აღება. გეოეკონომიკური ცენტრების მხრიდან ასეთ კონფლიქტებში ჩარევის მცდელობები არც თუ იშვიათად (მაგალითად სომალში განვითარებული კონფლიქტის დროს) უშედეგოდ მთავრდება. ამის მიზეზი კი, ვფიქრობთ ისაა, რომ ახალ გეოეკონომიკურ სიტუაციაში გეოეკონომიკური ცენტრის ქვეყნების უმეტესობა არ არის მზად გაიღოს დიდი დანახარჯები და ამასთან საკუთარი მოქალაქეები გაწიროს სიკეთილისათვის, რათა შეაჩერეოს „რუხი ზონის“ ქვეყნებში სამოქალაქო ან სხვა ტიპის კონფლიქტები. იმ შემთხვევების გარდა, თუ რომელიმე ქვეყანა მათთვის განსაკუთრებულ ინტერესს არ წარმოადგენს.

თუ ადრე მსოფლიო კაპიტალისტური სისტემა (აგრესიული სოციალური გეოპოლიტიკური სისტემის მსგავსად) ცდილობდა

გეოპოლიტიკური მეთოდების გამოყენები თავის ორბიტაში მოექცა სახელმწიფოთა უმეტესი ნაწილი (რაც მათი სისტემურობის ბანაკის გაქრობამ მსოფლიო პოლიტიკური რუკიდან კარდინალურად შეცვალა). საქმე იმაშია, რომ გლობალური მოწინააღმდეგის ჩამოშორებამ მკვეთრად შეასუსტა გეოსტრატეგიულად ნაკლებად მნიშვნელოვანი ქვეყნებისადმი პოლიტიკური მხარდაჭერის მოტივაცია (მათ შორის მატერიალური რესურსების მიწოდების კუთხითაც), ხოლო მეორეს მხრივ, გეოეკონომიკური პერიფერიის ყველაზე უფრო სუსტ ქვეყნებს არ გააჩნდათ არც ის საქონელი, რომელსაც ყველაზე უფრო მეტად საჭიროებდა გლობალური ეკონომიკა და შესაბამისად არც ტევადი გასაღების ბაზრები.

თანამედროვე გეოეკონომიკურ პერიფერიაზე სადაც ცხოვრობს მოსახლეობის 1/6 კაპიტალიზმი რჩება ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ეკონომიკურ სისტემად. იმის გამო, რომ გლობალურ ბაზარზე ზოგადად მცირდება ფასები ნედლეულზე (გამონაკლისად შეიძლება დავასახელოთ ნავთობი) გეოეკონომიკურ პერიფერიაზე იცვლება პირადი და საწარმოო მოთხოვნილებების სტრუქტურა. უმეტეს ქვეყნებში ერთ სულზე შემოსავალი კი განიცდის სტაგნაციას ან/და მცირდება. არამყარი დემოკრატიული ინსტიტუტების, მწვავე ტერიტორიული, ნაციონალური, სოციალური, რელიგიური კონფლიქტების, საზოგადოებრივი კვლავწარმოების ეკონომიკური ბაზის შევიწროების პირობებში არსებული კონფლიქტები ხშირად გადადიან შეიარაღებული ომების ფაზაში (მაგალითად: ანგოლა, ავაღანეთი, კამპუჩია, კონგო, მოზამბიკი, სომალი, სიერა-ლეონე და სხვა). ეს ომები და მოსახლეობის მიგრაცია კი იწვევს ეკონომიკური განვითარების სტაგნაციას, რაც გამოიხატება წარმოების წესის მოძველებული მეთოდებით მართვისა და არქაული იდეოლოგიასთან დაბრუნებაში. თავის მხრივ ეს უკანასკნელი კი ხშირად იწვევენ სამხედრო და სხვა ტიპის

გადატრიელებებს, რომლლებიც კიდევ უფრო ენერგიულად გამოდევნიან ამ ქვეყნებს მსოფლიო გეოეკონომიკური სისტემიდან.

ამჟამად, ბევრი მეცნიერის აზრით,[272] ცალკეული გამონაკლისის გარდა,[273] ითვლება, რომ ბიპოლარულობა შენარჩუნებულია თეისობრივად ახალი სახით როგორც კონფლიქტი გეოეკონომიკურ სცენარსა (ჩრდილეთი) და გეოეკონომიკურ პერიფერიას (სამხრეთი) შორის. თუმცა მიგვაჩნია, რომ ასეთი შეფასება ვერ ასახავს თანამედროვე სამხრეთის რეალურ გეოეკონომიკურ მდგომარეობას, როცა ეს უკანასკნელი ღრმა გეოეკონომიკურ დიფერენციასციის მდგომარეობაში იმყოფება.

ცნობილი ფაქტია, რომ მწარმოებლურობის, შემოსავლების (მოსახლეობის ერთ სულზე), მოსახლეობის ბუნებრივი მატების ტემპებით ჩინეთი, ინდოეთი და ინდონეზია დიდად არ განსხვავდება სამხრეთის სხვა სახელმწიფოებისაგან (მხედველობაში არ გვაქვს მხოლოდ ტროპიკული აფრიკა). ის რაც ამ ქვეყნებს გეოეკონომიკური პერიფერიის სხვა ქვეყნებისაგან განასხვავებს, არის ერთობლივი შიდა პროდუქტის უზარმაზარი მოცულობა, ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპები, მაღალკვალიფიციური კადრების (თუნდაც უმნიშვნელო) არსებობა. ამ მაჩვენებლებით მათთან ძალიან ახლოა ბრაზილია. მსოფლიოში ამჟამად გაჩნდა ქვეყნების ჯგუფი (აღმოსავლეთ ევროპის ახალი ინდუსტრიული ქვეყნების სახით), რომლებიც „ოქროს მილიარდის" ქვეყნებისაგან განსხვავდებიან ეკონომიკის არა ხარისხობრივი, არამედ რაოდენობრივი მაჩვენებლებით (აზიაში ასეთი ქვეყნებია სამხრეთ კორეა, სინგაპური და ტაივანი), სადაც კაპიტალიზმი შეიძლება ითქვას სრულყოფილადაა

---

[272] უფრო დაწვრილებით იხ.: Chomsky N. – World Order, Old and New. London Pluto Press; Cox R. Approach to World Order, Cembridge. Cembridge University Press, 1966; Kaplan R. The Coming Anarchy; In "The Atlantic Monthly", 1994.

[273] უფრო დაწვრილებით იხ.: ფუკუიამა ფ. ისტორიის დასასრული და უკანასკნელი ადამიანი, თბილისი 1999.

ჩამოყალიბებული. ცალკე ჯგუფად შეიძლება განვიხილოთ არაბეთის ნახევარკუნძულზე არსებული ნაუთობის ექსპორტიორი ქვეყნები. რენტის გადანაწილების ხარჯზე ამ ქვეყნებმა უზრუნველყვეს მოსახლეობის ერთ სულზე შემოსავლები აეყვანათ „ოქროს მილიარდის“ ქვეყნების დონეზე. თუმცა საერთო გეოეკონომიკური განვითარების დონით ისინი ჯერჯერობით კვლავ ჩამორჩებიან.

გეოეკონომიკურ პერიფერიაზე არის დაახლოებით 50 სახელმწიფო, რომელიც სტაბილური პოლიტიკური მდგომარეობის, ხელსაყრელი გეოპოლიტიკური და გეოსტრატეგიული მდგომარეობის, იქ არსებული იაფი მუშახელის, ნედლეულის იშვიათი სახეობების გამო, პრაქტიკულად არიან ჩართულნი შრომის საერთაშორისო დანაწილების პროცესში. ამ ქვეყნების შემდგომში განვითარება კი იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად შეძლებენ ისინი გააქტიურონ თავიანთი თანამშრომლობა უცხოურ კამპანიებთან, საკრედიტო და საბანკო სტრუქტურებთან და ა.შ. თუმცა ამ სახელმწიფოთა მთავრობების მხრიდან შეინიშნება გარკვეული უმოქმედობა (ინდეფერენტიზმიც კი) მონაწილეობა მიიღონ საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების არსებითად შეცვლის და მსოფლიო შემოსავლების ფორმირებისა და განაწილების პროცესში. იმ შემთხვევაში როცა მათი გეოეკონომიკური კონფლიქტის წარმოქმნა გეოეკონომიკურ ცენტრებთან მიმართებაში ამ ქვეყნების მთავრობები ნაკლებად ცდილობენ კონფლიქტი გადაჭრან კომპრომისების გზით. (ვენესუელა, ირანი, ერაყი ამის მაგალითია).

გარდა ზემოთ აღნიშნულ ქვეყანათა ჯგუფისა, გეოეკონომიკურ პერიფერიაში. ქვეყანა იმყოფება უმძიმეს ეკონომიურ მდგომარეობაში, რაც აიხსნება ზემოთ აღნიშნული კონფლიქტებით, რესურსების სიმცირით, არახელსაყრელი მდებარეობით და ა.შ. გეოეკონომიკური ცენტრების მხრიდან დახმარების მიუხედავად, ამ ქვეყნებში ეკონომიკური ზრდის ტემპები ძალზედ დაბალია, ვიდრე მათი მოსახლეობის ზრდა. ამიტომ სწორედ ეს ქვეყნები

არიან დაინტერესებულნი მსოფლიო გეოეკონომიკური სისტემის ძირეული ცვლილებებით და თავისი მიზნების რეალიზაციისათვის თავისებური პრეფენციის სისტემის შექმნით. თუმცა ამ ქვეყნების მნიშვნელოვანი რაოდენობა განიცდის ისეთი ლიდერების არსებობას, რომელთაც გააჩნიათ საერთაშორისო ავტორიტეტი. იმისათვის რათა მათ შეძლონ ჩართონ და აქტიური მონაწილეობა მიაღებინონ თავიანთ ქვეყნებს მსოფლიო გეოეკონომიკურ თამაშებში, ასეთი მდგომარეობა კი მათ შემდგომ განვითარებას ნაკლებ წარმატებას უქადის და შეიძლება ითქვას, ისინი მუდმივი გეოეკონომიკური მარგინალიზაციისათვის არიან განწირულნი.

აღნიშნულის მიუხედავად მაინც მიგვაჩნია, რომ იმ დროიდან როცა გეოეკონომიკური პერიფერიის ქვეყნებში მოიპოვეს პოლიტიკური სუვერენიტეტი, ამ ქვეყნებში მიმდინარე სტრუქტურული გარდაქმნების კვალობასა და ბევრი ამ ტიპის ქვეყნების ჩართვით შრომის საერთაშორისო დანაწილებაში, დაპირისპირება გეოეკონომიკურ ჩრდილოეთსა და გეოეკონომიკურ სამხრეთს შორის შემცირდა. ამიტომ არა გვგონია, რომ მსოფლიოს ახალ გეოეკონომიკურ სისტემაში ტრადიციული გეოპოლიტიკური დაპირისპირება ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის მომავალი მსოფლიო გეოეკონომიკური წესრიგის საბაზო ფაქტორი გახდეს. თუ ადრე გეოპოლიტიკური თვალსაზრისით მსოფლიო იყოფოდა გეოპოლიტიკურ ქალაქად (განვითარებული ჩრდილოეთი) და გეოპოლიტიკურ სოფლად (განვითარებადი სამხრეთი), გეოეკონომიკური თვალსაზრისით თანამედროვე მსოფლიო შეიძლება დავყოთ „ოფისად და ლაბორატორიად“ (ჩრდილოეთი), „ქალაქად“ (აღმოსავლეთი და სამხრეთ აზია, ლათინური ამერიკის ქვეყნების უმეტესობა) და „სოფლად“ (ტროპიკული აფრიკა).

ძირითადი ლიტერატურა

Bernard Gates. Entre geostrategie et geoecomomie-commentarie, ete 1994.

Carlo Jean, Geopolitica, Laterza. Roma, Bari 1995.

Edward N. Luttwak. From Geopolitics to Geoeconomics , Logic of Conflict, Grammar of Comerce// The National Interests, 1990, N20

Jeffrey W.- Wright Intelligence and Economic Security-Essays on Strategy, NO 8, National Defence University, Washington DC, 1991.

Kenicki Ohmae, The Rise of Regio State.-Foreign Affairs, Summer 1993.

Luttwak E.- The Coming Global War for Economic Power –The International Economy, September-October, 1993.

Luttwak E.Turbo-Capitalism: Winners and Losers in the Global Economy. L, 1998.

Paul Krugman, Competitiveness: A Dangerous Obsession-Foreign Affairs, march-Apr,1994

Raymond Vemon- Geo-Economies 101-The National Interests. Winter 1993-1994.

Rosecrance R. The Rise of the Trading States: Commerce and Conquest in the Modern World New-York,1986.

Дергачев В. – Геоекономика, Современная Геоекономика.Киев, Вира-Д. 2002.

Дергачев В.А. – Supported by techdpt, created 2004 AD.

Жак Аттали – На пороге нового Тысячелетия. пер. с, францу. Международная отнашения,

Жан К, Савона П. Геоэкономика, господство экономического пространства, пер.с итал. М,1997.

М Кочетов Э –Геоэкономика, Освоение мирового экономического пространства. М,1999.

Моро-де франж Ч. Введение в геоэкономику. пер.с франц. М:Конкорд,1996.

დამატებითი ლიტერატურა

გეგეშიძე ა. გეოპოლიტიკა. თბ. 1997წ

დავითაშვილი ზ. ნაციონალიზმი და გლობალიზაცია. თბ.2003 წ

კაცაძე ა. გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური ტრნსფორმაცია ევროპაში. თბ .2001.წ

კვინიკაძე გ. გლობალისტიკა და გლობალიზაცია. ახალციხე-თბილისი. 2006 წ

რონდელი ა. პატარა სახელმწიფო საერთაშორისო სისტემაში. თბ. 2003წ

სანიკიძე გ. კილერაძე ნ.: თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობები. თბ. 2001

Barzun Jaegues, From Dawn to Decadence: 500 years of Western Cultural life-New York, Harper Collins Publishers.2000.

Bell D, Grobard St.R (Editors). Toward the year. 2000: Work in progress. N.Y. 1997

Blair T, Schreder G: Europe: The Third way-Die Neue Mittw.L: Labor Party and SPD.1999

Braudel F: Civilization and Capitalism, 3vds:English trans. London.1980

Brzezinsky Z. Out of Control;: Global Turmoil on the Eve of the 21st century. N.Y, 1993

C.Fred Bergstem: The Primacy of Economics-Foreign Policy, Summer 1992

Cable V: What is International Economic Security./ International Affairs.1995. April.vol71.no3

Desouze P.J- (ed) : Economic Strategy and National Security. Boulder: Westview Press. 2000 Duke University Press, 1991. for the Study of Economics, Historical Systems and Civilization. Binghamton.N.Y.1990Fukuyama F: The End of History and the last Man/ New-York. 1992.

Hette B: Globalization and New regionalism.vol.N1, London,1999
Hirst P, Tompson G: Globalization and the Future of the Nation State// Economy and society. L Idem, The End of the Nation State: The Rise of Regional Economics. L.1995
Kapstein E. Sharing the Wealth Workers and the World Economy. New-York. 1994
Morgenthau H.J: Politics among Nations, The Struggle for Power and Peace. New-York. Alfred Knopf, 1948
Naisbitt J. Global Paradox. New-York, 1994.
O' Brien R: Global Financial Integration. The end of Geography.New-York. 1992.
Ohmae K: The Barderlees World: Power and Strategy in the Interlinked Economy. New-York.1990
Paul Krugman (ed) : Geography and Trade, Mit, Cambridge Univer. Press, Cambridge(Mass) 1991 period of Change/B/ Creve (ed). New-York: St.Martin's Press, 1996.
Reiger E, Leibfried S: Welfare State Limits to Globalization//Politics and Society. 1998.vol.26#3
Richard N, Cooper: Us Response to foreign Industrial Policy.-In: Dominik Salvadore. Protectionis
Rieger E, Leibfried S: Welfare State Limits to Globalization// Politics and Society. 1998. vol. 26#3
Robertson R: Globality. Global Culture and Images of World Order// Social Change and Modernity. Berkeley, 1992
Rosenau J: Study of Global Interdependence. New-York. 1989
Sassen.S: Losing Control.: Sovereignty in an Age of Globalization. New-York. 1989.
Soros.S: The Crises of Global Capitalism. Open Society Endangered. New York, 1998.
The Economist, 13.05.2000
The Economist, 7.09.1998
Trans-Pacific Anger – Foreign Policy, N78, Spring 1990.

Valaskis K: Mondialisation et governance// Futuribles, N230. 1998.
Wallerstein I : The Modern World-System. New-York. 1974.
Wallersten I: The Capitalism World-Economy Essays, Paris.1979
Weber M: Economy and Society: English trans, 3vds, New-York. 1968

დანართი №3.

ძველური ლიტერატურა

www.kneu.kievwww.philosophy.ru
www.iea.ruwww.carinegie.ru
www.jobmaster.comwww.theatlantic.com
www.papers.nber.orgwww.policy.ru
www.worldbank.orgwww.intelros.ru
www.faculty-gsb.stanford.eduwww.unfpa.org
www.usinfo.state.govwww.unesco.org
www.polysphere.freenet.kgwww.cia.gov
www.nes.ruwww.washprofile.org
www.soob.ruwww.bp.com
www.democracy.ruwww.atkearney.com

დანართი №4

საკონტროლო კითხვები

თავი 1

1.ჩამოთვალეთ და დაახასიათეთ მსოფლიოს ძირითადი გეოეკონომიკური სკოლების სპეციფიკა;
2.განმარტეთ გეოეკონომიკის საგანი და არსი;
3.ეკონომიკის ცალკეული დარგების მიხედვით, დაახასიათეთ ძირითადი პოსტინდუსტრიული ცვლილებები;
4.რას წარმოადგენს გეოეკონომიკური სტრუქტურა;
5.როგორია გეოეკონომიკის მეთოდები, სტრატეგია და ტაქტიკა;

თავი II

6.როგორ მიმდინარეობს მსოფლიო ეკონომიკის ფორმირება და რას წარმოადგენენ გეოეკონომიკური პოლუსები;

7.როგორია გეოეკონომიკის მეთოდების კავშირი გეოპოლიტიკის მეთოდებთან;

8.რას წარმოადგენენ გეოფინანსები;

9.განმარტეთ "ჭუჭყიანი ფულის არსი";

10.როგორ განმარტავს გეოეკონომიკა გეოპოლიტიკის საზღვრებს;

თავი III

11.როგორი სპეციფიკური ნიშნებით ხასიათდება; გეოეკონომიკური სტრატეგია ახალი გეოპოლიტიკური გამოწვევების პირობებში;

12.როგორ განიხილება "სივრცის" კატეგორია გეოეკონომიკასა და გეოპოლიტიკაში;

13.ახსენით ტერიტორიაზე კონტროლის სტრატეგიის არსი;

14.როგორია გეოეკონომიკური ომების სტრატეგია და სპეციფიკა;

15.რას წარმოადგენს სტრატეგიული მანევრი გეოეკონომიკაში;

თავი IV

16.რას წარმოადგენენ გეოეკონომკური ზონები და როგორაა წარმოდგენილი თანაამედროვე გეოეკონომიკური სივრცის იერარქია;

17.რას ნიშნავს გლობალური გეოეკონომიკური მეტოქეობა;

18.რა ელოდებათ გეოეკონომიკურ აუტსაიდერებსა და ლიდერებს ახალ გეოეკონომიკაში სივრცეში;

19.როგორ წარმოგიდგენიათ გეოეკონომიკური სამყაროს მომავალი;

20.ჩამოთვალეთ გეოეკონომიკური ცვლილებების სცენარები;

თავი V

21.როგორ განიხილება გლობალიზაციის ცნება და არსი გეოეკონომიკაში;

22.დაახასიათეთ გლობალიზაციის პროცესის მამოძრავებელი გეოეკონომიკური ფაქტორები;

23.რაში გამოიხატა გლობალიზაციის პროცესის ძირითადი გეოეკონომიკური შედეგები;

24.როგორაა წარმოდგენილი გლობალიზმი გეოეკონომიკაში.

25.როგორია გლობალიზმის გეოეკონომიკური პოზიტიეები და ნეგატიეები;

თავი VI

26.მოკლედ დაახასიათეთ გლობალიზაციისა და ახალი გეოფინანსური ურთიერთობები;

27.რას წარმოადგენს სახელმწიფოსა და ფინანსების სივრცე.

28.რა კავშირია ეროვნულ სუვერენიტეტსა და ფინანსურ პოლიტიკას შორის;

29.რატომ ითვლება გეოფინანსები სტრატეგიულ იარაღად;

30.რას ნიშნავს ეროვნული სახელმწიფოს ფინანსური სუვერენიტეტი;

თავი VII

31.როგორია ეროვნული სახელმწიფოს ახალი გეოეკონომიკური პარამეტრები;

32.რატომ ხდება ეროვნული სახელმწიფოს დაკნინება;

33.როგორია გლობალიზაციის დიალექტიკა ეროვნულ სახელმწიფოსთან მიმართებაში;

34.რაში მდგომარეობს ეროვნული სახელმწიფოს მართვის გეოეკონომიკური ასპექტი;

35.დაახასიათეთ მსოფლიო სუბიექტურობის საბაზო გეოეკონომიკური მოდელები;

თავი VIII

36.ჩამოთვალეთ და დაახასიათეთ კეთილდღეობის სახელმწიფოს ტიპები და ფუნქციები;

37.რა სპეციფიკით ხასიათდება კეთილდღეობის სახელმწიფო ეკონომიკური ზრდის პირობებში;

38.რა ნიშნები ახასიათებს კეთილდღეობის სახელმწიფოს ეკონომიკის ზრდის შენელების პირობებში;

39.როგორია კეთილდღეობის სახელმწიფოს გეოეკონომიკური პარამეტრები;

40.რა ადგილი უჭირავს კეთილდღეობის სახელმწიფოს ახალ გეოეკონომიკურ წესრიგში;

თავი IX

41.ჩამოთვალეთ კაცობრიობის გეოეკონომიკური ტრანსფორმაციის ძირითადი მიმართულებები ჯ.ნესბიტის მიხედვით;

42.დაახასიათეთ "მესამე გზის" გეოეკონომიკური მოდელის ძირითადი ატრიბუტები;

43.რაში მდგომარეობს "მესამე გზის" კონცეფციის არსი ე.გიდენსის მიხედვით;

44.ვინ და რისთვის აკრიტიკებს "მესამე გზის" მოდელს;

45.რამდენად ეფექტურია "მესამე გზის" გლობალიზაცია და რაში მდგომარეობს მოდელის გლობალიზაციის გეოეკონომიკური პრობლემები;

თავი X

46.რას ნიშნავს ინსტიტუციონალური სისტემის მოყვანა გეოეკონომიკური მეტოქეობის შესაბამისად;

47.რაში მდგომარეობს გეოეკონომიკური დაზვერვის არსი;

48.ჩამოთვალეთ და დაახასიათეთ გეოეკონომიკური დაზვერვის ძირითადი სახეები;

49.მოკლედ დაახასიათეთ გეოეკონომიკური კონკურენციისა და დაზვერვის ინსტიტუტები მაღალგანვითარებულ ქვეყნებში;

50.რას წარმოადგენენ გეოეკონომიკური კონკურენციის ორგანოები;

თავი XI

51.რაში მდგომარეობს გეოეკონომიკური უსაფრთხოების არსი და როგორია მისი სტრუქტურა;

52.მოკლედ დაახასიათეთ აშშ გეოეკონომიკური უსაფრთხოების დოქტრინა;

53.რა ადგილი უჭირავს გეოეკონომიკურ უსაფრთხოებას საერთოდ ეროვნული უსაფრთხოების სტრუქტურაში;

54.დაახასიათეთ ძირითადი ეროვნული გეოეკონომიკური პარადიგმების (ფ. ლისტის, ჯ. კეინსის, ე. დე სოტოს მიხედვით);

55.როგორი პირობების შექმნაა საჭირო, რომ სახელმწიფომ შეინარჩუნოს გეოეკონომიკური უსაფრთხოება;

თავი XII

56.რაში მდგომარეობს თანამედროვე გეოეკონომიკური რეგიონის ძირითადი პრობლემა;

57.რაში მდგომარეობს ტერიტორიულობის სპეციფიკა;

58.ჩამოთვალეთ გეოეკონომიკური სეპარატიზმის ტიპიური მიზეზები;

59.დაახასიათეთ რეგიონული გეოეკონომიკური ინტეგრაციის პროცესი და მისი ევოლუციის ძირითადი ეტაპები;

60.რას წარმოადგენს გლობალიზაცია გეოეკონომიკის კონტექსტში;

თავი XIII

61.რაში მდგომარეობს ფრაგმენტაციის კონტექსტი გეოეკონომიკასა და გეოპოლიტიკაში;

62.როგორია გეოეკონომიკური სივრცის პოლარიზაციის ტენდენციები და როგორ ხდება გეოეკონომიკური რეგიონის ფორმირება;

63.როგორი თანაფარდობაა ფრაგმენტაციას, ინტერნაციონალიზაციასა და გეოეკონომიკურ ნაციონალიზმს შორის;
64.დაახასიათეთ მოხმარების გეოეკონომიკური პრობლემები;
65.რაში მდგომარეობს მეგა და ტექნოპოლისების როლის მნიშვნელობა მოხმარების ფრაგმენტაციაში;

თავი XIV

66.როგორ განიხილავს გლობალურობის თეორია ახალ გეოეკონომიკურ რეალობას;
67.რაში მდგომარეობს გეოეკონომიკური იმპერატიეის არსი;
68.რას წარმოადგენენ მაღალი გეოეკონომიკური ტექნოლოგიები;
69.როგორია გლობალური კორპორაციების ტრანსფორმაციის ძირითადი თავისებურებანი და სტრატეგიები;
70.რას წარმოადგენს გეოეკონომიკური ტრენდი და რაში მდგომარეობს მეოთხე ზონის არსი;

თავი XV

71.როგორ განიხილება გეოეკონომიკური წესრიგი იდეალიზმისა და რეალიზმის თანაფარდობის კონტექსტში;
72.რაში მდგომარეობს მსოფლიოს ახალი გეოეკონომიკური წესრიგის ძირითადი თავისებურებანი;
73.რას წარმოადგენენ გლობალური კორპორაციები, ფინანსები;
74.საითკენაა მიმართული გეოეკონომიკური წესრიგის ძირითადი ვექტორები;
75.რა პერსპექტივები გააჩნია ახალი გეოეკონომიკური ბიპოლარული სისტემის ფორმირებას;

მოკლე გეოეკონომიკური ლექსიკონი

ავტარქია – სახელმწიფოს პოლიტიკურ-ეკონომიკური განცალკევება, მიმართული ჩაკეტილი ეროვნული ეკონომიკის შექმნისაკენ.

ატლანტიზმი – დასაელეთის ცივილიზაციის გეოპოლიტიკური თეორია, რომელიც ეფუძნება ლიბერალურ-დემოკრატიულ ფასეულობებს. სამხედრო-სტრატეგიული თვალსაზრისით იგი აერთიანებს ნატოს წევრ ქვეყნებს. ამ თეორიის მომხრეები თვლიან, რომ მსოფლიოში მთავარ როლს თამაშობენ საზღვაო ცივილიზაციები.

ავტონომია – თვითმმართველობა, ამა თუ იმ სახელმწიფოს ან ქვეყანა-სისტემის ნაწილის საშინაო საკითხების დამოუკიდებლად მოგვარების უფლება.

"ალაფური ეკონომიკა" – ცივილიზაციის მიერ ადრე დაგროვილი მატერიალური პოტენციალის გამოყენება, მოკლევადიანი მოგების წყაროდ.

აზიურ-წყნაროკიანური თანამშრომლობა – საერთაშორისო რეგიონული ორგანიზაცია შეიქმნა 1989წ. კანბერაში.ორგანიზაციის ძირითადი მიზანია ღია,თავისუფალი ვაჭრობისათვის ხელშეწყობა და რეგიონული გეოეკონომიკური თანამშრომლობის განმტკიცება.

აგრესია – ერთი სახელმწიფოს მიერ მეორის წინააღმდეგ ძალის ან ეკონომიკური ბერკეტების უკანონო გამოყენება ტერიტორიის დაპყრობის, პოლიტიკური წყობილების შეცვლის ან ეკონომიკური დასუსტების მიზნით.

აქტიური რეგიონალიზაცია – მიზანმიმართული და აქტიური საქმიანობა რეგიონული გეოეკონომიკური და გეოპოლიტიკური ინსტიტუტების შესაქმნელად, როგორც მთავრობების, ასევე ზენაციონალური მართვის ერთეულების ზემოქმედებითა და ხელშეწყობით.

ავტონომიზაცია – ადგილობრივი, ეთნიკური, ეროვნული მიზიდულობის ცენტრების აღორძინება სახელმწიფოების შიდა ტერიტორიებზე.

ბიპოლარული მსოფლიო – მსოფლიო წესრიგი, რომელიც ეფუძნება ორ ზესახელმწიფოს ან სოციალურ-პოლიტიკურ სისტემას (მაგ: კაპიტალიზმი და სოციალიზმი) საერთაშორისო ურთიერთობებში.

ბუნებრივი სიმდიდრე – ქვეყნის ბუნებრივ-რესურსული პოტენციალის ერთობლივი ღირებულება (ფასი)

ბირთვული შეჩერების პოლიტიკა – სახელმწიფოთა და ბლოკების პოლიტიკური მიზნების მიღწევის პროცესში დაპირისპირების დროს სამხედრო (ბირთვული) გზით გადაწყვეტის გამორიცხვა. ბირთვული იარაღის არსებობა ხელს უწყობდა ახალი პოლიტიკური ფსიქოლოგიის ჩამოყალიბებას.

გეოგრაფიული ფაქტორი – ტრადიციული გეოპოლიტიკის ერთერთი ფუნდამენტი. თანამედროვე მსოფლიოში გეოგრაფიული ფაქტორი უკვე აღარ თამაშობს არსებით როლს სამხედრო პოლიტიკურ სივრცეში და არ ძალუძს ბირთვული დარტყმის ან ტრანსნაციონალური ტერიტორიებისაგან დაცვა.

გეოსივრცე – ფუნდამენტური ცნება, ასახავს დედამიწის მრავალგანზომილებიანი კომუნიკაციური სივრ-

ცის გეოგრაფიულ ინტერპრეტაციას. ტრადიციულად მასში გამოყოფენ გეოპოლიტიკურ, გეოეკონომიკურ და გეოცივილიზაციურ სივრცეებს.

გეოსტრატეგია – ქვეყნის საქმიანობის საგარეო ეკონომიკური მიმართულებების ერთობლიობა, რომელიც წარმოადგენს ეროვნული უსაფრთხოების დოქტრინის განუყოფელ ნაწილს. გეოსტრატეგია მოიცავს სახელმწიფოს ქცევის ტექნოლოგიას საკუთარი მიზნების მიღწევისათვის გეოპოლიტიკურ და გეოეკონომიკურ სივრცეში.

გეოეკონომიკური სტრატეგია – მსოფლიო ბაზარზე ეკონომიკური მიზნების მიღწევისა და პოტენციური კონფლიქტების თავიდან აცილება გეოეკონომიკური ტექნოლოგიების დახმარებით. სახელმწიფოს გეოეკონომიკური სტარტეგია მდგომარეობს ეკონომიკის ტრანსნაციონალიზაციაში.

გეოეკონომიკური ომები – ბრძოლა სამხედრო ძალის გამოყენების გარეშე ხელსაყრელი რეგიონული პოზიციების (ნედლეულისა და გასაღების ბაზრები, სატრანსპორტო დერეფნები და ა.შ) შესაქმნელად მსოფლიო ეკონომიკაში. ფართოდ გამოიყენება მოწინააღმდეგის მიმართ ეკონომიკური ბლოკადა როგორც გეოეკონომიკური ომის ერთ-ერთი ფორმა.

გეოეკონომიკური კოდი – ეროვნული ინტერესების ბალანსის საფუძველზე ჩამოყალიბებული ეკონომიკური ურთიერთობების მრავალექტორული სისტემა გარე სამყაროსთან მიმართებაში, შრომის საერთაშორისო და კორპორაციათაშორისი დანაწილების ჩათვლით. გეოეკონომიკური

კოდი უზრუნველყოფს ეკონომიკის კომუნიკაციური კარკასის ეფექტურ ფუნქციონირებას.

გეოეკონომიკური აზროვნება – მრავალგანზომილებიან კომუნიკაციურ სივრცეში გეოეკონომიკური ტექნოლოგიების დამუშავების უნარი.

გეოეკონომიკური მდებარეობა – საქონლისა და მომსახურების, წარმოების, კაპიტალის ძირითადი კომუნიკაციური მიმართულებისადმი დამოკიდებულება.

გეოეკონომიკური სივრცე – მრავალგანზომილებიანი ეკონომიკური სივრცის გეოგრაფიული ინტერპრეტაცია.

გაერო – საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც შექმნილია მსოფლიო მშვიდობის შენარჩუნებისა და სახელმწიფოთა შორის თანამშრომლობის მიზნით. მისი საქმიანობისა და სტრუქტურის საფუძველი მუშავდება მეორე მსოფლიო ომის წლებში ანტიჰიტლერულ კოალიციის წამყვანი ქვეყნების მიერ.

გეოეკონომიკური კოალიზია – ახალი ტიპის კონფლიქტი, რომლის დროსაც ხდება ქვეყნების, ქვეყანა სისტემების, ბლოკების გეოეკონომიკურ ინტერესთა შეჯახება, მსოფლიო ბაზარზე ხელსაყრელი მდგომარეობის დაკავების მიზნით.

განვითარების ინოვაციური მოდელი – ეკონომიკური განვითარების მოდელი, რომელიც ეფუძნება მაღალ ტექნოლოგიებს, რომელიც ხელს უწყობს გლობალურ ბაზარზე კონკურენტუნარიანი პროდუქციის შექმნას.

გეოეკონომიკური კონტრიბუცია – გეოეკონომიკური კონკურენციის დროს კონკურენციაში მონაწილე ერთერთი მხარის მიერ უკანონო გეოეკონომიკური თაედასხმის დროს (საკრედიტო დარტყმები, უკანონო ემბარგო, საბანკო ინფრასტრუ-

ქტურისა და საფინანსო ბირჟების მოშლა) მიყენებული ზარალის ანაზღაურება.

გეოეკონომიკა – კონცეფციალური თვალსაზრისი, რომელიც ასახავს გლობალური მსოფლიოს ინტერპრეტაციას ეკონომიკური ატრიბუტების სისტემის მეშვეობით. ეროვნულ საზღვრებს გარეთ გატანილი ეკონომიკური ატრიბუტებისა და ეკონომიკური ურთიერთობების სისტემა, რომელიც განსაზღვრავს გლობალური ეკონომიკური სივრცის კონკურს, სადაც მიმდინარეობს მსოფლიო ეკონომიკური პროცესი. გეოეკონომიკა გვეუბნება ეროვნული ეკონომიკისა და სახელმწიფო ინსტიტუტების სიმბიოზად და წარმოადგენს ეროვნული, ზეეროვნული და სახელმწიფო სტრუქტურების ერთგვარ ხლართს. (ე.კოჩეტოვი)

გეოეკონომიკა – სახელმწიფო პოლიტიკის თეორიული დასაბუთება, რომელიც მიმართულია განვითარებულ ქვეყნებს შორის ეკონომიკურ შეჯიბრში გამარჯვებაზე. (ე. ლუტვაკი)

გეოეკონომიკა — ეკონომიკური პოლიტიკა, რომელიც ცვლის სამხედრო-პოლიტიკურ წარსულს. თვით გეოეკონომიკა მისი კანონები და მექანიზმები ხდება სახელმწიფოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ორგანიზაციის პარადიგმა. გეოეკონომიკური მიდგომა აერთიანებს ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკურ სტრუქტურებს ერთიან სტრატეგიაში, მსოფლიო სიტუაციის გათვალისწინებით. უფრო მეტიც, გეოეკონომიკა ეფუძნება არა მხოლოდ ლოგიკას, არამედ გეოპოლიტიკასა და გეოსტრატეგიის სინტაქსს, ხოლო უფრო ფართო გაგებით კონ-

ფლიქტური სიტუაციის მთელ პრაქტიკოლოგიას. (კ.ჯანი)

გეოეკონომიკა – მეცნიერება რომელიც სწავლობს მსოგლიო ეკონომიკურ რეალობას სიერცესთან მიმართებაში. გეოეკონომიკისათვის არაა მნიშვნელოვანი კონკრეტული ტერიტორიის ეთნიკური, ისტორიული და კულტურული ტრადიციები. ყურადღებას იმსახურებს მხოლოდ ის, თუ სადაა განთავსებული მსოფლიო ბირჟის ცენტრები, სასარგებლო წიაღისეული, ინფორმაციული ცენტრები, მსხვილი წარმოება. (ჟ. ატალი)

გეოეკონომიკა – მეცნიერება სახელმწიფოს განვითარების სტრატეგიის შესახებ. მსოფლიო ან რეგიონალური გაძლიერების მიღწევის უპირატესად ეკონომიკური გზით. თანამედროვე გეოპოლიტიკა, რომელიც ყალიბდება გლობალიზაციისა და რეგიონალიზაციის ფაქტორების ზემოქმედებით. (ვ. დერგაჩოვი)

გეოეკონომიკა – გეოპოლიტიკის შემადგენელი ენა, რომელშიც ხდება ტრადიციული ეკონომიკური კონცეფციების შეთანაწყობა გეოპოლიტიკურ აპარატთან. გეოეკონომიკა დაფუძნებულია პრინციპს: ეკონომიკური მოდელის გამოყენების კონკრეტული ისტორიული ადგილი პრაქტიკაში, გაელენას ახდენს მთელ ეკონომიკურ სისტემაზე. (ა. დუგინი)

გეოეკონომიკა— საზოგადოებრივი მეცნიერების ახალი მიმართულება, რომელიც სწავლობს პლანეტარულ სიერცეში მიმდინარე პოლიტიკის ეკონომიზაციის პროცესს ეკონომიკის ლიბერალიზაციის პირობებში. მისი მიზანია სახელმ-

წიფოს, რეგიონული ეკონომიკური ბლოკებისა და ტრანსნაციონალური აქტორების ერთიანი მდგრადი სისტემის ფორმირება ან/და უკვე ფორმირებული სისტემის ფუნქციონირების ოპტიმალური სტრატეგიის ჩამოყალიბება, აღნიშნული სუბიექტების კონკურენტუნარიანობის ამაღლებისათვის გლობალურ და რეგიონულ სივრცეებზე ეკონომიკური ლიდერობის მოპოვების მიზნით. ამ მიზნის მიღწევისათვის გეოეკონომიკა იყენებს იმ პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური მეთოდების ერთობლიობას, რომელიც მოცემულ მომენტში აუცილებელია სიერცობრივ არეალზე ეკონომიკური კონტროლის დასამყარებლად საერთაშორისო სამართლის ჩარჩოებში. (გ.კვინიკაძე)

გეოეკონომიკა— სოციალური მეცნიერების მიმართულება, რომელიც ჩამოყალიბდა ეკონომიკისა და პოლიტოლოგიის მიჯნაზე. გეოეკონომიკის საგანში შეინიშნება რამოდენიმე ასპექტი რომელიც აერთიანებს ეკონომიკური ისტორიის, ეკონომიკური გეოგრაფიის, მსოფლიო ეკონომიკისა, პოლიტოლოგიისა და კონფლიქტოლოგიის საკითხებს, ასევე მართვის სისტემების თეორიას. გეოეკონომიკა სწავლობს კონკურენტუნარიანობის ამაღლების სტრატეგიას გლობალიზაციის პირობებში, პოლიტიკისა და ეკონომიკის შერწყმას საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში, სტრატეგიული ურთიერთქმედების სისტემის ფორმირების და გლობალური მართვის საფუძვლებს. სხვადასხვა სახის ეკონომიკური საქმიანობის

სივრცობრივ ლოკალიზაციას და მსოფლიო შრომის დანაწილების ახალ ტიპოლოგიას. (ა. ნეკლესა)

გეოეკონომიკა – გეოპოლიტიკური პროექტირების დარგი, რომელსაც საქმე აქვს სხვადასხვა სახის რესურსულ დინებებთან. გეოეკონომიკა ცდილობს მათ რეგულირებას, როგორც არაძალადობრივი, ისე აუცილებლობის შემთხვევაში, ძალადობრივი მეთოდებით, რათა გააძლიეროს ან შეარყიოს სახელმწიფოსა და სხვა პოლიტიკური სუბიექტების ძლიერება. (ე.ციმბურსკი)

გეოეკონომიკის სამყარო – საერთაშორისო პოლიტიკური სისტემის ახალი ზღვარი. ამ სამყაროს მართავს სხვადასხვაგვარი სუბიექტები, ისეთები როგორიცაა: საერთაშორისო ორგანიზაციები, სახელმწიფოთა კონსტელაციები, რომელთა კონკურსი განისაზღვრება მათი სოციალურ-ეკონომიკური ინტერესებით. ქვეყანა-სისტემები, რომლებიც გაემიჯნენ ეროვნულ სახელმწიფოებრივ ერთგანზომილებიან მოდელს.

გლობალური ეკონომიკური სივრცე – ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული და ურთიერთდამოკიდებული ეროვნული ეკონომიკების, სახელმწიფოთაშორისო ეკონომიკური გაერთიანებების (ევროკავშირის მსგავსი), ტრანსნაციონალური კორპორაციებისა და ფინანსური ცენტრების ერთობლიობა.

გეოეკონომიკური ბალანსი – ქვეყნის მდგომარეობის წონასწორობის აღდგენა გლობალური გაცვლების სისტემაში. იმ ქვეყანამ, რომელიც ინტეგრირებულია გეოეკონომიკის სივრცეში, სავაჭრო ბალანსის დეფიციტის პირობებში, გარდა-

უვალად უნდა დაფაროს ეს დეფიციტი საკუთარი საკალუტო და სხვა სახის ქონებით, ან იგი გადაიხდის "ჩამორჩენილობის რენტას", ანუ დაემშვიდობება ბუნებრივ ფასეულობებს. მოსახლეობას (როგორც წესი მის საუკეთესო ნაწილს, ყველაზე მობილურს და კვალიფიციურს) და ტერიტორიას.

გეოეკონომიკური რენტა – მსოფლიო შემოსავლის ძირითადი წყარო, გეოეკონომიკური რენტა იქმნება მაღალი ზღვრული ენერგეტიკისა (ადგილის ფუნქციები) და არაერთგვაროვანი სოციალური დროის (პოსტინდუსტრიული და განვითარებადი ქვეყნები) საფუძველზე. პოსტინდუსტრიალიზმის პირობებში განსაკუთრებით გამოირჩევა ე.წ მსოფლიო ქალაქები (კიბერპორტები), რომლებიც განლაგებულია მრავალგანზომილებიანი კომუნიკალური სივრცეების მიჯნებთან და ქმნიან არა მხოლოდ საჭარო, სამრეწველო და ფინანსურ კაპიტალს, არამედ ინფორმაციის, ცოდნის და იდეების მიმოქცევის მაღალ ენერგეტიკას. სწორედ ამიტომ პრიორიტეტული განვითარება მიიღეს ცენტრებმა (რომლებიც სულაც არ არის ფლობდნენ ხელსაყრელ მდგომარეობას რეალურ გეოგრაფიულ სივრცეში) რომლებიც მრავალი სივრცის (პოლიტიკური, ეკონომიკური, ფინანსური, ინფორმაციული და ა.შ) გადაკვეთის წერტილებში მოექცა. ძირითად ზეშემოსავლებს იღებენ მსოფლიო პოლუსები (მეგაპოლისები), რომლებიც იმყოფებიან აღნიშნული სივრცეების ეპიცენტრში.

გეოეკონომიკური დაზვერვა – გეოინფორმაციული ქსელის სისტემა, რომელსაც გააჩნია იმ ინფორმაციის მოძიების, დამუშავებისა და გავრცელების უნარი, რომელიც სასარგებლოა ეკონომიკური სუბიექტებისათვის. სასარგებლო ინფორმაციის ქვეშ იგულისხმება ის ინფორმაცია, რომელიც საჭიროა საწარმოებისა და გაერთიანებების მართვის სხვადასხვა დონეებზე იმ ტაქტიკისა და სტრატეგიის გამომუშავებისათვის, რომელიც აუცილებელია კონკურენტულ გარემოში საკუთარი პოზიციების გაუმჯობესებისათვის.

გეოეკონომიკური ატლასი – მრავალდონიანი ძლიერი მოძრავი სახელმწიფოთაშორისი სისტემა, რომელიც ფლობს რა მოწინავე ინტელექტუალურ, ინფორმაციულ და კომუნიკაციურ შესაძლებლობებს, გააჩნია ცვლილებებისადმი სწრაფი ადაპტირებისა და მათში ინტეგრაციის უნარი. გეოეკონომიკური ატლასის ელექტრონული ვერსია ეს არის გეოეკონომიკური ატლასის ასახვა კომპიუტერულ ვარიანტში (ინფორმაციული ტექნოლოგიების პროგრამული უზრუნველყოფა და გამოყენება), რომელიც მოსახერხებელია სხვადასხვა სტრატეგიული სიტუაციური ამოცანების გადასაჭრისათვის.

გეოეკონომიკური უსაფრთხოება – ეკონომიკის მდგომარეობა, როცა მას შეუძლია დამოუკიდებლად უზრუნველყოს ქვეყნის სტაბილური ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარება, სახელმწიფოს ეროვნული უსაფრთხოებისათვის აუცილებელი დონის შენარჩუნება და ეროვნული ეკონომიკისა და მისი სუბიექტების კონკურენ-

ტუნარიანობის დონის ამაღლება მსოფლიო ბაზარზე გლობალური გეოეკონომიკური კონკურენციის პირობებში.

გეოეკონომიკური უსაფრთხოების სახელმწიფო რეგულირება – აუცილებელი პირობა რათა მიღწეული იქნას საერთო სახელმწიფოებრიეი მიზანი ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფის სფეროში

გეოეკონომიკურ უსაფრთხოების თეორიული კონცეფცია – ყველა საბაზო გეოეკონომიკური კონცეფციების ერთობლიობა, რომელიც ორიენტირებულია ეროვნული სახელმწიფოს გეოეკონომიკური პოლიტიკის ეფექტიანობის ამაღლებისაკენ გეოეკონომიკური უსაფრთხოების სფეროში.

გეოეკონომიკურ უსაფრთხოების თეორიული კონცეფცია – გულისხმობს, რომ გეოეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის ბრძოლაში ძირითადი სიმძიმე გადადის ცენტრალურ ხელისუფლებაზე, ასევე იმ საბაჟო და სასაზღვრო სამსახურებზე, რომლებიც ეწევიან უცხოური საქონლის კონტრაბანდასთან ბრძოლას.

გეოეკონომიკური უსაფრთხოების ინდიკატორთა ორგანიზაცია – გულისხმობს უპირველეს ყოვლისა გეოეკონომიკური მაჩვენებლების ძირითადი ჯგუფისადმი კონტროლს, ანალიზსა და პროგნოზირებას.

გეოეკონომიკური ნაციონალიზმი – თეორიული კონცეფცია, რომელიც მოწოდებულია უზრუნველყოს ერის დამოუკიდებლობა, გახადოს ერი არა იმდენად მდიდარი, რამდენადაც თავისუფალი. ასევე

უზრუნველყოს ერის არა იმდენად მატერიალური აყვავება, რამდენადაც ერის დამოუკიდებლობა სხვა ქვეყნების მხრიდან გავლენასთან მიმართებაში. ეს არის თეითუზრუნველყოფის ეროვნული პოლიტიკა.

გეოეკონომიკური პოლარიზაცია – ორი შედარებით დამოიკუდებელი ტერიტორიული ერთეულის გარკვეული განცალკევება, როცა ამ ტერიტორიულ ერთეულებს გააჩნიათ ურთიერთდამოკიდებულების კომპონენტი მათ შორის აგებული სისტემური გეოეკონომიკური ურთიერთობის ჩარჩოებში.

გლოკალიზაცია – წარმოადგენს გლობალიზაციისა და ლოკალიზაციის პროცესების შეთანაწყობას. მეცნიერულ ბრუნვაში შემოიტანა და დაამკვიდრა იაპონური კორპორაცია "სონის" ხელმძღვანელმა აკიო მორიტამ. ამ ტერმინით აღინიშნება ლოკალური კულტურების მოდერნიზაციის შეთანაწყობა გლობალიზაციის პროცესში ფორმირებად მულტიკულტურულ ცივილიზაციურ მიღწევებთან.

გლობალიზაცია – სახელმწიფოთა და რეგიონული ეკონომიკური ბლოკების ეკონომიკურ-პოლიტიკური ურთიერთდამოკიდებულების ზრდა ისეთ დონემდე, რომელზედაც შესაძლებელი და აუცილებელი ხდება საკითხის დაყენება მსოფლიო ერთიანი სამართლებრივი გეოეკონომიკური სივრცისა და მსოფლიო ეკონომიკური და პოლიტიკური მართვის ორგანოების შექმნა.

დეტერიტორიალიზაცია – გეოფილოსოფიის ერთ-ერთი ძირითადი ცნება, რომელიც ნიშნავს დედამიწის სივრცის ათვისებასა და ადგილგანვითარების საზღვრებიდან გასვლას. ტრანსცენდენტური

დეტერიტორიალიზაცია დამახასიათებელია იმპერიული სახელმწიფოებისათვის, ხოლო იმანენტური დეტერიტორიალიზაცია ძველბერძნული პოლისისათვის.

დემპინგი – თვითღირებულებაზე დაბალი ფასით პროდუქციის გაყიდვა სხვა ქვეყნებში.

დოქტრინა – მეცნიერულ-ფილოსოფიური თეორია. გეოეკონომიკური სისტემა, წარმმართველი თეორიული ან პოლიტიკურ-ეკონომიკური პრინციპი

დიდი გეოეკონომიკური უდაბნოები –მსოფლიო გეოეკონომიკური და გეოტექნოლოგიური პოლუსების, ანტიპოდები, სადაც გეოეკონომიკური სივრცე ხასიათდება საქმიანობის აქტიურობის დაცემით, წარმოების შემცირებით, სოციალურ-საწარმოო ინფრასტრუქტურის ნგრევით და ა.შ. მსოფლიოს ამ გეოეკონომიკურ პერიფერიაზე ს'შირად აღმოცენდება კრიმინალური ეკონომიკის პოლუსები და კორუფცია.

„დიდი რვიანი" – შეიდი ყველაზე უფრო განვითარებული ქვეყნისა და რუსეთის ჯგუფი. მას ასევე უწოდებენ ამ ქვეყნების (აშშ, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, იაპონია, გერმანია, კანადა, იტალია პლიუს რუსეთი) ლიდერთა არაოფიციალურ ფორუმს ევროკომისიის მონაწილეობით, რომლის ჩარჩოებშიც ხორციელდება აქტუალური საერთაშორისო პრობლემებისადმი მიდგომების შეთანხმება.

„დომინოს თეორია" – სივრცობრივი გეოპოლიტიკური მოდელი, რომლის თანახმადაც კაპიტალისტური სისტემიდან ერთი ქვეყნის "დაცემა" იწვევს აშშ–ს ეროვნული ინტერესების ზიანს. ამ თეორიას ადგილი ჰქონდა სსრკ–ს დაშლამდე.

დასავლეთი – გეოპოლიტიკური ცნება, აღმოსავლეთის საპირისპირო (დასავლური ცივილიზაცია, ატლანტიზმი, თავლასოკრატია). დასავლეთი აერთიანებს უპირატესად მაღალგანვითარებულ ქვეყნებს, რომლებიც აღიარებენ დემოკრატიისა და სამოქალაქო საზოგადოების პრინციპებს.

დასავლეთის ცივილიზაცია – სოციოკულტურული მთლიანობა (ერთობა), რომელიც ეფუძნება ანთროპოცენტრულ პრინციპს. "ბირთვს" წარმოადგენს ადამიანი და მისი უფლებები.

დახურული ეკონომიკა – ქვეყნის ეკონომიკა, რომელიც არ ახდენს საქონლისა და მომსახურების ექსპორტს.

დისოციალური რეგიონალიზმი – ტერიტორიული განცალკევებისაკენ სწრაფვა. ძალიან ახლოა ტერმინთან დეცენტრალიზაცია, ტერიტორიული იდენტურობა, ლოკალიზმი, რეგიონული ავტონომია და ა.შ. ამ ტიპის რეგიონალიზმი საერთაშორისო ტერიტორიზმისა და სეპარატიზმის საფუძველს შეადგენს.

ევროცენტრიზმი – გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური კონცეფცია, რომლის მიხედვითაც მსოფლიო განვითარებაში ცენტრალური ადგილი უჭირავს დასავლეთევროპულ კულტურას.

ევრაზიის საბაჟო სისტემა – შეიქმნა 1979წ. ევროკავშირის ქვეყნების მიერ. 1997წ შემოღებულ იქნა გაცვლითი კურსის ახალი მექანიზმი, რომლის ძირითადი მიზანი იყო ევროს ერთიანი ზონის შექმნა.

ეროვნული სახელმწიფო – სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი, სადაც ტიტულარული ეთნოსის უფლებები დგას სხვა ეროვნების მოქალაქეთა უფლე-

ბებზე მაღლა. ეროვნული სახელმწიფო საკმაოდ იშვიათი მოვლენაა ისტორიაში.

ერი – ერთი სახელმწიფოს მოქალაქეთა ერთობლიობა როგორც პოლიტიკური სისტემა. თანამედროვე ერი-სახელმწიფოს უმეტესობა დე ფაქტო წარმოადგენს პოლიეთნიკურ წარმონაქმნს.

ეკონომიკის ლიბერალიზაცია – ჩაკეტილი ეკონომიკიდან ღია ეკონომიკაზე და თავისუფალ მეწარმოებაზე გადასვლა.

ევროკავშირი – უნიკალური ზეეროვნული წარმონაქმნი 25 ევროპული სახელმწიფოს შემადგენლობით, რომლებიც გაერთიანებულნი არიან მასტრიხიხ ხელშეკრულებით. თვით ევროკავშირი, როგორც ასეთი, არ წარმოადგენს საერთაშორისო ორგანიზაციას, ანუ არ წარმოადგენს საერთაშორისო საჯარო სამართლის სუბიექტს. თუმცა, ფლობს უფლებას მონაწილეობა მიიღოს საერთაშორისო ურთიერთობებში.

ერთობლივი ეროვნული შემოსავალი – გეოეკონომიკის მთავარი მაკროეკონომიკური ინდიკატორი, რომელიც ასახავს პრინციპს "წარმოებულია ის რაც გაყიდულია".

ეროვნული უსაფრთხოება – გეოპოლიტიკის ერთ-ერთი ცენტრალური პრობლემა. ქვეყნების უმეტესობას გააჩნიათ ეროვნული უსაფრთხოების დოქტრინა, რომელიც მოიცავს სამხედრო-პოლიტიკურ და გეოეკონომიკურ მიმართულებებს საშინაო და საგარეო პოლიტიკაში. დოქტრინები ითვალისწინებს სახელმწიფოს მრავალგანზომილებიანი კომუნიკაციური სივრცის

დაცვას საშინაო და საგარეო გამოწვევებისაგან.

ეკონომიკური გლობალიზაცია – მსოფლიოს ერთიანი ეკონომიკური და ინფორმაციული სივრცის ფორმირების პროცესი, რომელიც აჩქარებს კაპიტალის, საქონლის, ადამიანების მოძრაობისა და ახალი იდეების დანერგვას.

ერთპოლარული მსოფლიო – აშშ-ის მსოფლიოში დომინირების გეოპოლიტიკური მოდელი, სსრკ "ცივ ომში" დამარცხების შემდგომ პერიოდში.

ეროვნული ინფრასტრუქტურა – წარმოების გარშემომყოფი მრავალგანზომილებიანი კომუნიკაციური გარემო (სოციალურ-პოლიტიკური, გეოეკონომიკური, ტექნოლოგიური და ა.შ).

ეფექტური ტერიტორია – სახელმწიფოს ტერიტორია ადამიანთა ცხოვრებისათვის ექსტრემალური პირობების გარეშე.

ექსპანსია – სამხედრო-პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული, რელიგიური წინსვლა ძალის ცენტრიდან პერიფერიისაკენ.

ეკონომიკური საზღვრები – კონვენციალური საზღვრები "ქვეყანა-სისტემის" ან/და სამეწარმეო საქმიანობის ტრანსნაციონალურ სუბიექტების გავლენის ზონებს შორის.

ეკონომიკური უსაფრთხოება – ეროვნული უსაფრთხოების შემადგენელი ნაწილი, რომლის როლი იზრდება ეკონომიკური ინტეგრაციის კვალობაზე.

ეროვნული ეკონომიკური უსაფრთხოება – ამერიკული წარმოშობის დოქტრინა, რომელიც მოიცავს სამამულო წარმოების საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის სტიმულირებას, სოციალური თანასწორობისა და სტაბილურობის მიღწევას

ელექტრონული კომერცია – საქმიანი გარიგებების ყველანაირი ფორმა, რომელიც მიმდინარეობს ინფორმაციული ქსელების დახმარებით.

ევრორეგიონების სისტემა – გეოეკონომიკურად და გეოკულტურულად ახლო ტერიტორიები ორ ან რამდენიმე სახელმწიფოს საზღვარზე, რომელთა არსებობის სპეციფიკას თანდათან მიეყავართ მათ იურიდიულ ექსტერიტორიულობასთან, ანუ მათ დამოუკიდებლობასთან (გამოყოფასთან) ამა თუ იმ მეტროპოლიისაგან. ამასთან, ეს პროექტი რეალიზდება არა მხოლოდ ევროკავშირის შიგნით, არამედ მის საზღვრებზეც. მაგ. რუსეთის საზღვართან შექმნილია ევრორეგიონი კარელია.

ეკონომიკის კრიმინალიზაცია – ეკონომიკის მდგომარეობა, რომლის დროსაც ხდება იმ შემოსავლების მითვისება და ზრდა რომელიც მიიღება დამნაშავეობის გზით.

ემიტენტი – სახელმწიფო, ბანკი, დაწესებულება, რომელიც აწარმოებს ფულის ემისიას.

ევროდოლარი – ეს არის არა მხოლოდ ევროპაში "მომუშავე" დოლარების მასა, არამედ მას მიეკუთვნება მთელი დოლარული მასა, რომელიც იმყოფება აშშ საზღვრებს გარეთ მიმოქცევაში.

ვაჭრობის ლიბერალიზაცია – მსოფლიო ეკონომიკის ერთ-ერთი მწვავე პრობლემა, რომლის დროსაც მიმდინარეობს პერმანენტული ბრძოლა პროტექციონისტური ბაზრების გაღებისათვის. უცხოური საქონლის, მომსახურებისა, კაპიტალისა და ა.შ თავისუფლად შეღწევის მიზნით.

ზესახელმწიფოები – მსოფლიო სახელმწიფოები, რომლებიც ფლობენ ძალისმიერ უპირატესობას სხვა სახ-

ელმწიფოებზე. ძველ მსოფლიოში ასეთი ზესახელმწიფოები იყო რომისა და ჩინეთის იმპერიები, რომელთა ძლიერება და გაელენა ძირითადად შემოიფარგლებოდა სუბრეგიონული დონით. ზესახელმწიფოებრივი ფუნქციები დამახასიათებელია მსოფლიო ბიპოლარული წესრიგისათვის. XX ს. აშშ და საბჭოთა კავშირი მსოფლიოს ორი დაპირისპირებული დაჯგუფების, არა მხოლოდ სამხედრო, არამედ იდეოლოგიური და ეკონომიკური ლიდერებიც იყვნენ. აშშ და საბჭოთა კავშირი ქართული პოტენციალის მიხედვით აბსოლიტურ უპირატესობას ფლობენ. სსრკ დაშლის შემდეგ აშშ უბრალოდ გადაიქცა სუპერ ზესახელმწიფოდ, რომელსაც ამ ეტაპზე კონკურენტი არ ჰყავს.

თავისუფალი ეკონომიკური ზონა – ტერიტორია შეღავათიანი საბაჟო, საგაჭრო და საწარმო რეჟიმით. თანამედროვე მსოფლიოში " თავისუფალი ეკონომიკური ზონის" ცნება ასახავს ეკონომიკის ლიბერალიზაციის სხვადასხვა ფორმებს.

თავისუფალი ვაჭრობის ჩრდილო ამერიკული ზონა – შეთანხმება თავისუფალ ვაჭრობაზე კანადას, აშშ და მექსიკას შორის, რომელიც ეფუძნება ევროპის კავშირის მოდელს. ეს ორგანიზაცია ძალაში შევიდა 1994წ 1 იანვრიდან.

თავდაცვითი გეოეკონომიკური სტრატეგია – გულისხმობს სახელმწიფოს, ქვეყანა სისტემის ან ეკონომიკური რეგიონული ბლოკების მიერ გატარებული ღონისძიებების ერთობლიობას, ისეთი გეოეკონომიკური ინსტრუმენტების გამოყენებით, როგორიცაა ავტარქია, პროტექციონიზმი, სა-

ტარიფო ბარიერები და ა.შ. ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ამაღლების მიზნით.

ინვესტიცია – კაპიტალის ხანგრძლივი დაბანდება. არსებობს ინვესტიციების სამი ძირითადი სახე: ფინანსური, ფიზიკური და ინტელექტუალური.

ინდუსტრიული საზოგადოება – აღმოცენდა XXს 50-იან წლებში. ეს არის ისეთი კაპიტალიზმი, რომლის დროსაც სპეციალიზირებული ცოდნა და მათი კოორდინაცია ეკონომიკური განვითარების ძირითადი ფაქტორი ხდება. ინდუსტრიულ საზოგადოებაში ძალაუფლებას ფლობს ტექნოკრატია და წარმოების ორგანიზატორები.

ინტერნაციონალიზაცია – ეროვნული ეკონომიკის ურთიერთქმედება მსოფლიო ბაზარზე.

ინტერნაციონალიზებული წარმოება – მსოფლიო ეკონომიკის თანამედროვე ტენდენცია, რომელიც ტრანსნაციონალურ კორპორაციებს საშუალებას აძლევს საბაჟო ბარიერების გვერდის ავლით მიიტაცონ ახალი ბაზრები,.

ინფორმაციული ტექნოლოგიები – აერთიანებს ტექნოლოგიების ყველა სახეობას, რომლებიც გამოიყენება ინფორმაციის დამუშავებისათვის. 1970-იანი წლების ბოლოდან იგი გაიგივებული იქნა ინფორმაციის კომპიუტერული ტექნოლოგიით დამუშავებასთან. ინტერნეტიდან ინტერნეტში ინფორმაციის გადაცემა ინტერნეტ ტექნოლოგიების დახმარებით, ნებისმიერ მომხმარებელს საშუალებას აძლევს მისთვის ხელმისაწვდომი გახდეს მსოფლიო ინფორმაციული სივრცე. ინფორმაციულმა ტექნოლოგიებმა უზრუნველყვეს მსოფლიო ინფორმაციული მაგისტრალის შექმნა. ინფორმაციული ტექნო-

ლოგიები ეს არის თანამედროვე ტექნოლოგიური სისტემები, რომელთაც უდიდესი გეოსტრატეგიული მნიშვნელობა აქვთ (პოლიტიკური, თავდაცვითი, გეოეკონომიკური, გეოსოციალური, გეოკულტურული და ა.შ.) ინფორმაციულმა ტექნოლოგიებმა გამოიწვია მსოფლიო წესრიგის ახალი კონცეფციის ფორმირება- "ვინც ფლობს ინფორმაციას, ის ფლობს მსოფლიოს".

ინფორმაციულ-სტრატეგიული ინჟინერია – გულისხმობს გეოეკონომიკური დაზვერვის შემადგენელი მთელი ქვესისტემების კომპლექსის გამოყენებას. გეოეკონომიკური დაზვერვის სისტემის ეფექტიანობა დამოკიდებულია ინფორმაციულ-სტრატეგიულ ინჟინერიაში შემავალი ქვესისტემების შეთანხმებულ მოქმედებაზე. იზოლორებული ქვესისტემა ძნელად თუ მიაღწევს ეფექტურობის მაღალ დონეს.

ინსტიტუციონალიზმი – პრიორიტეტული, თანამედროვე გეოეკონომიკური პარადიგმა, რომელიც აქცენტს აკეთებს გეოეკონომიკურ "თამაშის წესებზე" (ინსტიტუტებზე).

ინტეგრაციული რეგიონალიზმი – მეზობელი ტერიტორიების გაერთიანება –(შემოერთება) გეოეკონომიკურ, გეოკულტურული და გეოსტრატეგიული მოსაზრებებით. გააჩნია ზენაციონალური ხასიათი.

კაპიტალიზაცია – დამატებითი ღირებულების გადაქცევა კაპიტალად. მისი გამოყენება წარმოების გაფართოებისათვის. ქონების ფასეულობის (საბაზრო ფასი) განსაზღვრა შემოსავლების მიხედვით.

კვაზისახელმწიფო – ტერიტორიული წარმონაქმნი, რომელიც ფლობს სახელმწიფო ატრიბუტებს, ხელისუფლების ჩათვლით. (მაგ აფხაზეთი, დნეპრისპირეთი, ჩრდილოეთი კვიპროსის თურქეთის რესპუბლიკა. მთიანი ყარაბახი.) ამ სახელმწიფოებს არ აქვთ საერთაშორისო აღიარება და არ წარმოადგენენ საერთაშორისო სამართლის სუბიექტებს.

კომუნიკაცია – ცნება, რომელსაც გააჩნია უნივერსალური აზრი, რომელიც იხსნება კონკრეტულ გეოგრაფიულ, ისტორიულ, სოციოკულტურულ. სოციოფსიქოლოგიურ, ეკონომიკურ, ინფორმაციულ და სხვა სიერცეებში, (პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური, კულტურათაშორისი, ეროვნებათაშორისი, სამეცნიერო ტექნოლოგიური.) მატერიალურ-პრაქტიკული აზრით "კომუნიკაცია" ნიშნავს მიმოსვლის, ტრანსპორტის და კავშირგაბმულობის გზებს.

კორპორაცია – ეს ინსტიტუტი შეიქმნა ევროპაში შუა საუკუნეებში. ჩამოყალიბდა დაძაბული ურთიერთობა საზოგადოებასა და კორპორაციებს შორის. სუსტი კორპორაციები არაეის ჭირდება, ხოლო ძლიერები მუდმივ კონფლიქტში იმყოფებიან საზოგადოების ინტერესებთან.

კონფლიქტი –ურთიერთსაპირისპირო ინტერესებისა და მიზნების დაჯახება. კლასიკურ გეოპოლიტიკაში კონფლიქტი ხდება საერთაშორისო ურთიერთობების ცენტრი. განასხვავებენ სამხედრო, გეოეკონომიკურ, სოციალურ და ა.შ კონფლიქტებს.

კოლონია – სახელმწიფო ან ტერიტორია, რომლებსაც დაკარგული აქვს ეკონომიკური (ან პოლიტიკური) დამოუკიდებლობა და დაქვემდებარებულია მეტროპოლიას.

კრიმინალური ეკონომიკის პოლუსები – ტერიტორიები, რომელიც ვერ ან არ კონტროლდება სუვერენული სახელმწიფოების მიერ.

კორუფცია – მართლსაწინააღმდეგო ურთიერთობების ძიება, დამკვიდრება და მხარდაჭერა ფიზიკურ და იურიდიულ პირებს შორის ანგარებიანი პირადი და კორპორატიული მიზნების მიღწევისათვის. კორუფციას მიეკუთვნება საკანონმდებლო პროცესის ლობირება და სახელმწიფოს მხრიდან ეკონომიკური შეღავათების მიღება იმ თანამდებობის პირებისადმი ლოიალობისა და ფინანსური მხარდაჭერის შედეგად, რომლებიც იბრძვიან ხელისუფლებისათვის. ყველა ქვეყანაში კორუფციას თავისი სპეციფიკა გააჩნია.

კონტინენტი – გეოპოლიტიკური ტერმინი, რომელიც აღნიშნავს თალასოკრატიას. (ხმელეთი)

კონვერგენციის თეორია – მოძღვრება საზოგადოების ევოლუციური განვითარების შესახებ. კაპიტალიზმისა და სოციალიზმის ურთიერთშეღწევის შესახებ, რომლის შედეგადაც იქმნება ერთიანი ინდუსტრიული საზოგადოება. ამ თეორიის მეთოდოლოგიურ საფუძველს შეადგენს ინდუსტრიული საზოგადოების თეორია. ამ ორი სისტემის მსგავსების შესახებ პირველი წარმოდგენები ფორმულირებული იქნა პ. სოროკინის მიერ. შემდგომში ამ თეორიის მოდერნიზაცია მოახდინა უ. როსტოუმ, ჯ. გელ-

ბრეიტმა და სხვებმა. თეორიის თანახმად კაპიტალურ და კომუნისტურ სისტემებს ძირეულად უნდა მოეხდინათ რეფორმირება და აეღოთ საუკეთესო ატლანტიზმისა და კონტინენტალიზმისაგან. დასავლეთმა ძალზედ ეფექტურად გამოიყენა მონდეალიზმი "ცივ ომში" სოციალური ბანაკის წინააღმდეგ, კერძოდ კაპიტალიზმმა შემოიღო ეკონომიკის რეგულირების გარკვეული ელემენტები და გააფართოვა სოციალური უზრუნველყოფის პროგრამები, რომლებმაც ტექნოლოგიურ, სამეცნიერო და სხვა მიღწევებთან ერთად ხელი შეუწყო მის პოსტინდუსტრულ ეპოქაში გადასვლას.

კაპიტალიზმი – დასავლური ცივილიზაციის პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური მოდელი, რომელიც ეფუძნება საბაზრო ურთიერთობების ლიბერალიზაციას.

კეინსიანელობა – ეკონომიკის სახელმწიფოებრივი ანტიკრიზისული რეგულირების თეორია, რომელიც ეფუძნება სამომხმარებლო მოთხოვნილების გაზრდას შრომის მაღალი ანაზღაურების ხარჯზე. თეორიის ძირითადი პრინციპები ჩამოაყალიბა ჯ.კეინსმა. თუ ადრე სახელმწიფო კერძომეწარმეობაში ჩაურევლობის პოზიციაზე იდგა, კეინსიანელობის თანახმად საყოველთაო სახელმწიფოს აქტიური სოციალური პოლიტიკით. მეორე მსოფლიო ომის შემდგომ განვითარება ჰპოვა ნეოკეინსიანელობამ, რომელმაც ძირითადი აქცენტი გადაიტანა ეკონომიკის ზრდასა და დინამიკაზე.

კონკურენცია – სახელმწიფოს, ქვეყანა-სისტემის, ეკონომიკური ბლოკების, ტრანსნაციონალური ფაქტორების ბრძოლა საქონლის წარმოებისა და გასაღების ხელსაყრელი პირობების შესაქმნელად გლობალურ და მსოფლიო ბაზარზე. ისეთი პირობების შექმნისათვის ბრძოლა, რომლის დროსაც გარანტირებულია მეტი მოგების მიღება.

კონვენცია – სახელმწიფოთა ან რეგიონალ ბლოკებს შორის რაიმე სპეციალურ (კონკრეტულ) საკითხზე დადებული ხელშეკრულება.

კონვერგენცია – რაიმე ნიშან – თვისებათა დამთხვევა ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ გეოეკონომიკურ გეოპოლიტიკურ საკითხებში. იხმარება ეკონომიკური ინტეგრაციის მნიშვნელობითაც.

კონფუციანელობა – ეთიკურ – რელიგიური სწავლება, რომელიც ქადაგებს სახელმწიფოებრივი მოწყობის იდეალს.

კომპენსაციური პოტენციალი – ქვეყნის ეკონომიკის საერთო უნარი რეაგირება მოახდინოს კრიტიკულ სიტუაციაზე, უნარი აღადგინოს გეოეკონომიკური, გეოპოლიტიკური, გეოსოციალური, გეოკულტურული და გეოეკოლოგიური პროცესები მათი დარღვევის შემთხვევაში ქვეყნის ან მსხვილი რეგიონების მასშტაბით.

კომპარატივიზმი – ისტორიულ-შედარებითი მეთოდი მეცნიერებაში.

ლიბერალური იმპერია – პოლიტიკური მართვის ფორმა, რომელიც განსაზღვრავს სხვა სახელმწიფოს არა მხოლოდ საგარეო, არამედ საშინაო პოლიტიკასაც. საერთაშორისო ურთიერთობების გლობალიზაციის შედეგად აშშ გახდა მსოფ-

ლიო იმპერია (Pax Americana), რომელიც ეფუძნება ამ ქვეყნის რეალურ უპირატესობას მსოფლიოს დანარჩენ ქვეყნებთან და რეგიონებთან მიმართებაში.

"ლასე ფერის" ლიბერალური დოქტრინა – ამ დოქტრინის ძირითადი დევიზია "მივცეთ ადამიანებს საშუალება აკეთონ თავიანთი საქმე, მივცეთ საშუალება საქმეს განვითარდეს თავისი გზით". ეს დოქტრინა კოსმოპოლიტური შეფერილობისაა და უარყოფს ეროვნული გეოეკონომიკური ინტერესების არსებობას.

მარგინალური – ცენტრალურის საპირისპირო, მხარე სამანი, სასაზღვრო. მარგინალური არ ნიშნავს პერიფერიულს (პროვინციალურს, ჩამორჩენილს) პერიფერიულობა მარგინალურობის კერძო შემთხვევაა, სასაზღვრო ენერგოინფორმაციული გაცვლა (პიროვნებათაშორისი, წოდებრივი, ეთნიკური, ცივილიზაციური) შეიძლება იყოს როგორც შემოქმედებითი ასევე დამანგრეველი. ამიტომ ეს ტერმინი შეიძლება გამოიყენებოდეს როგორც დადებითი ასევე უარყოფითი მნიშვნელობით.

მსოფლიოს გეოეკონომიკური არქიტექტურა – ინფორმაციული და სხვა კომუნიკაციების განვითარებამ შეამცირა და შეზღუდა გეოგრაფიული ფაქტორის როლი საერთაშორისო ურთიერთობებში. ახალი გეოგრაფია უპირველეს ყოვლისა გლობალიზაციისა და ახალი ტრანსნაციონალური მოთამაშეების გამოჩენით არის განპირობებული გეოეკონომიკურ სივრცეში. აღნიშნულმა გამოიწვია მოთხოვნილება რეგიონალიზაციაზე და "დიდი სივრცეების" ახალ

კონსტრუქციებზე. მოხდა საერთაშორისო ურთიერთობების ერთგვარი ტრანსფორმაცია, რომელმაც შეცვალა სახელმწიფოთაშორისი მართვის სისტემების აგების პრინციპები. შეიქმნა მსოფლიო ჩრდილოეთი და ღრმა სამხრეთი, ხოლო მათ შორის გარდამავალი მდებარეობა დაიკავა პოსტსაბჭოთა სივრცემ (ა. ნეკლესა)

მეგატენდენცია – მსოფლიოს ძირითადი პრობლემები და ტენდენციების გადმოცემა.

მსოფლიოს სავაჭრო ორგანიზაცია – საერთაშორისო ორგანიზაცია. შეიქმნა 1995 წ. სხვადასხვა ქვეყნების გაერთიანება ეკონომიკის სფეროში და სავაჭრო წესების დაწესება წევრ სახელმწიფოებს შორის.

მსოფლიო სისტემების თეორია – ამერიკელმა მეცნიერმა ი.ვალერსტაინმა მსოფლიო სისტემური მიდგომის საფუძველზე სოციალურ ისტორიას შემდეგნაირი ინტერპრეტაცია გაუკეთა: კერძოდ, მან გამოყო ისტორიული სისტემის სამი ტიპი. მინი-სისტემა დამახასიათებელია პირველყოფილი საზოგადოებისათვის და წარმოადგენს თემისა და ტომის ანალოგს. შემდეგ დგება მსოფლიო სისტემის მეორე ტიპის დრო. მსოფლიო იმპერიებისათვის დამახასიათებელია განვითარებული სამხედრო-ბიუროკრატიული კლასი, წარმოების გადანაწილებადი წესი და სოფლის მეურნეობის დომინირება. და ბოლოს, მესამე ტიპი ეს არის მსოფლიო ეკონომიკის სისტემა, რომლისთვისაც დამახასიათებელია წარმოების კაპიტალისტური წესი. ამ მეცნიერმა განსაზღვრა

მსოფლიო კაპიტალისტური ჰეგემონიზმის სამი ციკლი, რომელთაგან თითოეული მოიცავს სამ ფაზას: მსოფლიო ომი, ერთ-ერთი დიდი სახელმწიფოს ჰეგემონია და ბოლოს დაცემა. ი. ვალერსტაინმა შექმნა მსოფლიო სისტემების თეორია, რომელიც დაეფუძნა სამ რგოლიან იერარქიულ სტრუქტურას: ბირთვი-ნახევრადპერიფერია. – პერიფერია კაპიტალიზმის ფორმირების პროცესში გამოყოფდა რამდენიმე მძლავრი სახელმწიფოს, რომელთაც არ შეეძლოთ მარტო განეხორციელებინათ პოლიტიკური კონტროლი მსოფლიოზე. ერთიანი ბაზრის ფორმირება შესაძლებელი გახდა მრავალი სახელმწიფოს საქონლის კონკურენციის შედეგად. მსოფლიო ეკონომიკის სტრუქტურული გარდაქმნების პერიოდში და შესაბამისად, მსოფლიოს პოლიტიკური სურათის ტრანსფორმაციისას ცვლილებები ხდება "ნახევრადპერიფერიის" ხარჯზე, რომლიდანაც ქვეყანათა ერთი ჯგუფი გადადის ზედა საფეხურზე (ბირთვი), ხოლო სხვები დეგრადირდებიან პერიფერიის მდგომარეობამდე. მან გამოაელინა მსოფლიო "ბირთვის" გადაადგილება ბოლო 200წლის განმავლობაში. მსოფლიო ეკონომიკის სიმძიმის ცენტრმა დიდი ბრიტანეთიდან გადაინაცვლა გერმანიაში და შემდგომ უკვე "გლობალური ცივილიზაციის "პერიოდში აშშ-ში. თანამედროვე მსოფლიოში "ბირთვი" კვლავ აგრძელებს დრეიფს, აზიურ-წყნაროკეანური რეგიონისაკენ.

მსოფლიო რეგიონალიზმი – გლობალიზაციის ერთ-ერთი ეტაპი, ან/და მისი საპირისპირო ტენდენცია. არსე-

ბობს სამხედრო-პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული რეგიონალიზმი.

მსოფლიოს პოლიტიკური რუკა – მსოფლიო პოლიტიკური გეოგრაფიის მონაცემთა კრებული. ვიწრო გაგებით კი ეს არის გეოგრაფიული რუკა სახელმწიფოთა აღნიშვნით.

მონდეალიზმი – ერთიანი მსოფლიოს, გლობალიზაციის გეოპოლიტიკური იდეოლოგია, რომლის მიხედვითაც უნდა მოხდეს ყველა სახელმწიფოსა და ხალხის შერწყმა, ერთიანი პლანეტარული წარმონაქმნისა და „მსოფლიო მთავრობის" ჩამოყალიბების მიზნით. გულისხმობს მსოფლიოს ერთიანი ეკონომიკური სისტემის ფორმირებას. ეს კონცეფცია იგივეა, რაც ლოზუნგი "პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით", ან საყოველთაო რევოლუცია "ამერიკული საუკუნე".

მაფია – საიდუმლო საზოგადოება, აღმოცენდა სიცილიაში და მოქმედებდა მსხვილი მიწათმფლობელებისა და მევახშეების ინტერესების დასაცავად, ტერორისტული აქტების გამოყენებით. თანამედროვე მსოფლიოში გავრცელებული მაფია ძირითადად იცავს ეთნიკურ-კრიმინალურ-კორპორატიული დაჯგუფებების (კლანები, ოჯახები) ინტერესებს. მსოფლიო მაფიოზურ სტრუქტურებში ამჟამად გამოირჩევა რუსული და ჩინური მაფია.

მსოფლიო ეკონომიკური წესრიგი – მსოფლიო წესრიგი, რომლის ჩამოყალიბებაში დომინირებს ტრანსნაციონალური კაპიტალი და მისდამი დაქვემდებარებული საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების ინსტიტუტები.

მსოფლიო კომუნიკაციები – ტრანსკონტინენტალური საავჭრო და სხვა გზები. სახმელეთო კომუნიკაციის ისტორიაში ყველაზე მსხვილი კომუნიკაცია იყო დიდი აბრეშუმის გზა.

მსოფლიო სისტემა – სათაეს იღებს ი. ვალერსტაინის და ფ.ბრაუდელის შრომებში. თავდაპირველად იგი ეითარდებოდა როგორც ტრადიციული, ძალის-მიერი გეოპოლიტიკის შეზღუდულობაზე რეაქცია და ყურადღების აქცენტი გადაჰქონდა გეოეკონომიკურ მიდგომაზე. გეოპოლიტიკის "ეკონომიზაცია" მსოფლიო-სისტემის მიდგომის საფუძველზე პირველად დააფიქსირა ჰ. ტეილორმა. მსოფლიო სისტემის – მიდგომის მომხრეები მსოფლიო ეკონომიკის ერთიან სივრცეს განიხილავენ როგორც საერთაშორისო ურთიერთობების განსაკუთრებულ სუბიექტს, რომელიც განსაზღვრავს სახელმწიფოთა პოლიტიკურ ქცევას.

მსოფლიოს საგარეო ვალის კრიზისი – XX ს. დასაწყისში განვითარებული ქვეყნების საგარეო დავალიანების ჯამურმა მაჩვენებელმა 2 ტრილიონ დოლლარს გადააჭარბა. ვალის მომსახურების ჯამი წელიწადში 200 მლრდი დოლარით იზრდება. საერთაშორისო სავალუტო ფონდმა ყველაზე უფრო ღატაკ ქვეყნებს ჩამოაწერა საგარეო ვალის 90%, რაც განვითარებული ქვეყნების დავალიანების მხოლოდ 2% შეადგენს. ამ კრიზისის ძირითად მიზეზად მიიჩნევენ მსოფლიო ფინანსური გლობალიზაციის მოწყვეტას რეალური ეკონომიკიდან. კაპიტალის ვირტუალური დინებები სპეკულაციურ ბაზრებზე იწვევენ ეროვნული ვალუტის კურ-

სის დაცემას და ეროვნული სიმდიდრის გაუფასურებას.

მსოფლიო წესრიგის კონცეფცია – მოძღვრება მსოფლიოს გეოპოლიტიკურ მოწყობაზე. ტრადიციულ გეოპოლიტიკაში განსაკუთრებით პოპულალურია ფორმულა "ვინც ფლობს " ევრაზიას, "ის ფლობს მსოფლიოს". ცივილიზაციურ გეოპოლიტიკაში კი პოპულარული ხდება ახალი მსოფლიო წესრიგის კონცეფცია, რომლის საფუძველია ფორმულა "ვინც ფლობს ინფორმაციულ და ბიოლოგიურ ტექნოლოგიებს, ის ფლობს მსოფლიოს".

მსოფლიო ვაჭრობა - ეკონომიკური გლობალიზაციის ერთერთი ფორმა.

მერკანტილიზმი – მოძღვრება საზოგადოების სიმდიდრის წყაროზე საგარეო ვაჭრობის აქტიურ ბალანსში, რომელიც უზრუნველყოფს ქვეყანაში ოქროსა და ვერცხლის შემოდინებას. ადრეულ კაპიტალიზმის ეკონომიკური პოლიტიკა ხასიათდებოდა სახელმწიფოს აქტიური ჩარევით ეკონომიკურ ცხოვრებაში. ადრეული მერკანტილიზმის პერიოდში (XV ს. ბოლო მესამედი და XVI საუკუნის შუა პერიოდი) იკრძალებოდა ფულის გატანა საზღვარგარეთ, ხოლო გაყიდვებიდან შემოსული შემოსავალი უცხო ვაჭრებს უნდა დაეხარჯათ ადგილობრივი პროდუქციის შეძენაზე. გვიანი მერკანტილიზმის პერიოდში (16 ს-ის მეორე ნახევარი და 17 საუკუნე) ხორციელდებოდა სახელმწიფოს პროდუქციონისტული პოლიტიკა სამამულო საექსპორტო საქონელზე, რაც ხელს უწყობდა აქტიურ სავაჭრო ბალანსს.

მონროს დოქტრინა – აშშ საგარეო პოლიტიკის პრინციპების დეკლარაცია, რომელიც ჩამოაყალიბა აშშ პრეზიდენტმა ჯ.მონრომ. შემუშავებულ იქნა 1932 წ. ე. სარის აშშ პირველი გეოპოლიტიკური დოქტრინა, რომელმაც ჩამოაყალიბა პოლიტიკური გავლენის პრინციპები მსოფლიოში აშს-სა და ევროპას შორის. ამ დოქტრინით აშშ მიენიჭა მთავარი როლის შესრულების უფლება ლათინურ ამერიკაში.

მონოპოლია – წარმოების, ვაჭრობის და ა.შ განსაკუთრებული უფლება, რომელიც ერთ პირს, გარკვეულ ინტერესთა ჯგუფს ან სახელმწიფოს ეკუთვნის.

მესამე სამყარო – ეკონომიკურად სუსტად განვითარებული ქვეყნების საერთო სახელწოდება, რომლებიც უპირატესად მიეკუთვნებიან გეოეკონომიკური სამხრეთის ქვეყნებს.

ნავთობის ექსპორტის ქვეყნების ორგანიზაცია (– კარტელი) – შექმნეს ნავთობმომპოვებელმა ქვეყნებმა ნავთობზე ფასების სტაბილიზაციისათვის. ამ ორგანიზაციის წევრები არიან ის ქვეყნები, რომელთა ეკონომიკა ბევრადაა დამოკიდებული ნავთობიდან მიღებულ შემოსავალზე. ორგანიზაციის ძირითადი მიზანია ნავთობზე მსოფლიო ფასების კონტროლი.

ნატო – სამხედრო პოლიტიკური ბლოკი, შეიქმნა 1949 წ. აშშ-ის ინიციატივით. მის შემადგენლობაში შედიან აშშ, კანადა, ევროპის უმეტესი სახელმწიფოები, თურქეთი. ჩრდილოატლანტური ხელშეკრულების ეს ორგანიზაცია განმტკიცდა ევროპის გეოეკონომიკური გახლეჩვის შემდგომ (მასში ევროპის მრავალი პოსტსო-

ციალური და პოსტსაბჭოთა ქვეყანა გაერთიანდა. მისი შტაბ ბინაა ბრიუსელში.

„ოქროს მილიარდი" – პოსტინდუსტრიული ქვეყნები (აშს, დასავლეთი ევროპა, კანადა, იაპონია და სხვა), რომლებზედაც 2000წ მოდიოდა მსოფლიო მოსახლეობის 15% და ერთობლივი შიდა პროდუქტის 80%.

„ოქროს მილიარდის " თეორია – ე.წ. "გამორჩეული ხალხის" თანამედროვე ევროპოტენტრისტული მოძღვრება, რომელსაც გარანტირებული აქვს დედამიწაზე პრივილეგირებულ მდგომარეობაში ყოფნა. პოსტინდუსტრიული ქვეყნების მილიარდ მოქალაქეს უპირისპირდება დანარჩენი კაცობრიობა, რომლებიც ემსახურებიან ტრანსნაციონალური კაპიტალის ინტერესებს.

ოფშორული ბიზნესი („ჭუჭყიანი ფულის" გათეთრებასთან ბრძოლა) - ბევრი ოფშორი გახდა "ჭუჭყიანი ფულის" თავშესაფარი და რიგი სახელმწიფოებისათვის გადაიქცნენ ეკონომიკის "შავ ხვრელებად". კაპიტალის საზღვრებს გარეთ გადატანის პრაქტიკა, გადასახადების შემცირების მიზნით 1990-იან წლებში ისე გავრცელდა, რომ გამოიწვია გადამჭრელი ზომების მიღების აუცილებლობა შესაბამისი საერთაშორისო ინსტიტუტების დონეზე.

პოსტინდუსტრიული ქვეყნები – მაღალგანვითარებული ქვეყნები. დასავლეთის განვითარებულ პოსტინდუსტრიულ ქვეყნებს მიეკუთვნება: აშშ, იაპონია, დასავლეთ ევროპა, კანადა, ავსტრალია, ახალი ზელანდია და ისრაელი.

პოსტინდუსტრიული საზოგადოება – საზოგადოებრივ-სოციალური წესრიგი, რომელიც ცვლის ინდუტრიულ

საზოგადოებას. ინტელექტუალური კაპიტალი დომინირებს სამრეწველო კაპიტალზე, ხოლო ცხოვრების ხარისხის ფასეულობები-მატერიალურ დონეებზე.

პოლიტიკური ლანდშაფტი – პოლიტიკური ძალების განლაგების გეოგრაფიული ინტერპრეტაცია.

პოლიტიკური გეოგრაფია – საზოგადოებრივ-გეოგრაფიული მეცნიერება, რომელიც სწავლობს მსოფლიოს პოლიტიკური რუკის ფორმირებას, პოლიტიკურ ძალთა განლაგებასა და ტერიტორიულ შეთანაწყობას. პოლიტიკური გეოგრაფიის ერთ-ერთი ასეთი მიმართულებაა ელექტრორალური გეოგრაფია, რომელიც სწავლობს ხელისუფლების სხვადასხვა ორგანოებში არჩევნების შედეგებს.

პოლიტიკა – ხალხის მართვის ხელოვნება, პლატონისა და არისტოტელეს მიხედვით ეს არის ერთიანი მეცნიერება საზოგადოებასა და ქალაქი სახელმწიფოს შესახებ.

პოლიტოლოგია – მეცნიერების დარგი, სწავლობს საზოგადოების პოლიტიკურ ორგანიზაციასა და პოლიტიკურ ცხოვრებას. ქვეყნის საშინაო, საგარეო და მსოფლიო პოლიტიკური ურთიერთობების პრობლემებს.

პერიფერია – სივრცე, რომელიც დაშორებულია გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური პოლუსებისაგან (ბირთვისაგან).

პასიური რეგიონალიზაცია – განისაზღვრება ტერიტორიების საერთო იდენტურობით, კულტურით, ისტორიით, გეოგრაფიით.

პარტიკულარიზმი – სამოქალაქო საზოგადოების ინტერესების შეცვლა მოქალაქეთა კერძო ინტერესებით,

რომელიც რეალიზდება ხელოვნურად სტიმულირებული ქცევის სამომხმარებლო მოდელში. სამოქალაქო პოზიციის ჩანაცვლება თვითიდენტიფიკაციის სამომხმარებლო ფორმებით.

რომის კლუბი – საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც 1970-იან წლებში აქტიურად იკვლევდა გლობალური განვითარების პრობლემებს. ორგანიზაცია დაარსდა 1968წ. რომში და მასში გაერთიანდა რამოდენიმე ათეული მეცნიერი, საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწე, მსხვილი კორპორაციებისა და საფინანსო ინსტიტუტების ხელმძღვანელები. რომის კლუბის მოხსენებებში გატარებული იყო აზრი, რომ თუ საოგადოების განვითარების არსებული ტენდენცია შენარჩუნდება, გარდაუვალი იქნება "გლობალური კატასტროფები". ჩამოყალიბებული იქნა "ჩრდილოეთი-სამხრეთის" გეოპოლიტიკური კონცეფცია.

რეტერიტორიალიზაცია – სახელმწიფოთაშორისი ეკონომიკური და სხვა გაერთიანებების ფორმირებისა და განვითარების პროცესი, რომელიც მიმდინარეობს სოციოკულტურული ახლობლობის ფაქტორის საფუძველზე. (მორალურ-ეთიკური, რელიგიური და სხვა) თანამედროვე მსოფლიოში რეგიონალიზაცია ერთდროულად გვევლინება გლობალიზაციის როგორც ეტაპი და როგორც პასუხი გამოწვევებზე. რეგიონალიზაცია არის მოდერნიზაციის რეგიონული ეკონომიკის კონკურენციის მეშვეობით ტერიტორიული კონცენტრაციის დაჩქარება.

რეგიონალიზმი – შიდასახელმწიფოებრივი რეგიონების გაძლიერების პროცესი

საბაჟო კავშირი – მონაწილე ქვეყნების შეთანხმება, რომლის მიხედვითაც ხდება ეროვნული ბარიერების ლიკვიდაცია და ერთიანი საბაჟო წესებისა და ტარიფების შემოღება მესამე ქვეყნებთან ვაჭრობის მიზნით.

სუვერენული სახელმწიფო – საერთაშორისო ურთიერთობისა და მსოფლიო პოლიტიკის დომინანტი სუბიექტი. სახელმწიფო წარმოადგენს საზოგადოების პოლიტიკური ორგანიზაციის საფუძველს. მართვის ფორმის მიხედვით გამოყოფენ მონარქიას და რესპუბლიკას, ხოლო მოწყობის ფორმის მიხედვით-ფედერაციულს და უნიტარულ სახელმწიფოებს.

სუვერენიტეტი – სახელმწიფოს დამოუკიდებლობა საშინაო და საგარეო საქმეებში.

სტრატეგიული საქონელი – ენერგეტიკული და სასურსათო ნედლეული, მოწყობილობები, ტექნოლოგიები, ნოუ-ჰაუ და სხვა საქონელი, რომელთა ექსპორტი იზღუდება, კონტროლდება ან იკრძალება იმ მიზნით, რომ ზიანი არ მიადგეს ეროვნულ გეოეკონომიკურ უსაფრთხოებას.

სუბსიდიარობის პრინციპი – საზოგადოებრივ ურთიერთობებში პიროვნების უფლებისა და უფლებების პრიორიტეტი ნებისმიერი საზოგადოების უფლებასა და ინტერესებზე.

სეპარატიზმი – გამოყოფისაკენ, განცალკევებისაკენ სწრაფვა

სივრცე – გეოეკონომიკისა და გეოპოლიტიკის ძირითადი ცნება (კვინტესენცია), რომელიც ითვალისწინებს მათ ხარისხობრივ კატეგორიებს. გამოიყოფა მრავალგანზომილებიანი კომუნიკაციური

სივრცის (გეოპოლიტიკური, გეოეკონომიკური, გეოკულტურული, გეოინფორმაციული და ა.შ) სხვადასხვა ტიპები.

სახელმწიფო პატერნალიზმი – ხელისუფლება (ბელადი) გვევლინება "ხალხის მამის" რანგში მთელი საზოგადოებისათვის, სადაც საზოგადოებას და პიროვნებას რომელსაც უკიდურესად ეზღუდება თავისუფლება. ამის კლასიკური მაგალითია ი. სტალინი.

საერთაშორისო ტერორიზმი – საერთაშორისო მაშტაბით საზოგადოებისათვის საშიში ქმედებების ერთობლიობა, რომელიც იწვევს ადამიანთა უაზრო სიკვდილს და ანგრევს სახელმწიფოთა შორის არსებულ პოლიტიკურ, ეკონომიკურ, კულტურულ და სხვა სახის კომუნიკაციებს. საერთაშორისო ტერორიზმი გადაიქცა მსოფლიო პოლიტიკის სუბიექტად და რეალურ გავლენას ახდენს საერთაშორისო ურთიერთობებზე. მსოფლიო ტერორისტების საერთო "ბიუჯეტი" 7დან-30 მლრდ დოლარამდე შეადგენს.

საერთაშორისო კონფლიქტი – ტრადიციულ გეოპოლიტიკაში საერთაშორისო ურთიერთობების საფუძველი. განასხვავებენ სამხედრო-პოლიტიკურ, გეოეკონომიკურ, ეთნიკურ, ცივილიზაციურ, კონფესიონურ და სხვა სახის კონფლიქტებს. თანამედროვე მსოფლიოში პოტენციური კონფლიქტების საფრთხე უკავშირდება საერთაშორისო ურთიერთობებში მონაწილეთა რიცხოვნობის ზრდას და მათ მრავალფეროვნებას.

საერთაშორისო სავალუტო ფონდი და მსოფლიო ბანკი – ფინანსური ინსტიტუტები, რომლებიც დაფუძნდნენ 1944 წ. 44 ქვეყნის წარმომადგენელმა ქალაქ ბერეტონ-ვუდსში გამართულ სავალუტო-ფინანსურ კონფერენციაზე ოფიციალურად განაცხადეს ამ ინსტიტუტების დაარსების შესახებ. „ბრეტონ ვუდსის" ინსტიტუტები" როგორც მათ უწოდებენ განთავსებულია ვაშინგტონში. ამ ინსტიტუტებმა საფუძველი ჩაუყარა მსოფლიო-სავალუტო ფინანსურ სისტემას, რომელიც მოწოდებულია შეინარჩუნოს მსოფლიო ეკონომიკური წესრიგი. საერთაშორისო სავალუტო ფონდის მთავარი ამოცანაა ამ ორგანიზაციის წევრი ქვეყნების ფულად-საკრედიტო პოლიტიკის სწორად წარმართვაში ხელის შეწყობა.

სასიცოცხლო სივრცე – კ. ჰაუსჰოფერის მიერ შემოტანილი ტერმინი. მინიმალური ტერიტორიული მოცულობა, რომელიც საშუალებას აძლევს ხალხს მიაღწიოს საკუთარი ისტორიული და პოლიტიკური მისწრაფებების რეალიზაციას.

სივრცე – გეოეკონომიკისა და გეოპოლიტიკის ძირითადი ცნება. წარმოადგენს ხარისხობრივ კატეგორიას. სივრცის სტრუქტურა განსაზღვრავს ისტორიის სტრუქტურას (უპირველეს ყოვლისა კი პოლიტიკური და ეკონომიკური ისტორია) ასეთია გეოპოლიტიკისა და გეოეკონომიკის როგორც მეცნიერების ძირითადი თეზისი.

სამხედრო-ეკონომიკური უსაფრთხოება – გეოეკონომიკური უსაფრთხოების შემადგენელი ნაწილი ომის ან შეიარაღებული კონფლიქტის პერიოდში. უზრუნველყოფს სამხედრო მოთხოვნილების სა-

მარის დონეს, ხოლო მშვიდობიანობის დროს თავდაცვის მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას ქვეყნის გეოპოლიტიკური და გეოსტრატეგიული ინტერესების შესაბამისად.

სახელმწიფო-კორპორაცია – დინამიური ტრანსსახელმწიფოებრივი გეოეკონომიკური კონსტრუქცია, რომელთაც გააჩნიათ არა მხოლოდ ეკონომიკური, არამედ გეოპოლიტიკური და სოციალურ-კულტურული ამბიციები. ხანდახან ისინი გვევლინებიან როგორც სტრატეგიული მოქმედების სრულიად დამოუკიდებელი სუბიექტები და სავალუტო კურსის დადგენის მონიტორინგის მწარმოებლები. მსოფლიო ბანკის ძირითად მოვალეობას კი წარმოადგენს ეკონომიკური განვითარების დაფინანსება, ხოლო მისი მთავარი მიზანია ხელი შეუწყოს განვითარებადი ქვეყნების სოციალურ-ეკონომიკურ პროგრესს.

საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები – წარმოდგენილია სამი საერთაშორისო ინიციატივით, რომლებიც დასავლეთის ინტერესების შესაბამისად ახორციელებენ დანარჩენი მსოფლიოს რესურსების გადანაწილებას. ეს ტრიო აერთიანებს ტრანსნაციონალურ კორპორაციებს, ბრეტონ ვუდსის ინსტიტუტებსა და მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციას. მსოფლიო ფინანსური და სავაჭრო ინსტიტუტების თანამედროვე სისტემა შექმნილია უპირატესად დასავლეთის მიერ და უპირველეს ყოვლისა მათ საქმიან ინტერესებს ითვალისწინებს, ამიტომ მსოფლიო ეკონომიკურ სისტემაში ინტეგრაციისათვის არადასავლური ქვეყნები

იძულებულნი არიან გამოიყენონ არსებული სიტემა.

საერთაშორისო ფინანსური კორპორაცია – ორგანიზაცია მსოფლიო ბანკის ფილიალის უფლებით (დაფუძნდა 1956წ). თავის საქმიანობაში ორიენტირებულია კრედიტების გაცემაზე კერძო კაპიტალისათვის, სახელმწიფო გარანტიების მოთხოვნის გარეშე,მაგრამ პროექტის მაღალი რენტაბელობის პირობით. ამ ორგანიზაციას აქვს ინვესტიციური საქმიანობის დამოუკიდებლად განხორციელების უფლება.

საინვესტიციო კლიმატი – მოცემულ ადგილზე ეკონომიკის რეალური პირობები, რომელსაც რიგი ფაქტორები განაპირობებს (პოლიტიკური, საკანონმდებლო, სოციალური, სამხედრო-სტრატეგიული და ა.შ)

ტერიტორია – დედამიწის ზედაპირის სხვადასხვა ზომის მონაკვეთი (სეგმენტი) გარკვეული სამართლებრივი და სხვა რეჟიმით.

ტრანსნაციონალური კორპორაციები – საერთაშორისო სამეწარმეო გაერთიანებები, რომლებიც ქმნიან მსოფლიო ეკონომიკის კომუნიკაციურ კარკასს. საწარმოო და საბაჭრო კავშირების ინტერნაციონალიზაცა უპირველეს ყოელისა ხორციელდება ტრანსნაციონალური კორპორაციებით. ისინი წარმოადგენენ გლობალური ეკონომიკის ძლიერების საფუძველს. ამ კომპანიების საქმიანობა არყევს ეროვნული სუვერენიტეტის საფუძვლებს. ეს კომპანიები გეგმავენ და ორგანიზაციას უკეთებენ წარმოებას გლობალურ მაშტაბებში და ერთ-

დროულად ეჩვევიან ადგილობრივ მოთხოვნილებებსა და პირობებს.

ტრანსსასაზღვრო რეგიონი – სახელმწიფოთა მომიჯნავე სასაზღვრო ტერიტორიები, რომლებიც ხასიათდებიან განსაზღვრული ბუნებრივი, ეკონომიკური, სოციოკულტურული და ეთნიკური ერთიანობით. დასავლეთ ევროპაში დიდად გავრცელდა ე.წ ევრორეგიონები, როგორც ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის ერთერთი ფორმა.

ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობა – სახელმწიფოთა სასაზღვრო ტერიტორიების ეკონომიკური ინტეგრაციის ფორმა.განსაკუთრებით განვითარდა ევროპაში.1980წ მადრიდში მიღებულ იქნა ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის ჩარჩო კონვენცია.

ტექნოპოლისი – ინტელექტისა და კაპიტალის თავმოყრის თავისუფალი ზონა, სადაც ხორციელდება მაღალი ტექნოლოგიების შექმნა და წარმოება. ამჟამად, ჩამოყალიბებულია თავისუფალი ზონის ახალი ფუნქციონალური ტიპი, რომელმაც გააერთიანა მეცნიერება და მაღალი ტექნოლოგიების წარმოება. ეს არის სამეცნიერო ტექნოლოგიური ზონები. 1984წ შეიქმნა სამეცნიერო პარკების საერთაშორისო ასოციაცია (ევროპული, ამერიკული და აზიურ წყნაროკეანური), რომლის შტაბ-ბინა განთავსებულია ირლანდიაში (შენონი), ხოლო გენერალური მდივნის წარმომადგენლობა საფრანგეთშია.

ტაქტიკა – ტექნოლოგიათა ერთობლიობა, რომელიც მიმართულია სტრატეგიის (დოქტრინის) შუალედური მიზნის მისაღწევად.

ტრადიციონალიზმი – თანამედროვეობის აბსტრაქტული კონცეფციის უარყოფა, ობსკურანტიზმის (მტრული დამოკიდებულება მეცნიერების, განათლების, პროგრესისადმი), ნაციონალიზმისა და მივიწყებული ფეტიშების (რაც ბრმად სწამთ, უსულო საგნები) აღორძინება.

ურთიერთგადამკვეთი სუვერენიტეტის პოსტმოდერნისტული თეორია – რომლის მიხედვითაც ადამიანი შეიძლება იყოს ერთი ან რამოდენიმე ქვეყნის მოქალაქე და იმავდროულად მიეკუთვნებოდეს სხვა იერარქიებს (გეოეკონომიკური სტრუქტურები, პროფესიული ასოციაციები, რელიგიური ან ეთნიკური ჯგუფები და სხვა).

ფრაგმენტაცია – სხვადასხვა ტიპის საერთაშორისო საზოგადოებების ინტერესთა გახლეჩვა და შეჯახება, რასობრივი, ეროვნული და კულტურული დიფერენციაციის მიზეზით, სადაც ნაციონალიზმის გაძლიერება იძენს ადგილობრივი ტრადიციების გლობალიზაციასთან ბრძოლის ფორმას, რომლის დროსაც ხდება ეროვნული სახელმწიფოთა კავშირებისა და ბლოკების გაძლიერება და ინტეგრაცია. ყალიბდება რთული იერარქიული სისტემა და იწყება ბრძოლა რესურსებისათვის. ყოფილი გლობალური ბაზრები გადანაწილდება ამ კავშირებსა და ბლოკებს შორის ლოკალური გეოეკონომიკური ომების შედეგად. ტერმინი შემოიტანა და დაამკვიდრა ჯ.როზენაუმ.

ღრმა სამხრეთი – გეოეკონომიკური მაკრორეგიონი. მსოფლიოს ღრმა პერიფერია დემოდერნიზაციის პროცესებითა და სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობების კრიმინალიზაციით.

შრომის საერთაშორისო დანაწილება – შრომის დანაწილების გლობალური სისტემა ეროვნულ ეკონომიკებს შორის. თანამედროვე შრომის საერთაშორისო დანაწილება ტრანსფორმირდება როგორც კორპორაციათაშორისი, რომელსაც ახორციელებენ ტრანსნაციონალური ეკონომიკური სუბიექტები.

შენგენის ხელშეკრულება – ხელი მოეწერა 1985წ, რომელმაც 1995წ მთლიანად გააუქმა "შენგენის შვიდეულის" (ბელგია, გერმანია, საფრანგეთი, ლუქსემბურგი, ნიდერლანდები, ესპანეთი და პორტუგალია) შიდა საზღვრების კონტროლი. შემდგომი თანდათან ჩამოყალიბდა და დაიხვეწა, რაც წარმოადგენს უეჭველ პროგრესს. მან მოხსნა ბევრი დაბრკოლება სახელმწიფო საზღვრებზე და შემოქმედებითად რეაგირებს საზოგადოების მოთხოვნებზე.

შტაბური ეკონომიკა – პოლიტიკურ-ეკონომიკური საქმიანობის სახე, რომლის ძირითადი სფეროა ეკონომიკური ოპერაციების სფეროში რეგლამენტისა და ფინანსურ-სამართლებრივი რეგულირების დამყარება. იგი დაფუძნებულია სიმბოლურ კაპიტალზე და სახელისუფლებო გადაწყვეტილებების გლობალური პროცესების ძალისმიერ მეთოდებზე. თავის თავში აერთიანებს ისეთ დარგებს, როგორიცაა გადაწყვეტილებების მიღების ინდუსტრია, მაღალკვალიფიცი-

ური მომსახურება, ციფრული ეკონომიკის საფუძვლები.

ჩრდილოვანი ეკონომიკური ურთიერთობები – ეკონომიკური "მოდელი", რომელიც გულისხმობს გადასახადებიდან თავის არიდებას, თვითდასაქმებასა (სახალხო ეკონომიკა) და კრიმინალური ეკონომიკის არსებობას. სოციუმისათვის კრიმინალური ეკონომიკის ყველაზე უფრო საშიში ფორმაა ის "ბიზნესი", რომელიც "აწყობილია" სახელმწიფო რესურსებზე.

ჩრდილოეთი-სამხრეთი – გეოპოლიტიკური კონცეფცია, რომელიც იკვლევს იმ დაძაბულობას, რომელიც არსებობს განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებს შორის არსებულ საზღვარზე. ითვალისწინებს რა ჩრდილოეთის არცთუ დიდ დემოგრაფიულ პოტენციალს, ამ უკანასკნელის დაპირისპირება სამხრეთთან აისახება ცნებებში მსოფლიო კუნძული და მსოფლიო ოკეანე ან ცენტრი ან პერიფერია. სამხრეთისათვის დამახასიათებელია ანტიდასავლური მოძრაობები, რომლებიც ეფუძნება ფუნდამენტალისტური ფასეულობების პრინციპებს.

ჩრდილოვანი ეკონომიკა – საქმიანობის სფერო, რომელიც მიმართულია ისეთი მოგების მიღებისაკენ, როცა არ იხდება გადასახადები. იგი ორი სახისაა კრიმინალური და არაკრიმინალური.

ცივილიზაცია – შეუძლებელია ამ ცნებისათვის აბსოლიტური სოციალური დეფინიციის მიცემა. ცივილიზაცია განსაზღვრავს საზოგადოების განვითარების დონესა და საფეხურებს, მის მატერიალურ და სულიერ კულტურას. ცივილიზაციები მართავენ კაცობრიობის სულიერ პრო-

გრესს. თანამედროვე ცივილიზაცია ეს არის ტექნიკის მიღწევათა ერთობლიობა. და მასთან დაკავშირებული კომფორტი.

„ცივი ომი" – სამხედრო-პოლიტიკური და ეკონომიკური მეტოქეობა ორ ზესახელმწიფოს (აშშ და საბჭოთა კავშირი) შორის.

წარმოების ინტერნაციონალიზაცია – მსოფლიო ეკონომიკის თანამედროვე ტენდენცია, რომელიც საშუალებას აძლევს ტრანსნაციონალურ კორპორაციებს საბაჟო ბარიერების გვერდის ავლით დაიპყრონ ახალი ბაზრები. გლობალური სავაჭრო კომუნიკაციები სტიმულს აძლევს წარმოების გადატანას განვითარებად ქვეყნებში და ნეგატიურად აისახება შრომის ადგილობრივ ბაზარზე. უცხოური საქონლის ექსპანსია განვითარებად ქვეყნებში ანგრევს ტრადიციულ წარმოებას და ამწვავებს მასობრივი უმუშევრობის პრობლემას.

შენიშვნა: ლექსიკონში მოტანილი ცნებები და ტერმინები განმარტებულია ისე, როგორც იგი გამოიყენება გეოეკონომიკაში, თუმცა მათ სხვადასხვა დისციპლინაში სხვაგვარი ინტერპრეტაცია შეიძლება ჰქონდეთ.

ტექნიკური რედაქტირება და კომპიუტერული დიზაინი

დ. ვეფხიაკოვი

წიგნი დააკაბადონა და გამოსაცემად მოამზადა

მ. ტაბატაძემ